

ბრ. ჯერნიკე

---

ქართული  
ენის  
ჯანსაღი  
კილო



გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“

თბილისი — 1988

შრომაში განხილულია ქართული ენის ჯაეახური კილო. მოცემულია ენობრივი მოვლენების მთლიანი სურათი.

ჯაეახური დიალექტისათვის დამახასიათებელი ენობრივი მოვლენები შედარებულია ქართული ენის სხვა კილოების მონაცემებთან.

შრომა მოიცავს ავტორის მიერ ჩაწერილ დიალექტოლოგიურ და ფოლკლორულ მასალებს.

რეცენზენტები: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

პროფ. ა. კიჭირია,

ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი

შ. ლომსაძე

**Григол Маркозович Беридзе**

**ДЖАВАХЕТСКИЙ ДИАЛЕКТ  
ГРУЗИНСКОГО ЯЗЫКА**

**(На грузинском языке)**

**Издательство «Сабчота Сакартველო»**

**Тбилиси, Марджანიшвили, 5. 1988**

— 208  
— 292 — 38  
M 502 08 — 38

ვეფლენი ძვირფასი მშობლების —  
ნინოს და მარკოზის ნათელ  
ხსოვნას,

## წინასიტყვაობა

ჯავახურის შესწავლა ენათმეცნიერულად დროული და საინტერესოა, რადგან იგი, მესხურთან ერთად, ქართულ დიალექტებს შორის ყველაზე ახლოს დგას ქართლურსა და კახურთან. ეს დიალექტები კი თანამედროვე სალიტერატურო ქართულის საფუძველსა და მასაზრდოებელ წყაროს წარმოადგენს.

წინამდებარე ნაშრომში შევეცადეთ მოგვეცა ჯავახურისათვის დამახასიათებელი ენობრივი მოვლენების მთლიანი სურათი. დაწვრილებით განვიხილეთ ბგერითი შედგენილობა, ფონეტიკური პროცესები, მორფოლოგიურ-სინტაქსური მოვლენები, გამოვყავით ზოგიერთი სტილისტიკური თავისებურება და ცალკე თავი დავუთმეთ ლექსიკას.

ჯავახურის ცალკე ერთეულად გამოყოფისათვის გზადაგზა ვახდენდით განხილული მოვლენების შედარებას ქართული ენის სხვა დიალექტების მონაცემებთან. ვიკვლევდით ჯავახურის მესხურსა და ქართლურთან მიმართების საკითხს.

ჯავახური კილოს დიალექტოლოგიური მიმოხილვა ემყარება ცოცხალი მეტყველების ნიმუშებს, რომელთა უმრავლესობა წლების განმავლობაში შეგვიკრიბეთ ჯავახეთის სოფლებში. ვსარგებლობდით იმ მასალებითაც, რომლებიც სხვადასხვა დროს ჩაიწერეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტისა და გორის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტების სტუდენტთა. საენათმეცნიერო ექსპედიციებმა და ინდივიდუალურად მივლინებულმა სტუდენტებმა.

აღნიშნული დიალექტოლოგიური მასალები ადგილზე შევამოწმეთ და დავრწმუნდით, რომ შეიძლებოდა მათზე დაყრდნობა.

ნაშრომს თან ერთვის ტექსტები.

## შ ე ს ა ვ ა ლ ი

### § 1. მოკლე ისტორიული მიმოხილვა

ჯავახეთი საქართველოს სამხრეთ ნაწილში მდებარეობს და ოდითგანვე მჭიდრო კავშირშია სამცხესთან. ტერიტორიულად სამცხე-ჯავახეთი შიდა და ქვემო ქართლის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. როგორც სამცხე, ისე ჯავახეთი სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობის ადგილას მდებარეობდა და ხშირად განიცდიდა მტრებისაგან აოხრებას. ისტორიული ბედი და უბედობა ამ ორი კუთხისათვის საზიარო იყო. ეს გარემოება ავალებს მკვლევარს, ერთის შესწავლისას გაითვალისწინოს მეორეც.

ისტორიულად ჯავახეთი უფრო ვრცელი იყო, მაგრამ უცხოელ დამპყრობთა წყალობით ორ-სამ რაიონამდე შემცირდა. მტერთა მომძლავრებისაგან აწიოკებული მოსახლეობა გადაიხვეწა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, განსაკუთრებით კი დასავლეთ საქართველოში ან ქართლში და იქვე დარჩა.

ჯავახეთის ისტორია მჭიდროდაა დაკავშირებული ძველი იბერიის წარსულთან. სამცხე-ჯავახეთი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში. სპარსელების, ბიზანტიელებისა და არაბთა შემოსევებიდან ყველაზე მძიმე იყო არაბების შემოსევა, რომელიც მოხდა 737 წელს მურვან ყრუს მეთაურობით<sup>1</sup>. ამ დროს გადაიხვეწა მოსახლეობის დიდი ნაწილი დასავლეთ საქართველოში. წმავრამ, მიუხედავად ამისა, აოხრებული მიწა-წყალი კვლავ სახლდებოდა. აქეთკენ მოდიოდნენ ქართლიდან და დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებიდან. ქართლიდან გახიზნულმა ერისთავმა, აშოტ დიდმა კურაპალატმა სამზადისიცი დაიწყო არაბების წინააღმდეგ საბრძოლველად, მაგრამ იგი 826 წ. შინაგამცემლებმა ვერაგულად მოკლეს. არაბების წინააღმდეგ ბრძოლა არ შენელებულა. აშოტის მემკვიდრეებიდან ყველაზე ძლიერი აღმოჩნდა გუარამ

<sup>1</sup> ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, ტ. II, თბილისი, 1943, გვ. 342—350.



მამფალი, რომელიც 'შემოდის' მტკვრის ხეობაში და იპყრობს ჯავახეთს, თრიალეთს, ტაშირს, აბოცს, არტანს და ქმნის მსხვილ ფეოდალურ სამთავროს ჯავახეთად წოდებულს<sup>1</sup>.

ამ დროის სამხრეთ საქართველოს შესახებ ივ. ჯავახიშვილი წერს: „VIII—IX ს. სამცხე, შავშეთ-კლარჯეთ-ტაო და მესხეთის უმეტესი ნაწილი თითქმის სრულებით უკაცრიელი იყო და „უშენებელ გარეშე მცირეთა სოფელთასა“ მრავალი მონასტერი და ეკლესია აშენდა. უდაბურს, უტყვეს ქვეყანაში აღამიანთა ცხოველი სიტყვა გაისმა, დაბაქალაქებით მოიფინა; მიუდგომელ ადგილებზე მონაზონთა და ახალშენთა მედგარი შრომის წყალობით ნახნავეები გაკეთდა და მშვენიერი მტილ-ვენახები გაშენდა“<sup>2</sup>.

პოლიტიკურად დამოუკიდებელ მხარეში ქვეყნის ეკონომიურ აღორძინებას მხარდამხარ მისდევს კულტურული აყვავება. გაჩაღდა ლიტერატურული მუშაობა. „აქ ჩამოყალიბდა ტაო-კლარჯეთის საგანგებო სალიტერატურო სკოლა, ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენებული, რომელმაც შეიმუშავა თავისი საკუთარი გრამატიკა, ენა, ხელი და მიმართულება. ქართველთა შემოქმედებითი ენერგია იმდენად გაიზარდა, რომ გავიდა მცირე აზიის სხვადასხვა პუნქტში“<sup>3</sup>.

აღნიშნული მდგომარეობა იმას გვაუწყებს, რომ იმდროინდელი სალიტერატურო ქართული ენის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი შეუსრულებია ამ მხარის მეტყველებასაც.

შემდგომ პერიოდში ჯავახეთი სამცხესთან ერთად იყო არა მარტო კულტურის ერთ-ერთი ცენტრი, არამედ საქართველოს პოლიტიკური ძლიერების დასაყრდენიც. ეს ვითარება გრძელდებოდა მე-16 საუკუნის ბოლო წლებამდე.

მე-16 საუკუნის ბოლოსა და მე-17 საუკუნის დასაწყისში სამხრეთ საქართველო ოსმალებმა დაიპყრეს და იქ ოსმალეთის ადმინისტრაციული ერთეული — ახალციხის საფაშო შექმნეს. დაიწყო ქართველების გამაჰმადიანება. ამიერიდან მოსახლეობა მასობრივად ტოვებს თავის სამოსახლო ადგილებს და მიემართება საქართველოს სხვადა-

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. II, გვ. 578.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 115.

<sup>3</sup> კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. 1, თბილისი, 1951, გვ. 84.

სხვა მხარეში. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრიდან“ ჩანს, რომ ამ უკანასკნელის შედგენისას, ე. ი. 1595 წლისათვის, დამპყრობთა მოძალებამ ფართო ხასიათი მიიღო და სამცხე-საათაბაგოს ასობით სოფელი მოსახლეობისაგან დაცარიელდა. ჯერ კიდევ მაშინ 297 სოფელი უმოსახლოდ ქცეულა<sup>1</sup>.

თურქები დევნიდნენ რელიგიას და ყოველივეს, რაც იცავდა ეროვნულ სულს ზემო ქართლის ქართველებში<sup>2</sup>. ამიტომ ქართული ენა, ამ მხარეში გავრცელებული ისლამის წყალობით, მნიშვნელოვნად შესუსტდა. სულგრძელობა და სამშობლოსადმი სიყვარულის დიდი გრძნობა გამოიჩინა ჯავახეთისა და სამცხის სოფლების იმ მშრომელმა ხალხმა, რომელმაც, მიუხედავად ზნეობრივი დამცირებისა და ეკონომიური გაჭირვებისა, ბოლომდე შემოინახა მშობლიური დედენა<sup>3</sup>.

თურქების ბატონობა სამხრეთ საქართველოს ამ ნაწილში გრძელდებოდა საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე. მეფის რუსეთმა გადამწყვეტი ბრძოლა გამოუცხადა თავის პოლიტიკურ მოქიშპეს ამიერკავკასიაში. 1828 წელს რუსეთის არმიამ, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ ქართველი ოფიცრები, ქართული რაზმები და მოსახლეობა, დაამარცხა თურქეთის ჯარი და 1829 წელს სამცხე-ჯავახეთი საქართველოს დაუბრუნდა. ამ მხარის მამამდიანმა ქართველებმა (დაახლოებით ასი ათასმა კაცმა) მიატოვეს სამშობლო მხარე და გაიხიზნენ ოსმალეთში<sup>4</sup>. გამაჰმადიანებულ ჯავახთა სამშობლოდან გასახლებაში ბრალი მიუძღვის მეფის რუსეთის მუხანათურ პოლიტიკას. გენერალ პასკევიჩმა ამ ცარიელ სოფლებში, ქართველთა მზა სახლ-

---

<sup>1</sup> გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, ს. ქ ი ქ ი ა ს გამოკვლევითა და კომენტარებით, წიგნი II, 1941, გვ. 12—24.

<sup>2</sup> საქართველოს ისტორია, 1 (ნ. ბერძენიშვილი...), თბილისი, 1958, გვ. 286—288, 415—417.

<sup>3</sup> შ. ლომსაძე, სამცხე-ჯავახეთი, თბილისი, 1975, გვ. 250—353.

<sup>4</sup> ალ. ფრონელი, დიდებული მესხეთი, ქ. გორი, 1916, გვ. 28—30; შ. ლომსაძე, ახალციხის მხარის ისტორიიდან (XIX ს. პირველი მესამედი), საქართველოს სოციალ-ეკონომიური განვითარების ისტორიიდან (XIX ს.), მეცნიერება, 1973 გვ. 78—94.

კარზე, გადმოიყვანა და დაასახლა არზრუმიდან გადმოხვეწილი 90 000 სომეხი<sup>1</sup>. მათ მეფის მთავრობამ სათანადო დახმარებაც აღმოუჩინა<sup>2</sup>.

ასეთია მოკლედ ამ მრავალტანჯული მხარის ისტორიული თავგადასავალი. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მზრუნველობის შედეგად ნორმალური მსვლელობა მიეცა ჭავჭავთისა და მესხეთის მშრომელთა ცხოვრებას, საგრძნობლად შეიცვალა ხალხის მატერიალურ-კულტურული დონე და მშობლიური ენის განვითარებაც ბუნებრივ კალაპოტში ჩადგა.

## § 2. ჭავჭავთის გავრცელებული არა

ჭავჭავთი გაცილებით ვრცელ ტერიტორიას მოიცავდა, ვიდრე დღეს არის. ჭავჭავთი მდებარეობს საქართველოს სამხრეთ საზღვარზე. მისი ისტორიულ-გეოგრაფიული საზღვრებია: აღმოსავლეთით — ქართლი, დასავლეთით — მტკვარი, „ნიჯგორის-ხერთვისის — ზევეით“ და წყაროსთავამდე გასული პატარა გორები. ჩრდილოეთით კი — კოდინის მთა გასწვრივ მტკვრამდე — ნიჯგორის თავამდე<sup>3</sup>, სამხრეთით — ნილის ყურის მთა, რომელიც გადაჭიმულია ზევეთიდან ყარსის მთამდე. ჭავჭავთის ისტორიულად ეკუთვნოდა ერუშეთი, არტაანი, კოლა და სოფ. წყაროსთავი. აქედან იწყებოდა ზემო ქართლის სამხრეთ-ალ-

<sup>1</sup> ამ ისტორიულ დასაბუთებას მხარს უმაგრებს ერთი პატარა გადმოცემაც, რომელიც *ე. ძ ი ძ ი გ უ რ ს* ჩაუწერია მესხეთში: „გენერალი ყოფილა და იმ გენერალმა უთხრა ხალხსაო: — ჩქარა მოშორდით აქედანაო! თუ ჯარი მოვიდა უკნიდანაო, კაი დღე თქვენ დაგადგებათო. ერთს არ გაგიშვანს ცოცხალსაო! — ისინებმა (-იმათ) რო ე შიში გაიგნეს (-გაიგეს), გაცეინდეს ორმოებში და მალაროებში, დაიშალესო, რო გაიგნეს, გამოიარა ჯარმა, ვიდრე ისნები (-ისინი) გაიგნენ (-გაიგებდნენ) ი ჯარის ამბავს, ვიდრე ი გენერალმა სომხები გადმორეკა აზრუმიდანო. აქაურ სომხებს აზრუმის წესწყობილობა აქ (აქვთ). ნამდვილია ეს, სუ აზრუმიდან არიან გამოსული, ჩვენ რო გადმოველითო ტყიდანო, სომხებს დაკავებული ჰქონდათ მამულები და შევრჩით ამ გლახა მიწაწყალსაო“ (იხ. ქართ. დილექტოლოგიური მასალები, 1974, გვ. 104).

<sup>2</sup> *Акты собранные Кавказской Археологической комиссией, Тифлис, 1881, т. VIII, № 29, стр. 249.*

*И в а н е н к о, В. Н. История гражданского управления на кавказ, Тифлис, 1901, стр. 265—266.*

<sup>3</sup> უფრო დარწმუნებით იხ. *ვ ა ხ უ შ ტ ი ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი*, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბილისი, 1941, გვ. 131; *ი. ჭ ა ვ ა ხ ი შ ე ი ლ ი*, ქართველი ერის ისტორია, 11, გვ. 53—55.

მოსავლეთის საზღვარი. ჯავახეთი მოიცავდა თანამედროვე ადმინისტრაციული დანაწილებით მთლიანად ახალქალაქისა და ბოგდანოვკის რაიონებს და ასპინძის რაიონის ნაწილს<sup>1</sup>.

დღეს ჩვენთვის, მეტყველების გავრცელებულობის მიხედვით, საინტერესოა ის ქართული სოფლები, რომლებიც იმყოფება ჯავახეთის ტერიტორიაზე. 390 სოფლიდან 80 დასახლებულია, ხოლო 310 ნასოფლარად ქცეულა. ამ 80 სოფელშიც 17 სოფელი ქართველებითაა დასახლებული, დანარჩენი — სომხებით. მხოლოდ ქართველები ცხოვრობენ კოთელიაში, ხიზაბავრაში, საროში, ქილდაში (ახლა ოკამში გადასახლდნენ), ჩუნჩხაში, გოგაშენში, პრტენაში, ვარგავეში, თოკში, აფნიასა და ბალანთაში. ქიხარულაში (ჩხარულა?) 6 კომლი ქართველია, დანარჩენი 40 კი—სომეხი. ხოსპიოში სახლობენ ქართველები, რომლებიც 1918 წელს არტაანიდან გადმოსულან რეხას და რეხიდან კი 1921 წელს დასახლებულან ხოსპიოს. ნახევრად ქართული მოსახლეობაა: ბარალეთში, ვარე-ვანში, მურჯახეთსა და გოკიოში. ორი სოფელი: თმოგვი (ძველად აგარა), ნაქალაქევი (ძველად ზედა-თმოგვი), რომლებიც ტერიტორიულად ახლა ჯავახეთშია, სამცხის მოსახლეობითაა დასახლებული; ისინი თათრების გასახლების შემდეგ ჩამოსახლეს სამცხედან. ადმინისტრაციული დაყოფითაც ეს სოფლები (თმოგვი, ნაქალაქევი) ასპინძის რაიონში შედის, მაგრამ ეს დაყოფა ყოველთვის გადამწყვეტი არაა მეტყველების სიახლოვისათვის. სოფელთა მეტყველების შერევაში მთავარია ნათესაური ურთიერთობა — დამოყვრება, სტუმრობა და ვაჭრობა.

სარო, ხიზაბავრა, ვარგავეი და თოკი ადმინისტრაციულად ეკუთვნის ასპინძის რაიონს, მაგრამ ჯავახეთის ტერიტორიულ ერთეულებს შეადგენს. თვით ხერთვისიც, რომელიც ჯავახეთის დასაყრდენი იყო მტრის შემოსევისას, დარაიონების მიხედვით ასპინძის ეკუთვნის. ახლა ხერთვისში ცხოვრობენ თათრების გასახლების შემდეგ ჩამოსახლებული მთიულები. მოხუცთა გადმოცემით მთიუ-

---

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ჯავახეთის ტერიტორიას ძველ ქართულ წყაროებზე დაყრდნობით ავრცობს შემდეგი გეოგრაფიული პუნქტებით: ფოკანი, მახაროვანი, განძანი, ღრტილა, ხერთვისი, წუნდა, თმოგვი, ვარძია, ხავეთი, წყაროსთავი, ერუშეთი, წურწყაბი, ყუბელი, ტონთიო და დღევი. იხ. იმავე შრომის გვ. გვ. 53—55.

ლები სამცხე-ჯავახეთიდან გახიზნულან თურქების შემოსევის დროს (მე-12-16-17 საუკუნეებში). ერთმა მოხუცებულმა მთიულმა ასე მითხრა: შეილო, ჩვენი აქ მოსვლა ადგილმა მოითხოვა, რადგან ჩვენი წინაპრები აქედან ყოფილან გამოქცეულიო.

ორი სოფელი — ბ ა ლ ა ნ თ ა და კ ი ხ ა რ უ ლ ა ბორჯომის რაიონში შედის, ხოლო დანარჩენი 11 სოფელი (17 ქართული სოფლიდან) ყველა ახალქალაქის რაიონს განეკუთვნება.

მე-16 საუკუნეში (1595 წ.) ჯავახეთში შემდეგი რაიონები შედიოდა: ხერთვისის, ტყიანი ჯავახეთის, ბუზმარეთის, აკშეპირის, თმოგვის, ნიალის ყურის, ჯანბაზის, ქანარბელისა და მგლის ციხისა — სულ ცხრა. ამ ცხრა რაიონში დაახლოებით 450 სოფელი ყოფილა<sup>1</sup>. ამ სოფლებში მაშინ ყველგან ქართველები სახლობდნენ, დღეს კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მხოლოდ 17 სოფელია, რომლებშიც შემორჩა ქართველი მოსახლეობა. 50 სოფელი და ახალქალაქი სომხებითაა დასახლებული, დანარჩენები კი ნასოფლარებად უქცევიათ თურქებს.

საკიროა აღინიშნოს შემდეგი გარემოებაც. მოკლე ისტორიული მიმოხილვის დროს ჩვენ აღვნიშნეთ, რომ მტრების მომძლავრებისაგან აწიოკებული მოსახლეობა გადაიხვეწებოდა ხოლმე საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და ხშირად იქვე რჩებოდა სამუდამოდ. დასავლეთ საქართველოში (სამტრედიის რაიონში) გვაქვს გეოგრაფიული სახელი „საჯავახო“. ჯავახები, კერძოდ ხიზაბაერელები, გადმოსულან ახალ ხიზაში (გორის რაიონი). სოფლის ეს სახელწოდება იქაურია. ჯავახეთში, ხიზაბაერის ახლოს, არის ნასოფლარი ხიზა. გორის რაიონის ახალხიზელები იქიდან გადასახლებულან. ხიზაბაერელები არიან სკრაში (ქარელის რაიონი).

ჯავახეთის მოსახლეობის ყველაზე დიდი ნაწილი გადმოსახლებულია ქვემო ქართლში. მოსახლეობის ასეთი ემიგრაცია უნდა მომხდარიყო უფრო XVI—XVIII საუკუნეებში (თურქების შემოსევების დაწყების შემდეგ). ქვემოქართლურში საკმაოდ იგოძნობა სამცხურ-ჯავახური მეტყველების გავლენა<sup>2</sup>.

ღმანისის რაიონის 8 „წმინდა“ ქართული სოფლის (განთიადი,

<sup>1</sup> გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი II, 1941, გვ. 12—24.

<sup>2</sup> ქვემო ქართლში გადასახლებული ჯავახი მოსახლეობის შესახებ ცნობები ამოღებულია: ვ. თოფურია, ზმნის ზოგიერთი თავისებურებანი გომარულში, „ჩვენი მეცნიერება“, №2, 1924, გვ. 89—90, შენიშვნა 3.

ჯავახი, პატარა დმანისი, დიდი გომარეთი, პატარა გომარეთი, ახა, მამულა და ქართული კაკლიანი) მცხოვრებთა უმეტესი ნაწილი მოსულა ჯავახეთიდან<sup>1</sup>.

ქვემო ქართლის მოსახლეობის ეთნიკური წარმომავლობის შესახებ საინტერესო ცნობები ჩაწერილია მოხუცებისაგან. სოფ. ვანთიადის (დმანისის რაიონი) მცხოვრები ალექსი მიხეილის ძე ციხელაშვილის გადმოცემით მისი მამის პაპა „გამოქცეულა ჯავახეთის სოფელ გოგაწინიდან“, გვარად მაშინ ხოსიტაშვილები ყოფილან.

სოფ. ჯავახის ადგილობრივი მკვიდრი საბა გიორგის ძე აღუაშვილის ცნობით მამამისის პაპა ჯავახეთიდან მოსულა.

სოფ. დიდი გომარეთის მცხოვრების გალაქტიონ დიმიტრის ძე ექიზაშვილის თქმით, მათი პაპები გადმოსულნი ყოფილან ხიზაბავრიდან, ჯავახეთის მხრიდან.

პატარა გომარეთის მკვიდრი, ასი წლის ზაქარია ივანეს ძე ბერუაშვილი, რომლის პაპა კავთიდან (ქართლიდან) გადმოსულა, გვეუბნება რომ ჯავახეთიდან (თმოგვიდან) მოსულან მაისურაძეები, ბალახაძეები და თუთიაშვილები.

სოფ. მამულას მცხოვრები ზაქარია იოსების ძე აკოფაშვილი გვიყვება, რომ მათი გვარი მოსულა ვარძიიდან, მაშინ ყოფილან ვარძელაშვილები.

სოფ. ბალიჭში (ბოლნისის რაიონი) მცხოვრებ დავით მიხეილის ძე სელიმაშვილს ჩაუწერიანებია, რომ მათი გვარეულობა მოსულა ჯავახეთიდან. ასევე ჯავახეთიდან მოსულან ავქაფიშვილები.

სოფ. ბოსლების მცხოვრებ სოლომონ გრიგოლის ძე იასალაშვილს ჩაუწერიანებია, რომ მათი წინაპარი — მამის პაპა ჩამოსულა ახალქალაქიდან, სოფ. ზედა თმოგვიდან, მათი გვარი ყოფილა ადრე მაისურაძე.

უფრო გვიან ჯავახები დამკვიდრდნენ კახეთში, ლაგოდეხისა (სოფ. ხიზა) და ყვარლის (სოფ. მთისძირი) რაიონებში, ასევე ახალციხისა (სოფ. მინაძე) და ასპინძის (სოფ. თმოგვი) რაიონებში.

განსვენებული აკადემიკოსი ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი თავის ავტობიოგრაფიაში, რომელიც თვითონ ჩააწერინა, შენიშნავს, რომ მათი გვარეულობა მე-12 საუკუნეში გადასულა ქართლში და მე-15

---

<sup>1</sup> გ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ქართლური დიალექტი, „მეცნიერება“, 1974, გვ. 98—105.

საუკუნემდე უტარებიათ ძველი გვარი (გამრეკელ-თორელი), მერე კი იწოდებიან ჯავახიშვილებად<sup>1</sup>.

საკმაოდ დაიძვინებოდა ისეთი გვარები, რომლებიც მიუთითებს ჯავახეთიდან წარმომავლობაზე, მაგალითად, მურჯიკელი<sup>2</sup> (ნასოფლარი მურჯიკანი), გოკიელი (გოკიო // გოკია), კორხელი (სოფ. კორხი), განძელი (სოფ. განძანი), ვარძიელი (ვარძია), ავაზნელი (ნასოფლარი ავაზანი), ხიზამბარელი ← ხიზამბავრელი (ხიზამბავრა) ...

გვაქვს გვარები, რომლებიც შეიცავეს „ჯავახ“ ფუძეს, მაგალითად, ჯავახაძე, ჯავახიძე, ჯაბახიძე (ე-სა და ბ-ს მონაცვლეობით), ჯავახია, ჯავახიშვილი... მართალია, ზოგიერთი მათგანი წარმოქმნილია ადამიანის საკუთარი სახელიდან, როგორც სხვა სატომო სახელწოდებიდან (მესხი, ქართი, კახი, სანი, ზანი, ლაზი), მაგრამ გამორიცხული არაა, რომელიმე ამ გვართა სახეობა მართლაც მომდინარეობდეს ჯავახეთიდან გადმოსული პიროვნებისაგან.

როგორც დავინახეთ, ჯავახურის გავრცელებულობის არე საკუთრივ ჯავახეთის ტერიტორიაზე არც ისე ფართოა, მაგრამ სამაგიეროდ ჯავახთაგან, ისე როგორც სამცხელთაგან, მოსახლეობა არა მარტო თურქეთშია იძულებით გასახლებული, არამედ თვით მშობლიურ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებშიც არის მიმობნეული.

ამასთანავე აღსანიშნავია ისიც, რომ ჯავახეთიდან წასულ მოსახლეობიდან მშობლიური კუთხის მეტყველება მხოლოდ ქვემო ქართლში გადმოსახლებულთ დაუცავთ. ისიც ერთგვარი ნაზავია ქვემოქართლურისა. სხვა შემთხვევაში ჯავახელთა მეტყველება თითქმის უკვალოდ შერწყმულა ადგილობრივ კილოსთან.

### § 3. ჯავახურის შესწავლის საკითხი

ჯავახური დიალექტი ნაკლებადაა შესწავლილი. საენათმეცნიერო ლიტერატურაში არსებობს ა. მარტიროსოვის ქართული ენის ჯავახური დიალექტი, გამოცემული 1984 წ. და მისივე მცირე მოცულობის წერილი „ჯავახურის მესხურთან მიმართების საკითხისათვის“, რომელიც გამოქვეყნდა პუშკინის სახელობის თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომებში, ტ. VIII, 1950 წელს. ავტორი ამ წერილში მოკლედ

1. შ. კ ა შ მ ა ძ ე, ჟურნალი „დროშა“, № 4, 1951 წ.

2. ამ გვარსა და სხვა რამდენიმე გვარზე უფროდლება გამამახვილებინა დოც. ი. მ ა ი ს უ რ ა ძ ე მ, რისთვისაც მადლობას მოვახსენებ,

განიხილავს ჯავახურისათვის დამახასიათებელ ზოგიერთ ფონეტიკურ-მორფოლოგიურ თავისებურებას და ადარებს მათ მესხურსა და ქართლურთან. გამოყოფს აგრეთვე ჯავახურისათვის დამახასიათებელ რამდენიმე სპეციფიკურ მოვლენას. სამაგიეროდ, ჯავახეთი შესწავლილია არქეოლოგიურად<sup>1</sup>, ისტორიულ-ეთნოგრაფიულად<sup>2</sup> და აგრეთვე სხვადასხვა დროს ჩაწერილია ფოლკლორისტული მასალები, რომელთა თავმოყრა, გამოცემა და მეცნიერული ანალიზი ყოველი ქართველი ფოლკლორისტისათვის საპატიო და მამულიშვილური საქმე იქნებოდა<sup>3</sup>.

ჯავახური მეტყველების პირველი დიალექტოლოგიური კვლევა დაიწყო ცნობილმა ენათმეცნიერმა ვ. თოფურიაშვილმა. 1923—24 წლებში მას ქვემო ქართლის სოფლების მეტყველებასთან ერთად შეუსწავლია ჯავახური მეტყველებაც. ქვემო ქართლურზე განსვენებულმა მეცნიერმა 1924 წელსვე გამოაქვეყნა შრომა „ზმნის ზოგიერთი თავისებურებანი გომარულში“ („ჩვენი მეცნიერება“, №2), რომელშიც მოყვანილია ჯავახური მეტყველების ზოგიერთი თავისებურებანიც, მაგრამ სპეციალური გამოკვლევა ჯავახურის შესახებ არ გამოქვეყნებია.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრა და ენათმეცნიერების ინსტიტუტი აწუბდა საენათმეცნიერო. ექსპედიციებს ჯავახეთის სოფელთა მეტყველებისა და ზეპირსიტყვიერების ნიმუშების შესაკრებად.

ამ სტრიქონების ავტორმა მშობლიური კილოს მეცნიერული შესწავლა დაიწყო 1947 წლიდან. 1950 წლის აპრილში ქუთაისში მოეწყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიისა და ქუთაისის

<sup>1</sup> И. П. Ростовов, Ахалкалакский уезд в археологическом отношении: СМОМПК, XXV, Тифлис, 1898 г., Е. Такайшвили, Христианские памятники (Ахалцих. и Ахалкалак. уезда и Ардаганского округа) Мат. по Археологии Кавказа, вып., XII, Москва, 1909 г.

<sup>2</sup> ს. შაკალაძე, მესხეთ-ჯავახეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, კრებული მოამზადა აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებამ, თბილისი, 1972. ვ. კობტონაძე, შვილი, ახალი წლის დღესასწაული ჯავახეთში, გაზ. „ივერია“, 1888 წ. № 256.

<sup>3</sup> კ. გვარამაძე (მესხი), ხიზაბავრაში ჩაწერილი ხალხური ლექსები, „კრებული“, 1893 წ. № 7; გაზ. „საქართველო“, 1908 წ. № 2, 3, 11; სახალხო ლექსები (ჯავახეთში ჩაწერილი), გაზ. „ივერია“, 1887 წ. № 20, 203, 204, 211, 212, 215, 216, „ივერია“, 1891 წ. № 201, 202.



სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტების სტუდენტთა გაერთიანებული სესია. ამ სესიაზე ჩვენ მიერ წაკითხული იქნა პირველი მოხსენება ჯავახურ კილოზე. ხელმძღვანელი იყო ვ. თოფურიძე. მოხსენების თეზისები ტექნიკური მიზნების გამო არ დაიბეჭდა, მაგრამ გამოქვეყნდა გეგმა-პროსპექტი<sup>1</sup>.

1951 წლის ჯავახეთის მკვიდრმა, სტუდენტმა ო. ლომსაძემ პირადად შეკრებილი დიალექტოლოგიური მასალების საფუძველზე დაწერა მოხსენება „ჯავახური მეტყველების თავისებურებანი“, მოხსენების თეზისები დაიბეჭდა (იხ. თსუ სტუდენტთა XIII სამეცნ. კონფერენცია, თეზისები, თბილისი, 1951, გვ. 36—37).

1953 წელს ნ. ბარათაშვილის სახელობის გორის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის სტუდენტმა ა. ველიჯანაშვილმა შეისწავლა სოფ. ხიზაბავრის მეტყველების ლექსიკა. ამ მოხსენების თეზისები დაიბეჭდა (იხ. საქ. სსრ პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტთა V რესპუბლიკური სამეცნ. კონფერენციის თეზისები, გორი, 1953, გვ. 51—52).

1954 წლის ზაფხულში გორის პედინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის სტუდენტთა საენათმეცნიერო ექსპედიციამ, რომელსაც ხელმძღვანელობდა თ. უთურგაიძე, შეაგროვა სამცხე-ჯავახეთში დიალექტოლოგიური მასალები. ორი წლის შემდეგ გამოქვეყნდა ამ მასალების საფუძველზე დაწერილი ორი მოხსენების თეზისები: თ. უთურგაიძე, მესხურ-ჯავახურის ფონეტიკურ-გრამატიკული მიმოხილვა (გორის სახელმწიფო პედინსტიტუტის X სამეცნ. სესია, თეზისები, გორი, 1956, გვ. 35—36) და ვ. ივანასარიძე, მორფოლოგიური მოვლენები მესხურ-ჯავახურ დიალექტებში (გორის სახელმწიფო პედინსტიტუტის სტუდენტთა IX სამეცნ. კონფერენცია, თეზისები, გორი, 1956, გვ. 41—42).

მესხეთ-ჯავახეთის ტოპონიმიაში ზანიზმების შესახებ წერილი გამოაქვეყნა ნ. ნორაკიძემ, რომელიც დაიბეჭდა 1971 წელს ჟურნალ „მნათობში“, № 4.

ჩვენი გამოკვლევა — „ქართული ენის ჯავახური კილო“ ხანგრძლივი მუშაობის ნაყოფია. იგი მზად იყო 1959 წელს, მაგრამ სხვადასხვა

<sup>1</sup> სტალინის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიისა და ა. წულუკიძის სახ. ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტის ენისა და ლიტ. ფაკულტეტის სტუდენტთა გაერთიანებული სამეცნ. სესია. ქუთაისის პედინსტიტუტის გამომცემლობა, ქუთაისი, 1950, გვ. 4.

მიზეზის გამო ვერ გამოქვეყნდა. ნაშრომის ფონეტიკური ნაწილი დაიბეჭდა 1970 წელს („მაცნე“, № 6 (57), თბილისი, 1970, გვ. 231—248), მეორე თავი — მორფოლოგიური თავისებურებანი — შემოკლებით დაისტამბა 1972 წელს (იხ. „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, № 4, 1972, გვ. 141—154). ამავე წელს გამოქვეყნდა კიდევ ჩვენი ორი სტატია: ჭავახეთის გეოგრაფიულ სახელთა წარმოება (იხ. „მნათობი“, № 11, 1972, გვ. 187—192) და გვარის განაყოფთა სახელების წარმოება ჭავახურში (იხ. „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, № 4, 1972, გვ. 65—72).

ჭავახურ ლექსიკაზე ხანგრძლივი მუშაობის შედეგად ს. შ ე ლ ი ძ ე მ დაწერა საკვალიფიკაციო შრომა „ჭავახურის დარგობრივი ლექსიკა“. ამ ნაშრომის სამი თავი გამოქვეყნდა (იხ. ს. შ ე ლ ი ძ ე მ, ჭავახური დიალექტის ლექსიკიდან, „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, № 3, 1973 წ. მისივე, მასალები ჭავახური დიალექტის ლექსიკონისათვის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა შრომები, 3—4 (ჰუმანიტარულ და საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია), თბილისი, 1974, გვ. 114—126; მისივე, მცენარეთა სახელწოდებები ჭავახურ დიალექტში, იქვე, გვ. 160—163).

ჭავახეთის ტოპონიმიაზე მუშაობს მ. ბ ე რ ი ძ ე, რომელმაც ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა ზემოთ აღნიშნულ შრომებში გამოაქვეყნა წერილი: „სამცხე-ჭავახეთის ტოპონომიკური ლექსიკიდან“, გვ. 117—131.

ჭავახურის დიალექტოლოგიური ლექსები სხვადასხვა დროს ჩაუწერიათ, მაგრამ დაბეჭდილია მხოლოდ მცირედი: ერთი ნიმუში ჭავახური მეტყველებისა დასტამბა შ. ძ ი ძ ი გ უ რ მ ა (იხ. ქართული დიალექტების ქრესტომათია ლექსიკონითურთ, თბილისი, 1956, გვ. 239—242).

განსვენებულმა პროფესორმა ვ. თ ო ფ უ რ ი ა მ გამოაქვეყნა ჭავახური მეტყველების ნიმუშები, რომელთაც ახლავს ლექსიკონი (იხ. ი. გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი, ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ი. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბილისი, 1961, გვ. 333—356). გამოქვეყნებული ტექსტები ჩაუწერიათ: ვ. თოფურას (1923 წ.), ა. მარტიროსოვს, გ. ბერიძეს (1947—1950 წწ.), ო. ლომსაძეს (1950 წ.), ე. ლომსაძეს (1950 წ.), შ. მალრაძეს (1950 წ.).

აქ დაბეჭდილი ტექსტების უმრავლესობა ჩვენი ჩაწერილია. ვისარ-

გებლეთ აგრეთვე ო. ლომსაძის მიერ ჩაწერილი ტექსტებიც, რომელთა ნაწილს ვაქვეყნებთ. ასევე გამოვიყენეთ გორის პედინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის 1954 წლის საენათმეცნიერო ექსპედიციის მონაწილე სტუდენტთა ა. ველიჯანაშვილის, ე. ინასარიძის, გ. ბეჭოშვილის მიერ ჩაწერილი დიალექტოლოგიური მასალებიც. ამ მასალების მცირე ნაწილი თან ერთვის ჩვენ მიერ შეკრებილ მასალებს.

ზემოთ ჩამოთვლილ პირებს, რომელთა მიერ ჩაწერილი მასალებითაც ვისარგებლეთ, მადლობას მოვახსენებ.

ფ რ ნ ე ტ ი კ ა

1. ბგერითი შედგენილობა. სალიტერატურო ქართულისაგან განსხვავებით ჯავახურში იხმარება უმარცვლო ნახევარხმოვნები: **ა** და **ჟ**, თანხმოვანთა გამყარი **ჯ**. გარდამავალი ბგერა **ჭ/ს**, თურქული ენის ზეგავლენით გაჩენილი უმლაუტიანი ხმოვნები (**ა**, **ო**, **ჟ**), ამასთანავე გვხვდება შემთხვევები ხმოვანთა პოზიციური ფშვინვიერი შემართვისა (**ჰა**, **ჰე**, **ბი**, **ჰო**, **ჰუ**). რადგან შემართვა პოზიციურია, ხოლო იგი მოუღიბო მხოლოდ სიტყვის თავკიდურში მყოფ ხმოვნებს, ისიც გარკვეულ შემთხვევებში და არა ყოველთვის, ამდენად ამ ხმოვანთა ცალკე გამოყოფა უმართებულო იქნებოდა.

1. **ა** შემადგენელი ნაწილია აღმავალი და დაღმავალი დიფთონგებისა:

ა) **ა** აღმავალი დიფთონგის პირველ ნაწილს წარმოადგენს სახელებში: **მასონ** (← **იასონ**), **მასეი** (← **ალბათ იასე?**), **მოსმაი** (**მოსმა**), **მორდანაი** (← **იორდანე**), **მოსებაი** (← **იოსები**), **მერთი** (← **ერთი**), **მპ-გპზ-მა** (- **ზაფხულმოვლილი დეკეული**), **მავაში** (თურქ. „**ნელი**“), **მალალ-მა** (თურქ. „**ერბოვამული**“), **მათალი** (თურქ. „**პირუტყვის ღამის სათევი ადგილი**“), **ტადაი** (თურქ. „**ბიძა**“), **მბანი** (თურქ. „**გარეული**“), **მელაგი** (-**პერანგის ზემო ჩასაცმელი**), **მერლი** (თურქ. „**ადგილობრივი, მკვიდრი**“), **მოლიანი**, **მონჯა** **ჰეჰმათი** (თურქ. „**ზლაპარი**“), **მალაბალამ** (თურქ. „**წავიდა**“), **მაილა** (თურქ. „**საზაფხულო საძოვარი**“). აგრეთვე გვხვდება **ზმნაში მ ო შ ა ე ე ნ**. **ა**, როგორც აღმავალი დიფთონგის პირველი ნაწილი, უპირატესად გვხვდება ქართველური ენებიდან ჭანურში<sup>1</sup>, დიალექტებიდან — აჭარულში<sup>2</sup>, ინგილო-

<sup>1</sup> არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ე ა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, თბილისი, 1936, გვ. 13.

<sup>2</sup> ჯ. ნ ო ლ ა ი დ ე ლ ი, აჭარა დიალექტოლოგიურად, თბილისი, 1936, გვ. 37—38.

ურში<sup>1</sup>, ფერეიდნულსა<sup>2</sup> და მესხურში<sup>3</sup>. სხვა კილოებშიცაა, მაგრამ უფრო ნაკლებად.

ა, როგორც აღმავალი დიფთონგის პირველი შემადგენელი ნაწილი, მოსალოდნელი იყო ფორმებში: აეს (-ა ეს), აეგ (-ა ეგ), აემ (-ა ამ), აექ(-ა აქ), მაგრამ აქ ი უფრო მარცვლიანია, ვიდრე უმარცვლო. სწორია იესე, იეგ, იემ, იექ და იესლა ფორმები<sup>4</sup>. ა-ს ასეთი მერყეობა გამომდინარეობს მისი ბუნებიდან, რადგან „ქართულ კილოებში შემონახული ა არც ისე შორსაა სრულ ხმოვან ი-ზე“<sup>5</sup>.

ბ) ა ჯავახურში დამავალი დიფთონგის მეორე შემადგენელ ნაწილად უფრო იშვიათად გვხვდება, ასეთი სულ რამდენიმე მაგალითია: „რ ა-გ ო ა (-როგორ) კარქა ძოვდნენ ი ცხვრები“, „რ ა ნ ა ა (-რანაირად) დასუქებულან შენი ძროხები? „რ ო ა ც ა (-როდისცა) გრილა, მაშინ“<sup>6</sup>ნა გააკეთო საქმე“ და სხვა-ჯავახურ ზმნაში ა არ იხმარება. იგი არაა არც აღმავალი და არც დამავალი დიფთონგის ნაწილი, მესხურში კი დადასტურებულია როგორც აღმავალი, ისე დამავალი დიფთონგის შემადგენელი ნაწილი<sup>6</sup>. გამორიცხული არაა მესხურშიც მოიქებნოს აღნიშნული მოვლენის მსგავსი მაგალითები, მაგრამ რამდენიმე შემთხვევა ხელს არ გვიშლის ეს პროცესი ჩავთვალოთ ჯავახურის მესხურისაგან განმასხვავებელ ერთ-ერთ ნიშნად.

ა-ის ხმარება ზმნაში ქართულ კილოთა უმრავლესობას ახასიათებს, ზმნებში ა-ის ჩამოყალიბების პროცესი ქართლურის მიხედვით დაწერილებით გაშუქებული აქვს ვ. თოფურისა<sup>7</sup>.

გ) ა-ის ირგვლივ საუბარი ამით დასრულდებოდა, რომ ერთი განსაკუთრებული შემთხვევა არ ყოფილიყო. რიგ ზმნებში: ლევს, ძლებს,

<sup>1</sup> რ. დამბაშიძე, ინგილოური კილო, ტექსტები, უნივ. შრომები, XXX, 1947, გვ. 249—294.

<sup>2</sup> არნ. ჩიქობავა, ფერეიდნულს მთავარი თავისებურებანი, ტფ. უნივ. მოამბე, VII, 1937, გვ. 221—224.

<sup>3</sup> შ. ძიძიგური, მესხური დიალექტის აღწერითი ანალიზი, ვნიშქის მოამბე, X, 1941, გვ. 239.

<sup>4</sup> ამ ფორმების მიღებას განვიხილავთ, როცა შევეხებით ერთდროული ასიმილაცია-დისიმილაციის პროცესს.

<sup>5</sup> არნ. ჩიქობავა, კანურის გრამატიკული ანალიზი, თბილისი, 1936, გვ. 14.

<sup>6</sup> შ. ძიძიგური, მესხური დიალექტის აღწერითი ანალიზი, გვ. 239.

<sup>7</sup> ვ. თოფური, ქართლური, „არილი“, თბილისი, 1925, გვ. 129—130.

სცემს, სდევს... ე დიფთონგის შემადგენელ ნაწილად აღიქმება, მის წინ გარკვეული უმარცვლო ჯ ისმის.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღწიშნულია, რომ ქართული ე წინ წამოწეული და ოდნავ დახურული ხმოვანია. ამიტომ არის, რომ იგი ხშირად დიალექტებში დიფთონგიოდ აღიქმება (შდრ. გურ. აქარ.: აერი კაცი)<sup>1</sup>.

აღნიშნული მოვლენა ჯავახურში გვაქვს — ევ, -ემ და -ებ თემის ნიშნის ზმწებში.

ლ ე ე ვ ს (-ლევს „სმის“ მნიშვ.), ს წ ე ე ვ ს (-სწევს), სძლემ (-სძლებ), ქ ც ე ე მ (-გცემ), ს დ ე ე ვ ს (-სდევს) და სხვა. ეს მოვლენა შეიძლება ახსნილიყო ასეც: ხმოვანთა სიგრძის გამო გვევარაუდებინა ორი ე და შემდეგ დისიმილაცია: სწწე → სწევე → ს წ ე ე ვ; გცემ → ქცემ → ქ ც ე ე მ... ეს ახსნა თუ სწორია, მაშინ ანალოგიის შედეგი არ უნდა იყოს თანხმოვანუქიან სახელებთან მრავლობითობის -იებ დაბოლოება (გლეებ — გლიებ...), ამ შემთხვევაში მახვილსაც ექნება გავლენა. ამით კვალს მიჰყვება ეს ორი მაგალითიც: შ უ ა - დ ლ ე ე მ დ ი , შ უ ა ლ ა მ ე ე მ დ ი (← შუადღემდი, შუაღამემდი), ხოლო ს ა ლ ა მ ე ე მ დ ი ანალოგიაა უკანასკნელი ფორმისა.

2. მ ე ო რ ე ნ ა ხ ე ვ ა რ ხ მ ო ვ ა ნ ი ა ტ. ეს ბგერა ძველ ქართულში იხმარებოდა სხვადასხვა შემთხვევაში სიტყვის ძირებში თანხმოვნების შემდეგ<sup>2</sup>. არ იხმარებოდა მხოლოდ ბაგისმიერ ბ, ფ, პ, მ-სა და ნარნარა რ, ლ, ნ ბგერების შემდეგ. გამონაკლისია რ ა ე. ორ სიტყვაში იხმარებოდა რტა, რტალი<sup>3</sup>.

ჯავახურში უმარცვლო უნი იხმარება შემდეგ მაგალითებში: (მ) თტ-არე, თტე, თტალები, ლოცტა, (მ) კტდარი, საკტეთი, (მ) ტკტარი, თქტენთის, ჩტენ, ცხტარი, სხტა, კტარშა, ალჯტა, მასკტლავი (-ვარსკვლავი), რტა, ქტა...

ძველ ქართულში იხმარებოდა ლოცვაა, ჩვენ, ჯავახურში კი ამ სიტყვებს ვ-ს მაგიერ უ აქვს: ლოცტაი, ჩტენ.

უმარცვლო უნი იხმარება მთის კილოებში<sup>4</sup>, უფრო ხშირია მისი

<sup>1</sup> ს. ე დ ე ნ ტ ი, ქართული ენის ფონეტიკა, ჰობილისი, 1956, გვ. 40.

<sup>2</sup> ი. ვ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. 1, ნაწ. II, თბილისი 1971, გვ. 6—8.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 8.

<sup>4</sup> ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული კილოები მთაში, „კრებული“, ი. ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს რედაქციით, პეტროგრადის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრის გამოცემა, თბილისი, 1915, გვ. 192.

ხმარება ფერეიდნულსა<sup>1</sup> და ინგილოურში<sup>2</sup>. ამ ბგერის ხმარების გარკვეული წესი არც ძველ ქართულსა და არც კილოებში ჯერჯერობით დადგენილი არაა. უფრო სწორად, კილოებში უმარცვლო უნის ჰმარება აღრეულია. ეს გარემოება შემთხვევითი არ უნდა იყოს, რადგან ვინ ბგერა ხმოვნის ჩანასახს მუდამ ატარებს, რომ ის (ვინ) სავესებით თანხმოვანი არ არის. „რუა, „ქუა“ ფორმებში უნი მახვილის მატარებლად გვევლინება<sup>3</sup>. იქნებ ეს გარემოება იწვევს ვინისა და უნის ხმარების აღრევას. ვინი ცალეული თანხმოვანია. მის შემცველ მეწყვილე ბგერად გვევლინება უმარცვლო უნი. როგორც ზემოთ აღწინშნეთ, ძველ ქართულში ვინის უმარცვლო უნი თუ შეცვლა ხდება ყველა თანხმოვნის შემდეგ, გარდა ბაგისმიერი ბ, პ, ფ, შ თანხმოვნებისა და აგრეთვე ნარნარა რ, ლ, ნ ბგერებისა. ვინი ბაგისმიერ თანხმოვნებთან, როგორც თვითონაც ბაგისმიერი, თავსდება, მკვიდრია, ფონეტიკურ სახესხვაობას არ განიცდის, ასეთივე მდგომარეობაა ნარნარა მჟღერ თანხმოვნებთანაც. რ, ლ, ნ. თანხმოვნები ყველა თანხმოვნებზე მეტად არიან ხმოვანი ბგერის თვისების შემცველი, ამიტომაც ვინის შემცველად მასზე მეტად ხმოვანი უმარცვლო უნი საჭირო აღარაა.

გარდა ფერეიდნულისა და ინგილოურისა, უმარცვლო უნის ფორმები აქარულს მოეპოვება<sup>4</sup>.

თავის წერილში „ჯავახურის მესხურთან მიმართების საკითხისათვის“ ა. მარტიროსოვი „ჯავახურისათვის ნიშანდობლივ ფონეტიკურ მოვლენად უმარცვლო უნის ხმარებას ასახელებს“, მაგრამ უმარცვლო უნის ხმარების მაგალითები ჩვენ ჩავიწერეთ ავარაში, ზედა თმრგვსა და ტოლოშში. ეს სოფლები კი ტერიტორიულად სამცხეს ეკუთვნიან. გამორიცხული არაა ჯავახურის ზეგავლენა, რად-

<sup>1</sup> არნ. ჩიქობავა, ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი, ტფ. უნივ. მოამბე, ტ. VII, გვ. 206.

<sup>2</sup> მ. ჯანაშვილი, სინგილო, „ძველი საქართველო“, ტ. II, გ. თბილისის რედაქციით, 1911—12—13 წ.წ. გრ. იმნაიშვილი, ქართ. ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი, თბილისი, 1966, გვ. 20—26.

<sup>3</sup> არნ. ჩიქობავა, ვინის რეფლექსები ფერეიდნულში, „ჩვენის მეცნიერება“, 1923, №2—3, გვ. 69—87.

<sup>4</sup> შ. ნიჟარაძე, ქართული ენის აქარული დიალექტი, ბათუმი, 1971, გვ. 27—34.

<sup>5</sup> ა. მარტიროსოვი, ჯავახურის მესხურთან მიმართების საკითხისათვის; პუშკინის სახ. თბ. პედინსტიტუტის შრომები, ტ. VIII, 1950, გვ. 292.

გან ამ სოფლებს ესაზღვრება ჯაეახეთის სოფლები აფნია, გოგაშენი და სარო. რადგან უნი დადასტურებული არაა ქართლურში, ამდენად ჯაეახეთში ამ ბგერის არსებობა ერთ-ერთ განმასხვავებელ ნიშნად უნდა მივიჩნიოთ ქართლურისაგან.

3. ნეიტრალური ხმოვანი ზ ბგერა ჯაეახურში გვხვდება თურქულიდან და თურქულის გზით სხვა ენებიდან შემოსულ სიტყვებში. არის ისეთი შემთხვევებიც, როცა ნეიტრალური ხმოვანი ზ გასჩენია ან შენაცვლება სხვა ხმოვნებს ქართულ სიტყვებში. ქართული დიალექტებიდან ეს ბგერა მოეპოვება მხოლოდ მესხურს.<sup>1</sup> ქართველურ ენათაგან ზ ჩვეულებრივია სვანურისათვის<sup>2</sup>, მეგრულ-ჭანურში იხმარება მხოლოდ ზუგდიდურ-სამურზაყნულ კილოკავში<sup>3</sup>.

ეს ბგერა (ჟ) საკმაოდ ვრცლად დახასიათებული აქვს ა. ცაგარელს. მისი აზრით, ზ ისე წარმოითქმის, როგორც სომხური  $\mu$ ; იგი წარმოითქმის უფრო მოკლედ და სუსტად, ვიდრე რუსული  $\mu$ . ზ-ს არ შეიძლება თანხმოვანი ვუწოდოთ და არც წმინდა ხმოვანი, თუმცა თავისი თვისებებით ყველაზე უფრო ხმოვანს უახლოვდება<sup>3</sup>.

ზ არტიკულაციურად წინ წამოწეულ უ-ს მოგვაგონებს, ხოლო ენის აწეულობის მიხედვით კი ველარიზებულ ი-ს. ამიტომ საესებით კანონზომიერია, რომ დასახელებულ მეგრულ კილოკავში იგი მომდინარეობს ი, უ (// ო) ხმოვნებისაგან.

ნეიტრალური ხმოვანი (ჟ) გვხვდება: ა) უცხო ფორმებში, კერძოდ, თურქულიდან შემოსულ სიტყვებში: ხ ა ს გ მ ი // ხ ა ს ი მ ი („გამოუყვანეს ამ პეტეს თავი ხ ა ს გ მ ი“, „ამ მანამ თქვა: ხ ა ს გ მ ი მაჩვენეთ“). ხასგმი მოწინააღმდეგეა ჭიდაობის დროს. ტგლა // ტილა (ბიჭი სომხ. „ამ ტგლას ვერ უყურამ, რაპ ჩადის“, „მოიყვანეს ერთი, სომხი ტგლას ჰგამდა“), ჰ ა ღ ღ ლ ი // ჰ ა ღ ლ ი (-საქონლის ბაკი ქვით ან სხვა რამით შემოკრული. „შერეკეს ამათ ეპ ხარი ჰალღღში“. „ეპ ჰალღლიც ჰატარა იყო“), ა ჯ გ ღ ი // აჯიღი (-ჯიბ-

<sup>1</sup> ი. მ ა ი ს უ რ ა ძ ე, ძირითადი ფონეტიკური მოკვლევები მესხურში, გორის პედინსტიტუტის შრომები, I, თბილისი, 1942, გვ. 140.

<sup>2</sup> ვ. თ ო ფ უ რ ი ა, შრომები, I, სვანური ენა, I, ქმნა, თბილისი, 1967. გვ. 2. ს. ე ღ ე ნ ტ ი, სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები, თბილისი, 1949, გვ. 65—105.

<sup>3</sup> И. Кипшидзе, Грамматика Мингрельского (Иверского) языка с хрестоматией и словарем С.-Петербург. 1914, ст. 39, 57...

<sup>4</sup> А. Цагарели, Мингрельские Этюды, II, С.-Петербург. 1880, ст. 16.



რი. „შენ აჯღზზე'ნა წავილე“. „ძმი აჯღზზე ისიც დიემუქრა“),  
 ყ გ უ ლ ა // ყ ი უ ლ ა (-ზამთრის საძოვარი. „ზამთარში ცხვარ  
 ყ გ უ ლ ა შ ი ვაძვიამთ.“ „ჩვენი ყ ი უ ლ ა სუ გიეძვია თათრი  
 საქონელ“), ყ გ ს მ ა თ ი // ყ ი ს მ ა თ ი (-ბელი, ხვედრი. „მაგი  
 ყ გ ს მ ა თ ი ც ეგ ყოფილა“. „იმათ თქვა: ეპ ჩემი ყ ი ს მ ა თ ი არ  
 ყოფილაო“), ყ ა თ გ რ ი // ყ ა თ ი რ ი (-ჯორცხენა. „მოიყვანა. ში-  
 ბა ერთი ყათვრი“, „იკაცრო ყათირი ჰყამს, ის'ნა მამიყვანთ“),  
 ზ გ ბ ო რ ი (-რუს. збир лобь, „ბიჭოჭან, ბიჭო, ი ზ გ ბ ო რ ი  
 სუ დიელეწათ, წადი გამორეკე“), ჰ ა ზ გ რ // ჰ ა ზ ი რ (-მზა, ხომ.  
 „წისკვილში მიდიხარ ჰაზგრ, ჩვენიც წაილე“. „ამას თავისთვინ  
 ჰქონდა გამზადებული ჰ ა ზ ი რ ი“), ა რ ს გ ზ ი // ა რ ს ი ზ ი  
 (-ანცი, ცელქი. „იეგეთი ა რ ს გ ზ ი ბავშვი მე არ მინახამს“,  
 „ძიენ ა რ ს ი ზ ი იყო, ის შეჩვენებული“), ფ გ რ ს ა ნ დ ი (-დრო,  
 მომენტი გაჭირვებისას. „მერე იმან არ აპატია, ფ გ რ ს ა ნ დ შ ი  
 მოიგდო და გადაუხადა“. „ეგ ძიენ ცული კაცია, სუ იმაპ ეძებს ფ ე რ-  
 ს ა ნ დ ი გიპოვოს“), ს გ რ ი // ს ი რ ი (-საიდუმლო „იმ კაცმა  
 უთხრა ჩვენი ს გ რ ი არსად თქვაო“. „ამაპ არ შეიძლო ს ი რ ი ს  
 შენახვა, ხუხუტი იყო“)...

აღნიშნულ მაგალითებში გ და ჟ ენაცვლებიან ერთი მეორეს<sup>1</sup>.

ბ) გ იხმარება ქართულ სიტყვებშიც. ხან ჩნდება თანხმოვანთა  
 შორის, ხან კიდევ ი-ს ენაცვლება: ღ გ რ ღ გ ტ ა // ღ ი რ ღ ი ტ ა  
 („ღ გ რ ღ გ ტ ა ზ ე მაშინ იეგ უჯდა, მე პატარა ვიყავი“. „ერთი  
 ღ ი რ ღ ი ტ ა კაცი იყო, სუ ჭიჭინებდა, ვერ გააჩერემდი“), კ გ ღ ო //  
 კ ი დ ო (-კიდევ. „კ გ ღ ო უთხარი, ბიჭო, რაპ გაჩერებულხარ“. „  
 წადი, კ ი დ ო მომიტანე ცოტა“), ღ გ რ მ ა // ღ ი რ მ ა<sup>2</sup> („ერთ  
 ღ გ რ მ ა ტბაში ჩააგდო ამ შეჩვენებულმა“, „ძიენ ღ ი რ მ ა სორო  
 იყო“); ბ რ გ მ ა // ბ რ ი მ ა // ბ რ უ მ ა<sup>3</sup> („ამან უთხრა, ამ ბ გ რ მ ი  
 შვილმა“, „ეპ ბ რ ი მ ა ასეიც იქ ყოფილა“, „ამ ბრუმაჯორმა ვერა-  
 ფი ქნა“), მ გ ზ ე // მ ი ზ ე („იეგრე დადექი, შვილო, მ გ ზ ე გა-  
 მოუშვი“, „თოკელები მ ი ზ ე ს ხო ეძახით მზეს“), კ გ რ ა ვ ი // კ ი-

<sup>1</sup> ს. ე ღ ე ნ ტ ი; ქანურ-მეგრულის ფონეტიკა, თბილისი, 1953, გვ. 28.

<sup>2</sup> ნ. მარს ქანურში დადასტურებული აქვს „ლორმა“ (-ფართო ხერელი  
 იხ. მისი Грамматика Чанского Лазского языка, С-Петербург, 1910)  
 ბოლოს დართული აქვს ლექსიკონი.!

<sup>3</sup> ბრივა// ბრუმა ფორმები ქართული კილოებიდან გვხვდება აქარულში,  
 იხ. მ. ხუ ბუ ა, ზემო აქარულის ენობრივი მიმოხილვა, ბათუმი, 1932, გვ.  
 16. ბურმა ხვესურულში. ა. კ ი ნ ქ ა რ ა უ ლ ი, ხვესურულის თავისებურება-  
 ნი, თბილისი, 1960, გვ. 32.

რ ა ე ი („კ გ რ ა ე ი სუ დიერია ცხვარში“, „თოკელებმა რო იციან კირა ე-მირა ეი“.), კ გ ლ დ ე // კ ი ლ დ ე („ამ კ ი ლ დ ე-ს ა ც თოკელები ამბობენ კლდეზე“).

ისტორიულად კილდე, კირაევი, მიზე ფომებში ხმოვანი უნდა ყოფილიყო, რადგან სვანურში იგი გვაქვს (მდრ. მიე „მზე“, ჟინალკირაევი, გოჭ „კლდე“). ჭავჭავაძურში ამ ბგერის გაჩენა შეიძლება თურქულის ზეგავლენით ერთგვარი განვლილი ისტორიული პროცესის აღდგენაც იყოს<sup>1</sup>.

რამდენიმე მაგალითში გ მომდინარეობს უ-საგან: აშულა → აშგ-ლი; ძუძუ // ძეძე, ღუმანისი // დ გ მ ა ნ ი ს ი, ბაშლაქი // ბ ა შ ლ გ-კ ი (← ბაშლულ თურქ. „თავსახვევი“).

გ ბგერისხმარების მხრივ ჭავჭავაძური ემიგრება ქართლურსა და სხვა აღმოსავლურ დიალექტებს, მაგრამ მხარში უდგას მესხურს<sup>2</sup>.

4. არახშირად, მაგრამ ზოგჯერ მაინც იხმარება გ ა რ დ ა მ ა - ვ ა ლ ი ბ გ ე რ ა ჰ ს. იგი პრეფიქსად გვევლინება ზმნაში და აკუსტიკურად ჰ ა ე ს დასაწყისის და ს ა ნ ი ს დასასრულის შთაბეჭდილებას ტოვებს. ამ გარდამავალ ბგერას აქვს თავისი ვარიანტები ქართლურსა<sup>3</sup> და მთიულურში<sup>4</sup>. ესენია: ძს-, ძჰ-, ჰძ-. პირველი ორი იხმარება ქართლურში, ხოლო უკანასკნელი — მთიულურში.

ჰ/ს S<sub>2</sub> და O<sub>2</sub> პირის თავსართია ზმნებში: „ამ ბავშვ კინლამ ფეხი მ ო ჰ ს ტ ყ დ ა“; „ერთიც, ნახოთ, რო გამგელებული მ ო ჰ ს ღ ე ვ ს“; „მაგაჰ რაჰ დ ა ჰ ს ც ი ნ ი, შენ თავ უყურე“; „თელი დღე აქ მ ო ჰ ს ც დ ა“, „მ ი ჰ ს დ გ ა და ისე გახადა, სუ დაალურჯა“...

5. ჭავჭავაძურ მეტყველებაში გვხვდება უ მ ლ ა უ ტ ი ა ნ ი ხ მ ო ვ- ნ ე ბ ი : ვ, რ, უ. ეს ხმოვნები უფრო ხიზაბავრულისთვისაა დამახასიათებელი. გვხვდება აფნიისა და გოგაშენის მეტყველებაშიც.

უმლაუტიანა ხმოვნები თურქული ენას ზეგავლენითაა გაჩენალი, ისე როგორც ჯოტაციის ზოგი შემთხვევა და ნეიტრალური ხმოვანი გ. დარბილებული სახით ეს ხმოვნები გვხვდება თურქულიდან ნასესხებ სიტყვებში, ზოგჯერ ქართულ სიტყვებსაც მოუღიოთ უმლაუტი.

<sup>1</sup> შ. ნ ი ე ა რ ა ძ ე, ქართული ენის აქარული დიალექტი, გვ. 15.

<sup>2</sup> ი. მ ა ი ს უ რ ა ძ ე, ძირითადი ფონეტიკური მოვლენები მესხურში, გორის პედინსტიტუტის შრომები, 1, თბილისი, 1942, გვ. 140, ავ. მ ა რ ტ ი-როსოვი, დასახ. შრომა, გვ. 291.

<sup>3</sup> ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ქართლური, გვ. 130, 144.

<sup>4</sup> ან. წ ი ქ ო ბ ა ვ ა, მთიულურის თავისებურებანი, ენიკის მოაქე, ტ. II, 1937, გვ. 43.

ა) უმლაუტიანი ხმოვნები აქვს რამდენიმე ქართულ სიტყვას, რომელშიც ვე და ვი კომპლექსები ენაცვლებიან ო-სა და უ-ს.

მაგალითები: ჩრწ//ჩრნი (←ჩვენ, ჩვენი), შუღლი (←შვილი), წუშმა//წუშმს (←წვიმა, წვიმს), კუტი (←კვიცი), კვღრ//კიდრვ (←კიდევ), ისრვ (←ისევ), თუნ (←თვინ ←თვის).

ბ) თურქულიდან შემოსული უმლაუტიანი სიტყვები უფრო მეტია. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს: ქნსა (-მოკლე გზაზე იტყვიან ხოლმე); ბაზირგანი//ბეზირგანი (←ვაქარი), ქნლოღლანაი (←ქაჩლის შვილი), ფვღანფიღანი (←აქეთურ-იქითური), თარაფი (←მხარე), ჩათენი (←ართული), ღუზანი (←შემთხვევა), ჩუნქი//ჩინქი (←იმიტომ, იმიტომ რომ), ქულფათი //ქვილფათი (←წვრილშვილი), პინხურუნა (←ზერელე)...

უმლაუტიანი ფორმები თანდათანობითი ქრება. ისინი ნიშანდობლივ ენობრივ პროცესს არ შეადგენენ.

უმლაუტი ქართველური ენებიდან ბუნებრივია სვანურისათვის<sup>1</sup>, ხოლო დიალექტებიდან ახასიათებს ინგილოურსა<sup>2</sup> და ფერეიდნულს<sup>3</sup>. მიმქრალი სახით არის აქარულშიც, თუმცა სამეცნიერო ლიტერატურაში არაა აღნიშნული<sup>4</sup>.

ნ. ხ მ ო ვ ა ნ თ ა ფ შ ვ ი ნ ვ ი ე რ ი შ ე მ ა რ თ ვ ა. ხმოვანთა ფშვინვეერი შემართვის მაგალითები უხვადაა ხიზაბაერულ თქმაში (მას მოსდევს ვარგავის მეტყველებაც), თითო-ოროლა მაგალითი გვაქვს სხვა სოფლების მეტყველებაშიც. ფშვინვეერი ხმოვნები გვხვდება სახელებში, ზმნიზედებში, შორისდებულებსა და ზმნაშიც კი.

ა) ფშვინვეერი შემართვით იწყება არსებითი სახელთა ხმოვნები: ჰაბგა, ჰასტამი (შდრ. ჩბხ. ჰასტამ), ჰაკვანი (შდრ. უშგ. ჰაკვან), ჰალალი (შდრ. უშგ. ჰალალ), ჰავეჯი (შდრ. ბზ. ჰავეჯ „თოფის მნიშვ-

<sup>1</sup> ა. შ ა ნ ი ძ ე, უმლაუტი სვანურში, „პარილი“, 1925, გვ. 171—227.

<sup>2</sup> გ რ . ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, უმლაუტი ინგილოურში, იბერ. კაკვას. ენათმეცნიერება, ტ. V. 1953; რ. დ ა მ ბ ა შ ი ძ ე, ინგილოური კილო, ტექსტები, თბ. უ. შ. ტ. XXX, 1947.

<sup>3</sup> ა რ ნ . ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, დასახ. შრომა, გვ. 203.

<sup>4</sup> აქარულში უმლაუტი ბოლომდეა მიყვანილი ზოგიერთ ფორმებში, მაგალითად თერფი (←თარაფი „მხარე“), ნეისა (←ნანისა „როგორც იქნა“), ხებერი (←ხაბარ „ცნობა“, „ამბავი“), შერი („შარი“). იხ. აქარის ხალხური სიტყვიერება, წიგნი 11, 1940, გვ. 239—245. აქ მოყვანილი მაგალითები და სხვა ბევრიც შეტანილი აქვს შ. ნ ი ე ა რ ა ძ ე ს თავის კაპიტალურ შრომაში. იხ. „ქართული ენის აქარული დიალექტა“, გვ. 206—208.

ნელობით“),<sup>1</sup> პალვა, პარამი, პერეკლეი, პევაი, პეკალი, პეკიმი (აქ შემონახულია), პეკლესია, პომი, პოკამი, პოქმიანი, პოკა („ოკა“ საკუთარი სახელია ქალისა), პაბუანნი (პაბოიანი, შდრ. აბო), პარლი (←არხი), ჰიგიდი/იგიდი, იგილობა (←ყოჩალი, მამაცი, ყოჩალობა, მამაცობა)...

ბ) მ ე ტ ყ ვ ე ლ ე ბ ი ს ს ხ ვ ა ნ ა წ ი ლ ე ბ შ ი : „პერთი რალაც ვკარი ცხვარსა“, „პერთი უთხრა, ორი უთხრა“, „პერთ წელიწად ვერ მოვა“. პეგა („რა არი პეგა, ბიკო“), „პეს ფენი მტკივა“, „პეგრე კარგია“, „პეგეც შენ, არ წამოხვალ“. „პაქ მოლი“, „პიქ<sup>2</sup> იყო“, „პაჩი, რას ღვახარ“, „პეტე, არ იცი, ოლა“, „პაქა ქათამო“, „პოიშ, ხარო“, „პურაზე წაველით“, „პოროველა დასჯახა“, „ისინი ჰამობენ პეკელის შესახებ“, „ეს ბიჭი ჰავიდა მზეზე“, „პარე, რას უყურებ“ (ჩამოლი). შდრ. ჟარგ<sup>3</sup>.

გ) ჩვენი აზრით, ხმოვანთა ფშვინვიერი შემართვის ანალოგიით უნდა იყოს გამოწვეული, რომ ა-სა და ე-ს წინ ზმნიზედებსა და ჩვენებით ნაცვალსახელებში ს ა ნ ი პ ა ე თ ი ა შეცვლილი<sup>4</sup>. მაგალითები: „პად არი სასაილო“, „პად დავიმალო, პად წავიდე?“ „პაცა მიეწონა, თითონ წაიყვანა“, „პადაც რო როსტომს ამოათხრეინა, იქ მიიყვანა“. „აქ პად გამოხველიო“, „პადაურ ი ხარ, შეილოვო“, „ეჰ რამდენი მძინებია?“ ეჰ მოლა რო იკუზება“...

ს ა ნ ი ს პ ა ე დ ქცევის მაგალითები ბევრია, მაგრამ იმათ განვიხილავთ ბგერათმონაცვლეობაში.

ქართულ დიალექტთა შორის ფშვინვიერშემართვიანი ხმოვნები

---

<sup>1</sup> ამ მაგალითებს ვაღარებთ სეანურს (კერძოდ, ბალს ზემოურს, ჩუბესეურს და უშგულურს).

<sup>2</sup> პაქ, პიქ, პეგრე და პეს ფორმები მოგვაწოდა თ. უთურგაიძემ. ის ხელმძღვანელობდა სტუდენტთა საენათმეცნიერო ექსპედიციას, რომელმაც 1954 წლის ზაფხულში, დიალექტოლოგიური მასალები შეკრიბა მესხეთ-ჭავჭავთოში. როგორც სტუდენტთა, ისე ხელმძღვანელის მასალები გამოვიყენეთ, რისთვისაც მადლობას მოვასხენებთ მათს შემკრებთ.

<sup>3</sup> გ. ახვლედიანი, უენიშენა „ეჟარები, ჟარეს“ შესახებ, „ჩვენი მეცნიერება“, თბილისი, 1923, ნომბერ-დეკემბერი. № 6—7, გვ. 80.

<sup>4</sup> ამ პროცესის შესახებ სხვა მოსაზრებაც არის გამოთქმული, რომელიც გამორიცხავს ჩვენსას.

გვხვდება ინგილოურსა<sup>1</sup> და თუშურში<sup>2</sup>. ქართველური ენებიდან კი ფშვინევიერი შემართვის ყველაზე მეტ მასალას იძლევა სვანურის ბალს-ზემური და ბალსქვემური კილოები<sup>3</sup>.

ხმოვანთა ფშვინეური შემართვა უცხოური გავლენის შედეგი არ უნდა იყოს. მას ქართველურ ენებშივე აქვს ისტორიული საფუძველი. ეს მოვლენა კიდევ ერთი ნიშანია, რომელიც მიჯნავს ჯავახურს ქართლურსა და სხვა კილოებისაგან და ანათესავებს ინგილოურთან და თუშურთან, ხოლო ქართველური ენებიდან — სვანურთან.

მესხურს, რამდენადაც გამოქვეყნებული ლიტერატურიდან ჩანს, ხმოვანთა ფშვინევიერი შემართვის მაგალითები არ აქვს, მაგრამ, ჩვენი აზრით, იგი უნდა იყოს შემორჩენილი ქართველ კათოლიკეთა (უღე, არალი) მეტყველებაში.

### ფონეტიკური პროცესები

2. ასიმილაცია, ჯავახურში გვაქვს ყველა სახის ასიმილაცია. პროგრესული და რეგრესული, ასევე მათი ქვესახე: სრული და ნაწილობრივი. ყველაზე მეტად გავრცელებულია სრული რეგრესული ასიმილაცია.

1. ხ მ ო ვ ა ნ თ ა ა ს ი მ ი ლ ა ც ი ა. ხმოვანთა ასიმილაციის ძირითადი მოქმედების არეა პრევერები: მასიმილირებელი ძალა აქვს ე-ს.

ა) პრევერბისეული ა ემსგავსება ვნებითის ე-ს და იძლევა -ეე-ს. გა + ე → ეე: გემექაევი, გევექურღე, გეესროლა, გემექრა, ეელოთ, ეეთვისებინათ, გეეგლიჯათ, გეგექცა, გეეკვნიტათ, გეეშვლიპა, გეეპნა, გემექელა, გეეკეთებინა, ეეთვისებინათ, გემეყიდა... და + ე → ეე: დეექცია, დეეეწარე, დეეეძახათ, დეეეყოლებინათ, დეენტვრიათ, დეეპნია, დეეეცა, დეეეხმარები, დაგეეხმარენ, დეეეშველებით, დემეწია, დეეეემოდნენ, დეეეპყროთ... ჩა + ე → ეე: ჩეეძინათ, ჩეეგლობო, ჩემეღობო, ჩემეპნია, ჩემეეეკიდა, ჩეეცათ, ჩემეეცვა... წა + ე → ეე: წეეეკილო, წეეევლო, წემეეკრა, წეეეგჩხუბო, წეეეეთხოსო, წეეედო, წეეეგრ-

<sup>1</sup> რ. ლამბაშიძე, ინგილოური კილო, ტექსტები, უნივ. შრომები, XXX, 1941, გვ. [იმნაიშვილი, ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი, თბილისი, 1966, გვ. 75—76.

<sup>2</sup> თ. უთურგაიძე, ქართული ენის თუშური კილო, თბილისი, 1960, გვ. 7—10.

<sup>3</sup> ს. უდენტო, სვანური ფონეტიკის ძირითადი საკითხები, თბილისი, 1949, გვ. 122—126.

ქობა. წვეცლია (სული), წვერთმევეინათ, წვეეკოსა, წვეშველე, წვევე-  
ჯანა. წვექვეზებინა, წვემეგლიჯა...

პრევერბისეული ო დაემსგავსება ვნებითის ე-ს და ვიღებთ: მო +  
ე → ეე: მექიდი, მეეგლიჯა, მეედო, მემერეოდა, მეეხმარა, მეგერი-  
ლოს. მემეთარა, მეეპარა, მეგემზადებინათ, მეეესწარით, მეეექეცი  
მამესალმა...

რთულ პრევერბებში ორმაგ პროცესთან გვაქვს საქმე: ვნებითის  
ე-ს ემსგავსება პრევერბისეული ო და გვაძლევს ეე-ს (← ოე), ხოლო  
ასიმილირებული ე პრევერბისეულ ა-საც იმსგავსებს. ვიღებთ: ა მ ო +  
ე → ა მ ე ე → ე მ ე ე: ემეეგლიჯა, ემეეტანოს, ემეეთარა, ემეეგმყლი-  
ტა, ემეეწვიტათ, ემეელაგებინა, ემეეგწია... გ ა მ ო + ე → გ ა-  
მ ე ე → გ ე მ ე ე: გემეექა, გემეეპარათ, გემეეკიდა, გემეემშვიდობოს,  
გემეეგადავა, გემეეგზიდა, გემეეწყო, გემეემტერია, გემეეცალა, გემე-  
ეყარა, გემეემეტანა... ჩ ა მ ო + ე → ჩ ა მ ე ე → ჩ ე მ ე ე: ჩემეეტანა,  
ჩემემენტრა, ჩემეეწროს, ჩემეეპარნენ, ჩემეენგრიათ, ჩემეეფარე,  
ჩემეეყაროს, ჩემეეგეტანა, ჩემეემეილო, ჩემეეხია... წ ა მ ო + ე →  
წ ა მ ე ე → წ ე მ ე ე: წემეეწია; წემეეშველებით, წემეეყრებით, წემე-  
ექობაგე, წემეეგლო, წემეეყარა, წემეეეროშა...

ამავე რიგისა შ ე მ ო — რთულზმნისწინიანი ფორმები. აქაც  
ზმნისწინისეული ო ემსგავსება ვნებითის ე-ს და გვაქვს: შ ე მ ო + ე →  
→ შ ე მ ე ე: შემეეწყო, შემეეშველა, შემეეხვია, შემეეთვალა, შემე-  
ეპაროს, შემეეგლია, შემეეგესნა...

გ ა დ ა — ზმნისწინის ა ემსგავსება ე-ს და შემდეგ თვითონ  
იმსგავსებს წინა ა-საც და ვიღებთ ანალოგიურ ფორმებს: გ ა დ ა +  
+ ე → გ ა დ ე ე → გ ე დ ე ე: გედეეწოდებოდა, გედეეფარებინათ,  
გედეეელობები, გედეეთხარათ, გედეეკიდებოდი, გედეეშველე, გე-  
დეესარა, გედეეცქირებოდა, გედეეგქცია, გედეეყაროს...

ზემოთ განხილული ასიმილაციის ფორმები მეტნაკლები სახით ქა-  
რთული ენის თითქმის ყველა კილოში გვხვდება. ეს პროცესი უფრო  
გაბატონებულია მესხურსა<sup>1</sup> და ქართლურში<sup>2</sup>. საკმარადა კახურში<sup>3</sup>,  
ფერეიდნულსა<sup>4</sup> და ინგილოურში<sup>5</sup>.

<sup>1</sup> შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, დასახ. შრომა, გვ. 240.

<sup>2</sup> ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ქართლური, გვ. 131.

<sup>3</sup> ა. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი, გ რ. ი მ ნ ა ი შ ე ი ლ ი, ქართული ენის კა-  
ტორი დიალექტი, თბილისი, 1956, გვ. 34, 35, 36.

<sup>4</sup> ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, დასახ. შრომა, გვ. გვ. 206—224.

<sup>5</sup> რ. ლ ა მ ბ ა შ ი ძ ე, ინგილოური კილო. ტექსტები, გვ. 249—294.

ბ) პრევერბისეულ ო-ს ან ი-ს იმსგავსებს, სასხვისო ქცევის ნიშანი უ: მ ო + ე → მ უ უ: მუუძრია, მუუტანია, მუუყარა, მუუდიოდა, მუუშვეს, მუუდნენ (← მოუვიდნენ): „თავს ვერ მოუვიდნენ“, „მოუბრუნდნენ ცალანდრები“, მუუშვით, მუუხვდათ, მუუცადე, მუუყვანათ, „მუუყრია, ზურგზე მუუკილია და წასულა“... მი ო + უ → → მუუ: „ბავშვები მუუყარა ქმარ“, „ხენწიფეს მუუტანა ანბავი“, „ცხენი ალჯველისთუნ მუუბარბია“, „თათრები დროჰ მუუესწრო და მუუელწა ფეხები“, „სიძე მუუდათ (← მოუვიდათ), „ძალ მუუგდებთო“, „სახში მუუხტა“, მუუდგნენ, მუუტანე (← მივეტანე), მუუესწრენ (← მივესწრებ)...

ასიმილაციის პროცესში იკარგვის არა მარტო  $S_1$  პირის ნიშანი ვ-; არამედ ძირეული ვ ი ნ ი ც „ვიდა“ ზმნის ფორმებში. ასიმილაციის მსგავსი ფორმები (მუუ-) დასავლური კილოებისათვისაა დამახასიათებელი. აღმოსავლური კილოებიდან ეს სახეობა ახასიათებს კახურს<sup>1</sup>.

გ) გვხვდება ხმოვანთა ასიმილაციის ცალკეული შემთხვევები. ზოგჯერ რთული ზმნისწინის შ ე მ ო-ს ო ხმოვანი იმსგავსებს ზმნისწინისეულსავე ე-ს და ვიღებთ ასეთ ფორმებს: შომოურონიებია, შომოვიდა, შომოვეხვიენით<sup>2</sup>. ამავე რიგისაა შომოდგომა (← შემოდგომა), დოდოფალი// დოდოფალა, მოორე, ხელოჩო (← ხელეჩო. ასიმილაციაქმნილი ფორმა იკვეცება: ხელოჩის ტარი, ხელოჩის ტართ).

დ) გვაქვს პროგრესული ასიმილაციის ცალკეული შემთხვევებიც: წინა ო იმსგავსებს მომდევნო ე-სა და ი-ს. იმოდონი (← იმოდენი), პოლოტიკა (← პოლიტიკა). ასევე ე იმსგავსებს ი-ს: კედევ → კიდევ, ეგრესი → ეგრისი (სოფ. ბალანთა), საპირისპირო შემთხვევაა ფორმაში დედექტორი (← დირექტორი). ამ მაგალითში მომდევნო ე იმსგავსებს წინა ი-ს და ვიღებთ რეგრესულ ასიმილაციას (აქვე ხდება რ-ს დისიმილაციაც), ხოლო სიტყვაში მიმიბედლო (← მიმიბადლო) წინა ი მომდევნო ა-ს აქცევს ე-დ. ხდება ნაწილობრივი ასიმილაცია<sup>3</sup>.

ქვემოთ ჩამოთვლილ მაგალითებში წინა ა იმსგავსებს მომდევნო ე-ს და ო-ს: საფანი ← საფენი (-საბელი, კანაფი), ვალადიაი (ვალოდიაი), ქორსატაველა (← ქორსატეველა, ტოპ.), სანახვე ← სანეხვე (-სანაგვე

<sup>1</sup> ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ე ა, გარე-კახეთი დიალექტილოგიურად, „არბილი“, თბილისი, 1925, გვ. 70.

<sup>2</sup> მსგავსი ფორმები უხვადაა ფერეიდნულსა და ინგილოურში.

<sup>3</sup> სრული ასიმილაციის მაგალითი უნდა იყოს სპორადულ შემთხვევაში მიმინდერეობა (← მემინდერეობა). მომდევნო ი იმსგავსებს წინა ე-ს.

და სანაცრე ადგილს ჰქვია), ხოლო ფორმაში „ბრაწნალი“ ხდება რეგრესული ასიმილაცია. მომდევნო ა წინამავალ ო-ს იმსგავსებს (ბრაწნალი ← ბროწნალი).

ზემოთ განხილულმა მაგალითებმა გვიჩვენეს, რომ ჯავახურში ისე, როგორც ქართლურსა და კახურში, ი ხმოვანს ასიმილაციის გამოწვევა არ შეუძლია. ჯავახურისათვის უცხოა ასეთი ფორმები: ეილო, დეიკივლა, გეიქცა, წევიდა... დეიძინა, დეიჭირა... არც სასხვისო ქცევის უ-ს შეუძლია დაიმსგავსოს ზმნისწინისეული ა და მოგვეცეს დუუყვირა, წუულო და მსგავსი ფორმები. ასიმილაციის აღნიშნული ფორმები ტიპობრივია დასავლური კილოებისათვის. ჯავახურში, განსხვავებით ქართლურისა, კახურისა და მესხურისაგან, არც ა ხმოვანს გააჩნია მასიმილირებელი ძალა. არაა ასეთი ფორმები: მახხვედრა, მახხენა, მაატანინა, მააჯდა... მაგრამ შევხვდებით ისეთ მაგალითებს ქართლურსა და კახურში, სადაც მო-და შე ზმნისწინები მექანიკურად შეცვლილია მა-და შა-წინდებულებით. მაგალითად, შამაიტანე, შაიყვარებს, ამაილო, მამიციდა... ამ შემთხვევებში არავითარი ასიმილაციას არ აქვს ადგილი<sup>1</sup>.

ჯავახურშიც ზოგჯერ გვხვდება ისეთი მაგალითები, სადაც მო-ზმნისწინის ნაცვლად დართული აქვს ზმნას მა: შემამიარე, შემამაქცია, შემამატარა, მამიტა, მამაშველოს, მამეგო, მამეკიდა... ასეთ და მსგავს ფორმებში, ცხადია, ასიმილაციას ადგილი არ აქვს. ეს ფორმები რომ ასიმილაციის ძალით არაა გამოწვეული, ამას ისიც ამტკიცებს, რომ ისინი გვხვდება მხოლოდ I პირში. II და III პირში ასეთი ფორმების გამონაკლისიც კი არაა. არ ამბობენ: მაგედო, მავეგო, მაეკიდა, მეედო, მეეგო, შემაუარა, შემაიხედა...

რით უნდა იყოს გამოწვეული ასეთი ფორმების ხმარება, ჯერჯერობით ამის თქმა ძნელია.

ხმოვანთა ასიმილაციის განხილვის შემდეგ შეიძლება დავასკვნათ, რომ ჯავახურს არა აქვს ი და უ ხმოვნებით გამოწვეული ფორმები (გეიქცა, დეიწყო... დოუძახეს, გადოუტანა...), ქმესხურს<sup>2</sup> კი გააჩნია, ხოლო ქართლურისაგან განსხვავებით არ გვხვდება მახხვედრა, მახხენა და მსგავსი ფორმები<sup>3</sup>.

<sup>1</sup> იხ. ვ. თოფურია, ქართლური, „არილი“, გვ. 131.

<sup>2</sup> შ. ძიძიგური, დასახ. შრომა, გვ. 241.

<sup>3</sup> ვ. თოფურია, ქართლური, „არილი“, გვ. 131.



2. თ ა ნ ხ მ ო ვ ა ნ თ ა ა ს ი მ ი ლ ა ც ი ა. ჯავახურში თანხმობა ასიმილაციის მაგალითები მცირეა. გვაქვს როგორც ნაწილობრივი კონტაქტური რეგრესული ასიმილაციის მაგალითები, ასევე დისტანციური სრული და ნაწილობრივი ასიმილაციის შემთხვევები; რამდენიმე მაგალითია პროგრესული ასიმილაციისაც.

ა) კონტაქტური რეგრესული ასიმილაცია ხდება სიტყვებში: დევირიყ-ბეგი (←დევირიშბეგი, ვაშლის ჯიშია), ოდოჟლერი (←ოდოშლერი, დაუშუშავი პური. სოფ. ხიზაბავრა), პტყელი (←ბრტყელი, ასევეა მისგან ნაწარმოებ სიტყვებში: გააპრტყელა, სიპტყე...), ფაფრიკა (←ფაბრიკა), ავანტყოფი (←ავამტყოფი ← ავათმყოფი ← ავადმყოფი), პიჭკა ← პიჩკა (რუს. სპიჩკა), დოლაფჩი ← დოლაბჩი (←დოლაბში), ვაშკაცი, მსგავსი/მგზავსი (ასევე მათგან ნაწარმოებ სიტყვებშიც), ბანში, ბანჩა...

ჯერ გადასმა უნდა მომხდარიყო სიტყვაში ხბო → ბბო → ფბო და მერე დაყრუება — ასიმილაცია. საპირისპიროა დ-ს გავლენით პიქტევა ბ-დ სიტყვაში კრებდიშელი (←კრეპდეშინი. „კრეპდიშელის კაი კაბა ეცვა“)<sup>1</sup>.

არის შემთხვევები, როცა ობიექტური II პირის ნიშანი გემსგავსება ზმნის თავკიდურ ც, შ, ჩ თანხმოვნებს და იქცევა ქ-დ: მოქცემ, დაქცემ, შექცივა, დაქცივა, დაქცინის, მოქცლია... ჩაქჩრის, ქჩხეერს, დაქჩხავის, ქჩხელეტს... ქშვენის, შექშლის, ქშვლია...

მთის ზოგი კილოს მსგავსად პირის ნიშანი პ ა ე ყ ა რ ი თ ა ნ კ ა ნ ი თ დაწყებულ ზმნებში იქცევა ხ ა ნ ა დ: მიხყიდა, გახყვა... მოხკლა, დახკარა...

გვაქვს ბ ა ნ ი ს ფ ა რ ა დ შეცვლის გარკვეული შემთხვევებიც. ამ მონაცვლეობაში გარკვეულ როლს თამაშობს ასიმილაცია. ბ ა ნ ი ყ რუდება ს ა ნ თ ა ნ და შ ი ნ თ ა ნ მეზობლობაში სახელებში მაშინ, როცა მრავლობითის -გბ ბოლოსართია, ხოლო ზმნებში — როცა თემის ნიშნისეულია. მაგალითები: თარაქამეფს, ქურთეფს, ქალეფს, თურქეფს, ქრისტიანეფს, სოფლეფში..., მაგრამ არის: ქართველებს, გვარებს. ხოლო ზმნებში დადასტურებულია რამდენიმე შემთხვევა: დავიწყეფ, ათამაშეფს, ფარფაშეფს (←პარპაშობს, აქ შესაძლოა წინამდგომი ფ ა რ ი ს გავლენით იყოს მონაცვლეობა).

ბ) დისტანციური რეგრესული ასიმილაციის მაგალითებია: ავთო-

<sup>1</sup> ეს სიტყვა ცოტა განსხვავებული ფორმით იხმარება აკარულში: იხ. შ. ნ ი შ ა რ ა ძ ე, ქართ. ენის აკარული დიალექტი, გვ. 8.

თი ← ავტოთი, ცერცვა // ცარცვა (←ძარცვა), ანეტოტი ← ანედო-  
ტი (←ანედოტი), ლულა (←ნელა), ლუმელი (←რომელი), ფაფრია  
(←ფაბრია)<sup>1</sup>, კართოფი (←კარტოფილი), საცაც (←სათაც ← სადაც).

გ) არის რამდენიმე მაგალითი თანხმოვანთა პროგრესული ასიმი-  
ლაციისაც. ცნობილია, რომ ასეთი ასიმილაცია აღმოსავლური კილო-  
ებისათვის ძალიან იშვიათი მოვლენაა. მაგალითად, ლესკი ← ლეს-  
ქი (←ლექსი), ვასკი ← ვასქი (←ვაქსი), იხჩინა ← იხჯინა (შღრ-  
ხჩინა. მეტსახელი. სოფ. ხიზაბავრა), რაცხა ← რაცლა, შოში ←  
← შოსე, მაგამ ← მაგან, იმამ ← იმან, ამამ ← ამან, მარუშ ← მა-  
რუსია, ჩარდალიანი ← ჩარდახიანი, გამამთავისუფლეთ (←განმა-  
თავისუფლეთ), დურბირდით ← დურბინდით, ერთათობა (←ერთა-  
ლობა).

სქ// სყ კომპლექსების მონაცვლეობის მაგალითები გვაქვს მეგ-  
რულში: სქუა // სყუა (შვილი) და სყანი (შენი).

გვაქვს კიდევ თანხმოვანთა ასიმილაციური შერწყმის ერთი საინ-  
ტერესო შემთხვევა. თ, ს შერწყმა გვაძლევს ც-ს: ღმერცა (← ღმერთ-  
სა), როცა ვინმე ცხვირს დააცემინებს, ეტყვიან: ღმერცა. ასევე გვარის  
განაყოფთა სახელებში თ+ს შეერწყმის: გლახანცა ← გლახანთსა  
(ს), იგულისხმება: ვიყავი გლახანთ სახლში. ეგნატეენცა ← ეგნატე-  
ენტსა (ს), თამაზანცა ← თამაზანთსა (ს), პასოონცა ← პასოონთსა  
(ს), ფუშრუკანცა ← ფუშრუკანთსა (ს)...

შ. დისიმილაცია. გამსგავსება პროგრესულიცა და რეგრესულიც  
ქართულში უმთავრესად ნარნარა ბგერებს მოსდის.

ა) თ ა ნ ხ მ ო ვ ა ნ თ ა დ ი ს ი მ ი ლ ა ც ი ა. როცა სიტყვაში  
ორი ერთი და იგივე ნარნარა ბგერაა, ერთი მათგანი იცვლება მონა-  
თესავე ბგერით. მაგალითები: ბუნული // ბულუნი ← ბულული, ლეს-  
ტან-დარეჯანი, ლავანა ← ნავანა, დაბაეინა ← დაბანიანა, აროვინა ←  
← არონინა, შემოუროვინა ← შემოურონინა, გუშინწილ ← გუშინ-  
წინ, ტენტერამ ← ტერტერამ, ტიბეთი ← ტიბეტი, გორგოლა ← გორ-  
გორა, ნაკრული ← ნაკლული, წრეულს ← წლეულს.

ბ) ხ მ ო ვ ა ნ თ ა დ ი ს ი მ ი ლ ა ც ი ა. მაგალითები: რუსიდან ←  
← რუსულდან, რისოი ← რუსოი (← რუსულდან), აკეთემდა ← აკეთებდა  
(სოფ. ვარეჯანი), მიდამიებში ← მიდამოებში, ნეგოზი ← ნიგოზი,  
პურიცომის წადიდება ← პურიცომის წადედება, მევალე//მევალეობა

<sup>1</sup> ეს სიტყვა ცოტა განსხვავებული ფორმით იხმარება აჭარულში: იხ. შ. ნიქა-  
რაძე, ქართ. ენის აჭარული დიალექტი, გვ. 8.

←მეველე//მეველეობა, ფოთელი ← ფოთოლი, გერანალი ← გენერალი, მელიცია ← მილიცია...

გვაქვს კიდევ ასიმილაციისა და ლაბიალიზაციის შედეგად მიღებული რამდენიმე ფორმა კიდევ←კიდევ, ბოეში←ბაეში, ისოვ ← ისევ... არის ხმოვანთა დისიმილაციის ერთი შემთხვევა, რომელიც სისტემასავით ვრცელდება: თუ შედგენილი შემასმენლის სახელითი ნაწილი ე ხმოვანთ ბოლოვდება და მეშველი ზმნა „არის“ ახლავს, მაშინ ვაკომპლექსი იქცევა ია-დ<sup>1</sup>. მაგალითები: „ბარალეთისა მინდორი მწვანია და ვაკიო, დიდი ფური ბევრს იწველის, დეკეული მაკიო“, „კარები ბრუდია“, „კარზია მონდგარი“, „დიდი კლდია“<sup>2</sup>, „ძიენ მოკლია“, „რამდენი დღია გიცდი“...

ამავე რიგის უნდა იყოს ჯავახურში ხშირად ხმარებულ ნაწილაკები: „იქნია“, „ეგია“, მომდინარეობენ „იქნეა“, „ეგეა“-სვანე-სა და ა-ს შორის იკარგვის ბანი და რჩება ფორმები „იქნეა“, „ეგეა“. ამის შემდეგ ე ვიწროვდება ი-მდე და ვიღებთ აღნიშნულ ფორმებს: „იქნია“, „ეგია“, ამ ფორმის ანალოგიითაა „აკი“ ნაწილაკიც შეცვლილი. „აკია“ („აკი“ გამარტივებული „არკია“, რომელიც იხმარება ქართლში და ზოგან ჯავახურშიც). მაგალითები: „იქნია შუალამიენდინა ენთოს ლამპა?“, „იქნია არ იცოდა აქ ვარ“. „ეგია მეც ჩამომიტანო პური“, „ეგია დაგავიწყდა“, „წაიღე აკია“. „აკია გითხარი?“...

იგივე პროცესს უნდა ჰქონდეს ადგილი, როცა -ო ბ ა-ს წინ ე არის. მაგალითები: „მეხრიობა (←მეხრობა) მომეწყინა“, „ვარძიობა კი დღიობაა (დღეობა)“. „მეცხვარიობა (←მეცხვარობა) იოლი არაა“. „მებოსტნიობა (←მებოსტნობა) ადვილია“, „მეხარიობის (მეხარეობის) შრომადღე არ მისულა, მიმიინდვრიობის (←მემინდვრეობის) კი მისულა...“

დისიმილაციის შემთხვევებიდან ჯავახურისათვის დამახასიათებელია ერთი მეტად საინტერესო და რთული პროცესი. ადგილი აქვს ასიმილაციისა და დისიმილაციის მოქმედებას ერთდროულად: პრევერბისეული ა ელემენტი ემსგავსება ვნებითვის ე თავსართს და მიღებული ე-ს მოსდის შემდეგ დისიმილაცია.

<sup>1</sup> ამავე რიგისა უნდა იყოს ოა→უა, ოე→უე, უა→ვა კომპლექსების ტრითერთში გადასვლა, მაგრამ ამათ განვიხილავთ ბგერათმონაცულებოზში.

<sup>2</sup> აქედანაა გვარი კლდიაშვილი (←კლდეაშვილი), იქნებოდა საუთარი სახელი კლდია (←კლდეა), იქიდან წარმოიშვებოდა კლდიაშვილი გვარი.

გ ა + ე → გ ე ე → გოე: გიეწია, გიეგლიჯათ, გიემართა, გიეყოთ, გიელვიძა, გიექირა, გიეხარა, გიემგზავრენ, გიექანებოლა, გიეყინა, გიესროლათ, გიეჩინა, გიეწვალუბინათ, გიეკეთებინა, გიეგორებინათ...

ღ ა + ე → ღ ე ე → ღ ი ე: ღიექირა, ღიეგრისათ, ღიერღვიათ, ღიექცია, ღიეტევა, ღიეჩვევი, ღიეძინა, ღიედლო, ღიეფინათ, ღიესიზმრა, ღიეთანხმა, ღიექილა, ღიემართა, ღიებადა, ღიემკვიდრებინა, ღიესენი...

ჩ ა + ე → ჩ ე ე → ჩ ი ე: ჩიეკირება, ჩიეფლა, ჩიეგლიჯათ, ჩიეზარა (←ჩაებარებინა), ჩიეკვრათ, ჩიეყარა, ჩიეძინათ, ჩიედგეს, ჩიეკრა, ჩიეგდლო, ჩიელბო, ჩიერივნენ, ჩიეჯვდინა, ჩიესახა, ჩიეცემა...

წ ა + ე → წ ე ე → წ ი ე: წიეკრა, წიეყარებინათ, წიელო, წიეკითხა, წიეჩხუბა, წიეძრო, წიესევიან, წიესვლება, წიესხათ, წიესმარნენ, წიელოთ, წიეყვანა... ამავებედს იზიარებს შო ზმნისწინიანი ფორმებიც. აქაც ო ჯერ ემსგავსება ენებიოთის ე-ს და ვილბოთ ეჟ-ს, შემდეგ ხდება დისიმილაცია.

მ ო + ე → მ ე ე → მ ი ე: მიეწყო, მიეწყვიტა, მიეგლიჯა, მიეკლათ, მიემატა, მიეწონა, მიედგა, მიეწია, მიენზადა (←მოემზადა), მიექცა (←მოექცა), მიესმა (←მოესმა)...

მსგავსი პროცესი ხდება რთულ პრევერბებში: გ ა დ ა-, გ ა მ ო-, წ ა მ ო-, ჩ ა მ ო-, შ ე მ ო-. ჯერ ხდება ასიმილაციის რთული პროცესი, რომელზეც უკვე ვთქვით და შემდეგ მოსდევს დისიმილაცია.

გ ა დ ა + ე → გ ა დ ე ე → გ ე დ ე ე → გ ე დ ი ე: გედიეკილა, გედიედლოთ, გედიეხვივნენ, გედიეპნია, გედიეზნიქა, გედიელო, გედიერბინა, გედიეყოლებინა, გედიემძრახე (←დაელაპარაკე, გადაემზრახე)...

გ ა მ ო + ე → გ ა მ ე ე → გ ე მ ე ე → გ ე მ ი ე: გემიეღვიძა, გემიეჩინა, ელმიეჩინებინა, გემიეგლიჯა, გემიენაცნაურა, გემიექანდაკებინა, გემიეკილა, გემიეპარა, გემიეფქვა, გემიეყარა...

ჩ ა მ ო + ე → ჩ ა მ ე ე → ჩ ე მ ე ე → ჩ ე მ ი ე: ჩემიეგდლო, ჩემიეგზავნათ, ჩემიეხეტება, ჩემიეკილა, ჩემიემტერნენ, ჩემიეფხატა, ჩემიეტარებინათ, ჩემიეფარება, ჩემიენგრია, ჩემიეტია, ჩემიეპარა, ჩემიეტება...

წ ა მ ო + ე → წ ა მ ე ე → წ ე მ ე ე → წ ე მ ი ე: წემიეწვივნენ, წემიეკილა, წემიეჩხიროს, წემიელო, წემიესარჩლება, წემიეფინება, წემიესხმით, წემიეყვანა, წემიეპარა, წემიეგლიჯოს, წემიეხმარა, წემიეგლიჯა.

შ ე მ ო + ე → შ ე მ ე ე → შ ე მ ი ე: შემიერტყა, შემიეკლა, შემიეხვია, შემიეყარა, შემიესივნენ, შემიეფარა, შემიეთვალათ, შემიელავა.

ერთდროული ასიმილაცია-დისიმილაციის თითქმის ყველა შემთხვევისას სუბიექტი დგას III პირში. I და II პირის ფორმები ვერ უხერხდება ზმნას, განურჩევლად იმისა, მარტივი იქნება პრევერბი თუ რთული. მაგალითად, გიეყვანა, გედიეყვანა... ჩვეულებრივია, მაგრამ სრულიად ვერ შეეხვდებით ასეთ ფორმებს: გიგეყვანა ან გიმეყვანა; გემიმეყვანა ან გემიგეყვანა... საკმარისია პრევერბისეულ და ვნებითის ე-ს შორის მოხდეს პირის ნიშნები: მ-, ვ-, გ-, გვ-, რომ დისიმილაცია არ მოხდეს. ასიმილაციის პროცესი კი სამსავე პირში ხდება (გემეყვანა, გეგეყვანა, გეეყვანა, გემემეყვანა, გემეგეყვანა, გემეგეყვანა, გემევეყვანა...).

შე — მარტივი ზმნისწინის დართვაც ენიანი ვნებითის ფორმებზე და ათავკედურიანი მოქმედებითი გვარის ზმნებზე იწვევს დისიმილაციას: შე + ე → შეეე → შიეე; შე + ა → შეეა → შიეა<sup>1</sup>. შეიშინდათ, შეიკითხა, შეიქრა, შეიყარა, შეიშალათ, შიადგეს, შიატყეს, შიეკრა, შიატრიალა, შიაფარა, შიაპარა, შიათავანს, შიედავა, შიაყვაროს, შიალამაზა...

ასიმილაცია-დისიმილაციის პროცესის შედეგია ჩვენებითი ნაცვალსახელებისა და ზმნიზედების სახეცვლილი ფორმები: იეს, იეგ, იემ, იექ, იეხლა. ჩვენებითი ნაწილაკი ა (ი)<sup>2</sup> ზმნიზედის ან ნაცვალსახელის ზმოვანთან მეზობლობაში ხდება შერწყმა. ჯერ ასიმილაციას განიცდის, ხშემდეგ კი დისიმილაციას: ა + ე → ეე → იე: აეგ → ეეგ → იეგ, აეს → ეეს → იეს, აეხლა → ეეხლა → იეხლა. რაც შეეხება ი ე მ და ი ე ქ ფორმებს, ეგ, ეს ჩვენებითი ნაცვალსახელების ანალოგიით იხმარება პარალელურად ემ და ექ სახითაც. ნაცვლად ამ და ა ქ. ამიტომ აქაც ემ და ექ ფორმებს უნდა დართოდა ა და მივიღეთ: აემ → იემ, აექ → ეექ → იექ (ჯავახურში ხშირად გაიგონებთ ასეთ გამოთქმასაც: „ემ კაც უთხარ, გაჩერდეს“, „ემ ბიჭისთუნ მინდოდა“, „ექ მოდი...“)

იეს, იემ, იემ, იექ, იეხლა ფორმები იხმარება აგრეთვე მთის კი-

<sup>1</sup> შე — ზმნისწინის შესახებ იხილეთ იმერხეული.

<sup>2</sup> ეგ, ეს, ემ, ექ ფორმებს უნდა დართოდა ა ჩვენებითი ნაწილაკი და არა ან. თავდაპირველი მაინც ა არის, „აი“ უნდა მომდინარეობდეს „აის“-საგან. მესამე პირის ჩვენებით ნაცვალსახელთან შეერწყა და შემდეგ დაიკარგა ხ თანხმოვანი, დაგვრჩა „აი“. შეიძლება გვევარაუდათ აი-ს დართვაც, მაგრამ შემდეგ ი უნდა დაკარგულიყო, რაც ძნელი დასაჯერებელია, თუ ა-ს დაკარგვას ვივარაუდებთ, მაშინ აუხსნელი რჩება ეეგ, ეეს, ეემ, ეექ.

ლოებში<sup>1</sup>. იქნებ ამ პროცესით აიხსნას „ეუბნება“ ზმნის თავისებური ფორმით ხმარება ჯავახურში. ეს ზმნა სამი ფორმით იხმარება: ე უ ბ ნ ე ვ ა , ი ე ბ ნ ე ვ ა და ე ბ ნ ე ვ ა (←ებნევა ← იებნევა ← ეებნევა ← ეუბნევა ← ეუბნება).

ამავე რიგისაა მრავლობითი რიცხვის „ეზ სუფიქსის დართვისას ა და ე ბოლოხმოვნიან სახელთაგან წარმომდგარი მრავლობითი რიცხვის ფორმები: მთიები (← მ თ ა + ე ბ ი → მთეები → მთიები), თხიები, ძმიები, დიები, ტბიები, ფთიები, ტყიები, გზიები, ჭიები (← ჭ ა ე ბ ი), ეგეები, რამიები, ესიები, რიები, სხიები, მაგიები<sup>2</sup>...

ე თ ე ბ → ი ე ბ: კლდეები → კლდეები, მეხრეები → მეხრიები, მეცხვარეები → მეცხვრეები → მეცხვრიები ... ა-ზე გათავებულ სახელებზე უნდა შევნიშნოთ, რომ არის ასეთი ფორმებიც: ტბეები, რამეები, რეები, მაგეები..., მაგრამ საკმარისია ორი და მეტმარცვლიანი იყოს სახელი (ა-ზე დაბოლოებული კვეცადი სახელები იგულისხმება), რომ ი ე ბ -ს კი არ მივიღებთ, ჩვეულებრივი -ებ დაგვრჩება, მაგრამ ა ბოლო ხმოვანი მოეკვეცება (მაგალითად, დედა—დედეები). აქ სიტყვის მარცვლიანობა უნდა თამაშობდეს როლს. -ებ ფორმატი კი არ კვეცს ფუძის ბოლოკიდურ ა-ს, არამედ იმსგავსებს, აქვევს ე-დ და შერე ხდება დისიმილაცია. თუ ასეთი ვარაუდი არასწორია, რატომ არ გვაქვს ასეთი ფორმები: დედეები, მამიები, ჭალიები... არამედ არის მამები, დედეები, ჭალები... ე-ზე დაბოლოებულ სახელებთან კი -ებებ გვაძლევს -იებ-ს განურჩევლად იმისა, რამდენმარცვლიანი იქნება სიტყვა.

ი-ებ-ი გვხვდება თანხმოვანზე გათავებულ ერთმარცვლოვან ფუძეკუმშვად სახელებთანაც. მაგალითები: ცხვრიები, გლიები (-მკელი), რძლიები, კვლიები (-კვალი), ბლიები (-ბალი), ხმლიები, ძვლიები, მხრიები, ჩვრიები, წლიები (-წელიწადი), ღვდლიები... მაგრამ ჯავახურისათვის უცხოა: გველიები, ჯარიები, ქარიები, გოდრიები, ფოთლიები, ქათმიები, სომხიები და სხვა.

თანხმოვანზე გათავებულ ერთმარცვლიან ფუძეკუმშვად სახელებთან იებ კომპლექსის მიღება მრავლობითის წარმოებისას შეიძლებოდა

<sup>1</sup> ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული კილოები მთაში, „კრებული“, პეტროგრადის უნივერსიტეტის ქართულ სტუდენტთა სამეცნიერო წრის გამოცემა ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ე ი ლ ი ს რედაქციით, გვ. 191—201.

<sup>2</sup> რეგრესული დისიმილაციის მსგავსი შემთხვევები გვაქვს ინგოლოურში. იხ. გ. ი მ ნ ა ი შ ე ი ლ ი, ქართული ენის ინგოლოური დიალექტის თავისებურებანი, გვ. 47—49.

ხმოვანფუძიანი ერთმარცვლიანი ფუძეკვეცადი სახელების ანალოგიის შედეგად მიგვეჩნია, რომ იგი გავრცელებულიყო თანხმოვანფუძიან ერთმარცვლიან უკუმშველ სახელებზეც, რადგან ასე არ ხდება, ამიტომ უფრო სწორი იქნებოდა გვეფიქრა შემდეგი: ფუძეკუმშვად ერთმარცვლიან სახელებში მრავლობით რიცხვში ფუძისეული ხმოვანი (ა, ე) კი არ შეიკუმშა, არამედ გადაისვა მრავლობითის ე ხმოვანთან და შექმნა კომპლექსი — აე ან ეე, რის შედეგად მივიღეთ კვლავ იე (მაგალითები: ცხვარები → ცხვრაები → ცხვრეები → ცხვრიები, მგლეები → მგლეები, ჩვრაები → ჩვრეები → ჩვრიები...).

ბრევერბთა დისიმილაციის ანალოგიური ფორმები და სხვა შემთხვევებიც ახასიათებთ დასავლურ კილოებს: გურულს<sup>1</sup>, აქარულს<sup>2</sup>, მთარაქულს<sup>3</sup> და აღმოსავლური კილოებიდან — მესხურს<sup>4</sup>.

4. ~~მეტათეზისი~~ მეტათეზისი ჯავახურში, მსგავსად ქართლურისა და კახურისა, უფრო ნარნარა და ცხვირისმიერ თანხმოვნებს ახასიათებს. ადგილი აქვს მარტივსა და საურთიერთო, კონტაქტურსა და დისტანციურ ბგერათგადასმას.

ა) რ და ლ ადგილებს იცვლიან დისტანციურად ასეთ ფორმებში: რულჯი, ცალიერა//ცალიერი, სურიელი, რალები (-ლარები, ტოპ.), მლავარჯერ (-მრავალჯერ), კულნარობა (-მკურნალობა), ათვარიელამს (-ათვალიერებს), ყვერიელში (-ყველიერში), ხერძალი (-ხელძარი), ხერტალი (-ხელტარი), მლავარქამიერი, ლეარძალა (მრავალძარღვა), რავლენტაი (-ლავრენტაი), ხორველა ← ხოლერა (ვინი განვითარებულია), ძრიელ // ძრიან // ძიენ, ელუსარემი ← ერუსალიმი, ლივერი //ლივეორი (-რევილვერი), ძიენ მიღებულია ასე: ჯერ ლ და რ იცვლის ადგილებს, შემდეგ ლ იქცევა სიტყვის ბოლოს ნ ა რ ა დ, ხოლო რ იკარგება.

ბ) ა დ გ ი ლ ე ბ ს ი ც ვ ლ ი ს ლ, ნ და რ, ვ სიტყვებში: ამინარი, მაგრაინი, ბანალი, ბლენა, ლენა (-ნელა), საბელნავე //საბელნავეები ← საბნელაოები (ტოპ.), რულან (-ნულარ), ურაგინი (-უნაგირი), ლოდრანა (←ლოდნარა, ლოდნარი. ტოპ.), კოჭრანა

<sup>1</sup> ს. ე ლ ე ნ ტ ი, გურული კილო, თბილისი, 1936, გვ. 51.

<sup>2</sup> ჯ. ნ ო ლ ა ი დ ე ლ ი, დასახ. შრომა, გვ. 8.

<sup>3</sup> შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, ქართული ენის მთარაქულის დიალ. ძირითადი თავისებ. ენიმიკის მოამბე, თბილისი, 1938, II, გვ. 72.

<sup>4</sup> შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, მესხური დიალექტის აღწერითი ანალიზი, გვ. 241—242.

(←ქოქნარა, ქოქნარი, ტოპ.)<sup>1</sup>, ნებალი (←ლუბანი), ბერნილი, გარნი-  
გი (←განრიგი), ვირადინამ (←ვინადირამ ←ვინადირებ), ნავხოთ  
(←ენახოთ ასე ხმარობენ აფნიასა და საროში), მავლით (←მალვით),  
ნევი (←აქედან: მანევრიანებს), ლურბელი, დგმოიერობა//დგომიერო-  
ბა (←მდგომარეობა), დამცრიეება (←დამცირება).

გ) ა რ ი ს შ ე მ თ ხ ვ ე ვ ე ბ ი კ ო ნ ტ ა ქ ტ უ რ ი გ ა დ ა ს -  
მ ი ს ა: მახსარა (მასხარა), ნუხსა (←ნუხსა), ახსია (←ახსია),  
მოსხნა (←მოხსნა), ემგზავსება (←ემგზავსება ←ემსგავსება), ლეს-  
კი ←ლესკი ←ლექსი), ვასკი (←ვასქი ←ვაქსი), შხირათ (←შში-  
რად), დამბა (←დამბა, ასევეა მისგან ნაწარმოებ ფორმებში), ქბილი  
←ფქვილი (ხიზაბავრა), ფეხშუნი (←ფეხშუმი), ხვანი (←ხახვი)-  
ფხო (←ხფა ← ხბო)...  
დ) მეტათეზისის სხვა შემთხვევებიდან აღსანიშნავია: ტაბანჩა  
(←დამბაჩა), სირონი (←სინორი, თურქ. მიჯნა, საზღვარი), გაფსუ-  
თავება (← გასუფთავება), წინააღმდეგი (←წინააღმდეგი), ავლადგენ  
(←აღვადგენ), ლულულა (←ლულულა), გაგიჯვარდება (← გა-  
გიჯვარდება), სამლოთ ←საღმრთო (-ზვარაკი), ლელეფი (-ლელეფი),  
ტიტელა (←ტიტველა), რღმა (←ღრმა), შეკმაზული (←შეკაზმუ-  
ლი, აქედან: ნაკმაზი ← ნაკაზმი), ზუკიანი (←ჯუზიანი), ევაკა (←ეკა-  
ვა, „ახალქალაქი თათარ ე ვ ა კ ა“), ნიჯორი (←ნიჯგორი), მასკუ-  
ან (←მასუქან), ზრიზა/ზირზა (←რაზა), გადაზრიზული//გადაზრე-  
ზული (← გადარაზული), გადამხენდია (←გადამხდენია, შღრ. შეხვ-  
დერიხარ ← შეხვედერიხარ, რომელიც ხაშურის საღვურში გავიგო-  
ნე); დვრეება (ღრვიება ←ღრუება ←ღროება), ამავე რიგისაა:  
სანხედვრეები ←სამხედროები და ანგვრიაშს (← აგროვებს).

როგორც მაგალითები გვიჩვენებს, ჯავახურში ბგერათგადასმას  
ფართო ხასიათი აქვს. ზემოთ განხილულ პროცესს ზოგად საფუძვლად  
მეტყველების ფსიქოლოგიური ყოფის სამყარო, კერძოდ, მეტყველე-  
ბის ფიზიოლოგია უდევს საფუძვლად.<sup>2</sup> აქ განხილული მაგალითების  
უმრავლესობა მოიპოვება ქართული ენის სხვა კილოებშიც, კერძოდ,  
ქართლულსა<sup>3</sup> და კახურში<sup>4</sup>. სხვა კილოებისათვის დამახასიათებელ

<sup>1</sup> ლორდნა და ქოქრანა ადგილის სახელებია სოფ. ჩენჩხის ხრამში. პირველი  
ნიშნავს ღიდ ლოდებიან ადგილს, მეორე ჰქვია ფშას (ქოქიანს). ჯავახურში „ფშას“  
არ ამბობენ: „ფშანს“ იტყვიან. მრავლობითი რიცხვის ფორმა (ფშ-ან-ი) ფუძელაა ვა-  
გებული. მას ერთეის-ებ: ფშნები. რაც შეეხება „ლოდნარა“, „ქოქნარა“ ფორმებში  
ა მწარმოებელია გეოგრაფიული სახელისა.

<sup>2</sup> ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, გარე-კახური დალექტოლოგიურად, გვ. 71—72.

<sup>3</sup> ე. თ ო ფ უ რ ი ა, ქართლური, გვ. 131.

<sup>4</sup> ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, დასახ. შრომა, გვ. 71.



ფორმებს თუ არ მივიღებთ მხედველობაში, წ ა გ ა ხ უ რ ი ს ა ე ი ს პ ი რ ო ბ ი თ ა დ ს პ ე ც ი ფ ი კ უ რ ი შ ე ი ძ ლ ე ბ ა დ ა რ - ჩ ე ს ფ ო რ მ ე ბ ი : ნ ი გ ჯ ო რ ი , ზ რ ი ზ ა / ზ ი რ ზ ა , ზ უ კ ი - ა ნ ი , ე ვ ა კ ა (←ეკავა), მ ა ს კ უ ა ნ , ღ ვ ლ ე ფ ი .

5. რედუქცია. ფუძისეული ხმოვანი ეკუმშვის და ეკვეცება ზოგჯერ ისეთ სახელებს, რომლებიც საერთოდ არ განიცდიან რედუქციას. ფუძის ერთდროული კუმშვა-კვეცა მოუღის სახელებს: ფამფარა, ქოფანა, ჯამბარა, ქანდარა, მეცხვარე.

ფ ა მ ფ ა რ ა - ფ ა მ ფ რ ი ს (ერთგვარი მინდვრის მცენარე, იკმევა: „ფამფრის კვეი ხასია (რბილი და გაწევილია)“. ქ ო ფ ა ნ ა - ქ ო ფ ნ ი ს (ლოღზე ბუნებრივი ფუნე, ღრუ: „ქოფნის წყალი დამილევია“). ჯ ა მ ბ ა რ ა - ჯ ა მ ბ რ ი ს (ლორღის გუთანთან მაერთებელი ჯაჭვი. „ჯამბირის როგოლი გაწყდა“). ქ ა ნ დ ა რ ა - ქ ა ნ დ რ ი ს („ქანდარის თავი ჩამოვარდნილია“; ქანდარას ეძახიან შინაურ ფრინველთა, კერძოდ, ქათმების სასხდომ ლატანს). მ ე ც ხ ვ ა რ ე - მ ე ც ხ ვ რ ი ს . მსგავსად მოყვრისა ეს ფორმა კუმშვად-კვეცადია: მეცხვრი ძაღლი, მეცხვრიები.

ფუძისეული ხმოვანი ეკუმშება სიტყვა „ხორომს“, რომელიც ნიშნავს თივის შეკვრას, კონას: ხ ო რ მ ი ს თ ი ვ ა . „ხუთ ხ ო რ მ ა დ ვ ი ყ ი დ ე“ და სხვა. ამ სიტყვას კავშირი უნდა ჰქონდეს ბერძნულ ხორუმთან<sup>1</sup>. ფუძისეულ ე-ს ჰკარგავს ნ ა ღ ე ბ ი : „ნაღბის კარაქი კარგია“. „ნ ა ღ ბ ი ს გ ე მ ო ა რ ი ც ი ს“. ერთ-ერთ ფრაზაში იკუმშვის „გველი“. „გელის წიწილივით გაგივალამ (ქ←გაგიქექყავ) თავსო“. სიტყვა „ღვინოს“ მსგავსად ბოლოკიდური ო ეკვეცება სიტყვა ხელოჩოს, რომელიც „ხელეჩოდან“ ასიმბილატიით მიღებული ფორმაა. „ხელოჩის ტარი“. „ხელოჩით გაუტეხა თავი“. „ხელოჩით გათალა“, „ხელოჩის ხმარება არ იცის“ და სხვა.

ფუძისეული ხმოვნების რედუქციის სხვა შემთხვევებიც გვაქვს. მაგალითები: აფრია (←აფარია), აბრია (←აბარია). ეს ორი ფორმა ასეა I და III სერიის ყველა მწკრივში და ორივე რიცხვში: პატრა (←პატარა), უზნი (←უზანი), იფნი (←იფანი), კეკლო (←კეკლო), ლაზრო (←ლაზარე), ბაბლე (←ბარბარე), გარნო (შდრ. გარან საკუთარი სახელი მამაკაცისა).

<sup>1</sup> ეს სიტყვა ბერძნული კი არა წინარებერძნული მოსახლეობისაგან უნდა შეეთვისებინათ ბერძნებს. ქართულში გვაქვს კიდევ „ხორუმისა“ და „ხორომის“ გარდა „ხროვა“, რომელშიც ო ხმოვანი აღდგება—„ხოროვა“. სამივე სიტყვაში კრებულა, შეკვრა, გროვა იგულისხმება.

რედუქციის კანონს ქართველურ ენებში სპეციალური გამოკვლევა უძღვნა ვ. თოფურიამ. გამოკვლევაში აღნიშნულია, რომ ძველ ქართულში რედუქცია უფრო მოქმედი იყო, ვიდრე ახლა. ძველ ქართულში რედუქციას იწვევდა როგორც ბოლოსართი ხმოვანი, ისე თავსართისეულიც<sup>1</sup>.

რედუქციის მხრივ ქართულ კილოებში ერთნაირი მდგომარეობა არაა. ცოცხალ კილოებში რედუქცია უფრო ცხოველია აღმოსავლურ ჯგუფში, ხოლო დასავლურში შესუსტებული და გამქარალა<sup>2</sup>.

6. ბგერის დაკარგვა. ბგერის დაკარგვის მთავარი მიზეზია რამდენიმე თანხმოვნის თავმოყრა. ერთი და იგივე ბგერა შეიძლება ერთ შემთხვევაში ლაკარგოს, სხვა შემთხვევაში კი ჩაემატოს. ამ მხრივ ჯავახური მისდევს ქართულს.

ა) ს ა ნ ი ს დ ა კ ა რ გ ვ ა. ამ ბგერის დაკარგვა დასტურდება სხვა კილოებშიც (კერძოდ, ქართულში, მესხურსა და კახურში). სანი იკარგვის სტ კომპლექსში: ტამბოლი, ტაქანი, ტაფილო, ტოლზე, ტახანოველი, ტრაქნიკი, ტალინი, ტეფოი (-სტეფანე)... მარტივდება სწ კომპლექსიც: წორეთ, წრაფათ, წავლაში... მარტივდება სპ: პილენძი, პილო, პეცია (-სპეცია)... სანი იკარგება მაშინაც, როცა მსაზღვრელი მართულია (ნათ. ბრუნევაში) და წინ უსწრებს საზღვრულს, მაგრამ განსაკუთრებით არ ჩანს იგი მაშინ, როცა მსაზღვრელ-საზღვრული კომპოზიტია და სწრაფვა აქვს კომპოზიტობისაკენ<sup>3</sup>.

მართულ მსაზღვრელს ს ა ნ ი არა აქვს მაგალითებში: წინდი ჩხირი, ძროხი რძე, თონი პური, ჭანჭური ხმელი, საბნი პირი, კატიცხვირა (კატის ცხვირა, ტოპ.), ხარი რქა, ჩიტი რძე, თოვლი კაცი... სანი იკარგვის კ ო მ პ ო ზ ი ტ ე ბ შ ი : ხატითავი (ტოპ.), ხარიკულა (ბალახ.), ყანიმუშაობა, ძიკორკოტა (←რძის კორკოტა), ძიქვა (←რძის ქვა), ძიფუა (-რძის ფუა)... -თან და -თვის თანდებულების წინ: ცხეთან, შაპითან, კაცითუნ, თედორათუნ, მაგითანა, ქვითინ...

ორ მაგალათში ფუძისეული ს ა ნ ი გავებულია ბრუნვის ნიშნისეულად და დაკარგულა: თბილიში, ყარში (-ყარსში), რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში ს ა ნ ი ს დაკარგვაში თანდებულისეულ შ-ს მიუძღვის ღვაწლი. ს ა ნ ი იკარგვის აგრეთვე მიცემითის მაგიერ ნათე-

<sup>1</sup> ვ. თოფურია, რედუქციისათვის ქართველურ ენებში, იბერ. კავასური ენათმც. I, 1946, გვ. 77.

<sup>2</sup> ა. შანიძე, წელიწადის ეტიმოლოგიისათვის, „წელიწადელი“, 1, 11, თბილისი, 1923—1924, გვ. 11.

<sup>3</sup> ჩვეულებრივ მართულ მსაზღვრელსა და ხმოვანზე გათავებულ სახელებს ს ა ნ ი უფრო ხშირად ჰაედ ეცელება.

საობით ბრუნვაში დასმულ სახელებში, როცა მათ ახლავს ზმნიზედები თანდებულების ნაცვლად: სასლი ქვეშ, კედლი წინ, საყდრი იქით, საქვი (-ქვის საწოლი) ქვეშ, ხერთვისი ქვევით, ასპინძი ზეიდან... პარალელურად იხმარება ამ ფორმებში ს ა ნ ი ს დაკარგვის გარდამავალი საფეხური ჰ ა ე.

ს ა ნ ი გაუჩინარებულა ხმოვანზე გათავებულ მსაზღვრელებთან უფრო მეტად საკუთარსა და ტოპონიმიკურ სახელებში, რაც სწორი ხმარების შედეგია. ს ა კ უ თ ა რ ს ა ხ ე ლ ე ბ შ ი : სოსანა ქალი, ფილა შვილი, ლილა რძალი, ქამალა ბიჭი, მარკოზა გოგო, ერსიმე ცოლი... ტ ო პ ო ნ ი მ ი კ უ რ ს ა ხ ე ლ ე ბ შ ი : გარსაგუბე, ბაღდუა გოხი, ოქრო ქუა, ბეჟოლარები, სარო ხევი, პეტრიჭლა, ლობიო ხე, საბუხევი, აბანო გოხი, კუქუთაფი, წვრილა ბუნე, ფილიპე კაკლები, ხატითაფი, ძერი-ბუდიები... ეს ყველა მსაზღვრელ-საზღვრული უკვე კომპოზიტადაა გაკებული. ისინი ცალ-ცალკე არ გამოითქმის.

ს სუფიქსი იკარგვის მიცემით ბრუნვაშიც ბ ო ლ ო თ ა ნ ხ მ ო ვ ნ ი ა ნ ს ა ხ ე ლ ე ბ თ ა ნ, იქნება ეს მიცემითი შემასმენლის წინ თუ უკან<sup>1</sup>. მაგალითები: „კაც უთხრეს“, „გლებ ჯილა ეზა“, „სირი ღურგალ ერგო“, „ამ ქალ უქვირდა“, „ხელი სტაცა ამ კაც“. ზ მ ნ ი ზ ე დ ე ბ შ ი : „ძირ ჩამოაგდო“, „დიდხან გაჩერდა“, „ახლო მოდი“, „შორ წასულა“... მიმართულების აღმნიშვნელ ს ა ხ ე ლ ე ბ შ ი : „თოჯ გასულა“, „ახალქალაქ მიდიოდა“, „გოგაშენ წავედი“... ს ა ნ ი ქრება ზოგიერთ ზმნაში: მაქ, გაქ, აქ; წევ, ჰყავ, (ს) დია, მიცა, დგა, მიმაქ, მომაქ... ჩვენებითი ნაცვალსახელ ეს, ის გამარტივებულია ე, ი-დ: „ი ქალიშვილმა უთხრა: „ე ფული ეფრემთან გავატანევი“. „ე ჩიტი დაიჭირა“. „ი კაცი დაუძახა“...

ხიზაბავრის მეტყველებაში ეს და ის ჩვენებითი ნაცვალსახელები ზოგჯერ ჰეს და ჰის სახითაცაა (იხ. ხმოვანთა ფშენივიერი შემართვა). განხილულმა მაგალითებმა დაგვანახვა, რომ ჯავახური მიდის ს ა ნ ი ს დაკარგვის ასეთი საფეხურით: „ჯერ ს ა ნ ი ს ჰ ა ე თ ი შეცვლა და მერე ჰ ა ე ს დაკარგვა, ქართლურში კი ს ა ნ ი იცვლება მს კომპლექსით, მერე უჩინარდება თვითონ, რჩება მ. ბოლოს ესეც იკარგება. ქართლურის მსგავსი საფეხურით ს ა ნ ი იკარგვის კახურსა<sup>2</sup> და მესხურში<sup>3</sup>.

<sup>1</sup> ე. თ ო ფ უ რ ი ა, ქართლური, გვ. 130—133.

<sup>2</sup> ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ე ა, გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად, გვ. 75.

<sup>3</sup> შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, მესხური დიალექტის აღწერითი ანალიზი, გვ. 245.

ბ) რ იკარგვის მაშინ, როცა ის თანხმოდანთა შორის არის მოქცეული და მაშინაც, როცა თანხმოდანშეყრილი სიტყვის თავკიდური ბგერაა. უფორმო სიტყვებში კი სიტყვის ბოლოში იკარგება. ს ი ტ ყ ვ ი ს თ ა ვ შ ი : ძალი (-რძალი), ბილი (-რბილი), კალი (-რკალი), ძიკორკოტა (-რძის კორკოტა, შექამადია), ძიფურა (-რძის ფურა, ასევე შექამადია), ძიქუა (-რძის ქუა), წყილი, ქიები (-რქიები)... ს ი ტ ყ ვ ი ს შ უ ა შ ი : ბძანება, პტყელი, ჯანმთელი, ქინახული, გვალი (-მრგვალი), ნაღძობი (-ნაღრძობი), ფთა, ფანა (-ფარნა. შემოკლებული სახე ფარნაოზისა), თეთატოლი (-თეთრატოლა), წყდა (-წყრთა), სუსათი (-სურსათი), აჯლით (-არჯლით), მალა (←მართლა, ჯერ იკარგვის თ და შემდეგ რ. ასეთი ფორმები იშვიათია, მაგრამ მაინც გვხვდება)... უ ფ ო რ მ ო ს ი ტ ყ ვ ე ბ შ ი : როგო//რავო, რავოი (←როგორი), აგე (←აგერ)... რაე მოკვეცილია -ებრ თანდებულთან. იგი (-ებრ) იხმარება გამარტივებული სახით ყოველთვის: კაცისიებ (←კაცისებრ ← ←კაცისაებრ), ცხენისიებ (ცხენისებრ ← ცხენისაებრ), გლისიებ, მზისიებ, თხისიებ, ძმისიებ, დედისიებ...

გ) გ ა ვ რ ც ე ლ ე ბ უ ლ ი ა მ ა ნ ი ს და კ ა რ გ ვ ა . მანი იკარგვის განსაკუთრებით სიტყვის თავში: არსებითსა და ზედსართავ სახელებში, ზოგჯერ ზმნიზედებშიც. ხშირია მიმლეობის მ ა ნ ი ს დაკარგვის შემთხვევებიც. ს ა ხ ე ლ ე ბ ს ა და ზ მ ნ ი ზ ე დ ე ბ შ ი : გელი, გვალი, სუქანი, თელი, კლავი, ტყუარი, ტევანი, ტრედი, თა, ყულრო, წყემსი, წყერი, ქლე, წიფე, ღვდელი, ჟავე, თავრობა, თლათ, ხეცი<sup>1</sup>... მ ი მ ღ ე ო ბ ე ბ შ ი : თერალი, კვდარი, შიშირა, შიერი, ყფარი, ძინარე, დულარე, წერალი, თავარი, დიდარე ... წარე... მ ა ნ ი დაკარგულია უ ფ ო რ მ ო ს ი ტ ყ ვ ე ბ შ ი : რო (-რომ), ხო (-ხომ), რატო (-რატომ), ამიტო, თორე, მაგრა...

მ ა ნ ი ს დაკარგვის შესახებ ვ. თ ო ფ უ რ ი ა შენიშნავს, რომ -ელ, -ალ, -ავ და -არ-ზე დაბოლოებული სახელებთან მოსალოდნელია მ ა ნ ი ს დაკარგვასთან კი არ გვქონდეს საქმე, არამედ ქართველურ ენების გაყოფამდელი ვითარება შეიძლება იყოს შენარჩუნებული დიალექტებში. ისეთ სიტყვებს, როგორიცაა: მკლავი, მხალი, მგელი:.. მიმლეობათა მანის ანალოგიით ჯერ გასჩენიათ და მერე დაუკარგავთ<sup>2</sup>...

დ) ვ ი ნ ი იკარგვის არა მარტო მაშინ, როცა იგი პირის ნიშანია და პირის ნიშნად მოსალოდნელია სასხვისო ქცევის უ ხ მოვნით დაწყე-

<sup>1</sup> აქ შესაძლებელია ძველი ფორმა იყოს შემონახული. სვანეთში ეს სიტყვა უმა-ნოდ იხმარება (შდ. კეც) და ნიშნავს „ღვეს“. კეცარ—ღვეები.

<sup>2</sup> ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ქართლური, გვ. 134.

ბულ ზმნებში, არამედ **ო**, **უ** და **ე** ხმოვნებთან მეზობლობაში და რიგ სხვა შემთხვევაშიც. ვ ი ნ ი არ ჩანს უ ნ ი ს წინ: „მე ვერაფერი უთხარო — უთხრა მამამ“, „... დიდებულო ხენწიფე, არ ვიცით: უპასუხეთ ჩვენ“, „ამაჰ სუ კაკალინა უყარო“. „უთვალეთ უთვალეთ (ჩვენ), არ ამოვიდა?“... ვ ი ნ ი არ ისმის ზმნაში ნახოთ (-ვნახოთ): „გათენდა დილა, ნახოთ, რო ხენწიფი შვილი დაიარება“. „ერთიც ნახოთ, რო ეჰ პერესიია გამოჩნდა“, „მოვიდა ახლო, ნახოთ, რო ეჰ კაცი ტირის“...

ვ ი ნ ი ამოღებულია ცალკეულ შემთხვევებში: ნეტაი, რეული, მამყვით, ზედათმოგი, პალე, ნახეი, კერთულელი (← კევრთულელი): თქენ, ჩენ (ხიზბავრა), უშონე (-უშოვნე), მოუა (-მოუვა), დალოცილი, სხმოიარე, მუჟუნენ (-მოჟვიდნენ), მუალ(-მოვალ), მუა (-მოვა), მოიდა (-მოვიდა, ხოსპიო)... მოიდა ფორმის პარალელურად სხვა სოფელში (-კოთელია) იხმარება მოვდა, მივდა. თასაკრავე(-თავსაკრავე)...

„მ ო ვ დ ა“ და „მ ი ვ დ ა“ ფორმების ხმარება ერთხელ კიდევ გვიჩვენებს, რომ ჯავახურში, ერთი მხრივ, დასავლური კილოებისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი პროცესი გვხვდება (გაცილებით ნაკლებად, ვიდრე მესხურში), მეორეს მხრივ, აღმოსავლური კილოების მოვლენები დასტურდება.

თ უ ვ ი ნ ი თ დაბოლოებული სიტყვის ფუძისაგან ნაწარმოებია უქონლობის ფორმა უ-ო აფიქსებით, მაშინ **ო**-ს წინ ფუძისეული ვ ი ნ ი იკარგვის. ასევე იკარგვის იგი, როცა თუმატური ნიშნისეულია და სხვათა სიტყვის **ო** მოუდის. მაგალითები: უკაო (-უკავო), უკრაო (-უკრაეო), უსაკლაო (-უსაკლაეო), უსაკრაოთ (-უსაკრაეოლ), უცხაოთ (-უცხავოლ)... ნუ აპნეო, ვის აძლეო, რა ართმეო...

თუ -ევ სუფიქსთან ზმნებს კონტაქტის ნიშანი -ინ დაერთვის, მაშინ ვ ი ნ ი დაიკარგება: დაანგრეინე, აქნეინა, მომაწეინე, დაუყრეინე-ბია, დავახეინე...

ე) გვაქვს ცალკეული შემთხვევები **ლ ა ს ი ს** დაკარგვისა: ხომე, სახში, ხემძღვანელი, ხენწიფე, სუ, თოვცყაპი, ქაო (-ქალო, სოფ. ზედათმოკვი), ტოლვილი (-ლტოლვილი), ხემანდილი, თაფს („ველურ თაფს ქამდა“), თოვში... სახში, თოვში, თაფს ფორმებში მხოლოდ მაშინ იკარგვის **ლ ა ს ი**, როცა თანხმოვნით დაწყებული სუფიქსი ან თანდებული ერთვის მათ. მაგრამ რატომ არ იკარგება სხვა რომელიმე თანხმოვანი და მხოლოდ **ლ ა ს ი**? შესაძლებელია იმიტომ, რომ მისი დაკარგვით სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა არ ბნელდება.

თანხმოვანთა დაკარგვის სხვა შემთხვევები: საწინაამდეგო, ამო-

სავლეთი, ასადგენი, მერთმანი, ძირფესვიან (ად), ქარქაშიან (ად). სოფ. ხიზაბავრაში წარმომავლობის სახელებს ეკარგება თ მაწარმოებელი: ტატურა (თ) ტეფოი, პოსო (თ) ვანეი, დათა (თ) სინოი...

ფორმა „თანკედარი“ მიღებულია „თავკედარისაგან“. ჯერ დაკარგულია მიმღობის მ ა ნ ი, დარჩებოდა თავკედარი, მერე მომხდარა ვინის შეცვლა დისიმილაციურად ნარით. ორი ფორმით იხმარება. პირველ მაგალითში ამოღებულია ი, ხოლო მეორეში ნ ა - რ ი გაუჩინარებულა. არის ცალკეული შემთხვევა, როცა სიტყვა „მართლა“ იხმარება მალლა // მალას სახით. აქ ჯერ დაკარგულა თ ა ნ ი, დარჩენილა მარლა, ხოლო შემდეგ მომხდარა ასიმილაცია და მიღებულია „მალლა“. ზოგჯერ იხმარება მ ა ლ ა ც.

3) ნაკლებად, მაგრამ მაინც არის ხმოვანთა დაკარგვის შემთხვევები: ი ნ ი ამოღებულია ასეთ ფორმებში. წავდა, მოვდა, გავქეციო, შერი (-მშიერი), შეეტანებინა ← შეეტავინებინა ← შეეტანინებინა, პრუტი (←პრიუტი „приот“), წელწადი, ილკოი (ილიკოი), ორმანები (←ორმოიანები. აქ დაკარგულია ბოლოკიდური თ-ც), ცარელა, გაურები (←გიაურები), ტყული // გატყულამს // გატყულა (←გატყუილებს)... უჩინარდება ზოგჯერ ე-ც: იქნით (←იქენით. „რა იქნით, ბიჭო!“), მოკეთში (←მოკეთეში. „ადრე მოკეთეში ხშირად მივდიოდით“), ლიტენანტი, ადრევე, შუალამ, მეგრეთ (←მევერეთ ←მეორედ, აქ ო შეცვლილა ვე კომპლექსით, მერე დაკარგულა კომპლექსეული ე და დარჩენილა „მეგრეთ“ ფორმა)... რთული ზმნისწანი გ ა რ დ ა იხმარება გ ა დ ფორმით: გადმეგო („ნეტაი ფული მქონოდა, სუ მეგობრებზე გადმეგო“), „ფეხები გადუხლართა“, „კულზე გადუარა“, „გადუძრიათ თავზე“... როცა და — ზმნისწინი ერთვის საარვისო ქცევის მქონე ა პრეფიქსიან ზმნებს, აორისტში არ ისმის ა: „დარსეს ჯვარი“, „ტყვია დახალა“...

ბერის დაკარგვას ჰგავს გარეგნულად, მაგრამ ა-სა და უ-ს რედუქცია უნდა იყოს ასეთ მაგალითებში: „ტრედმა თავის სიარლითა (←სიალალით)<sup>1</sup> ერისალიმს კოში დადგა“, „რვა თვე ურმებში („ურუ-მებში „ბერძნებში“) ვიყავით“. „ახლა ნაკლები (←მხ. ნაკადი) კეთდება“. ოსპნაურები ← ოსპანაურები (ტოპ.).

<sup>1</sup> დოცენტ ი. მ ა ი ს უ რ ა ძ ე ს მესხურში ჩაუწერია ამ ლექსის ვარიანტი, რომელშიც ნახმარია სიალალითა (სიალალითა, ე. ი. ალალი შრომით). როგორც ჩანს ამ სიტყვაში მომხდარა ორი ლ-ს თავმოყრის გამო დისიმილაცია. ერთი ო ლქვა რ-დ-ამ პროცესში ა-ს დაკარგვას გარკვეული როლი უნდა ეთამაშა. აღნიშნულ ვარიანტზე ყურადღების მიქცევისათვის ი. მ ა ი ს უ რ ა ძ ე ს მ აღლობას მოვასხენებთ.

ბგერათა დაკარგვა ისე შორს მიდის, რომ ქრება არა მარტო თანხ-  
მოვანი ან ხმოვანი, არამედ რამდენიმე მარცვალ ან ზოგჯერ მთელი  
ძირიც სიტყვისა და რჩება მხოლოდ პრევერბები. მაგალითები: ამო  
(დი), გამო (დი), წამო (დი), ჩამო (დი), მამე (ცი), გაიტა (ნე), დაი-  
კა (რ), გადიბრუ(ნე), დაიქი (რე), გაია (რე), ექყი (რე), დაიცა  
(დე), დახეს (← დახედეს), გახეს (← გახედეს), გაუწი (ე), დაი-  
ხი (ე), მოიში (ე), გაიში (ე) გენა (ცვალე), გასცი (← გასწიე), ზი-  
დე (← ზიდედა, ასე ეძახიან ხიზაბავრას დედის ან მამის ძმას).

„უ ნ დ ა“ მეშველი ზმნა ისე მარტივდება, რომ ერწყმის წინა  
სიტყვას (მეტყველების ყველა ნაწილს). მაგალითები: „ამაჰ რამე'ნა  
(← რამე უნდა) აუტეხო“. „ჩემ ადგილ'ნა (-ადგილას უნდა) იმსა-  
ხუროვო“. „ე ჩიტი მე'ნა (← მე უნდა) დავაჰერინ'ონა (უნდა დავაჰე-  
რინო. უნდა ორჯერ არის ნახმარი: სახელთანაც და ზმნასთანაც).  
„სუ'ნა (სულ უნდა,) დავახოცინოს'ნაო“. „რაე'ნა (← რა უნდა) მე-  
ცოდინოს“. „რა'ნა (← რა უნდა) უთხრაჰ მაგაჰ კაცმა?“ „რა'ნდა (← რა  
უნდა) გემეგო იმიჰგან“. „რა'ლა ეთქვა“... „მიშას'ნა (← მიშას უნ-  
და) მუუცილო“. „იექ'ნა (← აქ უნდა) დავყარო?“ „ხუთშაბათ  
დღეს'ნა (← დღეს უნდა) გამოვიდესო“. „ცქვიტ-ცქვიტა'ნა“, „ცო-  
დო-მადლი გაირჩეს'ნა (← უნდა გაირჩეს) ორი ძმის კალოზე“. „მე-  
ხუთემი'ნა (← მე-5 კლასში უნდა) ყოფილიყო“. „მერე'ნა დაი-  
ტრაბახონ“. „ხეზე'ნა ავიდე“. „დიდ ქვისკენ'ნა გაუხვიო“. „ველარ'-  
ნა მოვასწროთ“. „ვაი'ნა (← ვაი უნდა) ვაძეხებირო“. „ბუხართან'ნა  
გაჩერდე“. „წქალში'ნა დააღბო“. „აკი'ნა (← აკი უნდა) წახვიდე?“  
„ან'ნა (ან უნდა) მამცე, ან'ნა მიყილო“. ზოგჯერ ზმნას ირიბი ნათქვა-  
მის ო-ს წინ ერთვის: „მე თითონ დავაწერინო'ნაო“ (← უნდა დავაწე-  
რინო), შემოუთვლია“. „ვინ'ნა (← ვინ უნდა) შალოს'ნაო (← უნ-  
და შალოს)“. „აქ'ნა ვთიბოთ'ნაო“...

ზოგი სოფლების (მაგალითად, კოთელია, ბალანთა) მეტყველებაში  
ნა იხმარება არა ზმნის ბოლოს, არამედ წინ: „ნა ჩავიდეს ბეჟანოში“  
„ნა სადმე წავიდე“, „ნა წამოვიყვანოვო“. „ნა დავწუროვო“. „ნა გქონ-

1 „უ ნ დ ა“ ზმნა აღნიშნული (ოთხივე ფორმით ვნა, ნდა, ნა, და) ჩაწერილი აქვს  
ი. მ ა ი ს უ რ ა ძ ე ს მესხურში. იხ. მისი მასალები მესხური ლექსიკიდან, ბათუმის  
პედინსტიტუტის შრომები, ტ. IV, 1954 წ., გვ. 82, მსგავსი ფორმები აღნუსხულია  
ქართულ დიალექტოლოგიაში. იხ. ი. გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი, ვ. თ ო ფ უ რ ი ა,   
ი. ვ. ქ ა ე თ ა რ ა ძ ე, ქართული დიალექტოლოგია, 1961. გვ. 357—374.

დეს ყველაფერი“. „ნა კარგა გააკეთებინო ხოლმე“... „უნდა“ ზმნა მსგავსი ფორმით იხმარება აჭარულში<sup>1</sup>.

დასასრულს, შევეხებით ბგერათა დისიმილაციური დაკარგვის ორ შემთხვევას: „ფ ე ხ შ ვ ე ლ ა“ და „პ ი რ ბ ა ნ ე ლ ა“, ფეხ-შველა ← ფეხშიშველა<sup>2</sup>. ამ შემთხვევაში მომხდარა რეგრესული დისიმილაცია, დისიმილატორია შ. დაკარგულა არამარტო ხმოვანი, არამედ თანხმოვანიც. მეორე შემთხვევაში (პირუბანელა) ამოვარდნილა უ ხმოვანი.

ერთ-ერთ გამოთქმაში „გ ა ტ ყ უ ლ ა“ (← გატყუილებს), ბიჭო, არ დაუჯერო“. ჯერ დაკარგულია ი ხმოვანი, შემდეგ თემის ნიშნის შ და ბოლოს სუბიექტის მესამე პირის ნიშანი ს-ც: გატყულა ← გატყულამს ← გატყუილებს. პარალელურად იხმარება „გატყვილა“ ფორმაც. აქ უ ნ ი შეცვლილია ვ ი ნ ი თ. ამიტომ ი ნ ი შემონახულია.

ხშირი ხმარებისაგან გაცვეთილა და შერწყმულა ფრაზა „რა ვიცი“, რომელიც ხშირად ნაწილაკის როლს ასრულებს: „რ ა ვ ი, სად წასულა“. „მე რ ა ვ ი, რო მკითხები“. „რ ა ვ ი, ნახო, რა იქნება“. „რ ა ვ ი, რას არ იძახის“.

ყურადღებას იპყრობს ადამიანთა საკუთარი სახელების გამარტივებული ხმარება ბგერათა დაკარგვის ხარჯზე:

ზოგი მათგანი ისეა სახეშეცვლილი, რომ ძნელია იმ სიტყვის დაძებნა, რომელიც დღეს ქართულში იხმარება სალიტერატურო ნორმების მიხედვით. მაგალითები: ალო (← ალიოშ), ათან//ათანე (← ათანასე), ალე (← ალექსანდრე), ანგე (← ანგელინა), ბაბლე (← ბარბარე, პარალელურად იხმარება „ბაბალე“), ბაგატ (← ბაგრატ), გიგლა//გიგოლ//გიგლო (← გრიგოლ), გარსა (← გარსევან), გურა (← გურამ), გოგლა (← გიორგი), დემე (← დემეტრე), ღუმიმ (← ღურმიშხან), დარე//დარო (← დარეჯან), ელო (← ევლესია), ელე (← ელენე), ეთო//ეთე//ევეთიმე (← ექვეთიმე), თედე//თედო//თედორ (← თევდორე), თებო//თებრო (← თებრონე, აქედანვე უნდა იყოს თეო-ც), ზექალ (← ზექალა), იოკ (იოკიმე), ირად//იროდ (← იროდიონი), ლაზა//ლაზარო (← ლაზარე), მარუშ//მარუს (← მარუსია), მათა (← მართა), მაქსო//მასა (← მაქსიმე), ნიკა//ნიკალ//ნიკალა//ნიკო (← ნიკოლოზ), სევერ (← სევერიან), შალა//შალო (← შალვა), პეტე//პეტო//პეტა

<sup>1</sup> მ. ხუბუა, ზემოაჭარის ენობრივი მიმოხილვა, ბათუმი, 1932, გვ. 17.  
ქ. ნოლაიძე, აჭარა დიალექტოლოგურად, გვ. 24.

<sup>2</sup> გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბილისი, 1949, გვ. 201.



(← პეტრე), ქსენა // ქსენო (← ქსენია), ენა // ენო (← ენია), მაგალ (← მარგარიტა, იხმარება მარგალიტაც). აღსანიშნავია, რომ წოდებით ბრუნევაში დასმული საკუთარი სახელები იბრუნვის ისე, როგორც ჩვეულებრივი სახელი: ალო, ალომ, ალოს, ალოსი და სხვა.

7. ბგერის ჩამატება. ბგერის დაკარგვის საპირისპირო პროცესია ბგერის ჩამატება. ნარნარა თანხმოვნები: ლ, მ, ნ, რ ზოგიერთ სიტყვებში იკარგება, მაგრამ სხვა შემთხვევაში ჩამატება ხოლმე.

მ ა ნ ი ჩაერთვის შემდეგ სიტყვებს: მისდღემში (← მის დღეში), მციდგან, სამკერე (← საკერე ანთებული კვარის დასადები ადგილი) მცნება, უმფროსი, სამწუთრო, გაუმცხადა, უმზრახათ // უნზრახათ იყო, ღეეუმზრახა<sup>1</sup>, მ ი რ ა მ-ის ანალოგიით ჯ ე რ ა მ-ს გასჩენია მ ა ნ ი. ჩერამ ← ჯერ, ასევე ანალოგიით უნდა იყოს მ ა ნ ი გაჩენილი ასეთ ფორმებში: რამნაირი // რამრაინი, რამფერი, რამჩეშიტი (← რა ჩეშიტი, ჩეშიტი თურქულია, ნიშნავს: ნაირ-ნაირი. შდრ. ამნაირი, ამფერი). გადაზმონა (← გადაზომა, წინა მ ჩართულია, მიმდევრო ნ-დ შეცვლილა), ჯერ მ ა ნ ი უნდა ჩართოდა და მერე ნ ა რ ა დ უნდა შეცვლილიყო ამ ფორმაში: დაანგვრიეს (← დააგროვეს), გუმბრე (← გუმბე, აქ ერთდროულად მ ა ნ ი და რ ა ე ჩამატებულა), ნამყოფი (← ნაყოფი), ნ ა რ ი ჩნდება რამდენიმე სიტყვაში: მინდამო (← მიდამო), შექამანდი, ინძრა (← იძრა)<sup>2</sup> მენდალი, მურჯახნელი. (შდრ. მურჯახეთი, ტოპ.), ჭანდარი (თუმცა ძველ ქართულშიც ჭანდარია, იხ. საბა) მოვანგვრევთ ← მოვაგროვებთ, უფრო ხშირია რ ა ე ს გაჩენის შემთხვევები: გუმბრე (← გუმბე), მარშინა, შორში გზა (← შოსე გზა), ჭიარყელა (← ჭიყყელა), დერსანტი (← დესანტი), ვარაურდი (← ვარაუდი, აქ შეიძლება წინ რ-ს გავლენითაც გაჩენილიყო).

ლ ა ს ი ჩაერთვის ასეთ ფორმებს: ზლარბლი, დურდლო ← დურდო საბუხლევი (← საბუხ ხევი), „თულო“ (-ულო) ფორმაში აკ ა დ. ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს აზრით, ძველი ვითარება უნდა იყოს შემონახული, აქ განვითარებული კი არაა, შემონახულია, თულო თივისაგან დაგრეხილი თოკია, რომლითაც ხორმებს კრავენ<sup>3</sup>.

საკმაოდ აა ვ ი ნ ი ს გაჩენის მაგალითები: ნაქალაქევეი ← ნაქალაქევი, იმრავინი (← იმ ნაირი), ამრავინი (← ამ ნაირი, ნ ა რ ი ს ა

<sup>1</sup> „უმზრახ“ // „უნზრახ“ ფორმა იხმარება კახურშიც, ჯერ ჩამატებულია მანი. შემდეგ მომხდარა ნარით შეცვლა. შდრ. ა რ. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი და ვ რ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ქართული ენის კახური დიალექტი, თბილისი, 1956, გვ. 64.

<sup>2</sup> ალბათ „ინძრაში“ ნ განძრევას ანალოგიით გაჩენილია.

<sup>3</sup> ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, გვ. 74—77.

და რ ა ე ს მეტათეზის შემდეგ ა-სა და ის შორის გაჩენილა ვ ი ნ ი ბელტვი, მოშორება, გოლგოთვის მთაზე, ჩრდილოვეთით, ნოვეი, პოვეტი, ჩაალაგვეს, მომილოცვა (← მომილოცა, შესაძლოა აქ საწყისის ფორმის ანალოგითაა ნახმარი ვ ი ნ ი. შდრ. „ლოცვა“), დამცირვდება, „მიღის“ და „მოდის“ ფორმებს უწყვეტლის სუფიქსის (ო დ ი ს) წინ უვითარდება ვ ი ნ ი: მიდივოდნენ ← მიდიოდნენ, მოდივოდნენ ← მოდიოდნენ...

არის ცალკეული შემთხვევები სიტყვის თავში ო-ს წინ ვინის განვითარებისა: ვოცი, ვორი, ვოთხი. უკანასკნელი ფორმა („ვოთხი“) შეგვხვდება მხოლოდ ფრაზაში „ცხენი ვოთხზე წაიყვანა“. ეს სამი ფორმა ჩავიწერეთ ხიზაბავრის მეტყველებიდან. ვ ი ნ ი ს განვითარების აღნიშნული და სხვა მაგალითებიც ქართველური ენებიდან გააჩნია სვანურს, ხოლო დიალექტებიდან საკმაოდაა აჭარულსა<sup>1</sup> და ინგილოურში<sup>2</sup>, აგრეთვე ქართლურსა<sup>3</sup> და კახურში<sup>4</sup>.

დ, ლ, ს გასჩენია სიტყვებს: ფალევანდი, ღურდლი (საბასთან „ღურდო“ წამხდარი ყურძენია. ჯავახურში კი ღურდლო// ღურდლო გადამდნარი კარაქის ნარჩენია), გენასცვაჯენ (← გენაცვალე ჯან), აღსზდეგ (აქ ზ, რომელიც S<sub>2</sub> პირის ნიშანი სანია, გაგებულია ფუძისეულად და ხელმეორედ გასჩენია სანი).

ნ ა რ ი შემონახულია ფორმებში<sup>5</sup>. „ჭირიმენ“ (←ჭირი მენა), დარდიმენ (←დარდი მენა): „შ ე ნ ი ჭ ი რ ი მ ე ნ , ბიჭოჯან, ერთი აქ მოდი“, „შენი დ ა რ დ ი მ ე ნ , მეც წამამილე“... ზოგჯერ ეს ფორმები ისე გამოითქმის, როგორც ზმნის ფორმა II კავშირებითის მესამე პირში: „შენი დარდიმოს“, „შენი ჭირიმოს“ ... ეს მოფერების ფრაზებია და ხშირად იხმარება მიალერსების შემთხვევებში (უფრო ხშირად ბავშვებთან).

ორ სიტყვაში „გინოლა“ (← გნოლა) და „ფირიდონი“ ი ჩამატებული კი არაა, ისევე როგორც არაბულ „ფიქირში“<sup>6</sup>, არამედ შემორ-

<sup>1</sup> შ. ნ ი ე ა რ ა ძ ე , ქართული ენის აჭარული დიალექტი, გვ. 14, შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი , ქართული დიალექტების ქრესტომათია, გვ. 348—369.

<sup>2</sup> გ რ . ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი , ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი, გვ. 70.

<sup>3</sup> ვ . თ ო ფ უ რ ი ა , ქართლური, გვ. 135—136.

<sup>4</sup> ა რ . მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი და გ რ . ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი , ქართული ენის კახური დიალექტი, გვ. 64—65.

<sup>5</sup> „ჭირიმენ“ ფორმასევე იხმარებენ ინგილოურში. იხ. გ რ . ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი , დასახ. შრომა, გვ. 71.

<sup>6</sup> Н. Я. М а р р . Грамматика Чаинского (Лазского) языка, стр. 130.

ჩენილია. „გინოლა“ ადგილმდებარეობის სახელია. ბევრი კნოლი ბუ-  
დობს და დაურქმევიათ ეს სახელი<sup>1</sup>. სხვა შემთხვევაში ი ნ ი შემორ-  
ჩენილია სიტყვაში „ჩილდირი“ (← ჩირდილი<sup>2</sup>, „ჩილდირის ტბა დი-  
დი და ღრმაა“. ამ შემთხვევაში მეორე ფონეტიკური პროცესიც მო-  
მხდარა რაესა და ლ ა ს ს შეუცვლიათ ადგილები). ი თანხმოვანთა  
გამყარია სიტყვაში „კალიცო“<sup>3</sup>, „ერთი კაი ოქროს კალიცონა (-უნდა)  
გოყიდო“.

ა ნ ი შემორჩენილია მიმღობის ფორმებში: დაღალილი, მოღა-  
ლილი: „ე ბიკი შინ სუ დაღალილი მოდიოდა,“ „ჩვენ სუ დაღალილები  
ვიკავით ამდენი მუშაობით“.

ბგერათ ჩართვის პროცესი სამეცნიერო ლიტერატურაში ახსნილია  
ფიზიოლოგიურ-ფსიქიკური ფაქტორებით, რომელიც „ვიწრო ჩარჩო-  
ებს სცილდება და გადადის მორფოლოგია-სინტაქსშიც“<sup>4</sup>.

8. ბგერათა მონაცვლეობა. ბგერათა შენაცვლება ხდება მაშინ,  
როცა ფიზიოლოგიურად მონათესავე და აკუსტიკურად მსგავსი ბგე-  
რებია სიტყვის ფუძეში. რიგ შემთხვევაში ეს პროცესი გაგრძელდება  
ასიმილაციისა. ორივე მოვლენას საკუთარი ენობრივი საფუძველი მოე-  
პოვება და არც ყველა ბგერა ენაცვლება ერთი-მეორეს.

ა) თ ა ნ ხ მ ო ვ ა ნ თ ა მ ო ნ ა ც ვ ლ ე ო ბ ა . ამ მხრივ ჯავა-  
ხური მისდევს ქართულს, მესხურსა და აჭარულს. საკმაო საერთო  
აქვს კახურთან.

აღსანიშნავია ურთიერთ შორის ბაგისმიერ ხშულმსკდომთა შორის  
ასეთი მონაცვლეობა:

ვ → მ: ნამთი, უღმაში, მასკულავი, საურმელი (← საურველი.  
საქონლის საფხანი), მითამ//მითომ, მიწრო, სამსე, ნამტიკი, თამქვე,  
კომზი, ამშარა, ხემცურები<sup>5</sup>... ვ ი ნ ი ს შეცვლა მ ა ნ ი თ განპი-

<sup>1</sup> „გინოლა“ ს. ქილდის ხრამში. მე მთქმელს განგებ აუხიბრდი: „გინოლა“ სწო-  
რეა-მეთქი. მთქმელმა დაიძინა, ნამდვილი ქართული ესაა, შვილო, ძველები „გი-  
ნოლას“ ეძახდნენო.

<sup>2</sup> „ჩირდილი“ იხმარება კახურშიც. ა რ. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი დ ა გ რ. ი მ-  
ნ ა ი შ ვ ი ლ ი, დასახ. შრომა, გვ. 65.

<sup>3</sup> შღრ. კახური, ი ქ ვ ე.

<sup>4</sup> ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ქართული, გვ. 135.

<sup>5</sup> ესა და სხვა მაგალითები (პარასკები, მითომ შიწრო, სამსე...) დამახასიათებე-  
ლია აგრეთვე კახურისათვის, იხ. ა რ. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი დ ა გ რ. ი მ ნ ა ი-  
შ ვ ი ლ ი და სხვ. შრომა, გვ. 43.

რობებული უნდა იყოს ვინის წყვილბაგისმიერობით უფრო, ვიდრე კბილბაგისმიერობით<sup>1</sup>.

მ → ვ: ნეესი, მევერე, აგრონოვი, ვავიდ (← მამიდა).

ვ → ზ: დაბარცხნა, პარასკევი, მორები (← მორევი, მდინარეში წყლის ბრუნვა, მორევა), ბიქტორ (← ვიქტორ). ამის საპირისპიროა: ბ → ვ: გებნევი ← გეუბნები<sup>2</sup>, ავაზანი (← აბაზანი).

მ. ა. ნ. ი. ს. მაგიერ ვ. ი. ნ. ს. ხმარება, რომელიც მესხური კილოს მკვლევარებს არ აღუნიშნავთ, დამახასიათებელია მესხეთის ერთი სოფლის ზველის (-ძველის) მეტყველებისათვის. ამ სოფლიდან გამოთხოვილი ქალები ბ. ა. ნ. ს. მაგიერ ხმარობენ ვ. ი. ნ. ს.

თავის წერილში „ევ კილოს კვალი საქართველოს გეოგრაფიულ სახელებში“ ა. კ. ა. დ. ა. კ. შ. ა. ნ. ი. ძ. ე ამბობს: „ევ სუფიქსის გავრცელების ძირითად არედ შეგვიძლია ჩავთვალოთ ტერიტორია არაგვიდან რიონის შუაწელამდე. ეს ის ტერიტორიაა, რომელიც ძველისძველად სამი ენის გავლენის ფარგლებში იყო მოქცეული: ქართლისა, ზანურისა და სვანურისა... ამ კუთხის მოსახლეობის ენას, გარდა ევ სუფიქსისა, სხვა რამ უნდა ჰქონოდა თავისებური, რომელიც გამოჰყოფდა მას ამ სამი ენისაგან. ისიც უეჭველია, რომ ეს თავისებურებანი შემონახული იქნება ნაშთების სახით ქართლში, იმერეთსა და რაჭაში“<sup>3</sup>.

ჩვენ მიერ ჩაწერილი მასალებიდან ჩანს, რომ „ევ კილოს“ ფარგლები უნდა გასულიყო სამხრეთ საქართველოშიც, ანდა საფიქრებელია, რომ სოფ. ძველის მეტყველების მატარებელნი მესხეთში და სოფ. ბალანთის მოსახლეობა ჯავახეთში უნდა გადმოსულიყო დასახელებული ტერიტორიიდან.

დღესდღეობით სოფ. ბალანთის მეტყველებაში გადმონაშთის სახით მოიპოვება საკმაო ფორმები ვ. ი. ნ. ს. ხმარებისა ბ. ა. ნ. ს. მაგიერ. ბალანთის მეტყველებაში ბ. ა. ნ. ს. მაგიერ ვ. ი. ნ. ს. ი. ა. ნ. ს. ფორმები ძირითადად შემორჩენილია ტოპონიმიკაში, ადგილთა სახელწოდებებში, იშვიათად, მაგრამ მაინც იხმარება ღრმა მოხუცთა მეტყველებაში. მაგალითები: ბიჭევის სახლთავი (-ბჭობის სახლთავი), არხაჭევი (თურქ. ბაქევი საქონლისა), მუხევის თავი, ხევევი (-ხევები), პანტევი ძირი (-პანტების ძირი), თეთრკარკლევი ძირი (-თეთრ კარკლების ძირი)...

<sup>1</sup> გრ. იმნაიშვილი, ქართლური დიალექტი, 1, თბილისი, 1974, გვ. 157.

<sup>2</sup> ამ ფორმით იხმარება ეს ზმნა კახურში, იქვე, გვ. 44.

<sup>3</sup> ა. შ. ა. ნ. ი. ძ. ე, ევ კილოს კვალი საქართველოს გეოგრაფიულ სახელებში, საქართ. სსრ. მეც. აკადემიის შოამბე, ტ. II, № 8, თბილისი, 1941, გვ. 762—768.

ჩვენ ჩავიწერეთ სოფელ ბალანთაში გამოთხოვილი ერთი ძველელი ქალის საუბარი. მოსაუბრემ არ იცოდა, რომ ვიწერდი. იგი ლაპარაკობდა თავისუფლად. მოგვყავს რამდენიმე მაგალითი: დღეს აქ მცხოვრებთა საუბარში ვინის ხმარება ბანის მაგიერ ჩვეულებრივია. განსაკუთრებით კი ეს ითქმის ძველის მეტყველებაზე. „ეს შენოვა მაშინ არ ყოფილა“. „ბანევა მოსულიყო, წამოდიოთ“, „იე კედლები შედევეულია“, „იმ კაცმა შეატყოვინა“. „ფეხი დაგვეული (← დაგვეული ← დაგებული) ჰქონდა“. „ღრუველი წამოვიდა“. „ყარაულევი დიეწიგენ და წაართვეს საქონელი“. „ძველი დრო რო ყოფილიყო, იგვრე კი არ ვიცხოვრებდით“. „მაშინ მაგაპ არ ეცლეოდა“. „ძილ უფრთხოვდნენ“, „კაცევი წამოსულიყენენ“. „ერთი აქ მოდი, ვალა (← ბალა, თურქ, „შვილი“), „შენ რალა გინდა ვუქო“ (← ბიჭო, აქ ვინი ხმოვანს აქცევს უნად. ხდება ხმოვანთა ასიმილაციური მონაცვლეობა), „იეგ ბრაზე (-ბრაზზე) სკდევა“. „იძულევეული იყო, წამოსულიყო“. „მერე ფული მიუსესხევია“. „სავარცხლევი ენტერია“...

ვინი ბანს ცვლის სოფ. ბალანთის ზოგიერთი ადგილის სახელწოდებებში, იშვიათად მოხუცთა მეტყველებაშიც თავს იჩენს ხოლმე. მაგალითად, ბქევის სახლთავი (← ბქობის სახლთავი), არხაჯევი (-თურქ. ბაქევი საქონლისა), მუხევის თავი, ხევევი, პანტევი (ე) ძირი, თეთრკარკლევი (ე) ძირი...

დღეს, მსგავსად ძველისა, „ვე კილოს“ გადმონაშთია ზემო იმერეთში (პერევესა და ზედუბანში). აქაც ვგ-ს უქირავს ებ სუფიქსის ადგილი, თემის ნიშნებში მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელიცაა<sup>1</sup>.

სოფ. ძველელთა წინაპრებიც იმ ტერიტორიიდან უნდა იყვნენ მოსული ან იქნებ აქამდეც ვრცელდებოდა ამ კილოზე მოსაუბრეთა მეტყველება. ეს საკითხი სპეციალური შესწავლის საგანია.

მ → ბ: ბრუდე, ბუზიკა, ბღღევი (← მღღელი. ამ სიტყვაში ხდება სამი ფონეტიკური პროცესი: მანს ენაცვლება ბანი, ხოლო ლასს ცვლის რაე. ამავე დროს დონი იცვლის ადგილს).

გ → მ → ბ: ულბაშები//ულმაშები (← ულვაშები), მოუთბინა (← მოუთმინა).

ბ → პ: დაპნევა, დაპნეული, ვაპნეე, აპა, ტყუპი, პალკონზე, პრასლეტი, კარაპანი (← კარაბანი).

<sup>1</sup> ქ. ძოწენიძე, ევ სუფიქსისათვის ზემო იმერულში, ქუთაისის სახელმწიფო ინსტიტ. შრომები, ტ. 1, 1950—1951, გვ. 53.

პ → ბ: ტებეშა (← ღებეშა, აქვე ხდება მეორე პროცესიც დას ენაცვლება ტ ა რ ი), ბორფილ (← ბორფილე), ბაშფორთი (← პასპორტი, აქ მოსალოდნელია დისიმილაციური მონაცვლეობა. ერთი პ ა რ ი მკვლევრებმა, მეორე ყრუვდება ფ-დ, იცვლება ს ა ნ ი წინათ და ბოლოს ტ ა რ ი ც ყრუვდება თ-დ. ერთ სიტყვაში ხდება ოთხი ფონეტიკური პროცესი).

პ → ფ: პრაპესორები, ლამფუშკა (← ლამპოჩკა, აქვე ჩკ კომპლექსი იცვლება შკ-თი, ხოლო მ ხმოვანი — უ ნ ი თ), ფით, ფით (ძალის დაძაბება, ზოგჯერ პიტ, პიტ იხმარება, ეს შემოკლების სიტყვა „პიტისა“, რაც სომხურია და ქართულად „ლეკეს“ ნიშნავს).

ფ → ბ: ბაშაურები (← ფაშაურები. ფაშის მიერ მიცემულ მიწებს ექსპიან სოფ. ხიზაბაერაში), ქბილი (← ფქვილი, მეტათეზისიციან, ხიზაბაერა).

ბ → ფ: ფაჯი (← ბაჯი, აქ გვაქვს ფ-სა და ჯ-ს მონაცვლეობა, ხიზაბაერა).

დ → ბ: არნაბი (← არნაბი). უკანასკნელი ოთხი მაგალითი მხოლოდ ხიზაბაერას ჩაეიწერეთ.

მონაცვლეობენ წინაენისმიერი ხშულმსკდომები:

თ → ტ: ტიკანი (← თიკანი). ამ შემთხვევაში დიდ როლს თამაშობს ასიმილაცია. მკვეთრი კ იმსგავსებს ფშვინეურ თ-ს და აქცევს მკვეთრ ტ-დ.

ტ → თ: თენი (← ტენი), ფრონთი, ხვითი (← ლეიტი), ბაშფორთი (← პასპორტი), ამითუმ (← ამიტუმ ← ამიტომ), მინუთი...

დ → ტ → თ: რამთელი ← რამტელი ← რამდენი, ამთენი//ამტელი, მაგთენი / მაგტელი, იმთენი // იმტელი, ამოტელა, მაგოტელა, რამოტელა (არ გაგვიგონია: ამოთელი, მაგოთელი, რამოთელი), ამათ მისდევს იმოტელა<sup>1</sup>, ტებეშა (← ღებეშა), ტაბანჩა (← დამბაჩა, აქ ხდება აგრეთვე მ ა ნ ი ს მეტათეზი, მერე კ ი ნ ა რ-ად ქცევა), ბიტონი (← ბიღონი).

ტ → დ: დილიფონი (← ტლეფონი).

დ → თ: ინათი (← ინაბი, ხიზაბაერა), სუქთები (← სუქდები).

ფართო ხასიათი აქვს ცხვირისმიერ ბგერათა სუბსტიტუციას. არა გვგონია სხვა რომელიმე დიალექტში ისე ფართო სამოქმედო არე

<sup>1</sup> ეს ფორმები მიღებულია ასე: მ ივარგვის, ვიღებთ: იმდენი (← იმოდენი), ამდენი (← ამოდენი), მაგდენი (← მაგოდენი), რამდენა (← რამოდენი). შემდეგ ხდება ბგერათა მონაცვლეობა: იმდენი → იმტელი → იმთელი, ამდენი → ამტელი → ამთელი, მაგდენი → მაგტელი → მაგთელი, რამდენი → რამტელი → რამთელი.

ჰქონდეს ნ ა რ ს ნ ა რ ნ ა რ ა ზეგერებთან მონაცვლეობაში, როგორც ჯავახურში. ნ ა რ ი ენაცვლება მ ა ნ ს (ყველაზე მეტად) და სხვა ბევრებს (რ, ვ, ლ.ბ) ფუძეებშიც: სუფიქშიც, პრეფიქშიც და ძირშიც<sup>1</sup>.

მაგალითები: ფეხშუნი, ინდღეს (←იმ დღეს), ინტენი, ან დროს (←ამ დროს), ზანთრიდან, გუგუნი (←გუგუმი „თუნგი“), ანჩნევა, მამანთილი, დედანთილი, გაანგზავრენდა<sup>2</sup>, ინდელი, რანტელი, შუანდეგი, კონკომი. (←კომკომი „თივის ნაფხენი“), ანყოლი (←ამყოლი, „კარის გვერდითი სეები“), შიანწყუდია, ინეფა, ტაბანჩა, დავანთავრეთ, სახენწიფო, შეგვენთხვა, სინწარე, მაგრან, სინშილობა, დანსხდარან, მინდგარი, ანბავი, სანხრობ...

უფრო ხშირია ნ ა რ ი ს შ ე ნ ა ც ვ ლ ე ბ ა მ ა ნ თ ა ნ მიმლეობებში და მიმლეობისაგან ნაწარმოებ ზმნებში: დანკალი (←დამკალი, სოფელი გოგაშენთან ახლოს), განხდარა (←გამხდარა), ანდგარიყო, მონხდარა, დავანყარეთ, დანჯდარიყო, ჩანქრალი, სანკერე (←სამკერე) მინდგარი, ნანტერევი, დანჯდარი...

-მ დ ი ს, -მ დ ე თანდებულებში: სახლანდი, ზანთრანდი, შუადღენდე, სალამონდი, აქნანდი, დამთავრებანდი.

ნ ა რ ი მ ა ნ ი ს მაგიერობას ასრულებს მაშინაც, როცა ხმოვანზე დაბოლოებული არსებითი სახელი მოთხრობით ბრუნვაშია. მაგალითები: „გოგონ დაუძახა“, „მამან მოუტანა“, „ურიან უთხრა ფასოპ“. „შენ დანხო მოგიტანა?“ „დედან მითხრა“, „მეფენ გამოუძახა“. „ხენწიფენ ბძანება გასცა“. „დედან მითხრა“. „მიშანაც უთხრა ერთხელე“. „ჩიჩაგან ერთ ჰალში ჩაგვაგვლო“. „ტაბანჩან არ გილალატოსო“...

ზოგი ზმნის ფორმაში მ ა ნ ს ნ ა რ ი ცვლის — მაშინ, როცა პირის ნიშანია: „გულანკიდე“ (ტოპ. გულა მკიდე), მონდიოლა (←მომდიოლა), ამონძახა (←ამომძახა), მინდიოლა (←მიმდიოლა).

ნ ა რ ი ს შ ე ნ ა ც ვ ლ ე ბ ი ს სხვა შემთხვევები: ამონსული ←ამომსული ←ამოვსებული, ნითამ ←მითომ ←ვითომ, თანმკვდარი ←←თამკვდარი (ხშირად მ ა ნ ი იკარგება და ვიღებთ თანკვდარი).

<sup>1</sup> სამართლიანად შენიშნავს მკვლევარი გ რ. ი მ ნ ა ი შ ე ი ლ ი: „ე→მ→ნ, როგორც ცნობილია, განსაკუთრებით ფეხმოკრებულია მესხურ-ჯავახურში. ამ კილოების კვალი, როგორც თქვა, სეველო არ უნდა იყოს ამ შემთხვევაში. მათ, ქართლურთან ერთად, ჩანს, სათანადო გავლენა მოუხდენია ზემო იმერულზეც“, იხ. გ რ. ი მ ნ ა ი შ ე ი ლ ი, ქართლური დიალექტი, გვ. 157. |

<sup>2</sup> ზოგჯერ ერთ სიტყვაში ორი მ ა ნ ი შეცვლილია ნ ა რ ი თ. მაგალითად, ზანთრანდი (←ზამთრამდი), ტაბანჩან (←ლანჯანჩან)... აქ უკვე ასიმილაციურ და სიმილაციურ მონაცვლეობაზე ლაპარაკი უდემეტია.

იმიტუნ ← იმიტუმ ← იმიტომ, დანით მეფე (← დავით მეფე, ინდივიდ.), ამალან, კილენ ← კილემ ← კილევ, ნესტორანი ← რესტორანი, კარ-მიდანო (← კარ-მიდამო), ანხანაკები, სონხები, ბუდე ← ბუნე (თუ შემოკლებული ფორმა არაა, „ბუნაგისა“), შანოი (← შაფოი, შავი ხარის საკუთარი სახელია), ანტონობილი, კიდალან (← კინალამ) ... ამ ბოლო მაგალითში ისევე პარალელური ფორმაა, როგორც ს ა დ ა - მ დ ე // ს ა ნ ა მ დ ე , სანთავეს (← სამთავეს) ...

თემის ნიშნებში ვ ი ნ ი ს , მ ა ნ ი ს და ნ ა რ ი ს მონაცვლეობას მორფოლოგიაში განვიხილავთ.

დასასრულ, ნ ა რ ი ს ა და მ ა ნ ი ს მონაცვლეობის შესახებ აუცილებელ შენიშვნას იწვევს ერთი გარემოება. ამ ბგერათა მონაცვლეობის პროცესში დიდ როლს ასრულებს ასიმილაცია-დისიმილაციის პროცესი. მაგალითად, თითქოს სადავო არ უნდა იყოს რომ ასეთ ფორმებში ასიმილაციის ზეგავლენა: ნანცხვარი (← ნამცხვარი), ანხანაკები (← ამხანაკები), ინტენი (← იმდენი), ზანთრიდან (← ზამთრიდან), ანჩნედა (← ამჩნედა), ტაბანჩან (← დამბაჩამ, აქ ჯერ მ ა ნ ი იცვლება ნ ა რ ა დ, შემდეგ თითქოს იმსგავსებს მოთხრობითი ბრუნვის ნიშნის მ ა ნ ს), გაანგზავრენდა (← გაამგზავრებდა, ჯერ-ებ უნდა შეეკლილიყო ემ-ით და შემდეგ მოხდებოდა მ ა ნ ი ს შეეკლა ნ ა რ ი თ: კინალან (← კინალამ), ნანტვრევი (← ნამტვრევი) და სხვა.

ასევე არ უნდა იწვევდეს დავას დისიმილაციური ნ ა რ ი ს მონაცვლეობის შემდეგი მაგალითები: მამანთილი, კონკომი (← კომკომი), მაგრან (← მაგრამ), მინდგარი (← მიმდგარი), მონხდარა (← მომხდარა), ხენწიფენ (← ხელმწიფემ), მამან (← მამამ) და სხვა.

როცა ზემოთ მოყვანილ ნ ა რ ი ს ა და მ ა ნ ი ს მონაცვლეობის მაგალითებს კითხულობ, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ჭავჭავური მეტყველება ისწრაფვის თითქმის ყოველ სიტყვაში, რომელშიც მ ა ნ ი იხმარება, შეცვალოს ნ ა რ ი თ, თუ სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა არ ბნელდება (ზოგჯერ არც ამას ერიდება. მაგალითად „გულანაკიდე“ „ანყოლა“...).

მ ა გ რ ა მ ი ს მ ი ს კ ი თ ხ ვ ა: თუ მამან (← მამამ), კონკომი (← კომკომი), ამონსულა (← ამომსული ← ამოვსებულა), ანხანაკები, კინალან, ნანტვრევი და მისთანანი ასიმილაცია-დისიმილაციის შედეგია, რამ გამოიწვია ასეთი ფორმების მიღება: დედან (← დედამ) - დ ა ნ (-დ ა მ), უ რ ი ა ნ (← ურიამ), გოგონ (გოგომ), ცანდა (-ცამ-დი), ჩანქრალი, დანაკალი, გუგუმი (← გუგუმი), ფეშხუნი (← ფეშხუმი), შუანდეგი (← შუამდეგი) და უამრავი სხვა? აქაც ასიმილა-



ცია-დისიმილაციის პროცესს ვერ დავაბრალებთ მონაცვლეობას, ჩვენი აზრით, მესხურ-ჯავახურში, და განსაკუთრებით ჯავახურში, გატარებულია მ, ვ, რ. ლ თანხმოვანთა ნარიზაციის (ნართ შეცვლის) პროცესი. ეს გარემოება ყველაზე მეტად ეხება ჯერ მ ა ნ ს , შემდეგ კი — ვ ი ნ ს ( მ ა ნ ი ს გავლით, მონაცვლეობით).

ამიტომ ჩვენ ეს პროცესი მოვაქციეთ ბგერათა მონაცვლეობაში და არა ასიმილაცია-დისიმილაციის პროცესში. ამ შემთხვევაში უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა: გატარებულია ნ ა რ ი ს მ ა ნ ი თ შეცვლის მექანიკური, წინასწარ ფიზიოლოგიურ-ფსიქიკურად შეპირობებული მონაცვლეობა, რომელიც თითქოს არ საჭიროებს ამ დროს სხვა ფონეტიკურ პროცესთა (ასიმილაცია-დისიმილაციის) დახმარებას<sup>1</sup>.

ვ → მ: მაშვე (← მაშვე ← მაშინვე)<sup>2</sup>, ნამთი, სამსე, იმსება, სიათ, ამსილი, ხემცური, მასმოს...

ვ → რ: მართული (← მავთული).

ნ → მ: კომფერენცია, მუში (← ნუში, ქალაქია თურქეთში).

რ → ლ: ტილიფი (← ტირიფი), ჯავახულა (ხიზაბავრელები ეძახიან დიდ ურემს), ქილიში, ზეზეულა, ჩემებულათ, ნავენახალი (აქ დისიმილაციას უფრო ჰგავს), გელიოს (← გერიოს), ინდოვილები (← ინდოურები; აქ უ ხმოვანი შეცვლილია ვი კომპლექსით), ყანყლატო (← ყანყრატო)...

ლ → რ: ბღვდერი (← მღვდელი), სტორბა (← სტოლბა).

ნ → ლ: ლოდარ (← ნოდარ), ლაბიჯი, ყავარჯალია (ტოპ. ყავარჯენია?), იმდელჯერ, ამტელი, რამთელი, აროლა (← არონა. ხიზაბავრა), კრებდიშელი (← კრებდემინი, „კ რ ე ბ დ ი შ ე ლ ი ს კ ა ბ ა ე ც ვ ა“)...

ლ → ნ: ძრიენ // ძიენ (← ძლიერ), ჩენხი (← ჩელხი), სიცინი (ძვ. ფორმაა. შდრ. ვიციანი), კუნტურა (← კულტურა).

---

<sup>1</sup> ნ ა რ ი ს მ ა ნ ი თ შეცვლის პროცესმა გაპასხენა ქართლურსა და კახურში მოქმედი მა-, შა-ზმნისწინთა ხმარება. სამეცნიერო ლიტერატურაში ნათქვამია: „მა-, შა — წინდებულის ხშირმა ხმარებამ ალბათ ხელი შეუწყო მის განმტკიცებას და დღეს გვხვდება იქ, სადაც მას ადგილი არ უნდა ჰქონდეს“. იხ. ვ. თოფურია, ქართლური, გვ. 131.

<sup>2</sup> ვ ი ნ ი ს მ ა ნ ი თ შეცვლას თემის ნიშნებში და შემდეგ ნ ა რ ა დ ქცევას განვიხილავთ მორფოლოგიაში. მომდევნო შვედი მაგალითი იხმარება ქართლურშიც. იხ. გრ. ი მ ნ ა ი შ ე ლ ი, ქართლური დიალექტი, გვ. 157.

ნ → რ: რუ (← ნუ), სირამდინ, სარამდინ ← სანამდინ ← სანამდის  
ანალოგიით: მირამდინ// მარამდინ ← მინამდის// მანამდის<sup>1</sup>.

რ → ნ: მეჭიმუნე ← მეჭიმურე (ვინც ჭიმურს აკეთებს).

ს ხ ვ ა ბ გ ე რ ა თ ა მ ო ნ ა ც ვ ლ ე ო ბ ა:

ს → ზ: ავტობუზი<sup>2</sup>, მარილიზი (სოფელი ზესტაფონს ზემოთ) ზა-  
იქი (←საიქი, თურქ. „იმიტომ რომ“), ნაიზა (←ნაისა, თურქ. „რაც  
არის“) ზაბუთი (←საბუთი)<sup>3</sup>, პაპიროზი, „ზაპოენიკი“...

ს → რ: დაგსარჯამენ ← დაგსაჯობენ (←დაგსჯიან, შდრ. სარჯე-  
ლო ←სასჯელი).

ს → შ: შუ (←სუ, გაჩუმების შეძახილი), შუჩი (←სუჩი „ბრა-  
ლი“ „ეს შუ შენი შუ ჩი ი ყ ო“, შაკელევეარი (←საკელევეარი),  
შაყენისტოლა...

ძ → ც: ბოცი ←ბოძი:

ჩ → ჯ: ჯინგის ხანი (←ჩინგის ხანი).

ჭ → ჩ: ჩარში („ჩ ა რ შ ი ლეკმა დაიძახა“. სიზაბავრა. ჩილაძე,  
ჩლექაღ.

გ → ქ: კარქი, დაიკარქა, დაკარქულა.

ქ → კ: ილეკება, დაილეკა.

კ → ქ: დილიცქა // დილცქა (←დილას კარი სოფელია).

გ → კ: ამხანაკი, ამხანაკური.

ხ → კ: ფორთოკალი ←ფორთოხალი.

გ → ლ: ფურღუნი ←ფურგუნი ←ფურგონი.

ყ → ლ: სალდრიდან ←საყდრიდან.

კ → ყ: დაიყუნტა ←დაიყუნტა. ყაზალი ←კაზახი.

ძ → წ: კუნწულელი ←კუნძულელი.

ხ → ლ: ხალლი ← ხალხი, პასული, ჩიბული, ყაზალი ←ყაზახი.

ლ → ხ: მოიზწაა ←მიალწია, ახწერე, ახსასრული, გამიძეხ,

<sup>1</sup> აქ იგივე მდგომარეობაა, როგორც საღ // სან და სიღ // სინ, ახვეე კინ // კიდ (არაა: კან // კად), საღამდის // სანამდის, საღამდის // სინამდის (სიღ ←სით ←საით, ამის ანალოგიით უნდა იყოს სიღამდის), სირანდინ // სირანდინ და სარანდინ // სარამდინ მიღებულია ასე: სანამდის → სინამდის → სანამდის // სინამდინ → სარანდინ // სირანდინ.

<sup>2</sup> სიტყვები: ავტობუზი, „ზაპოენიკობა“ იხმარება ქართულურში და სხვა ქართულ კილოებშიც. იხ. გ რ. ი მ ნ ა ი შ ე ი ლ ა, ქართული და აღმქტი, გვ. 159.

<sup>3</sup> ასევე იხმარება ეს სიტყვა და პაპიროზი აქარულში, იხ. შ. ნ ი ყ ა რ ა ძ ე, ქართული ენის აქარული და აღმქტი, გვ. 9.

ხეთი, ჩიფლახი ← ჩიფლადი (თურქ. ტიტველი), დიახ (← დიალ ← დია ღმერთო) ასევე იხმარება ეს ნაწილაკი უმეტეს ქართულ კილოებში, კერძოდ, ინგილოურშიც<sup>1</sup>.

ც → ჩ: გაბეჩება ← გაბეცება, აქედან: გავბეჩდი ← გავბეცდი.

ჩ → ც: ცალანდარი ← ცალავდარი ← ცალვადარი ← ჩავლადარი (ვაჭარი).

ჭ → ჯ: ჯინჰველა // ჰინჰველა. ასეთი ფორმით ეს სიტყვა იხმარება ქართლურსა<sup>2</sup> და სხვა კილოებშიც, ჯინჰარი, ჯინჰარაანი.

ჯ → ჰ: საჰი//საჰე (-პურის საცხობი, თუჯის დიდი ტაფის ფორმისა).

ძალიან გავრცელებულია ს ა ნ ი ს ქცევა ჰ ა ე დ: ხანის დაკარგვის განხილვისას უკვე ავლნიშნეთ, რომ ს ა ნ ი დაკარგვამდე გვიჩვენებს სხვადასხვა ვარიანტებს. ს ა ნ ი ს დაკარგვის ფონეტიკური საფეხურებია: ს → მს → მ → 0 და ს → ჰ → მ → მ → 0. ჯავახურში, რამდენადაც ჩვენ აღვიქვამთ, ს ა ნ ს ჰ ა ე ცვლის ან სულ იკარგება. გარდამავალი საფეხურები მს//მ არ ჩანს. ქართლურში, მესხურსა და სხვა კილოებში ეს გარდამავალი საფეხური გვხვდება.

ს → ჰ: ა) დ, თ, ტ, ძ, ც, წ, ჯ, ჩ, ჰ: თანხმოვნების წინ ზმნეებში პრეფიქსად ხმარების დროს: დაჰდევს, ჰღია, დაჰთრამს, დაჰტირი, გაჰტქერი, მოჰძრა, აჰწია, დაჰქერ, დაჰქყიელონ, წაჰწვიდი, დაჰკლომოლა.

ბ) როცა ზმნაში III პირის მხოლობითსა და მრავლობით რიცხვში სუფიქსია: დადიჰ, წაფიდეჰ, გააკეთოჰ... ნახეჰ, იარეჰ, გაჰკრეჰ, დააწერეჰ, მიჰგვარეჰ, აიყვანეჰ...

გ) ხმოვანზე გათავებული სახელების მიცემით ბრუნვაში: წინდაჰ, ქესაჰ, ორმოჰ, ხენწიფეჰ, ფასოჰ, ძუძუჰ ... „ასპინძაჰ წავედი“, „ქილდაჰ ვიყავი“. „ჩუნჩხაჰ დავრჩა“, „ბტენაჰ ვაწვიმდა“... „რას ამონ“, „იმაჰ უთხარი“. „ნათლიაჰ დააბარე“. „მაგაჰ ჰკითხე“... „ამ დროჰ წავედა“. „ბოლოჰ გაიმარჯვა“. „დღეჰ მოვიდა“...

დ) ყველა ტიპის სახელის ნათესაობით ბრუნვაში: ოქროჰ თმა, ხანლოჰ ხრამი, რუჰ პირი, ძუძუჰ თავი, კალოჰ ღობე, დედიჰკენ, მამაჰთან, ახალქალაქიჰკენ, კლდიჰ პირაჰ, მამლიჰ ბოლო, ბალოჰ ქარაფი, ძმიჰ. გან...

ე) ჩვენებით ნაცვალსახელებში: ეჰკაცი, იჰ ბავშვი... ამ მხრივ ჯავახურს ნაწილობრივ მხარს უჭერს ქართლური, მესხურში ს ა ნ ი ს და-

<sup>1</sup> გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი, გვ. 34.

<sup>2</sup> გრ. იმნაიშვილი, ქართლური დიალექტი, გვ. 159.

კარგის ასეთი გზა დადასტურებული არაა. ამიტომ ეს პროცესი მესხურისაგან ერთ-ერთ განმასხვავებელ ნიშნად უნდა ჩაითვალოს. ეს გარემოება შენიშნულია სამეცნიერო ლიტერატურაში<sup>1</sup>.

1. მონაცვლეობენ თანხმობანთა კომპლექსები:

თქ → დგ: დგმა ← თქმა („დგმა ველარ მოასწრო“. ხიზაბაერა. აქ მონაცვლეობა სათანადო მქლერი ბგერით ხდება).

დღე → თხე: თხე ← დღე („ათ თხე დარჩა“. ხიზაბაერა. ამ შემთხვევაში მქლერ თანხმობებს ცვლის ყრუნი).

სხ → შხ: შხვიშვილი ← სხვისიშვილი (ამ შემთხვევაში შესაძლებელია ასიმილაციური მონაცვლეობა, დისტანციური რეგრესული ასიმილაციის). გაგვიშხვიპეს ← გაგვისხვიპეს.

ხს და ხშ კომპლექსების გადასვლა ხს-დ და ხშ-დ ქართული კილოების ჩვეულებრივი მოვლენაა. მაგალითად, ხსნა, ასხნა, აუსხნა.

შხირი, შხირად, გაშხირდა... ეს პროცესი სემეცნიერო ლიტერატურაში ახსნილია<sup>2</sup>.

რუსულ სიტყვებში ჩვეულებრივ შეცვლილია ქკ: სპიქკა, ბოქკა, პაქკა, სემიქკა, საროქკა, ტაქკა<sup>3</sup>, ანიქკა...

შკ → ჩკ: კრუჩკა ← კრუშკა (აქ საპირისპირო მოვლენაა), ჩაჩკა.

ჩკ → შკ: ლამპუშკა ← ლამპოჩკა.

შქ → სქ: გადმოლასქა ← გადმოლაშქა ← გადმოლაშქრა (აქ დაკარგულია ბოლოთანხმოვანი — რა).

სტ → შტ: ქუშტარა (← ქვისტარა. იარაღია ქვის სათლელი), ფიშტ ფისტ (კატის გაგდების შეძახილი), რომელიც მიმდინარეობს ფისთ — ეს თ მრავლობითობის აღმნიშვნელ უნდა იყოს, შდრ. აბათ, ჩქარათ და სხვა).

ქყ → ყღ: თოვლ-ყღაბი ← თოვლ-ქყაბი (აქ ხდება გამქლერებითი მონაცვლეობა, მკვეთრ თანხმობებს სათანადო მქლერები ენაცვლება).

<sup>1</sup> ა. მარტიროსოვი, ქავახურის მესხურთან მიმართების საკითხისათვის, პუშკინის სახ. თბილ. პედინსტიტუტის შრომები, № 111, გვ. 291—294.

<sup>2</sup> თ. თოფურიია, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში, 111, ფ. და ხ სიბილანტ-აფრიკატებთან მეზობლობაში: საქართველოს არქივი, II, 1927, გვ. 174—186.

<sup>3</sup> აქ მოყვანილი მაგალითებიდან პირველი ექვსი გვხვდება აპარულშიც. იხ. შ. ნიქარაძე, ქართ. ენის აპარული დიალექტი, გვ. 9. ასევეა კახურშიც. იხ. ა. მარტიროსოვი, გრ. იმნიაშვილი, დასახ. შრომა, გვ. 49.

ს ტ → შტ: შტრაფილი.

ს კ → შ კ: ქვეშენელი ← ქვესენელი.

ქ ტ → ხ ტ: კონტინტორი (←კონდუქტორი, ამ სიტყვაში ხდება ასიმილაცია ტ-სი და მონაცვლეობა ი-სა და უ ნ ი ს ა, სადაც დისიმილაცია თამაშობს როლს), დონტური ← დოქტორი (ექიმის გაგებით).

2. ხ მ ო ვ ა ნ თ ა მ ო ნ ა ც ვ ლ ე ო ბ ა. ხმოვანთა მონაცვლეობის მხრივ განსაკუთრებულად განსხვავებული შემთხვევები ქართველურისა და მესხურისაგან არა გვაქვს, მაგრამ გამოირჩევა ზოგიერთი კერძო მაგალითები:

ო → ე: მოვანგვრეე ← მოვანგროე ← მოვანგროვებ (ამ სიტყვაში გაჩენილა ორი თანხმოვანი ნ ა რ ი და ვ ი ნ ი).

ე → ო: იმოტოლა ← იმოტონა ← იმოლონა ← იმოდენა. ამ სიტყვის მსგავსად: ამოტოლა, მაგოტოლა, რამოტოლა (აქვე ხდება თანხმოვანთა ასიმილაციურ-დისიმილაციური მონაცვლეობაც. როცა ამ სიტყვის მეორე ნაწილი ტ ო ლ ა არ უკავშირდება „ტ ო ლ-ს“: ამისტოლა იმისტოლა და სხვა), მემუშავე ← მომუშავე (აქაც შესაძლოა პირდაპირ მე-ე თავსართ-ბოლოსართით იყოს ნაწარმოები), მეზვერი ← მოზვერი ო-ე: რამტელა ← რამისტოლა, „ვირის ტ ე ლ ა მუტრუჯი ჰყამდა“.

უ → ი: იფრო ← უფრო (შდრ. ფერიედ. იფო)<sup>1</sup>, დუაკანი ← დიაკანი, ბუქო//ვეუქო ← ბიქო (ძველი, აგარა), ნური ← ნირი.

ი → უ: მუზეიმი ← მუზეუმი, მაიზერი ← მაუზერი, პილიმოტი ← პულემოტი, კანტიხტორი ← კონდუქტორი.

ე → უ: ბელტი ← ბელტი

ო → უ: იმიტუ ← იმიტუმ ← იმიტომ, ლამფუშკა ← ლამპოჩკა, კრეპუსტი ← კრეპოსტი, ესრულა ← ესროლა, მახრუკა ← მახურკა ← მახორკა, პირუკუა: ხოხოლა ← ხუხულა<sup>2</sup>...

ი → ო: იფოშმნა ← იფიშმნა (თურქ. ფიშმან „სინანული“ აქ. „ინანა“. ხიზაბაგრა).

ე → ი: დილაჟონი ← ტელეფონი, ანიულა ← ანეულა<sup>3</sup>, წილან//

<sup>1</sup> ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ფერიედნელის მთავარი თავისებურებანი, გვ. 245.

<sup>2</sup> ხ ო ხ ო ლ ა ფორმა ხ უ ხ უ ლ ა ს ნაცვლად იხმარება აპარულში. იხ. შ. ნ ი ე ა რ ა ძ ე. ქართ. ენის აპარული დიალექტი, გვ. 9.

<sup>3</sup> ა ნ ი უ ლ ი ამ ფორმით დადასტურებულია ქართულში. იხ. ვ. თ ო ფ უ რ ი ა ქართლური, გვ. 138.

//წელან, უმაღლისი ← უმაღლესი, მოინარიკლა ← მოინარეკლა (გა-  
დატ. სულ დაამთავრა, ნარ-ეკალზე გავიდა).

ი → ე: კამანდერი ← კომანდირი, ბრიგადელი ← ბრიგადირი, ქე-  
სა ← ქისა.

ე → ა: ბაბუთები ← ბებუთები, კარ ← კერ (დაქარ, მოქარ,  
აიპერ...) ქაობენ — ქეობენ (შღრ. ქება).

ა → ე: ვდგევარ, დგეხარ (← ვდგავარ, დგახარ), ვყევარ, ყევხარ  
(← ვყავარ, ყავხარ), ვგევარ, გევხარ<sup>1</sup> (← ვგახარ, ვგავარ), ეკლდა  
(← აკლდა).

ი → ა: დედობალა ← დედობილა (აქ შესაძლოა ასიმილაცია  
იყოს).

ა → ი: იმლანორები ← იმილანორები ← ამილანორები ← ამირასორე-  
ბი // ემირასორები. აქ რთული პროცესი ხდება: რ-ს დისიმილაცია,  
ი ნ ი ს დაკარგვა, ა-ს ჯერ ე-დ ქცევა, შემდეგ კი ი-დ, სანიზლაო  
(← სანაძლეო), სირამდის → სანამდის (აქვეა რ ა ე ს ა და ნ ა რ ი ს მო-  
ნაცვლებოა).

უ → ა: მამლი ← მუმლი („მამლი მუხასა, ბიჭო, მამ-  
ლიო“).

ო → ა: ნითამ ← მითამ ← ვითამ ← ვითომ.

ხშირ შემთხვევაში -ო ბ ა ენაცვლება -ე ბ ა ს: ეცოდინობა, და-  
უსწრობელზე, დაიწყობა, რა შრობა//შობა, შეხედულობა<sup>2</sup>...

### 3. ხ მ ო ვ ა ნ თ ა კ ო მ პ ლ ე ქ ს ე ბ ი ს მ ო ნ ა ც ვ ლ ე ო ბ ა

1) ო ვ ა → უ ვ ა → უ ა: მუა (← მოვა), მუალ (← მოვალ), ამუაე-  
სეთ (← ამოვაესეთ), მუახდინე (← მოვახდინე)...

3) ო ვ ე → უ ვ ე → უ ე: გადმუელი ← გადმოველი (← გადმოვე-  
დი), ჩამუელი, მუელით...

დიფტონგიზაციას უნდა მივაწეროთ ის გარემოება, რომ გამარ-  
ტივებული უა და უე კომპლექსები კვლავ გვაძლევენ რეფლექსს ვი-ს.  
უნდა აღინიშნოს, რომ ო ვ ა → უ ა და ო ვ ე → უ ე კომპლექსები  
ძირითადად დამახასიათებელია აგრეთვე დასავლური კილოებისათვის,

<sup>1</sup> გევხარ, ეკლდა ფორმები იხმარება კახურში. იხ. ა. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი  
და გ რ. ი მ ნ ა ე ვ ი ლ ი, ქართული ენის კახური დიალექტი, გვ. 48.

<sup>2</sup> -ება ბოლოსართის მაგიერ -ობა ბოლოსართი იხმარება აგრეთვე ქართლურ-  
ში, იხ. ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ქართლური, გვ. 138.

ნაწილობრივ გვხვდება ქართლურსა<sup>1</sup> და კახურში<sup>2</sup>, საკმაოდ ა ინგილო-ურსა<sup>3</sup> და მესხურში<sup>4</sup>, მაგრამ უ ა და უ ე კომპლექსები კვლავ გვაძლევენ ვ ი ა // ვ ი ე -ს; ეს მხოლოდ ჭავჭავურსა და მესხურშია ჭერჭერობით დადასტურებული, უფრო დომინანტურად ჭავჭავურში გვხვდება.

ო ვ ა // ო ვ ე → უ ე ა // უ ვ ე → უ ა // უ ე → ვ ი ა // ვ ი ე: დავა-გროვე → დავანგრუე → დავაგრუე → დავანგვრიე → დავანგვრიე (ხდება ვ ი ნ ი ს გადასმა და ნ ა რ ი ს ვანეთარება, მაგრამ იხ-მარება უ ნ ა რ ო დ ა. ც), მთხოვა → მთხუეა → მთხუა → მთხეია. ამ გზითაა მიღებული ფორმები: მიატვიე // მიატვიე, მოაძვიე, მოქსვიე, მოაწვიე (←მოწოვება ძუძუსი).

ამ საკითხის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ო ნ ი ს დავიწროებაში ვ ი ნ ს არაფერი წვლილი არ მიუძღვის, ვ ი ნ ი ო ნ ი ს უ ნ ა დ გადაქცევამდე უნდა დაკარგულიყო<sup>5</sup>.

ამ მოსაზრებას მხარს უმაგრებს ის შემთხვევები, როცა ო ნ ი თ დაბოლოებულ სახელებში მრავლობითი რიცხვის -ებ-ის დართვისას ო ნ ი უ ნ ა დ იცვლება (მაგალითად, გოგოები → გოგუეები → გოგვიები, კალაები → კალუეები → კალვიები...), ასევე ჭავჭავურში ო ა და ო ე კომპლექსები უ ა და უ ე-დ იქცევა სხვა შემთხვევებშიც ვ ი ნ ი ს ვარეშე. როცა ა საარვისო ქცევის ნიშანი აქვს ზმნას და დაერთვის ზმნის-წინი მო — ან ანით დაწყებული სიტყვისაგან მო — მაწარმოებელია ახალი ფორმისა. მაგალითები: მუაწერა, მუაგვრია, მუატანა... მუახ-ლიები, მუამაგე...

ამის კვალს მიჰყვება ო-ზე დაბოლოებული სახელითი ნაწილი შედგენილი შემასმენლისა, როცა მეშველი ზმნა „არ ის“ ახლავს. მაგალითები: დრუა (←დროა), ორმუა (←ორმოა), ვიწრუა, ახლუა, ერდუა (←ერდოა „ბანი“), გოგუა (←გოგოა)... უე კომპლექსს ვიღებთ,

<sup>1</sup> ვ. თოფურია, ქართლური, გვ. 138, გრ. იმნაიშვილი, ქართლური დიალექტი, გვ. 162—169.

<sup>2</sup> არ. მარტიროსოვი, გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, გვ. 49—51.

<sup>3</sup> გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის ინგილოურა დიალექტის თავისებურებანი, გვ. 26—28.

<sup>4</sup> შ. ძიძიგური, მესხური დიალექტის აღწერილი ანალიზი, გ. 240—241. ი. მაისურაძე, ძირითადი ფონეტიკური მოვლენები მესხურში, გვ. 147.

ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, გვ. 651. კ. დონდუა, რჩეული შრომები, I, თბილისი, 1967. გვ. 351.

<sup>5</sup> ვ. თოფურია, ქართლური, გვ. 138.

როცა ო-ზე დაბოლოებულ სახელებს მოუვით ე ნ ი თ დაწყებული სუფიქსი, ხოლო ე თავკიდურიან სიტყვებს კი მო-ზმნისწინი: მუეკიდა ← მოეკიდა, მუეფარა ← მოეფარა... ხანდუელი ← ხანდოელი, დრუ-ებით ← დროებით, ლადუელი ← ლადოელი (ტოპ.)... უე და უა კომპლექსები ამ ბოლო შემთხვევაშიც კვლავ იცვლება ვ ი ა-დ და ვ ი ე-დ. ეს ფორმები მოგვაგონებს აღმავალ დიფთონგებს, ყოველ შემთხვევისათვის, ისინი გამოსავალი წერტილი არის -იე და -ია დიფთონგებისა<sup>1</sup>. მართალია, ჯერ დიფთონგებად არ ქცეულან, მაგრამ იე და ია კომპლექსები, მიღებული ე-სა და ა-ს ზეგავლენით (ასიმილაციის ძალით ო-სგან უ-ს გავლით, ადასტურებენ დიფთონგიზაციისაკენ სწრაფვას<sup>2</sup>.

მაგალითები: გოგოები → გოგოუები → გოგვიები, ასევე კერძეები, სამხვედროები (ვ ი ნ ი გადანაცვლებულა), ერდვიები, დვრიები (აქაც ვ ი ნ ი ს მეტათეზისია), ეზვიები... ამათსა და მსგავს მაგალითებში (მთხვია, აძვია, აწვია (← მოწოვა)... უ ნ ი მაშინ იქცევა ვ ი-დ, როცა ვ ი ნ ს ედგომილება სიტყვაში თანხმოვან ბგერებთან ან დაკარგვის საშიშროება არ ჩანს, თუ უხერხული ხდება გამოთქმა, ვ ი ნ ი გადაინაცვლებს ფუძისეულ თანხმონგებთან (განსაკუთრებით რ ა ე ს თ ა ნ მეზობლობაში) და ამით მთავრდება პროცესი (შდრ. დვრუები, სამხედვრიები, ვანგვრიებ ← ვაგროვებ ← ვაგროებ → ვაგრუებ...).

ო//ოა კომპლექსის უე, უა-დ ქცევა მეტნაკლებად დამახასიათებელია როგორც აღმოსავლური, ისე დასავლური კილოებისათვის. მაგრამ უ, უა-ს შეცვლა ვიე, ვია კომპლექსით ჯერჯერობით, როგორც აღრე აღვნიშნეთ, ჯავახურისა და მესხურისათვის არის ნიშანდობლივი.

არის რამდენიმე მაგალითი ვა კომპლექსის ო-დ ქცევისა: უსომდით, კომლი, ცოდო, მარხო, ბაბაჰო (← ბაბაჰუა → ბაბაჰვა → ბაბაჰო-ხიზაბავრა). ასევე ორიოდუ შემთხვევაში ვე იქცევა ო-დ, რომელიც ჯავახურისათვის ბუნებრივი არაა. იგი თურქულის ზეგავლენით უნდა იყოს გამოწვეული: ჩონ//ჩონი<sup>3</sup> (ხიზაბავრა), დაარლოვდა (← დაარლ-ვევდა)...<sup>4</sup>

<sup>1</sup> ინგილოურში ხმოვანთა მსგავსი კომპლექსების მონაცვლეობა იძლევა დიფთონგებს. ი. ხ. გ. რ. ი მ ნ ა ი შ ე ი ლ ი, ქართული ენის ინგილოური დიალექტთა თვისებურებანი, გვ. 25—29.

<sup>2</sup> გ. ა ხ ე ლ ე დ ი ა ნ ი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, გვ. 102—104.

<sup>3</sup> ძველი ქართულის უმარცვლო უთ+ან ი ინგილოურში იძლევა ჩვეულებრივ ო-ს ან უ-ს იხ. გ. რ. ი მ ნ ა ი შ ე ი ლ ი, ქართ. ენის ინგილოური დიალექტთა თვისებურებანი, გვ. 24—25.

<sup>4</sup> მესხურში ვგვხვდებავ-ს ო-დ ქცევის საკმაო შემთხვევა. იხ. შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, მესხური დიალექტის აღწერითი ანალიზი, გვ. 243.



არის საპირისპირო პროცესიც, ო იქცევა ვე-დ: მევერე ← მეორე, გამევერება. აქედან: ხელმევერ → ხელმეერ → ხელმიერ (დისიმილაცია (→ხერმიელ (მეტათეზისი)). ამჭერად ო ნ ი დ ა ნ დიფთონგიზაციისაქენ ე-ს გავლით წასულა პროცესი და კვლავ ე-ს მეზობლობაში დისიმილაცია მომხდარა იე-ს მისაღებად. „ხერმიელ“ ფორმაში იე — დიფთონგად ისმის.

ვა-ს გადასვლა ო-დ განსაკუთრებით გავრცელებულია მთის კილოებს<sup>1</sup> და ინგილოურში<sup>2</sup>. ყველაზე მეტად კი დამახასიათებელია ფერეიდნულისათვის<sup>3</sup>, ხოლო ვე-ს ო-დ ქცევა და საპირისპიროდ ო → ვე, იშვიათადაა როგორც ქართლურში, ისე კახურში.

გვაქვს ასეთი მაგალითიც „მიაწვდა“ ნაცვლად მიაწოდა-სი. აქ ო-ს თითქოს ვა ცვლის, მაგრამ „მიაწვდა“ პირველი ფორმაა. ძირი ხომ წვ-ა(მაგ. ა-წვ-დ-ის).

დასასრულ, უნდა შევეხოთ უ-ს ვ-დ ქცევას. უ-ს დაუქარგავს ხმოვნის თვისება, ქცეულა უმარცვლოდ და მერე კი გადაზრდილა ე ი ნ-ში<sup>4</sup>. მაგალითები: საროელი → სარუელი → სარველი, ძალაშენი → ძალუაშენი → ძალვაშენი, საშუალება → საშუალება, ტყუილი → ტყვილი (ასევეა მისგან ნაწარმოებ სიტყვებში: მატყვილამს, დაუტყვილებია...), ხანდოელები → ხანდუელები → ხანდვილები, სადავრელი//სიდავრელი, აქავრელი, მანდავრელი (ამ ფორმებში — ელ სადაურობის მაწარმოებელი მეორედ ერთვის), აქავრობა, მანდავრობა, ალვაგუბე (←ალუასგებე ტოპ.), ალჯუა → ალჯვა (ტოპ.), ძვამტყიცი (←ძუამტყიცი. ხიზაბავრა), შავრათ (←შაურად). ძველი ფორმითაა შემონახული უკუდავი → უკვდავი. უმარცვლო უნი შემოუნახავს შე-

<sup>1</sup> ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული კილოები მთაში, გვ. 192. ა. კ ი ნ ქ ა რ ა ე ლ ი, ზეესურულის თავისებურებანი, გვ. 78. ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, მთიულურის თავისებურებანი, გვ. 44. ი ვ. ქ ა ე თ ა რ ა ძ ე, მოხერხი კილო ყაზბეგის ენაში, სტალინის სახ. თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, XXXV, თბილისი, 1949, გვ. 88.

<sup>2</sup> მ. ქ ა ნ ა შ ვ ი ლ ო, საანგილო, გვ. 227. გ რ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ქართ. ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი, გვ. 20—28.

<sup>3</sup> ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ფერეიდნულს მთაწარა თავისებურებანი გვ. 202, მისივე, ვინის რეფლექსები ფერეიდნულში. გვ. 77.

<sup>4</sup> ა. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი, გ რ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ქართული ენის კახური დიალექტი, გვ. 48—49.

დღე სიტყვებს: ჭუარი, წაართუა, მასკულავი, კუამლი, ტუტარა (-მტკე-  
რი), კულარი, ყუავი<sup>1</sup>...

ე ა → ი ა: კომპლექსის მონაცვლეობა, როგორც დისიმილაციური  
გადასვლა განვიხილეთ ხმოვანთა დისიმილაციის დროს. აღსანიშნავია,  
რომ ასეთი დისიმილაციური მონაცვლეობა ჩვეულებრივია ქართული  
ენის თითქმის ყველა კილოსათვის და დადასტურებულია ძველ სალი-  
ტერატურო ქართულშიც<sup>2</sup>.

მ. აფრიკატიზაცია. აფრიკატიზაცია, ქართლურისა და მესხურის  
მსგავსად, ჯაფხურში ისე ფართოდ არაა გავრცელებული, როგორც სხვა  
კილოებშია. გვაქვს ერთეული შემთხვევები, როცა ცალკეული ბგერე-  
ბის გართულებით ან ორი მარტივი ბგერის შერწყმით ვიღებთ რთულ  
ბგერებს. ეს მოვლენა სისტემატური არაა.

ზ → ძ: საგძალი, უნძრახი, ძის (-ზის), სამძღვარი, საბძელი<sup>3</sup>, ძე-  
წარი, ბძარი, დამძრალი, მოძრა, მოუძრია, გოძინაყი...

ჟ → ჯ: მარყუჯი, ჯინიანი, ინჯინერი, ჯანდარმი, ფაჯი (←ბაჯი)<sup>4</sup>...ს → ც:  
პენცია, პენციონერი, ავანცი, სემცურები (←ხევსურები), დილცქა//  
//დილიცქა, (დილის კარი) გაიბარცა (←გაიბასრა, „ბასრი იარაღით  
დაიჭრა“. განმარტ. ლექსიკონი).

ამ შემთხვევაში ადვილი გვაქვს რაე-ს მეტათეზისთან: გაიბარცა ←  
←გაიბარსა ←გაიბასრა. საბასთან ეს ფორმა ნიშნავს გაკიცხვას,  
გაკიცხვის ქმნას. აქ გადატანითაა გაგებული მნიშვნელობა, ჯაფა-  
ხურში გაიბარცა, გაბარცულა, იბარცება, გაბარცულიყო, გაბარცუ-  
ლი, გასაბარცი ფორმები ჩვეულებრივია. მთქმელი ავიხსნით ამ ფორ-  
მას — მ ო კ ე დ ა ო. მაგრამ ეს მხოლოდ მიახლოებითი განმარტე-

<sup>1</sup> აქ მოყვანილ ყველა ფორმას შეესატყვისება ძველი ქართულის მონაცემები.  
შდრ. ი. ვ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I,  
ნაწილი II, თბილისი, 1971, გვ. 6—8.

<sup>2</sup> ი. ვ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, გვ.  
77—78.

<sup>3</sup> აღნიშნული ფორმები: სამძღვარი, საგძალი, განძრახვა საერთოა ქართლურთა  
(იხ. ი. ვ. თ ო ფ ე რ ი ა, ქართლურა, გვ. 137. გ რ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ქართლუ-  
რი დიალექტი, გვ. 155), ასევე კახურთან (იხ. ა. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი, გ რ. ი მ-  
ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ქართ. ენის კახური დიალექტი, გვ. 47), აგრეთვე ძეწარი, ბძარი  
და ძრახვა ძველ ქართულშიც გვხვდება. იხ. ი. ვ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, დასახ. შრო-  
მა, გვ. 125—126.

<sup>4</sup> მარყუჯი, ჯინიანი, ინჯინერი იხპარება აქარულშიც: იხ. შ. ნ ი ე ა რ ა ძ ე,  
ქართული ენის აქარული დიალექტი, გვ. 10, ხოლო პენცია, პენციონერი, ავანცი—  
კახურსა და ქართლურში.

ბაა. გ ა ბ ა რ ც ვ ა ს ა და მისგან ნაწარმოებ ფორმებს ხმარობენ მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, როცა მოლაპარაკე ვინმე შინაურზეა გაბრაზებული, პიროვნება (ნამეტნავად მთქმელზე უმცროსი) რომ იგვიანებს და ღროზე არ მოდის. ან კიდევ წყევლის ღროს. მაგალითად, „შე გასაბარცო, შენა, რათ გატეხე?“, „ამ გასაბარც ვერ უყურამ“, „სადღაც გაბრაყულა, არ მოვიდა“, „ბიჭო, ხუარ გაიბარცე, მოდი“...

ს → ჩ: ჩოლოლა (←სოლოლა)...

ღ → ძ: ძევს...

შ → ჩ: ჩიკრიკი...

-ში თანდებულის შ თანხმოვანის შეცვლა ჩ-თი გვხვდება ზოგიერთი სოფლის (მაგალითად, ხიზაბერის, გოგაშნის) მეტყველებაში. „ტ ყ ე ჩ ი წავიდა“, „ს ა ხ ლ ჩ ი არ დამხვდა“. „ეს იყო ყ ვ ე რ ი ე ლ ე ბ ჩ ი“, „წაიყვანა ს ა ხ ჩ ი“... -ჩ ი თანდებული ინტენსიურად იხმარება მთის კილოებში (ხევსურული, ფშაური, მოხეური, მთიულური), ფერეიდნულში, გურულსა და რაჭულში<sup>1</sup>.

ღ → თ → ც: <sup>2</sup> საცაც←სათაც←სადაც, „სადაც იქნებიან, გადაველაპამ (თუ ასიმილაცია არ არის მ ც ა ნაწილაკის ზეგავლენით).

მეორეც ←მეორეთ ←მეორედ („ჩააგლო თქრო კ ა ნ ვ ე რ ტ ჩ ი და დააკრა მ ე ო რ ე ც ბეჭეტი“). იშვიათად გვხვდება შერწყმითი გზით მიღებული აფრიკატებიც.

თ + ს → ც: გლახანცა (←გლახანთსა), თამაზანცა (←თამაზანთსა), პასოონცა (←პასოონთსა)... ეს რიგი ჯავახურში სისტემასავით არის გატარებული. „ვ ი ს ც ა ი ყ ა ვ ი? თ ე დ ო რ ა ა ნ ც ა წა სულა“, „წუხელი ეგ კრავი კ ო ნ ა ა ნ ც ა ყ ოფილა“...

რამდენიმე შემთხვევაა, როცა ცალკეული ს ა ნ ი გადადის ც-ში. მაგალითად, ჯ ი მ ა თ ც ა (←იმათსა), ა მ ა თ ც ა (←ამათსა), ვ ი ს ც ა (←ვისსა). პირველ ორ მაგალითში კომბინატორული აფრიკატიზაციით მოსალოდნელი იყო ი მ ა ც ა, ა მ ა ც ა, ხოლო მესამეში ორი ს ვერ შეთავსდა და ერთი იქცა ც-დ. შესაძლოა აქ დისიმილაციაც მოქმედებდეს.

<sup>1</sup> არნ. ჩიქობაეა, ურეიდნულას მთაქარა თავისებურებანი, გვ. 214, მისივე, მთიულურის თავისებურებანი, გვ. 50; შ. ძიძიგური, ქართული ენის მთარაქული დიალექტის ძირითადი თავისებურებანი, გვ. 77, ს. ე ღ ე ნ ტ ი, გურული კილო, გვ. 50.

<sup>2</sup> საცაც ფორმაში შესაძლოა ეს ვითარება იყოს. სადაც დ დაქარგა და ხელმეორედ დაერთო ც ნაწილაკი. საცა ფორმა იხმარება ქართულშიც. იხ. გ რ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ქართული დიალექტი, გვ. 140.

ერცახე ← ერთსახე<sup>1</sup>. „ერცახე პური მომიტეხე“. „ერცახე (მცირე) დამირჩინა“. „სუ ერცახე შეუნახია“.

ღმერცა ← ღმერთსა. ამ შემთხვევაში მოსალოდნელია სხვაგვარი ახსნაც. ღმერცა-ს იტყვიან მაშინ, თუ ადამიანს ცხვირს აცემინებს. ამ შემთხვევაში პასუხი ასეც შეიძლება გავიგოთ: „ღმერთმცა გადღეგრძელოს“ ან „ღმერთმცა გიშველოს, დაგიფაროს“. თუ ამგვარ ფორმას ვიგულისხმებთ, მაშინ მოსალოდნელი იყო იმ თანხმოვანთა ამოყარდნა, სიტყვის ხშირად და კონკრეტულ ვითარებაში ხმა-რების გამო მოხდებოდა ღმერთმცა-ს გამარტივება ღმერცა-დ.

10. ღეზაფრიკატიზაცია. კანტი-კუნტად გვხვდება რთულ ბგერათა გამარტივების მაგალითებიც: ც → ო: დაფათურდა (-დაფაცურდა).

ძ → ზ: ზალი (-რძალი), ნიზ ლევი, ზველი (-ძველი, ტოპ.)...

ჯ → ყ: ყდომა, შეყდა, დაყდა, თაყა (-თაჯა, თურქ. თაზა „ახალი“ „თაყა პური მოიტანე“, ხმარობენ თაჯასაც).

ც → ძ → ზ: ოზდასამი, ოზდაშვიდი, ორმოზდაათი... რიცხვით სახელებში ასეთი ცვლილება ჩვეულებრივია რიგი კილოებისათვის. ხშირად სალაპარაკო ქართულშიც გავიგონებთ.

11. მახვილი და ინტონაცია. მახვილის საკითხი ენობრივ საკითხთაგან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დართულია. ამ მხრივ ქართული ენის დიალექტები ნაწილობრივია შესწავლილი.

ისტორიულ-შედარებითი თვალსაზრისით ქართული ენის მახვილი სპეციალურად განიხილა არნ. ჩიქობავამ ნაშრომში: „მახვილის საკითხისათვის ქართულში“. ავტორი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ძველ ქართულში მახვილი იყო ინტენსიური, დინამიკური, იგი შეიძლება ყოფილიყო როგორც უკანასკნელ მარცვალზე, ისე თავმარცვალზე, იქნებოდა იგი მეორე მარცვალი ბოლოდან თუ მესამე<sup>2</sup>.

ქართული დიალექტებიდან მახვილის საკითხში საინტერესოა რა-ჭული<sup>3</sup> და მთიულური<sup>4</sup>. ორივე კილოში მახვილი ბოლოდან მეორე მარც-

<sup>1</sup> ერცახე გვხვდება ძველ ქართულში. იხ. ივ. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიულ ქრესტ., გვ. 135—136. შდრ. მიც, გიც, უც (მიძს, გიძს, უქა). იქვე. ერცახე იმპარება აქარულში, შ. ნიყარაძე, დაახ. შრომა, გვ. 10. შდრ. ფერედნელი ეროცხო ← ერთსხუა. (გრ. იმნაიშვილი, ქარა. ენის ინგილოური დიალექტის თავისებ., გვ. 36.

<sup>2</sup> არნ. ჩიქობავა, მახვილის საკითხისათვის ქართულში, საქ. მეცნიერებათა აკადემიის მოაზრებ., ტ. II, №2, №3, 1942. გვ. 299.

<sup>3</sup> შ. ძიძიგური, ძიებანი ქართული დიალექტოლოგიიდან, თბილისი, 1954, ფ. 52—63.

<sup>4</sup> არნ. ჩიქობავა, გრძელი ხმოვნები მთიულურში, ტფილ. უ. შ. ტ. IV. 1924, გვ. 333—348.

ვალზეა. განსაკუთრებით ეს საგრძნობია კითხვით წინადადებაში. ქართველურ ენათგან ტონური მახვილი აქვს მეგრულ-ქანურს. ხმისამაღლება ბოლოდან მეორე მარცვალზეა და სათანადო ხმოვანი გაგრძელებულად გამოითქმის<sup>1</sup>.

ჯავახურში, ისე როგორც რაჭულსა და მთიულურში, მახვილი ტონურია, ბოლოდან მეორე მარცვალზეა. სიტყვა, რომელსაც მახვილი მოუდის, ტონური მოდულაციით გამოითქმის. მთელი ფრაზა დამოკიდებულია გამოთქმის მხრივ მახვილიან სიტყვაზე. მახვილი გადახლართულია საუბრის მელოდიკასთან. ცალკეულ სიტყვას მახვილი აქვს მაშინ, თუ იგი გამოხატავს გაკვირვებას, შიშს, სიხარულს ან პატივისცემას. ასევე დიდ როლს თამაშობს წინადადების სახეობა შინაარსის მიხედვით<sup>2</sup>.

### 1. მარცვალთმახვილი

ა) თხრობით წინადადებაში მახვილის ადგილის გარკვევა ქირს, მახვილიანი სიტყვა ინთქმება მთელი ფრაზის ტონურ მელოდიკაში. რამდენადაც შეეძელით აუუსტიკურად მახვილის ადგილის დადგენა, სიტყვაში ბოლოდან მეორე მარცვალზე ისმის ხმის ამაღლება.

მაგალითები: „*კარო, და რჭი, ნანა, და რჭი, არვინ და იჭი რა*“. „*ურემ ნა უცაღო, იმაჰნა უცაღო...*“. „*შინ რომოვ რდა, დასაძინებლათ წავ რდა*“.

რიგ შემთხვევაში, როცა ფრაზა მარტივი წინადადებაა, შინაარსით მოფერებას, ალერსს 'ან თხოვნას გამოხატავს, მახვილი გამოკვეთილად ბოლოდან მეორე მარცვალზეა და მახვილიანი ხმოვანი ტონური მოდულაციის გამო გრძლად აღიქმება.

მაგალითები: „*გაგიმარჯოს, ვას რჯან*“. „*მოდ იქ ჩემთან, შვილ რჯან*“. „*დამიჯერე, ვახტან გჯან*“...

არა ნაკლებ თვალსაჩინოა ეს პროცესი თხოვნით-ბრძანებითის ფორმების გადმოცემისას, მაგრამ აქ უკვე ბოლო მარცვალზეა ხმის ამაღლება და გაგრძელება.

მაგალითები: „*მეც წამამიღო*“, „*ამასაც გაუ-*

<sup>1</sup> არნ. ჩიქობავა, ქანურის გრამატიკული ანალიზი, ტფილისი, 1936, გვ. 41—42.

<sup>2</sup> ქართლურში მახვილი ბოლოდან მესამე მარცვალზეა თხრობით წინადადებაში, ზოგან, როგორც ჯავახურში, ქირს მახვილის ადგილის დადგენა. სამ და მეტ-მარცვლიან სიტყვებში მახვილიანი მარცვალი თხრობით წინადადებაში მესამეა, მაგრამ სოფელთა მეტყველების მიხედვით სხვადასხვაა. იხ. გრ. იმნაიშვილი, ქართლური დიალექტი, გვ. 189—190.

კეთო“, „ჩემთვისაც მოიტანო“, „აიმ ქალსაც დაუძახო“  
„პაპასაც მისცე“...

ასეთი ფორმები იმის მაუწყებელი უნდა იყოს, რომ ადრე მახვილი მოძრაი იყო და შესიტყვების შინაარსობრივ მხარეს ანგარიში ეწეოდა. მაგალითად, ფრაზა: „პაპასთან დარჩი, შეილოჯან“ მაქმელს შეუძლია სამი სხვადასხვა ინტონაციით გადმოსცეს, იმისდა მიხედვით. თუ რომელ სიტყვაზე ამახვილებს ყურადღებას. „პაპასთან დარჩი, შეილოჯან“. „პაპასთან დარჩი, შეილოჯან, პაპასთან“<sup>1</sup>. თუ დაინტერესებული დარჩენით: „დარჩი, შეილო, პაპასთან დარჩი“. ამ შემთხვევაში რომელიმე სიტყვისადმი ხაზის გასმა, გამოკვეთა საგნის ან მოქმედების გამოხატულია აგრეთვე სიტყვის განმეორებითაც („მაგალითად, „პაპასთან“ და „დარჩი“ მეორე, მესამე წინადადებაში განმეორებულია, თანაც მეორე შემთხვევაში სიტყვის მახვილიანი მარცვლი უკვე გრძელიცაა).

ბ) ძახილისა და ბრძანებითს წინადადებაში მახვილიანი მარცვლი საკმარისად გრძელია და მოუღის ბოლოდან მეორეზე (ორმარცვლიანებს) და მესამეზე — (სამმარცვლიანებს)<sup>2</sup>.

მაგალითები: „წამოიღეთ, ბიჭო, წამოიღეთ?“ „ხარი წავიდა, წა...!“ „მოდო, მოდო აქ“. „გატანე, გე!“ „ჩამოიტა, ჩა!“...

მიმართვის ფორმებში გრძელი და მახვილიანი ხმოვანი ბოლოსაა. აქაც, რომელი სიტყვაც აინტერესებს მთქმელს, მასზე ამახვილებს ყურადღებას: ჩვენთან წამოიღე, ბიჭო!“ „წყალი მოიტა, გოგო!“ „არ წამოიღო, ბიჭო, დატოვე. დე...“ „გეიქე... გე! სწორედ ეს გარემოება იწვევს ბრძანებითს ფორმებში ბოლო მარცვლის ჩამოკვეცვას: ჩამო! წამო! გადააბრუ! გაია!... დი, ნე, რე მარცვლების დაკარგვა გვიჩვენებს, რომ მახვილი ბოლოდან მეორე მარცვალზე მოდის.

გ) კითხვით წინადადებას ჯავახურში, ისე როგორც რაკულსა და მთიულურში, ახასიათებს თავისებური კითხვითი ინტონაცია, ტონური მახვილი, რომელიც ბოლოდან მეორე მარცვალზეა, ყველაზე მეტად და ნათლად აქ ვლინდება. ჯავახელ ინტელიგენტთა საუბარშიც კი კითხვითი წინადადება ტონური მახვილის შემცველია.

<sup>1</sup> ყველა გრძელი ხმოვანი მახვილიანია.

<sup>2</sup> შტრ. ქართლური. იქ ბოლოდან მესამე მარცვალზე სამ დასამზე მეტმარცვლიან სიტყვებში თხრობით წინადადებაშია მახვილი (გ. რ. იმნაიშვილი, ქართლური დიალექტი, გვ. 189).

მაგალითები: „არ წახვედი?“ „გუშინ გააკეთე?“ „როდის ჩააბარევი?“ „წამოწე?“ „არ დამიძახე?“ „თითონაც წავიდა?“ „მოხვედი?“...

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მახვილიანი სიტყვა (კერძოდ ზმნა) წინადადებაში, რომელ ადგილზეც უნდა იყოს, მაინც ინარჩუნებს მახვილს. მაგალითად, „ხურჯინი არ ჩამოიტანე მიმასთან?“ „ჩამოიტანე ხურჯინი მიმასთან?“ „ხურჯინი მიმასთან ჩამოიტანე?“

ეს იმის მაუწყებელია, რომ ჯავახურ მეტყველებაში, განსაკუთრებით კი კითხვით წინადადებაში, ტონური მახვილი მყარია, იგი მსგავსად რაჭულიისა, ბოლოდან მეორე მარცვალზეა.

დ) ხმოვანთა გრძლად წარმოთქმის კვალი უნდა დარჩენილიყო თხრობის ისეთ მომენტში, როცა მთქმელს სურს ხაზი გაუსვას მოქმედების მრავალგზისობას ან უწყვეტელობას. გრძელი ხმოვანი განურჩევლად სიტყვის მარცვლიანობისა, ყოველთვის ბოლო მარცვლია. მაგალითები: „მოვა ეპ კაცი და ამ კარებთან დგას“, „დაწება და გდის საღამემდინ“. „რამდენი ხანია ერთი ბატი ჰყვამს და ჰყვამს“. „მოურბენს და ამ პატარა ბავშვ ატირამს“. „ჩავა ბახჩებში და ვაშლ შირამს“...

ეს, ე. წ. განხანგრძლივებული ინტონაცია გამოყენებულია თხრობის გარკვეულ მომენტში და არა ნებისმიერად. შეიძლება დაეხადოს კაცს კითხვა: ხომ არ ჰქონდა ასეთ ინტონაციას რაიმე მორფოლოგიური ფუნქცია? ეს საკითხი კვლევას საჭიროებს.

ტონურ მოდულაციას ჯავახურში თავისი კვალი დაუმჩნევია ზოგიერთი სიტყვისათვის. მაგალითად, სიტყვებში ქუა, რუ, სხუაუ მარცვლიანია<sup>1</sup>. პირველი ორი სიტყვა ძველ ქართულში ყოველთვის ვინით იწერებოდა და ახლაც ვინით იწერება, მესამე — ზოგჯერ უ — უმარცვლო უნით, ზოგჯერ ვინით. ამ სიტყვებში მახვილი ტონურია და ბოლოდან მეორე მარცვალზეა. ამ გარემოებას უნდა ექცია ხმოვნის ჩანასახის მქონე ვინი უნად. მახვილმა გადაამწყვეტი ზეგავლენა მოახდინა.

<sup>1</sup> ასე იხმარება ეს სიტყვები ფერეიდნულშიც. იხ. არნ. ჩიქობავა, ფერეიდნულის მთავარი თავისებ., გვ. 206. ასეა აგრეთვე ინგილოურშიც. იხ. ვრ. იმ. ნაიშვილი, ქართული ენის ინგილოური დიალექტის თვისებ. გვ. 65.

საპირისპირო პროცესი — უნიკინად ქცევა ისევ მახვილის ზეგავლენით უნდა იყოს გამოწვეული.

ქვემოთ ჩამოთვლილ მაგალითებში, რომლებშიც უ ვ-დაა ქცეული, მახვილი ბოლოდან მეორე მარცვალზეა. მახვილიანი მარცვლის მეზობლობაში უნიკარგავს ხმოვნის თვისებას და იქცევა ვინად. მაგალითები: აქავრობა ← აქაურობა, იქაერობა ← იქაურობა, ტყვილი ← ტყუილი, სადაერელი ← სადაურელი, სიდაერელი ← სიდაურელი, აქავრელი ← იქაურელი...<sup>1</sup>

## 2. შესიტყვების მახვილი

შესიტყვების მახვილი განსხვავდება მარცვალთ და სიტყვათმახვილისაგან. ეს სხვაობა იმაში მდგომარეობს, რომ შესიტყვებას მეტწილად აერთიანებს მუსიკალური ანუ ტონური მახვილი, მაშინ როცა მარცვალთა და სიტყვათმახვილი ზოგჯერ დინამიკურია და ზოგჯერ კი — ტონური. შესიტყვების მახვილს ხშირად შესიტყვების ინტონაციასაც უწოდებენ<sup>2</sup>.

1. პროკლიტიკური ფორმები. შესიტყვებაში ზოგჯერ მოკლე სიტყვები უმარცვლოა, რის გამოც ისინი ეკედლებიან მომდევნოს ან წინამდგომ მახვილიან სიტყვას, ასეთია: კავშირები, ნაწილაკები, თანდებულები და ნაცვალსახელები. ჯავახურში შორისდებულიც გვხვდება პროკლიტიკურ ფორმაში. მაგალითად, ა) ჩვენებით ნაცვალსახელს ეკედლება ჩვენებითი ნაწილაკი ა(ი)<sup>3</sup> და ვიღებთ: ა + +ესე → იესე, ა + ემ → ეემ → იემ, ა + ეგ → ეეგ → იეგ...

ბ) ჩვენებითი ნაცვალსახელები ეს, ეს ერწყმიან სიტყვებს: ერო ← ← ეს რომ, ის: იღიები (← ის დღეები, ინდროს ← იმ დროს, ინდღეს ← იმ დღეს, იმერეთი (← ის ერთი, სხვა), ემდროს ← ამ დროს..

გ) კითხვითი ნაცვალსახელი რა: რაეკნა ← რა ვკნა, ზოგჯერ წინა ა გრძელია: რწეკნა, რწმბავია ← რა ამბავია (ანალოგიით იმბავი ← იმღენი), რადამიანია ← რა ადამიანია...

<sup>1</sup> შლრ. ძვ. ქართ. მოღვაწე. გუარი, ვარსკელაი... ახ. ქართ. მოღვაწე, გვარი, ვარსკელაი... იხ. არნ. ჩიქობავა, მახვილის საკითხისათვის ძველ ქართულში, გვ. 289.

<sup>2</sup> გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, გვ. 139.

<sup>3</sup> ფაქტიურად ამ შემთხვევაში ემატება ა ნაწილაკი, ა(ი) ნაწილაკის შემადგენელი ნაწილი ი, რომელიც „ის“ ნაცვალსახელისეულია, დართვამდე დაკარგულია. ე. ი. ასეთი სურათი გვქონდა ა აქეთ → აექეთ → ეექეთ → იექეთ, ექეთ ფორმის ანალოგიით ეგეთ//ავეთ, ასე// ფორმები ცალკეც გვხვდება. შერწყმის შემდეგ ჯერ ასიმილაცია, ხოლო შემდეგ დისიმილაცია მოხდა.



დ) სიტყვა ერთი პროკლიტიკის შემადგენელი ნაწილია: ერწყვილი ← ერთი წყვილი, ერწამალ (← ერთ. წამან ← ერთი წამანი)<sup>1</sup>, ერნახო ← ერთი ვნახო...

ე) ნაწილაკები, ხ ო მ, ა, დ ე ი: ხ უ ა რ ← ხომ არ, ხუამონ ← ხომ ამბობ; დეიჰანა, ← დეი ჰ ა ნ ა, აჰანა ← ა ჰ ა ნ ა (ეს ჰ ა ის ნაც-ვალსახელი უნდა იყოს, რომლიდანაც ნ. მ ა რ ი მიღებულად თვლის ემფატიკურ ა-ს, ნ ა ელემენტი იგივე უნდა იყოს, რაც არის მ ე -ნ ა, შ ე -ნ ა, ჩ ვ ე -ნ ა, თ ქ ვ ე -ნ ა ნაცვალსახელებში). დეიჰანა (აი იქით, უფრო შორს III პირისაყენ, აჰანა), აქეთ, აგერ, უფრო ახლო I ან II პირისაყენ)...

ვ) ზოგჯერ პროკლიტიკური ფორმაა უ ნ დ ა ნ ა წ ი ლ ა კ ი: ნ ა' წ ა მ ო ვ ი ყ ვ ა ნ ო ← უნდა წამოვიყვანო, ნ ა' წ ა ვ ი ლ ო ← უნდა წავილო, ნა'გავაკეთო... ეს ფორმები მაშინ მიიღება, როცა უ ნ დ ა წ ი ნ უძღვის ზმნას, თუ მოსდევს მაშინ ენკლიტიკური ფორ-მეზა.

2) ე ნ კ ლ ი ტ ი კ უ რ ი ფ ო რ მ ე ბ ი. რიგ შემთხვევაში უმა-ხვილო სიტყვა წინმდგომს ეკერის და ვიღებთ ენკლიტიკურ ფორმებს: თითქმის მეტყველების ყველა ნაწილთან გვხვდება ენკლიტიკური ფორ-მით ნაწილაკად ქცეული უ ნ დ ა ზმნა<sup>2</sup>.

ზ მ ნ ე ბ თ ა ნ: მალაპარაკოთ'ნა ← მალაპარაკოთ უნდა, იმუ-

შაო'ნა ← იმუშაო უნდა, გააკეთებინოს'ნა ← გააკეთებინოს უნდა...

ს ა ხ ე ლ ე ბ თ ა ნ: „თავი'ნა მოაკვლევინო“ ← თავი უნდა მოაკვ-

ლევინო, „ხალხ'ნა შეიკითხო“ ← ხალხს უნდა შეეკითხო. „კლდე-

ში'ნა იყოს“ ← კლდეში უნდა იყოს. „წითელი'ნა დიეკირა“ ← წი-

თელი უნდა დაეკირა. „სამნი'ნა წავიდნენ“ ← სამნი უნდა წავიდნენ.

„ასნა მივატანო“ ← ასს უნდა მივატანო (ასი წლისა უნდა გავხდეთ),

მენ'ნა ← მე უნდა, შენ'ნა ← შენ უნდა, ისნა, ესნა, ეგნა... ყველაზე

ნაირნაირი რეფლექსი აქვს რა ნაცვალსახელთან: რ ა უ ნ დ ა. რ ა-

<sup>1</sup> „ერწამალ“ ფორმა მიღებულია ამ გზით: „ერთ“ სიტყვის ფუძის ფორმა შერ-წყვია წ ა მ ა ნ -ს (იგივე წამანი, როგორც ძამანი...). აქ, წამანში, ან დეტერმინატია სახელისა. შემდეგ დისიმილატიური მონაცვლეობა ნ ა რ ს ა და ლ ა ს შორის და მივიღეთ ფორმა „ე რ წ ა მ ა ლ“, რაც ნიშნავს: ერთ წაშში, ახლავე.

<sup>2</sup> უ ნ დ ა ნაწილაკი ნა-ს ფორმით გვხვდება სამხრულ ქართულურში: დიდი გო-მარეთოს, ჭავჭავის, ბალიქის, მაშავერასა და სხვა სოფლებში. ბუნებრივია, ეს ასეც უნდა ყოფილიყო. ამ სოფლის მოსახლეობის საკმაო ნაწილი ჭავჭავებითაა დასახლე-ბული. ერთ სოფელს ჭავჭავი ჰქვია სახელად. იხ. გ რ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ქარ-თლური დიალექტი, გვ. 141.

ვ ნ ა, რ ა ნ ა, რ ა ნ დ ა. უფრო მეტად ასეთი ფორმები ახასიათებს ხიზბავრულ თქმას. მ ე ნ დ ა, რ ა ნ დ ა ფორმები ზედა თმოგვში უფრო გვხვდება<sup>1</sup>. იგივე მდგომარეობაა თ ა ნ დ ე ბ უ ლ ი ა ნ ს ა ხ ე ლ ე ბ თ ა ნ ა ც: „ამ დღეში ი'ნ ა ჩამავლო“, „იმ კაცის აგ ა ნ'ნ ა წ ი ე ლო“. „დედა შე ნ თ ა ნ'ნ ა იყოს“. „ტ ბ ის კ ე ნ'ნ ა წიესნა“. „თ ა გ ზ ე ნ ა დ იესვა“. „და ბ ა დ ე ბ ი თ გ ა ნ'ნ ა დაჰყვეს აზრი“. „ამ კ ა ც ი ს გ ა ნ'ნ ა გაგიკვირდეს?!“ „თავის ს ა ხ ლ ა მ დ ე ნ'ნ ა მიყვანა“... ნ ა წ ი ლ ა კ ე ბ თ ა ნ: ა რ'ნ ა ← არ უნდა, ხ ო'ნ ა ← ხ ო მ უნდა, ა პ ა'ნ ა ← ა ბ ა უნდა, ა ი'ნ ა ← ა ი უნდა, კ ი'ნ ა ← კ ი უნდა, ვ ე რ ც ნ ა ← ვ ე რ ც უნდა, თ უ რ მ ე'ნ ა — თურმე უნდა, ა რ ც'ნ ა ... კ ა ვ შ ი რ ე ბ თ ა ნ: რ ო'ნ ა ← რ ო მ უნდა, თ უ'ნ ა ← თ უ უნდა, რ ო მ ე ლ ი ც'ნ ა ← რ ო მ ე ლ ი ც უნდა. რ ო ი ც ა'ნ ა ← რ ო დ ეს ა ც უნდა, მ ა გ რ ა მ'ნ ა, ა ნ'ნ ა, ხ ა ნ'ნ ა, ვ ი ნ ც'ნ ა, რ ა ც'ნ ა, რ ო გ ო რ ც'ნ ა... ზ მ ნ ი ზ ე ღ ე ბ თ ა ნ: ს ა დ'ნ ა, რ ო ღ ე მ ღ ი'ნ ა, რ ო გ ო რ'ნ ა, გ უ შ ი ნ'ნ ა, წ ი ნ ა თ'ნ ა, ო რ ჯ ე ლ'ნ ა, ე რ თ ა თ'ნ ა დ ღ ეს'ნ ა, ხ ვ ა ლ'ნ ა, ი ქ'ნ ა, ა ქ'ნ ა... შ ო რ ი ს დ ე ბ უ ლ ე ბ თ ა ნ: „უ ი'ნ ა, ც ე მ ო ს“. „ვ ა ი'ნ ა, მ ა მ კ ლ ა“. „ა ხ'ნ ა დ ა მ ა გ ვ ი ა ნ დ ეს“. ო პ'ნ ა დ ი ე წ ი ო ს“...

ზოგჯერ და კ ა ვ შ ი რ ი ეკედლება წინმდგომ სიტყვას და გამოითქმის მასთან ერთად. მაგალითად, ა ი ლ ო'დ ა, ბ ა ტ ო ნ ი მ ო კ ლ ა“. „შეგზვრიტეთ ე რ თ ხ ე ლ ე ე'დ ა, დ ა ვ უ ტ ი ე თ“. „და დ გ ა, დ ა დ გ ა'დ ა, მ ე რ ე უ თ ხ რ ა“. „და ი წ ყ ო ლ ო ც ვ ა'დ ა, დ ვ ა ს“. „ჰ ო'დ ა, ჰ ო კ ე ლ ი ვ ა რ“...

- ენკლიტიკური ფორმების სხვა შემთხვევებია<sup>2</sup>: მ ე რ ა ვ ი (← მ ე რ ა ვ ი ც ი), რ ა ვ ი (-რ ა ვ ი ც ი)<sup>3</sup>, კ ა ი ა რ ა რ ო მ ო ხ ვ ე ლ ← კ ა რ გ ი ა

<sup>1</sup> ასეთი რეფლექსებით გვხვდება უ ნ ა ნ ა წ ი ლ ა კ ი მ ე ა ხ ბ რ შ ი ც. იხ. კ. დ ო ნ დ უ ა, რ ჩ ე უ ლ ი შ რ ო მ ე ბ ი, I, ა ლ. ლ ლ ო ნ ტ ი ს რ ე დ ა კ ტ ი თ, გვ. 341—383, ასეა აქარულშიც. იხ. შ. ნ ი ე ა რ ა მ ე. ზ ე მ ა ა ქ რ უ ლ ა თ ა ვ ი ს ე ბ რ ე ბ ა ნ ი, ბ ა თ უ მ ი, 1957, გვ. 23.

<sup>2</sup> დაახლოებით უ ნ დ ა ნ ა წ ი ლ ა კ ი ს მ ს გ ა ვ ს ი ც ე ლ ი ლ ე ბ ა მ ი ს დ ი ს ა რ ი ს მ ე შ ვ ე ლ ზ მ ნ ა ს ფ ე რ ე ი დ ნ ე ლ შ ა, რ ო ც ა ი გ ო შ ე დ გ ე ნ ი ლ ი შ ე ქ ა ს ე ნ ლ ი ს ნ ა წ ი ლ ა ე დ ა ო ხ მ ო ვ ე ნ ე ბ ი თ დ ა ბ ა ლ ო ე ბ ე ლ ს ა ხ ე ლ ე ბ ა ნ: დ ლ ე'რ ა /-დ ლ ე ა რ ა/, ვ ა კ ე'რ ა, ს ა ქ ი რ ო'რ ი. იხ. ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ფ ე რ ე ი დ ნ ე ლ ი ს შ ა თ ა ვ ა რ ა თ ა ვ ა ე ბ რ ე ბ ა ნ ი, გვ. 201.

<sup>3</sup> შ ღ რ. ხ ე ვ ს უ რ ე ლ ი, თ ე შ უ რ ი: „გ ა მ ა უ დ გ ე ბ ი ა მ კ უ რ დ ს ა-დ' დ ა ი ვ ე რ ე ნ, დ ა ა ვ ე რ ე ნ მ ა რ ხ ი ზ ე დ ა-დ', წ ყ ა ლ ჩ ი ვ ა დ ა ა გ დ ე ბ ე ნ“, თ ე შ უ რ ი: კ ა ხ ო ს თ ი ნ ა ი-დ' მ უ რ ა თ ა ზ ი. ბ ე რ ი ძ ე ი-დ' გ ე ლ ე ხ ი დ ი“. ი. გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი, ე. თ ო უ უ რ ა ა. ი. ქ ა ვ თ ა რ ა მ ე, ქ ა რ თ ლ ი დ ი ა ლ ე ქ ტ ო ლ ო გ ი ა, გვ. 9, 106—108, 114.

<sup>4</sup> ა მ ფ თ ა შ ი თ რ ა ვ ი (← რ ა ვ ი ც ი), ა რ ვ ი (← ა რ ე ი ც ი). ეს ზ ნ ა ა ხ ა რ ე ბ ა ქ ა რ ლ ე - რ შ ი ც. იხ. გ რ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ქ ა რ ლ ე უ რ ა დ ა ა ლ ე ქ ე რ, გვ. 150.

რა, რომ მოხვედრი, მეხშენდეგეცა ←მეხი შენჯ-დაგეცა.  
„როვერსათ წაიღეს“—რომ ვერ საღ წაიღეს?, „როარნა  
ქნას“ — რომ არ უნდა ქნას. უიმენ ←უი მენა, კირიშენ  
←ჭირი მენა, დარდიშენ ←დარდი მენა...

ენკლიტიკურ ფორმებს უნდა მივაკუთვნოთ ისეთი ხშირად ხმა-  
რებული ფორმები, როგორცაა: ჩქარათ<sup>1</sup> ← ჩქარა თქვენც  
გაკეთეთ, აბათ ← აბა თქვენც, წამოთ ← წამოდით თქვენ,  
ადეთ ← ადექით თქვენ, წაიყვათ ← წაიყვანეთ თქვენ, გა-  
სცით, გამეცათ, ← გასწიეთ, გამეცალათ, დაჰკათ ←  
დაჰკარით თქვენ, გაიათ ← გაიარეთ, გაჰყეთ ← გაჰყევით,  
ჩამოთ ← ჩამოდით...

აღნიშნულ ფორმებში, მართალია, გვაქვს მხოლოდითი რიცხვში  
წამო (წამოდი), ჩამო (დი), დაჰკა (რი), ადე (ქი)... ბოლო  
მარცვლების ჩამოკვეცა, მაგრამ ეს მოვლენაც მახვილთან არის დაკავ-  
შირებულ<sup>2</sup>. მსგავს მოვლენებს ვხვდებით ქართული ენის თითქმის  
ყველა კილოში. უფრო მეტად ახასიათებს აღმოსავლურ კილოებიდან  
ფერეიდნულს, ინგილოურს, მთის კილოებს, ხოლო დასავლურიდან—  
გურულს, აჭარულს.

ამ ენკლიტიკური ფორმებიდან „გენაცვალოს“ ზმნის ანალოგიით  
წარმოებული ფორმები: „ჭირიმოს დედამ“, „დარდიმოს ბაბამ“, თურ-  
მელაც ← თურმე რაც (შესაძლოა თურუმენაც ფორმისაგანაც მო-  
დიოდეს), ჰოდიდ ← ჰო დედა (ძროხის გარეყვის შედახილი), ჰუმო//  
ჰოშამ ← ჰუმამა//ჰომამა (ხარის გარეყვის შედახილი, კაი'რამ// კარ-  
გი'რამ („კაი'რამ მოხვედი“, „კარგი'რამ გზა გისწავლა“... ნიშნავს  
კარგი რომ)...

ბგერითი შედგენილობისა და ფონეტიკური ანალიზის შემდეგ  
შეიძლება დავასკვნათ:

1. ჩავასურის ბგერითი შედგენილობა ყურადღებას იქცევს იმით,

<sup>1</sup> „ჩქარათ“ ფორმაში ვითარებითი ბრუნვის დაყრუბულა ღერო არ  
არის, ამაში ეჭვიც არ უნდა შეგვეპაროს. ჯერ ერთი საუბრის კონტექსტი გვეუბნება,  
რომ დონი ზღრე დაკარგულია, მაგრამ, შემოკლების მიზნით თერთვის, რომ მრავ-  
ლობათობაზე მიუთითოს. ასევეა „აბათ“ ფორმაში. აქ სულ ვერ ვიტყვით ბრუნ-  
ვის ნიშნად თ-ს.

<sup>2</sup> მახვილის გაელენით მსგავსი ბგერებისა და ბგერათა კომპლექსების დაკარ-  
გვა-ჩამოკვეცვის შემთხვევები ბევრია ინგილოურში (იხ. იმნაიშვილი,   
ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებ, გვ. 61—71), ქართლურში,  
(იხ. გრ. იმნაიშვილი, დასახ. შრომა, გვ. 150), ფერეიდნულში, (არნ.  
ჩიქობავა, ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი, გვ. 45—46).

რომ მას სალიტერატურო ქართულისაგან განსხვავებით გააჩნია შემდეგი ბგერები: ი, უ, ე; გარდამავალი ბგერა ჰ/ს. სპორადულად გვხვდება უმლაუტიანი ხმოვნები (ჰ, რ, ჭ). აღსანიშნავია ხმოვანთა ფშვინვიერი შემართვის საკმაო მაგალითები (ჰა, ჰე, ჰი, ჰო, ჰუ). ამათგან ჭ, ა და ჰა, ჰე, ჰი, ჰო, ჰუ ძველი ქართულისაგან ნაანდერძევი უნდა იყოს, ხოლო ჰ/ს დიალექტური მოვლენაა. უმლაუტიანი ხმოვნები და ნეიტრალური გ თურქული ენის ზეგავლენით გაჩენილი გეგონია.

2. ფონეტიკური პროცესებიდან აღსანიშნავია: ა) ასიმილაცია, რომლის შედეგად მარტივ ზმნისწინებში ვილებთ გეე-, დეე-, ჩეე-, წეე-, მეე-, მუუ- კომპლექსებს, რთული ზმნისწინები კი ილებს ასეთ სახეს: გედეე-, ჩემეე-, გედმეე-, წემეე, შემეე-.

ბ) ერთდროული ასიმილაცია-დისიმილაციის პროცესი იძლევა ასეთ ზმნისწინებს: გიე-, დიე-, ჩიე-, წიე-, მიე-, გედიე-, გედმიე-, წემიე-, შემიე-, იგივე პროცესი ხდება ა-სა და ე-ზე დაბოლოებულ სახელებთან მრავლობით რიცხვში, როცა ებ სუფიქსი ერთვის (ძმიები, გზიები...).

გ) ბგერათგადასმიდან ჯავახურისათვის ნიშანდობლივი ჩანს: ღვლეფი (← ღველფი), გაფსუთავება (← გასუფთავება). ტაბანჩა (← დამბაჩა), ნიგჯორი (← ნიჯგორი), ლოდნარა (← ლოდნარი), ქოჭრანა (← ქოქნარი), ზუკიანი, დაიზუკა დაზუკული (← კუზიანი, დაკუზა, დაკუზული), ზირზა/ზირიზა (← რაზა)...

დ) ერთდროული კუმშვ-აკვეცა ახასიათებს შემდეგ სახელებს: ქანდარა, ქოფანა, ჯამბარა, ფამფარა და მეცხვარე. იკუმშება სახელები: ხორომი (ხორმის), ნალები (ნალების) და ხელეჩო (ხელოჩის).. ამ სიტყვაში ღვინო-ს მსგავსად იკვეცება ბოლოკიდური ო.

ე) ბგერათდაკარგვიდან საყურადღებოა: სანის დაკარგვა ყველა სახის სახელებთან, თანდებულისა სახელებთან, მართულ მსაზღვრელთან როგორც ცალკე, ისე კომპოზიტებში. მიმღეობის მანის დაკარგვა, მანის დაკარგვა სხვა შემთხვევებშიც.

მარტივდება ბგერათკომპლექსები: ოვე→ოე→უე→ვიე; ოვა→ოა; უა→ვია: სიტყვის ბოლოში იკარგვის ხშირად მთელი მარცვალი. უნდა მეშველ ზმნას, რომელიც ნაწილაკადაა ქცეული, აქვს ასეთი რეფლექსები: რაუნა//რავნა//რანდა//რადა, რანა, ნა, და. ამათგან რადა და რანდა მესხურიდან უნდა იყოს შემოსული.

ვ) ბ გ ე რ ა თ მ ო ნ ა ც ვ ლ ე ო ბ ი დ ა ნ ყველაზე მეტად დამახასიათებელია მ ა ნ ი ს შეცვლა ნ ა რ ი თ სიტყვის ყველა ნაწილში (ანხანაგი, ნანტერევი, ამონძახა, ანდგარა, სახლანდი, სინწარე, ინდლეს, გოგონ, ან ქალმა...).

3. ამ თავში განხილულმა ფონეტიკურმა პროცესებმა გვიჩვენა, რომ ჯავახურს ბევრი რამ ჰქონია საერთო მესხურთან, მონათესავე ყოფილა ქართლურისა და ზოგი მოვლენა, რაც ჯავახურშია, დასტურდება ქართული ენის სხვა დიალექტებში. ამასთანავე ისიც გაირკვა, რომ მას გააჩნია ნიშანდობლივი მოვლენებიც.

მ ო რ ფ ო ლ ო ბ ი ა

ს ა ხ ე ლ ე ბ ი

[12. ბრუნვათა წარმოება. ა) ს ა ხ ე ლ ო ბ ი თ ი ბ რ უ ნ ვ ი ს ნიშნად ხმოვანფუძიან საკუთარ სახელებთან (ადამიანთა და ცხოველთა)<sup>1</sup>, ასევე მეტსახელებთან გვხვდება ი და არა უმარცვლო ე. ამ მხრივ მისდევს ქართლურს, რომლის ანალიზისას ვ. თ ო ფ უ რ ი ა. ამბობს: „ამ დართულ ბგერას ჩვენ მარცვლიანი ი-თი აღვნიშნავთ არა ე-თ, როგორც ეს ძველს ქართულშია, რადგანაც იგი საკმაოდ განსხვავდება ჩვენ მიერ ზემოაღწერილი იოტისაგან ერთი მხრით და მეორეც — ლექსთაწყობაში თუ გვევლინება, მარცვალს წყადგენს...<sup>2</sup> - მაგალითები. ადამიანთა საკუთარ სახელებში: მიში, გოგაი, პეტეი, ალეი, ვანოი, ბინოი, გიევი... ცხოველთა და ფრინველთა სახელებში: ნიში, წაბლაი, კოტომანაი; ასლანაი, ჯეირანაი, მორთულაი, შანოი (-შავოი), ჩათეი, ლოქოი, დაბუაი, ქუჩაი, წვერაი, ფუტაი, პუნწყლაი...

მარცვლიანი ი სახელობით ბრუნვაში ხმოვანზე გათავებულ სახელებს მოუდის მთის კილოებში<sup>3</sup>. ქართლურსა<sup>4</sup> და კახურში<sup>5</sup> იგი მოუ-

<sup>1</sup> გარდა ამისა, ი სახ. ბრუნვის ნიშნად გვხვდება ნათესაობის აღმნიშვნელ რამდენიმე სახელთან: დედაი, მამაი, ბებეი, პაპაი, სიძეი, ძალი, ძიძაი, ნათელიაი, მაგრამ არა ძმ ა ი და დ ა ი, არამედ ძმ ა და დ ა.

<sup>2</sup> ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ქართლური, გვ. 130. შრდ. გ რ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ქართლური დიალექტი, გვ. 192—194.

<sup>3</sup> ბ. გ ა ბ უ რ ი, ხევსურული მასალები, ა. შ ა ნ ი ძ ი ს რ ე დ ა კ ც ი თ, „წელიწდული“ 1—11, 1923—1924. გვ. 122—258, შდრ. ა ლ. კ ი ნ კ ა რ ა უ ლ ი, ხევსურულის თავისებურებანი, თბილისი, 1960. გვ. 26—28.

<sup>4</sup> გ რ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ქართლური დიალექტი, გვ. 192—193.

<sup>5</sup> ა რ. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ე ი, გ რ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ქართული ენის კახური დიალექტი გვ. 68, 73.

დის ზოგად სახელებსაც. განურჩევლად იმისა, ქვემდებარე იქნება თუ დამატება<sup>1</sup>.

სხვა დიალექტებში სახელობითი ბრუნვის ნიშნად ხმოვანფუძიან სახელებთან **ა ო ტ ი ა**<sup>2</sup>. მესხურში საენათმეცნიერო ლიტერატურაში ფიქსირებულია **ა**<sup>3</sup>. მაგრამ, მსგავსად ქართლისა და ჯავახურისა, ჯავახეთის მოსაზღვრე სამცხის სოფლებში **ი-ც** არის ხმოვანფუძიანი სახელების სახელობითი ბრუნვის ნიშანი. ამას ადასტურებს ნაქალაქევის, თმოგვისა და ტოლომის მეტყველება. ეს სოფლები ესაზღვრება ჯავახეთს და ეკუთვნის სამცხეს როგორც ტერიტორიულად, ისე მეტყველებით.

**ბ) მ ო თ ხ რ ო ბ ი თ ი ბ რ უ ნ ვ ა.** ხიზაბავრისა და ვარგავის მეტყველებაში ზოგჯერ (ლექსებსა და ცალკეულ გამოთქმაში) მოთხრობითი ბრუნვის ნიშნად ძველი ქართულის მან გვევლინება, თუმცა ასეთი მაგალითები ცოტაა: მაგალითები: „**ლ მ ე რ თ მ ა ნ ი ც ი ს**, ჩემი ქმარი გულით არა მყვარებია“. „ჯერ **კ ბ ი რ ვ ე ლ მ ა ნ** დაიწყო“. „**ს ი ც ხ ე მ ა ნ** გული ჩაძიოუთქა“...“

ზოგ შემთხვევაში ბოლოსმოვნიან სახელებს მოთხრობით ბრუნვაში მოუღდის გარდამავალი საფეხურის -**მ ა (ნ)**: „რა მოგიტანა **დ ე დ ა მ ა**“.

„წიაცვანა ამ **მ ო ლ ა მ ა**“, „დაუძახა თავი **დ ა მ ა**“. „ამ **გ ო გ ო მ ა** სარეცხი დადგა“. „ამ **მ ო ლ ა მ ა** თქვა“.

ასეთი ფორმები ჩვეულებრივია რაჭულისათვის,<sup>4</sup> გვხვდება მთის

<sup>1</sup> სოფ. საროში გავიგონე ასეთი ფრაზა: „ძირს ნიკალი, მალა მუშაი“. ნიკალის ანალოგიით მარტვილიანი ი. ი. ჯღდის ზოგად სახელს ნუშას (მღუში).

<sup>2</sup> ინგილოურში, კაკაურის კილოკავში სახელობითი ბრუნვის ნიშნად ხმოვანფუძიან სახელებს მოუღდით **ა. იხ. გ რ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი**, დასახ. შრომა, გვ. 83—84. აჭარულში, შ. ნ ი ე ა რ ა ძ ე, ზემოაჭარულის თავისებურებანი, გვ. 5, 32. თუშურში, იხ. შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, ქართული დიალექტების ქრესტომათია, თბილისი, 1956, გვ. 160—168. ი ე. გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი, ე. თ ო ფ ე რ ი ა, ი ე. ქ ა ე თ ა რ ა ძ ე, ქართული დიალექტოლოგია, თბილისი, 1961, გვ. 104—123. გვხვდება იმერხელშიც, იხ. Н. Я. М а р р, Тексты и разыскания... кн. VII, СПб. ст. 61—69, 1911.

<sup>3</sup> შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, მესხური დიალექტის აღწერითი ანალიზი, გვ. 244. ი. მ ა ი ს უ რ ა ძ ე, ძირითადი ფონეტიკური მოვლენები მესხურში, გვ. 140.

<sup>4</sup> შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, რაჭული დიალექტი, ძიებანი ქართულ დიალექტოლოგიიდან, თბილისი, 1954. გვ. 189.

კილოებში<sup>1</sup>, ნაწილობრივ იხმარება ქართლურსა<sup>2</sup> და კახურში<sup>3</sup>, ხოლო იშვიათად ზემოიმერულ კილოკავში<sup>1</sup>.

გ) მ ი ც ე მ ი თ ბ რ უ ნ ვ ა შ ი დგას ადგილისა და მიმართულების აღმნიშვნელი სახელები, მსგავსად ძველი ქართულისა<sup>6</sup> და მთის კილოებისა, უთანდებულოა. მაგალითები: „ბ ა კ უ რ ი ა ნ გადმოვედით“. „ა ხ ა ლ ქ ა ლ ა ქ მივიღივარ“. „ს ა რ ო ჰ ი ყ ო დარჩენილი“. „ა ხ ა ლ ც ი ხ ე კ მუუსწრო წვიმამა“. „ხ ე ვ ჩამოვიდა ლაშქარი“. „ეხლა ვკამე ქ ა ლ ა ჰ შ ი ნ დ ი“. „იქიდან გ ო გ ა შ ე ნ შემოუვლია“...

მიცემით ბრუნვაში დგას ადგილისა და მიმართულების აღმნიშვნელი სახელები აგრეთვე რაჭულში.

არის ცალკეული შემთხვევები, როცა სახელობითი ბრუნვის ნიშანი ი გაგებულა ფუძისეულად. სახელი ბრუნებისას იცვლება ასე: თამარიმ, თამარის, ეთერიმ, ეთერის, ნოდარიმ, ნოდარის... მოკვყავს ერთი მაგალითი: „სარდალი შეხვდა თ ა მ ა რ ი ს (თამარს) ციხეში“...

დ) ნ ა თ ე ს ა ო ბ ი თ ბ რ უ ნ ვ ა შ ი ძალიან ხშირად იკარგება თანხმომავანი ს, როცა სახელი წინმდგომი მსაზღვრელია, იქნება ეს სახელი ფუძეკუმშვადი თუ ფუძეკვეცადი<sup>7</sup>: მაგალითები: „შაქარ სუ ს უ ფ რ ი კოვშით იყრიდა“. „მ უ ხ ი ფიცრებით გიეკეთებინა წყ ა ლ ი ბოკები“. „ს ა ქ მ ი ბოლო არ იცოდა“. „დ ე დ ი ხსენი არ შიარჩინა“. „თ ა ვ ი მ ა მ ი ბ ა თ ი ნ კ ე ბ ი ჩ ი ე ც ვ ა“...

ს ა ნ ი ს დაკარგვის აღნიშნული და სხვა შემთხვევები განხილულია ფონეტიკის ნაწილში.

ე) არის ორიოდ შემთხვევა, როცა მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ ბ რ უ ნ

<sup>1</sup> ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფური, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია ხევსურულში: გვ. 16; მოხუერში: გვ. 36, 44; მთიულურში: გვ. 66; თუშურში: გვ. 108; ფშურში: გვ. 138.

<sup>2</sup> გ. რ. იმნაიშვილი, ქართლური დიალექტი, გვ. 194.

<sup>3</sup> ა. მარტიროსოვი, გ. რ. იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, გვ. 69.

<sup>4</sup> ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული კილოკავი, გვ. 79, 117. ა. კიზირია, ადგილისა და დროის გარემოება ძველ ქართულში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. V, 1953. გვ. 114—115.

<sup>5</sup> ბ. გაბუერი, ხევსურული მასალები, აკაკი შანიძის რედაქციით, ტფილისი, 1924. გვ. 121—133, 141, 200, 252; ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფური, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, გვ. 16—162.

<sup>6</sup> შდრ. გ. რ. იმნაიშვილი, ქართლური დიალექტი, გვ. 195.



ვ ა შ ი დასმულ სახელს დაკისრებული აქვს გამოსვლითის ფუნქცია.  
„თამარის კაცი მთით ჩამოვიდა“. „ეს კაცი ოხე რ ი თ მოსულა“.

ვ) ვ ი თ ა რ ე ბ ი თ ი ბ რ უ ნ ვ ი ს ნიშანი დ ხშირ შემთხვევაში დაყრუებულა თ-დ. ასევეა თითქმის ქართულ ყველა კილოში.

მაგალითები: „ტანისამოსი ა ხ ლ ა თ იყიდა“. „თითონ კ ა რ - გ ა თ არი“. „ქ ა ლ ა ქ ა თ წასულა“. „ტ ყ ე თ მიეჩვენა“. „ძ ა ლ - ლ ა თ აქცია“. „მ ე ფ ე თ გაასალა თავი“...

თ არის მაშინაც, როცა ემფატიკური ხმოვანი დაერთვის. გადაის- როლა ძ ა ლ ა თ ა“. „არ გაუშვეს ს ა ჩ ი ვ ლ ე ლ ა თ ა“, ხანჯა- ლი მეჭირა მ ა რ ჯ ვ ე თ ა“.

ზოგჯერ ვითარებითი ბრუნვის ნიშნის დ დაყრუებულა თ-დ და დაკარგულა, შემოგვრჩენია ა. მაგალითები: „გ ო ნ ჯ ა უთქვია“, კ ა რ გ ა მოვიდა“. „დ ე დ ა ბ უ დ ი ა ნ ა წამოსულიყო“. „ც ო ლ - შ ე ი ლ ი ა ნ ა აიყარა“. „ც ე ლ ი ა ნ ა გაიქცა“. „ზ ე ზ ე უ ლ ა მალლა, მალლა წავიდა“<sup>1</sup>...

მსგავსად მიცემითისა, ზოგჯერ ვითარებითი ბრუნვა მიმართულე- ბის მაწარმოებელია: „ისევ წავიდა მ თ ა თ“. „ქერულში მ თ ა თ მივიდიოდით“. „გაზაფხულზე გავდივარ მ ი ნ დ ვ რ ა თ“. „დ უ მ ა - ნ ი ს ა დ ვიკავი ჯარში...“

არის შემთხვევა, როცა ვითარებით ბრუნვაში დასმული მასდარი მიზნის გარემოების როლს ასრულებს: „დადიოდნენ ნ ა დ ი რ ო - ბ ა დ“. „ნ ა დ ი რ ო ბ ა დ დადიან“. „ნ ა დ ი რ ო ბ ა დ წ ა ს უ - ლ ა“.<sup>2</sup>

აღნიშნული ფორმები ძველი ქართულის ნორმაა. ახლაც გვხვდება მთის კილოებში.

გვხვდება ისეთი მაგალითებიც, როცა ვითარებითი ბრუნვა გაუ- ფორმებელია: „რ ი გ ი ა ნ ი მუშავეთ“. „რ ა ნ ა ი (-რა ნაირად) გასუქებულა“. „თ ე ლ ი ა ნ შეუქამიათ“. „ე რ თ ი ა ნ წ ი ე ლ ო თ“. „ქ ა ც უ რ შეკაზმული ქალი გამოჩნდა“...

ზ) ზოგჯერ ფუძეუკვეცელ სახელებს ა-ს ნაცვლად დაერთვის ემ- ფატიკური -ი<sup>3</sup>, „რ ი ლ ა თ' ი ნ ა შეინახოს ცოლშვილი“. „ჩვენ

<sup>1</sup> ა. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი, გ რ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ქართ. ენის კახური დიალექტი, გვ. 70.

<sup>2</sup> ეს სიტყვა და მსგავსი ფორმები ჯერ კიდევ „მუშანიყის წამებაში“ გვხვდება. „მ ე ბ რ ძ ო ლ ა დ წავალ ჰონთა ზედა“, „თვით ნ ა დ ო რ ო ბ ა დ წარვიდა“... იხ. „მუშანიყის წამება“, თბილისი, 1938, გვ. 21, 85. ილ. ა ბ უ ლ ა ძ ი ს გა- მოცემა.

<sup>3</sup> გ რ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ქართლური დიალექტი. გვ. 196, 197.

რ ი ლ ა თ ი წამოვიდეთ“. „ძ ა ლ ა თ ი წამოიყვანა“. „დილას ა ქ ე თ ი იქა ხართ“? „ს ა ლ ა მ ო თ ი ჩემთან გამოიარე“...

თ) არის ისეთი შემთხვევები, როცა მოქმედებითი ან ვითარებითი ბრუნვის მონაცვლელ ისევე ძველი ივ მოქმედებითი ბრუნვის სუფიქსით სახელები იჩენს თავს. მაგალითად, „თ ხ ლ ი ვ დათესე და კაი უანა იქნება“. „გ რ ძ ლ ი ვ დაიჭირე, შეილო“. „გ ა უ ჩ ე რ ე ბ ლ ი ვ მი- დიოდა“. „უ ს ვ ე ე ნ ე ბ ლ ი ვ დალია ერთი ლიტრა“. „ს ა ა თ ო- ბ ლ ი ვ ვიდექით“. „ს ქ ლ ი ვ გაშალე, ეგრე ცუდია“, „თ ა ვ ა უ- ლ ე ბ ლ ი ვ ვმუშაონდით“. „უკვლა უკ ლ ე ბ ლ ი ვ მივდიოდით“...

ი) -ით მოქმედებითი ბრუნვის ნიშანი ენაცვლება ზოგჯერ -თან თან- დებულს: „ტანსაშემელ თ ა ვ თ ი თ დავიდნთ ხომე“. „ამ ბებემ უთხრა: ფ ე ხ თ ი თ დამიჭეკო“. „თუ სიკვდილი თ ა ვ თ ი თ უკლა, იტყოდა მოკვდება, ხოლო თუ ფ ე ხ თ ი თ<sup>1</sup> ეკლა — მორჩებაო“...

ასევე ენაცვლება -ით ბრუნვის ნიშანი -ზე და -ში თანდებულებს ასეთ ფორმებში: „შ ე მ ო ღ გ ო მ ი თ ცხერი მატყლი არ ვარგა“. „გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ი თ ენახოთ, რაპ იზამ“. „ეს ისეთი ადგილია, რო ზ ა მ თ რ ო ბ ი თ ცივა, ზ ა ფ ხ უ ლ ო ბ ი თ ცხელა“.

კ) ზოგჯერ მიმართვის ფორმას ორი ნიშანი აქვს. ჯერ ო და მერე ვ ი- ნ ი. ო ფუძისეულადაა გაგებულნი: „ქ ა ლ ო ვ, წუხელ რა ენახე“. „წ ა მ ო ვ, ბიკები აქ დევანგვრიოთ“. ბოლო მაგალითში ვ ი ნ ი დართვია ზმნის შემოკლებულ ფორმას — ზმნისწინ „წ ა მ ო -ს“ სა- ხელი კი, ვისაც მიმართვა ეხება. გამოტოვებულია.

მიმართვის ო ადამიანის აღმნიშვნელ ზოგიერთ საკუთარ სახელში ფუძისეულ ხმოვანს კუმშავს: კ ე კ ლ ო ← კეკლა, ლ ა ზ რ ო ← ლაზარე... (ამ მაგალითებში კუმშვა-კვეცაა).

წოდებებში გვხვდება მიმართვის ასეთი ფორმები: დ ე ი დ ო, მ ა- მ ი დ ო, ბ ა ბ ო, მ ა მ ი, დ ე დ ი. ბოლო ორი მიღებული უნდა იყოს მამილო, დედილო ფორმებისაგან. არაიშვიათია ისეთი შემთხვე- ვები, როცა საკუთარ სახელებსა და ზოგ საზოგადო სახელს ეკვეცება ფუძისეული ა, ე, ო ხმოვნები მიმართვის ფორმებში: ანაქალ, სალომ, ბოკიმ, იროდინ, ლამარ, ვალი, ყენა//ყენი//ყენო, ნინი, კირილ, ალათ... ნათლიდედ, ნათლიმამ... ადამიანის საკუთარ სახელებში ფუძისეული

<sup>1</sup> ხშირად ხმარობენ თ ა ნ ი ა ნ ი მრავლობითის, ფორმით სიტყვებს თ ა ვ თ, ტ ა ნ თ, ფ ე ხ თ, ასევე თ ვ ა ლ თ და ზ ე ლ თ. ფ ე ხ თ, თ ვ ა ლ თ, ხ ე ლ თ ფორმების ანალოგიით უნდა იყოს თ ა ვ თ და ტ ა ნ თ სიტყვებიც.

<sup>2</sup> შდრ. გ რ. ი მ ნ ა ი შ ე ი ლ ი, ქართლური დიალექტი, გვ. 198.

ი გაგებელია ზოგჯერ სახელობითი ბრუნვის ნიშნად და მიმართვის ფორმებში ჩამოკვეცილია: „მოდი აქ, გ ი ო რ გ!“ „მოიცა, გ ი ო რ გ!“ „საღ მიხვალ, უ შ ა ნ გ!“<sup>1</sup>

ყურადღებას იპყრობს - ო ბ ა სუფიქსით ნაწარმოები დროის აღმნიშვნელი სიტყვების ხმარება<sup>2</sup>. სა დ ი ლ ო ბ ა, სა მ ხ რ ო ბ ა და გ ა ხ შ მ ო ბ ა ფორმები იკვეცენ ჩვეულებრივ საუბარში ბოლოკიდურ ა-ს:

„უკვე სა დ ი ლ ო ბ მ ო ვ ი დ ა“. „ს ა მ ხ რ ო ბ გ ა ხ ღ ა“  
„გ ა ხ შ მ ო ბ ი ქ ნ ე ბ ო ღ ა“...

13. ემფატიკური -ა. მიცემით-ნათესაობით-მოქმედებით-ვითარებით ბრუნვებში ჯავახურში, ისე როგორც ქართლურში, კახურსა და ზოგ სსვა კილოში, ემფატიკური ხმოვანი ა დაფრთვის სიტყვებს. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულა, რომ მის ხმარებას გარკვეული კანონზომიერება ახასიათებს. ხშირ შემთხვევაში მოუღის იმ სიტყვას, რომლის შემდეგ პაუზა ან კავშირი.

ამ დროს ემფატიკური ა მახვილის მატარებელია<sup>3</sup>. მაგალითები: მ ი ც ე მ ი თ ი ბ რ უ ნ ვ ა: „ვერ ვცნობთ მ ტ ე რ ს ა“. „ასე იყო ძველ დ რ ო ს ა“, „შეევედრა უ ფ ა ლ ს ა“. „ს ა რ ვ ე ლ ე ბ ს ა ერთი მარხილი ქონდა“...

ნ ა თ ე ს ა ო ბ ი თ ი ბ რ უ ნ ვ ა: „მეშინია ფ ა ლ ა ვ ნ ი ს ა“. „ყვაგილებს ყ ე ლ ი ს ა, მსგავსო, ჩემი მ წ ვ ე ლ ი ს ა“. „მე ჯ ი რ ი თ ი ს ა არა ვიცირა“...

მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ ი ბ რ უ ნ ვ ა: „არ გამაძლარა პ უ რ ი თ ა“. დასჭყიელა თავისი ხ მ ი თ ა“. „აჩეხა ხ მ ლ ი თ ა“. „ჩამოვიდა გ ო რ ე ბ ი თ ა“... ვ ი თ ა რ ე ბ ი თ ი ბ რ უ ნ ვ ა: „ვიჭექი მ ა მ ა პ ა პ უ რ ა თ ა“. „არ ვარგოდა ც ო ლ ა თ ა“. „მოდიოდა მ ო ს ა კ ლ ა ვ ა თ ა“. „დავეყარე გ ა ს ა ხ მ ო ბ ა თ ა“...

<sup>1</sup> ხმოვნის მოკვეცის ფორმები დასტურდება კახურში: ის. შ ა რ ტ ი რ ო ს ო ე ი, გრ. ი მ ნ ა ი შ ე ი ლ ი, ქართ. ენის კახური დიალექტი, გვ. 71, 72, ქართლურში: ის. გრ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ქართლური დიალექტი, გვ. 198—199.

<sup>2</sup> ა შ ა ნ ი ძ ი ს ახრით; ძველი ქართულის ინფინიტის ნაშთი უნდა იყოს მოსუტურშიც შეკეცილი სახით: „მთაჩი წავალ ნ ა დ ი რ ო ბ“. (ყაზ. 310, 34), „მეც ხ ი ლ ო ბ წავალ“ (ყაზ. 239, 38), „ტყეში წაიდნენ შ ე შ ო ბ“ (ყაზ. 343, 26), ის. ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბილისი, 1, 1953, გვ. 63.

<sup>3</sup> თ. ზ უ რ ა ბ ი შ ვ ი ლ ი, ემფატიკური-ა ახალ ქართულში, სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართულურ ენებში, წიგნი 1, ვ. თ ო ფ უ რ ი ა ს რ ე და ქ-ციით, თბილისი, 1956, გვ. 228—232.

მეტყველების ნაწილებსა და განსაკუთრებით თანდებულებს სახელებს ერთვის -ა, რომელიც ყოველთვის ემფათიკური არ უნდა იყოს. იგი ზოგ შემთხვევაში დეტერმინანტის ეულია. მაგალითები თ ა ნ დ ე ბ უ ლ ი ა ნ ს ა ხ ე ლ ე ბ თ ა ნ : „ქარმა წაიღო განზედა“. „ცხენი არა მყანს ჯ ა ნ ზ ე დ ა“. „დაითრია თ მ ი დ ა ნ ა“. „წამოვიდა მ ც ი თ გ ა ნ ა“. „რაც მოგივა ღ ე თ ი ს ა გ ა ნ ა“. „რას მიჰვრეტამ ბ ა ნ ი დ ა ნ ა, არ ჩამოხვალ კ ა რ ი დ ა ნ ა“. „გავიქეციოთ ჯ ა ნ ჯ ღ ა შ ი ა“. „ამოველი ს ა ხ ლ შ ი ა“. „ის ქალი ცხოვრონს ზ ე ე ლ შ ი ა“<sup>1</sup>. „წაიყვანა თ ა ვ ი ს თ ა ნ ა“. „სწერდა დ ე დ ა ს თ ა ნ ა“. „დაუბარა ლ ა ლ ა ს თ ა ნ ა“. „დააბზრიალა ს ა ხ ლ ი ს კ ე ნ ა“...

მ ე ტ ყ ვ ე ლ ე ბ ი ს ს ხ ვ ა ნ ა წ ი ლ ე ბ თ ა ნ : ისა, ესა, იქა, აქა, აქეთა, იქითა, რომა, მაგრამა, შორსა, ისევა, კიდევა, როგორა, ამაღამა...

აქ ა ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ე ბ თ ა ნ (ისა, ესა...), კ ა ე შ ი რ ე ბ თ ა ნ (რომა, მაგრამა, როგორა...), ზ მ ნ ი ზ ე დ ე ბ თ ა ნ (შორსა, ამაღამა...) ემფათიკურია, ხოლო თანდებულებთან (-განა, -კენა, -ზედა, -შია...) წარმოშობით დეტერმინანტისეულია.

14. მრავლობითი რიცხვი. მრავლობითი რიცხვის წარმოებისას განსაკუთრებული რამ არ შეინიშნება, მაგრამ არის კერძობითი შემთხვევები. იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება ე ბ ი ა ნ ი მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ი ს გ ვ ე რ დ ი თ ნ ა რ თ ა ნ ი ა ნ ი ფ ო რ მ ე ბ ი : „ს ა მ ნ ი ძ მ ა ნ ი ი ყ ვ ნ ე ნ“. „ო რ ნ ი დ ა ნ ი დ ა რ ჩ ნ ე ნ“, „სუ თ ა ვ ი თ ი ხ ა ლ ხ ი ჰ ყ ა მ დ ა თ“. „თ ა ვ ი თ ი (← შემოკლებული თავიანთი) ს ა ქ მ ე თ ი თ ო ნ ი ც ი ა ნ“...

საგვარეულო წარმომავლობის სახელები დაირთავენ სპეციალურ მაწარმოებლებს: „ე გ ყ ა ნ ე ბ ი თ ა მ ა ზ ა ა ნ თ ი ი ყ ო“. „თ ე ლ ი გ ვ ი რ ჯ ი ე ნ ი ი ქ ი უ ე ნ ე ნ“. „გ ა ლ ა ხ ა ა ნ ი მ ა ნ დ რ ო ლ დ ი ი ყ ვ ნ ე ნ“. „ჩ ე ე ნ ი კ რ ა ვ ი, მ უ რ ა დ ა ა ნ ც ა (-მურადაანთსა) შ ე ჰ ყ ო ლ ი ა“. „ე გ ძ რ ო ხ ა ვ ა ხ ტ ა ნ გ ა ა ნ თ ი ა“. „ღ ე დ ა შ ე ნ ი ო ლ ღ ა ა ნ ც ა ა“<sup>2</sup>...

ზოგი სახელი, რომელსაც სალიტერატურო ქართულში მრავლობითი რიცხვი არა აქვს, აწარმოებს მრავლობითის ფორმებს: „ბევრი დ ა ც ე მ ე ე ბ ი (-დაცემაები) ყ ო ფ ი ლ ა თ ა თ რ ე ბ ი ს ღ რ ო ს“, „იმათ ცე-

<sup>1</sup> ა. შანიძის ახსნით: „შია შექმლო მიეცა როგორც შინას, ისე შიგანს“ იხ. მისი ქართ. გრამატიკის საფუძვლები, გვ. 620.

<sup>2</sup> გვარის განაყოფთა სახელების წარმოებას დაწერილებით განვიხილავთ ცალკე.

ცხლები დაენთოთ. „რძიები (-რძეები) ჯერ არ ჩამოუტანიათ?“ „დიდი წყლიები წამოვიდა ხევებში“...

სოფ. მურჯახეთის მცხოვრები ქალის (97 წლისა) მეტყველებაში შეინიშნება -ე ბ-ის მაგიერ -ე ვ სუფიქსის ხმარება მრავლობითობის გამოსახატავად:<sup>1</sup> „ქა ცევი მოვიდნენ“. „ქევეი ააყენესო“... ს. ბალანთის ადგილმდებარეობის აღმნიშვნელ სახელებში შემონახულა -ე ვ: თეთრკარკლევი (სე) ძირი, მუხევი (ს) თავი, პანტევი (ს) ძირი...

ჯავახურში, მსგავსად რაჭულისა<sup>2</sup> და ინგილოურისა<sup>3</sup>, გვხვდება ორმაგი მრავლობითობის ფორმები. ნაცვალსახელებში „ისინე“, „ესენე“ ნ ფუძისეულადაა გაგებული და ერთეის -ებ სუფიქსი. ზოგჯერ ხმოვანიც იკუმშება: „ესენე ბი ივენენ გუშინ ჩვენთან“. „ისინე ბი გაჩერდნენ“. „ისნე ბი მოვიდნენ“. „ესნე ბი დაბრუნდნენ“...

„თავეთ“, „იმათ“, „სამთავე“, „ორთავე“ და მსგავსად ნაწარმოები სხვა ფორმები ფუძეებადაა გაგებული, ჯერ ნარი აქვს დართული — შემდეგ -ე ბი: „თავეთნე ბი წიესხა. რა ჩვენი წაიყვანა“. „ეგ ხბორები იმათნე ბი ივენენ“. სამთავენე ბი ჩემთან მოდით: „ორთავენე ბი აქ დარჩით“... ბოლო ორ ფორმაში იკარგება -ვე ნაწილაკისეული ე. უნდა ყოფილიყო: სამთავენები, ორთავენები.

ერთი შეხედვით სიტყვები „თავნი“ და „ქუდნი“<sup>4</sup> მოგვეჩვენება ნარიანი მრავლობითის ფორმებად, მაგრამ ასე არაა, აქ უნდა იყოს შემორჩენილი დეტერმინანტისეული ნ (←ან). მსგავსი ვითარებაა „ბეწენა“ და „ხელნა“ ფორმებში (ორივე ურმის ნა-

<sup>1</sup> -ებ-ის ნაცვალად — ვეს ხმარობენ ინგილოურშიც. იხ. გრ. იმნაიშვილი, ქართ. ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი, გვ. 101.

<sup>2</sup> შ. ძიძიგური, დასახ. შრომა, გვ. 79.

<sup>3</sup> გრ. იმნაიშვილი, ქართ. ენის ინგილოური დიალექტის თავისებ., გვ. 101.

<sup>4</sup> „თავნი“ ნიშნავს 1) ვაჭრობის დროს წინასწარ მიცემული საფასურის ნაწილს ან ფულად, ან სხვა რამის სახით. 2) ნარჩევ, მთავარ ხორბალს — მარცვალს, ხოლო „ქუდნი“ ეწოდება 1) ნარჩენ, მდარე მარცვლულს, რომელსაც ფრინველებს აჭმევენ, 2) ხანულის (-ამხანაგობა ქალებისა ყველ-ერბოს გაკეთების დროს) ქალებში ქღეზე (←ჩხირი) დაკვობენ რძის რაოდენობას, თუ ვალი გადაუხადა ერთი დღისა და დარჩა რძე, აღნიშნავენ კუდნსაც, ე. ი. ნარჩენ, მცირე რძეს ქღეზე დაკვობენ.

წილებია). თავდაპირველად უნდა ყოფილიყო ხ ე ლ ა ნ ა, ბ ე წ ვ ა ნ ა, ფუძესთან შერწყმულა სუფიქსი და ა დაკარგულა. ასევე იქნებოდა „თ ა ვ ა ნ ი“ და „კ უ დ ა ნ ი“ ფორმებიც ადრე. გვაქვს მეორე სიტყვა „თ ა ვ ა ნ ი“, რომელიც ნიშნავს ოდის ჰერს. „ამ ოდას თ ა ვ ა ნ ი ავაკრათ“.

გვაქვს სიტყვა „ფ შ ა ნ ი“. აქ ნ მრავლობითის მაწარმოებელია, რადგან საბას განმარტებით ფ შ ა არის „მდინარისაგან წყარო მუნვე ახლო გამოდენილა“. „ფ შ ა ნ ი“ იხმარება ქართლშიც. გოგებაშვილი თავის მოთხრობებში ფ შ ა ნ ს ხმარობს („ყველანი ვხედავთ, რომ წყაროები ქვემოთ მირბიან, ერთმანეთში ერევიან და აჩენენ ფ შ ნ ე ბ ს ა“).

გამორიცხული არაა, რომ სახელწოდება საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო კუთხისა — ფშავისა — უძველესი ფორმა იყოს ფ შ ა ნ ის ა (ფშ-ძირია-ავ იგივე -ან//-ებ მრავლობითობის სუფიქსია). თვითონ ფ შ ა ე შ ი ფშანს ფ შ ა-ს ეძახიან, მრავლობით რიცხვში „ფ შ ე ბ ს“ ხმარობენ („სადაც ჰალა თავდებოდა, ფ შ ა ც იქ ერეოდა მდინარეში“. „რუს ფ შ ე ბ ი მოემატა, წამოვიდა საკმაო წყალი და დაბრუნდა წისკელია“. ვაჟა). ისევე როგორც გვაქვს თ ე ლ ა ვ ი (-თელები).

ჯავახეთში ფ შ ა ნ ს ეძახიან ხრამში გამონადენ ბუნებრივ წყაროებს. მრავლობით რიცხვში იტყვიან ფ შ ნ ე ბ ს<sup>1</sup>.

ჯავახურში დასტურდება (გამიგონია ქართლშიც — მეჭვრისხევში) სამმაგი მრავლობითის ფორმა: „ეს ბიჭები ტ ო ლ ე ბ ნ ე ბ ი ა“. „ჩვენ ხო ტ ო ლ ე ბ ნ ე ბ ი ვართ“...

სოფ. ბალანთას „ისინი“ და „ე ს ე ნ ი“ ფორმები იხმარება. ის ი ე ბ ი (←ისეები) და ე ს ი ე ბ ის (←ესეები) სახით<sup>2</sup>. ნ ა რ ის ნაცვლად მაწარმოებლად — ე ბ ი ა.

მრავლობითის თ იხმარება გამოთქმებში და გაგებულა ფუძისეულად: „ფ ე ხ თ გ ა ი ხ ა დ ე“. „ჩიქილა ყ უ რ თ აიწია“. „თ ა ვ-

<sup>1</sup> იაკობ გოგებაშვილს სანიმუშოდ აქვს ფ შ ა ნ ის განმარტება: „ჩვენ ყველანი ვხედავთ, რომ წყაროები ქვემოთ მირბიან, ერთმანეთში ერევიან და აჩენენ ფშნებსა. ფშნებიც ერთმანეთს ერთიან და ადგენენ მდინარეებსა“ — მაგრამ არის სხვა გარემოება. შესაძლოა ნ იყოს დეტურმინანტი სუფიქსი სახელის ფუძის, ისევე როგორც გვაქვს „ძამან“ ფორმაში. (მღრ. ძმა ←ძამა. ხომ გვაქვს ძამაშვილი).

<sup>2</sup> ა რ ნ. ჩ ი ქ ი ბ ა ვ ა, ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი, გვ. 212.

თით დაუდეთ“ . „ფეხთით დაუყეჟი“<sup>1</sup>. „ფეხტები (←ფეს-  
თები) მოიტა“ . „იე გოგოჰ ფეხტა უყიდე...“

კრებილობის -ო ბა სუფიქსს დაკისრებული აქვს მრავლობითობის  
გამოხატვა: „წავიდნენ იმის სახლობა“ . „დაიწვიპა (←რიგში  
ჩადგა) ჩვენი ბრიგადის ურმობა“ . „ყანა ამოაგდეს ამითმა ქა-  
თმო ბამ“ . „ეს გოგუობა სუ გადარეულია ახლა“ . „მოგრო-  
ვილან კალოზე ბიჭობა და თამაშობენ“ . „იეგ ძროხობა  
გარეკე“ . „სუ გამოუქამია შიგნეულობა“... .

ასეთივე ფორმები დასტურდება ქართული ენის სხვა კილოებში  
(მაგალითად, ქართლურში, კახურსა და სხვ.).

**15. ხარისხები.** ხარისხების წარმოება ჯავახურში აღწერილია და  
არაფრით განსხვავდება სხვა კილოებისაგან. სხვა სახელთან შედარე-  
ბისას ურთავენ -ზე თანდებულსა და უფრო ზმნიზედას. მაგალითად,  
ყველაზე ძლიერი, თაფლზე ტკბილი, ქვაზე მძიმე, უფრო ლამაზი,  
უფრო ღრმა...

აღმატებითი ხარისხის მწარმოებლად ხმარობენ ზმნიზედებს: მეტათ,  
ძიელ/ძრიენ/ძრიელ/ძიენ, კაი, წვე (-მწველ)<sup>2</sup>... მაგა-  
ლითები: „კაი ლამაზი დოდოფალი“, „კაი ფრენია ცხენი“ . „მე-  
ტათ აონრებული სოფელი“ . „ძრიელ ღრმა ტბა.“ „ეგ წვე  
დაბალია“, „შენ წვე მეტი უთხარი“...

**16. რიცხვითი სახელი.** თვლა ჯავახურში ჩვეულებრივია. მაგრამ  
მეცხვარეებთან შემორჩენილა ოცობითი თვლა. ხუთოცი, ათოცი, თე-  
რთმეტოცი, თხუთმეტოცი და სხვა.

რთული რიცხვითი სახელები ბოლოდან -ტი მარცვალს იკვეცენ:  
თერთმე, ცამე, თოთხმე, თხუთმე, თექვსმე...

**17. ნაცვალსახელები.** ეს და ის ჩვენებითი ნაცვალსახელები რომ  
სანს ჰკარგავენ ან ხანს ჰაე ენაცვლება, ეს განვიხილეთ ფონე-  
ტიკაში. აღვნიშნავთ, რომ განუსაზღვრელი ნაცვალსახელი ვილანც,

---

<sup>1</sup> მსგავსი ფორმები გვხვდება ქართლურში: იხ. გრ. იმნააშვილი,  
ქართლური დიალექტი. გვ. 198. კახურში: ა. მარტიროსოვი, გრ. იმნა-  
იშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, გვ. 74.

<sup>2</sup> წვე-ს შედარებით ძველი ფორმა დადასტურებული აქვს კ. დონდუას  
მესხურ ტექსტებში. იქ მწუე-ა „მდიდარი გახდნენ მწუე“, „გამდორ-  
დნენ მწუე“. იხ. კ. დონდუა, რჩეული ნაშრომები, გვ. 362. სწვე-ს თავდაპირველი  
ფორმა იქნებოდა მწვედ ან მწველა.





ისევლე). გურულს (ისევლე) და ხევსურულს (აპალე ← აპა წაილე, აბალე ← აბა მომეცი, ჰოლე ← ჰოკი...)<sup>1</sup>, აგრეთვე ზემო იმერულს<sup>2</sup>.

აღნიშნულ მაგალითებში -ლ ე ნაწილაკი მნიშვნელობისაგან დაკლილია და ფუძეს შეხორცება. -ლ ე მაწარმოებელი გვაგონებს სვანურის კნინობითობის მაწარმოებლებს: *ოლ//ოლდ, ელ//ელდ, ილე//ილ...*<sup>3</sup>

ჯავახურში -ლ ე ერთვის ადამიანთა საკუთარ სახელებს და ნათესავის აღმნიშვნელ ზოგიერთ სახელს. იგი იშვიათად იხმარება, გადავარდნის გზაზეა დამდგარი. ეს-ლ ე იგივე უნდა იყოს, რაც „ვეფხისტყაოსანშია“ ს უ ლ ე (←სუ, გენაცვალე), როცა ავთანდილი ეხვეწება ასმათს, მოუთხროს მან ტარიელის ამბავი: „ეტყოდა: „ს უ ლ ე! რამც გიყავ? კაცი ვარ, ადამიანი“ (სტროფი 233). -ლ ე ა დ ა მ ი ა ნ ი ს ა კ უ თ ა რ ს ა ხ ე ლ ე ბ თ ა ნ: ნინოლე, მიშალე, ვასოლე, ანოლე, ქეთოლე, თინალე... ნ ა თ ე ს ა ვ ი ს ა ღ მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ზ ო გ ა დ ს ა ხ ე ლ ე ბ თ ა ნ: პაპალე, ბიძალე, ძლოლე... მაგალითები: „ნ ი ნ ო ლ ე, ერთი ჩვენი ცხვარიც ჩარეკე“. „მ ი შ ა ლ ე, მეც წამამილე, შენ გენაცვალე“. „თ ი ნ ა ლ ე, მოიცა, ქალო“. „ბ ი ძ ა ლ ე, მეც მამესმარე, ამაკიდინე“. „მოდი აქ, გ ო გ ო ლ ე“. „წადი, შ ვ ი ლ ო ლ ე, არ დაგაგვიანდეს“...

მაგალითები გვიჩვენებს, რომ -ლ ე იხმარება მიმართვის დროს. ეს ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ნაწილაკი -ლ ე თხოვნა-მ ო ფ ე რ ე ბ ი თ ო ბ ი ს ა თ ვ ი ს ა ა გამოყენებული.

საინტერესოა -ლ ე-ს წარმოშობის საკითხი. უკავშირდება თუ არა სვანურ კნინობითობის მაწარმოებელ ფორმებს, ამის თქმა ასე გადაჭრით ძნელია და საგანგებო კვლევას მოითხოვს. ერთი რამ კი ცხადია: ეს ნაწილაკი ქართველური ენების ადრინდელი საფეხურისათვის უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი და გარკვეულ შემთხვევაში უნდა დართვოდა მეტყველების თითქმის ყველა ნაწილს (ამას ადასტურებს ხევსურულსა და ქართლურში სმარებულა ა ბ ა-ლ ე, ი ს ე ვ-ლ ე, ა პ ა-ლ ე,

<sup>1</sup> ა. შ ა ნ ი ძ ე, კილოები მთაში, „ერებული“, ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს რედაქციო, პეტროგრადის უნივერსიტეტის „ქართ. სამეცნიერო წრის“ გამოცემა, ტფილისი, 1915, გვ. 196.

<sup>2</sup> ქ. ძ ო წ ე ნ ი ძ ე, ზეპოიერულა კილოაკე, გვ. 68. „კონა ჩალა ავკონე. ა პ ა ლ ე (აბალე)“.

<sup>3</sup> საინტერესოა შევადაროთ ქართული ბიპოლე, გოგოლე სვანურ ფორმებს: კეინტოლ, დინილ. ქართული -ლ ე და სვანურა -ო ლ // -ი ლ ერთმანეთს შეესატყვისება ფუნქციითაც და ბერობრივდაც. სვანურში -ლ ე ნაწილაკი ზოგიერთი სახელის ფუძესთან შეხორცებულა და გავებულა, როგორც ფუძის ნაწილი. მაგალითად ჯ ი მ ი ლ (ქართ. ძ ა მ ა → ძმა), დინილ (←გოგოლე)...

პო - ლ ე ...). მეტნაკლებად ამის სურათს იძლევა სევანური (შდრ. გოგოლე და სე. დინილ...). ადრე - ლ ე სუფიქსი კინობითობის მწარმოებელა უნდა ყოფილიყო როგორც სახელისა, ასევე ზმნისა. მის გამოთქმას უნდა ჰქონოდ თავისი ემოციური იერი და სპეციფიკური მნიშვნელობა. ენის შემდგომი განვითარების პერიოდში დაუკარგავს როგორც ერთი, ისე მეორე. დღეს კი გაქვევებული სახით შემოგვრჩენია რამდენიმე ფორმაში<sup>1</sup>, ძირითადად მიმართვის ფორმებში.

**10. თანდებულები.** ზოგიერთ მოხუცთა მეტყველებაში მიცემით სრუნევაში - შ ი თანდებულის თანხმოვანი შ შეცვლილია ჩ ბგერით. - შ ი - ს მაგიერ იხმარება - ჩ ი: მაგალითები: „წავიდა ტყე ჩი“ „შეინახა კედელი ჩი“. „ეს იყო ყვერთი ელებ ჩი“. „წაიყვანა სახ ჩი“. „ჩაიღო მაშვე ჩი ბე ჩი“. „ჩაადლო ორ მო ჩი“. „თ მო გ ვ ჩ ი ბევრი მცხოვრებელი იყო“. „თ ვ ა ლ ე ფ ჩ ი ჩახედა“... - ჩ ი თანდებული იხმარება ხიზაბავრაში, ვარგავში, აფნიაში. სხვა სოფლებში ხმარობენ მხოლოდ ღრმა მოხუცები: - ჩ ი დადასტურებულია სხვა კილოებიდან მესხურში,<sup>2</sup> ფერეიდნულში<sup>3</sup>, რაჭულში<sup>4</sup>, კახურსა და იშვიათად, ქართლურშიც. მთის კილოებში - ჩ ი თანდებული ჩვეულებრივად იხმარება (იხ. დასახ. ლიტერატურა ამ კილოზე).

ორიოდე მაგალითი შეგვხვდა ხიზაბავრისა და ვარგავის მეტყველებაში - შ ი გ ა ნ და - შ ი დ ფორმებისა: „ლესა და ლესა ხანჯალი შ ხ ა მ ს ა შ ი გ ა ნ“: „თქვენ მერე გამაგებინეთ გ ზ ა შ ი დ“.

- ზ ე პარალელურად ზოგჯერ იხმარება სრული სახით - ზ ე დ ა: „ც ხ ე ნ ი არა მყანს ჩ ა ნ ზ ე დ ა“. „შიადგა კ ა რ ზ ე დ ა“. „მოჰყვა ამიჰ კ ვ ა ლ ზ ე დ ა“. „გაადლო გ ა ნ ზ ე დ ა“... დასტურდება იშვიათად - ზ ე გ ა ნ სახეც: „... რო შეჯდება ც ხ ე ნ ზ ე გ ა -

<sup>1</sup> ხ ი ა რ ა რ ა ს - ლ ე შემოკლებული გენაცეალე (:აბალე ← აბა გენაცეალე, მიშალე ← მიშა გენაცეალე, დელალე ← დედა გენაცეალე და სხვ.). მაგრამ სევანურს ვარიანტების აკვარა ახსნა გაქარდება, რადგან ნაწილაკთა უმრავლესობა დამოუკიდებელ სიტყვათა გამარტივებელა სახეა, - ლ ე ნაწილაკთა რომელიმე საალერსა, მოუვრებათა სიტყვის შექოკლებულა ფორმა უნდა იყოს. ჩვენი აზრით, სიმღერათა შექაბილებში: ქ ა რ ა - ლ ე. ე ა რ ა - ლ ე. თ ა რ ა - ლ ე. დ ი ე 'ღ ი - დ ა ლ - ლ ე, ლ ა - ლ ე. ლ ე კინობითობისაა, ახლა ამ სიტყვათა მწაშენლობა დაბნელებულია, მაგრამ ყველა მიმართვის ფორმაა.

<sup>2</sup> შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, დასახ. შრომა, გვ. 244.

<sup>3</sup> ა რ ნ. ჩ ი ქ ი ბ ა ვ ა. დასახ. შრომა, გვ. 214.

<sup>4</sup> შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, დასახ. შრომა, გვ. 177.

ნო... -ზ ე დ ა ფორმა -ზ ე თანდებულისა იხმარება მთის კილოებში. კერძოდ, ხევსურულში.

-თვის თანდებული გვხვდება -თვინ // -თუნ ფორმით: რითუნ, ამითუნ, ქალითუნ... კვერცხითვინ, შვილითვინ, დედითვინ, შვილითუნ, ძმითვინ, სსლითვინ...

-თვინ// -თუნ სახეობა -თვის თანდებულისა ჩვეულებრივია მესხურისათვის<sup>1</sup>, გვხვდება ინგილოურში (თუნ), ქართლურსა და კახურში — თვინ// -თუნ ვარიანტებს გვერდით დასტურდება — ტვინა// ტვინ ფორმებიც. -თვინ არაა უცხო აგრეთვე ზემოაჭარულის, მთარაქულისა და ზემოიმერულისათვის. ნაწილობრივ ლეჩხუმურში იხმარება (იხ. დასახ. ლიტერატურა ამ კილოებზე).

სახეშეცვლილი ფორმით გვევლინება -ებრ თანდებული, რომელიც ნათესაობით დაერთვის სახელებს გავრცელებულ ფორმაზე<sup>2</sup>: კაცისიებ (←კაცისეებ ←კაცისაებრ). ჯერ თანდებულისეული ე იმსგავსებს ემფატიკურ ა-ს, ვილებთ -ე ე ბ ფორმას, მერე ხდება დისიმილაცია და თან იკარგვის -რ (ერთდროული ასიმილაცია-დისიმილაციის შესახებ იხ. ფონეტიკა)<sup>3</sup>. მაგალითები: „შენც ჩემსიებ ბებერი ხუარა ხარ?“ „ემკაცისიებ ყოჩალი არავინაო“. „ეპქალი დედისიებ უვლიდა ბავშვ“. „სუძალლისიებ იღრინებოდა“. „კატისიებ კნაოდა“...

-ებრ თანდებული სრული სახით (უბრ//ებრა) შემოუნახავს<sup>4</sup> ინგილოურს<sup>4</sup>, ქართლურში იხმარება სახეშეცვლილად (-ე ე ბ//ე ე ფ)<sup>5</sup>, ხოლო ზემოაჭარულსა<sup>6</sup> და ზემოიმერულში<sup>8</sup> გვხვდება -ე ფ (←ე ბ რ) ფორ-

<sup>1</sup> შ. ძიძიგური, მესხური დიალექტი, ძიებანი ქართ. დიალექტოლოგიდან, გვ. 136.

<sup>2</sup> ზემოაჭარულსა და ზემოიმერულში -ე ფ (←ებრ) თანდებული სახელებს დერთვის მიცემით ბრუნვაში და ასრულებს -ე ი თ თანდებულის ფუნქციას. იხ. აქ დასახელებული შრომები ამავე ავტორებისა: ზემოაჭარული გვ. 38, 39; ზემოიმერული, გვ 82—83.

<sup>3</sup> -ებრ თანდებული გამოყენებელია კიდევ ზმნიშელებში -ა ჯ ვითარებითი ბრუნვის ნიშნის მაგიერ: „კაცურებ მოთხარ“ — კაცურად მოთხარ. „ქალურებ ეცვა“ — ქალურად ეცვა“. ზუსტად ასეთივე ფუნქციით იხმარება -ე ბ// -ე ფ მთარაქულში: „გამეფყო კაცურებ“. იხ. შ. ძიძიგური, მთარაქული, ძიებანი... გვ. 190.

<sup>4</sup> გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებ., გვ. 95.

<sup>5</sup> გრ. იმნაიშვილი, ქართლური დიალექტი, გვ. 202

<sup>6</sup> შ. ნიქარაძე, ზემოაჭარულს თავისებურებანი, გვ. 38, 39.

<sup>7</sup> ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული კილოევი, გვ. 82.

მით. -დ ა მ (←დაღმა//დ ა ლ მ ე<sup>1</sup>) თანდებული იხმარება ქართული ენის თითქმის ყველა კილოსა და კილოკავში, გარდა მთის კილოებისა და რაჭულისა, იხმარება მესხეთის მოსაზღვრე სოფლებში<sup>2</sup>. მაგალითები: „წ ა მ ო ვ ი ღ ა ზ ე ი ღ ა მ“. „ს ი ღ ა მ ჯერ არ გამოვსულიყავი“. „ი ქ ი ღ ა მ დაარტყა თათარმა“, „ჩამოვედით მ თ ი ღ ა მ ა“...

ჯავახურისათვის უფრო დამახასიათებელია -ი ღ ა ნ → ი ღ გ ა ნ → → ი თ გ ა ნ: „ჩვენ მოვედიოდით ბ ე ე ა ნ ო ღ გ ა ნ“. „ჯ ა რ ი ღ გ ა ნ დაებრუნდი“. „წ ყ ლ ი ღ გ ა ნ შორს იყო“. „ჩამოვარდა მ ც ი ღ გ ა ნ ა“. „ი ქ ი თ გ ა ნ მერვე წამოვედით“. „ა ქ ე თ გ ა ნ არაინ წასულა“. „ბ ე თ ლ ე მ ი ღ გ ა ნ გამოვიდა“. „პ ი რ ი თ გ ა ნ ამოუვიდა ქიები...“

როგორც მაგალითებიდან ჩანს, შემონახულია ამ თანდებულის განვითარების მეორე საფეხური (-ი ღ გ ა ნ), თითო-ოროლა პირველიც გვსვდება. პარალელურად იხმარება მესამე საფეხურიც.

-მ დ ი ს თანდებული, რომელიც სახელებს ვითარების ბრუნვაში დაქრთვის, იხმარება სხვადასხვა სახით: -მ დ ი ნ // ნ დ ი ნ // ნ დ ი // მ დ ი // ნ დ ი ს ი ნ // მ დ ი ს ი ნ. მაგალითები: „აქედან ა ჳ ა რ ა ნ დ ი დიდი მანძილი არ არი“. „ს ა რ ა დ ი ნ უნდა იყო ასე ცუდათ“. „ს ა ს ლ ა ნ დ ი ნ მიაცილა“. „ვ ა დ ა მ დ ი ნ იმუშავა“. „ამბუვი მივიდა ხ ე ნ წ ი ფ ე ნ დ ი“. „ქ ე ლ ა ნ დ ი ჩვენი იყო“. „ჩვენ ცხვარი გადიოდა ა მ ქ ე ა ბ ე ბ ა მ დ ი ს ი ნ“. „გ ა ნ თ ე ნ ე ბ ა მ დ ი ს ი ნ ვმღეროდით“. „შ უ ა ღ ა მ ი ე ნ დ ი ნ შინ არ მოდიოდა“. „ჩვენც მუუცადეთ ს ა ღ ა მ ე ნ დ ი“. „აქედან ქილდი გ ზ ა მ დ ი ნ მიდიოდა“...

-ნ დ ი, -ნ დ ი ნ, -ნ დ ი ს ი ნ ფორმები მიღებულია ნ ა რ ი ს ა და მ ა ნ ი ს მონაცვლეობის შედეგად. მესხურში უპირატესად — მ დ ი ს ი ნ იხმარება<sup>3</sup>. ქართლურში<sup>4</sup>, კახურში<sup>5</sup>, ზემოიმერულსა<sup>6</sup> და

<sup>1</sup> ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ე ა, ერთი უცნობი თანდებული ახალ ქართულში, ენიკ-კის მოაზბე, 1, 1937. გვ. 55—65.

<sup>2</sup> -ღამ მესხურში უჯრო ინტენსიურად იხმარება, ვიდრე ჯავახურში. იხ. შ. ძ ო ძ ი გ ე რ ი, მ ე ს ხ ე რ ი დიალექტა, ძიებანი ქართული დიალექტოლოგიიდან, 1954. გვ. 137, 138.

<sup>3</sup> შ. ძ ო ძ ი გ ე რ ი, მესხური დიალექტა, ძიებანი... გვ. 138.

<sup>4</sup> გ რ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ქართლური დიალექტა, გვ. 203.

<sup>5</sup> ა. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი, გ რ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ქართული ენის კახური დიალექტა.

<sup>6</sup> ქ. ძ ო წ ე ნ ი ძ ე, ზემოიმერული კილოკავი, გვ. 54, 82, 101, 121, 181, 211.

ლენინურში<sup>1</sup> იხმარება როგორც მ დ ი ნ , ისე მ დ ი ს ი ნ ფორ-  
მები.

- ვ ი თ თანდებული ჯავახურში დაერთვის თანხმოვანფუძიანქ სახე-  
ლებს სახელობით ბრუნვაში. იშვიათია - ვ ი თ მიცემით ბრუნვაში,  
ისიც ხმოვანფუძიანებთან, თანხმოვანფუძიანებთან ნაკლებად გვხვ-  
დება.

ნათესაობით ბრუნვაში - ვ ი თ თანდებული იხმარება ხმოვან  
ფუძიან სახელებთან, ხოლო თანხმოვანფუძიანებს დაერთვის - ე ბ  
(←ებრ).

ჩვეულებრივი ფორმებია: ბავშვივით, ლომივით, ჩიტვივით... გვხვდებ-  
ა: დღესავით // დღისავით, მზესავით, კლდესავით // კლდისავით, მაგ-  
რამ უფრო ხშირია: კლდისივებ, ზვისივებ, თხისივებ, გლისივებ. გვაქვს  
ასეთი ფორმებიც: მამივით, დედივით, მამლივით, ქათმივით...

მამივით, მამლივით და მსგავსი ფორმები იმაზე მიგვითითებს, რომ  
საწელაობით ბრუნვას კი არ მოუღის - ვ ი თ თანდებული, არამედ ნათე-  
საობითს. ნათესაობითი ბრუნვის ანალოგიით ხდება გაფორმება.  
- ვ ი თ - ე ბ რ თანდებულას შემკვიდრება. - ე ბ რ კი მხოლოდ ნათესაო-  
ბით ბრუნვას ერთვოდა ძველ ქართულში, ასეა ახალ სალიტერატურო  
ქართულშიც<sup>2</sup>.

ღმერთივით, ბავშვივით ფორმები თუ ნათესაობითია, მაშინ უნდა  
იყოს: ეს კ ა ც ი ვ ი თ, ის ბ ა ვ შ ვ ი ვ ი თ. ნამდვილად კი გვაქვს:  
ამ კ ა ც ი ვ ი თ, იმ ბ ა ვ შ ვ ი ვ ი თ. ეს კი სახელობითი ბრუნვა  
ვერ იქნება. როგორც ირკვევა - ვ ი თ თანდებულისანი ფორმები მსა-  
ზღვრელს არ იწყობენ სახელობით ბრუნვაში. თუ - ვ ი თ წინ გად-  
მოვა „ვ ი თ ეს კაცი“ (-როგორც ეს კაცი), მაშინ უკვე აღდგება სა-  
ხელობითი ბრუნვა.

დღევანდელ სალიტერატურო და სასაუბრო ქართულში გზას იკა-  
ფავს - ვ ი თ თანდებულისანი სახელობითი თანხმოვანფუძიანებთან და  
მიცემითი — ხმოვანფუძიანებთან<sup>3</sup>.

**20. ზმნიწედა.** დროის ზმნიწედები გვხვდება ფუძის სახით ან

<sup>1</sup> შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, ლენინური დიალექტი, ძეგანი, ქართული დილაქ: გვ.  
171.

<sup>2</sup> ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 71.

<sup>3</sup> თ. შ ა რ ა ძ ე ნ ი ძ ე, - ვ ი თ თანდებული ქართულში, უნივერსიტეტის  
შრომები, ტ. X, 1939. გვ. 145—159.

სახელობით ბრუნვაში<sup>1</sup>. მაგ: „სამი დღე და ღამე წყალი შეღებილი იყო“. „ორი წელიწადი იუფლა“. „დიდი ხანი გაჩერდა“. „ცოტა ხანი მოიცა“. „რამდენ დღე დარჩები?“...

ასევე გაუფორმებელია ვითარების ზმნიზედები: „რიგიანი იმუშავებ“. „იმნიარ გავარტყამ“. „თელიანი შეუჭამიათ“. „ერთიანი წიელოთ“. „ძირ დაანარცხა“. „კაცურ შეკაზმული ქალი იყო“. „ქალაქურ ლაპარაკონს“. „უწყოლოდავრჩით“...

არის ისეთი შემთხვევებიც, როცა ვითარებითი ბრუნვის -ად დაბოლოების მაგივრობას ზმნიზედაში ასრულებს თანდებული -ებრ. მაგ: „კაცურებ ილაპარაკე“. „ბიჭურებ ჩაიცვა“. „ზეზეურებ აღის ხეზე“. (შდრ. ზეზეულა), „ჩვენებურებ ლაპარაკონს“. „რუსულებ შემეკითხა“.

საით და საითკენ ფორმების პარალელურად გვხვდება: სითკენ//სილკენ. სინამ//სილამ. სადეთკენ//სილეთკენ, სით. მაგალითად. „სითკენ წავიდა“. „სილკენ გიემგზავრა“. „ზოგი სით მიდის, ზოგი სით“. „სილეთკენ წაასხა ნეტა“. „სადეთკენ დიეგრისა პირი“, „შვილი სილამ გაჩნდესო“. „კვიცი სილამ გაუჩნდეს?“ „სინამ ვიყავ ახალგაზრდა“. „სინამ დრო ჰქონდა“...

ფონეტიკური პროცესების გამო შეცვლილი სახით გვხვდება სინამდის და მანამდის ზმნიზედები: სირამდინ//სარამდინ სირანდინ//სარანდინ, მირამდინ//მირანდინ//მირანდი//მარამდი.

მერმის ზმნიზედის ანალოგიით უნდა იყოს მუდმის ფორმანაწარმოები: „მუდმის ჯამთელი იყავი“. „მუდმის გახსოვდეს ჩემი სიტყვა“.

ბოლოკიდური ე ჩამოკვეცილი აქვს დროის ზმნიზედას ადრევ-ევ-ს. მაგალითად „ადრევ მოვიდა და კი ვერ ვნახე“. „ადრევ ვერ შემოვიარე“...

უკან და გაღმა ადგილის ზმნიზედებს ზოგჯერ -ზე თანდებული ერთვის: „წაიყვანა უკანაზე“. „გავიდნენ გაღმაზე“... (ვარგავში ჩავიწერე).

<sup>1</sup> შდრ. ა. მარტიროსოვი, გრ. იმნიაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, გვ. 82. ასეთივე მდგომარეობაა ზემოაქარულში, იხ. შ. ნიჟარაძე, ზემოაქარულის თავისებურებანი, გვ. 40.

მ ა შ ი ნ ვ ე ზ მნიზედა ჯავახურში იხმარება სსვადასხვა სახით:<sup>1</sup>  
 მ ა შ ი ნ ა თ, მ ა შ ი ნ ა თ ვ ე, მ ა შ ვ ი ე თ ვ ე, მ ა შ ვ ი ე, მ ა -  
 შ ვ ე, მ ა შ მ ე, მ ა შ უ ე; მაშუეთვე: „მაშტე გაუშვა ხელი“,  
 „მ ა შ მ ე დაიყვია“. „მე მ ა შ ვ ი ე გითხარი, აგრე არ იქნება“.  
 „მ ა შ ვ ე დაპტაცა ხელი“. „მ ა შ ვ ი ე თ ვ ე დაუწყო დაკითხვა“.  
 „მ ა შ ი ნ ა თ ვ ე დიკითხა პრისტაევი“. „მ ა შ ვ ი ე ძირ დიეცა“.  
 „ი მ ა ნ მ ა შ ტ ე თ ვ ე მკითხა ძმის ამბავი“. „მ ა შ ი ნ ა თ და-  
 აპირეს გაქცევა“, „მ ა შ ი ნ ა თ თქვეს“... მაშე → მაშმე; მაშე →  
 →მაშუე→მაშვიე→მაშვიეთვე/მაშტეთვე.

არქაული ფორმითაა შემონახული ა ქ ნ ა მ დ ი<sup>2</sup>//აქნანდი, იქ-  
 ნამდი//იქნანდი, აქნობამდი//აქნობამდე, ისრე, ასრე. მაგალითები:  
 „ა ქ ნ ა ნ დ ი სად იყავი, შეილოჯან“. არ მეგონა, შენ ა ქ ნ ა მ დ ი  
 თუ არ გააკეთენდი“. „ი ქ ნ ა ნ დ ი მივიდა საქმე, რო წიეჩსუბნენ  
 ერთმანეთ“. „ეგ ა ქ ნ ო ბ ა მ დ ე ნ ა გკონლოა“. „ა ქ ნ ო ბ ა -  
 მ დ ე მაინც მიეტანა“...

ა ქ ა ნ ა // ი ქ ა ნ ა, ა ქ ნ ა მ დ ი ს ჩვეულებრივ დამახასიათე-  
 ბელი-დასავლური კილოებისათვის<sup>3</sup>, ხოლო ა ქ ნ ა მ დ ი, ა ქ ნ ო ბ ა -  
 მ დ ე, ა ქ ნ ო ბ ა მ დ ი დადასტურებულია კახურსა<sup>4</sup> და ზემოაქა-  
 რულში<sup>5</sup>.

<sup>1</sup> კასურში გვხვდება მაშინათვე (←მაშინათვე): იხ. ა. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ე რ.  
 გ რ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ქართული ენის კახური დიალექტი, გვ. 84. გურულში  
 იხმარება მ ა შ ვ ი ნ //მაშვინათე //მ ა შ ი ნ თ ე ე; იხ. გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი, ე.  
 ო რ ფ უ რ ი ა, თ. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე, ქართული დიალექტოლოგია, გვ. 419, 424,  
 428—435. ქვემოიპერულში სმარობენ; მ ა შ ვ ი ნ // მ ა შ თ ე ვ ე // მ ა შ ი ნ თ ე  
 ფორმით: იხ. ი. გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი, ე. თ ო ფ უ რ ი ა, ი. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე,  
 გვ. 468, 473, შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, ძ ი ე ბ ა ნ ი... გვ. 89. მესხურში კ. დ ო ნ დ ლ ა ს  
 დადასტურებული აქვს მ ა შ ტ ი ტ ე, ჩვენი აზრით, ეს ხელოვნური ფორმაა. იხ. მისი  
 რჩეული შრომები, გვ. 366. ხევსურულში: მ ა შ ი ა ე // მ ა შ ი ე, იხ. ბ. გაბუერო,  
 ხევსურული მასალები, გვ. 147. აქარულში მთლად შეცვლილა: მ ა შ ი ნ ა თ ე -  
 ლ ა ე. იხ. შ. ნ ი ე ა რ ა ძ ე, ქართული ენის აქარული დიალექტი (ლექსიკა),  
 გვ. 246. მ ა შ ი ე ე // მ ა შ ი თ ე ე ქართულშია: იხ. ი. გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი,  
 ე. თ ო ფ უ რ ი ა, ი. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე, ქართული დიალექტოლოგია, გვ. 639

<sup>2</sup> „ვეფხისტყაოსანში“ შეუქუმავი ფორმა: „შენმან მზემან აქანამ დის  
 შენ ცოცხალი არ მეგონე“ (1296 სტროფი).

<sup>3</sup> არნ. ჩიქობავა, დიალექტიზმის საკითხებისათვის „ვეფხისტყაოსან-  
 ში“, ენიკის მოამბე, III, 1938, გვ. 214—217.

<sup>4</sup> ა. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ე რ, გ რ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ქართული ენის კახური  
 დიალექტი, გვ. 83, 85.

<sup>5</sup> შ. ნ ი ე ა რ ა ძ ე, ზემოაქარლის თაეისებურებანი, გვ. 40.

ფუძეგაორკეცებით იხმარება დროის ზმნიზედები: ხ ა ნ-ე ა მ ი, წ ი ნ-წ ი ნ: „პირველი ცვლის რ ა მ დ ე ნ ი მ ე ხ ა ნ ს, მეორე— უ წ ი ნ ფორმას, მაგალითები: „ხ ა ნ-ე ა მ ი ს მერე მოვიდნენ“. „გაიარა; ხ ა ნ-ე ა მ მ ა“. „წ ი ნ-წ ი ნ არტაანი ჩვენი იყო“. წ ი ნ-წ ი ნ თათარი აქნამდე იყო მოყული“. „წ ი ნ-წ ი ნ აქ ვენახები ყოფილა“.

ცალკე იხმარება აგრეთვე წ ი ნ, რომელიც ცვლის უ წ ი ნ, პირველად დროის ზმნიზედებს. „ვინც წ ი ნ მივა, ის იყიდამს“. „წ ი ნ თუ მოხნამ, კარგია“, „წ ი ნ მიხვალ, აილებ“. „სკოლა რომელმა დაამთავრა წ ი ნ?“...

დასტურდება აგრეთვე ე რ თ ხ ე ლ ვ ე და მ ა ს კ ვ ა ნ//მ ა ს-კ უ ა ნ (←მას უ კ ა ნ). მაგალითები: „ე რ თ ხ ე ლ ვ ე დევედევენეთ, მაგრამ ვერ დაევიჭირეთ“. „ე რ თ ხ ე ლ ვ ე რო დაიწყო, უკან დაიხია“. „ე რ თ ხ ე ლ ვ ე ველარაფერი უთხრა“. „მ ა ს კ უ ა ნ ჩვენებიც მოვიდნენ“. „მ ა ს კ ვ ა ნ ჩვენც მივედით“. „ჰამა რო გაათავა, მ ა ს კ უ ა ნ უთხრა“. „მ ა ს კ ვ ა ნ ბიჰმა უთხრა ვერძსა“. „მ ა ს კ უ ა ნ ჩვენ ამოვედით ჩუნჩხაში“...

ე რ თ ხ ე ლ ვ ე იხმარება პ ი რ ვ ე ლ ა დ ვ ე, თ ა ვ ი დ ა ნ ვ ე-ს მაგეერ, ხოლო მ ა ს კ უ ა ნ ცვლის შ ე მ დ ე გ-ს.

ე რ თ ხ ე ლ ვ ე ამ ფუნქციით, როგორც ჯავახურშია, თუ ძნელი დასაძებნია ქართულ დიალექტებში, სამაგიეროდ მასკუან (←მას უკან) ფორმა საკმაოდაა, თუმცა ამ სახით არც ერთ დიალექტში არ ჩანს.

გვხვდება ე რ წ ა მ ა ლ, ე რ თ წ ა მ ა ლ //ერთწამახან (-ერთწამან-ი)<sup>1</sup>, რომელიც ცვლის უ მ ა ლ, ე რ თ წ ა მ შ ი ზმნიზედებს: „მამიციადე, მე ე რ თ წ ა მ ა ლ მოვა“. „ე რ თ წ ა მ ა ლ გავშალეთ სუფრა“. „ე რ წ ა მ ა ხ ა ნ მივალ და მოვალ“...

უქონლობის უ პრეფიქსითა და ვითარებითი ბრუნვის -ად სუფიქსით, გაფორმებული სიტყვა უ ჩ უ მ ა თ ასრულებს „ჩ უ მ ა დ“, „ხ მ ა ა მ ო უ ლ ე ბ ლ ი ვ“ სიტყვების როლს. მაგალითები: „შენ იემანდ უ ჩ უ მ ა თ იყავი“. „უ ჩ უ მ ა თ, გოგვიებო, ტრედლები დაფთხება“. „სუ უ ჩ უ მ ა თ ნ ა იყო, რო ისწავლოა“...

ეს ზმნიზედა ასეთნაირადვე იხმარება ქართლურში<sup>2</sup>, ხოლო სახე-

<sup>1</sup> ე რ თ წ ა მ ა ლ ა ი ფორმა იხმარება აკარულში. იხ. შ. ნ ი ე ა რ ა ძ ე, ქართული ენის აკარული დიალექტი, გვ. 192. ე რ წ ა მ ა იხმარება გურულში, იხ. ს. ე ლ ს ა ნ ტ ი, გურული კილო, გვ. 95.

<sup>2</sup> გ რ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ქართლური დიალექტი, გვ. 225.



შეცვლილია ინგილოურში<sup>1</sup> (უჩუმარა), აქარულში (უჩუმარაი),<sup>2</sup> იმერხეულში (უჩუმარად)<sup>3</sup>, თუშურში (უჩუმარაც)<sup>1</sup>, კახურ-ქიზიყურში (უჩუმარად). ჯავახურსა და ქართლურში ამ სიტყვას დაკარგული აქვს რ თანხმოვანი: ჩუმი → უ — ჩუმ — არ-ი, შემდეგ დასმულია ვითარებით ბრუნვაში: უ-ჩუმ-არ-ად. აზრობრივად, ერთი შეხედვით, საწინააღმდეგო შინაარსს გადმოგვცემს თითქოს, მაგრამ, თუ ჩაეუკვირდებით, მართებულია ხმარებაც და შინაარსიც. „უჩუმარად// //უჩუმად იყავი“ ნიშნავს: ჩამი-ჩუმის გარეშე, უჩამიჩუმოდ იყავი.

გვხვდება, დ ღ ი ს ი თ ფორმის გარდა, აგრეთვე შ უ ა დ ღ ი თ. ს ა ლ ა მ ო ჩვეულებრივ მოქმედებით ბრუნვავია:<sup>4</sup> „დ ღ ი ს ი თ მოღით“.

„დ ღ ი თ და ს ა ლ ა მ ო თ ი მუშაობდა, შ უ ა დ ღ ი თ ისვენებდა“. „ს ა ლ ა მ ო თ რ ა გ რ ი ლ დ ე ბ ა და თევზი მაშინ მოჰყვება ბაღეს“...

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ უ ლ მ ე რ მ ე ზმნიზედის მ ე მ რ ე ვარიანტის გვერდით გვხვდება მ ე ვ რ ე და მ ე ვ ე რ ე: „მ ე ვ რ ე (//მევერე) რო გაქვავდა, ამ გოგომ შეილღქვეშ გაიხედა“. „ეჰ გოგო მოუყვა ამ ნანუშს“. „მ ე ვ რ ე უთხრა, რო: რახან ეგრეა“...

როგორც ირკვევა მ ე ვ რ ე მეორე საფეხურია მ ე მ რ ე -ს ი (მემრე ← მევერე ← მეორე), ხოლო მევერე ← მეორე (ო-ს ენაცვლება ვე კომპლექსი).

დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ ერთი ძველი ფორმა უ ნ ძ რ ა ხ ა დ (უმზრახად). უმზრახი, ზრახვა, საზრახისი... ძველი ქართულის ნორმებია, რამდენიმე კილოში, კერძოდ ხევსურულსა<sup>5</sup> და კახურში<sup>7</sup>

<sup>1</sup> ვ რ . ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი , ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებ., გვ. 128.

<sup>2</sup> შ . ნ ი ე ა რ ა ძ ე , ქართული ენის აქარული დიალექტი, გვ 338.

<sup>3</sup> Н. Я. М а р р , Дневник Поездки в Шавшетню и Кларджетию: Тексты и разыскания хн. VII, СПб. 1911. ст.61, 69,

<sup>4</sup> ი . გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი , ვ . თ ო ფ უ რ ი ა , ი . ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე , ქართული დიალექტოლოგია, გვ. 584.

<sup>5</sup> შ დ რ . ა . მ ა რ ტ ი რ ო ს ო ე ი , ვ რ . ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი , ქართ. ენის კახური დიალექტი, გვ. 82.

<sup>6</sup> ი . გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი , ვ რ . ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი , ქართული დიალექტოლოგია, გვ. 557. იხ. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი, 1960.

<sup>7</sup> შ დ რ . უ მ ძ რ ა ხ ი : ს . მ ე ნ თ ე შ ა შ ვ ი ლ ი , ქიზიყური ლექსიკონი, გვ. 179. „უმზრახ“ ფორმა დადასტურებულია ინგილოურშიც. იხ. მ. ჯანაშვილი, საინგილო (ვაშლიკვევას) დართული აქვს ლექსიკონი: „ძველი საქართველო“, ტ. II, ტფილისი, 1913, განყ. IV. გვ. 238—274.

დღესაც იხმარება. მაგალითები: „წინ-წინ პატარძალი დედანთილ-მამანთილთან კაი ხან უნძრახათ იყო“. „თქვენ ძმები ხართ, უნძრახათ ყოფნა სირცხვილია“. „ივ ჩემთან უნძრახათ არი“.

უნძრახად ყოფნა ნიშნავს უბრად ყოფნას. ასევეა ქიზიყურში.

21. ნაწილაკები. იქნება, ეგება, არცკი ნაწილაკები შეცვლილია და გვაქვს: იქნია (←იქნეა←იქნება), ეგია (←ეგეა←ეგება), აკია (←არცკი არ?).

მაგალითები: „იქნია არ იცოდა“. „იქნია გადაიღოს, მოიცა“. „ეგია შიაკედეს, დაანეზე“, „შენც წაილე აკია“. „აკია დაიძახე“. „ეგია ჩვენიც გიეკეთებინა“. „არ გაიხაროს ეგია მაგი მამტეხმა“.

აკია ფუნქციით ხომ ნაწილაკის ბადალია. ხომ ჯავახურში იშვიათად იხმარება.

თავისებურია უარყოფითობის გამომხატველი ააპა/აბა (-ა+აბა?) ფუნქციით უღრის არა უარყოფით ნაწილაკს. მისი წარმოშობა მთლად ნათელი არაა. მაგალითები: „ვერ გააკეთე? — ააპა. „სულ გამოილია? — ააპა, კიდევ არი“. „არ იცოდი? — ააპა, გუშინ გავიგე“...

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ აპა მხოლოდ კითხვის შემდეგ პასუხის უარყოფითად გაცემის დროს იხმარება, სხვა შემთხვევაში არ გვხვდება, თუ მხედველობაში არ მივიღეთ აპა (-აბა): „აპა, ჩემთან მოდი“. „აპა, შენ იცი, არ შემარცხვინო“...

მაინც ნაწილაკის მაგიერ ზოგჯერ ხმარობენ მარამი-ს: „სოფლები ქვას აყრიან, მაგრამ მახარობელი მარამი'ნა შევიდეს“. „ამ ბიჭმა მარამინა თავისი გაიყვანოს“. „თავისი იქნა მარამი“... წარმოშობით მარამი თითქოს მაგრამ კავშირისაგან უნდა მომდინარეობდეს გ-ს დაკარგვით, მართლაც არის მარამ. ჯერ ერთი ფუნქციით სხვაა, მეორეც სახელობითის იაუცილებელია: მარამი და არა მარამ. შესაძლოა მეორე გზაც: იქნებ მანამ-ისაგან მოდიოდეს ნ შეცვლილი რ-თი, მაგრამ აქაც წინააღმდეგობას ვაწყდებით: მანამი არ ითქმის, ასევე მანამ-ის ფუნქცია სულ სხვაა. თუ ჩაუკვირდებით შინაარსობრივად უფრო მაგრამ-ს უკავშირდება. „ქვას აყრიან, მარამინა შევიდეს“. (ქვას აყრიან, მაგრამ მახარობელი უნდა შევიდეს), ან „გარეთ არ გავუშვით, მარამი გავიდა“. (-გარეთ არ გავუშვით, მაგრამ გავიდა“. ეს მარამი (-მანიც) აძლიერებს მაგრამ კავშირს.

კინალამ ნაწილას ზოგჯერ ცვლის ღარმე: „ღარმე მოკლა რო არ მიშველებოდი“. „ღარმე გადავარდა“. „ღარმე გადაბრუნდა ურემი“. „გადაირია ღარმე“. „დავორდა ღარმე“...

ქართული დიალექტებიდან ღარმე თავისი სახესხვაობით: ღარმი, ღამე იხმარება იმერულსა<sup>1</sup> (ღარმე, ღამე) და აქარულში (ღარმი)<sup>2</sup>. წარმომავლობა დაბნელებულია. შესაძლოა ღამის ზმნას უკავშირდებოდეს, ფუნქცია იგივეა, ნიშნავს: თითქმის, კინალამ, უფრო სწორ ფორმად მაშინ აქარული იქნება: ღარმი (ს) (ღამის → ღამის → ღრამის → ღარმის → → ღარმი → ღარმე → ღამე).

ზოგჯერ კინალამ-ს ცვლის კიდაღამ: „კიდაღამ დიეცა“, „კიდაღამ დამავიწყდა“...

თითქმის ფორმის ანალოგიით უნდა იყოს გაკეთებული თურმი//თურმის: „თურმი არ უცდის“. „თურმის დასაძინებლად“. თურმი თურმე კავშირის ნაირსახეობაა. ფუნქცია მისი აქვს. თურმის //თურმი გვხვდება აქარულშიც<sup>3</sup>.

ბარემ<sup>4</sup> ნაწილას ერთვის ოდ: „ბარეოდ ბევრინა გვგრებოდა, მაგრამ ჰავანსია გვქონდა“. „წემეგელო ბარეოდ“... ბარეოდ ნაწილაკი გვხვდება „ვეფხისტყაოსანში“ („მას დარაზმულთა მივჰმართეთ, ახლოსმცა ვნახეთ ბარეო“. 2226 სტროფი).

ჰო ნაწილას, რომელიც დიახ, კი ნაწილაკის როლს ასრულებს, დაერთვის -დენ: „მოდიახო? — ჰოდენ“. „პური გამოგზავნე? — ჰოდენ“... ფუნქციით ამ ნაწილას უტოლდება ჰენდე//ჰენდე, რომელიც ზოგჯერ მას ცვლის. აღსანიშნავია ერთი გარემოება. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ერთვის არა-დენ, არამედ — ოდენ, რადგან ჰოდენ-ში ო საკმაოდ გრძლად გამოითქმის, შეიძლება ორი ო-ს დაწერაც კი.

ზოგჯერ გაჩუმების ან დატუქსვის შემთხვევაში იხმარება ნაწილაკი სუ//სუს: „სუს, ბიჭო, რაპ ყვირიხარ?“ „სუს, გოგო, რაპ შამათონთ?“ „სუს, ხალხო, დააცადეთ“...

<sup>1</sup> ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული კილოყავი, გვ. 31, 108, 166, 196.

<sup>2</sup> შ. ნიქარაძე, ქართული ენის აქარული დიალექტი, გვ. 361.

<sup>3</sup> ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, გვ. 658.

<sup>4</sup> იმერულში გვხვდება „ბარემას“ ფორმა. ეს იგივე ბარემაც უნდა იყოს (ც-ს ენაცვლება ხ. დეზაფორიკატიხაცია): „ბარემას ამას დაჰიკავთ...“ იხ. ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული კილოყავი, გვ. 225.

შინაარსით ამის საპირისპიროა ს უ ლ ე. თუმცა ფუნქცია ორივეს ერთი აქვს — გაჩუმება. მაგრამ ს უ ლ ე მოფერებითია. ამ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს მოფერებითი ნაწილაკი — ლ ე, რომელიც ზოგჯერ საკუთარ და ზოგად სახელებთანაც იხმარება<sup>1</sup>.

მოფერებით გაჩუმების ს უ ლ ე „ვეფხისტყაოსანში“ გვხვდება („ეტყოდა: ს უ ლ ე! რამც გიყავ? კაცი ვარ, ადამიანი“. 233 სტროფი).

ზოგჯერ ზო და ე ნაწილაკებთან შერწყმით და კავშირი ნაწილაკის ფუნქციას ასრულებს: „ჰ რ დ ა, ვერაფერი გაგვაგონა“. „დაყვარეთ ცხვარი ე დ ა, დეგვეძინა“. „ღიეკილა ე დ ა, მამეიე წა აქცია“. „ჰ რ დ ა, ჩვენც მასთან მივედით“...

რ და ე ხმოვნები გრძლად გამოითქმის და საუბარს ეძლევა გარკვეული მელოდიური იერი.

ღ ი ე ნაწილაკი ცვლის და ე //ღ ე ე -ს: „ღ ი ე წ ა ვ ი დ ე ს“. „ღ ი ე, ღ ი ე, არაფერი უშანს“. „ღ ი ე, მიღებულა: ღიე ←ღეე (←დაეხსენ).

ვ ი თ ო მ დამხმარე სიტყვა ნაწილაკადაა ქცეული, გვხვდება ვარიანტებით: ვ ი თ ა მ //მ ი თ ა მ //მ ი თ ო მ //ნ ი თ ო მ. მაგალითები: „ვ ი თ ა მ არ იცოდა, ისე დაიჭირა თავი“. „მ ი თ ა მ ვერ დაინახა“. „მ ი თ ო მ ტიროდა, ისე აჩვენა“. „ისიც რამეში ერევა ნ ი თ ო მ“... ა პ ა ცვლას ა ბ ა-ს: „აპა, მითხარი!“ „წადი აპ ა თუ ბიჭი ხარ?“ „ა პ ა იეხლა ამაჰ დიეკითხე“. „რანა გითხრას კაცმა ეხლა ა პ ა“...

უნდა დამხმარე ზმნა რომ ნაწილაკის როლში სხვადასხვა რეფლექტებს იძლევა (რ ა ვ 'ნ ა //რ ა 'ნ დ ა //რ ა 'ნ ა //რ ა 'დ ა) მეტყველების ყველა ნაწილთან და მარტივდება, უკვე განხილულია.

ჩვენებითი ნაწილაკების როლში გამოდის: ა პ ა //ა პ ა + ნ დ ე // ა პ ა ნ ა, დ რ ე //დ რ ე -პ ა ნ ა //დ რ ე პ ა ნ დ ე, დ ე მ ე //დ ე მ -პ ა ნ ა //დ ე მ პ ა ნ დ ე<sup>2</sup>.

მაგალითები: „სად არი, ე გოგო? ა პ ა, აქ არი“. „ნეტა სად წავიდა? — ა პ ა ნ ა, ჩვენთან მოვიდა“. „ღნა სითყენ მიდის“ „ღ რ ე პ ა ნ ა

<sup>1</sup> - ლ ე როგორც მოფერებითობის გამოხატველი ცალკე განვიხილეთ. იმერულში ს უ ლ ე ს მსგავსად იხმარება ა პ ა ლ ე (←აბალე): „წადი წვიმამი, ა პ ა ლ ე!“ . ქ. ძო წ ე ნ ი ძ ე, ზემოიმერული კილოკავი, გვ. 68.

<sup>2</sup> შღრ. ანდე, ენდე. აპანდე, პანდე... ფორმები, რომლებიც ქართულში განხილულია, როგორც ჩვენებითი ნაცვალსახელები. იხ. გ რ. ი მ ნ ა ი შ ე ვ ი ლ ი, ქართული დიალექტი, გვ. 201.

სად წევს“. „დ ი ჰ ა ნ დ ე ს ა დ წ ა ს უ ლ ა ? „დ ე ჰ ა ნ ა წ ა ი ლ ე , შ ე ი ლ ო “. „დ ე ჰ ა ნ დ ე ს ა დ ა მ დ ე მ ი ს უ ლ ა “. „დ ე ჰ ა ვ ე რ ხ ე დ ა მ ?“ „ა ჰ ა ნ დ ე წ ა ი ლ ე , ა ლ ა რ მ ი ნ დ ა “...

იხმარება გამარტივებული ფორმებიც: დნა//დნია: „დ ნ ა ს ა დ წ ა უ ყ ვ ა ნ ი ა “. „დ ე ჰ ა მ ა გ ი გ ა კ ე თ ე ბ უ ლ ი ს ა ქ მ ე “...

ნაწილაკის როლში გამოდის აგრეთვე მოფერებითი სიტყვები. „შენი დარდიმენ(ა)“, „შენი ჭირიმენ(ა)“. მათგან ნაწარმოებია ზმნები: დ ა რ დ ი მ ო ს , ჭ ი რ ი მ ო ს : „დ ა რ დ ი მ ო ს დ ე დ ა მ “. „ჭ ი რ ი მ ო ს პ ა პ ა მ “. „შ ე ნ ი დ ა რ დ ი მ ე ნ , შ ე ი ლ ო “...

იგივე როლი აქვს ნაკისრი თურქულ „ყ უ რ ბ ა ნ “ (-საღმრთო) სიტყვიდან „გ ე ნ ა ც ვ ა ლ ე ს “ ანალოგიით ნაწარმოებ ფორმას — გ ე ყ უ რ ე ბ ა ნ ე : „შ ე ნ გ ე ქ უ რ ბ ა ნ ე , შ ე ი ლ ო , დ რ ო ზ ე ნ ო ლ ი “. „გ ე ყ უ რ ბ ა ნ ე , ა რ დ ა გ ა ვ ი წ ე დ ე ს “. „ი ე მ ა ს ა ც რ ა მ ე უ თ ხ ა რ , გ ე ყ უ რ ბ ა ნ ე “...

სხვათა სიტყვის პირველი პირის ნაწილაკი მ ე თ ქ ე ი / მ ე ე თ ქ ე ი უ შ ე მ ო ნ ა ხ უ ლ ი ა ს რ უ ლ ი ფ ო რ მ ი თ , ნ ა ც ვ ლ ა დ ს ა ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ო მ ე თ ქ ი ს ა : „გ ზ ა შ ი ჩ ა მ ო ხ ვ ა ლ მ ე თ ქ ე ი “. ჯ „ორი კაცი მომეცი მ ე ე თ ქ ე ი “. „ა ქ რ ა გ ი ნ დ ა მ ე თ ქ ე ი “. „მ ე ე თ ქ ე ი წ ა ვ ა ლ , მ ო ვ ი დ ა “...

მესამე პირის სხვათა სიტყვის ო დ ა რ თ ა ვ ს ვ -ს , თ უ ე რ თ ვ ის ხ მ ო ვ ნ ი თ დ ა ბ ო ლ ო ვ ე ბ უ ლ ს ი ტ ყ ვ ა ს : „გ ა ი გ ო ნ , ქ ა ლ ო ვ ო “. „ს ა დ მ ი დ ი ხ ა რ ა ხ ლ ა ვ ო ?“ „მ ტ ვ ე რ ი ნ ა ა ვ ა დ ი ნ ო ვ ო “. „მ ა რ თ ლ ა ა რ დ ა პ კ ლ ა პ კ ა ც ი ვ ო “...

გადმონაშთის სახით ჯავახურს რამდენიმე გაქვევებულ ფორმაში შემოუნახავს -მ ც ა ნ ა წ ი ლ ა კ ი , რომელსაც ძველი სინტაქსური ძალა დაუკარგავს, მისი ხმარება შემორჩენია მხოლოდ ლოცვისა და წყევლის ფრაზეოლოგიას. მაგალითები: „დ ლ ე გ რ ძ ე ლ ი მ ც ი ყ ა ვ , შ ე ი ლ ო “. „შ ე ნ ა მ ც გ ა ვ ი ხ ა რ ი ა შ ე ნ ბ ე დ ზ ე “. „ი ს ე მ ა ც მ ე ხ ი დ ა პ ყ რ ი ა ი მ ა ს “. „ე გ რ ე მ ც შ ე ს წ რ ე ბ ი ხ ა რ შ ე ნ შ ე ი ლ ე ბ ის ბ ე დ ნ ი ე რ ე ბ ა ს “. „მ ე ხ ი ა ნ (←მ ე ხ ი ც ა მ ც) დ ა ს ც ე მ ი ა თ ა ვ შ ი მ ა გ ი ბ ა ვ შ ო ბ ა ს ა “... მ ე ხ ი მ // მ ე ხ ი ა ნ ←მ ე ხ ი ა მ ←მ ე ხ ი ც ა მ ←მ ე ხ ი ც ა მ ა ც .

-ში ნაწილაკი კითხვის ნიშნის მაგვირობას ასრულებს. იგი ფუნქციით ძველი ქართულის ა-ს შეესატყვისება, მაგრამ წარმოშობით თურქული ჩანს<sup>1</sup>, დაერთვის როგორც სახელებს, ისე ზმნებს, შეინიშნება

<sup>1</sup> გამორიცხული არაა შესაძლებლობა, რომ -ში ნაწილაკი დავეყავიშობინა ქართველური — მე ნაწილაკისათვის.

მეტყველებიდან მისი განდევნა. ამ ნაწილაკს შეკითხვის დროს ხმარობენ მესხეთიდან გამოთხოვილი ქალები და ჩამოსიძებული მამაკაცები. მაგალითები: „ბიჭი მოვიდაო, ის ემი მითხარი?“ „ბ ა ე შ ე ი მ ი არ ჰყამდა?“ „თ ვ ა ლ ი მ ი დ ა ი კ ი რ ე ს?“ „არ გ ა ა კ ე თ ა მ ს მ ი, თუ რაა?“ „ქოთელი ასმი არ იცნობენ ლაღოს?“ „აქ ქ ა ლ ი მ ი არ არი?“...

ჯავახურში კითხვითი ნაწილაკი — მი იხმარება შერწყმული ფორმით ჰა (-დიად, ხომ; კი) ნაწილაკთან: ჰ ა მ ი (ხომა?). ეს მიგებით-კითხვითი ნაწილაკია, მაგრამ იგი თანდათანობით გამოდის ხმარებიდან და მის ადგილს იკავებს ქართული ა რ ა. მაგალითად, „წამოხვალ ჰ ა მ ი?“ (წამოხვალ არა?)... „წავიდეთ ჰ ა მ ი?“ (წავიდეთ ა რ ა?). ზუსტი თარგმანი იქნება; ვაკეთე ხ ო მ ა? წავიდეთ ხ ო მ-ა? ბოლო-კიდური ა უნდა მივიჩნიოთ კითხვითის ა-დ და არა მავრცობად.

აგრეთვე უნდა აღვნიშნოთ — რე ნაწილაკის ხმარების ორიოდე მაგალითი ზე და ქვე ზმნიზღებთან ხმარებისა. „ამან ზ ე რ ე-ქ ვ ე რ ე თ იციის საქმის ვაკეთება.“ „შენ ეს ზ ე რ ე-ქ ვ ე რ ე კაცი ნუ გონია“. „გავაკეთეთ ჩვენც ეგრე ზ ე რ ე-ქ ვ ე რ ე დ“. ეს ფორმები ღრმა მოხუცთა მეტყველებაშია შენიშნული, მაგრამ გამორიცხული არაა ახალგაზრდამაც იხმაროს. ჩვენთვის საინტერესოა პირველი სიტყვისაგან -ლე—ს დართვით მიღებული ფორმა ზ ე-რ ე-ლ ე. ვიტყვით ზ ე რ ე ლ ე კაცია. უკვე გასაგებია გამგონისათვის ამ ფრაზის შინაარსი. წარმოშობით ამ სიტყვაში ორი ნაწილაკი გვაქვს რე და ლე<sup>1</sup>. პირველი რე იგივეა, რაც ისრე, ასრე, ეგრე, ადრე..., რომლის ფუნქცია არც ეგრე ნათელია. მაგრამ უფრო საინტერესოა მეორე ნაწილაკი ლე. ერთი შეხედვით იგი მოფერებითობის ლე ეგონება კაცს, მაგრამ გამორიცხული როდია იგი იყოს ისევე რე, რომელიც განმეორებით დაერთო ზ ე რ ე ფორმას (ზერერე→ზერელე) და მოხდა რაეს დისიმილაცია. ზ ე რ ე და ქ ვ ე რ ე ფორმები ნახმარი აქვს დ. გუ-რამიშვილს თავის დავითიანში: „არც მამკალ, არც დამარჩინე, მატარე ზ ე რ ე-ქ ვ ე რ ე ო“ (302 სტროფი). პოეტის ამ სტრიქონიდან კარგად ჩანს ამ სიტყვების მნიშვნელობა.

<sup>1</sup> ჩვენ გვგონია, რომ ზერე-ლეს — ლე უნდა იყოს კნინობითობისა და აბალე, პოლე, ისევე... ფორმების გვერდით უნდა იყოს ფუნქციამოშლილი ფორმა. რაც შეეხება რე ნაწილაკს, შესაძლოა წარმოშობით იგიც იგივეა, რაც —ლე. მაშინ გასაგებია შეძახილი ჰორერა (ჰო-რე-რა — \*ჰო-რე-რა). რა ღმერთია, ჰო თანხმობითი ნაწილაკია, -ლე მოფერებითი ნაწილაკია. სიტყვა ჰ ო რ ე რ ა მთელი ფრაზა: „დ ი ა ხ გენაცვალე, რა“. სიმღერაში ხშირად ხმარებისას გაქავდა და დაბნელდა მნიშვნელობა.

დასასრულ, აღსანიშნავია ერთი რთული ნაწილაკის რ ა ლ ა-ს<sup>1</sup> სმარება წინადადების ბოლოს, რომელიც მთხრობელის გარკვეული სტილისტიკური თავისებურების გამომხატველია, ხოლო მთელ ფრაზას ეძლევა გამომხატველობითი, დამატებითი დარწმუნების ელფერი.

მაგალითები: „მერე ნეფე-დედოფალი გამოჰყამთ გარეთ, გამოინადირებენ რ ა ლ ა“. „ამის შემდეგ და ზის, ხელი თავზე დაუდია, საჩუქარ თხოულობს, იმასაც რძლი მამანთილი აძლემს ფულს, საჩუქარ რ ა ლ ა“. „გაძლემ, შვილო, ხუარ, გართმევ, წაილე რ ა ლ ა“. „შეიყვანეს სახში, ისტუმრეს იმ ლამით, დააბინავეს რ ა ლ ა“...

22. კავშირები. ფონეტიკურად სახეცვლილი ფორმით გვევლინება შემდეგი კავშირები: როჯცა, რალაჲ, რო, თუარმე, მარამ//მარამდი, მირამ//მირან//მირამდი//მირანდი, სარამ//სარამდი//სარანდი, სირამ//სირან//სირამდი//სირანდი, საცა, ოლონც//ოლონ.

რ ო ჯ ც ა (←როდისცა)<sup>2</sup> ფუნქციით იგივეა, რაც როცა, როდესაც. მაგალითები: „დილით მზე არ'ნა იყვეს ამოსული, რ ო ჯ ც ა რო მინდორში მივიღვართ“. „ჩვენ რ ო ჯ ც ა რო ხარ ჩაეიბარამთ, ლამი მეხრე სახში მოდის“. „ს ა დ ი ლ ე ბ ი რ ო ჯ ც ა რო ამოვა, ... ხარი ისვენამს“...

რ ა ლ ა ჲ ჯავახურში იხმარება რ ა ხ ა ნ, რ ა ლ გ ა ნ კავშირების პარალელურად და წარმოადგენს რ ა ლ ა მ ც ფორმის სახესხვაობას (რალამც → რალამ → რალაჲ)<sup>3</sup>: „რ ა ლ ა ჲ ხენწიფე კარკა გახდა, ხენწიფი ქალიშვილსაც წადილი შეუსრულდა“. „რ ა ლ ა ჲ აქ არ დაგვტოვე, ეგეც კარგია“. „რ ა ლ ა ჲ ეგრეა საქმე, მეც'ნა წამოვიდე“...

ამ წინადადებებში შესაძლებელია რ ა ლ ა-ს მაგიერ ჩავსვათ რ ა ხ ა ნ („რ ა ხ ა ნ ეგრეა, მეც უნდა წამოვიდე“).

<sup>1</sup> ზუსტად ასეთივე ფუნქციით რ ა ლ ა ნაწილაკი წინადადების ბოლოს იხმარება კახურშიც. იხ. ა. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი, გ რ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ქართული ენის კახური დიალექტი, გვ. 86.

<sup>2</sup> როჯცა გვხვდება იმერულში. იხ. შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, ძიებანი... გვ. 85. შდრ. მესხური რ ო ი ს ა ც იხ. კ. დ ო ნ დ ე ა, რჩეული ნაშრომები, გვ. 361. შდრ. გურული როჯცა. იხ. ალ. ლ ო ნ ტ ი, გურული ფოლკლორი, 1937, გვ. 163, 198, 222.

<sup>3</sup> რალაჲ გვხვდება იმერულში. იხ. ქ. ძ ო წ ე ნ ი ძ ე, ზემოიმერულიკლოაკვი, გვ. 31, 108. ზემოიმერულში რ ა ლ ა ჲ ცვლის რ ა კ ი-ს, რ ა ლ ა ჲ ჯავახურის მსგავსად რ ა ხ ა ნ ი ს ნაცვლად იხმარება კახურში. იხ. ა. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი, გ რ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ქართ. ენის კახური დიალექტი, გვ. 133. რ ა ლ ა ჲ ახასიათებს მესხურს. იხ. ი. გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი, ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ი. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე, ქართული დიალექტოლოგია, გვ. 374.

რომ კავშირი როგორც ყველა ქართულ დიალექტში, ისე ჩავახურში მანის გარეშე იხმარება: წინათ მამა შვილ ისე დანიშნავდა, რო შვილ საცოლე არცკი ენახა“. „მერე ებნევა, რო ერთად ვიყოთო“. „მერე რო სასლში მივლენ, რძალ გარეთ მისცემენ ცხვარ“... კანტიკუნტად იხმარება რომა გავრცობილი ფორმაც: მ ა გ.; „მასკვან ბიჰმა უთხრა კერძ რომა“. „როგორ ვქნათ, რომა ეს ღევი მოვკლათ?“

თუარმე (← თუ + არა + მე) ფორმა წარმოადგენს ერთ-ერთ დამატებით სახეობას პირობით-შედგობითობის<sup>1</sup> კავშირისა, რომელიც შექმნილია თ უ ა რ ა -ს საფუძველზე<sup>1</sup>, მაგრამ განსხვავებით სალიტერატურო ქართულისა და სხვა კილოებისაგან თ უ ა რ მ ე იხმარება არა პირობით-შედგობითობის დროს, არამედ დროის<sup>2</sup> გარემოებით დამოკიდებულ წინადადებას აკავშირებს მთავართან, შეესატყვისება ფუნქციით არა თ ო რ ე მ-ს, არამედ რ ო გ ო რ ც კი, რ ო ც ა -ს, მაგალითები: „ამ ვერძმა დაჰკრა თ უ ა რ მ ე, აღმიანად იქცა ისე“. „მე გაუძეხი თ უ ა რ მ ე. ინათლა, ყარსში ჩაველაო“. „ეს-როლა თ უ ა რ მ ე. ძირ ტყაპანი გაადინა“. „მზემ გადაიწია თ უ ა რ მ ე, ბაღებისკენ დაუდეთ (გ ა ვ წ ი ე თ)“. „მზე დააჰკერს თ უ ა რ მ ე, ხზო დაბუზარავანს“. „მოხვდა თ უ ა რ მ ე, გაათავა“. „ქარებს გაალებთ თ უ ა რ მ ე. პირში ეცქეა“. „ამან ესროლა თ უ ა რ მ ე; თეუზი გამოიტანა“...

აღსანიშნავია ერთი გარემოება, რომ „თ უ ა რ მ ე“ კავშირი გარკვეულ პირობებში იხმარება: ჯერ ერთი დამოკიდებული წინადადება აუცილებლად წინ უნდა იყოს და მთავარი უნდა მოსდევდეს. მეორეც, „თ უ ა რ მ ე“ ყოველთვის დამოკიდებული წინადადების ბოლოსაა და მძიმე იწერება მის წინ („მოხვდა თ უ ა რ მ ე, გაათავა“). „თ უ ა რ მ ე მოხვდა, გაათავა“ არ გეხვდება).

მარამ(ღი) (← მანამ//მანამღი)<sup>2</sup> იხმარება ვ ი დ რ ე კავშირის ნაცვლად და წარმოადგენს ს ა რ ა მ (ღი) ფორმის საპირისპირო ანალო-

<sup>1</sup> ამ კავშირის ნარჩახეობა ქართულ კილოებში ასეთია: თ უ ა რ. თ ვ ა რ, თ ვ ა რ ა მ, თ ვ ა რ ე მ, თ ო რ ე მ ა, თ ო რ ე, თ ვ ა რ ა დ ა. მაგრამ ყველგან იხმარება, როგორც სალიტერატურო ენას თ ო რ ე მ პირობით-შედგობითობის გამოსახატავად: იხ. შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, კავშირები ქართულ ენაში, თბილისი, 1969, გვ. 319.

<sup>2</sup> მ ა რ ა მ (ღ ი) // მ ა რ ა ნ (ღ ი) მ ი რ ა მ (ღ რ) // მ ი რ ა ნ (ღ ი) ჰორემ ფორმები დასტურდება მესხურშიც, იხ. ი. გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი, ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ი. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე, ქართული დიალექტოლოგია. გვ. 652. მესხურშივეა აგრეთვე ვ ი რ ა მ ღ ი: შდრ. შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, ძიებანი... გვ. 91.



გიურ ფორმას: „ჩვენ მ ა რ ა მ სადილები ვკამოთ, ხარი ისვენამს“. „მ ა რ ა მ დ ი ის მოვიდოდა, ჩვენი გავაკეთეთ“. „შენ ს ა რ ა მ დ ი მოხვიდოდი, მ ა რ ა მ დ ი ჩვენ დაბარული გეჭონდა“. „მ ა რ ა მ მაგან მოიტანოს, ჩვენ ვკრიფოთ“...

მ ი რ ა მ (დ ი) // მ ი რ ა ნ (დ ი ს ი ნ) (-მ ი ნ ა მ // მ ი ნ ა მ დ ი) ფორმები ნაწარმოები ს ი რ ა მ (დ ი) // ს ი რ ა ნ (დ ი) კავშირების ანალოგიით. მაგალითები: „მ ი რ ა მ დ ი ს ი ნ ბაწარი არის, იქ მახლობლით არის წყალი“. „მე აქ მ ი რ ა მ დ ი ს ი ნ უნდა ვიცხოვრო ტყეში“. „მ ი რ ა მ გაიზრდები, ეგრე ამონ“. „მ ი რ ა მ დ ი საჩუქარ არ მისცემენ, ქალ არ აჩვენებენ“. „მ ი რ ა მ ხარ შევაბამთ, ჩვენ კი სამხარ ვკამოთ“. „მ ი რ ა ნ დ ი აქ იყო, რატუარ უთხარი“...

„მ ი რ ა ნ დ ი ჩახვიდოდით, დაგეთვალა“ნა“...

როგორც დაეინახეთ, „მ ი ნ ა მ // მ ი ნ ა მ დ ი“ ფორმების ნაცვლად ვეაქვს მ ი რ ა ნ // მ ი რ ა ნ დ ი, ისე როგორც ს ი ნ ა მ // ს ი ნ ა მ დ ი ს პარალელურად დადასტურებულა ს ი რ ა მ // ს ი რ ა მ დ ი.

ს ა რ ა მ (დ ი) // ს ა რ ა ნ (დ ი) მომდინარეობენ ნ ა რ ი ს ა და რ ა ე ს მონაცვლეობით ს ა ნ ა მ (დ ი) // ს ა ნ ა ნ 'დ ი, ფორმებისაგან<sup>1</sup>. მაგალითები: „ს ა რ ა მ პირში სული მიდგია, ვიმუშაონა“... „ს ი რ ა ნ დ რო გაქ, მოითავე შენი საქმე“. „ს ა რ ა ნ დ ი ნ გაგრძელდება, შევილო, ასე?“ „ს ა რ ა მ ომი დამთავრდებოდა, ს ა რ ა მ ჩ ა მ თ ა გ დ ე ს ნიკოლოზი ტახტიდან“, „ი უმაღლესში ს ა რ ა მ დ ი ნ უნდა იყვე“. „ს ჭ ო ფ ე ლ მ ა თოკმა დიდი მწუხარება გამოიარა, ს ა რ ა მ მოვიდოდა მენშევიკური მთავრობა“.

ამ ფორმების პარალელურად ს ი ნ ა მ (დ ი) // ს ი ნ ა ნ (დ ი)-ს ანალოგიით ს ი რ ა ნ (დ ი) // ს ი ნ ა მ (დ ი)<sup>2</sup>. მაგალითები: „ს ი რ ა მ დ ი მქონდა გაძლევი, ახლა შენ იმუშავე“. „ს ი რ ა მ გვიან არ არი, მოთიბე“. „ს ი რ ა ნ დ ი ნ ა გაცხოვრო, შევილო, იეხლა თვითონ იმუშავე“. „ს ი რ ა ნ მქონდა ფულებიო, ვკამე მოხრაყულები...“

მ ი რ ა ნ (დ ი) // მ ი ნ ა მ (დ ი), მ ა რ ა მ (დ ი) // მ ა რ ა ნ (დ ი), ს ი რ ა მ (დ ი) // ს ა რ ა ნ (დ ი), ს ი რ ა მ (დ ი), ს ი რ ა ნ (დ ი)

<sup>1</sup> ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართ. დიალექტოლოგია, გვ. 652. შტრ. შ. ძიძიგური, ძივანი... გვ. 90. 91, 22. საგულისხმოა ერთი გარემოება, რომ 1888 წელს სიზაბავრაში ჩაუწერათ ლექსი, სადაც გვხვდება: „ს ი რ ა მ დ ი ვარ, ასე ვიქ...“ (იხ. პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება. 1937, გვ. 612.

<sup>2</sup> ასეთი ფორმები მესხურისათვის ჩვეულებრივია. იხ. კარ. დონდუა, დასახ. შრომა, გვ. 352.

ფორმების შესახებ უნდა ითქვას, რომ ქართული დიალექტებიდან მხოლოდ ჯავახურსა და მესხურს აქვს. სხვა კილოებში ჯერჯერობით არაა დადასტურებული.

სამეცნიერო ლიტერატურაში ახსნილია ს ა დ (ა), ს ა ნ (ა) ფორმების წარმოშობა. გამოყოფილია ფუძე ს ა, -დ ვითარებითი ბრუნვის ნიშანია, ა მავრცობი, -ნ ნავარაუდებელია მოთხრობითი ბრუნვის ძველ ნიშნად, როგორც ვ ი-ნ-ში<sup>1</sup>. (შდრ. ს ა ი თ, ს ი თ, ს ა - ც ა...), ხოლო ს ი ნ ა მ ვარიანტია ს ა ნ ა მ ფორმის. ბოლო მ ა - ნ ი ს ა ნ ა მ//ს ი ნ ა მ. ფორმებში თ ა ნ დ ე ბ უ ლ ი ს ე უ ლ ი ა (დაერთვის -მ დ ე, -მ დ ი თანდებული). ს ა ნ ა-მდე//ს ა ნ ა-მ დ ე//ს ა ნ ა მ დ ი.

მსგავსი ეტიმოლოგიაა მოცემული მ ა ნ ა მ კავშირისა: იგი ნაცვალსახელი დასმულია მოთხრობით ბრუნვაში (მ ა-ნ, მ ა-ს...), მეგრე დამატებული აქვს მავრცობი ა, ხოლო ბოლოკიდური მ (მ ა ნ ა მ) არის ნაშთი -მ დ ი ს თანდებულისა, ასევე -მ დ ე-სიც. მ ი ნ ა მ ვარიანტია მ ა ნ ა მ ფ ო რ მ ი ს ა<sup>2</sup>. ჯავახურში ხმარებული და მესხურში დადასტურებული<sup>3</sup> ს ა რ ა მ//ს ა რ ა მ დ ი (ვარიანტი, მ ი რ ა მ//მ ი რ ა მ დ ი) სათანადო ლიტერატურაში ასეა ახსნილი: ს ა + რ ე + მ დ ი ს. -რ ე ნაწილაკია დართული. შემდეგ -მ დ ი ს თანდებული გამარტივებულა, დარჩენილა ნაშთი მ ა ნ ი, ხოლო ე-დ შეცვლილა ვითარებითი ბრუნვის ა (შდრ. სანამდი)<sup>4</sup>.

მ ა ნ ა მ დ ი ს შესახებ არსებობს სხვა მოსაზრება, რომ იგი წარმომდგარია მ უ ნ ა მ დ ი ს ა გ ა ნ<sup>1</sup>.

ს ა ც ა ←სადაც, გავრცელებული აღმოსავლურ კილოებში, დასავლური კილოებიდან გააჩნიათ რაჭულსა და ზემოიმერულს.

ჯავახურში გვხვდება არამართო ს ა ც ა, არამედ მასზე კვლავ ცა ნაწილაკდართული ფორმაც: „ყველგან ასე იყო, ს ა ც ა იყო ბატონობა“. „შენ ს ა ც ა ც ხარ, ასეთი ამბავია ხომე“. „ს ა ც ა სოფელია, შკოლა გახსნეს“. „ს ა ც ა ც შენი დაიკვეხო, იქაც ჩემი თქვი“. „ს ა ც ა ხარი წაასხა, შენ არ იცი?“, „წავალ, ს ა ც ა ც იქნებიან, გადაეყლაპამ ორივეს“...

<sup>1</sup> შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, კავშირები ქართულ ენაში, თბილისი, 1969, გვ. 397, 398, 399.

<sup>2</sup> ი ქ ე ე, გვ. 399.

<sup>3</sup> ი ქ ე ე, გვ. 398.

<sup>4</sup> ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრაჰატიკის საუქუკლები, გვ. 627.

ს ა ც ა ფორმაში ც ა ფუძისეულადაა გაგებული და ხელმეორედ აქვს დართული ც ა ნაწილაკი.

დასასრულ, აღვნიშნავთ ო ლ ო ნ დ ა ც // ო ლ ო ნ დ ც კავშირს, რომელსაც დაკარგული აქვს დ თანხმოვანი და იხმარება ო ლ ო ნ-ის სახით: „ამტელ ქალაქ დაგითმებ, ო ლ ო ნ თავი დამანებო“. „ო ლ ო ნ შენ გაიხარე და ესეც შენი იყოსო“...

გვხვდება ზოგჯერ ო ლ ო ნ ც-ის სახით: „ო ლ ო ნ ც კარგად იყავით, შვილო, და, რაც შეგვეძლება დეგეხმარებით“. „ო ლ ო ნ ც მეც წამიყვანეთ და პატივისცემა ჩემზე იყევს“.

ო ლ ო ნ ც შეიძლებოდა მიღებულიყო ასე: ოლონდაც → ოლონდც → ოლონც. დ-სა და ა-ს დაკარგვით ან: ოლონდ → ოლონთ → ოლონც.

არის თითო-ოროლა შემთხვევა, როცა მ ა გ რ ა მ გამარტივებულია მ ა რ ა-დ: „ჩვენც ვიყავით, მ ა რ ა ესეც ყოფილაო“.

**23. შორისდებული.** ზოგჯერ შორისდებულის ზუსტი ჩაწერა არ ხერხდება. ჯავახურში გავრცელებულია შემდეგი შორისდებულები:

ა) გ ა კ ვ ი რ ვ ე ბ ა-გ ა ნ ც ვ ი ფ რ ე ბ ი ს ა. აიბე // აიბენ, აიბე // აიბენ, ბე / ბენ, უიბე // უიბენ, უიბე // უიბენ, იბე // იბენ: მაგალითები: „ა ი ბ ე ნ, რა ხალხია“. „ა ი ბ ე ნ, ვერაფერი შევასმინე“. „ა ი ბ ე ნ, ადამიანიშვილი თუ გაფთხა, ძნელია მისი გაჩერება“. „ა ი ბ ე ნ, არავის მოუსმინა“. „ბ ე ბ ე ნ, ეგ რა ყოფილა“. „ბ ე ბ ე ნ, დიხსენ, მაგი შარი თავი არა მაქ“. „ბ ე ბ ე ნ, ეგეც ნითომ ადამიანია“. „ი ბ ე ნ, თელ დღეს ვეხვეწეთ, არ დაგვიჯერა“. „უ ი ბ ე ნ, არ გვინდა მაგისი არაფერი“. „უ ი ბ ე ნ, იცი, რა დაგვემართა?“...

შინაარსით ყველა „ვ ა ა“ შორისდებულს უტოლდება, მაგრამ ერთმანეთისაგან მცირეოდენ ნიუანსით განსხვავდებიან.

შედგენილობა ასეთია: გამოიყოფა ნაწილაკები: აი, ი, უი, ხოლო პ ე (ნ) ბ ე (ნ) მარცვალში თავდაპირველი „ბ ე“ უნდა იყოს, „პ ე“, ზ“-სა და პ-ს მონაცვლეობითაა მიღებული, როგორც ნაწილაკში ა-ბ ა, ა-პ ა<sup>1</sup>. ბოლო მარცვალი ყოველთვის გრძლად გამოითქმის.

<sup>1</sup> ჩვენი აზრით, ა-ბა// ა-პა ნაწილაკების ბა// პა იგივე შორისდებულების პე// ბე-ა. ფონეტიკური სახეცვლილებით (დისიმილაციით). სახეშეცვლილ ფორმებს ფუნქციაც სხვა უქისრიათ, ძნელი სათქმელია რა არის ამოსავალი ბა? შესაძლოა მომდინარეობს სიტყვისაგან ბ ა ბ ა. ასევე ბეც — უნდა იყოს ბ ე ბ ე სიტყვის შემოკლება. ახლაც ვამბობთ. უ ი დედა, ვ ა ი მ ა მ ა: და სხვა. ისევე როგორც პ ო დ ე-შ ო დ ე შემოკლებული ფორმა დ ე დ ა-სი. მაგალითად, საქონლის შეძახილში სრულად გვაქვს „პ ო ე დ ა ო“. ხოლო ადამიანებს ეტყვიან, პ ო, დ ე დ ა—დიან, დ ე დ ა.

ხოლო ი პ ე ნ// ი ბ ე ნ ფორმებში ი და ე, ე. ი. თავკიდურიცა და ბოლოკიდური ხმოვანიც გრძელი და მახვილიანია. ნ იგივე დანართია, როგორც მ ე-ნ, შ ე-ნ... ს ა და -ნ, მ ა ქ ა-ნ... ფორმებში.

ჰ ე ტ ე//ხ ე ტ ე გაკვირვების გამომხატველი შორისდებულთა, რომელიც მხოლოდ ხიზაბაურას იხმარება: „არ იცი, ჰ ე ტ ე, აქაურელია“ (ჩამწერზე ეუბნება მთქმელს სხვა პირი. გ. ბ.). „ოლა, ჰეტე-ჰად მიხეალ“. „ჰ ე ტ ე, ვერ გაიგე“...

გაკვირვებას გამოხატავს აგრეთვე: იპ, იპ: „იპ! იპ! რა'ნა იცოდნენ ცოლბილა (-ცოლსაც) არ უთხრა“. „იპ, იპ, ერთი მაგი გაპრანქასაც უყურე“...

ბ) და ნ ა ნ ე ბ ა — შ ე ც ო დ ე ბ ი ს ა: უ ი ც ე ნ//უ ი ც ე ნ: მაგალითები: „უ ი ც ე ნ, რა კაი კაცი იყუა“. „რათ მოაკვლევინე, უ ი ც ე ნ, არ შეგეცოდა?“ „უ ი ც ე ნ, კაი დრო გვიტარებია“...

გ) მ ო ფ ე რ ე ბ ი ს ა: უ ი ტ ე ნ//უ ი ტ ე ნ: „უ ი ტ ე ნ, რა ლამაზი გოგოა“. „უ ი ტ ე ნ ვისი ხბოა?“ „უ ი ტ ე ნ, ჯერ ჭამა არ იცის“.

მწუხარება ა და შეცილების გამოსახატავად შეერთებულია ორი შორისდებულთა: „უ ი მ ე და ვ ა გ ლ ა ხ მ ე, ეპ რა მოგსვლია, შვილო?“ „უ ი მ ე და ვ ა გ ლ ა ხ მ ე, შენ რატო ეგრე, გამხდარხარ? (უ ი + მ ე და ვ ა გ ლ ა ხ + მ ე)“.

დ) მ ო წ ო დ ე ბ ა-და ძ ა ხ ე ბ ი ს ა: „მ ა ლ ე-თ, რას აგვიანამთ?“ „ჩ ქ ა რ ა-თ, გოგო, ავდარი მოდის!“ „კ ა რ გ ი-თ, გაჩუმდით!“... „ა ბ ა-თ, მაჩვენეთ! „ა დ ე-თ, რაღაპ უყურანთ?“...

მ ა ლ ე თ, ჩ ქ ა რ ა თ, კ ა რ გ ი თ, ა ბ ა თ, ა დ ე თ ფორმები შორისდებულას როლს ასრულებენ, ხოლო ბოლოკიდური თ არის მისამართავი ობიექტის სიმრავლის გამომხატველი. აქ იგულისხმება ნაცვალსახელი თქვენ და ზმნაც, რომელიც აუცილებლად მრავლობითშია (კარგი, ამხანაგებო, გაჩუმდით!).

ე) შორისდებულებს განეკუთვნება აგრეთვე ცხოველთა და ფრინველთა დაძაბვა-გაჩერებისა და გარეკვა-გაგულების შეძახილები.

ცხოველი ან ფრინველი:	დაძახების:	გარეკვის: <sup>1</sup>
ხარის —	რპო, პოიში <sup>2</sup> რ, გრჩ//გეჩ, რპო,	პრ, ჰუმპ//პომამ! <sup>3</sup> პრ გრჩ//გეჩ, პრ!
ძროხის —	ო, დიდ (-ო დედა), რპო,	თფულე//ფულედო, პრ, ღრღ//ღღღ პრ!
ხბოსი—	ფუჩი! ფუჩი, ფუჩი, ფუჩო!	ქქჩ, ქქჩ!
ცხენის —	დანს! დჰპ, დრსს!	დანპ, ნრო!
ცხვრის —	ღუღუ, პოპო, დბუ- პოპოპოპო...	ქსნი... ჰერრ, ჰერრ!
ცხვრის ან თხის		
გარჩევისას —	პრქ, პრქ!	ყოლქპ, ყოლქ!
თხის —	ჩიგი; ჩიგი, ოპე, პე...	ჩიგა! რ ჩერშ, ე!
კრავის —	ბიეო, ბიეო! ბიე...:	ბიეა! რ ბიეა!
(კრავს „ბიეინასაც“ ეძახიან მოფერებით):		
— „ბიეინა, ბიეინა, მოდი აქ		
თიჯის —	ტიგი, ტიგი, ტიგო, ტი- გო...	რ, ტიგა, ტიგა!
ვირის —	ჩერშ, ჩუშ, ჩო, ჩო! ჩუ, ჩუ!	პაჩუ აჩუ!
მუტრუკის —	ხოტი, ხოტი. ხოტა,	ხოტა! ხრტი ხრტი!
ლორის —	ქუსი, ქუსი, ქუსა, ქუსა,	ქრსი ქრსი
ძაღლის —	მამქ, მამქ! შო, შო! ოშრ, ფით, ფით! (ხიზაბავრა).	რშტ... აგა!

<sup>1</sup> გარეკვის შეძახილის ხმოვანი მოკლე და მაგარშემართვიანია, მახვილი მოუღის... დაძახება-გაჩერებისას კი ხმოვანი გრძელია.

<sup>2</sup> აქედანაა ნაწარმოები ზენის ფორმები: მიიშიე, მოიშიე. აქ ფუძეა „იში“.

<sup>3</sup> პ უ მ ა//პ ო მ ა და პ ო დ ი დ//, პ ო დ ე დ უღრის პ უ მ ა მ ა//პ ო მ ა მ ა... პ ო დ ე დ ა. გაპარტუვებულია.

<sup>4</sup> მ უ ტ რ უ კ ს ხ ო ტ რ უ კ ს ა ც ეძახიან, ალბათ ამ მეორე სახელის გამარტივებული ფორმაა ხ ო ტ, ხ ო ტ... ასევე შემოკლებული ფორმა და ფონეტიკურად სახეცვლილი უნდა იყოს თიჯის გარეკვა-დაძახება ტიგი // ტიგა (←თიჯანი).

ცხოველი ან ფრინველი:	დაძახების:	გარეკვის:
ლეკვის —	პიტო, პიტო...	პიტა! პიტა!
კატის —	ფნსო, ფნსო, ფის, ფის	ფნსტ! ფნსტ! ცრც
კნუტის —	ფნსა! ფნსა!	ფისა! ფისა!
ბატის —	ბული ბული!	საი! საი!
კუჭულის —	ჭული! ჭული!	აჭილა!
ქათმის —	ჭუჭუ! ჭუჭუ, ჭურრ... ძია, ძია!	აჭმა! ქუშ! ქუშ!
წიწილის —	წიპარ...წიპა, წიპა	აწიკა, აწილა!
მტრედის —	ლოი, ლოი, ლოი, დბუჰ!	ლორ! ლორ!

შორისდებულებად ხმარებული ცხოველთა გარეკვა-დაძახების ან გაჩერების ფორმები რიგ შემთხვევაში წარმოგვიჩვენებენ ბუნდოვნად ან ნახევრად ბუნდოვნად უფრო უძველეს სახელწოდებებს ამა თუ იმ ცხოველისას, რომლის მიმართაც ხმარობენ ახლა ჯავახურში.

მაგალითისათვის დავასახელებთ ორიოდ შეძახილს<sup>1</sup>.

უპირველეს ყოვლისა ხარისა და ძროხის შეძახილებში შემონახულია მიმართვა **ო დ ე დ ა**, **ო მ ა მ ა**. ორივე შეძახილი ფონეტიკური პროცესების ნიადაგზე სახეცვლილი და გამარტივებულია.

თფუდღე (←თფუდედ ←ფურდედ ←ფურდედა), ასეთივე ფორმა ფქუქრ ძირისა შემონახულა ხბოს შეძახილში: ფუქო//ფუქი (-ფურჩვილ?).

განსაკუთრებით საინტერესოა დუდუ, უდუ ცხვრის დაძახება ურარტულ ენაზე. უდუ — UDU ნიშნავს ცხვარს, საერთოდ წვრილფეხსაჭონელს; **უ დ უ მ ა შ**—თხას, **უ დ უ ნ ი ტ ა**—ცხვარს, ხოლო **უ დ უ მ ა შ-ტურ**—თიკანს. არ შეიძლება ამ დაძახების შესაძახილს რაიმე საერთო არ ჰქონდეს ცხვრის ურარტულ სახელწოდებასთან — **უ დ უ, დ უ დ უ**<sup>2</sup>.

ჩიგა თხის გარეკვის შეძახილია დღეს, ჩვენ არ გვესმის მისი მნიშვნელობა, მაგრამ ეტრუსკულად ნიშნავს თხას.

ასევე **ტიგოი/ტიგო**, **ტიგა**, **ტიგა** შეძახილები, რომ-

<sup>1</sup> ამ დაძახება // გარეკვის შეძახილთა შესწავლა მთელი ქართული კილოების მიხედვით უფრო ნათეს მიაჩვენს ამ საკითხს. შესაძლოა, რომ ზოგიჯ რამ, რასაც დღევანდელ ვმეორებათ გაუთვითცნობიერებლად, აღმოჩნდეს რომელიმე ცხოველის ან მკვლელის სახელი.

<sup>2</sup> Г. А. Меликшвили, Урартские клинообразные надписи. Москва, 1956, ст. 456

ლებიც თიკნის გარეკვისაა, ძნელი დასაჯერებელია არ უკავშირდებოდეს დაღესტნის ენების მონაცემებს. მაგალითად, ტაიგა (ყაფუჩური), ტრეჟა (ანდიურ-დილოური), ტიუჟა (ახეახურ-კარატული)<sup>1</sup>...

ამ ენებში ეს სიტყვა ნიშნავს ვაცს — მამალ თხას.

საფიქრებელია, რომ „პოიშ“ ხარის შეძახილი მუშაობის, კერძოდ, ხვნის დროს თავდაპირველად ნიშნავდა „პო ხარო“. ამას გვაფიქრებინებს დილოური ის (-იგივე იშ) სახელწოდება ხარისა... „პოის“ თქმა თანამედროვე ქართული პო ხ ა რ ო, შემდეგ იქცა პოიშ (აქედან სიტყვები მიიში, მოიში)<sup>2</sup>. ს ა ნ ი ს ა და შ ი ნ ი ს მონაცვლეობა ჩვეულებრივი ფონეტიკური პროცესია ქართველური ენებისა.

არანაკლებ საინტერესოა კრავის დაძახება-გარეკვის სიტყვები ბიჟინა//ბიჟი//ბიჟა. საბასთან ბიჟიკი მომცროს აღნიშნავს. მაგრამ თავდაპირველად ცხვარს ქართულში რომ თხასთან ერთად რქმეფია სხვა სახელი, ამ ფორმით ირკვევა. დღეს ჩაჩნურად რქოსანი საქონლის ზოგადი სახელია. ბეჟინა (შდრ ქართ. ბიჟინა-კრავი), ხოლო ყაბარდოულში ბეჟენ არის თხის სახელი. კრავს კი შინას (შდრ. ჟინა) ეძახიან, რაც ახლო კავშირშია სვანურ ჟინალ-თან. ამასთანავე წოვათუშურში ჟე მთლიანი ცხვრის ზოგადი სახელია. თავკიდური ბე და ბოლომარცვალი ნა დაუკარგავს<sup>3</sup>.

როგორც დავინახეთ, ამ რამდენიმე პარალელურმა ფორმამ საკმაოდ საინტერესო ფორმაზე მიგვაქცევინა ყურადღება.

ვ. ფიცილისა და დალოცვის შორისდებულგზა: მერთმანი (-ღმერთმანი ციკის), შენ გაზდამ, მე და ჩემმა ღმერთმა, ზიარების მადლმა, შენ შევილების დარჩენამ, შენ გახარებამ, შენ ზაჰმათს (არაბ. ქართულად ჯაფა, შეწუხება), გზით გაცვითე, „მშვიდობით თქვენი ნახვა“. „დიდი პატარა ხო კარგად ხართ?“ „ღმერთმა კეთილად გატაროთ//გამყოფოთ“. „ღმერთმა იყავ ქვეყანაზე“. „ღლე და სიცოცხლით გაძეხით“. „ღლით გაძეხით“, „ღმერთმა გარონინოთ“, „ჩემ დროს მოგკაროს მოწყალე ღმერთმა“. „იხარეთ, იფოთლეთ, თეთრი წვერით გატაროთ ღმერთმა“...

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, ტფილისი, 1937, გვ. 160.

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი, დასახ. შრომა, გვ. 158, 156, 239, 240.

<sup>3</sup> მხოლოდ ამ სიტყვაში შემორჩენილა ძველი ფორმა გარონინოს, ასევე -მცანაწილაკი გვეხდება წყველა-დალოცვის ფრაზეოლოგიაში. ასეთივე ძველი მნიშვნელობითაა ბედ და სამცვირ ბელო ნახმარი. ძირითად გამოთქმაში ნიშნავს ცუდს.

ზ) წ ე ვ ე ლ ი ს ა: „არ გაგახაროს მამაზეციერმა“, „დედაღვთისამ გაგხეთქოს და გაგაპოს“. „ჩემ დროთ არ მოიქარე“. „ბელშავო, (ს) წორმოსაწყვეტო, ამოსათაქო, ტოლამხანაგში გამოსარჩევო“. შავმა ქირმა შეგქამოს“. „ღმერთმა დაგწყველოთ და დაგშამათოთ, ბედ-დასამძვირებლო, დაგიმძვირდეს ბედი (აქ დამძვირება გაცულებას ნიშნავს. ძვირი — ცუდი, როგორც გურულში იხმარება სიტყვა ძვირი).

თ) ს ა ა ლ ე რ ს ო - მ ო ს ა ფ ე რ ე ბ ე ლ ი გ ე ნ ა ც ვ ა ლ ე, გ ე ნ ა, გ ე ყ უ რ , - ა ნ ე, შ ე ნ ი დ ა რ დ ი მ ო ს დ ე დ ა მ, შ ე ნ ი ქ ი რ ი მ ო ს ბ ა ბ ო მ . . .

### ზ მ ნ ა

24. პირის ნიშნები. წინასწარ უნდა შევნიშნოთ,<sup>1</sup> რომ S<sub>2</sub> და O<sub>3</sub> პირის ნიშნების ხმარებისას რაიმე კანონზომიერება არაა დაცული. ამ მხრით ჯავახური მისდევს ქართლურს. S<sub>2</sub> და O<sub>3</sub> პირის ნიშნად უპირატესად ჰ ა ე ი ხ მ ა რ ე ბ ა. ნაწილობრივ გვხვდება ს ა ნ ი ც .

ქართლურში დადასტურებულია ჰ ა ე ს ხ მ ა რ ე ბ ი ე ქ ე ს ი ს ა ხ ე ო ბ ა (ჰ → ჰს → ს → მს → მ → O)<sup>2</sup>. აღნიშნული საფეხურებიდან ჯავახურში მს და მ არ იხმარება.

ა) სუბიექტური პირველი პირის ვ ი ნ ი ს დაკარგვას სასხვისო ქცევის უ-ს წინ, შეეხებოთ ფონეტიკაში (ვ) უთხარი, (ვ) უპასუხე...

ობიექტური პირველი პირის მ ა ნ ი ზ ო გ ჯ ე რ ნ ა რ ი თ ი ც ვ ლ ე ბ ა, ესეც ბგერათმონაცვლეობაში განვიხილეთ (დანტოვე, დანმარხე, ამონ-ძახ...)

ბ) მეორე პირის სუბიექტური ნიშანი უფრო ხშირად ჰ ა ე ა:<sup>2</sup> მაგალითები: ჩამოჰყრი, ჩაჰკიდამ, დაჰკრამ, მოჰკლამ, შეჰწვდები... ს ა ნ ი: დასტოვე, დასჰყვილე, დასთანხმდი, მოსთხვიე...

მსგავსად ხვალ და ხარ ფორმებისა, ჯავახურში ვ ა რ დ ნ ა ზ მ ნ ა ს შემონახული აქვს სუბიექტური მეორე პირის ნიშანი ხ ა ნ ი: „არ ჩ ა ხ ვ ა რ დ ე, ბიჭო!“ „გ ა დ ა ხ ვ ა რ დ ე ბ ი, გენაცვალე“. „გ ა ხ ვ ა რ დ ი, დაუძახე“. „ჩ ა ხ ვ ა რ დ ე ბ ი მ ა გ ე დ ა ნ“. „მაგ სახლიდან ცეცხლში ჩ ა ხ ვ ა რ დ ი შენ“. „გ ა დ მ ო ხ ვ ა რ დ ე ბ ი. მაგრა დადექ“. „დ ა გ ც ხ ე მ ს და მალლა ა ხ ვ ა რ დ ე ბ ი“...

<sup>1</sup> ვ. თ ო ფ ე რ ი ა, ქართლური, გვ. 149.

<sup>2</sup> იხ. გ რ. ი მ ნ ა ი შ ე ი ლ ი, ქართული ენის ინვოლუციური დიალექტის თავი-სებ., გვ. 106, იხ. შ. ნ ი ე რ ა ძ ე, ზეშაჰარულ-ს თავისებურებანი, გვ. 43, 44. შ დ რ. ა. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი, გ რ. ი მ ნ ა ი შ ე ი ლ ი. ქართული ენის კასტური დიალექტი, გვ 104.



ასეთი ფორმები იხმარება მხოლოდ სამ სოფელში: ხიზაბავრაში, ბარალეთსა და კოთელიაში. ეს ფორმები არაა უცხო მესხეთის სოფლებისათვის — ზედათმოგვისა და აგარისათვის<sup>1</sup>.

ჯავახურს შემოუნახავს აგრეთვე მეორე საინტერესო ფორმა ეილა ზმნისა: მიდიხოლი, მოდიხოლი, დადიხოლი. ეს ფორმები მიღებულია კონტამინაციით: მო(ს)დიოდი + მოხედიოდი → მო(ს)დიხოლი<sup>2</sup>. მსგავსად მიღებულია მიდიხოლი და მოდიხოლი. მაგალითები: „რო დადიხოლი, ისწავლე, რას დადიხოლი?“ „შენ არ მოდიხოლი გუშინ?“ „იქვე არ მოდიხოლი“. ასეთი ფორმები შემოუნახავს ხიზაბავრულს. მესხეთის ერთ სოფელშიც (აგარაში — ახლა ნაქალაქევი) ჩავიწერეთ მსგავსი მაგალითები. ჩანს, მესხურსაც შემოუნახავს.

მეორე პირთან დაკავშირებით კიდევ ისაა აღსანიშნავი, რომ მეორე ბრძანებითის ფორმებს ზოგჯერ გააჩნია პირის ნიშანი, წესის მიხედვით კი არაა საჭირო<sup>3</sup>.

მაგალითები: დასწერე, მოკალი, დაკალი, გასქერი...

მაგრამ არის შემთხვევები, როცა წესიცაა დაცული: ნუ ტირი! ნუ ქრი! არ დადო!...

გ — ასიმილაციის ძალით ქ, ც, თ თანხმოვნებით დაწყებულ ზმნებთან რომ ქ-დ იქცევა, ეს განვიხილეთ ფონეტიკაში (ქქონდა, მოქთხრის, ქცემს...)<sup>4</sup>.

გ) მესამე პირის სუბიექტური ნიშანი სანრიგ შემთხვევაში იცვლება პაეთი (მიპყიდებ, გააკეთოპ, მიდიპ...), ეს დაწვრილებით განვიხილეთ ბგერათმონაცვლეობაში.

---

<sup>1</sup> დოც. ი. მაისურაძის გადმოცემით მიდიხოლი, ჩახვარდები და მათი მსგავსი ფორმები დამახასიათებელია აგრეთვე ახალციხის ძველი უბნის რაბათის მეტყველებისათვის.

<sup>2</sup> ა. შანიძე, *ს<sub>2</sub> და *ო<sub>2</sub>* პირის ნიშნები ქართულ ზმნებში*, 1920, გვ. 179. შ. ძიძიგური, რაქული დიალექტი, ძიუბანი..., გვ. 195. ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, გვ. 686.

<sup>3</sup> ზოგჯერ სადაც საჭიროა, დაკარგულია: მაგალითად, რაპ წერამ შენ „ვითომ შენც კოცლომ?“ „არ ცემე?“...

<sup>4</sup> ასეთივე პროცესი *ს<sub>2</sub>* პირთან ფორმებში: შქამს, შქრის, შეშჯარდები... ფონეტიკაშია განხილული. შდრ. ქართლური. გრ. იმნაიშვილი, ქართლური დიალექტი, გვ. 178, 179, კახური: ა. მარტიროსოვი, გრ. იმნაიშვილი, ქართ. ენის კახური დიალექტი, გვ. 38. ინგილოური: გრ. იმნაიშვილი, ქართ. ენის ინგილოური დიალექტის თავისებურ., გვ. 45.

არის შემთხვევა, როცა ს ა ნ ი მთლიანად იკარგვის: გვაქ, დევ  
ჰყავ, დგა...

ღ) ხიზაბავრისა და აფნიის მეტყველებაში ყ და კ თავკიდურიან  
ზმნებში ობიექტური მესამე პირის ნიშანი ასიმილაციის ძალით იქცევა  
ს ა ნ ა ლ<sup>1</sup>.

მაგალითები: „რამეებს ხ ყ ი დ დ ა“. „ზ ო გ ი მ ო ხ კ ლ ა“. „წადით, ი კ ა ც ი მ ო ხ კ ა ლ ი თ“. „დ ა ხ კ რ ა ყ ა მ ჩ ი“. „როგორ ხ კ ა დ რ ო ს ე ს“. „ქალიშვილი ხ ყ ო ლ ი ა თ და დ ა ხ კ ა რ გ ე ი ა თ“. „რალაც მ ო ხ ყ ყ ვ ა“. „ქალი შეირთო და მ ო ხ ყ ა მ ს“.

ობიექტური მესამე პირის ნიშანი ჰ მოუღის როგორც ბრუნვა-  
ლებადობიექტიან ზმნებს, ისე ბრუნვაუცვლელობიექტიანებს. პირის  
ნიშანი მოსალოდნელია და არის კიდევ: „ამ კ ა ც მ ა მ ო ჰ ჰ ა რ ა  
ეს თვალიცა“. „ამ ო ჰ კ რ ა კ უ და გააგდო“. „ა ჰ კ ი დ ა ტვირთი  
კამეჩს“. „დ ა ჰ კ რ ა მ ს მ უ შ ტ ს“. „ცაში დ ა ჰ ც ე ს კიყინი“.  
„ამ ო ს თ ხ ა რ ა თვალები“...

პ ი რ ი ს ნიშანი, როგორც ბრუნვა-ცვალეზადი ობიექტისა, არ  
უნდა იყოს და არის. ეს გარემოება გამოწვეულია ბრუნვაუცვლელი  
ობიექტის ანალოგიით, რომელსაც თითქმის ყოველთვის აქვს პირის  
ნიშანი. მაგალითები: „დ ა ჰ დ ე ნ და ბირობაჰ“. „დ ა ჰ კ რ ე ს  
ზარები“. „დ ა ჰ კ ი დ ე ს ბუხარში“. „მ ო ჰ გ ლ ი ჯ ა ბ ა ლ ა ხ ი“. „მ ო ჰ კ რ ი ფ ო თ ხ ა ლ ხ ი“. „მ ო ჰ კ ლ ე ს კაცი“. „დ ა ჰ -  
კ ა რ გ ა ც ხ ე ნ ი“. „შ ე ჰ ყ ა რ ა დელიბაშები“...

ჰ ა ე და ს ა ნ ი ხშირად მოუღის ერთპირიან ზმნებს: მაგალითე-  
ბი: სგას, გაჰყდა, ცეცხლი გაჰქრა. რას ვსტირვიარ (ისტორიულად  
აქ მოსალოდნელია). „აუადმყოფი ა ღ ს დ გ ა“. „ძიენ მ ი ვ ჰ კ ე -  
დ ი“. ჰ ა ჯ ი წ ა მ ო ჰ წ ყ დ ა<sup>2</sup>... მოტანილი მაგალითები გვიჩვენებს,  
ჰ ა ე-ს ხმარება ანალოგიას სცილდება და ნებისმიერია, რადგან იხმა-  
რება მეორე სერიის ფორმებშიც კი, სადაც ბრუნვა-ცვალეზადი ობიექ-  
ტი სახელობით ბრუნვაში დგას.

<sup>1</sup> მსგავსი შემთხვევები ჩვეულებრივია თუშურისათვის: იხ. ა. შ ა ნ ი ძ ე, S<sub>2</sub> და O<sub>2</sub> პირის პრეფიქსები ქართულ ზმნებში, 1920, გვ. 159—160. გვაქვს მესხურ-  
ში: შ. ძ ი ძ ი გ ე რ ი, მესხური დიალექტი, ძიებანი..., გვ. 139. ქართლურში:  
გ რ. ი მ ნ ა ი შ ე რ ლ ი, ქართლური დიალექტი, გვ. 180. აჭარულში: შ. ნ ი ე ა -  
რ ო ს ო ვ ი და გ რ. ი მ ნ ა ი შ ე ი ლ ი, ქართ. ენის კახური დიალექტი, გვ. 46.

<sup>2</sup> შდრ. ქართლური, გ რ. ი მ ნ ა ი შ ე ი ლ ი, ქართლური დიალექტი, გვ.  
219; კახური; ა. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი, გ რ. ი მ ნ ა ი შ ე ი ლ ი, ქართ. ენის კა-  
ხური დიალექტი. გვ. 107.

ქართლურისა და მესხურისაგან განსხვავებით ჯავახურში არ იხმარება **მს** და **მ** პირის ნიშნად (არც სხვა შემთხვევაში). მართალია, ქართლურს არ გააჩნია „**მი დ ი ხ ო დ ი**“ და „**ჩ ა ხ ვ ა რ დ ე ბ ი**“ ფორმები, მაგრამ ვ. თ ო ფ უ რ ი ა ს „მიდიხორდი“ ზმნა გომართეში — ჯავახეთის მოსაზღვრე ქართლურში დადასტურებული აქვს<sup>1</sup>.

**25. ზმნისწინი.** ფონეტიკური მიზეზების შედეგად გამოწვეული ცვლილებები ზმნისწინებში განხილულია ფონეტიკურ ნაწილში ასიმილაცია-დისიმილაციის პროცესთან დაკავშირებით.

**მო-**და **მო-ს** შემცველი რთული ზმნისწინები პირველ ობიექტურ პირთან ხშირ შემთხვევაში წარმოდგენილია **მა-**, **შემა-**, **გაღმა-**, **ჩამა-**, **წამა-**, **გამა-**ს სახით.

მაგალითები: **მამეცი**, **მამეგო**, **ამამაცალეს**, **გადმომიტანა**, **შემა-****მიარე**, **ჩამომიტანე**, **ჩამომალვა**, **წამამილე...** ამ მაგალითებში არც ასიმილაცია უნდა იყოს და არც ანალოგია. იგი პირთა ცვლითაა გამოწვეული, რადგან II, III პირში და არც სუბიექტურ პირთან ამ სახით ეს ზმნები არ გვხვდება.

მაგალითად, ჯავახურისათვის უცხოა ქართლურისა და კახურისათვის დამახასიათებელი ფორმები: **მაილაპარაკეს**, **მაერია**, **მააქერ**, **ამაილე**, **ჩამაიარა**, **ჩამაართვა** და სხვა.

**გ ა რ დ ა** — რთული ზმნისწინი არა მარტო **რ-ს** კარგავს, არამედ ხშირად ჩამოკვეცილი აქვს **ა-ც**: „**პირში გ ა დ ი გ დ ო**“, „**ძლიე გ ა დ ი ყ ვ ა ნ ა**“, „**გ ა დ ვ ი დ ა ლ ო ბ ე ზ ე**“, „**გ ა დ უ ლ ო ბ ა გ ზ ა**“, „**ჯ ო ხ ი გ ა დ უ ლ ო**“.

**26. თემის ნიშნები.** ჯავახურისათვის დამახასიათებელ ზმნის ყველა თავისებურებათაგან თემის ნიშნების მონაცვლეობა უფრო საყურადღებოა. ამიტომ ამ საკითხს უფრო დაწვრილებით განვიხილავთ. თემის ნიშნათა მონაცვლეობა იმდენად თავისებური და თავისუფალია ჯავახურში, რომ ამ პროცესისათვის რაიმე კანონზომიერების გამოძებნა ქირს.

სხვა ქართული კილოებიდან ანალოგიური მდგომარეობაა მესხურში<sup>2</sup>, ქართლურსა<sup>3</sup> (უფრო მეტად გომარულ კილოკავში<sup>4</sup>) და კახურში<sup>5</sup>.

<sup>1</sup> ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ზმნის ზოგიერთი თავისებურებანი გომარულში, „ჩვენა მეცნიერება“, № 2, 1924. გვ. 179.

<sup>2</sup> შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, მესხური დიალექტი, ძეხანი..., გვ. 139—143.

<sup>3</sup> ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ქართლური, გვ. 141—143. გრ. ი მ ნ ა ი შ ე ი ლ ი, ქართლური დიალექტი, გვ. 204—207.

<sup>4</sup> ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ზმნის ზოგიერთი თავისებურებანი გომარულში, გვ. 90—93.

<sup>5</sup> ა. მ ა რ ტ ო რ ო ს ო ვ ი, გრ. ი მ ნ ა ი შ ე ი ლ ი, ქართ. ენის კახური დიალექტი, გვ. 86—89.

ჯერ განვიხილოთ მაგალითები და შემდეგ შევეხოთ მონაცვლო-  
ბის არესა და გამომწვევ მიზეზებს.

პირველ სერიაში მონაცვლობენ ყოველთვის შემდეგი თემის  
ნიშნები: — ავ სუფიქსის ნაცვლად გვაქვს — აშ: მაგალითები: ჰფა-  
რამს, მყამს, ხნამ, ჩაიხედამ, მალამს, მოგვლამ, მოჰპარამ, უჭირამს,  
ხოცამდა, გავრეკამ...

-აშ სუფიქსი (←აე) გვევლინება — ეშ-ად უწყვეტელსა და კავ-  
შირებითში. მაგალითები: ნახემდა, დაეპკრემდი, მოჰპარემდეს, ხნემ-  
დით, ვთესემდით, ბარემდი, ჰკითხემდა, ვლევწემდით...

-ევ ტიპი, რომელიც ჭავახურში -ემ-ს შეუცვლია, „ვეფხისტყაო-  
სანში“ რუსთველისათვის ჩვეულებრივი ფორმაა ნამყო უსრულში.  
თუმცა ა-ს მაგიერ ზოგჯერ ი-ს ირთავს ვინი: მაგალითად, „მას თინა-  
თინის შვენება კ ლ ე ვ დ ი ს წამწამთა ჯარისა“. 344. „მე ვ კ ი თ-  
ხ ე ვ დ ი, ფრიდონ მეტყვის მართ ამბავსა ესოდენსა“. 586. „ვერას  
ვ ხ ე დ ე ვ დ ი, ოდენ ხმა მესმოდა საუბარისა“. 312. ჭავახურში აღ-  
ნიშნული ზმნები -ევ თემისნიშნით იქნებოდა ასე: კ ლ ე მ დ ა  
ხოლომე, ვ კ ი თ ხ ე მ დ ი, ვერაფერს ვ ხ ე დ ე მ დ ი.

ჭავახური -ემ თემისნიშნისანი ფორმები „ვეფხისტყაოსნის“ -ევ  
ბოლოსართიანი ზმნებია. ზუსტად მსგავსი ვითარებაა მესხურში<sup>1</sup>, -ემ  
ზმნის თემის ნიშნად გვხვდება ქართლურში<sup>2</sup>, ზემოიმერულში<sup>3</sup>, აქა-  
რულში<sup>4</sup> და კახურში<sup>5</sup>, ხოლო -ევ ტიპის ნამყო უწყვეტლის წარმო-  
ება დასტურდება ხევსურულში<sup>6</sup>, მთარაქულსა<sup>7</sup> და ფერეიდნულში<sup>8</sup>.

-ემ-ს თითქმის მუდამ ენაცვლება -აშ. მაგალითები: ვილაპარაკამ,  
დავტრიალამ, ათამაშამს, დავკილამ, გავაქვავამს, დაიხრუტუნამს,  
ითამაშამს, დაგაყენამ..., მაგრამ პროცესი იმაზე არ ჩერდება. -ამ უწყ-  
ვეტელსა და კავშირებითში, მსგავსად -ამ თემისნიშნისანებისა, იქცევა  
-ემად. მაგალითები: ვაგემემდი, მატყვილემდა, გაიგემდი, აღამემდა,  
ინანემდა, გავწვალემდეს, ძლემდა, ვაკეთემდი...

<sup>1</sup> შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, მესხური დიალექტი, ძიებანი..., გვ. 140—141.

<sup>2</sup> ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ქართლური, გვ. 142; გ რ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ქართ-  
ლური დიალექტი, გვ. 205.

<sup>3</sup> ქ. ძ ო წ ე ნ ი ძ ე, ზემოიმერული კილოკავი, გვ. 261—268.

<sup>4</sup> შ. ნ ი ე ა რ ა ძ ე, ზემოქართლის თავისებურებანი, გვ. 48.

<sup>5</sup> ა. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი, გ რ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ქართული ენის კახური  
დიალექტი, გვ. 87.

<sup>6</sup> ბ. გ ა ბ უ უ რ ი, ხევსურული მასალები, გვ. 170.

<sup>7</sup> შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, რაჭული დიალექტი, ძიებანი..., გვ. 196.

<sup>8</sup> ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ფერეიდნულის ძირითადი თავისებურებანი, გვ. 211.

მორფოლოგიური მონაცვლეობის შემდეგ (ე ბ → ა მ, ა მ → ე მ)<sup>1</sup> ხდება ფონეტიკური მონაცვლეობა (ა მ → ა ნ, ე მ → ე ნ), ე. ი. მ ა ნ ს ენაცვლება ნ ა რ ი (შდრ. გოგონ, ხენწიფენ...) და ვიღებთ შემდეგ ფორმებს: ე ბ → ა მ → ა ნ: გააკეთანს, შევიშვანს, აბრიალანთ, დაიკივლანს, აგიკიდან, გატარან, ატირანს, ასალან... ე ბ → ე მ → ე ნ: შესძლენს, გაიგენს, დაიგენდა, ავიღენთ, ვაპატიენდი, კანკალენს, გატყვილენს, აბრიალენდა...

მსგავსი პროცესი მეორდება -ავ ბოლოსართის მიმართ და ვიღებთ ასეთ გრადაციას: ა ვ → ა მ → ა ნ: ხრანს, ჰვანს, ვიზანთ, შეირთანდა, ხედან, გძინანს, შეინახანს, დაეკეტანდი, სწირანდა, ხნანს... ა ვ → ე მ → ე ნ: გვარტყენდა, გავრეკენდი, ვკლენდით, დაჰფარენდა, ტეხენდით, წიკითხენდა, ხოცენდნენ...

ფონეტიკური მონაცვლეობა -მ ა ნ ი ს ნ ა რ ი თ შეცვლა თემის ნიშნებში ნაწილობრივ მესხურსაც ახასიათებს<sup>2</sup>, ქართლურსა და კახურში. ზემოიშვარულსა და რაჭულში არ დასტურდება.

ო ბ → ო მ: კოქლომს, ბუსხუნომდი, აფრთხომდით, ვახჩომ, ამომს (ლაპარაკომ), ლოცულომდნენ, დავიწყომ, ვაქრომდი, ვაპომდი...

მსგავსად -ავ, -ეზ თემის ნიშანთა მონაცვლეობისა, პროცესი გრძელდება ფონეტიკური მონაცვლეობით. მ ა ნ ი ს ადგილს ნ ა რ ი იკავებს: |ო ბ → ო მ → ო ნ; ამონ, ვმუშაონდი, მოძრაონს, ვაქრონდა, შიამკონს, ქეიფონდა, ლებულონდა.

ე რ თ ფ ო რ მ ი ა ნ ო ბ ი ს ა კ ე ნ ს წ რ ა ფ ვ ა ძ ი რ ი თ ა დ ი ბ ი ძ გ ი ს მ ი მ ც ე მ ი ა თ ე მ ი ს ნ ი შ ა ნ თ ა მ ო ნ ა ც ე ლ ე ო ბ ი ს ა. ამას ადასტურებს ისიც, რომ ტენდენციაა — -ოზ სუფიქსი შეიცვალოს -ეზით და შემდეგ -ე მ, -ე ნ-ით: ო ბ → ე ბ → ე მ → ე ნ; ვათბემ//ვათბებ//ვათბენ, შიატყემდეს//შიატყენდეს, აშრებდი//აშრემდი//აშრენდი, იცნებდა//იცნენდა, შიამკებდა//შიამკემდა//შიამკენდა...

დასაწყისში ჩვენ აღვნიშნეთ, რომ თემის ნიშნების მონაცვლეობა ჭავჭავურში ნებისმიერიაო. მიუხედავად ამისა, ამ პროცესს აქვს თავისი ერთგვარი კანონზომიერება, რის საფუძველზეც შეიძლება დადგინდეს ზოგადი წესი. ამ წესს აქვს თავისი გამონაკლისებიც.

<sup>1</sup> -ეზ, -ოზ იცვლება -ამ, -ემ-ად, მაგრამ ჭავჭავურისა და მესხურის გარდა არცერთ დიალექტში ან -ენ ვარიანტები არ დასტურდება.

<sup>2</sup> შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, მესხური დიალექტი, ძიებანი... გვ. 140, 141.

თემის ნიშანთა მონაცვლეობის ზოგადი წესი ასეთია:

1. მონაცვლეობენ მხოლოდ მოქმედებითი და საშუალო გვარის ზმნების თემის ნიშნები.

2. -ავ, -ებ, -ობ სუფიქსები იცვლება -ამ//ან, -ემ//ენ, -ომ//ონ ბოლოსართებით: ა) -ავ და -ებ ბოლოსართების მონაცვლე -ამ//ან იხმარება აწმყოსა და მომავლის მწკრივებში.

შენიშვნა: -ავ სუფიქსის შემცველი -ამ//ან ზოგჯერ გადასდევს უწყვეტელსა და კავშირებითში, მაგრამ ასეთი მაგალითები მცირეა.

ბ) -ემ//ენ იხმარება უწყვეტლისა და მისგან ნაწარმოებ მწკრივებში.

შენიშვნა: -ებ ბოლოსართის შემცველი -ემ//ენ იხმარება აწმყოსა და მომავლის ფორმებში, თუ ზმნის ფუძე ერთმარცვლიანია (ვაქემ//ვაქენ); ვაკლებ//ვაკლენ, იგემ//იგენს და არა: ვაქამ//ვაქან, ვაკლამ//ვაკლან (გამოკლების გაგებით).

გ) -ობ სუფიქსი აწმყოსა და მომავლის ფორმებში იცვლება -ომ//ონ ბოლოსართებით მაგრამ უწყვეტელსა და მისგან ნაწარმოებ-მწკრივებში არის პარალელური ფორმები -ემ//ენ ბოლოსართებით ვაქემდო//ვაქენდი ტიპის ზმნებისა, რომელთაც II კავშირებითი ო-თი აქვთ ნაწარმოები (ვაქრობ-გავაქრო...).

3. „თუ ზმნა ნამყო სრულში ა-ზეა დაბოლოებული (კერა, აკოცა, აჩვენა...), მაშინ -ე ბის რეფლექსი -ამ (//ან) იქნება, ო-ზეა დაბოლოებული (გააგლო, წაილო, გაიგო...), მაშინ -ემ არის“.

4. -ემ და -ენ-იანი ფორმებს უნდა გაეველოთ -ევ საფეხური, რომელიც თავს იჩენს -ავ თემისნიშნის ზმნების უწყვეტელსა და კავშირებითში (ვეკლევედი, ვთესევედი, ვკვლევედე, ვთესევედე...).

შენიშვნა: ეს საკითხი რომ უტყუარია, ამას მოწმობს კანტიკუნტად დადასტურებული მაგალითები -ევ თემის ნიშნისანი ფორმებისა: „-გავაკეთემდი, შვილო, საპონს და ხეალე და გირეცხევი დი“.<sup>2</sup>

გარდა ზემოთ აღნიშნული მონაცვლეობისა, ხშირად არა, მაგრამ

<sup>1</sup> ასეთივე მდგომარეობაა ქართულში (გომარულ კილოკავში) მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ იქ -ემ-ის კვერდით -ენ არ არის. იხ. ვ. თოფურიძე, ზმნის ზოგიერთი თავისებურებანი გომარულში, გვ. 93.

<sup>2</sup> იხ. ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურიძე, ი. ქავთარაძე ქართული დიალექტოლოგია, გვ. 342.

იშვიათად მონაცვლეობენ: ე ბ → ე ვ: ებნევა (←ეუბნება); ო ვ →  
→ ო მ → ო ნ: მანსომს//მანსონს, მანსომლი//მანსონლი... ა ვ → ე ბ:  
მიხედებენ, ართებენ, ნახებენ, გამისაზღვრებიან...

ა მ → ე ბ: სეებენ, ასხებენ, აბებენ, წაუსეებს... ე ბ → ო ბ →  
→ ო მ → ო ნ: წაილომს, ანთობენ, დაიწყებს//დაიწყობს//დაიწყონდი, ერგობოდა, გამავგობინე, მოსწრობია ... ა ვ - ო ბ - ო მ: შევირთობ//შევირთობ, მოვრწყობ//მოვრწყობ... ო ბ → ა მ: უამბამს (-უამბობს). ე ბ → ი: ვაბრი, აფრი<sup>1</sup>, მიჯერის<sup>2</sup>, გვაბრალიდნენ, აგინი, იფიქრი, უკლიდა... ა ვ → ი: ვსლი (-ვსალავ. ვერევი „იმ ვედრას ახლავ ძლი“), ხ ნ ი ღ ა („კაცი ყანას ხ ნ ი ღ ა“), ხ ნ ი ა ნ („ბებერი ხარის რქანიც კი ხ ნ ი ა ნ“), ხნის („ის კ ა ც ი ყანას ხ ნ ის“). ი → ა მ: ითსუპნამს, იპოვნამ, დაუწყევლამს... ი → ა ნ: ზარდანს, ზარდენდა, გაზარდანს, უშველანს... ე ბ → ა მ → ა ნ: ვაგვრიამ (-ვაგვროვებ)<sup>3</sup>, აწვიანს, აძვიანს... ე ბ → ე მ → ე ნ: ვაგვრიენდით (←ვაგვროვებდით), ვათხვიენდით, აქვსიენდა (←აქსოვებდა)...

ხშირად უთემისნიშნო ზმნები თემის ნიშნებს ირთავენ<sup>4</sup> და ეს დართული ბოლოსართიც იცვლება. მაგალითები: მოიყვანებენ, მუუტანებენ დაიწერემდი, ჰყიდებენ, არჩინამს, ყეფანს, მკვრეტამ, გამოუტანამს, ჯერამს, წაეყვანამ, გვეყვამდება (-გვეყოლება)<sup>5</sup>, გაჰყიდამს...

ფუძეღრეკად ზმნებს თემის ნიშანთა მიხედვით წარმოების ხუთი სახეობა აქვთ. სანიშნოდ მოვიტანო ერთ ზმნას: გლეჯენ → გლიჯებენ//გლეჯამენ//გლიჯამენ//გლეჯავენ//გლიჯავენ. მსგავსად იუღლებიან ეღეტა, წყვეტა, კენეტა, ფრენა, ღრენა...

არის შემთხვევებიც, როცა თემის ნიშანი უნდა ჰქონდეს და არა აქვს: შეყვარია, რქმია, ინახდა, ვემხვრით, ანსულა, დეეკაენა, მოგათხოვ, დაგტოვ, ხნადა, ტენდნენ.

<sup>1</sup> III სერიაშიც გადაყველა ი და გვაქვს: ჩაუბრია, დაუფრია, დაუბრია...

<sup>2</sup> „ი ჯ რ ის“ ფორმა ი თემის ნიშნით იხმარება I სერიის ყველა მწკრივსა და ყველა პირში (მიჯერის, მიჯერიდა, მიჯერიდეს, დამიჯერის, დამიჯერიდა..)

<sup>3</sup> ოვე // ოვა კომპლექსთა გამარტივება ფონეტიკაში (ბგერათმონაცვლეობაში) არის განხილული (ვაგროვებ → ვაგრუვებ → ვაგრუებ → ვაგროვებ → ვაგრიებ).

<sup>4</sup> შღრ. ქართლური, გრ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ღ ი, ქართლური დიალექტი, გვ. 205—207. ასევე კახური. ა. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი, გრ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ღ ი, ქართული ენის კახური დიალექტი, გვ. 88—84.

<sup>5</sup> „გ ვ ყ ა მ დ ე ბ ა“ ფორმის ხმარებისას აღსანიშნავია ფუძის მონაცვლეობაც. ყოლა ზმნის მომავლის მწკრივი ნაწარმოებია უწყვეტლის ფორმიდან „გ ვ ყ ა მ დ“, უნდა ყოფილიყო „ყ ო ლ“ ძირი: გვეყოლება.

თემის ნიშანთა მონაცვლეობის განხილვის შემდეგ იბადება კითხვა: რით ავხსნათ ის გარემოება, რომ -ავ შეცვლილა -აშ// -ან ბოლოსართებით, ხოლო -ავ. -ებ თემის ნიშნების მაგივრობას ასრულებენ -ემ, -ენ სუფიქსები?

ვინის მანით შეცვლა ესაა მეტყველების ტენდენცია, ფონეტიკური პროცესია, რომელიც ამაზე არ ჩერდება და მაინც ნ ა რ ი თ იცვლება. ჯავახელთა მეტყველება ისწრაფვის წყვილბაგისმიერი მ ა ნ ი და კბილბაგისმიერი ვ ი ნ ი შეცვალოს ენაკბილისმიერი ნ ა რ ი თ.

ახლა, რამ გამოიწვია -ებ-ის -აშ// -ან ბოლოსართებით შეცვლა, ესეც ფონეტიკური პროცესი ხომ არაა? — არა! ამ შემთხვევაში მორფოლოგიური მონაცვლეობაა, რაც გამოწვეულია იმით, რომ „თვით ენის ტენდენციაა, ზოგიერთი თანაბარი მნიშვნელობის სხვადასხვა სუფიქსი ერთ ფორმში ჩამოაყალიბოს“<sup>1</sup>.

მეორე საინტერესო საკითხი თემის ნიშნების მონაცვლეობასთან დაკავშირებით არის პროცესის სადაურობის საკითხი.

თემის ნიშანთა ასეთი მონაცვლეობა უნდა იყოს საერთო ქართლური მოვლენა, რომელიც ყველაზე უკეთ ზემო და ქვემო ქართლშია დაცული. ხოლო შიდა ქართლმა ანალოგიით ან მეზობელი დიალექტების გავლენით — აშ სუფიქსით შეცვალა -ებ<sup>2</sup>. ე. ი. ეს პროცესი ქართლის ყველა დიალექტში ადგილობრივი ხასიათისაა, თუმცა თითოეულში მეტნაკლებადაა განვითარებული<sup>3</sup>. ყველაზე მცირეაა შიდა ქართლში, უფრო მეტადაა ქვემო ქართლში, ხოლო განვითარების უმაღლეს საფეხურზეა ზემო ქართლში — ჯავახეთსა და მესხეთში. ჯავახურსა და მესხურში -აშ// -ან და -ემ// -ენ ისევე პროდუქტიულია, როგორც სალიტერატურო ქართულსა და სხვა დიალექტებში -ებ სუფიქსი (მაგალითად, სახლი — ვასახლამ ← ვასახლებ, ზიკზაგი → ვაზიგზაგამ ← ვაზიგზაგებ, ასევე ვაზიგზაგემდი// ენდი, ვასახლემდი// ენდი...)<sup>4</sup>.

<sup>1</sup> ვ. თ. ფ. უ. რ. ი. ა, ზმნის ზოგ. თავისებურებანი გომარულში, გვ. 91.

<sup>2</sup> ვ. თ. ფ. უ. რ. ი. ა, ქართლური, გვ. 141, 142.

<sup>3</sup> შდრ. ვ. თ. ფ. უ. რ. ი. ა, ზმნის ზოგ. თავისებურებანი გომარულში, გვ. 90—93.

<sup>4</sup> შდრ. ო. ლ. მ. ს. ა. ძ. ე. ჯავახური მეტყველების თავისებურებანი, თსუ სტუდენტთა XIII სამეც. კონფ., თეზისები, თბილისი, 1951 გვ. 36—37. თ. უ. თ. უ. რ. გ. ა. ი. ძ. ე. მესხურ-ჯავახურის ფონეტიკურ-გრამატიკული მიმოხილვა: გორის სახელმწიფო პედ. ინსტიტუტის X სამეცნ. სესია, თეზისები, გორი, 1956, გვ. 35—36.



27. I სერიის ფორმები: ვიკითხავ, ვნახავ, ვილოცებ ზმნათა შესაბამისი აწმყოს ჯგუფის ვიკითხულობ, ვნახულობ, ვლოცულობ ფორმათა ანალოგიით მიმღობიანი ფორმები გაიკეთეს შემდეგმა ზმნებმა: ვპარულობ ← ვიპარავ, ვჩემულობ ← ვიჩემებ, ვნდომულობ ← ვინდომებ, ვკვეხულობ ← ვიკვეხი, ვმღერულობ ← ვმღერი... მსგავსი წარმოების ზოგი ფორმა სალიტერატურო ენაშიც შევიდა, მაგალითად, ვღებულობ — ვიღებ, ვგებულობ — ვიგებ...

სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ მედიოპასივის ფორმები ისწრაფვის წარმოების მხრივ გაუთანაბრდეს სტატიკურ ვნებითს<sup>1</sup>. ამ ტენდენციისაა ეს ფორმაც.

მაგალითები: „არონიც წინ მიძღვია (-მიმიძღვის)“. „ბავშვიც იქვე მიღვია (-მიღვას)“. „შენც ხომ გიღვია (-გიღვას) ჯამი?“ „რა გჯია“ (-რა გრჯის)? „უქერია სანთელი“ (-უჭირავს).

არის შემთხვევა, როცა ყოლა ზმნის მომავლის მწკრივის გვეყოლებას ენაცვლება ამავე ზმნის უწყვეტლის ფუძისაგან - ვბოლო სართით ნაწარმოები გვეყვანდება: „მოვკლათ უმფროსი შვილი, გვეყამდება ერთი შვილი დევთაგანი“.

ზოგჯერ I სერიის ფორმები ნაწარმოებია II სერიის ფუძიდან: „მერე დაუკმიანთ“ (-დავეუკმევთ). „თან ლამეს უთიამთ ჩვენ“ (-ვეუთევთ). „მერე ვთქვამ“ (-ვიტყვი).

ძველი ქართულის ნორმა უნდა იყოს უფლობა ზმნის ხმარება: „სოფ. თოკში მაჰშინ იყენენ ბატონები აბაშიძეები, რომლებსაც დიდი მიწა წყალი ეჭირათ და უფლომდენ“.

ქერ ძირი იხმარება I სერიის ფორმებში ჰარ ფორმით: „მოშქარი ხმლით თავი და წამოილე“, „გასქარ დანით, რაჰ უყურამ“.

„რბის“ ზმნა უწყვეტლისა და კავშირებითის მწკრივებში ინარჩუნებს ი-ს: „ეგ სადღაც დარბიოდა, რა ჩვენი საქმე“. „იეგრე მირბიოდა“. „ეგ რომ მირბიოდას, ჩვენი რა ბრალია“.

„შენ რაჰ მირბიოდ-მორბიოდი, ვინ დაგავალა“...  
დგომა, ყოლა, გვანება ზმნები აწმყოს მწკრივის ორივე რიცხვში ხმარობს ევ//-ის. შეგვეძლო გვეფიქრა: წევ-ს ფორმის

<sup>1</sup> ა. შანაძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 328, 329.

ანალოგიით გაჩნდაო,<sup>1</sup> მაგრამ დასაშვები და უფრო მისაღები ჩანს მეორე მოსაზრება, რომ სუფიქსისეულია<sup>2</sup>.

მაგალითები: „რ ა ჰ გ ე ე ხ ა რ, კ ა ც ო?“ „დედ-მამაჰ ერთი შეილი ვ ქ ე ე ა რ“. „რ ა ჰ ვ გ ე ე ა რ, ჩ ა ი ე ც ვ ა მ“. „საფრთხო-ბელებ ვ გ ე ე ა რ თ“; „მეძინება, კ ა ც ო, ფ ე ხ ზ ე ვ ე ლ ა რ ვ დ გ ე ე ა რ“. „შენც რა, კ ა ი რ ა მ ჰ ყ ე ე ხ ა რ“. „თელი დღე კოპერატიი კარზე დ გ ე ე ა რ თ“... გ ვ ა ნ ე ბ ა , დ გ ო მ ა და ყ ო ლ ა ამ სახით კახურსა და ქართლურშიც იხმარება.

შეგვხვედრია ასეთი ფორმებიც: ვ ჩ ე ე ა რ, ჩ ე ე ხ ა რ („შენ კარგად არ ჩ ე ე ხ ა რ, მე უფრო ვ ჩ ე ე ა რ“). აქაც ანალოგიაზე შეგვეძლო გვეფიქრა, მაგრამ აქ ვვ-ის ხმარებას აქვს ისტორიული საფუძველი (უფრო სწორედ ე-ს ხმარებას), რადგან საწყისი ამ ზმნისა არის გა მ ო ჩ ე ნ ა. უნდა ყოფილიყო ასეც: ვ ჩ ე ე ა რ, ჩ ე ნ ხ ა რ..

„ვ ი ც მ ე ვ“ ზმნის ანალოგიით -ევ სუფიქსი გასჩენია „ვ ი ს ვ ა მ“ ფორმას: „წამალ ვ ი ს მ ე ე ხ ო ლ მ ე“. „რას ი ს მ ე ე მაგ სახეზე“...

ასეთივე ანალოგიაა მ ო რ ტ ყ მ ა ფორმის ხმარებისას: „თავში მ ო ვ ა რ ტ ყ მ ე ე“, „შიგ თავში მ ო ა რ ტ ყ მ ე ე ს ხ ო ლ მ ე“...

უნდა ზ მ ნ ა მრავლობით რიცხვში გამოავლენს -ან სუფიქს<sup>3</sup> მ ი ნ დ ა ნ ა ნ, უ ნ დ ა ნ ა ნ. ასეთივეა ვ ა რ გ ა ნ ა ნ. მსგავსი ვითარებაა მესხურშიც.<sup>4</sup>

არაიშვიათად გვხვდება უნდა ზ მ ნ ის ასეთი ფორმებიც: მ ი ნ დ ე ვ ხ ა რ, გ ი ნ დ ე ვ ხ ა რ, გ ვ ი ნ დ ე ხ ა რ თ, უ ნ დ ე ვ ხ ა რ თ... ამ შემთხვევაში -ევ სუფიქსის ხმარების კვლავ ანალოგიასთან გვაქვს საქმე. ე ძ ა ხ ის ფორმის მაგიერ იხმარება სასხვისო ქცევის მოქმედებებითი გვარის ფორმები: „დედაშენი გ ი ძ ა ხ ის, ბიჭო“, მე ხ ო მ არ მ ი ძ ა ხ ი?“ „შენ გ ი ძ ა ხ ე, გ ი ძ ა ხ ე, ვერ გაგაგონე“. ეგვეე ზმნა უწყვეტლის ფორმაში დაირთავს -ოღ სუფიქსს.<sup>5</sup>

<sup>1</sup> ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საუძველბე, I, 1953, გვ. 541—542.

<sup>2</sup> ა. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ე ი, გ რ. ი მ ნ ა ი შ ე ი ლ ი, ქართული ენის კახური დიალექტი, გვ. 92.

<sup>3</sup> ამ ფორმებს კანონზომიერ შესატყუებად მეგრულში არის მ ი ნ ო ნ ა ნ, გ ი ნ ო ნ ა ნ, უ ნ ო ნ ა ნ. ქართული -ან და მეგრული -ონ თემის ნიშნები უნდა იყოს, იხ. არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ე ა, კანერის გრამატიკული ანალიზი, გვ. 148.

<sup>4</sup> შ. ძ ი ძ ი გ ე რ ი, დასახ. შრომა, გვ. 249.

<sup>5</sup> შდრ.კახური: ა. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ე ი, გ რ. ი მ ნ ა ი შ ე ი ლ ი, ქართული ენის კახური დიალექტი, გვ. 92.

„შენ გიძახოდნენ, ვერ გაიგონე“. „სულ დედას იძახოდან“. „მე ვიძახოდო, მიშველეთ!“ „იძახოდა და მოვივილა“...

აქებს ზმნის საშუალო გვარის ფორმა აწმყოს ჯგუფში ნაწარმოებია თევეზაობს ტიპის ზმნათა ანალოგიით: „ის ქაოსს“. (თავიქებს), „ადრეტ ქაომდი“. აქედან მიზღვობა ქევეალა (-მქევეარა. შდრ. მკვეხარა).

-ოდ სუფიქსი უწყვეტელისა და კავშირებითი I-ის ფორმებში დს ნაცვლად დართული აქვთ აგრეთვე: მიმაჩნოდო, უზმოდო. აკლოდო... ზმნათა ფორმებს.

მაგალითად, „ვერადფერ უზმოდით“. „რას უზმოდო, შენი ნათესავია“. „ჩემ მეგობრათ მიმაჩნოდო“. „ეგ კაიკაცათ მიმაჩნოდან“. „შენ გუშინ სამუშაოზე აკლოდი“. „ისიც აკლოდა“.

ყიდის ზმნას თემის ნიშანი ი გადაწყვება I სერიის სხვა მწკრივებშიც: ვყიდოდი, ვყიდოდე, ჰყიდოდი, ჰყიდოდნენ, გავყიდოდი, გავყიდოდე, გაჰყიდოდნენ... -ოდ სუფიქსი მაწარმოებელია უწყვეტელისა და მისგან ნაწარმოები მწკრივებისა.

ამ ფორმით ყიდის ზმნა იხმარება კახურში<sup>1</sup>. საგულისხმოა ის გარემოება, რომ ყიდი ზმნის უწყვეტელის ფორმა ძველ ქართულშიც ყიდდა იყო.

„ბმა ზმნა. იხმარება მბა-ს სახით ყველა სერიასა და მწკრივში. „გუთანში გვიმბია ექესულელა ხარი“. „ეგ ხარები, რო გვიმბოდა, ვერ მოვიტანდით“. „ცხვართან ისეთი დიდრონი ძაღლები უმბიათ...“ მხოლოდ მეტათესიზით რომ ავხსნათ (მანის გადასმით) აღნიშნული ფორმები, მაშინ შეუუმბიათ, შეამბეს, შეამბან... როგორ უნდა ავხსნათ? ვგონებ აქაც შევანბევინე (-შევანბევინე) ფორმის გავლენა უნდა იყოს“.

ჯავახურში გვხვდება ერთი გაქვევებული საინტერესო ფორმა დგას ზმნისა უკუდგა. თუ ამ სიტყვას გავიგებთ ასე: უკუდგა (-უკან დადგა), მაშინ მას ქვემდებარე უნდა შეეწყოს სახელობითში „ქათამი უკუდგა“. მაგრამ უკუდგა ფორმას ქვემდებარე შეეწყო-

<sup>1</sup> შდრ. ზემოთმეორული გააჩნოდათ: იხ. ქ. ძოწენიძე, ზემო-მეორული კილოკავი, თბილისი, 1973, გვ. 66.

<sup>2</sup> ა. მარტიროსოვი, გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი გვ 93.

ბა მოთხრობითში „ქათამმა უკუღგა“, რომ იტყვიან დიასახლი-  
სები, ეს იმას ნიშნავს, რომ დაიწყო კვერცხის დება და უცბად შეწყ-  
ვიტა, მაგრამ, თუ ვივარაუდებთ, რომ არის დამოუკიდებელი ფორმა  
ზმნისა კუღგება, რომელიც კვერცხის დადების შეწყვეტას  
აღნიშნავს, მაშინ კუღგება ზმნა ასეთივე იქნება, როგორც  
დაღება. „დადო ქათამმა ჯერ კვერცხი და მერე უკუღგა“.

დონიანი ვნებითის გვექირდებას ენაცვლება ენი-  
ნი ფორმა გვექირება: „რაზედ გვექირება ამდელი  
შვილდისარი?“ „რძალ რაც ექირებოდა (-სქირდებოდა),  
მისცეს“...

28. II სერიის ფორმები. -ვი (←-ევი) მარცვალი, რომელიც სხვა  
კილოებშიც დაერთვის ე-ზე დაბოლოებულ ზმნებს ნამყო წყვეტილის  
პირველსა და მეორე პირში, ჯავახურშიც<sup>1</sup> საკმაოდაა: ვნახევი,  
გაყიდევი, ჩავაბარევი, დაწერევი, გააკეთევი, ვთხოვევი,  
გაიგევი, მაჭამევი. ვიშოვნევი, ვიცხოვრევი, იყიდევი, დაიყვი-  
რევი...

ყოფაქცევა, ქცევა, საქციელი ამ ფორმებში თა-  
ნამედროვე ქართულში უკვე ისე მკვეთრად არი ჩანს სიტყვა ქცე-  
ვის (ბრუნების, ტრიალის) მნიშვნელობა. აგრეთვე ერთი ქცევა  
მიწა რომ იტყვის გლეხი, არვინ გულისხმობს ერთი დღის განმავლო-  
ბაში გადასაბრუნებელ (მოსახენელ) მიწას, უბრალოდ, ერთ დღიურს,  
ერთ დღეში დასამუშაებელ მამულზე მიგვითითებენ, მაგრამ აქაც  
ჩანს ბრუნება.

ჯავახურში ერთ გამოთქმაში იხმარება ქცევა ძველი ქართულის  
გაგებით, როცა იტყვის დიასახლისი: „ქათამი კვერცხზე მოიქცა“  
ნიშნავს ქათამი დაუბრუნდა კვერცხის დადებას.

-ე და ზოგჯერ -ევი-ი სუფიქსი ერთვის წყვეტილის ფორმას (ვექენი,  
ქენი) ნაცვლად ბოლოსართისა ასეთ გამოთქმებში: „რა ქენე(ვი),  
ბიჭო?“ „ვერაფერ გავაწყე, ვერაფერი ვქენე“. „ეგ რა ქენე,  
შე კაი კაცო?“

მსგავსი ფორმით იხმარება მეორე ზმნა გაყოფა. I და II პირში  
წყვეტილში გავყავი და გაყავი ფორმების ნაცვლად ორივე

<sup>1</sup> ო. ლომსაძე, ჯავახური მეტყველების თავისებურებანი, გვ. 36—37,  
თ. უთურგაიძე, მესხურ-ჯავახურის ფონეტიკურ გრამატიკული მიმოხილვა;  
გვ. 35—36, ვ. ინასარიძე, მორფოლოგიური მოვლენები მესხურ-ჯავახურში;  
გორის სახელმწ. პედ. ინსტიტუტის სტუდენტთა IX სამეცნ. კონფერენცია, თეზისები,  
გორი, 1956, გვ. 41—42.

რიცხვში ასე გამოითქმის: „ვერ გ ა ყ ე (ვერ გაყავი)“. „გ ა ქ ე, შვი-  
ლო, ერთათ არ ქამო“. „მამულაც გ ა ვ ყ ე ვ ი თ, როცა გავიყარე-  
ნით“. „მე ეგრე გ ა ვ ყ ე“... .

საპირისპირო კვალს მისდევს და ა ა რ თ ი ფორმაც. მეორე სე-  
რიის წყვეტილის პირველი და მეორე პირის ფორმები ასე იწარმოება:  
დავართი, დაართი, დაართა, დავართით, დაართით, დაართეს, ნაცვლად  
იმისა, რომ ე ჰქონდეს, დაირთავს ი-ს.

-ევ-ი სუფიქსი საერთო ქართლური მოვლენაა, რომელიც ძირითა-  
დად დადასტურებულია ქართლურში, კახურში, მესხურში, მთა-რა-  
ჭულში, იმერხეულში, აჭარულსა და ზემოიმერულში<sup>1</sup> (იხ. ამ დია-  
ლექტებზე არსებული დასახელებული ლიტერატურა).

ჯავახურში -ევ-ი გვხვდება კოთელიისა და ბარალეთის მეტყველე-  
ბაში, იხმარება ხიზაბაფრასა და ვარგავეში, სხვა სოფლებში ძალიან  
იშვიათად ხმარობენ.

ყველაზე მეტად -ევ-ი ახასიათებს ქართლურს (ზოგან ქართლში ვ  
დაკარგულა და ე-ი იხმარება, მაგალითად: ვისწავლევი, მაიტანეთი...)   
და მთა-რაჭულს. ქართლურიდან კი შესულა ჯავახურსა და მესხურში,  
ხოლო მესხურიდან გადასულა აჭარულ-იმერხეულში<sup>2</sup>; ქართლური-  
დანვეა შესული ზემოიმერულში<sup>3</sup>.

-ევ-ი სუფიქსის ირგვლივ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს  
რამდენიმე მოსაზრება. ამ სუფიქსის შესახებ არსებობს სპეციალური  
შრომები<sup>4</sup>, რომლის მიხედვით -ევ (დავხატევი), წარმოადგენს აორისტის  
უძველეს სუფიქსს, ხოლო თანამედროვე ნამყო წყვეტილის ე, რომე-  
ლიც მოქმედებითი გვარის ზმნებს გააჩნიათ, მისგან მომდინარეობს,

ი უფუნქციო ელემენტია, რომელიც ანალოგიით გაჩნდა<sup>5</sup>.

მეორე მოსაზრებით უარყოფილია პირველი შეხედულება, -ევ  
სუფიქსისეული ე მიჩნეულია უწყვეტლის, წყვეტილის, თურმეობითი  
პირველისა და თურმეობითი მეორის საერთო ბოლოსართად (იტყოდე,

<sup>1</sup> ქ. ძო წ ე ნ ი ძ ე, ზემოიმერული კილოკაი, გვ. 63; პ. ჯ ა ჯ ა ნ ი ძ ე, ვა-  
ხანურას ხეობის მცხოვრებთა მეტყველების თავისებურებანი: ქუთაისის სახელმწიფო  
პედაგ. ინსტიტუტის შრომები ტ. VIII, 1948, გვ. 73

<sup>2</sup> შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, მესხური დიალექტი, გვ. 142.

<sup>3</sup> ქ. ძო წ ე ნ ი ძ ე, ზემოიმერული კილოკაი, გვ. 106.

<sup>4</sup> გ. რ ო გ ა ვ ა, აორისტისა და კავშირებითი მეორის ზოგ აფიქსთა გენეზი-  
სათვის -ევ სუფიქსთან დაკავშირებით ქართულსა და მეგრულში: საქართველოს  
სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. VI, №8, 1945, გვ. 647—655.

<sup>5</sup> ბ ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, კანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 137.

დაწერე, დაუწერე: დაეწერე), ხოლო ვი ელემენტის დართვა „დაეწერე, გაეყვი, დავდევი“ ზმნების ანალოგიითაა ასსნილი<sup>1</sup>.

მესამე შეხედულება პირველ ორს გამორიცხავს და -ეგ სუფიქსს ი ბ ე ბ ა ტიპის ზმნათა თავდაპირველ ბოლოსართად აღიარებს, ხოლო ამ საფუძველზე სათანა დო მოქმედებითი გვარის ზმნებმაც შეიძინეს<sup>2</sup>.

წყვეტილსა და კავშირებითში გამოჩნდება -ენ//ნ ფორმანტი ი- და ე-თავსართიანი ვნებითი გვარის ზმნებში.

მაგალითები, მიემზადენით; გიერეკენით, დეგვესმარენით, გაღვიბეწენით, წაიკიდენით, ეჩხუნენ, ავიშალენით.

როგორც ძველ ქართულში იყო, ნ ა რ ს მოჰყვება კავშირებითი მეორის მწარმოებელი ე: „მე და შენ; წ ა ვ ი კ ი დ ნ ე თ“<sup>3</sup>; „ახლნა გ ა ვ ი ყ ა რ ე ნ ი თ“, „ორივე ნ ა დ ა ვ ი მ ა ლ ნ ე თ“. „თქვენცნა ე ც ა დ ნ ე თ“.

-ენ//ნ სუფიქსი გვხვდება სხვა აღმოსავლურ კილოებშიც, დასავლურ კილოებს ნაკლებად მოეპოვებათ.

ერთი შეხედულებით ეს -ენ//ნ უნდა იყოს სუბიექტის მრავლობითი რიცხვის ნიშანი სამივე პირში<sup>3</sup>, მეორე მოსაზრება ამ სუფიქსს უკავშირებს ძველ ქართულში მოქმედებითი გვარის ზმნებში ნ ა რ ი ა ნ ი დამატების აღმნიშვნელ ნიშანს<sup>4</sup>.

როგორც ჯავახურში, ასევე ქართლურში<sup>5</sup>, კახურში<sup>6</sup> და სხვა აღმოსავლურ კილოებში კავშირებითი მეორის მწარმოებელი ე ო-ს ნაცვლად,

<sup>1</sup> ვ. თ ო ფ უ რ ი ა. მწიროვის ზოგიერთი საკითხისათვის ქართულში: თსუ, საქეტ.სესია, თეზისები, თბილისი, 1954, გვ. 126, იხ. მისივე, ნამყოს სახეობათა საერთო ნიშნისათვის ქართულში, იკვ, ტ. VII, თბილისი, 1955, გვ. 459.

<sup>2</sup> ა. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, ქართულის თავისებურებანი (კასპის რაიონში შეკრებილი მასალის მიხედვით): თსუ სტუდენტ. სამეცნ. შრომების კრებულში, № 7, თბილისი, 1955, გვ. 276—277.

<sup>3</sup> ვ. თ ო ფ უ რ ი ა. ენის განვითარების შინაგან კანონთა ერთი ნიმუში ქართულში. იბერიულ-კავკასური ენათმეცნიერება, ტ. V, 1953, 524.

<sup>4</sup> ა. შ ა ნ ი ძ ე, S<sub>2</sub> და O<sub>2</sub> ქართულ ზმნებში, თბილისი, 1920, გვ. 12 შნ. 1.; მისივე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 458—459.

<sup>5</sup> ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ქართლური, გვ. 143. გ რ. ' ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ქართლური დიალექტი, გვ. 213.

<sup>6</sup> ა. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი, გ რ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ქართული ენის კახური დიალექტი, გვ. 95, 96.

რომელიც ზოგჯერ გვევლინება, მიჩნეულია ძველი ქართულის გადმონაშთად<sup>1</sup>.

თუ-ნ ზმნის საწყისშია, მაშინ პირიან ფორმებშიც გადაჰყვება“ „ზევრი უძოვნია მაგ ხარ“. „სუ მ ო უ წ ო ე ნ ი ა იემ ხბოჰ“. „ვე-რადერი უ შ ო ე ნ ი ა“. „ვერც შენ იპოვნე?“ „რაჰ ი პ ო ე ნ ი დ ა, არ უძებნია“. „ჩემთვინ არადერი უ თ ხ ო ე ნ ი ა“...

ი ყ ვ ე ს (-იყოს) კავშირებითი მეორის ფორმა ზოგჯერ მომავლის გაგებით იხმარება: „როდუა ი ყ ვ ე ს (-იქნება), ეს ქალი ხეირ არ მოვეცემს“... „როდუა ი ყ ვ ე ს (-იქნება), ევ ჩვენ გადაგვიხდის“.

ნამყო წყვეტილის მხოლოდითი რიცხვის მესამე სუბიექტური პირის ნიშნად ზოგ ზმნაში -ა გვევლინება, ნაცვლად მოსალოდნელი სალიტერატურო ნორმის ო-სი, „ყველაფერი უ ა მ ბ ა“. „თითონ მ ო-უ თ ხ რ ა“...

არის შემთხვევები, როცა უსრული ასპექტის ფორმებია გამოყენებული იქ, სადაც მოსალოდნელი არ იყო.

მაგალითები: „მაშვე ი ძ რ ო მერდი“. „მუშკი ც რ ა და ალვა ზ ო ლ ა“. „ა ც ხ ო ქადა“. „არ უ წ ყ ო ღმერთმა ხელი“, „უ ქ ნ ი ა სმალი როსტომმა“...

ეს ვითარება გადმონაშთი უნდა იყოს ქართული ენის იმ პერიოდისა, როცა ასპექტი, როგორც კატეგორია, ჩამოყალიბებული არ იყო.

რიგ შემთხვევაში ე ნ ი ა ნ ი ვნებითის ფორმები ნაწარმოებია დ ო ნ ი თ. ასეთ წარმოებას მხოლოდ მეორე სერიის მწკრივებში აქვს ადგილი. მაგალითები: „ფურნეს თუ არ შე ჰ ყ ა რ დ ა, არ ივარ-გებს“. „სადმე'ნა შე ჰ ფ ა რ დ ე ს“. „როგორ'ნა შე ჰ ჰ ა ე რ-დ ე ს, რო ვერ ჰამოს“. „ძიენ შე ჰ ბ რ ა ლ დ ა შევი არაბი“...

საპირისპიროა ე ფ რ თ ხ ი ლ ე (-უფრთხილდი). არის ერთი შემთხვევაც დადასტურებული, როცა ი ნ ი ა ნ ი ვნებითი შეცვლილია დ ო ნ ი ა ნ ი თ: „ხალხი მ ო გ ლ ი ჯ დ ა და წავიდა“. ალბათ ეს ინდივიდუალური უნდა იქოს.

ვნებითის ერთი ტიპიდან მეორეში გადასვლა იშვიათი მოვლენა

---

<sup>1</sup> ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, რით არის წარმოდგენილი მრავლობითის სახელობითში დასმული მორფოლოგიური ობიექტი ძველს ქართულში? თსუ შიამბე. IX თბილისი, 1929, გვ. 116.

<sup>2</sup> ანალოგიური ვითარებაა კახურში, ქართულსა და მესხურშიც. შდრ. ა. მ ა-რ ტ ი რ ო ს ო ვ ი, გ რ. ი მ ნ ა ი შ ე ი ლ ი, ქართული ენის კახურ დიალექტი, გვ. 95.

არაა. ასეთი ფორმები გვაქვს ქართულში<sup>1</sup> კახურში<sup>2</sup>, ძველს ქართულში, „ვეფხისტყაოსანში“, განსაკუთრებით უზვადაა ალ. ჟაზბეგთან. მოეპოვებათ ილიასა და ვაჟასაც.

თავსართიანი და ბოლოსართიანი ვნებითი გვარის ურთიერთობის საკითხი სამწერლობო და სალაპარაკო ენის მიხედვით სპეციალურადაა შესწავლილი<sup>3</sup>.

„ა ჯ ვ დ ე ნ ს“ და „ა ს ხ ვ დ ე ნ ს“ ფორმების სათანადო წყვეტილად ასევე სხვა მწერლებშიც იხმარება და ა ა ჯ დ უ ნ ა და ა ა ს ხ დ უ ნ ა. მაგალითები: „იმამ (-იმან) თავისები და ა ა ს ხ დ უ ნ ა“. „აგერ და ა ა ჯ დ უ ნ ა სკამზე“. „ფურღუნზე და ა ა ს ხ დ უ ნ ა და წაიყვანა ახალქალაქი“. „ერთი მაგ ტრაქტორზე და ა მ ა ჯ დ უ ნ ა, მერე გასწავლიდი სეირს“, „უნდა და ა ა ჯ დ უ ნ ო ნ. „იმის შემდეგ რძალ ჩ ა მ ო ა ჯ დ უ ნ ე ბ ე ნ“...

29. თხოვნით-ბრძანებითი კილო. დასტურდება აგრეთვე თხოვნით-ბრძანებითის ფორმები, რომლებიც გადმოცემულია ხან პირველი, ხან მეორე კავშირებით. ბოლოკიდური ხმოვანი -ო ან -ე გრძლად და ხმის ამალღებით წარმოითქმის.

მაგალითები: „ერცვარა დუმას რო წ ა უ ს ვ ა მ დ ე, კ ა რ ქ ი ა“, „წყალ რო და მ ი ს ხ ა მ დ ე, კ ა ი ბ ი ჯ ო ი ქ ნ ე ბ ი“. „ერთხელ კიდე რო ჩ ა მ ო ხ ვ ი დ ო დ ე, არ გაწყენს“. [„ერთი აი ორთითი მ ა მ ი ტ ა ნ ო“. „თან წ ა ი ლ ო ვ ე ლ რ ა, ხ უ არ დაგანძიმანს“. „ერთი ვინმე მ ო ი ყ ვ ა ნ ო, წ ა ხ ვ ი დ ე, გ ა ა კ ე თ ო რ ა ლ ა მ დ ვ ა ხ ა რ?“...]

თხოვნით-ბრძანებითის ფორმები სხვა კილოებსაც გააჩნია. მთის კილოები (ფშაური, თუშური, ხევსურული) ნამყო მრავალგზისის ფორმას იყენებენ თხოვნით-ბრძანებითის გამოსახატავად<sup>4</sup>.

ინგილოური თხოვნით-ბრძანებითის გამოსახატავად მეორე კავშირებითს იყენებს<sup>5</sup> ხოლო მოხეურსა<sup>6</sup> და მთიულურში<sup>7</sup> ჩვეულებრი-

<sup>1</sup> გ რ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი ქ ა რ თ ლ უ რ ი დ ი ა ლ ე კ ტ ი, გვ. 230—231.

<sup>2</sup> ა. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი, გ რ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ქ ა რ თ ლ ი ე ნ ის კ ა ხ უ რ ი დ ი ა ლ ე კ ტ ი, გვ. 110, 111.

<sup>3</sup> Л. М. Н о з а д з е, О взаимоотношении префиксального и суффиксального образования глаголов страдательного залога в грузинском языке, Тбилиси, 1956, ст. 8—12.

<sup>4</sup> ა. შ ა ნ ი ძ ე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულში, წგ 68, 70, 71; გვ. 120.

<sup>5</sup> გ რ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ქ ა რ თ ლ ი ე ნ ის ი ნ გ ი ლ ო უ რ ი დ ი ა ლ ე კ ტ ის თ ა ვ ი ს ე ბ., გვ. 120.

<sup>6</sup> ა. შ ა ნ ი ძ ე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ სამხრეთში, წგ 68, 70, 71.

<sup>7</sup> ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ე ა, მ თ ი უ ლ უ რ ის თ ა ვ ი ს ე ბ უ რ ე ბ ა ნ ი, გვ. 57.



ვად თხოვნით-ბრძანებითის როლში გამოდის პირველი კავშირებითი. იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება ეს ფორმები კახურში<sup>1</sup>.

**30. III სერიის ფორმები.** ახალ ქართულსა და კილოებშიც არის ტენდენცია, რომ თურმეობით პირველში -ავ და -ამ თემატიური ნიშნის მაგიერ ვაბატონდეს -ია<sup>2</sup>. იგივე სურათია ჯავანურშიც. მაგალითები: მოუხნია, მიყიდნია, დაუბარია, დაუბრია (-დაუბარებია), დაუფარია, (დაუფარებია), უთქვია..,

I და II თურმეობითში, ქათლურისა და კახურის მსგავსად, ჯავანურშიც თავს იჩენს -ნ (←ენ) სუფიქსი, იგი ინფიქსის სახით გვევლინება ზმნებში.

მაგალითები: უტირნია, გაულეწნიათ, შეუწნახნია, დაულეწნია, დაგიგლეწნიათ, მოეპარნა, დიებარნა, გეთამაშნა, მელაპარაკნა, უთიბნია, დაეძახნათ, დაუძახნია, ელალატნათ, ულალატნია, დაელეენა, გადახედნია, გადახდენია...

როგორც ვხედავთ, -წ/-ენ სუფიქსი მესამე სერიის ორივე თურმეობითის მწკრივში, ორივე რიცხვსა და ყველა პირში გვხვდება საკმაოდ ინტენსიურად აღმოსავლურ კილოებში, განსაკუთრებით ქართლურში, კახურში, მესხურში, ინგილოურში, მთიულურსა და სხვა კილოებში.

მისი წარმოშობის შესახებ სხვადასხვა შეხედულება არსებობს<sup>3</sup>. ამათგან გავეცანით ორს, როცა ვიხილავდით მეორე სერიის ფორმებს (გაიზარდენით, დაიმაღლენით...). მესამე მოსაზრებით -ნ (←ენ) სუფიქსი ზმნური ფუძის ისეთივე საწარმოებელი სუფიქსია, როგორც -ან, -ონ, -ევ და სხვები, გამოყენებული სხვადასხვა სერიის ფორმებში<sup>4</sup>.

<sup>1</sup> ა. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი, გ რ. ი მ ნ ა ი შ ე ი ლ ი, ქართული ენის კახური დიალექტი გვ. 93.

<sup>2</sup> ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, თურმეობითი პირველის წარმოების ერთი თავისებურება უღვლილების სისტემის ისტორიასთან დაკავშირებით ქართულში, ლიტ. ძიებანი, ტ. II, 1944, გვ. 129.

<sup>3</sup> -ნ-ს შესახებ იხ. ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 455; ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ზმნის უძველესი სუფიქსაციისათვის ქართულში: საქ. სსრ მეცნ. აკადემიის შოამბე, ტ. III, №5, თბილისი, 1942, გვ. 489—491; ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, თურმეობითი პირველის წარმოების ერთი თავისებურება უღვლილების სისტემის ისტორიასთან დაკავშირებით ქართულში; ლიტ. ძიებანი, ქტ. II, 1944, გვ. 137—138.

<sup>4</sup> ი ვ. ქ ა ე თ ა რ ა ძ ე, დრო-კილოთა მესამე სერიის წარმოების ერთი თავისებურება ახალ ქართულში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნ., ტ VIII, თბილისი, 1955, 60—78;

ჩვენი აზრით, ეს მოსაზრება ყველაზე სარწმუნოა. ამის საბაბს გვაძლევს ერთი ზმნის ორგვარად ხმარება: გადამხედნია და გადამხდენია.

ეს ორი სხვადასხვა ფორმა ერთი ზმნისა, რომელიც ნაშთის სახითაა შემორჩენილი, გვეუბნება, რომ თავდაპირველად პარალელურად იხმარებოდა -ენ და -ნ სუფიქსები. „გ ა დ ა მ ხ დ ე ნ ი ა“ I თურმეობითია: გ ა დ ა რთული ზმნისწინია, მ ობიექტური პირის ნიშანია, ხდ (← ხედ) ძირია, ენ ამ სუფიქსის სრული ფორმაა, ია თურმეობითი პირველის ჩვეულებრივი დაბოლოებაა, რომელშიც ა სუბიექტის ნიშანია, ხოლო ი-ს ფუნქციაა უცნობია. გ ა დ ა მ ხ დ ე ნ ი ა ფორმის პარალელურად გვაქვს გ ა დ ა მ ხ ე დ ნ ი ა. შესაძლოა, სულ პირველად იყო მესამე და უხერხულად გამოსათქმელი გ ა დ ა მ ხ ე დ ე ნ ი ა ფორმაც, რომელიც შემდგომში უარყო ენამ. ერთ შემთხვევაში ენ სუფიქსის ე ჩაადგებს ფუძისეულ ე-ს, ხოლო მეორე ფორმაში ფუძისეული იმარჯვებს და აუჩინარებს სუფიქსისეულს.

ძველი ფორმით უნდა იხმარებოდეს ამ მაგალითში „ე რ თ ვ ა ს“ ზმნა, „თუ ეს მართალია, ჩემი თევზი გაცოცხლდეს და ზღვას ე რ თ ვ ა ს ო“ (შდრ. შეერთოს).

ჯერ ერთი ეს ფორმა უსრული ასპექტია „ე რ თ ვ ა ს“ (სრული შეერთვას), მეორეც, მწკრივის მაწარმოებლად -ა არის და არაა -ო (შდრ. უამბა, მოუთხრა. აქ პირის ნიშანია -ა. ერთვას ფორმაში კი -ს ა ნ ი ა მესამე სუბიექტური პირის ნიშანი.

ზოგჯერ თურმეობითი მეორის ფუნქციით იხმარება მყოფადის ფორმები: „ეპ ხენწიფე ინ ხენწიფეს დ ა პ პ ა ტ ი ე ა ნ ს (-ამ ხელმწიფეს ის ხელმწიფე დ ა ე პ ა ტ ი ე ა). „თურმე ეპ ღვედელი წერილ დ ა ჰ წ ე რ ა მ ს“. (-თურმე ამ მღვდელს წერილი დ ა უ წ ე რ ი ა). „თურმე ეპ გლეხი ყანაპ მოხნამს“ (ამ გლეხ თურმე ყანა მოეხნა). თურმე ამაპ გზას გ ა დ ა უ ქ რ ა მ ს ლამე“ (- ლამით თურმე ამას გზა გ ა დ ა ე ქ რ ა)...

ეს გარემოება ერთი ფორმის მეორის შეცვლით არაა გამოწვეული, არამედ საუბარში მთქმელის გააზრებით ხდება. ამ გარემოებაზე ისიც მიგვანიშნებს, რომ იხმარება ნაწილაკი თ უ რ მ ე, მთქმელი ამ ნაწილაკის ხმარებით კმაყოფილდება და შესაბამის თურმეობითი მეორის ფორმებს არ ხმარობს.

მეორე მხრივ, თ უ რ მ ე ნაწილაკის ხმარება პირველი სერიის ფორმებთან იმის მაუწყებელიც უნდა იყოს, რომ მესამე სერიის მწკრივები წარმოშობით პირველი სერიიდან მომდინარეობენ.

არის ერთი თურმეობითი პირველის ფორმა ზმნისა მ ი ჯ ე რ ი ა, რომელიც იხმარება საბავშვო თამაშობების დროს: როცა ერთ-ერთი

მოპირდაპირე მოთამაშე არ ეთანხმება მეორეს, იტყვის: „არა, მე არ მიჯერია, ამას არ გითვლიო“. ზუსტად ეს ფორმა უნდა ნიშნავდეს „მე ეს კიდეც არ ჩამითვლია სწორ ჭერად ან არ დავრწმუნებულვარ მის სისწორეში“.

**მ1. თავისებური ზმნები.** „დაჰკვირდა“<sup>1</sup> ზმნის ფორმაში დაკარგულია საარვისო ქცევის ა. ისე როგორც ძველი ქართულის დაჰკვირთა ფორმაში. მსგავსი ფორმებია I სერიის მწკრივებში: ჰკვირდებოდა, დაჰკვირდებოდა და სხვა.

„შეჰკითხეთ“ ზმნას ენებითის მაწარმოებელი დაუკარგავს, თუ ვივარაუდებთ, რომ ის „ეკითხები“ ფორმის წყვეტილია, მაგრამ, თუ „ჰკითხავს“ ზმნის წყვეტილია, მაშინ შეეკითხეს ანალოგიით შე ზმნისწინი დაართვია.

„შეხვდა“ ფორმაში (I სერიაში უხვდება: უხვდებოდა...) თავს იჩენს სასხვისო ქცევის უ (შეუხვდა). როგორც ჩანს, უ აქ „დაუხვდა“ ზმნის ანალოგიით უნდა იყოს გაჩენილი. მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს სამივე ზმნაზე:

„დაჰკვირდა, რომ ყველაფერი წაულიათ“, „ჯერ კარები გაიხურა და მერე დაჰკვირდა ანყოლს“. „იმპა შეჰკითხეთ, ჩემი თუ არ გჯერა“. „ამან, ამ ხენწიფენ, შეჰკითხა გლეხ“. „კაი ბიჭი არ შეუხვდა, თორე ასწავლიდა ჰკუას“. „სადმე თუ შეუხვდა, მერე ნახოს თავი სერიი...“

„ეწვალა“ ფორმა II თურმეობითსა და III კავშირებითში არ დაირთავს მეშველ ზმნას, მაგრამ, „გაჰყოლიყო“ ანალოგიით, რომელიც თავის მხრივ „გაჰყოლოდა“ ზმნის პარალელური ფორმაა, მეშველი ზმნა ერთვის: „ეჰკაცი ბევრი წვალე ბულიყო, წვალე ბულიყო და თავიდან გედიეძრო საბელი“.

არქაული შინაარსით არის ნახმარი „გესვრის“ ზმნა. ერთ-ერთ კონტექსტში, რომელიც ხალხურ „ვეფხისტყაოსანს“ ეკუთვნის: „წყალო, რა უყავ ჩემი მზე, შენ, წყალო, არაგვიანო, არ გესვრის თოფი, არც ხმალი, არც<sup>1</sup> ისარ გეცემიანო“. ამ გამოთქმაში „გესვრის“ და „გეცემიან“ ზმნები ორივე ენიან ენებითია. აწმყოს დროის III პირია, ხოლმეობის ი აქვთ, ერთი მხოლოდობითის ფორმაა, მეორე მრავლობითისა. „გესვრის“ დღევანდელი ქართულით „გესროლე ბას“ ნიშნავს.

<sup>1</sup> „დაჰკვირდა“ და „შეჰკითხეთ“ ფორმებზე ყურადღება მიმაქცევინათ. უთურგაიძემ, რისთვისაც მაღლობას მოვახსენებ.

„შეკნატროდა“ ზმნა ზოგჯერ „ნატრავდა“ ფორმითაც იხმარება: „ყველა იმას ნატრავდა“. „ჩვენც ვნატრავდით, კაი შვილი ჰყამსო“.

„გვეშინოდნენ“ ფორმა მიღებულია „გვაშინებდნენ“ ზმნის ანალოგიით: „ჩვენ გვეშინოდნენ ძიენ თათრებისა“.

ენიანი ვნებითის ფორმას „გვეშინოდა“ (ჩვენ მისი ან მათი) დართული აქვს. მოქმედებითი გვარის ზმნის (გვაშინებდნენ“ ფორმის III პირის სუბიექტის ნენ მრავლობითი რიცხვის ნიშანი.

„გასწი“ ზმნის გამარტივებულ ფორმას ყოველთვის ენაცვლება თითქმის „გასცი“<sup>1</sup>: „გასცი, გამცილიდი“. „გასცი, ძმო, შარი ხუარ ხარ“? გასცი, წადი, რალაჰ უყურამ“.

-ობ, -ებ თემის ნიშნის წინ არ ირთავენ -ავ თემისნიშნისეულ ა-ს შემდეგი ზმნები: ქანომს, ბანომს, ცურომს, ხტუნომს (-ქანობს, ბანობს, ცურობს, ხტუნობს... ,ობს-ენაცვლება ომ.

მაგალითები; „თელი დღე ტკვარაზე ბანომს“. „ეგ ვერ ბანომს, ცურვა არ იცის“. „დაეჯდები ვქანომ, როცა მინდა“, „აქ კაცი ვერ იცურამს „(იცურავენს), ძიენ თხელია“. „შენც ვითომ ცურომ“. სუ იეგრე ხტუნომს, არაფერ აკეთანს“ „ერთი კარქა გასცხე, ველარ იხტუნამს“...

„შემოგვიდგნენ“ ფორმა ნახმარია „შემოვიდნენ“ ზმნის მაგიერ ასეთ გამოთქმაში: „ორ დღე შემოგვიდგნენ თათრები“.

არქაული მნიშვნელობით იხმარება „მოქცევა“ ზმნა რამდენიმე გამოთქმაში: „ცხენმა გვერდზე მოიქცია ეს კაი“ (-მოიბრუნა). „ჯორმა (-ვირმა) კენი მოიქცია“. „პური მოუქციოთ“. „ქალოჰ უქციოთ“. „შეუქციეთ პური“. „ქათამი კვერცხზე მოიქცა“ (-ქათამმა დება დაიწყო. ე. ი. დაუბრუნდა კვერცხის დებას)...

„ვინახავ“ (-ნახავა) ზმნა ენაცვლება „ვხედავ“ ფორმას: „რო იყურები, რაჰ ვინახამ?“ (-ხედავ). „ვერც მე ვინახამ დი“. „განა შენ ვინახამ?“ „ვერ ვინახამთ, ეჰ რა უქნია?“...

<sup>1</sup> შლრ. კახური გახცი. იხ. არ. მარტიროსოვი, გრ. იმნააშვილი ი ქართული ენის კახური დიალექტი, გვ. 103.

თავისებურ ზმნათაგან ყველაზე ტიპურია ს ე ვ ს, ა ს ე ვ ს ზმნის პირიანი, მიმღობისა და საწყისის ფორმები.

სალიტერატურო ქართულისათვის ცნობილია შ ე ე ს ი ა, მ ი ე ს ი ა, დ ა ე ს ი ა ზმნათა ფორმები, რომელთაც სათანადო საწყისები და მიმღობები აქვს. შ ე ს ე უ ლ ი, მ ი ს ე უ ლ ი, დ ა ს ე უ ლ ი, შ ე ს ე ვ ა, მ ი ს ე ვ ა, დ ა ს ე ვ ა, მაგრამ სალიტერატურო ენამ არ იცის<sup>1</sup> და არც საბას აქვს შემდეგი ფორმები: ს ე ვ ს, ა ს ე ვ ს, ი ს ე ვ ა; საწყისი ს ე ვ ა, ა ს ე ვ ა, მიმღობა ა ს ე უ ლ ი (სეული არ გვხვდება), ამას აქვს მოქმედებითი გვარის ფორმა ს ე ვ ს (ის მას), ასია ← \*ასივა (მან ის), სათანადო ი ნ ი ა ნ ი ვნებითი იქნება და გვაქვს კიდევ: ი ს ე ვ ა (ის). ა ი ს ე ვ ა, ა ი ს ი ა ← \*ა ი ს ი ე ა (ი ს), ორივე ფორმას გააჩნია სამივე სერიის ყველა მწკრივი.

შ ე ე ს ი ა, მ ი ე ს ი ა, დ ა ე ს ი ა ფორმებისაგან ა ს ი ა, ი ს ე ვ ა ზმნები იმით განსხვავდება, რომ არ გამოხატავენ სუბიექტის შინა-არსობრივ სიმრავლეს, არამედ ჩვეულებრივად ცალკეული პიროვნების მოქმედებას, სუბიექტის არასასურველ ყოფაქცევას, რომელიც დასჯას იმსახურებს. მაგალითები: „ეჰ, კაცო, თითონ ხო ა ს ე უ ლ ი ა (ატეხილია), სხვაც ა ს ი ა“ (-ატეხა, აბუნტა). „შენ რა ეშმაკმა ა გ ს ი ა, ბიჭო, ხიდან არ ჩამოვარდე“. „მაგას სხვები ს ე ვ ე ნ, თითონ არ ტყუეის“. „ი გიუ ცოლ ა უ ს ე ვ ი ა ეგ საწყალი“. „შენ რო სილედრი არ გ ს ე ვ დ ე ს, კაი ბიჭი იქნება“. „ეგ საწყალი ვილაცამ ა ს ი ა, სუ გაგიუდა...“

აღნიშნული პირიანი ფორმები სალიტერატურო ენას არ დაამახინჯებს, ჩვენი აზრით, გაამდიდრებს.

## ს ი ბ ვ ვ ა წ ა რ მ ო ე ა ა

### ს ა ხ ე ლ ზ მ ნ ა

მ 2. საწყისი. სიტყვა ს ი წ ვ ი ლ ი,<sup>2</sup> რომელიც სირბილი, სირცხვილი ფორმებისა და მისთანათა მსგავსად, წარმოშობით საწყისია. ს ი წ ვ ი ლ ი ახლა უკვე გარსებობითელია და ჰქვია კანის აეადმყოფობას

<sup>1</sup> ქართულ განმარტებით ლექსიკონში შეტანილია შესევა, მისევა, დასევა, შესეული, მისეული, დასეული, ხოლო სულხან-საბა „სხევ“ ძირს გამოყოფს და მიგვითითებს მ ი ს ე ვ ა, შ ე ე ს ი ე ვ ა, შ ე ე ს ი ე ვ ა ფორმებზე. ს ე ვ ს, ა ს ე ვ ს ი ს ე ვ ა; ს ე ვ ა, ა ს ე ვ ა; ა ს ე უ ლ ი ფორმები არაა განმარტებით ლექსიკონში და არ ჩანს საბასთანაც. სამაგიეროდ ერთი ფორმა ამ ფუძისაგან ნაწარმოები გვაქვს ორივეგან, საბასთან უ ს ი ა ნ ი („კაცთაგან უხედური“) და გ. ლ.-ში უ ს ი ე რ ი (-გაუვალი, უკაცრიელი).

<sup>2</sup> გ. ბ ე რ ი ძ ე, ჯავახური დიალექტის სალექსიკონო მასალა. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1981, გვ. 118.

რომელიც დამწვარს გვაგონებს, რწნებ ამიტომ დაარქვეს კანის ამ ავადმყოფობას ეს სახელი. არც საბასთან და არც ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ეს სიტყვა არაა შეტანილი. როგორც ჩანს, კანის ამ ავადმყოფობას ან უცხოური სახელი ჰქვია, ან კიდევ სხვა სახელწოდება ქართულად, კარგი იქნებოდა, რომ ეს ძველი ფორმა დაენერგილიყო ქართულ სამედიცინო ტერმინონოლოგიაში.

ერთი ღრმა მოხუცი (97 წლისა) ხმარობდა სიცინ-ს სიცინლის ნაცვლად. თუ აქ ნარისა და ლარის მონაცვლეობასთან არა გვაქვს ადგილი, აუცილებლად ძველი წარმოებაა საწყისისა. გვაქვს იცინი მეორე სერიაში. „ამათ სიცინი დაიწყეს“.

განზრახვა ფორმა შეცვლილა განზრახით: „მან იცოდა ვაყების განზრახი“. შესაძლოა დაკარგულია ა (განაზრახი).

ჯავახურში ჩვეულებრივად ხმარობენ თოვლს, ითოვლა, უთოვლია. აქედან საწყისია თოვლა//გათოვლება. „ისე ციოდა, მერე თოვლა დაიწყო“. „ცოტა ხან მერე გათოვლდა“.

იხმარება ერთი ფუძეგაორკეცებული ფორმა ძანძალი: „ძანძალით ძლივ წაიღეს“. აქ უნდა გვქონდეს ძალძალით ფორმა. შემდეგ მომხდარა დისიმილაცია. გვაქვს სხვა მნიშვნელობისა და ფორმის საწყისები: ძუნძული, კუნჯული და სხვა.

დარჩენა შეცვლილია დარჩომა ფორმით. ამგვარადვე ეს ზმნა გავრცელებულია კახურში. გვხვდება მიმღობისა (დარჩომილი) და პირიანი ფორმებით (დარჩომილიყო, დარჩომილა...)<sup>1</sup>

-ოზ და -ეზ სუფიქსები მონაცვლეობენ საწყისის ფორმებშიც. „დაწყობიდან ხოცეს სომხები თათრებმა“. „ქრების დაწყობამდე რატუ არ მოხვედი?...“

თემის ნიშნისეული -ვ დაკარგული აქვს საწყის დახოცვა-ს „მაშინ თათრებ დახოცა ეკუთვნოდათ“. „რაპ მოგიტანს მაგათი დახოცა, ცოდონია“.

ხალხური „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთ სტროფში ნახმარია წართმევა უვესუფიქსოდ: „ცხრა ქაჯთა მონადირეთა მზე ჩაავლინეს ნავითა, წართმა გავბედე ძალითა“.

ზოგჯერ ხმარობენ დარქმევა ფორმას -ევ სუფიქსის გარეშე: „მაგაპ სახელი დარქმა უნდა“.

<sup>1</sup> არ. მარტიროსოვი, გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, გვ. 113.

ნაძალადეობა, სწავლის პრინციპები სიტყვა, სალიტერატურო ქართულში მრავლობითის ფორმებს ვერ აწარმოებს<sup>1</sup>, მაგრამ, ხანდახან საწყისის ფორმა დასმულია - ებიან მრავლობითში: „თათრების დროს ბევრი და ცეცხლი ყოფილა“.

სიტყვა გაქცევა, როცა ჯანსუღი ხალხურ სიტყვიერებაში იხმარება ოსმალელებს შემოსევების შემდეგ მოსახლეობის წინა საქართველოში გადასვენების აღსანიშნავად, ყოველთვის დგას მრავლობით რიცხვში: „გაქცევენ ბევრე პატარა იყო“. „გაქცევენ ბი ასე იყო, შვილო, პირველად გავიქეცი ბაკურიან, მერე კახეთში, ლაგოდეხში, მაწიში წაველით“. „გაქცევენ ბი დილი ზარალი მოგვაყენა, სუ აქ დაგვრჩა, რაც ქონება გაგვჩაწოდა“.

ამ შემთხვევაში ნაგულისხმებია რამდენიმე გაქცევა<sup>2</sup>. შესაძლოა, აღნიშნულ წინადადებაში გაქცევა ფორმა უკვე ნახმარია როგორც გარსებობითი სახელი.

ზოგიერთ უსაწყისო ზმნის საპირდაპირ შემთხვევაში მაგივრებს უწყვეს ის სახელი, საიდანაც ნაწარმოებია<sup>3</sup> ეჩუბობ (ჩუბობ), ვიქეც (იქეც), ვიწეც (იწეც)... ამ სამი ფორმიდან ომის ხმარება მრავლობით რიცხვში ჩვეულებრივია. არ გავიგონია ჩუბობები, მაგრამ „იქეც ბი აკრეცინა“, ცნობილი გამოთქმაა „ბევრჯერ დაჩოქას“ აღსანიშნავად, თუმცა პირველ ორს: წაჩხუბება და დაჩოქება შეუძლიათ გამოიყენონ საწყისებად.

ჩაძალადეობის პირდაპირად ზმარბენ ზოგჯერ მიძალადეობას: „ერთი მაგათი მიძალადეობა მანახა ღმერთმა“. იგულისხმება ოსმალთა გარეკვა.

სიტყვა ქვნიტიდან არის ნაწარმოები აქვანტევა, რომელშიც თემის ნიშნისეული ვარიანტის, ხოლო ფუძისეული ი (ქვინტი) წინმდგომი ა-ს ზეგავლენით შეცვლილა ა-დ. აქვანტა ნიშნავს ფეხზე დგომით ადამიანის შეჩვენებას: „იქ რომ აქვანტამენ, მაშინ გაიგებ“. „კანცელარშინა ავანტინო შენი თავი“. „არ მოიპარო, თორე სასამართლოში ავანტამენ“.

<sup>1</sup> ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 577.

<sup>2</sup> მენშეიკების ბატონობის დროს, ვერცხლსა და სხვა სხვა დასახლებებში, სამცხე-ჯავახეთის ოსმალელები სამჯერ შემოესივნენ (1918 წ. 1919, 1921 წ.) გაქცევენ ბი იგულისხმება ეს სამი გაქცევა.

<sup>3</sup> ა. შანიძე, ქართული-ერაზმის საფუძვლები გვ. 583.

აქედანვე ნაწარმოებია მიმღეობა აქვანტული, რომელიც უფრო მეტად ისმარება აქვანტილის სახით. ამ სიტყვის წარმოებისა და ხმარებისას გასათვალისწინებელია ერთი გარემოება. კვინტი ფესხაცმლის წერილი და წაგრძელებული ნაწილია (უპირველეს ყოვლისა აქ იგულისხმება ქალამნის კვინტი), რომელიც ფესხაცმელს წინ და ზემო ნაწილში აქვს. „კვინტივით აშვერილიაო“ — იტყვიან ხალხში. მაგრამ აქვანტულში, აქვანტაში უთუოდ მტყუნანი, დამნაშავე პიროვნების სათანადო საზოგადოების წინაშე ფეხზე დგომა იგულისხმება. მთქმელი მოპირისპირე მოსაუბრეს უკვე სასჯელით ემუქრება ან ახსენებს მის არასწორ მოქმედებას წარსულში.

როგორც თავისებურ ზმნებში აღენიშნეთ (იხ. § 35), სევა, ისევა, ასევა პირიან ფორმებს სათანადო საწყისი ფორმები სევა, ასევა გააჩნია. უსრული სახე სევა არ ისმარება, სამაგიეროდ ჩვეულებრივად ასევა საწყის ფორმას, როგორც ზემოთ განვიხილეთ, სალიტერატურო ქართულის შესევა, მისევა, დასევა ფორმებისაგან შინაარსობრივად განსხვავებით ხმარობენ არა სუბიექტის სიმრავლის გამოსახატავად, არამედ ცალკეული პიროვნების არასასურველი მოქმედების აღსანიშნავად.

მაგალითები: „ამ კაც შენი ასევა უნდა, ისედაც უქმყოფი-ლოა“. „მაგი ასევა-ლა მინდოდა, იპ ბიკიც ტირის“...

ამ წინადადებებში „ასევა“ ნიშნავს „წაქეზებას“ აბუნტებას.

მვ. მიმღეობა. ვნებითი გვარის მწარმოებელი სუფიქსები -ულ და -ილ ხშირად მონაცვლეობენ. ილ: გაშვებული, მოთიბილი, დაწნილი, მოხრაკილი, მოხნილი, დამბილი (-დამბული), გახიდილი (-გახიდული), შენახილი, დაძახილი, დაძალილი, მოკლილი, შედობილი... -ულ: მოტანული, დაღალული, მოღალული, დაწერული, გატეხული, დაბანული, გაკვეთული, მოტანული, დაგრეხული, დაფლეთული ...

-ილ და -ულ სუფიქსების აღნიშნული მონაცვლეობა ახასიათებს ქართლურს<sup>1</sup>, კახურს<sup>2</sup>, აჭარულსა<sup>3</sup> და ინგილოურს<sup>4</sup>.

<sup>1</sup> გრ. იმნაიშვილი, ქართული დიალექტი, გვ. 226.

<sup>2</sup> არ. მარტიროსოვი, გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, გვ. 112—119.

<sup>3</sup> შ. ნიქარაძე, ზემოაჭარლის თავისებურებანი, გვ. 51.

<sup>4</sup> გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი, გვ. 125.



ზოგ შემთხვევაში ვნებითი გვარის მიმღეობა წარმოებულა ზმნის ფუძისაგან თემის ნიშნის დაურთველად: გაკვირული (-გაკვირვებული), დაკიდული, მოვზადული (-მომზადებული), აკიდული, ადულული, მოკიდული, აყუდული. მოხუცული, განსული (-გავსებული), დაწყილი, შექოჩილი, დაწვილი... დასამატი, გამოკიდული, სელსატატი.

და რ ხ ო მ ა საწყისი ფორმისაგან წარმოებულა როგორც ზმნის პირიანი ფორმები, აგრეთვე მიმღეობაც და რ ხ ო მ ი ლ ი: „რამდენი დღე მაქ და რ ხ ო მ ი ლ ი“. „ეგ და რ ხ ო მ ი ლ ი არის ერთხელ კლასში“.

ვნებითი მიმღეობა და შ ლ ი ლ ი. იხმარება განსხვავებული შინაარსით: „ადამმა“ და ევამ და შ ლ ი ლ ი ხილი ჭამეს“. აქ „და შ ლ ი ლ ი“ „აკრძალული ს“ მნიშვნელობით არის ნახმარი.

საშუალო გვარის მიმღეობები ნაწარმოებია ვნებითის სუფიქსებით: „ჩემ თავზე ბევრი რამ მაქ გადახედული“ (-გადამხდარი). „ჩვენ რაც გადახედული გვაქ, ღმერთმა დაგიფაროთ“.

და წ ვ ი ლ ი (-დამწვარი): <sup>1</sup> „და წ ვ ი ლ ხელზე მამიჭირა“. „და წ ვ ი ლ ი ძიენ ძნელია“. „ჩვენ რო მიველით, და წ ვ ი ლ ი დაგვხვდა“.

ვნებითი გვარის მიმღეობის ფორმა წარმოებულა თავსართ-ბოლოსათით ნა -ულ „შენი ნაჩვენებულ იც (-ნაჩვენებიც) ეგ არის“.

მოკმედებითი გვარის მიმღეობა მ თ ხ ო ვ ა რ ი იხმარება მ ა ნ ი ს გარეშე: თხოვარი//თხოვარა: „ერთი თ ხ ო ვ ა რ ი მოსულიყო ჩვენსა“. „თ ხ ო ვ ა რ რაიმენა მიპცე, შეილო, ღმერთი გიწყენს, ცოლაა“. „ერთი ვიდანც თ ხ ო ვ ა რ ა ა რ ა ნ ა ე ლ ა პ ა რ ა კ ო“... ხოლო მ ა თ ხ ო ვ ა რ ი იხმარება მ ო თ ხ ო ვ ა რ ი ს სახით: „სადლა უნდა ნახონ მ ო თ ხ ო ვ ა რ ი“ (აფნია).

მოკმედებითი გვარის მიმღეობას „მ ე ბ რ ძ ო ლ ს“ აწარმოებს მ -ელ თავსართ-ბოლოსართი: „ის მ ბ რ ძ ო ლ ე ლ ი კაცი იყო“.

მ თავსართი და ბოლოსართისეული ლ დაკარგული აქვს „მ ჭ რ ე ლ ს“, „ცელი ჭ რ ე ნა (-მჭრელი უნდა) იყოს“ „იეგ დანა ძიენ ჭ რ ი ა“ (-მჭრელი არის). „ერთი ჭ რ ე (-მჭრელი) ცული ვერ იყიდე შენც“;...

მთლად ფორმაშეცვლილია „მ კ ვ ე ხ ა რ ა“. გაარსებითებული მიმღეობის ანალოგიურად წარმოებულა მ ქ ე ვ ა რ ა, რომელიც

<sup>1</sup> ეს ფორმა იხმარება ქართულშიც: იხ. გრ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ქართლური დალაქტი, გვ. 226.

ჯერ კარგავს თავსართ მ ა ნ ს (ქვეარა), ხოლო შემდეგ რ იცვლება  
ლ ა ს ი თ და გვრჩება ქ ე ვ ა ლ ა: „იგ რო ქ ა ო ნ ს (თავს იწო-  
ნებს, ტრაბახომს), თავიდანვე ქ ე ვ ა ლ ა იყო“. „მ ა გ ქ ე ვ ა-  
ლ ა ს არაფერი დიეჯრება“... ა ამ შემთხვევაში ქონების აღმნიშვნე-  
ლია. ვისაც საკუთარი თავის ქების უნარი აქვს, ი ს ქ ე ვ ა ლ ა ა.

ღრმა მოხუცები ძაღლის აღმნაშენულად ზმარობდნენ (მ) ყ ე-  
ფ ა რ ს: „ამ კაც ერთი კაი ყ ე ფ ა რ ი ჰყამდა“. „მ ო ვ ი დ ნ ე ნ  
თათრები და ლამე ყ ე ფ ა რ ი მოკლეს“...

ყ ე ფ ა ფორმისაგან ნაწარმოებია მ-არ ე თავსართ-ბოლოსარ-  
თით მ ყ ე ფ ა რ ე, მაგრამ მ ა ნ ი დაკარგულა, ასევე ჩამოცილე-  
ბულია ა რ ე-ს ე და ნაცვლად შემოგვრჩა ყ ე ფ ა რ ი.

ა ს ე ვ ს, ა ს ე ვ ა ფორმებიდან წარმოებულია ვნებიანი გვარის  
მიმღობა ა ს ე უ ლ ი და მოქმედებითი ა მ ს ე ვ ი: პირველი აღ-  
ნაშნავს აღამიანს, რომელაც ვისგანვე ან საკუთარი სურვილით უკმა-  
ყოფილოა რაამესი ან ვინესი. ე. ი. აბუნტებულა, ატეხილი, თავგა-  
სული.

მაგალითები: „ისე იყო იმ ბიჭი ა ს ე უ ლ ი, რომ ჩავარდებო-  
და“, „ეგ ბავშვი შენგანაა ა ს ე უ ლ ი, თორე დილაპ არ ტიროდა“.  
„ეგრე ა ს ე უ ლ ს რო გხედამ, მეშინია, არაფერი გადაგხდეს“...  
მეორე ფორმა ა მ ს ე ვ ი მოქმედებითი გვარის მიმღობაა, აღნიშ-  
ნავს ვინმეს წამქეზებელს, მომწოდებელს ცული საქციელისაკენ.

მაგალითები: „მე კარგა ვიცი მაგ ქალი ა მ ს ე ვ ი ვინც არი“.  
„თავიდათავი ა მ ს ე ვ ი ჰაპაშენი იყო“. „შენმა ა მ ს ე ვ მ ა რ  
ნახოს ხეირი“...

მოხუცი/მოხუცებული ზოგჯერ იცვლება სიტყვებით: დ რ ო უ-  
ლ ი, ხ ნ ი ა ნ ი, ხ ნ ი ე რ ი: „ჩვენ დ რ ო უ ლ ე ბ ი ვ ი ყ ა ვ ი თ“  
„დიესხენ, ეგ კაცი დ რ ო უ ლ ი ა“. „ჩემზე კარგა ხ ნ ი ა ნ ი იყო  
ის კაცი“. „ჩვენ სუ ხ ნ ი ე რ ი ხ ა ლ ხ ი შევიყარენით“...

ქ ი დ ა ო ბ ა ფორმისაგან ნაწარმოებია ნ ა პრეფიქსით ნ ა-  
ჭ ი დ ა ვ ი (-ნ ა ჭ ი დ ა ვ ე ბ ი): „შეთან მე ნ ა ჭ ი დ ა ვ ი არა  
ვარ?“

ვომავალი დროის მიმღობას ქვემოთ მოყვანილ მაგალითში აქვს  
მხოლოდ პრეფიქსი ხ ა, არ გააჩნია არც თემის ნიშანი ებ და არც სუ-  
ფიქსი ელ: „თამარი გაემზადა მტერზე გ ა ს ა ლ ა შ ქ რ ა თ“ (-გა-  
სალაშქრებლად ← გასალაშქრებელი).

მიმღობის ძველი ფორმა ს ა ჯ ა გ ა ვ ი (-აშირალ სამუშაებზე-  
ლა) შეცვლილია ს ა ჯ ე გ ვ ა ვ ე-ად: „ეჭ კაი ს ა ჯ ე გ ვ ა ვ ი ვიყო-

დე“. იგულისხმება ვირი, რომელიც ძალიან ნელია, „ს ა ჯ ე გ ვ ა ვ ი თ მთელ წელიწადს ხმარობს“. „შენი ს ა ჯ ე გ ვ ა ვ ი ხუარ ვარ, ხო არ მასვენამ“... „კაი ს ა ჯ ე გ ვ ა ვ ი ხალათია, დიდხან გამიძლო“... ამ სიტყვაში ძირის ა დისიმილაციურად ქცეულა ვ-დ, ს ა პ ა რ ა ვ ი მომავალი დროის ვნებითი გვარის მიმღობაა და ნიშნავს, რასაც იპარავენ, მოსაპარაევია, მაგრამ ჯავახურში ეს ფორმა იხმარება იმ იარაღის აღსანიშნავად, რითაც კრეფენ ხილს, კერძოდ, ვაშლსა და მსხალს<sup>1</sup>.

მაგალითები: „ეგ ვაშლები სუ ს ა პ ა რ ა ვ ი თ'ნ ა დაიკრიფოს, რო არ დაიბეჟოს“. „ერთი შენი ს ა პ ა რ ა ვ ი მათიუე“...

წ კ ე პ ა ხელით ცემაა (საბა), ხოლო ს ა წ კ ე პ ი გუთანში შებმული მესამე უღელი ხარია, რომლებსაც მესრე ერეკება (-წკეპავს ხელით). ზუსტად ამავე მნიშვნელობითა და ფორმით იხმარება ეს სიტყვა ჯავახურშიც, მაგრამ გ ა წ კ ე პ ა ს // წ კ ე პ ა ს სხვა მნიშვნელობითაც ხმარობენ. ცელი როცა დაბლაგვდება თიბვის დროს, გ ა წ კ ე პ ე ნ (ცელის გაწკება ყველას როდი შეუძლია, კარგ გლუხს წინათ ამით გამოიცნობდნენ)<sup>2</sup>. ამ მოქმედებასთან დაკავშირებით იხმარება ტერმინები: გ ა წ კ ე პ ი ლ ი ცელი და გ ა ს ა წ კ ე პ ი ან გ ა უ წ კ ე პ ა ვ ი ცელი, მეორენაირად; ცელის გაკვერვა, გასაკვერი ცელი, გაკვერილი, გაუკვერავი.

ცელის პირის გასასწორებელი, გამოსაყვანი მოქმედება იწოდება ვაწკებადაც და გაკვერვადაც. ტერმინი გზის გაკვერვა იხმარება თოვლიანი გზის გახვეტის, გასუფთავების დროს. სხვა შემთხვევაშიც გზის შესახებ იტყვიან: „გ ა კ ვ ე რ ი ლ გზაზე იარე“. „სწორ, სუფთა გზაზე იარე“.

ს ა ტ ყ ე პ ე ლ ა და ს ა წ ვ ე ლ ე ლ ა წარმოშობით მომავალი დროის მიმღობებია, მაგრამ პირველი მატკლის სარეცხი ხელკეტის საკუთარი სახელია, მეორე ტოპონიმად ქცეული არსებითი სახელია სოფ. სართლთან. ორივე შემთხვევაში ა-ს მასუბსტანტივებელა ფუნქცია შეუძენია.

ნ ა ნ ა ხ ი ს მსგავსად ნაწარმოებია ნ ა გ ო ნ ი: „შენც ნ ა გ ო ნ ს ი გ ო ნ ე ბ“...

<sup>1</sup> სპარაკი გრძელი სარეცი, ხლის სარხევი ჭიხა. თავზე წამოკეული აქვს მთლიანი ცილინდრისებური 30—40 სმ. სიგრძისა და 10—15 სმ სიგანის ღრუვაპოლებული ზე, რომელსაც წიბოები აქვს (სამი წიბო) ამოჭრილი.

<sup>2</sup> ცელის გამოსაყვარად ან გასაწკებად ხმარობენ სპეციალურ ხის სამიფხა დაზგას (სკამს), რომელსაც წინა ფეხი სამჯერ მსხვილი აქვს, ეიღრე უკანა ორი.

წერს ზმნისაგან წარმოებულთა ნაწერავი: „შენი ნაწერავები გადასინჯეს“.

საკოქავი გეოგრაფიული სახელია ბაქურიანთან. წარმოშობით მომავალი დროის მიმღეობაა.

ნამყოფის ანალოგიით იხმარება სამყოფი (-საყოფი): „წასულა და სამყოფი ყველაფერი წაუღია“. „თქვენ არხეინათ იყავით, თავი სამყოფი აქ“...

გადასაწყვეტს უწოდებენ გათხოვება-დაქორწინებამდე მისაცემ მზითვეს. ესეც მომავალი დროის მიმღეობაა. ასევეა საკლავი, რომელიც ჰქვია სპეციალურად საზამთროდ დასაკლავად გამზადებულ საქონელს: „ვისაც ზამთარში კაი საკლავი აქ, ზამთარში დროსტარებაც იმისია“. „შანშან ზამთარში საკლავი არ გეკონდა“...

საკლავი, საპარავი ფორმების მსგავსად წარმოქმნილია საფილავი, რომელიც დაფილვა ზმნის მომავალი დროის მიმღეობაა. დაფილვას ეძახიან რძის ფილში (-დიდ ჯამში) ნაღების გაკეთების მიზნით ჩასხმას.

საფილავი შეიძლება იყოს ჯამიც, რომელშიც დაფილვა წარმოებს ან კიდევ ადგილი, სადაც საფილავი ჯამები ორ-სამ დღეს აწყვიდა ნაღების ზემოდან მოსაგდებად.

სიტყვა საფილავი ორი ფუნქციით იხმარება. პირველი ფუნქციაა აღნიშნოს, განსაზღვროს ის დიდი ჯამი, რომელიც საფილავია, საფილავი ჯამი, ამ შემთხვევაში მიმღეობა ფუნქციითა და ფორმით ერთია. მაგრამ მეორე დანიშნულებით საფილავი უკვე გაარსებითებულია და აღნიშნავს ფილების დასაწყობ ადგილს, ოთახს<sup>1</sup>.

გლა, „მცირედ განაყვა“, ჯავახურში კანის ტვირთისაგან გადატყავებას ნიშნავს: დაგლილი, დაგალილი, გადატყავებული, დაგლა დანაყვაა. „მაგ ჯორს (ვირს) წელი სუ დაგალილი აქ“. „დაგლილი წელი აქ და იღუნება საწყალი“. „ეგრე არ აპკიდო, დააგლის“.

<sup>1</sup> საფილავი ადგილი ძველად ჩვეულებრივად საბძელი იყო, დღეისათვის რძისგან არაყანს დაფილვით იშვიათად თუ ვინმე გააკეთებს, ახლა სპეციალური სეპარატორები აქვთ. ადრე, ჩემს ბავშვობაში, დიასახლისებმა იცოდნენ ხანულობა (შეამხანაგება), სამი-ოთხი დიასახლისი რიგ-რიგობით უზიდავდნენ რომელიმე მათგანს რძეს, „ხანული არის რძის მოზიარე დედაკაცი“ (საბა).

34. თავსართ-ბოლოსართიანი წარმოება. წინავეითარების სახელთა მწარმოებლის ნა-ს პარალელურად გვხვდება ნი თავსართი „აქ ნი ო-ხ ა რ ი ადგილები ბევრია“. ნი ო ხ ა რ ი არის აგრეთვე ტოპონი-მიკური სახელი, ჩანს ფორმა ნ ა ო ხ ა რ ი ს გვერდით ყოფილა ძვე-ლი წარმოების ნი ო ხ ა რ ი.

დ ა ნ ა კ ლ ი ს ი ს ანალოგიით უნდა იყოს წარმოქმნილი დ ა ნ ა - წყ ი ს ი, ხოლო ს ა წ ი ლ ო ს პარალელურად იხმარება ნ ა წ ი - ლ ო. მაგალითად, მაგ საქმის დ ა ნ ა წყ ი ს ი იეგრე არაა“. „დ ა - ნ ა წყ ი ს ი შ ი იეგრე არ იყო“, „ჩემი ნ ა წ ი ლ ო მე მამე“, „ყველამ თავთავი ნ ა წ ი ლ ო აიღო“. „სხვისი ნ ა წ ი ლ ო რათ მინდა“...

„მ ო გ ზ ა უ რ ი“ იხმარება მო-ზმნისწინის გარეშე: „იარეს, იარეს და შეხვდათ ერთი გ ზ ა უ რ ი“. „ამ გ ზ ა უ რ მ ა აჩვენა ხენ-წიფის გზა“.

მე-ე თავსართ-ბოლოსართით იწარმოება მ ე შ უ რ ნ ე: „მაგის-თანა მ ე შ უ რ ნ ე კაცი დედამიწი ზურგზე არ იქნება“. „ეგრეთი მ ე შ უ რ ნ ე იყო და ახლაც ეგრე არის“. „თავისი მ ე შ უ რ ნ ო - ბ ა თუ არ გამოაჩინა, ვერ იზამს“.

„ბ ა დ ე“ და „რ ჯ უ ლ ი“. სიტყვებისაგან ნაწარმოებია „მ ე - ბ ა დ ე“ და „მ ე რ ჯ უ ლ ე“. „ერთი მ ე ბ ა დ ე იყო“. „ამ მ ე - ბ ა დ ე მ გადაწყვიტა სათევზაოთ წასვლა“. „თათრი მ ე რ ჯ უ ლ ე კაცი სულ სხვაა“ „შენ რა გინდა, მე ქართველი მ ე რ ჯ უ ლ ე ვარ“. „სხვა მ ე რ ჯ უ ლ ე რო ვარ, იმიტუ მკლავ?“...

თ ა ვ ფუძიდან მო-ურ თავსართ-ბოლოსართით წარმოებუ-ლია მოთაური (შდრ. სალიტერატურო მეთაურიც: „თათრი მოთაური ჩვენთან მოვიდა“. „მე გამოვცხადდი მოთაურ-თან“... მ კ ვ ა რ ი (-კვარი) სიტყვისაგან ს ა -ე აფიქსებით წარ-მოიქმნება ს ა მ კ ვ რ ე, რომელიც ანთებული კვარის დასაღები ადგილი იყო<sup>1</sup>. დღეისათვის ეს სიტყვა უკვე მ კ ვ დ ა რ ი ა. მისი ხმა-რების საჭიროება არ არსებობს ენაში.

მსხვილფეხა საქონლის ბოსლებში სპეციალურად განავალისათვის არის გაკეთებული ზღვესა და შუა გასასვლელს შორის რუს მსგავსი ღრმული, რომელშიც ჩადის აგრეთვე შარდიც. ამ გაუვალ რუს ეწო-

<sup>1</sup> წინათ ახერებში (ბოსლებში) ბოძზე სპეციალური შემომრგვალებული ფიცარი იყო შერქობილი. იქ ღებდნენ ანთებულ კვარს. მე მოვესწარ მხოლოდ კრაქს, კვარის ადგილას იღო კრაქი. ს ა მ კ ვ რ ე ტერმინი მხოლოდ მოხუცებს თუ ემახ-სოვრებთან.

დება ს ა ნ ა რ წ ყ ა ლ ი. ამ სიტყვაში ორი თავსართია სა-და ნა-, ხოლო ბოლოსართი — ალ. ძირია რწყ, რომელიც „წყალთან“, რ წ ყ ვ ა ს თ ა ნ უ ნდა იყოს დაკავშირებული. არის მეორე შესაძლებლობაც. სანარწყალი ფორმის გვერდით იხმარება ს ა ნ ა წ ყ ა ლ ი ც. ამ შემთხვევაში ეს სიტყვა დაიშლება ასე: ს ა-ნ ა-წ ყ ა ლ-ი. აქ უკვე ძირი „წყალ“ არის. სახელი შერქმეულ უნდა იყოს შარდისაგან. სა-შარდე ადგილი (შდრ. ნაწყლი — ნაწყალი). ეს მეორე ახსნა უფრო დამაჯერებელი ჩანს.

ენებითი გვარის მიმღეობის ნა თავსართით და —ულ ბოლოსართით (რაც სალიტერატურო ქართულში არ გვხვდება), წარმოქმნილია გ ა ნ ა რ ჩ ე უ ლ ო ბ ა. „შენ გ ა ნ ა რ ჩ ე უ ლ ო ბ ა ნუ გაქ, ორივე შენი შეილიშვილია“. მიმღეობის ფორმა გ ა ნ ა რ ჩ ე უ ლ ი ცალკე არ გამოიგია, მაგრამ —ო ბ ა ბოლოსართით კი იხმარება (ეს სიტყვა ასე იშლება გა-ნა-რჩ-ევ-ულ-ობა → განარჩეულობა).

ნ ა — თავსართია ან ნა-ურ თავსართ-ბოლოსართით ნაწარმოებიან ნ ა ბ ა გ ი / ნ ა ბ ა გ უ რ ი (შდრ. სალიტერატურო ნორმა ნაბაგარი // /; ნაბაგევი). „იეგ ჯორები (ვირები) ნ ა ბ ა გ უ რ ი თ ა ც გამოვლენ ზამთარში“. „ნ ა ბ ა გ ი ამოიღე და ჯორს ჩაუყარე“...

სიტყვაწარმოების ბოლოსართებიდან საკმაოდ პროდუქციულია —ობა. იგი აწარმოებს აბსტრაქტულ სახელებს მეტყველების სხვადასხვა ნაწილებისაგან. მაგალითები: შ ე ყ ვ ა რ ე ბ უ ლ ო ბ ა, შ ი შ ო ბ ა, ო მ ო ბ ა, აქავრობა, ჩაცმობა, ქეიფობა, ჩემოდნობა, ერთათობა (ოჯახი გაყრამდე), ხელმრუდობა (-ქურდობა), ქერობა, დოლობა...

—ობა სუფიქსით ნაწარმოებ სახელებს ხშირად კონკრეტული მნიშვნელობა მოეპოვებათ. ისინი კრებითობაზე მიგვიითებენ. მაგალითები: ბიჭობა, გოგობა, ქათმობა, წიწილობა, ქალობა...

ა სუფიქსის ძირითადი ფუნქცია კინოზობითობის გამოხატვაა. სალიტერატურო ენაში ეს ფუნქცია ა-ს დაკარგული აქვს, მაგრამ დიალექტებში მეტნაკლებად ჯერ კიდევ დაცულია ძველი მნიშვნელობა. ჯავახურშიც გვხვდება ისეთი ფორმები, რომლებშიც ა კინოზობითობის გაზომნატველია.

მაგალითები: კუტა (მეტსახელი), წიპა, ღიპა, ცხვირა (დიდი ცხვირის მქონე)... საკუთარ სახელებში: გიორგაი, საბედაი, პეტაი, ზურაბაი...

უფრო ხშირია შემთხვევები, როცა ა-ს ახალი ფუნქცია უკისრია და ზოგჯერ მასუბსტანტივებელი ბოლოსართიც გამხდარა<sup>1</sup>.

ადგილ-მდებარეობის სახელთა უმრავლესობას ა სუფიქსი აწარმოებს. მაგალითები: გინოლა (ადგილი, სადაც გნოლი ბუდობს), ნაენება, ჩამხობელა, საწველელა, საგუბარა, ქვათფორა, დაკიდულა, გამოკირულა... იდაყვა, ღურბელა, ოსერა, საბძელა, კეკმანა, ბათმანა...

ზოგ შემთხვევაში ა სუფიქსის ფუნქცია გამოუცნობია. იგი, ერთი შეხედვით, მსგავსებას, ქონებას, უქონლობას, ნაკლს... უნდა გამოხატავდეს, მაგრამ დაბეჭივით ამის თქმა ჭირს.

მ ც ე ნ ა რ ე თ ა ს ა ხ ე ლ ე ბ შ ი : მატკელა, კორკოტინა, ნაცარქათამა, ლენცოფა, ფამფარა, ქანგა, პატპატა, ქუთუთა, წუწუნელა, მეთუნა, სატესელა, ატოლა (//ატოლი), უცვეთელა, საკმელა, აკრაჭუქრა...

ხ ი ლ ი ს ს ა ხ ე ლ ე ბ შ ი : ხეიწა, კურცხულა, აქარულა, წითელგვერდა, ყარამფილა, ქვამსხალა, ნაბადა, თეთრა, ქაშა, შაქარა, სობა//სეება, თუთქულა...

შ ე კ ა მ ა ნ დ თ ა და ნ ა მ ც ხ ე ა რ თ ა ს ა ხ ე ლ ე ბ შ ი : ძიკორკოტა (-რძისკორკოტა), წყალკორკოტა, ძიფუა (-რძის ფუა), ყაურმელა, დიკორკოტა, ფუნთუშა, ხარიქედა, ორმუა, ბასილა...

ც ხ ო ვ ე ლ თ ა და ფ რ ი ნ ვ ე ლ თ ა ს ა ხ ე ლ ე ბ შ ი : ღვინაი, ბრინჯაი, წვერაი, ქუჩაი, ყელქედანაი, პუნწკლაი, მტრედაი, ნაფოტა, ციმორა, მურწა, ღვანა, ლურჯა (ბოლო ხუთი სახელი თევზის სახეობისაა).

ა დ ა მ ი ა ნ თ ა მ ე ტ. ს ა ხ ე ლ ე ბ შ ი (რაიმე ხინჯის მიხედვით): ჩანგა, ყბაჩუა, ტუჩა, თითა, ხჩინა, კიჭა, ღრიალა, ბუტია, ტყვლა, ქოლა, კბილკარა, ქევალა, ლაჭაჭა, ცხვირხრიქა, ჯანა...

დ ა ნ ი შ ნ უ ლ ე ბ ი ს ა ღ მ ნ ი შ ე ნ ე ლ ს ა ხ ე ლ ე ბ შ ი : სატყეპელა (ჯოხი,) საქანელა (თოკი), საღღებელა, სარეკელა (//პირიკა), საბანელა...

ს ა დ ა უ . რ ო ბ ი ს ა ღ მ ნ ი შ ე ნ ე ლ ს ა ხ ე ლ ე ბ შ ი : ჩუნჩხულა (-ჭალი ჩუნჩხიდან გათხოვილი — ჩუნჩხულ ბეჭეი), ქუნცულა (-ქალი ქუნციდან გათხოვილი -ქუნცულ ბეჭეი), ჯავახულა (დიდი ურემი ბჯისა), კორხულა (-ულაქო თიხის დიდი ჯამი)...

<sup>1</sup> ა ლ . მ ა ნ ჯ ა ლ ა ძ ე , ა ხმოვანზე დასრულებული ზოგი სახელის ფუძის აგებულებისათვის ქართულში, სახელის ბრუნვის ისტორიისათვის ქართველურ ენებში, 1. თბილისი, 1956, გვ. 171—186.

პირველ ორ მაგალითში (ჩუენჩხულა, ქუნცულა) ძნელია იმის თქმა, რომ ა-ს სადაურობის აღმნიშვნელი ფუნქცია ჰქონდეს, რადგან-ულ (-ურ) ბოლოსართი ერთვის და ა-ს გარეშეც გადმოსცემს სადაურობას<sup>1</sup>. ასევე ითქმის მეორე ორ სიტყვაზეც. განსხვავება ისაა, რომ „კ ო რ ხ უ ლ ა“ და „ჯ ა ვ ა ხ უ ლ ა“ არაადაამიანის სადაურობას გვიჩვენებს.

-ურ სუფიქსით ნაწარმოები ფორმები იხმარება ადგილმდებარეობის აღმნიშვნელ სახელებად. ქვემოთ მოყვანილ მაგალითებში -ურ სადაურობაზე მიგვითითებს, კერძოდ გვიჩვენებს იმას, თუ პირველად ვის ეკუთვნოდა ეს ადგილ-მამული.

მაგალითები: ქუნცული, კობარულა, ვარძელაური, ბულუტაური, ბარალული, დათანაური, კილალაური, აღნეური, ალაგური, დანკლული...

„ფ ი ქ ლ უ რ ი“ და „რ უ ს ხ მ უ ლ ი ც“ ადგილ-მდებარეობის სახელებია, მაგრამ აქ -ურ სადაურობის აღმნიშვნელი არ არის. პირველში სიტყვაწარმოების სუფიქსია, მეორეში — ვნებითის მიმღეობისა.

ა დ გ ი ლ-მ დ ე ბ ა რ ე ო ბ ი ს სახელებს აწარმოებს -ობ, -ეულ. ნარ(//ნალ) ს უ ფ ი ქ ს ე ბ ი. მაგალითები: მლაშობი (-მლაშე ადგილი), თეთნობი, ვედრეული, ბრაწნალი (← ბროწნარი), ვერხენელი (-ვერხენალი ← ვერხენარი), ლოდრანა (-ლოდნარი), კოჭრანა (-კოჭნარი)...

ერთ-ერთ მაგალითში (პარტიონი) -ულ სუფიქსის მაგიერ გამოყენებულია -ი ო ნ<sup>2</sup>. „პ ა რ ტ ი ო ნ ი ხუარა ხარო?“ (მკითხა მთქმელმა). ეს სუფიქსი უძველესია, რომელიც სადაურობის მაწარმოებლად ახლაც იხმარება ხევსურულში<sup>3</sup>.

სა — თავსართითა და -ე, ო, -ა ვ, -ულ ბოლოსართებითაც ხშირია ადგილ-მდებარეობის აღმნიშვნელი სახელების წარმოების ნიმუშე-

<sup>1</sup> ადამიანთა სადაურობის აღმნიშვნელად კახურში სახელებს ერთვის ურ (-ულ) სუფიქსი, ასეთივე მდგომარეობაა ფშაურშიც. იხ. ა რ. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი, გ რ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ქართული ენის კახური დიალექტი, გვ. 114.

<sup>2</sup> „პარტიონი“ ფორმა პარტიელის (-პარტიელის) მაგიერ იხმარა 97 წლის „მოხუცმა ქალმა, რომელიც ყველაზე ხნიერად ითვლებოდა ჯავახეთში (1957 წელს)“. მას ყველაზე უკეთ შეუძენახა ჯავახური მეტყველებისათვის ნიშანდობლივი თავისებურებანი. იგი ადგილობრუიცაა.

<sup>3</sup> ა კ ა კ ი შ ა ნ ი ძ ე, ქართული კილოები მთაში, ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, გვ. 18.



ბი: სათისე, საკირე, საგოდრე, საყევარი, სამყინვარო, სამენახირო, საყარაულო. სანძლო, საკილყევო, სალერწიმო, საგორავი, საგუ-  
ბარა, საფერავი, სართაული...

წინავითარების სახელების წარმოების მაგალითებიც გვხვდება: ნავენასალი, ნავარძიები, ნაეკლარი, ნასოფლარი, ნაზერევი, ნაფუზრები, ნატბუურები, ნაქონრები, ნაოხრალი, ნაქალაქევი...

-ებ მრავლობითობის ბოლოსართი უფრო მოქმედია სხვა მაწარმოებელთა შორის. იგი თავს იჩენს როგორც მარტივ სიტყვებში, ისე კომპოზიტებშიც. მაგალითები: სამქვაბები, ქიები, ტბები, სერებები (ორმაგი-ებ). თავკალუები, თეთროლები, ძერიბუდიები, სამგორიები, ხარისაწოლები...

გეოგრაფიული სახელებია აგრეთვე: პირიქითი, ნარმანი, ალანძია,<sup>1</sup> ღამპალო, ლონდი<sup>2</sup>.

მე. კომპოზიტები. გამოყენებულია კომპოზიტების შედგენის სხვადასხვა ხერხი. ესაა მარტივი გაორკეცება ფუძისა ხმოვნის შენაცვლებით და გაორკეცება თანხმოვნის მონაცვლეობით.

მარტივი გაორკეცების მაგალითებია: პატპატი, ზურზური, ძუგძუგი, ფუთფუთი... ხმოვნის მონაცვლეობით: ხიბა-სუბა, სამა-სუმა, ჩვარი-ჩური, აქრა-ქუქრა, კაწი-კუწი, ბრასტა-ბრუსტი...

ხმოვანი უცვლელია, მაგრამ თავკიდური თანხმოვანი მანით იცვლება, ხოლო ხმოვნით დაწყებულს კვლავ მანი დაერთვის:

მაგალითები: გოდორ-მოდორი, ხარი-მარი, პური-მური, უღელ-მუღელი, ასაკრავ-მასაკრავი, ორმო-მორმო...

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, რომ ასეთი ფორმები შექმნილია უფრო უცხოური გავლენით. იგი ქართულ ნიადაგზე არ უნდა იყოს განვითარებული<sup>3</sup>.

ჯავახურისათვის დამახასიათებელია მეტყველების სხვადასხვა ნაწილთა ფუძეებისაგან შემდგარი სახეები კომპოზიციისა. რიგ შემთხვევაში ბრუნვის ნიშანი დაკარგულია მთლიანად, ზედსართავი სახელია მსაზღვრელად. სახელი ოდენ ფუძის ფორმითაა

<sup>1</sup> ალანძია, ვარძია, ტანძია, ანძისი (შოსლოდნელი იყო ანძია, როგორც გვაქვს აფსია და აფნისი, ანძისი სოფელია ცხინვალის რაიონში.) ოთხივე სიტყვაში გამოიყოფა ძია. ეს ფორმა უნდა დაეშალოთ: ძი-ა. ა მაწარმოებელია ძი-ა უნდა ნიშნავდეს გეოგრაფიულ ტერმინს. გვაქვს წყორ-ძა, ბან-ძა, ბრე-ძა.

<sup>2</sup> ლონდი გეოგრაფიული სახელია, მაგრამ გვაქვს გვარი ლონდარიძე. და სახელი ლონდა, რომელიც კავშირში უნდა იყოს ამ გეოგრაფიულ სახელთან.

<sup>3</sup> ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 154. § 184.

წარმოდგენილი. მაგალითები: დამპალქალა, დიდვაკე, ობოლგორა, ჭიანგორა, ჩალიანტა, თიულქალა, გაქრილქარაფი, თეთრლოდები... ქეცხელა, ქეთეთრა (ამ ფორმებში პოსპოზიციური წყობაა).

მ ა რ თ უ ლ ი მ ს ა ზ დ ვ რ უ ლ ი ბ რ უ ნ ვ ი ს ნ ი შ ნ ი ს ე უ ლ ხ მ ო ვ ა ნ ს თითქმის ყოველთვის იკვეცს. მაგალითები: მზიპირი, საგორავიძირი, გიგლაჰა, დაღიასერი, ქორსატეველა, პინეტკარი, უკანტაფა, ბეჯოლარები...

ზოგი კომპოზიტი ისეა შერწყმული, რომ შემადგენელ ნაწილებად დაშლა ჭირს. მაგალითად, პინეტკარი, საბუხვევი, ბეჯოლარები. პირველ ფორმაში „პ ი ნ ე თ“ უნდა იყოს, რაც ხიზბავრული გაფორმებაა წარმომავლობის სახელისა და ნიშნავს „პ ი ნ ე ე თ კ ა რ ი“. მეორე მაგალითში ნათესაობითის ს ა ნ ი დაკარგულა. უნდა ყოფილიყო „ს ა ბ უ ს ხ ე ვ ი“, ხოლო მესამე კი ასე დაიშლება — „ბ ე ყ ო ს ლ ა რ ე ბ ი“.

მწ. გვარის განაყოფთა სახელების წარმოება. ეს საკითხი რთული და საინტერესოა. იგი ორგანულ კავშირშია მრავლობითი რიცხვის გადმოცემასთან, საერთოდ, და გეოგრაფიული სახელების წარმოებასთან, კერძოდ. აქ მოკლედ განვიხილავთ მას. დეტალური განხილვისათვის საჭიროა მონაგრაფიული კვლევა არა ერთი დიალექტის მიხედვით, არამედ ყველა დიალექტური მონაცემების გათვალისწინებით.

ქართველურ ენებში ფართოდ გავრცელებული -ან სუფიქსი (თავისი ფონეტიკური ვარიანტებით) არის რამდენიმე, ურთიერთ შორის მჭიდროდ დაკავშირებულა, მნაშენელობისა-კრებათაობის, მრავლობათაობის, რაიმე თვისების ქონების, წარმოშობა-სადაურობის, ტოპონიმიკური და სხვა.

-ან სუფიქსის მნიშვნელობათაგან ჩვენთვის საინტერესოა კრებითობა, წარმოშობა-სადაურობა და ტოპონიმიკურობა. -ან ბოლოსართი თანხმოვანზე გათავებულ ფუძეს დაერთვის სახეუცვლელად, მაგრამ ა, ი, ე, ო, უ ხმოვნებით დაბოლოებულ ფუძეზე დაერთვისას თავს იჩენს -ან სუფიქსის ვარიანტები.

განსვენებული აკად. ს. ჯ ა ნ ა შ ი ა ამ სუფიქსის პირვანდელ ფუნქციას კრებითობის გამოხატვაში ხედავდა. ეს მნაშენელობა ამ ფორმანტისა ნათლად არის წარმოდგენილი ქართველურ გვარსახელებში, რომელთაც სათანადო დაბოლოება მოეპოვებათ. გვარსახელების ეს დაბოლოება თავდაპირველად გავრცელებული უნდა ყოფილიყო ყველა ქართველ ტომში, ხოლო ქართველურ პატრონიმიკულ მორფოლოგიაში იგი ერთი ყველაზე ადრინდელი მოვლენათაგანია.

დროთა ვითარებაში ეს ფორმა ზოგ ქართველურ ტომში დასუსტდა, ზოგან თითქმის მთლად დაიკარგა. ყველაზე კარგად ამჟამად სეანერშია დაცული<sup>1</sup>.

ჯავახურში ამ სუფიქსის ადრინდელი მნიშვნელობა შემონახულია გვარის განაყოფთა სახელებში. -ან სუფიქსი განაყოფთა აღმნიშვნელო სახელებს სხვადასხვა ვარიანტებით დაერთვის: -ა + ან, -ი + ენ, -ე + ენ, -ო + ონ, არ ჩანს -უ + უნ. მაგალითები:

გვარი, გვარეულობა, კუთვნილება, ადგილის აღნიშვნა: თოთაძე-ები, თამაზაანი, თამაზაანთი, თამაზაანცა; გურგენიძეები, მოსყენი, მოსყენთი, მოსყენცა; ჭონიშვილები, ჭონენი, ჭონინთი, ჭონინცა; დიასამიძეები, ნამოონა, ნამოონთი, ნამოონცა.

ა + ან, ი + ან გვარის განაყოფთა სახელების მაწარმოებლად გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოს ყველა კუთხეში.

ი ან ფორმიანი სახელები ნაკლებადაა გავრცელებული დასავლეთ საქართველოში. იგი მხოლოდ მთის რაქას გააჩნია. აქვე დასტურდება -ე + ენ ვარიანტი<sup>2</sup>.

-ენ, -ეთ გვარის წარმოებისას მრავლობითობის აღსანიშნავად დღეს დაცული აქვს აგრეთვე მოხეურს<sup>3</sup>. ძველ საქართველოში -ეთ სუფიქსი მსაზღვრელ საკუთარ საგვაროვნო სახელებს ერთგოდა და გვარების ფუნქციით იხმარებოდა (ლიპარტეთ, ვახტანგეთ...), ხოლო შემდეგ ამ საგვარეულოს გეოგრაფიულ სახელებად ქცეულან<sup>4</sup>. ეს პროცესი, საგვარეულო სახელების ქცევა გეოგრაფიულ სახელებად, უკვე მე-11 საუკუნისათვის ყოფილა ცნობილი. მ. ბროსეს რაქაში, სიფ. გლოლის წარწერაში ამოუკითხავს სიტყვა დავითეთ, რომელიც ნაშნავს დავითის შთამომავალს.

ო + ონ ვარიანტი გააჩნია მესხურსაც. უნდა აღინიშნოს, რომ

<sup>1</sup> ს. ჯანაშია, „ტებალ-თაბალი, ტიბერანი, იბერი“, ენაქის მოამბე. 1, ტფილისი, 1937, გვ. 211.

<sup>2</sup> თამაზანცა, მოსყენცა და მსგავსი ფორმები წარმოქმნილა თამაზაანთა, მოსყენთა... ფორმათაგან. თ-ის გვამლევს აფრიატოზაისის საფუძველზე ც-ს. ამის შესახებ იხ. ფონეტიკური ნაწილი.

<sup>3</sup> ს. ჯანაშია, „ტებალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი“, გვ. 213.

<sup>4</sup> ი. ნოტიკაშვილი, სახელთა მრავლობითობის სუფიქსებისათვის მახეურში (თეზისეზ), თსუ სტუდენტთა XIX საკენიერო კონფერენცია, თბილისი, გვ. 98-99.

<sup>5</sup> ვ. დონდუა, „ლიპარტეთ“-ისა და ანალოგიური ყორმის გვარ-სახელებსათვის ქართულ ისტორიულ წყაროებში, სტალინის სახ. თბ. სახ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. XXXIII, 1948 წ.

აღნიშნული ყველა ვარიანტი -ან სუფიქსისა იხმარება ჯავახურთან ერთად მესხურშიც<sup>1</sup>.

როგორ მივიღეთ ეს ნაირსახეობანი?

-ა + ან ვარიანტის წარმოშობის შესახებ არსებობს აზრი, რომ ა ხმოვანზე გათავებულ სახელებს დაერთო -იან სუფიქსი, ი ელემენტი დასუსტდა და დაიკარგა<sup>2</sup>. (მაგ.: თამაზიანი, ოთარიანი...).

ანალოგიური მდგომარეობა უნდა გვქონდეს -ე და -ო ხმოვნებზე დაბოლოებულ სახელებთანაც. ი-ს დასუსტებას მოსდევს ფუძისეული ხმოვნისაგან სუფიქსისეულის დამსგავსება და ვიღებთ ასეთ სურათს: ეგნატე +იანი -ეგნატეანი -ეგნატეენი, შიო -ი იანი — შიოანი — შიოონი.

საიდან უნდა მიგვეღო — ი + ე ნ? გვაქვს ფორმები: პაპიუნი, გელიუნი პარალელურად პაპანისა და გელანისა. ფონეტიკური პროცესი რომ ყოფილიყო მიზეზი ასეთი ფორმის მიღებისა, მაშინ ყველგან უნდა გატარებულყო ეს წესი. ჩვენი აზრით, თავიდანვე — ი + ე ნ ვარიანტი უნდა ყოფილიყო.

ეს მოულოდნელიც არაა. -იან და -იენ ისეთივე ვარიანტებია, როგორც -იერ და იარ ქონების აღმნიშვნელი ბოლოსართებია (ბედნიარი, ძლიარი...<sup>3</sup>).

ასეა ჯავახეთის ყველა სოფელში, გარდა ხიზაბაურისა და ვარგავისა, ხიზაბაურაში, როცა სურთ საგვარეულოდან ვინმე დაასახელონ, გვარი-სახელის ფუძეს უშუალოდ დაურთავენ ირიბი ბრუნვების მრავლობითობის ბოლოსართს — თანს<sup>4</sup>. მაგალითები:

გვარი, გვარეულობა, კუთვნილება, ადგილი.

გელაშვილები, გელიენი, გელათი, გელაცა.

ხითარიშვილები, ალიენი/ალუენი, ალოთი, ალოცა.

ადეიშვილები, ადეენი, ადოთი, ადოცა.

შემაზაშვილები, ბერნადიენი, ბერნადეთი, ბერნადეცა.

<sup>1</sup> ი. შ ა ი ს უ რ ა ძ ე, ქართველურ გეართა წარმოების ზოგიერთი საკითხი, ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები ტ. XXII, გვ. 29—37.

<sup>2</sup> ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1953, გვ. 124.

<sup>3</sup> ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი, გვ. 213.

<sup>4</sup> დათათ სინოი (-დათაშვილი სინო), პაპათ მანაი (-პაპაშვილი მანა), ლეკოთ პეტეი (:ლეკიშვილი პეტრე), როცა ერთზე მეტი სურთ თქვან გეაროდან, ურთავენ მრავლობითობის ნარს: ლეკოთნი (ლეკიშვილები), პაპათნი (-პაპაშვილები), დათათნი (-დათაშვილები), თენოთნი (-თენოშვილები)...

თუ სახელი თანხმოვანფუძიანია, მაშინ მაწარმოებლად -ენ მოუღის როგორც კუთენილების გამოხატვისას, ისე ადგილის გადმოცემის დროს. მაგალითად, ხუციშვილი, ხუციენი, ხუციენთი, ხუციენცა, -ათ და -ეთ მაწარმოებელი გვარებში აქვს თუშურს<sup>1</sup>. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოხეჯრს -ენ და -ეთ გააჩნია.

აღრე ხიზაბავრაში გვარები იწარმოებოდა ამ სუფიქსებით, მაგალითად, ცნობილი ისტორიკოსი და საეკლესიო მოღვაწე მ ი ქ ე ლ თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი იწერებოდა მ ი ქ ე ლ თ ა მ ა რ ა თ ა დ, ასევე იყო სხვა საგვარეულოშიც: ბაღდოთი, პაპათი, გელათი, დათათი და სხვა.

მთლიანი საქართველოს ტოპონიმთა გვიჩვენებს, რომ გვარებისაგან ნაწარმოებია უამრავი გეოგრაფიული სახელი. მაგალითად, ქართლში: მღებრიანი (-მღებრიშვილები), ციციგანთ კარი (ციციგები), მუმლანთკარი (-მუმლანძეები), ყველანთუბანი (-ყველაშვილები).. კ ა ხ ე თ შ ი: გურჯაანი (-გურჯინშვილები), ჯღაგანი (-ჯღელაშვილები, ჯღელი), მაჩხაანი (-მაჩხანელები), ქიკაანი (-ქიკაიძეები), კუჭატანი (-კუჭატნელები)... ფ შ ა ვ ს ა და ხ ე ვ ს უ რ ე თ შ ი: გოგოლაურთა (გოგოლაურები), ბუჩქურთა (-ბუჩქურები), მიგრიულთა (-მიგრიულები)... თ უ შ ე თ შ ი: კობიანთკარი (-კობიანშვილი), კარიულთკარი (-ყორიულთა), ჩუბინიანთკარი (-ჩუბინიშვილი, ჩუბინაშვილი, ჩუბინიძე), არბოეთი (-არბოლიშვილი), ბილოეთი (-ბილოძეები)...<sup>2</sup>

ქართველური ენებიდან — ათ ყველაზე მეტად ჰ ა ნ უ რ შ ი ა, საკმაოდაა მ ე გ რ უ ლ შ ი ც: კახათი, ზანათი, მახათი<sup>3</sup>... პაპათი, ნადირათი (შდრ. ჯავახეთის ნასოფლარი დევათი, ორივე სიტყვიდან გვაქვს გვარი ნადირაძე, ნადირაშვილი და დევაძე). პაპილათი (ჯავახეთში სოფ. ჩუნჩხის ახლოს არის პაპილაგონი — პაპილას გონი, ჩანს პაპილა საკუთარი სახელია ადამიანისა)... -ეთ, სულეთი, ჯამფეთი,

<sup>1</sup> უთურგათი (-უთურგაიძე), შველათ კოკაურ (-შველაიძე კოკაური), ბუქურათ ქალი (-ბუქურაძის ქალი)... იხ. ხალხური სიტყვიერება, ტ. I, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა, წიგნი 1, დამატება, გვ. 16.

<sup>2</sup> საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, თბილისი, 1966 წ., გვ. 143—295.

<sup>3</sup> ა. შ ა ნ ი ძ ე, -ევ კილოს კვალი საქართველოს გეოგრაფიულ სახელებში, გვ. 762.

ბლეთი<sup>1</sup>... გ უ რ ი ა შ ი: ტაბანათი, ჩოჩხათი, მამათი... ი მ ე რ ე თ-  
შ ი: გელათი, ცუცხვათი<sup>2</sup>... ქინძათი, გორათი (სურამის წყალ-  
ზე), გრივალათი (ხეფნის ხევი), მუხათი (ასურეთის ხევი)... ით: მო-  
ლითი, ქოლითი (ჯავახეთი) -ო + თ სუფიქსით ნაწარმოები გეოგრა-  
ფიული სახელები გვაქვს მანგლისის ხევში: ელოთი, ახოთი... ტანის  
ხეობაში: ორმოთი; გუჯარეთის ხეობაში: ქოლოთი, ელოთი; პატარა  
ლიახზე: ბელოთი ... უ + თ: კვაცხუთი (ენისელში), გუგუთი (გო-  
რის რაიონი), უხუთი (იმერეთი) და სხვ.<sup>3</sup>

დასასრულ, უნდა შევეხოთ გეოგრაფიული სახელების -ათ, -ეთ,  
-ოთ, -უთ სუფიქსთა წარმოშობას -აანთ, -იენთ, -ოონთ, -უუნთ რთულ  
სუფიქსების გავლით. ფონეტიკური სქემები ასეთია: იანთ → აანთ →  
→ ანთ → ათ; -იანთ → იენთ → ეენთ → ეეთ → ეთ; -იანთ →  
→ იენთ → ინთ → ი თ; -ოიანთ → ოანთ → ონთ → ოთ<sup>4</sup>.

როგორც დავინახეთ, -ათ, -ეთ, -ოთ, უთ (აგრეთვე -ით, რომელიც  
ჯავახურ ტოპონიმიკაში ორჯერ დასტურდება მოლითი და ქოლითი)  
სუფიქსიანი გეოგრაფიული სახელები გვარის განაყოფთა სახელები-  
საგან უნდა წარმომდგარიყო. სოფელს ან დაბას დარქმევია მცხოვრებ-  
თა გვარის სახელი, მაგალითად, გელაშვილების საცხოვრებელს —  
გელათი, პაპაშვილებისას — პაპათი და სხვა.

შემდეგ ანალოგიით უნდა შექმნილიყო ამ სუფიქსების დართვით  
ცხოველთა, მცენარეთა და სხვა საგანთა სახელებისაგან გეოგრაფიული  
სახელები. მაგალითად, მუხათი, დევათი, ალგეთი/ალგითი, არადეთი,  
არგვეთი, არუთა ბაბოთი, ბალანთა, ბატეთი, ბახიოთი, ბელეთი,  
მზითა<sup>5</sup>...

განხილული მასალა გვიჩვენებს, რომ ჯავახურში (ასევეა მესხურ-  
შიც) გვარის განაყოფთა სახელების მაწარმოებელი სუფიქსებია: იან →  
→ ა + ან, -ე + ენ, -ი + ენ, -ო + ონ და -ათ, -ეთ, -ოთ.

ამ სუფიქსებში შემავეალი თანხმოვნები ნ და თ მრავლობითობას  
გადმოსცემენ სახელებსა და ზმნებში. ზმნის ბოლოსართი ნ ზმნებში

<sup>1</sup> Н. Я. Марр, Из поездки в Турецкий Лазистан, СИБ 1910, ст. 609—615.

<sup>2</sup> ა. შ ა ნ ი ძ ე, „-ეე კოლოს კვალი...“, გვ. 762.

<sup>3</sup> ე ა ხ უ შ ტ ი ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა,  
1941 წ. (წიგნის ბოლოს დართულია სოფელთა სახელწოდებანი).

<sup>4</sup> ი ლ. შ ა ი ს უ რ ა ძ ე, ქართველურ გვართა წარმოების ზოგიერთი სა-  
კითხი, გვ. 29—37.

<sup>5</sup> საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, გვ. 171—189.

ხმოვნითაც გვხვდება და უხმოვნოდაც. ხოლო სახელებში — მხოლოდ უხმოვნოდ. თ მრავლობითობის ბოლოსართი, რომელიც -ელ სუფიქსისაგან მომდინარედაა მიჩნეული<sup>1</sup>, ზმნებში უხმოვნოდ იხმარება, მაგრამ სახელებში გვხვდება როგორც ხმოვნით, ისე უხმოვნოდ.

გეოგრაფიულ სახელებშიც დადასტურებულია იგივე სუფიქსები. სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებულია მოსაზრება, რომ -თ(ა) და -ეთ სუფიქსები მსგავსია არა მარტო ფინეტიკურად, არამედ მორფოლოგიური ფუნქციითაც<sup>2</sup>. მაგალითად, გეოგრაფიული სახელები ჯ ა ვ ა ხ ე თ ი და ჯ ა ვ ა ხ თ ა. მსგავსი მაგალითია ჯავახეთის ტოპონიმიკაშივე: ვ ა რ ნ ე თ ი (← ვარანეთი) და ვ ა რ ა ნ ტ ა (← ვარანთა). სხვა მაგალითები -თა: ღართა, ბალანთა, ალანთა, თოლურთა (-თორელთა, შდრ. თორია, თორი)... ეთ: დარანეთი, ბარალეთი, მურჯახეთი, იფნეთი, გოგაეთი // გოგაითი, კორუშეთი...

პარალელური ფორმები: გოგაეთი // გოგაითი, როკეთი // როკითი, ალგეთი // ალგითი, ბალანთა // ბალანთი, დავაეთი // დავაითი, ვანათი // ვანეთი // ვანთა, კოკა // კოკაითა // კოკაითი, ლიხნი // ლიხეთი, ნაი // ნანაიანი // ნაიეთი, უხათი // უხუთი, ქორეთი // ქორთა, ხეთი // ხეთი, ხორითი // ხორეთი, // ხორენია, ხური // ხურითა // ხურითი // ხურუთი // ხურთისი, ჯუმათი // ჯუმითი // ჯუმი // ჯუმუშაური...<sup>3</sup>, რომლებიც საქართველოს მრავალფეროვან ტოპონიმიკაში ხშირად გვხვდება, ერთხელ კიდევ ადასტურებს ამ სუფიქსთა ნათესაობას როგორც ფინეტიკურად, ისე მორფოლოგიურად. ამასთანავე ჯავახურში „თ ა ვ ი ა ნ თ ი“ კუთვნილებითი ნაცვალსახელი იხმარება ორი ფორმით: „თ ა ვ ე თ ი“ და „თ ა ვ ი თ ი“. ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ ზოგან ი ხმოვანი ფუძისეული უნდა იყოს, როგორც სხვა ხმოვნებია.

როგორც ზემოთ დავინახეთ, აღმოსავლეთ საქართველოს ტოპონიმიკაში ხშირად გვარის აღმნიშვნელი სახელები სოფლების სახელოდებად არის გამოყენებული.

<sup>1</sup> ა რ ნ. ჩ ი ქ ბ ა ვ ა, მრავლობითობის აღნიშვნის ძირითადი პრინციპებისათვის ქართული ზმნის უღვლილების სისტემაში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, 1, 1946, გვ. 121.

<sup>2</sup> ვ. თ ო ფ უ რ ი ა, გეოგრაფიულ სახელთა -თა სუფიქსისათვის ქართულში, სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, 1, გვ. 186—188.

<sup>3</sup> საქართველოს სსრ აღმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, გვ. 171—296.

37. ჯავახეთის გეოგრაფიულ სახელთა წარმოება<sup>1</sup>. ისტორიულად ჯავახეთი მეტ ტერიტორიას შეიცავდა, ვიდრე დღეს არის (იხ. შესავალი). აქ ჩვენ განვიხილავთ მისი ისტორიულად კუთვნილი ტერიტორიის გეოგრაფიულ სახელებს. განხილვისას დავეყრდნობით „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარს“, რომელიც შეუდგენიათ თურქებს თავიანთი დამკვიდრების პირველ ათეულ წლებში, კერძოდ, 1595 წელს.

ამ დავთარში მოხსენებულ სოფელთაგან ბევრი დღეს ნასოფლარია და სახელიც არ იცის მოსახლეობამ. რიგი სახელებისა არც დავთარშია და არც ხალხმა იცის, გარდა ზოგიერთი ღრმა მოხუცისა. ჩვენ აღვწესებთ ყველა სახელწოდება, როგორც კი შესაძლებელი იყო.

დღესაც ჩემი მშობლიური სოფლის (ჩუნჩხის) ახლოს არსებობს უძველესი ნანგრევები სოფლისა, რომლის სახელწოდება ვერც ერთი ღრმა მოხუცისაგან ვერ შევიტყვე.

სოფელთა და ნასოფლართა სახელები დალაგებულია იმის მიხედვით, თუ სახელის ფუძეს რა მაწარმოებელი ერთვის. ზოგ სახელწოდებას მაწარმოებელი შეხორცება, კირს მისი გამოყოფა, ზოგან სუფიქსის პირვანდელი მნიშვნელობა გამჭრალა.

მაწარმოებელთაგან ხშირია ასეთი სუფიქსები: -ა, -იან, -ანა, -ია, -ოვან, -ონ, -თა, -ობ, -ეთ, -ით, -იხი, -ო და სხვა.

კნინობითობის ა-ს შეუძენია გეოგრაფიული სახელების მაწარმოებელი სუფიქსის ფუნქცია. აი ასეთ სოფელთა სახელები: ორგორა, ინთორა, ოშორა, ინწყორა, იღუმალა, ინდუსა, აგარა, ასკილვანა (-ასკილოვანა), დამალა (// ტამალა), ერკოტა, ღამზა, წყალთბილა, შორეთა, ახტილა // იხტილა (შდრ. ახტალა, ახატანი, ახატელი ღუშეთსა და თელავის რაიონებში), ხარაბა, საგუვლა (-საგუვალა), აგანა, ჯანჯლა (შდრ. გვარი ჯანჯლავა), ღრტილა, დევა (ახლა დევათი), შოლა, აზმანა, მამზურა, ნიალა, გელციხა, ძურძნა // ზურზუნა, სხვარა (თუ ცხვარა), ჯარჯა, ვარდმანა, ალვანა (შდრ. ალვანი), ღაღალა (არის ღაღოც), ოხორა (ქან. ოხორი), ყორანა, ანაღურა, მოდევა, დირქნალი, არაგვა.

ა ბოლოსართის ფუნქცია დაბნელებულია შემდეგ გეოგრაფიულ სახელებში:

ოთა (თუ ორთა), წყორძა (შდრ. ბანძა—გეგეჰკორის რ., ბლორძა აწყურის მახლობლად, ბრეძა — ქარელისა), ოხომა, პრტენა (-პერტე-

<sup>1</sup> ჯავახეთის გეოგრაფიულ სახელებთან ერთად განვიხილავთ აგრეთვე საცხის იმ სოფელთა გეოგრაფიულ სახელებსაც, რომლებიც ჯავახეთის ისტორიული ტერიტორიის სიახლოვეს არის განლაგებული.



ნა — პერეთენა, შდრ. პერევი და მეგრული გვარი პერტენავა), ალჭუა, კვარშა (შდრ. ნასოფლარი კორუმეთი გოკიოსთან აქედან გვარი კოროშინაძე), ხიზაბავრა, აწკუტა (აძვიტა, აწყვიტა, ხალხური ეტიმოლოგია ზმნა „აწყვიტას“ უკავშირებს), ცხეკნელა (ხალხური ეტიმოლოგიით ცხენს კლავდნენო — და დაეჭვა ცხენკნელა. მაგრამ საეჭვოა ასეთი განმარტება. უფრო სიმართლესთან ახლო იქნებოდა „ცხეკელა“ ნ-ს გადასმით. აქედან ცხენისკელი — ცხენისნაკელი, ხოლო მეორე გაგებით — ცხენკოქლა — კელიობა ძველი ქართულით კოქლობას ნიშნავდა), დილცქა//დილიცქა (-დილისკარი, ახლაც ეძახიან დილისკა-ს. დილით ამოსული მზე მთელ სოფელს ანათებს)<sup>1</sup>, ქუნცა (-უნდა ყოფილიყო გუნცა. აქედან გვარი გუნცაძე), ბლანა (თუ ბლენა — ბნელა), ნაისა<sup>2</sup>, ხიზა, დილიკა (ახლა დილიკე, სოფ. ქილდის მიდამოებშია, ეტიმოლოგიურად დილისკარიდან მოდის), ორჭუა (შდრ. ალჭუა)<sup>3</sup>, ზეოტა (უნდა იყოს ზეოთა, ოთა სოფელია), ბავრა (შდრ. სვან. ბავარა-ბოსელი, სოფელიც არის ლენტეხის რაიონში ბავარი, გვაქვს კომპოზიტის მეორე შემადგენელ ნაწილად ხიზაბავრაში, რომელაც ყველაზე დიდი ქართული სოფელია ჯავახეთში) ზარმა (იქნებ „ზარზმა“), ფოკა, ფოკანი ერინჯა, ფულა, ბორვა, გუგუბა//გვიგვიბა, ქუნცალა (შდრ. ქუნცა), გელსუნდა.

ა ბოლოსართის ფუნქცია ნათელია სახელებში: გელსუნდა (თუ გულსუნდა), ჭალა, ღრმა.

ი ა ნ // ა ნ ა // ა ნ ბოლოსართებით იწარმოება შემდეგი გეოგრაფიული სახელები: სარუხანი (იქნებ საროხანი, შდრ. სარო), ვარხანა (შდრ. ვარ-ევანი, ვარ-გავი, ვარ-ნეთი, ვარ-ანთა), მღრიანი, ვაჩიანი (შდრ. საკუთარი სახელი ვარაზ-ვაჩე და გვარი ვაჩეიშვილი — აქ იქნებოდა ძველად ვაჩეიშვილების სამყოფი-საცხოვრისი), გაჩიანი, მურჯიკანი (შდრ. მურჯი // მურჩი,

<sup>1</sup> დილცქა // დილიცქა ფონეტიკურ ნიადაგზე მიღებულია დილისკა და დილისკარისაგან. სანი და ქანი ენაცვლება ცინ-სა და კან-ს, ერთ ვარიანტში იყარება ნათესაობითი ბრუნვის ი—ც (დილცქა ← დილიცქა ← დილიცკა ← დილისკა ← დილისკარი). გვხვდება მეორე სოფელი დილიკა, რომელიც ასევე ამ გზით გამარტივებული უნდა იყოს.

<sup>2</sup> ნა-ის-ა-ამ ფორმაში ა ემფატიკური ხმოვანია ნათესაობითი ბრუნვისა. ეს ნასოფლარი სოფ. ჩუნჩხის ხრამში მდებარეობს, სადაც ბევრია ნალერწამი. ნ ა ი ს ა, ე. ი. ლ ე რ წ შ ი ს ა. ეს მოსაზრება ეკუთვნის ი. შ ა ი ს უ რ ა ძ ე ს. იხ. შილივე, ნაისა, ლიტერატურული საქართველო, თბილისი 1965, 11. XII.

<sup>3</sup> ორჭუა და ალჭუა ფორმები უნდა მოდიოდეს ორჭჭარი და ალჭჭარი სიტყვებიდან. არ(ი) მარცვლი დაკარგულა როგორც დილისკარი ქვეულა დილისკა-დ.

გვარი აქედან მურჯიკნელი. დღესდღეობით მურჯიკანი და მურჯიკნასოფლარებია), ყარყალანი (-უნდა იყოს ყარყარანი, სკ. სახელი ყარყარა, აქედან გვარი ყარყარაშვილი — ყარყარანი — ყარყარაშვილები), ხარიანი, მოდევანი (არის მოდევაც. საბასთან მოდევა ბალახის სახელია, შესაძლოა ამ ბალახის სიმრავლისაგან დაერქვა სახელად. შდრ. ჭინჭრობი, სადაც ბევრი ჭინჭარი ყოფილა), შოდრივანი (-ახლა შვიდრევანი // შვიდრევანტა), ვარევანი (შდრ. ვარ-გავი, ვარ-ნეთი // ვარანეთი, ვარა-ნტა // ვარანთა, ვარხანი — ხუთივე სიტყვაში გამოიყოფა ძირი „ვარ“), პატკანანი, განძანი (შდრ. განძი, საუნჯე) ღუმანნი (შდრ. ღმანისი // ღუმანისი), ფარენა (-ფარავანა შდრ. ტბა თა-ფარავანი, მდ. თა-ფარავანი), უქმანა (თუ „უქმანა“ ფორმას ვივარაუდებთ, მაშინ „უქმანა“ მოჩვენება უნდა იყოს, ხოლო თუ „უქმანად“ გავიგებთ, მაშინ უღროო, უჯამო უნდა იყოს), ავაზანა (იგივე აბაზანა, მონაცვლეობა ვ ი ნ ი ს ა და ბ ა ნ ი ს ა), ხელევანი, ოლდანი (შდრ. ოლოდა, ოლთისი ორივე გეოგრაფიული სახელია. ოლ-დ-ან-ი სიტყვიდან შესაძლოა ოლე ყოფილიყო ძირი, რაც ხე-ს ან ველთა შუა მოგრძო ტყეს ნიშნავს საბას განმარტებით), წახანი (შესაძლოა ძირია სიტყვისა. წახნაგი — წახნაკი), ვარდმანა, ალვანა (შდრ. ალვანი, გვარი ალავიძე), რატასანი (შდრ. საკუთარი სახელი რატი და გვარი რატი-შვილი), აზმანა საბას განმარტებით ორი წლის ცხვარია, იგივე ცხვარა, ცხვრიანი ადგილი, მართლაც მთის ძირას მდებარე კარგი სოფელია ოკამთან), მირაშხანი, ყევანი (თუ ყევარი — ორულელი ხარი?)<sup>1</sup>, ნარმანი (შდრ. გვარი ნარმანია).

ზემოთ ჩამოთვლილ სახელებში -იან// -ან -ანა სუფიქსი ფუძეს შეხორცება. აქ ისეთივე წარმოება უნდა იყოს, როგორც არის: ქავთარანი და ნადიბანი.

-ი ა ხ ე ბ ო ლ ო ვ დ ე ბ ა ა მ ს ო ფ ე ლ თ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ი: ალანძია (შდრ. ვარძია, ტანძია), ორხოფია (ეს სიტყვა დაიშლება ორნიარად ორხო-ფია. ორ-ხოფია, პირველი ოპერაციის დროს საძებნია, „ორხო“, ფია „სოფელია“, მაგრამ მისი მნიშვნელობაც არ ვიცით. მეორე ფორმაში „ორ“ რიცხვითი სახელია, ხოლო „ხოფა“ აკარაშია სოფელი), ფია (საბასთან ჩვილის შექამადი).

გოკია (ახლა გოკიო, შდრ. გვარი გოკიელი), კოთელია (შდრ. კოდა, აქ-ელ მაწარმოებელია, ხოლო დ ქეუულა თ-დ), მერონია (ახლა მე-

<sup>1</sup> ძალიან გულსატკენია, რომ ბევრი სოფლის სახელწოდება, მიუხედავად იმისა, რომ არაა გადასხვაფერებული, მინც დღევანდელი და ძველი ქართული ენითაც კი გაუგებარია. მაგალითად, ქართულ ენას არ შემოუნახავს სიტყვები: ყევანი, ფია, გრია, აფნია, გოკია, ახჩია, ცსია და მრავალი სხვა.

რენია, შდრ. მერეთი — ქართლში, მერენისი — ტაოში), ზერეონია, აფნია, ხოსპია (ახლა ხოსპიო), მაქალია (ახლა მაქატია), ოსკერია, ხორანია (ახლა ხორენია), ეშტიო//ეშტია, თორია (ახლა თორიო, შდრ. თორეღთა — თორეღების სამყოფელი), გრია, საკუდრია (?), ცხია, ვარძია, ახჩია, დუმელია (შდრ. იდუმალა).

გ ვ ა ქ ვ ს რ ა მ დ ე ნ ი მ ე ს ა ხ ე ლ ი — ვ ა ნ დ ა - ო ნ ს უ ფ ი ქ ს ე ბ ი თ ნ ა წ ა რ მ ო ე ბ ი, ზ ო გ ა ნ ვ ი ნ ი ა მ ო ლ ე ბ უ ლ ი ა: ასკილვანა (-ასკილოვანა), ქურდოვანი, კამაროანი, ხარეშოვანი (ამბობენ ხარეშევეანი), ქილვანა (-ქილოვანა), არაკონი — არაკვანი — არაგვანი, შდრ. მდინარე არაგვი, სოფ. ახალქალაქთან არაგვა, არაგვეთა, არაგვეთი ზესტაფონსა და საჩხერის რაიონში), ტრიბონი (თუ ტირიფონი?).

-თ (ა) — ს უ ფ ი ქ ს ი თ ი წ ა რ მ ო ე ბ ა: ყართა, ბოქთა, ოთა (ალბათ ორთა), ზეოტა (უნდა იყოს ზეოთა), თოლერთა (-თორეღთა მეტათეზისის გზით მიღებული ფორმა თორეღების სამყოფელი), ბალანთა, ალანთა (შდრ. გვარი ალანია), ურთა (შდრ. ურაველი)<sup>1</sup>, ჯოჯორთა, წერაკუნტა (-წერაკუნთა). ვარანტა (←ვარანთა, შდრ. ვარნეთი), ზართა (შდრ. გვარი ზარიძე), კარანთა (შდრ. გვარი კარანაძე), სხალთა, გუგათი (შდრ. გვარი გუგუშვილი და გეოგრაფიული სახელი გუგუთი), დევათი (შდრ. გვარი დევაძე), ჭორატი (-ჭორათი) აკარნათა. ბოლო ოთხ ფორმაში (აკარნათა, დევათი, გუგათი, ჭორათი) (-თ სუფიქსი ერთვის ხმოვნით დაბოლოებულ სახელის ფუძეს.

-ო ბ ი ა წ ა რ მ ო ე ბ ს რ ა მ დ ე ნ ი მ ე გ ე ო გ რ ა ფ ი უ ლ ს ა ხ ე ლ ს: ვაშლობი, ჭინჭრობი, თეთრობი, თეთნობი. ბოლო სამი ადგილის სახელია.

ყ ვ ე ლ ა ზ ე მ ე ტ ა დ - ე თ ს უ ფ ი ქ ს ი ა გ ა ვ რ ც ე ლ ე ბ უ ლ ი გ ე ო გ რ ა ფ ი უ ლ ი ს ა ხ ე ლ ე ბ ი ს მ ა წ ა რ მ ო ე ბ ლ ა დ: ოქოშეთი, ხევეთი, ხეოთი (თუ ხევეთი?), ქორეთი, მოზერეთი (მოზვერეთი თუ მოზვარეთი?), ჩოლეთი, ფანაკეთი, სარკეთი, თათალეთი, ქარზამეთი, ვარნეთი (შდრ. ვარანტა // ვარანთა), მამფუჩეთი, დანეთი (// დანიეთი), კარნეთი (შდრ. კარანთა და კარნუ ქალა-

<sup>1</sup> ყველაზე მეტად საინტერესოა ურ-თა. ეს სახელწოდება ზუმერთა უძველესი ქალაქის, ურის მოგვაგონებს. ძველ ქაჯახეთში, კერძოდ, ჩირდიღას ლივაში ჩანბახის რაიონში ორი სოფელია უ რ თ ა. ასევე ორი სოფელია უ რ თ ა ზუგდიდისა და ოჩამჩირის რაიონში, ზუგდიდთან გვაქვს უ რ ი ს მ თ ა ც. ეს ყველაფერი იმის მაუწყებელია, რომ ჩვენ წინაპრებს არ დაუკარგავთ თავიანთი უძველესი წინაპრების უძველესი ქალაქის სახელი უ რ ი.

ქი), მურჯახეთი (შდრ. მურჯი, მურჯიკანი, გვარი მურჯიკნელი), მელა-  
 გეთი, სავანეთი, მუზმარეთი, ბურნაშეთი, ბუზავეთი (ბზავეთი),  
 აზავრეთი<sup>1</sup>, დანიეთი, იფნეთი // იფნიეთი, სალოშეთი (ახლა შალო-  
 შეთი), კულილეთი, როკეთი, მაიკეთი, შორაშეთი, კამტიეთი, მამა-  
 ქიხეთი, ხიდურეთი, შორეთა, ტბეთი, ქობარეთი, ქაბოეთი, კორუშე-  
 თი // კოროშეთი (ნასოფლარია სოფ. გოკიოსთან), ანაკეთი, დარანე-  
 თი, ხორიკეთი, სავანეთი, საყავრეთი. ბოლო ორი მაგალითი (სავანეთი  
 და საყავრეთი) განეკუთვნება თავსართ-ბოლოსართიანი წარმოების  
 ნიმუშებს — სა-ეთ თავსართ-ბოლოსართით „ვან“ და „ყავარ“ ფუ-  
 ძეებიდან წარმოქმნილია გეოგრაფიული სახელები.

- ი თ ს უ ფ ი ქ ს ი ა წ ა რ მ ო ე ბ ს ო რ ს ა ხ ე ლ ს: მ ო -  
 ლ ი თ ი და ქ ო ლ ი თ ი. ნ ა ნ ა თ ე ს ა ო ბ ი თ ა რ ი ს ა ხ ე ლ ო -  
 ბ ი თ ი ს — ს ი მ ა წ ა რ მ ო ე ბ ე ლ ი ც ს ა კ მ ა ო დ გ ე ხ ვ დ ე -  
 ბ ა: უკანკლსი, ბარალსი (ახლანდელი ბარალეთი), ხუმრისი, ოძი-  
 სი, სესი (შდრ. გვარი სესაძე სოფ. ჩუნჩხაში სახლობენ), ტერნისი  
 ლეპისი (ახლა ლეპისი), ლელუსი, კოტასი, მერადისი (// მერედისი)  
 ჩაისი (ცაიში), ქვაქისი (ალბათ ქვამქსი?), ყანისი, პეტრისი, ქილისა  
 (შდრ. ქილდა), ნაისა (ამ ტოპონიმზე განმარტება იხ. ზემოთ), ო-ზე  
 და ბ ო ლ ო ე ბ უ ლ ი ს ა ხ ე ლ ე ბ ი ა: ჩორჩო (შდრ. ჩორჩანი  
 და გვარი ჩორჩანელი), ენპოლო, სარო, ფოზანო, კაჭიო, ხანდო, ეშ-  
 თიო (ახლა ეშტია), მახარო, ჩამარდო, დადო ბალხო, ხულგუმო, კუ-  
 მურდო (ძველად კუმურდა). რაც შეეხება სალამო, სამყარო და უდაბ-  
 ნო ფორმებში გვაქვს თავსართ-ბოლოსართიანი წარმოება, სა-ო  
 და უ-ო აფიქსებით წარმოქმნილია „ლა მ“, „მ ყ არ“ „და ბ ა ნ“  
 ფუძეებიდან გეოგრაფიულ პუნქტთა სახელწოდებანი.

ქ ო მ პ ო ზ ი ტ ი ს მ ე ო რ ე შ ე მ ა დ გ ე ნ ე ლ ი ნ ა წ ი ლ ი ა  
 ს ი ტ ყ ვ ა უ ბ ა ნ ი: მოლართუბანი, გორგეთუბანი, აბათუბანი  
 (შდრ. გვარი აბაიშვილი), დაულუბანი (← დავითუბანი ← დავითა-  
 თუბანი), ლალათუბანი (შდრ. გვარი ლალიძე), ალაისუბანი (შდრ.  
 -ალაიძე), გულსუბანი, გელთუბანი, ელიასუბანი (შდრ. გვარი  
 ელიაური), შუათუბანი, ვარდისუბანი (შდრ. გვარი ვარდიაშვი-  
 ლი), ყარალათუბანი (შდრ. გვარი ყარალაშვილი), კალათუბანი  
 (შდრ. კალაძე), ალათუბანი (შდრ. ალანია გვარი). ეშმაკთუბანი, ბალ-

<sup>1</sup> მართებული უნდა იყოს მოსაზრება, რომ „ასე დაჩქევია სახელი სოფელს,  
 რომელიც ალბათ ჯიშინი აზავრებით (ხარებით) იყო ცნობილი. ზ. კუმბურძიძე, „რა  
 გქვია შენ?“ თბილისი 1971 წ. გვ. 143. ეს აზრი პირველად გამოთქვა მს. ი. როსტო-  
 მაშვილს იხ. С. Н. О. Н. П. К. ტ. 25-ე 1893.

რატათუბანი (ბაგრატათუბანი), ცირეკანთუბანი (შდრ. გვარი ცირეკი) დავეთასუბანი (ტოლოშთან) წინუბანი.

კომპოზიტთა პირველი შემადგენელი ნაწილები საინტერესოა იმით, რომ ისინი გვარის განაყოფთა სახელებია და ნაწარმოებია ბოლოსართით — თ ა ნ ი თ: მოლარათ, გორგეთ (გიორგეთ), აბათ, ლალათ, გელთ, შუათ, ყარალათ, კალთ. ალათ, ეშმაკთ. ეს იმის დამადასტურებელია, რომ ძველად სოფელთა სახელები იწარმოებოდა გვარის განაყოფთა სახელებისაგან<sup>1</sup>.

კომპოზიტების მეორე შემადგენელი ნაწილებია ხევი, კარი, წმინდა: მლაშიხევი, ფერისხევი, მამაწმინდა, გიორგიწმინდა, ანდრიაწმინდა, ჭაქკარი (სოფ. გოგაშენთან), პინეტკარი (← პინეთკარი), მამალულისხევი, საყვერისხევი, ზაქარწმინდა, ქადისხევი, თეთრისხევი, ვანისხევი, კორისხევი, გუნდუსხევი, საყველახევი (-საყველას ხევი), ბეველათხევი (ხიზაბავრასთან), მილახევი (ტოლოშთან).

უფრო ხშირად კომპოზიტის პირველი ნაწილი მართული მსახვრელია, მხოლოდით რიცხვში, მაგრამ ზოგჯერ მრავლობითშიცაა დასმული (მაგალითად, პინეთ, ბეველათ).

საკმაოდ უხვადაა კომპოზიტის მეორე ნაწილად „შენი“, რომელიც „შენება“ (დასახლება) ზმნას უკავშირდება: ახალშენი (ახლა ახაშენი), მუხრაშენი (შდრ. მუხრანი), კურაშენი, ქართაშენი, მუკუზაშენი (შდრ. მუკუზანი), გავაშენი, ჭიგრაშენი, ტიკაშენი, გოგაშენი, ბულაშენი, პეტაშენი, ფექრაშენი, ბედყულაშენი.

კომპოზიტების შემადგენელი ნაწილებია: ციხე, თავი, ყური, ქვაბი, წყარო, ეკლესია, ნაგები, კეთი: ფერისციხე, კონტასციხე, ვარციხე (ვარდისციხე); ბოქთასყური (შდრ. ბოქთა), ტაბისყური, შვიდეკლესია, წყაროსთავი, ღვინისწყარო, ქავთარნაგები, ვანის ქვაბი, ქაჯისციხე, ბოვისწყარო, ახალკეთი.

სხვა კომპოზიტები: გულაბერთა (შდრ. გვარი გულაბრისძე), უკუჩალდირი (ახლა ჩილდირი, მომდინარეობს ჩირდილისაგან), დიდხორანია (-დიდ ქვარანი), ძველგომი, კარტიკამი, გულიკამი, სამსარი (-სამსერი), ლომატურცხი (შდრ. ტურცხი), ხიდიჯვარი, ხიზაბავრა, წყალმერთხევი (-წყალი მერთხევი, შდრ. მერთი, მერია, მერე-

<sup>1</sup> ი. ლ. მაისურაძე, „მასალები სამცხის ტოპონიმოიდან“, პეშენის სახ. თბ. სახელ. პედ. ინსტ. შრომები, ტ. 17, თბილისი, 1964.

დისი...), ახალდაბა, კისათიბი, წყალთბილა, ყანუბარი (თუ ყანობირი, რუსთავი, ოლავერდი, სამახორო (თუ გავიგებთ როგორც სამ ახორს, მაგრამ, თუ სა-ო აფიქსებით ნაწარმოები „მასორ“ ფუძეა, მაშინ?), ქვაკაცნი, გელათხარძეები.

გ ვ ა ქ ვ ს კ ი დ ე ვ თ ი თ ო - ო რ ო ლ ა - ე ლ, - უ რ, - ე ნ, - ა რ, - ე შ, - ო შ, - ა შ, - ი შ, - ა ლ // - ა ლ ა, ს ა - ა რ ს უ ფ ი ქ ს ე ბ ი თ, ნაწარმოები გეოგრაფიული სახელები:

ზურზელი (ახლა ზველი, წერენ ძველს, ვგონებ, უმართებულოდ) სახუდაბელი (თუ საყუდაბელი?), ენთელი, ხვილიშა, ურაველი (შდრ. ურავი ამბროლაურის რაიონი) ღრელი, ფურცელი, ჩუნჩხელი / ჩუნჩხეთი (ახლა ჩუნჩხა). „ჩ უ ნ ჩ ხ“ ძირს უნდა ჰქონდეს საერთო ჩ ო - ჩ ხ ა თ ი (გურია) და ო ჩ ო ნ ჩ ხ ე (სამეგრელო) სახელებთან. იქნებ, როგორც ა. შ ა ნ ი ძ ე ვ ა რ ა უ ლ ო ბ ს ც ა ც ხ ვ ე თ ი ი ყ ო ს.

მაგრამ „ჩ უ ნ ჩ ხ ა“ ფორმის ახსნა სხვაგვარადაც შესაძლებელია, მითუმეტეს, ჩვენი აზრით, ეს სიტყვა ზანური (მეგრული) წარმოშობისა ჩანს. „ჩხა“ შედის სხვა ტოპონიმებშიც ძ ი ჩ ხ ა (გაგრის რაიონი), ბ ო რ ჩ ხ ა (თურქეთის ტერიტორიაშია აჭარის მოსაზღვრედ), ფ ა ჩ ხ ა (ხულოს რაიონი, აჭარა), ამავე აჭარაში გვაქვს უ ჩ ხ ი თ ი (ქედა) და უ ჩ ხ ო (ხულო), შემდეგია დადეში // დადიში, ყური ტატიში, ტოლოში (შდრ. დოლოშა დუშეთის რაიონში, დოლიანი — ლენინგორის რაიონი, ხოლო დოლოგანი ქედის რაიონში), ცხენელა (თუ ცხენელი-საგან მოდის ნარის გადასმით, მაშინ ელ სუფიქსი არ იქნება: ცხენკოქლა ← ცხენკელა - ელ ფუძისეული გამოდის), ხანჯაური, ნიჯგორი, კვარშა (-კვარიშა), სანჯაური, მამზურა (თუ მამწვარა), დიკნალი (ახლა დერკნა), ანფური, წინწალი, არაგენი, კავარი, კურავერი, ლავაში, მერგსალი, ქანარბელი, მრაკვალი, ხამაში, ჩამძერალი (ახლა ჩამდგრა), დამკალი // (დანბალი, გადმოცემით „დამკალი“; ზმნა ნ ა რ ი ს ა და მ ა ნ ი ს მ ო ნ ა ც ვ ლ ე ბ ი თ მიღებული)?<sup>2</sup>

<sup>1</sup> ა. შ ა ნ ი ძ ე. "ევ კილოს კვალი საქართველოს გეოგრაფიულ სახელებში", გვ. 762.

<sup>2</sup> გადმოკვიპით სარგის თმოგველისათვის ცოლს უღალატია და თმოგვის ციხის გასაღები ჩუმაღ მიუცია თათრის ფაშასათვის. მომხდარა უთანასწორო ბრძოლა, თმოგველი ციხიდან ცხენიანად მტკვარში გადამხტარა, რათა მტერს ხელში არ ჩაეარდნოდა, ხოლო ფაშას კი თმოგველის მოღალატე ცოლი დაუსჯია, ცხენის კედზე მოუბამს და ისე მოუკვლეინებია. უთქვამს: თმოგველისთანა ვაქვაც რომ უღალატა, მეც მიღალატებო: ცხენი გარბოდა, ქალი ყვიროდა: „დამკალი, ნუ მაწვალებო“. ამ ადგილას დასახლებულა ხალხი და ადგილსაც დარქმევია დ ა მ კ ა ლ ი.

კვალ, აბლარი (დავთრით აბო), წინწალი (სამია: ზემო, ქვემო, შუა), საბადური მერსალი<sup>1</sup>.

არის სამიოდე სახელი დაბოლოებული უზე: ზალდუ?, კორცხალუ (ახლა კორცხოლო), აღმალუ (ახლა აღმალო).

სხვადასხვა: ლორი (აღმათ ლორე, ზაქი,) ბუზალი, ხარაკი, კარხი (შდრ. კოლხი, სატომო სახელი), კარავი, დლივი (-ტილიფი, დილიფი), ხოზაპუნი (ახლა ხოზაფინი), კარწახი (შდრ. მეგრული გვარი კორძახია, ა-სა და ო-ს მონაცვლეობა, წ-ს შეუცვლია ძ), ეშქუნი (შდრ. სვან. ეშხუი//ერთი<sup>2</sup>), იზნაზორი (თუ მიძნადორი), აბლუტი (იქნებ აბლუთი - აბულუტი), ჯანბაზი, ფრუტი (ფრუთი?), კოტამასი, გოქი (შდრ. გოკია, კეხი (შდრ. კეხვი გორის რაიონში, აქედან ვაშლი კეხურა), ხეჭიზი (ხეჭისი?), სამწუბი, ბორეა, გომი, გუნდი, ვანი, გუგუბა / გვიგვიბა, ქართობი (შდრ.-ქარცეფი), არტახი, ალაგი, ტოტხამი (თოთხამი), შაორი (შდრ. შაორი რაჭაში), ქუნცალა (შდრ. ) ა, აქედან უნდა იყოს გვარი გუნცაძე), აბი (შდრ. გვარი. აბია-შვილი), აბული (შდრ. გვარი აბულაძე), ბავრა<sup>3</sup>, ლურმეჭი (ლორმაკე), ზრესკი, ოკამი // ჰოკამი, ქარწაბი (შდრ. ქართობი, ქარცეფი), შუატყე შოლა (შდრ. შოლავერი, შულავერი), ყოიუნი?, ზეოტა (-ზეოთა?), ქარული (არის მთა ქერული), ვარგავი, ზაკვი (პროფ. ს. ჯიქია ძეგვს უკავშირებს), თოკი, ტურცხი, ალასტანი (ალასთანნი), მურჩი (ახლა მურჯი), სირგვი, ყანა, ჯანჯლა (შდრ. გვარი ჯანჯლაძე), აღმალი (იგივე აღმალო), თმოგვი (ზედა თმოგვი), ხინგირი (შდრ. ინგირი — ჰინგირი), ხიზა, არეში, ალაგური, ვერტაში, სახიზარი, ოსპ (ა) ნაური, ვარძელაური, გელაზი, (თუ გელასი) ჰისიები, სელაფები<sup>3</sup>, გომები, პრტენა (შდრ. გვარი პერტენაძე ← \*პერეტენაძე).

ოხომა, (შდრ. სოხუმი), ორმოცი (შდრ. გვარი ორმოცაძე), ბოსთანნი, მონასტერი, კოჭები, ორცეფი (შდრ. ქარცეფი), ოდანდა, კაკლიორი, ღრმა, წყორძა, ქაჭარაქი, მუსხი, ბეთლემი, ღამზა, ჩიხორიში (შდრ. ჩიხი, მეგრ. გვარი ჩიხორია).

<sup>1</sup> მეგრე — სალი ფორმაში უნდა გამოიყოს მეორე ფუძე, რომელიც მერვთი, მერია, მერედისი, მერენია... ფორმებთან კავშირშია თავისი შინაარსობრივი მხარით, იგი ამ სიტყვაშიც უნდა აღნიშნავდეს წლის ნაპირა ვაკე ადგილს.

<sup>2</sup> სვანურში ბ ა ე ა რ ი ნიშნავს გომურს (ბოსელს), სოფელიცა ქვემო სვანეთში. ეს აღნიშნული აქვს ზ. კუმბურთიძეს („რა გქვია შენ?“. „ნაკადული“, 1971, გვ. 148).

<sup>3</sup> „ღიდ დავთარში“ ზოგი სოფლის სახელწოდების ამოკითხვა ქირს.

ყურადღებას იქცევს -და სუფიქსიანი რამდენიმე სახელი. ამ შემთხვევაში სავარაუდებელია ორი გარემოება, პირველი: და უნდა იყოს თავდაპირველი სახეობა თ/ა სუფიქსისა, რომლის ფუნქცია სიმრავლის გამოხატვა უნდა ყოფილიყო. სამეცნიერო ლიტერატურაში ეს გარემოება აღნიშნულია კიდევ. მეორე გარემოებით შეიძლება მივიჩნიოთ -თ-ს გადაქცევა ანუ გამჟღერება დ-დ. ჩვენი აზრით, პირველი უფრო მართებულია. ეს გეოგრაფიული სახელებია: ოლოდა, ქილდა, დახვანდა, წუნდა, ჯოლდა, სულდა (ცულდა), ანდა, კუმურდა (ახლა კუმურდო). ეს გეოგრაფიული სახელები გარდა ანდისა და ოლოდისა 7—8 კილომეტრით არის ერთმანეთთან დაშორებული. ამ ფორმებში და სუფიქსი გაქვეავებული ფორმა უნდა იყოს უძველესი სუფიქსისა, რომელიც სიმრავლეს გამოხატავდა<sup>1</sup>. მაგრამ გვაქვს ისეთი სახელები, რომლებშიც თ(ა) სუფიქსი აშკარად ჩანს. მაგალითად, ვარანტა (←წერაკუნთა). შეედრევანტა (-შვედრევანთა), ოდანდა (/ოოდანთა ფორმიდან უნდა მოდიოდეს. შდრ. ოდიში, გვ. ოდიკაძე, ოდიშარია).

აღსანიშნავია, რომ ქართლში, ბერშუეთში, ერთ კაცს ჰქვია ო დ ა ნ ა (ეს სახელი საფუძველი გამხდარა გეოგრაფიული ტერმინის ო დ ა ნ დ ა ანუ ო დ ა ნ თ ა-ს ი. ო დ ა ნ თ ა ისეთივეა, რაც ბერთა, ხანძთა ... სამყოფელი ოდაანთ საგვარეულოსი), სულდა ფორმაში შეიძლება გვევარაუდებინა სულთა, რადგან ჯანეთში გვაქვს გეოგრაფიული პუნქტი სულეთი.

თავისებური წარმოებისა აგრეთვე მუ-რჯ-ი (ჯავახეთში) და მუ-სხ-ი (მესხეთში). ორივეგან მუ-თავსართია. მურჯიდან ნაწარმოებია მურჯიკანი, ანგარიშგასაწევია ის გარემოებაც, რომ „ს ხ“ ძირი დაირთავს

<sup>1</sup> აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში თითო-ორიოლა მოიძებნება და-ხე დაბოლოებული გეოგრაფიული სახელებისა, მაგალითად შილდა (ჯახეთში), აპიანდა (სოხუმის რ.), ანმარდა (გაგრის რ.), გაგიდა (გალის რ.) გულიდა (ლენტეხის რ.), დრანდა (გულრიფშის რ.), ერედა (მცხეთის რ. და ლენინგორის რ.), ზალდა (ცხინვალის რ.). ვილდა (ცხინვალის რ.), კოდა (თეთრი წყარო, ქარელის რ.), ლინდა (სოხუმის რ.), მალდა (ზნაურის რ.), სონდა (დუშეთის რ.), სანთა იგივე სანდა (წალკის რ.), ღვალდა (ოჩამჩირის რ.), ლუნდა (ონის რ.). ლურტა, იგივე ლურდა (ხულოს რ.), ჯგურდა (ოჩამჩირის რ.), ხანდო ფორმა ძველად ხ ა ნ დ ა უნდა ყოფილიყო.

<sup>2</sup> საკეთარ სახელზე ო დ ა ნ ა ყურადღება მიმაქცევინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერთან ანაშრომელმა გ. ზ ა ე ტ ა შ ვ ი ლ შ ა, რუსთვისაც მაღლობას მოვასხენებ.



მა-, მე-, მო- თავსართებს მუ-ს გვერდით. მაგალითად, მასხულია (გვარი), მესხი, მოსხი, მუსხი<sup>1</sup>.

დასკვნის გამოტანამდე გვინდა ხაზი გავუსვათ ერთ გარემოებასაც. დიდი ხანია შენიშნულია ბერძნულ ენაში ისეთი ენობრივი ერთეულები, რომლებიც ვერ აიხსნება ინდო-ევროპული ენობრივი მონაცემებით. მეცნიერები ფიქრობენ, რომ ეს ფორმები უნდა მომდინარეობდეს ეგეოსური წინაბერძნული, კულტურის მხრივ მაღალ საფეხურზე მდგომი ტომების ენებიდან. ამ ტომებს ბრინჯაოს ხანაში შეუქმნიათ ბრწყინვალე კულტურა, რომლისაგანაც მხოლოდ ნაშთილა შემოგვრჩა. დღეს მსოფლიოს მეცნიერები აღარ დაობენ იმაზე, რომ არქეოლოგთა მიერ აღმოჩენილმა ნანგრევებმა და ნარჩენებმა ცხადყვეს, რომ წინაბერძნული მოსახლეობის კულტურა ბევრ რამეში მისსავე წიაღში აღმოცენებულ ბერძნულ ცივილიზაციაზე მაღლა იდგა. ამ წინამორბედთა ვინაობის გარკვევა თანამედროვე მეცნიერების მნიშვნელოვანი და საინტერესო პრობლემაა.

ენობრივი მონაცემებიდან განსაკუთრებით ყურადღება მახვილდება გეოგრაფიული სახელების წარმოებაზე, კერძოდ -ის, -ეს, -ოს, -ას, ნთ // ნდ // ნტ სუფიქსებზე<sup>2</sup>. წინაბერძნულ მოსახლეობის ტონიკაში და, კერძოდ, ბერძნულ ენაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ის/ს ნათესაობითი ბრუნვის დაბოლოებას, რომელიც სხვადასხვა ხმოვნითი ვარიანტებით ვლინდება. აი სწორედ ამ სუფიქსს ვერაფერი გაუგეს უცხოელმა მეცნიერებმა და, დაივიწყეს რა კავკასიური, კერძოდ, ქართული ენების მონაცემების მოშველიება ამ საკითხის კვლევის დროს, შექმნეს ხელოვნური შესატყვისობათა საქმეები<sup>3</sup>.

მაგრამ რ. გორდეზიანი ნიკიერად დაწერილ მონოგრაფიულ გამოკვლევაში, რომელშიც წინაბერძნული მოსახლეობის ენო-

<sup>1</sup> მე, მო-, თავსართებით წარმოებულ სახელი „სხ“ ძირიდან სატომოთ: მესხი, მოსხი ეთი-ერთი ქართველური ტომის სახელია. მა — თავსართი შემორჩენილია ერთ-ერთ გვარში მ ა ს ხ უ ლ ი ა, ხოლო მესხი სოფლის სახელწოდებაა დღეს. ადრე ეს სახელიც ტომის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო. გავიხსენოთ ძველი სახელწოდებანი მუშქი //მუშქი// მუსკი... სხვადასხვა დროს ამ სახელებით იხსენიებდნენ ბერძნები ქართველ ტომებს. მა, — მე-, მო-, მუ — პრეფიქსების შესახებ იხ. გ. თ. ო. ფ. უ. რ. ი. ა., ქართულ-ქართველური ეთნონიმის ლინგვისტური საკითხები. 1) მესხ -ეთნონიმის ისტორიისათვის, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XVII ტ. 1970. გვ. 113—123.

<sup>2</sup> რ. გ. ო. რ. დ. ე. ზ. ი. ა. ნ. ი., „ილიადა“ და ეგეოსური მოსახლეობის ისტორიისა და ეთნოგენეზის საკითხები, თბილისი, 1970, გვ. 180—188.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 217—225.

ბრივი მონაცემები საკმაოდ გონებაშევილურად და საკითხის კარგი ცოდნითაა გაშუქებული, უთუოდ მნიშვნელოვანი დასკვნებია გამოტანილი მეცნიერთათვის ანგარიშგასაწევი და მისაღები. ჩვენ გვინდა რამდენიმე მეტად საინტერესო მაგალითი დავასახელოთ წინაბერძნული მოსახლეობის ტოპონიმოკასთან რომ აქვს საერთო და არამარტო წინაბერძნული მოსახლეობისა, არამედ მთელ ბერძნულ ენაში -ღ (ა) უსუფიქსო სადაურობის შესახებ საკითხს რომ დასვამს. -თა, -თი, -თ სუფიქსთა შესატყვისი მაგალითების გარდა, ქართულ ტოპონიმოკაში გვაქვს -ღა სუფიქსით დაბოლოებული სახელები; ამათგან უმრავლესობა ჭავახეთის ფარგლებშია მოქცეული: ქილდა, წუნდა, ჯოლდა, დახვანდა, კუმურდა, სულდა (ჭავახეთში), ოლოდა, ანდა (მესხეთში), შილდა (კახეთში), ერედა, კოდა, სანდა, მალდა, ზაღდა, ვილდა (ქართლი), აპიანდა, აჩმარდა, გაგიდა, ლინდა, ლვადა, ჭგერდა, დრანდა, ლუნდა (აფხაზეთა, სამეგრელო, აჭარა), სონდა (ღუშეთი)...

ამ ფორმების -ღა იგივეა, რაც კირიული ფორმა პიცინდა<sup>1</sup> (მდრ. პიცუნდა), ასევე ელადა, კოლზიდა, ილიადა, ატლანტიდა... ასევე ბერძნული გვარების დაბოლოება -ად; დიმიტრიადი, ვარდიმიადი... იდ: პებლივანიდი, ასლან-იდი... მოკლედ, ბერძნულ ენაში ბოლოსართი ღ გამოვანანი ვარიანტებით ეკუთვნის წინაბერძნული მოსახლეობის ენის დანალექს, რომელიც დღესაც ცოცხალია ქართულ ტოპონიმოკაში. ქართული ვითარებითი ბრუნვის ნიშანი დ, რომელიც მიმართულებასა და ადგილზე მიგვითითებს, გარკვეულ როლს ასრულებდა გეოგრაფიულ სახელთა წარმოებაში. თუ ამას ისიც დაემატა, რომ ღ თავისთავად მრავლობითი რიცხვის უქველესი ნიშანიცაა, დღეს მას თცვლის.

ზემოთ აღნიშნული მასალის ჩვენება და დამთხვევა გვაძლევს უფლებას ვთქვათ, რომ ნათესაობითი ბრუნვის დაბოლოება ის/ს ფუძისეული ხმოვნის ვარიანტებით -ღ//თ, იღ//ით, აღ//ათ, -ღ//ეთ სუფიქსები ბერძნულ ენაში შესულა წინაბერძნული მოსახლეობის ენიდან. ამ საკითხის შემდეგ კვლევას ბევრი რამის დამტკიცება და ნათელყოფა შეუძლია.

ამ საკითხის განხილვის დასასრულს მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენ

<sup>1</sup> რ. გო რ დ ე ხ ი ს ი, დასახ. შრომა, გვ. 232—240. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ კრეკა ტერმინი ადვილი შესაძლებელია კარედა სიტყვისაგან მოდიოდეს „კარ“ ძირზე იღ (ა) სუფიქსის დართვით. გავიხსენოთ ძველი ქართული კარედი. აქ-ედ ქონების აღმსიშვნილი სუფიქსია.

სახელოვანი მეცნიერები: ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ს. ჯ ა ნ ა შ ი ა და ა. შ ა ნ ი ძ ე თავიანთ შრომებში მიგვანიშნებენ ზანური ელემენტების არსებობაზე სამხრეთ საქართველოს ტოპონიმიაში<sup>1</sup>. ჯერ კიდევ ადრე, ამ შრომაზე მუშაობისას ვვარაუდობდი, რომ სასიგლეპში ქობარეთი, ტოლოში, დაღეში//დადიში, ხვილიშა, ჩიხორიში, წყორაძა; ოღანდა, ორფოლა, კოჩიო, ორხოფია, მირაშხანი, კორუშეთი, კვარშა (-კვარიშა?), ბურნაშეთი, ხარეშეფანი // ხარეშოვანი, ოქომეთი, ქოეთი, ჩოლეთი, სალოშეთი// შალოშეთი, შორაშეთი, ყანობირი, არეში, ხამაში, ბარალისი// ბარალეთი (შდრ. ობარალი „დაბარვა“) ხანჩალი, ოხორა (შდრ. ბოსელი მეგრულად), ოშორა; ინწყორა, ინთორა, ჯანჯლა (გვარი ჯანჯლავა, ოსომა, ჯარჯა, ორაჯა, ორჯა, ერინჯა ეშტია (ეშთია), წახანი, ტრიბონი, ჯაბოეთი, ჩუნჩხა, პრტენა (შდრ. გვარი პერტენავა), ლავაში, კორხი, ეშქუნი (შდრ. სვან. ეშხუნი), ქაქარაქი ოლდანი, (შდრ. ოლთისი), არაგვა, ჩაისი (შდრ. ცაიში), ქიხარულა (თუ ჩხარულა) უნდა ყოფილიყო შემონახული უძველესი ზანური გეოგრაფიული სახელწოდებანი; ასევე საგულისხმოა ანი, ანდა, ურთა ფორმები, რომელთა არსებობა უ უ მ ე რ თ ა და ურარტუელთა ქართველ ტომებთან უცილობელ ნათესაობას გვიჩვენებს. მართალია, აქ ჩამოთვლილ გეოგრაფიულ სახელებს ზანური ენის გაქვეყნებულ და ზოგჯერ საკმაოდ შეცვლილ ფორმებად ვთვლიდით და ვთვლით ახლაც, მაგრამ გამორიცხული არ არის, რომ რომელიმე მათგანი არ აღმოჩნდეს ზანურის კუთვნილება. ამ მხრივ შემდეგში შეიძლება ბევრი რამ საინტერესო დადასტურდეს.

ეს მასალები უფრო სარწმუნოს გახდის აზრს, რომ სამცხისა და ჯავახეთის ტერიტორიაზე უძველეს დროში მოსახლეობდნენ ზანები (ე. ი. ურარტუს ერთ-ერთი დიდი შემადგენელი ხალხის ნაწილი).

ტოპონიმოლოგიურ სახელთა ყველაზე გავრცელებული მასუბსტანტივებელი სუფიქსი ა წარმოშობით კნინობითობის გამომხატველი უნდა ყოფილიყო, ხშირად არა მარტო მისი ფუნქციაა გასარკვევი, არამედ ბევრი გეოგრაფიული სახელის ლექსიკური მნიშვნელობა გამოსაცნობ-შესასწავლია. ფონეტიკური პროცესები და სასაუბრო მეტყველების თავისებურება აბუნდოვანებს და გაურკვეველს ხდის ზოგ ტოპონიმს. სიტყვის ბგერითადი შინაარსი ასახსნელია და ხელთ შემოგვრჩება ბგერათა ნაერთი, რომელიც ჰქვია რომელიმე ადგილმდებარეობას. მაგალითად, ა წ კ უ ტ ა („დიდ დაეთარში“ ასეა), ახლა ეძახიან ა წ ყ ვ ი ტ ა ს,

<sup>1</sup> ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართ. ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, I, თბილისი 1957, გვ. 32.

აღრე ეძახდნენ აძ გ ვ ი ტ ა ს, ასევეა ა წ ყ უ რ ი, წ ყ ო რ მ ა, ჩვენ სამივე ფორმის ძირები ზანური ენის კუთვნილებად მიგვაჩნია, რომელთა სათანადო შესატყვისები დასაძებნია.

მწარმოებელთა სიმრავლე ცხადყოფს, რომ ენას შეუძლია სხვადასხვა ენობრივი ინვენტარით ერთი და იმავე ფუძისაგან მსგავსი ფუნქციის სახელები აწარმოოს (შღრ. ვარანტა // ვარანთა // ვარნეთი, ჭავახთა // ჭავახეთი, ბარალეთი // ბარალისი...). ა, -თა, -ეთ, -ისი, -ები, -ო, -ობი ს უ ფ ი ქ ს ე ბ ი ა მ ა ს ა დ ა ს ტ უ რ ე ბ ე ნ.

კომპოზიტებში უპირატესობა აქვს სიტყვებს: ხევი (ქადისხევი), წმინდა (გიორგიწმინდა), უბანი (გელთუბანი), შენი (გოგაშენი), ციხე (ვარდიციხე), ყური (ნიალიყური) და სხვა.

ყველაზე მეტად საგულისხმოა ერთი რამ: ბევრი გეოგრაფიული სახელი შეიცავს გვარის განაყოფთა სახელს (მაგალითად, გელთუბანი, ყარალათუბანი, ლათათუბანი, კალთუბანი...) ან პირიქით, გეოგრაფიული სახელისაგან წარმოქმნილია გვარი: მურჯიკანი — მურჯიქნელი, გოკო — გოკიელი, ვარძია — ვარძიელი, კორხი — კორხელი...

გვარის განაყოფთა სახელებისა და გეოგრაფიული ტერმინოლოგიის წარმოება-ურთიერთობის საკითხი იმსახურებს მონოგრაფიული შესწავლის ყურადღებას. ეს საკითხი ქართული ენათმეცნიერების ერთ-ერთი საინტერესო საკითხთაგანია, რომლის საფუძვლიანი შესწავლა ბევრ რამეში მოჰყვანს შუქს წინააზიის უძველესი მოსახლეობისა (შემერება, ურარტები, ეტრუსკები) და იბერულ-კავკასიური მოდგმის ხალხთა ნათესაურ ურთიერთობას.

განალიზებულმა მორფოლოგიურმა მოვლენებმა გვიჩვენა, რომ ჭავახურს საერთო აქვს მესხურსა და ქართლურთან, რიგი მოვლენები თანხვედრია სხვა კილოებისათვის დამახასიათებელი მორფოლოგიური პროცესებისა.

ბრუნებიდან აღსანიშნავია:

1. ბოლანმოენიან სახელებთან სახელობით ბრუნვაში -ი ხმოვნის ხმარება ადამიანთა და ცხოველთა ზოგიერთ საკუთარ სახელებში (მაგ.: პეტრეი, შანო, პუნწკალი, ძალო, ბიძაი...).

2. სახელის მრავლობითობის დამახასიათებელია ერთდროული ასიმილაცია-დისიმილაციის შედეგად მიღებული ფორმები (გზიები, თხიები...), ორმაგი მრავლობითობა (ისინები // ისნები, ესენები // ესნები), თავეთნები, ... სამმაგი — ტოლებნები.

3. მიმღობის ფორმებში ვნებითი გვარის -ულ და ილ სუფიქსების ნეზისმიერი ხმარება, მათი მონაცვლეობა (დაწურული, მოხნილი...).

4. მოფერებით-კნინობითობის -ლე-ს ხმარება ზოგიერთი ნათესავის აღმნიშვნელ სახელთან (ნინოლე, მიშალე, გოგოლე, პაპალე...).

5. თანდებულებიდან -ებრ თანდებულის სპეციფიკური ფორმით ხმარება (კაცისიებ ← კაცისეებ ← კაცისაებრ...).

6. ზმნიზედების დაბოლოებათა ჩამოკვეცა: იმწირ (აღ), კაცურ (აღ)... აქნამდე, იქნამდე ფორმების ხმარება.

7. სატყუფწარმოებიდან: (სადაურობის სადაურელი, აქაურელი) -ობა მაწარმოებლით კონკრეტული შინაარსის მკონე სიტყვების წარმოება (ქალობა, ცხენობა, ქერობა...), ა კნინობითობის სუფიქსის ფუნქცია ადგილმდებარეობის აღმნიშვნელ სახელებში (ღუბელა, დაკიდულა, კარკალა...).

8. გვარის განაყოფთა სახელებიდან ყურადღებას იქცევს -იენ (ხუტეენი), -ეენ (ეგნატეენი), -ონ (პოსოონი), -აან (თამაზაანი), -თ (პაპათი, ბერნადეთი, ლეკოთი) სუფიქსების ხმარება.

9. გეოგრაფიულ სახელებში -ა სუფიქსის მოქმედების ფართო არე -და -თა, -ეთ, -ისი. სუფიქსების ხმარება.

10. ზმნური ფორმებიდან ჩახვარდები, გადახვარდები, მიდნიობი, მოდნიობი ფორმების ხმარება. -ავ, -ებ, -ობ თემის ნიშნების შეიკლა -ამ // -ან, -ემ // -ენ, -ომ // -ონ სუფიქსებით.

თემის ნიშანთა მონაცვლეობა ჯავახურში ყველაზე ნიშანდობლივი მორფოლოგიური მოვლენაა, რომელიც განპირობებულია ფიზიოლოგიურ-ფსიქოლოგიური საფუძვლებით. ვ ი ნ ი იცვლება მ ა ნ ი თ, ხოლო მ ა ნ ი კ ი — ნ ა რ ი თ, ხდება თანხმოვანთა ერთგვარი გადაწევა წყვილბაგის მიერობიდან (ვ, ბ) ენაქბილისმიერობისაკენ (მ, ნ).

თემის ნიშანთა მონაცვლეობის მხრივ ჯავახურს მისდევს გომარული თქმა, შემდეგ მესხური, ნაწილობრივ ქართლური და კახური.

აღნიშნული თქმა-კილოებისაგან ჯავახური იმით განსხვავდება, რომ მ ა ნ ი ს ნ ა რ ი თ შეცვლა მხოლოდ მესხურში დასტურდება, მაგრამ ეს პროცესი ჯავახურისათვის უფრო ნიშანდობლივია, ვიდრე მესხურისათვის. როგორც დასავლური დიალექტური თავისებურებანი მესხურისათვის უფროა დამახასიათებელი, ვიდრე ჯავახურისათვის.

ს ი ნ ტ ა ქ ს ი

38. მსაზღვრელ-საზღვრული. ა) შეგვხვდა რამდენიმე შემთხვევა, როცა სახელობით ბრუნვაში მსაზღვრელი გაუფორმებელია. მაგალითად, „მოუყვა თ ა ვ ი ს თავგადასავალი“. „მოუვიდა დ ი დ ვეზირი“. „ჩ უ ნ ჩ უ ლ ბაბოი იქ არი“. „ქ უ ნ ც უ ლ ბაბოი ამონს ბევრ ჰექიათ“...

ბოლო სამ მაგალითში ბრუნვის ნიშნის მოკვეციის მიზეზი არის მსაზღვრელ-საზღვრულის კომპოზიციისაკენ სწრაფვა ან მთქმელისაგან ეს შესიტყვება გაგებულია კომპოზიტად.

~~ხშირად „თ ა ვ ი ს ი“ კუთვნილებითი ნაცვალსახელი -სი დაბოლოებას კარგავს ზოგი სოფლის მეტყველებაში კი, პირიქით, სახელობით ბრუნვის ფორმა გასდევს ყველა ბრუნვაში<sup>1</sup>. მის კვალს „ჩ ე ე ნ ი“ და „მ ი ს ი“ ნაცვალსახელებიც მისდევენ. მაგალითები: „თ ა ვ ი ს ი მ ე უ ლ ლ ე ს დაუძახა“. „თ ა ვ ი თ ი მკვდრებს დააკლეს“. „უთხრა თ ა ვ ი ს ი ცოლს“. „მ ი ს ი მშობლებმა დაიბარეს“. „ჩ ვ ე ნ ი ალექსამ ძალიან იცოდა ქოროლი“. „თ ა ვ ი ს ი მამამ მიიყვანა“...~~

-სი ჩამოკვეცილია: „თ ა ვ ი გაკეთებული ხო არ არი?“ „თ ა ვ ი თავი ჰგონია“. „თ ა ვ ი შვილს რაღაცა ბალახი წაუსვა“...

პოსპოზიციური წყობისაა საკუთარი სახელების მსაზღვრელი, რომელიც ნათესავის სახელებს აღნიშნავს. ასეთ მაგალითებში საკუთარი სახელი ფუძის სახით გვევლინება.

მაგალითები: „ბ ა გ რ ა ტ ს ი ძ ე ი და ს ი მ ო ნ ძ ი ა ი მოდიოდნენ“. „ნ ი ნ ო ძ ა ლ ო ს დაუძახა“. „ს ტ ა ლ ი ნ ძ ი ა მ ბევრი რამ გააკეთა“. „ნ ი გ ა რ მ ა მ ი დ ა ს ვ კ ი თ ხ ე“. „ვ ა ნ ო ბ ი ძ ა ი წასულა“. „პ ა ს ო პ ა პ ა ი ჰკვიანი კაცი იყო“... „ქართ-

<sup>1</sup> შღრ. ა. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი, გ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ქართული ენის კახური დიალექტი, გვ. 123—124. ქართლური: გ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ქართლური დიალექტი, 233—334.

ლურსა და კახურში უფრო მეტად ჯერ მსაზღვრელია (პაპა პასოი, ბიძია ვანოი, ძალუა ნინოი...) და მერე საზღვრული. ასევე ხმარობენ პროფესიის აღმნიშვნელ სახელებსაც, მაგალითები: ვახტანგ მასწავლებელი, სონა მკითხავი, პეტრე ექიმი, მიხა ურია, ასია თხოვარი...

მსაზღვრელ-საზღვრულის ასეთ ფორმებში ისიცაა აღსანიშნავი, რომ იბრუნვის მხოლოდ მსაზღვრელი (მიხა ურია, მიხა ურიამ, მიხა ურიას...)

ბ) ხშირია შემთხვევა, როცა მოთხრობით ბრუნვაში მსაზღვრელს მოკვეცილი აქვს ბრუნვის ნიშანი<sup>1</sup>.

მაგალითები: „ცოფიან ძალღმა უკბინა“. „ჩვენ ხალხმა იცის“. „დანარჩენ თათრებმა დაიწყეს გაქცევა“. „წითელ არაბმა და შავ არაბმა დაიწყეს კიდაობა“. „დიდ დამ უთხრა“. „ქართულ ჯარმა აიღო ჯავახეთი“...

საერთოდ, მსაზღვრელ-საზღვრულის შეთანხმების შესახებ უნდა შევნიშნოთ, რომ ტენდენციანა, მსაზღვრელი ფუძის სახით მოგვევლინოს („ქარგამხანაგის გამყოლი ქკვიანია“. „დიდ გოდრით ამოიტანა“...)

გ) ზოგჯერ რიცხვითი სახელი „ერთი“, რომელიც განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელის როლს ასრულებს, საზღვრულს მოსდევს. ხოლო საზღვრული სიტყვა ნათესაობით ბრუნვაში დგას. მაგალითები: „კაცის ერთი სანადიროთ წავიდა“. „მაგი მამა სამის ერთი (ე. ი. სულელი) იყო“. „დრუების ერთსა ეგრე ყოფილა“. „ქალის ერთს ეგრე მოსვლია“. „მაგი პაპაც ძალღს ერთი ყოფილა“.

მწ. ქვემდებარისა და შემასმენლის რიცხვში შეთანხმება. ქვემდებარისა და შემასმენლის რიცხვში შეთანხმებიდან აღსანიშნავია:

ა) გვხვდება ისეთი შემთხვევები, როცა უსულო და განუპიროვნებელი ქვემდებარე შემასმენელს რიცხვში ითანხმებს:<sup>2</sup>

მაგალითად, „საჰმლით სანსე ქვაბები იდგნენ“. „დოდრონი ქვები დაგორდნენ“. „ეზოქები სულ დაინტვრნენ“. „ფრჩხილები დიენტვრნენ“. „ფრჩხილები დიეზრდნენ ამ ბავშვს“. „მთიები ჩანან“. „კოპერატში ტუფლები მოსულან“. „ქვიები

<sup>1</sup> შტრ. კახური: ა. მარტიროსოვი, გ. იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, გვ. 123, ასევე ინგილოურში: გ. იმნაიშვილი, ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი, გვ. 135.

<sup>2</sup> შტრ. ქართლური: გ. იმნაიშვილი, ქართული დიალექტი, გვ. 237.

ეყარნენ გზაზე“. „თენებ დიელაგოთ გულზე“.  
„აქ აქტებიც არიან, რო ჩაბრილია“. „ხელთათმანე-  
ბი დამავიწყდნენ“...

ბ) შინაარსის მიხედვით ქვემდებარეს ეთანხმება შემასმენელი.  
ეს პროცესი ყველა დიალექტს ახასიათებს.

მაგალითად, „ხალხმა ხენწიფესთან იჩივლეს“. „მო-  
ვიდნენ ჩათა“. „ყველას ჩიეძინათ“. „თათარ-  
მა აგვაოხრა, აგვაწიოჯა და გაიქცნენ“. „იღესას-  
წაულეს ხალხმა“...

მსგავსი მდგომარეობაა, როცა -ობა ბოლოსართით ნაწარმოები  
სახელები კრებითობის გამომხატველია. მაგალითები: „თქვენ  
ქათმოზაა, სუ გადაჭრეს ყანა“. „იმათ წიწილო-  
ბა საღვადიანა?“ „აიგერ აიქით და დიან ვილასიც ძრო-  
ხობა“. „ჩვენი გოგობიჭობა სუ ტიტვლები დარჩნენ“.

მაგრამ იშვიათად გვხვდება ისეთი მაგალითები, როცა სულიერი  
ქვემდებარე ვერ ეთანხმებს შემასმენელს. ასეთი შემასმენლები გარდა-  
უვალი ზმნებია<sup>1</sup>.

მაგალითები: „წისქვილის ჰოლულში (დარში) მიეცო ბავ-  
შეები“. „ყაჩაღებიც იქვე ამხვიან“. „ამყაჩაღებ-  
მარ დაუტოვა გზა“. „მტრედები სისხლიანი ფეხებით  
დაბრუნდა“. „სომხები გამრავლდა და ქართვე-  
ლებიცნა გამრავლდნენ“.

გ) შეთანხმება გვაქვს რიცხვში აგრეთვე ორზე მეტი რიცხვითი  
სახელით განსაზღვრულ სახელებთან. მაგალითები: „ორი ძმა  
მუშაობდნენ“. „სამი ამხანაგი დამობილდნენ“. „სამი ქალიშვილი  
გასულან ბალკონზე“. „ეს ორი კია მიდიოდნენ და მიმღეროდნენ“.  
„ორი ძმა იქ არიან“...

ჩამოთვლილ მაგალითებში რიცხვში შეთანხმება ხდება აზრის მი-  
ხედვით<sup>2</sup>.

დ) ზმნის ფუძე იცვლება, როცა დამატება მრავლობით რიცხვშია.  
სამეცნიერო ლიტერატურაში ასეთ ზმნებში გამოყოფილია მრავლო-

<sup>1</sup> ა. მარტიროსოვი, გ. იმნაიშვილი, ქართული ენის კახური  
დიალექტი, გვ. 127.

<sup>2</sup> ა. მარტიროსოვი, გ. იმნაიშვილი, ქართული ენის კახური  
დიალექტი, გვ. 126. შდრ. ქართული გ. იმნაიშვილი, ქართული დია-  
ლექტი, გვ. 236.



ბოთობის მაწარმოებელი<sup>1</sup>. მაგალითები: „ამ ქალმა დაასხდუნა ყაჩაღები“. „მერმე იქიდან დაგვყარეს ტყვია“. „თათარი წაასხამდა, რაც რამ იყო“. „რო დიებოცა დედ-მამა. შაჰარაყი მთათ წავიდა“. „მეფემ ამ ბავშვ ზაბასი ჩაუღაგა“. „ხანუმმა ამ გოგოს როზგები დაუშინა“. „ღმერთმა იოზს შვილები სუ დაუხოცა“. „ხელწოდებ ყველანი წაასხა“. „ჯახბებემ ამ ქალ ძალი ლეკვები შეუყარა“. „ცხენებიც სუ გაუწყვიტა ღმერთმა“. „ცხვარი სუ გაუწყდა“. „წყალმა ამ ქარა აბჯარა“... სხვა ქართულ დიალექტებიდან ჰველაზე მეტად ეს მოვლენა ახათებს კახურს<sup>2</sup>.

ე) არის ისეთი შემთხვევებიც, როცა მსაზღვრულიანი ქვემდებარე ან მხოლოდ ქვემდებარე ნართანიანი მრავლობითით ითანმებს ზმნას რიცხვში. მაგალითად, „ცხრა ქაჯთა მონადირეთა მზე ჩაავლინეს ნავითა“. „ნაზირვეზირნი ერძხან გლოვომდნენ ამ ხენწიფეს“. „სამნი დანი ლაპარაკობენ“. „მანდყოფილან სამნი ძმანი“. „მოვლენ დრონი, როზღვანი შეიღებებიან სისხლითაო“. „ოჯახნი იყვენენ, განთქმულნი იყვენენ“...

ვ) რთული შემასმენელის სახელითი ნაწილი ქვემდებარესა და გემველ ზმნასაც ითანმებს რიცხვში როგორც ებიანი, ისე ნართანიანი მრავლობითით. აღნიშნული გარემოება იმით არის საინტერესო, რომ შედგენილი შემასმენელის სახელითი ნაწილი ძველს ქართულში წარფელობით ბრუნვაში იდგა, ხოლო ახალ ქართულში კი სახელობით ბრუნვაშია დასმული; როგორც ძველს ქართულში, ისე თანამედროვე სალიტერატურო ქართულში რიცხვში ქვემდებარეს არეთანმება. მსაზღვრელის დამოუკიდებლობამ საზღვრულისაგან გამოიწვია ამ უკანასკნელის დასუსტება, მაგრამ ქვემდებარე, როგორც მშართველი, ძლიერდება<sup>3</sup>. ასევეა გარე კახურსა და ფერეიდნულში<sup>4</sup>.

მაგალითები: „ჩვენ სამნი ვართ“. „ე ბავშვები ვისნი არიანო“ „ემმაკები ხბო-ჯორი დრონდინ დამალულნი არიან“. „ი სამნი დანი უღდექ

<sup>1</sup> ი. ვ. ქავთარაძე, რიცხვნაკლი ზმნები ძველ ქართულში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, I, 1946, გვ. 141—168.

<sup>2</sup> ზმნის ფუძე იცვლება მამინაც, როცა დამატება კრებითი სახელი ან აზრთერთზე მეტის შემტველია.

<sup>3</sup> არნ. ჩიქობავა, გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად, გვ. 78.

<sup>4</sup> იქვე.

<sup>5</sup> მისივე, ფერეიდნელის მთავარი თავისებურებანი, გვ 217.

მამონა იყენენ“. „ბავშვები შიერები დარჩნენ“. „ეს კაცები მინდობი-  
ლები არიან ცოლებზე“. „ორი ძმანი იყვნენ გაცვივებული“. „გოჭე-  
ბი ჯერ ქორეები არიან“. „ცხენები ჯერ ჩემებია“. „ბატები ძალიან  
შავები ყოფილან“...

10. ქვემდებარის მართვის საკითხი გარდაუვალ ზმნასთან. II სერი-  
აში შერწყმული წინადადების მომდევნო შემასმენელი ქვემდებარეს  
მართავს არა სახელობით ბრუნვაში, არამედ მოთხრობითში. აქ ორი  
მომენტია გასათვალისწინებელი. ერთი, როცა ჯერ გარდაუვალი ზმნაა  
და მას მოსდევს გარდამავალი<sup>1</sup>. მეორე, როცა ან მხოლოდ გარდაუვა-  
ლი ზმნაა, ანდა მომდევნოც გარდაუვალია.

მაგალითები, როცა გარდაუვალს მოსდევს გარდამავალი ზმნა: „ამ  
ქ ა ლ ე ბ მ ა რ ო მ ო რ ჩ ნ ე ნ, მერე ნ ა დ ა ი ტ რ ა ბ ა ხ ო ნ“. „შვეიდა ამ გ ო გ ო მ ო თ ა ხ შ ი და ჯ ა ზ ნ ა ნ ა ს და უ შ ი ნ ა“. ამ ქ ა რ-  
თ ვ ე ლ ე ბ მ ა ა დ გ ნ ე ნ და პურმარილი გადააგებეს“. „ტ უ რ-  
ც ხ ე ლ მ ა მ ო ვ ი და და დიკა დათესა“. „ჩ ა მ ო ხ ტ ა ე მ კ ა ც-  
მ ა ცხენიდან და მითხრა“. „ა ნ გ ე ლ ო ს მ ა და ბ რ უ ნ და და  
უთხრა“. „ა მ ი რ ა ნ მ ა მ ო ვ ი და და თეთრი ვეშაპი მოკლა...“

ანალოგია ისე შორს მიდის, რომ გარდაუვალ ზმნასთანაც მოთხ-  
რობით ბრუნვაშია ქვემდებარე<sup>2</sup>. მაგალითები: „ქ ა რ თ ვ ე ლ ე ბ მ ა  
ა რ გ ა თ ა თ რ დ ნ ე ნ“. „ე რ თ ი ხ ე ნ წ ი ფ ე მ თ ა ვ ი ს შ ე ი ლ ს  
შ ი ე კ ი თ ხ ა“. „ქ ა რ თ ვ ე ლ მ ა უ კ ა ნ წ ა ვ ი და და გ ა მ ა გ რ-  
და“. „ამ ქ უ რ თ მ ა ფ ი შ მ ა ნ გ ა ხ და“. „აგრე რათ შვრები?  
რ ო ს ტ ო მ მ ა შ ი ე კ ი თ ხ ა“. „ქ ა ლ მ ა ის ო ვ მ ო ვ ი და თ ა-  
ვეთნებთან“. „ხ ე ნ წ ი ფ ე მ და ჰ კ ვ ი რ და ამ ქ ა ლ“. „ფიქრებ-  
ში გ ა რ თ ე ლ მ ა წ ყ ა ლ შ ი ჩ ა ვ ა რ და“. „ზ ა ქ რ ო მ ცხენზე  
შ ე ჯ და და ე უ ბ ნ ე ვ ა“. „მერე ა მ ა ნ გ ა მ ი ჯ ა ვ რ და“...

არის ისეთი შემთხვევებიც, როცა მთავარი წინადადების ქვემდე-  
ბარეს მართავს დამოკიდებული წინადადების შემასმენელი. მაგალითად,  
„ამ კ ა ც მ ა ამოვიდა, ერთი დარიჯი რო შ ე მ ო ი ა რ ა...“  
„თ ა თ რ ე ბ მ ა გაიქცნენ, რო გ ა ი გ ე ს ისინი (ქართველები)  
მოდიანო“. „ანგელოზები, რომლებიც მოწიწებით ე პ ყ რ ო ბ ო დ-  
ნ ე ნ, მიუტანეს მღღღური ტანსაცმელი“...

ამავე რიგისაა რამდენიმე მაგალითი, რომლებშიც ქვემდებარე

<sup>1</sup> გ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ქართული დიალექტი, გვ. 238.

<sup>2</sup> ა. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი, გ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ქართული ენის კახური  
დიალექტის თავისებურებანი, გვ. 131.

მიცემით უნდა იყოს და მოთხოვნილობით დგას, მაგრამ დამოკიდებული წინადადების შემასმენელი მოითხოვს მოთხოვნილობით ბრუნვას.

მაგალითები: „ი შე ჩ ვ ე ნ ე ბ უ ლ მ ა სხვისი ვერ დაუნახია, რო ჩვენი დაამწყვდია“. „მაგ უ ხ ე ი რ ო მ ალჯველების ეშინია და ჩუნჩისა დაარხია“. „ამ ა მ ო ს ა წ ყ ვ ე ტ მ ა მეტი საქმე გასწყვეტია, რო ეგ ჩამოხსნა“.

ამ საკითხის ირგვლივ არსებობს სპეციალური გამოკვლევა, რომელშიც მოცემულია ამ მოვლენის გამომწვევი მიზეზის ახსნა: თხოვნილობის პროცესში მთქმელს ცნობიერებაში პირველი შემასმენლის თქმის დროს მომდევნო ქვემდებარეზე წარმოდგენას უსწრებს მომდევნო ზმნის შესახებ წარმოდგენა და ეს უკანასკნელი (ე. ი. შემასმენელი) მას მართავს კიდევ<sup>1</sup>.

ამ მოსაზრებას ამართლებს კიდევ ისეთი მაგალითები, რომლებიც მსგავს შემთხვევაზე მიგვითითებს. მთქმელს უფრო მომდევნო წინადადების აქტი აინტერესებს, ვიდრე პირველისა. ქვემდებარე უნდა იყოს მიცემით ბრუნვაში, მაგრამ სახელობითშია, რადგან იმ წინადადების შემასმენელი, რომლის შემცველი აზრითაც მთქმელი უფრო დაინტერესებულია, ქვემდებარეს მოითხოვს სახელობითში. სახელობითში დასმული ქვემდებარე ცალკე ერთეულად აღიქმება.

მაგალითები: „ეგ კაი კ ა ც ი ძმა მოუვიდა და ლეინოპ არ სვამს?“ „ეპ ქ ა ლ ი ც იქ ცოტა კიდევ აქ (ვს) და სარეცხ წურამს“. „კ ა ც ი ც ტოლი გაჰქცევიდა და დარდონს“.

იშვიათია, მაგრამ მაინც არის საპირისპირო შემთხვევები. ქვემდებარე გარდამავალ ზმნასთანაა, მაგრამ სახელობით ბრუნვაშია. ასეთი ფორმები თურქული ენის გავლენის ნაშთი უნდა იყოს. მაგალითები: „თ ა თ რ ე ბ ი ხო უნეფოთ იციან ცოლის წაყვანა“. „წერილი მუუტანე, შენი შ ვ ი ლ ი უწესობა დაიწყო“. „ო ს ტ ა ტ ე ბ ი ხუანსიოს უთხრეს“. „როცა ც ხ ე ნ ი დაიფრუტუნა და შემოპროწიალდა“. „ზ ა ქ რ ო ველარ მოითამინა“. „ჩემი პატარა ძ მ ა სერგოი იქვე ჩაიჩოქა“.

**41. განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება ორი კავშირით.** ხშირია შემთხვევა, როცა განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებაში მთავართან დასაკავშირებლად გვაქვს არა მარტო წევრ-კავშირი „როშელ-ც“, არამედ „რომ“ კავშირიც. იგი, ერთი შეხედვით ერთ-

<sup>1</sup> ე. თ ო ფ უ რ ი ა, სინტაქსური ანალოგიის ერთი „შემთხვევა ქართულში დიალექტების მიხედვით, „ჩვენი მეცნიერება“, №1, ტფილისი, 1923, გვ. 113—121.

გვარ გამაძლიერებელ როლს ასრულებს<sup>1</sup>. ჩანს, „რომელიც“ კავშირიანი განსაზღვრებითი წინადადება ხალხური მეტყველებისათვის არ უნდა იყოს დამახასიათებელი, რადგან მსგავსი შემთხვევები დასტურდება არა მარტო ქართულ დიალექტებში, არამედ ქართველურ ენებშიც, კერძოდ, ქანურშიც<sup>2</sup>.

მაგალითები: „რომელიც რო ძაღლია, სუ ხმას არ იღებს“.  
„რომელიც რო მეუბნეოდა, იმან თავი ჩაღუნა“.  
„ამოდის სასმელი წყალი, რომელიც რომა მისდღებში არ დაშრება“.  
„რომელიც რო მიეწონა, წაიყვანა ვაშამ“.  
„რომელიც რომა კარგი იყო, ის აიღო“.  
ფული მისცეს ერთმანეთი (ასეა): — რომელიც რო მოვასწრომთ ამ გზაზე, აეწვეთ ხელსა...“  
„ჩემი გუთანი, რომელიც რომ მე მიჰირამს, ხუთნომრიანია“.  
„ის ქართველი ნეფე, რომელიც რო თავი მოიკლა, ის სჯობია თუ მეო“...

ბოლო მაგალითში „რომელიც“ უნდა იყოს მოთხრობით ბრუნვაში, რადგან დამოკიდებული წინადადების შემასმენელი, რომელიც მას შეეწყობა, გარდამავალია, მაგრამ წევრ-კავშირი მოთხრობითი ბრუნვის ნაცვლად სახელობითშია. ამ მთავარი წინადადების გარდაუვალი ზმნის გავლენა მეტია<sup>3</sup>.

12. დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება ორი კავშირით. მსგავსად განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადებისა, დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადებაც მთავარს უკავშირდება ორი კავშირით. როდესაც, როდისაც, როდცა კავშირებს თან ახლავს რო (მ), რომა კავშირი, მაგალითები: „როდცა რომა ნიკოლოზი გადმოაგდეს, ჯარი გამოიქცა“.  
„ლეკი, როდცა რო უფროსი მოუკლეს, იქიდან გაიქცა“.  
„კამეჩი

<sup>1</sup> გ. იმნაიშვილი, ქართული დიალექტი, გვ. 241.

<sup>2</sup> არნ. ჩიქობავა, ქანურის გრამატიკული ანალიზი ტექსტებითურთ, გვ. 184.

<sup>3</sup> ანლოგიური დამოკიდებული წინადადება გააჩნია არამარტო ძველ ქართულს, არამედ სხვა ქართველურ ენებსაც. ამის შესახებ ლიტერატურა საკმაოდ ბევრია: ა. შანაძე, ძველი ქართული ენა და ლიტერატურა, თბილისი, 1947, გვ. 256; ი. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული კრესტომათია, II, თბილისი, 1963, გვ. 209—210; ან. კიზირია, რთული წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში, თბილისი, 1969, გვ. 67—76; ნ. აბესაძე. ჰიპოტაქსის წევრ-კავშირები და კავშირები სვანურში: თსუ შრომები, თბილისი, 1960, გვ. 105—132; შ. ძიძიგური, კავშირები ქართულ ენაში, თბილისი, 1969, გვ. 55; გ. იმნაიშვილი, ქართული დიალექტი, გვ. 240—241 და სხვა.

რომელიც კილობანს მისდევდა, ნოი, ნოის ყვიროდა“. .. დილით მზე არნა იყვეს ამოსული. რომელიც მინდორში მიღვივართ“. .. ჩვენ რომელიც ხარ ჩაიბარამთ, ღამი მეხრე სანძღი მიდის“. .. რომელიც ხარ გამოუშვანთ, მეხმეხრუბი წაასხამენ“ „მზე რომელიც ჩავა, მაშინ ხარ გამუშვანთ“. .. დევთაგანმა უთხრა თავისი ძმას ხეთაგანს, როდესაცრო მოვიდნენ სახლში“. .. რომელიც ეს მთათ წავიდა, ხენწიფემ ნახა და შეუყვარდა“....

მსგავსი მაგალითები ძალიან ბევრია. ზოგიერთი მთქმელის მეტყველებაში დროის გარემოებითი წინადადების „როცა“, „როდესაც“ კავშირები ჭავახური კილოს კვალობაზეა შეცვლილი („როცა, „როდესაც“, და ყოველთვის რომ, რომა, რომ კავშირის დართვით იხმარება. მთაბეჭდილება ისეთი რჩება, რომ „რო“ გამარტივებული ფორმა „რომ“ კავშირისა თითქოს შერწყმულია „როცა“, „როდესაც“ კავშირებთან და ვიღებთ ენკლიტიკურ ფორმებს, ასეთივე მთაბეჭდილება რჩება კაცს განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადების „რომელიცრო“ კავშირის გამოთქმის დროს<sup>1</sup>.

43. ვითარების გარემოებითი დამოკიდებული წინადადება ორი კავშირით: სრულიად ანალოგიური ვითარებაა ვითარებით დამოკიდებულ წინადადებაშიც. მართალია, მაგალითები შედარებით განსაზღვრებით და დროის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებებთან მკორეა, მაგრამ, რაც გვხვდება, საესებით ერთნაირია. აქაც ვითარების გამომხატველ კავშირს „როგორც“ დაერთვის „რომ“, „რომ“, „რო“ კავშირი. მაგალითები: „როგორც რომა ქორწილი მოდის, ისე მივიღივართ“. .. „როგორც რომ ძაღლ არა აქ, ისეთი ბირა ჰქონდა“.

სხვა შემთხვევებშიც „რო“ (მ) ახლავს „როგორც“ კავშირს: „ისეთი ვახდა, როგორცრო ვახურებული თონე“. .. კლავი გადო, როგორც რომა ხიდი ხისა“. .. „როგორცრო თეორი თოვლი, ისეთია“...

არის ისეთი მაგალითები, როცა ვითარების გარემოებითი დამოკიდებული წინადადების კავშირი „როგორც“ გამოყენებულია მიზნის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში „რადგანაც“ კავშირის ნაცვლად და ამ შემთხვევაშიც „როგორც“ კავშირს თან ახლავს „მავრობად“ რომ (მ) რომა. მაგალითები: „კაცმა იფიქრა, მისმა ქმარმა, რომ არ გამიჩნდა შვილი, როგორცრო (-რადგანაც) ვიყავი

<sup>1</sup> შლრ. ქართლერი: გ. იმნაიშვილი, ქართლური დიალექტი, გვ. 210.

მოხუცებულნი“. „როგორცრო მე თქვენ ერთი შვილი მყავხარ, არ გამოგიმეტებთ“. „როგორცრო პატარა ვიყავი, პატივი მცეს“.

აღნიშნულ მაგალითებში ყველგან შეგვიძლია ჩავსვათ „რადგანაც“: „რადგანაც პატარა ვიყავი, პატივი მცეს“. „რადგანაც მე თქვენ ერთი შვილი მყავხარ, არ გამოგიმეტებთ“...

44. „დაუძახა“ ზმნა ობიექტთან მართვის მხრივ. „დაუძახა“ ზმნა ჭავჭავაძეში II სერიის ფორმებში დამატებას მოითხოვს არა მარტო მიცემით ბრუნვაში, არამედ სახელობითშიც. „დაუძახა“ ზმნასთან ობიექტს სახელობით ბრუნვაში ვხვდებით ინგილოურში<sup>1</sup>, მესხურსა<sup>2</sup> და იმერხეულში<sup>3</sup>. იშვიათად ასეთი მაგალითები გვხვდება კახურშიც<sup>4</sup>.

ეს ზმნა ისტორიულად სამპირიანია: დაუძახე (მე მას ის) სახელი, შემდეგ პირდაპირი ობიექტი დაიკარგა, ხოლო ირიბი ობიექტი გაგებულ იქნა პირდაპირ ობიექტად და მივიღეთ: დაუძახე (მე ის). ჭავჭავაძეში გარდამავალი პროცესი მიმდინარეობს. სახელობითშიცაა და მიცემითშიც.

მაგალითები: ობიექტი სახელობითშია: „ი კაცებმა ეს ბიჭი დაუძახეს. „ი ქალიც დაუძახეს“. „მეთაურმა დაუძახა დანარჩენებო“. „წადით, დედელი დაუძახეთო“. „სიძემ დაუძახა ზღვის ცხოველებო“. „ი შენი ყულუხჩი დამიძახეთო“. „ნეფემ დაუძახა ვეზირო“. „დაუძახა ზორაბ დევმანუთი ქაცო“...

ობიექტი მიცემითშია: „დაუძახეს მეზობლებს“. „დაუძახა გოგოას ბაშალამ“. „დაუძახა თავი დელიზაშებ“...

45. ორმაგი უარყოფა. ისე როგორც სხვა ქართული კილოებისათვის, ჭავჭავაძისათვისაც დამახასიათებელია როგორც ერთმაგი უარყოფა, ასევე ორმაგიც. ეს გარემოება გამოწვეულია უარყოფის გაძლიერების სურვილით, ე. ი. ფსიქოლოგიური მომენტით<sup>5</sup>.

<sup>1</sup> გ. იმნაიშვილი, ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი, გვ. 141.

<sup>2</sup> შ. ძიძიგური, მესხური დიალექტის აღწერითი ანალი, გვ. 250.

<sup>3</sup> Н. Я. Марр, Дневник поездки; Тексты и разыскание, VII, 1911, ст. 61.

<sup>4</sup> ა. მარტიროსოვი, გ. იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი გვ. 130—131.

<sup>5</sup> ვ. თოფურია, ორმაგი უარყოფა ქართულში, წელიწდეული, 1—11, 1923—1924, გვ. 74—116.

ერთმაგი უარყოფის მაგალითები: „მეორეთ არცის უთხრა“ „არავინ დაიჭირა“. „ახლომახლო არაფერი ჩანდა“. „სროლა დაუწყეს, მაგრამ ვერაფერი უყვეს“.

ორმაგი უარყოფის მაგალითები: „ვერც ქალი წაიყვანა და ვერც ვერავის ვერაფერი ვერ დააკლო“. „არაფერი არ ჩანდა“. „გამარჯვება არავის მხარეზე არ ჩანდა“. „ეს არავინ არ იცოდა“. „ამ ოჯახქორ ვერავინ ვერ დიფნია“. „ასე პირთერთათ ჯერ არსად არ გამოესულეარო“...

უნდა აღინიშნოს, რომ მოხუცთა მეტყველებაში უფრო იშვიათად გვხვდნება ორმაგი უარყოფის მაგალითები. ორმაგი უარყოფა ახალგაზრდა და საშუალო ასაკის ადამიანთა მეტყველებებისათვის უფრო დამახასიათებელია.

**46. ზოგიერთი ზმნიზედისა და თანდებულის მართვის საკითხი.** გარდა, ქვეშ, წინ, იქით, ზევით//ზევიდან, უკან, გაღმა, შუა... ზმნიზედები სახელს უკავშირდებიან მიცემით ბრუნვაში, მაგრამ რიგ შემთხვევებში მოითხოვენ ნათესაობითსაც. ნათესაობითი ბრუნვის მაგალითები უფრო ჩვეულებრივად გვხვდება.

მიცემითში: „ქედელ ქვეშ დაატანეს“. „წყალ გაღმა დარჩა“. „დილას აქეთ გიცადე“. „საბძელ უკან დაიმალა“. „ცხვირ წინ ედგა“...

ნათესაობითში: „ქედლის(ს) წინ დააქენა“. „ქაკლის(ს) ქვეშ დასხდნენ“. „მთების(ს) შუა გაიარეს“. „მთის იქით გადავიდა“. „სახლები შუა გაიარა“. „კოტაკები შუა ჩაჰფარდნენ“. „წყლი(ს) გაღმა გავიდა“. „მუთაქის(ს) ქვეშ შედო“. „გოხის(ს) ზევიდან გადმოირეკა ცხვირი“...

მიმართულებისა და ადგილმდებარეობის მაჩვენებელი ზმნიზედები ან მიცემით ბრუნვაში იყო, ანდა ვითარებითში, მაგრამ უთანდებულოდ. ამ მხრივ ჯაფახურში ძველი ქართულის ნორმა დაცული. თანდებულის ფორმებთან იშვიათად იხმარება.

მაგალითები: „ხეთ(ს) გავიქეცი“. „სხვა ქვეყანაჰ ვიღა“. „დაბრუნდა რუსთავ(ს)“. „დილცქაჰ დევეწიე“. „გრიანჰ ჰყოლიათ ცხვარი“. „ახალქალაქ(ს) მივიღოდი“. „ადგა და ისევ თმოგ(ს) წავიდა“. „ჯერ პრტენას'ნა გიევილოთ“...

ზოგადი სახელები თანდებულებს დაირთავენ: „წაასხა სატახტო ქალაქში“. „მივიდა თავი სახენწიფოში“. „გადა-

იარა ო ლ ა ვ ე რ დ ზ ე“. „მოვიდა ს ა მ ს რ ე ბ შ ი“. „გაგზავნა  
ხერთვისის ც ი ხ ე შ ი“...

მორფოლოგიაში აღვნიშნეთ, რომ დროის ზმნიზება სალიტერატურო ქართულის ნორმით მიცემით ბრუნვაში უნდა იდგეს, მაგრამ ხშირად სახელობითის ფორმით გვხვდება: „ს ა მ ი თ ვ ე და ს ა მ ი დღე მოუნდა“. „ო რ ი კ ვ ი რ ა დარჩა“. „ხენწიფესთან ს ა მ ი წ ე ლ ი წ ა დ ი ი არა“. „ა თ ი წ ე ლ ი მოუნდნენ ციხის აშენებას“...

ეს მოვლენა საერთოდ გავრცელებულია სასაუბრო ქართულში და ცდილობს სალიტერატურო ენაში შემოჭრას.

ს ი ნ ტ ა ქ ს უ რ ი მოვლენების გაანალიზების შემდეგ შეიძლება დავასკვნათ: 1. მ ს ა ზ დ ვ რ ე ლ-ს ა ზ დ ვ რ უ ლ ი ს უ რთიერთობაში აღსანიშნავია: კუთვნილებითი ნაცვალსახელი მსაზღვრელის როლში ხშირ შემთხვევაში უბრუნველია, ანდა სი ჩამოკვეცილი აქვს.

შ ე ბ რ უ ნ ე ბ უ ლ ი წ ყ ო ბ ი თ იხმარება ადამიანთა საკუთარი სახელების მსაზღვრელი ნათესავის ან პროფესიის აღმნიშვნელი სიტყვები და არ იბრუნვის, ზოგჯერ მსაზღვრელს ჩამოკვეცილი აქვს ბრუნვის დაბოლოებანი, სახელობითისა და წოდებითის გარდა, ყველა ბრუნვაში.

2. ქ ვ ე მ დ ე ბ ა რ ი ს ა და შ ე მ ა ს მ ე ნ ლ ი ს რიცხვში შეთანხმებიდან საყურადღებოა: უსულო, განუპიროვნებელი ქვემდებარის შეთანხმება შემასმენელთან. რთული შემასმენლის სახელადი ნაწილის შეთანხმება ქვემდებარესთან.

3. ა დ გ ი ლ ი ს ა და მ ი მ ა რ თ უ ლ ე ბ ი ს აღმნიშვნელი ზმნიზედები მიცემით ბრუნვაშია უთანდებულოდ.

4. გ ა რ დ ა უ ვ ა ლ ზ მ ნ ა ს თ ა ნ ქ ვ ე მ დ ე ბ ა რ ე II სერიაში მოთხრობით ბრუნვაშია.

5. სხვა კილოების მსგავსად ჯავახურში გვხვდება ო რ მ ა გ ი უ ა რ ყ ო ფ ა ც .

6. „დ ა ძ ა ხ ე ბ ა“ ზმნის კონსტრუქცია II სერიაში მოშლილია.

7. რთულ ქვეწყობილ წინადადებაში გ ა ნ ს ა ზ დ ვ რ ე ბ ი თ ი, დ რ ო ი ს ა და ვ ი თ ა რ ე ბ ი ს გარემოების დამოკიდებულ წინადადებებში წევრ-კავშირები დაირთავენ რო (მ), რ ო მ ა კ ა ვ ი რ ს .



## ზოგიერთი სტილისტიკური თავისებურებანი

ქართული დიალექტები სტილისტიკურად ნაკლებადაა შესწავლილი. ეს გარემოება საკმაო დაბრკოლებაა, რომლის გადალახვისას მოსალოდნელია და იქნება კიდევ შეცდომები საკითხის დაყენება-გადაჭრისას. მიუხედავად ამისა, ჩვენ გადავწყვიტეთ, გამოგვეყო ზოგიერთი სტილისტიკური თავისებურება ჯავახურ კილოში. ქვემოთ განხილული საკითხები შედარებული არაა სხვა დიალექტების მონაცემებთან, რადგან საამისო საშუალება არ გვქონდა. გამოყოფილ თავისებურებათა სახელდებაც პირობითია. ზოგიერთ საკითხზე თავი შევიკავეთ, რადგან მათი გარკვევისათვის სპეციალური კვლევაა საჭირო.

რადგან წინადადების ლერძი შემასმენელია, ამიტომ სტილისტიკური თავისებურების განხილვას ვიწყებთ შემასმენლის ადგილით მარტივ წინადადებაში.

**47. შემასმენლის ადგილი მარტივ წინადადებაში.** შემასმენელი ჩვეულებრივად ქვემდებარეს მოსდევს, უფრო ხშირად წინადადების ბოლოსაა, მაგრამ საკმაოდ იხეთი შემთხვევებიც, როცა წინადადების დამწყებია ან, ქვემდებარის გარდა, წინადადების სხვა წევრები მის შემდეგაა.

მაგალითები: „ი ფ ი ქ რ ა თათრის ფაშამა“. „დ ე ე რ-ქ ჯ ა დანკალი“. „გ ი ე ქ ა ნ ნ ე ნ კაცის გასაფუჭებლათ ყაჩაღები“. „დ ა ს ხ დ ნ ე ნ როსტომი და პავლე“. „გ ა მ ო უ გ ზ ა ე ნ ა თათრი ფაშამ კაცი“. „უ თ ხ რ ე ს ქურთსა ხიზაბავრელებმა“. „გ ი ე-ქ ა ნ ა მანაი ამ ქურთისავენ“.

„ჩ ა ა ლ ბ ო წყალში და ამოიღო ამ მუსტათა ბეგმა“. „შ ე მ ო-ვ ი დ ა და ქალებს უთხრა ამ მუსტათა ბეგმა...“

შემასმენლის ადგილის შესახებ წინადადებაში არსებობს შრომა. აქ განხილულია მე-19 საუკუნის კლასიკოს მწერალთა შემოქმედება, გამო-

თვლილია შემასმენლის ადგილი წინადადებაში და მისი თავსა და ბოლოში ხმარების შემთხვევები<sup>1</sup>.

48. მსაზღვრელისა და საზღვრულის გათიშვა. ზოგ შემთხვევაში საზღვრულსა და მსაზღვრელს შორის წინადადების სხვა წევრებია მოქცეული. ქართული დიალექტებიდან საენათმეცნიერო ლიტერატურაში ასეთი შემთხვევები შენიშნულია კახურში. მსგავს მაგალითებს შევხვდებით რუსთაველთან, ვაჟა-ფშაველასა და მე-19 საუკუნის სხვა ქართველ მწერლებთან, დღესაც მიმართავენ ამ ხერხს თანამედროვე პოეტები<sup>2</sup>.

მაგალითები: ელა (მაშინვე) მოიხსნა, თავი ყაინ მისცა: გელსუნ დელს“, „მემრე ამ ალიამ უთხრა, ბრუმამ“. „მოიტანა წითელი მიწა, დაზილა უსხეულო, უხილავი“. „კვდარი დარჩა იქა, ყაჩაღი“. „ქალებმა გადმოხედეს, თათრი ფაშის ქალებმა“. „ახალგაზრდობა, რაც კარგი იყო, არჩევდნენ და მიჰყავდათ თათარში“. „ქონება, რაც კარგი გვქონდა, მიჰქონდათ...“

49. წინადადების წევრთა განმეორება. ხშირია ისეთი შემთხვევა, როცა საუბრისას მოქმელი მიმართავს წინადადებაში წევრების განმეორებას. იმეორებს ქვემდებარეს, შემასმენელს, დამატებას... ზოგჯერ მთელი წინადადების აზრს ან იმავე სიტყვებით, ან სხვა ფრანზით, ასეთი განმეორება მაინც ვერ ახდენს გავლენას ამბის თხრობაზე. პირიქით, მონათხრობი უფრო ნათელი და მიმზიდველია.

ა) განმეორებულია შემასმენელი: „სამი ურემი წაველით, წაველით, რო რაჰ წახვალ...“ „მამა-პაპიდან ქაქკარი გვაქ, გვაქ და გვაქ“. „მერე დაგვეხმარნენ: დავცხეთ და დავცხეთ“. „ამათ იბრუნეს პირი და გიყვარდეს: დავარტყით და დავარტყით“. „მოველით ამ სოფელში, მოველით; ქართველები სუ გაქცეულან“ „წყვიტა და წყვიტა თათარი, წყლად აღინა სისხლის ღვარი“. „მოკვდა კაცი, ისევე მოკვდა“. „ასუფთავეს, ვერ გაასუფთავეს“...

ბ) განმეორებულია ქვემდებარე: „ამან ააოხ-

<sup>1</sup> ა. კიზირია, შემასმენლის ადგილი წინადადებაში, ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, მეთოდური წერილების კრებული, III, თბილისი, 1950, გვ. 37-43.

<sup>2</sup> მ. ებრაელიძე, გლაქტიონ ტაბიძე და ძველი ქართული პოეზია, „მნათობი“, №9, 1955, გვ. 173.

რა სუ აქავრობა, თ ა თ ა რ მ ა“. „ამან ჯარი გამოგზავნა, თათრი ფ ა -  
შ ა მ“. „იმათ განგრძეს გზა, მ ლ ო ც ვ ე ლ ე ბ მ ა“. „ჩვენებმა  
შემდეგში დახმარება არ გააკვიწია, ქ ა რ თ ე ე ლ ე ბ მ ა“. „რო  
მოვიდა ორი ფალევიანა, თათრი ფ ა ლ ე ვ ა ნ ი, ულონო იყო“.  
„ამან უთხრა, ა მ ქ ა ლ მ ა, გამიძეხით წინაო“. „იმან შემოსძახა,  
ზ უ რ ა ბ მ ა, ბანიდანა...“

განმეორებული ქვემდებარეები, დანართის მსგავსად, ახსნა-განმარ-  
ტებით ცნობებს გეაძლევს ნაცვალსახელური ქვემდებარეების შესაბებ.

გ) გ ა ნ მ ე ო რ ე ბ უ ლ ი ა დ ა მ ა ტ ე ბ ე ბ ი: „შენ მამარებ  
ჰად წაუხვალ — რ ო ს ტ ო მ“ „ამას უძახიან, ა მ ბ ი ქ ს, გმირაო“.  
„მოვიდა, დედამის უამბო, ხ უ რ ა მ ა ნ ს“. „მაშინ ახადა ქული და  
უთხრა (მას): მე ვარ შენი ხურამანიო, ზ უ რ ა ბ ს“. „შემოვიდა,  
ცოლებს უთხრა ამ ქოროლმა, თავი ც ო ლ ე ბ ს“. „ჩამოიღეს  
თაროდან ეს ხორცი, პაწაწინა ხ ო რ ც ი“. „გზა დამილოცეთ, გ ზ ა ო“  
„ი მამაძალ ე რთი ვერძი მიეცა, ე რთი კაი ვ ე რ ძ ი“.

როგორც მაგალითებიდან ვხედავთ, ზოგან მთელი წინადადებაა  
პირველსა და განმეორებულ დამატებას შორის მოქცეული (....უთხ-  
რა (მ ა ს): მე ვარ შენი ხურამანიო — ზ უ რ ა ბ ს).

დ) გ ა ნ მ ე ო რ ე ბ უ ლ ი ა წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ი ს ს ხ ვ ა წ ე ვ -  
რ ე ბ ი: „წაიყვანა ეს ხ შ ი რ ტ ყ ე შ ი, უდაბურ ტ ყ ე შ ი და-  
ტოვა“. „მუსტაფა ბეგმა ჩაიყვანა წ ყ ა ლ ზ ე, მდინარე წ ყ ა ლ ზ ე“  
„მოვიდნენ სალამოზე, ხ ა ნ ყ ა მ ი ს მ ე რ ე, მოვიდნენ“. „ათი  
ქლიბი აქ, ჯ ი ბ ე ჩ ი, მიდევსო“. „აქ ფლია ქოროლი, ტ ყ ე -  
ჩ ი ო...“

ზოგ მაგალითში განკერძოებული გარემოებები გვაქვს (მაგალი-  
თად, „სალამოზე, ხ ა ნ ყ ა მ ი ს მ ე რ ე, მოვიდნენ“. „აქ ფლია  
ქოროლი, ტ ყ ე ჩ ი ო“).

ე) გ ა ნ მ ე ო რ ე ბ უ ლ ი ა მ თ ე ლ ი წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა  
ი მ ა ვ ე წ ე ვ რ ე ბ ი თ ა ნ კ ი დ ე ვ ს ხ ვ ა ს ი ტ ყ ე ვ ე ბ ი თ.  
მ ა გ რ ა მ წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ი ს შ ი ნ ა ა რ ს ი ძ ი რ ი თ ა დ ა დ  
უ ც ვ ლ ე ლ ი ა. მაგალითები: „მე ამ ხალხზე გაბეჩებას ვარ, მი-  
კვირს“. „ეჰ ფაშა ჩვენსა დგას, მ ა რ ტ ო ფ ა შ ა ა რ ი ჩ ვ ე ნ  
ს ა ხ ლ შ ი“. „გაჯავრდა ეს ხენწიფე, გა უ წ ყ რ ა ე ს ხ ე ნ წ ი -  
ფ ე“. „მერე მოიყვანეს დათვი, ჩ ა მ ო ი ყ ვ ა ნ ე ს დათვი“.  
„მე მაშინ ბავშვი ვიყავი, ო ც დ ა ა თ ი წ ლ ი ს ა ვ ი ყ ა ვ ი“  
(90 წლისა იყო მოქმელი). „ბევრმა თავი გადაჰკრა, წ ა ვ ი დ ა“. „  
ამ გოგომ სარეცხი დადგა, ტ ა ნ თ ი რ ე ც ხ ა მ ს...“

წინადადებათა მსგავსი განმეორების უამრავი მაგალითები აქვს რ უ ს თ ა ვ ე ლ ს: „... ყოვლათ მზებერ მოეფინოს, ვ ა რ დ ს ა რ ზ ვ რ ი დ ე ს, ა რ ა კ ე ნ ო ბ დ ე ს (168). „ზედა ჯდა შავსა ტაიქსა, — მ ე რ ა ნ ი რ ა მ ე შ ა ვ ი ა“ (204). „დაგიღრეჯია, მეფეო, ა ღ ა რ გ ი ც ი ნ ი ს პ ი რ ი ო“ (60), „მგრგვლივ მინდორსა მოსდგომოდეს, ა ლ ყ ა ს გ ა რ ე შ ე მ ო ჰ კ რ ვ ი ლ ე ს“ (73). „მასვე წამსა დაიკარგა, — ა რ უ ნ ა ხ ა ვ ს თ ვ ა ლ ს ა ჩ ვ ე ნ ს ა“ (97). „მოდი, კმუნვა გამიქარვე, გ უ ლ ს ა წ ყ ლ უ ლ ს ა მ ი წ ა მ ლ ე ო“ (105). „ყმა წავიდა მხიარული, ლ მ ო ბ ი ე რ ი, ა რ გ ა მ წ ყ რ ა ლ ი“ (1693). „პირველ ნდობა სიახლისა, ს ი შ ო რ ი ს ა ვ ე რ მ ო თ მ ე ნ ა“ (777). „მიცემა და არა შური, ჩ უ ქ ე ბ ი ს ა არ მ ო წ ყ ე ნ ა“ (777)...

უნდა აღინიშნოს, რომ „ვეფხისტყაოსანში“ ყველა სახის განმეორება, რომელიც ჩვენ აღვნიშნეთ, იმდენად ბევრია, რომ მათი მოტანა შორს წაგვიყვანდა<sup>1</sup>. არის ისეთი შედარებები, რომლებიც თითქმის პირდაპირ ემთხვევა. მაგალითად, „ვარ მე ერთი თურქი მოლაშქრე, მამკლელი უზანფარასიო“. შდრ. „ვეწერ ვინმე მესხი მელექსე, მე რუსთაველი საღ ა მ ი ს ა“.

მესხურ-ჯავახური ხალხური სიტყვიერებისა და „ვეფხისტყაოსანი“ ამ მხრივი შესწავლა ძალიან საინტერესო დასკვნამდე მიგვიყვანს.

ვ) გ ა ნ კ ე რ ძ ო ე ბ უ ლ ი ფ რ ა ზ ე ბ ი ს შ ე მ ა დ გ ე ნ ე ლ ი ნ ა წ ი ლ ე ბ ი ა ზ მ ნ ე ბ ი: ვ ე ტ ყ ვ ი თ, ე რ ქ ვ ა, უ წ ო დ ე ბ ე ნ. ი ც ი ა ნ, ვ ე ძ ა ხ ი თ. აღნიშნული ფრაზები დამატებითს ცნობას ან ახსნა-განმარტებას გვაძლევს წინადადების რომელიმე წევრის ან მთელი წინადადების აზრის შესახებ.

მაგალითები: „მანდ რო ჩახვალ, ი ლ ი კ ო ი ე რ ქ ვ ა, ის ჩა-მოვიდა“. „მერე ავდექით, ს ა კ ო ჰ ა ვ ე ძ ა ხ ი ა ნ, საკოჰავჩი გადაველით“. „მამა, აბა, ა რ ი ტ ყ ვ ი ო, ასე გამოვიდაო“. „მაგი ძმაც: ვ ა რ თ ა ნ ა ი ე რ ქ ვ ა, ასე ცოცმანებდა“. „არუთინი, ღ მ ე რ თ მ ა ა ც ხ ო ნ ო ს, იმან უთხრა“. „ვ ა რ ძ ი ა ს ვ ე ძ ა ხ ი თ ჩვენა, მანდ საქართველოს ციხიები ყოფილა“. „დიდ მარხვა რო დადგებოდა თებერვალში, ყ ვ ე რ ი ე ლ ვ ე ძ ა ხ ი თ“... „იეხ-ლა არიან, ქ უ ჭ უ ლ ა ა ნ თ ე ძ ა ხ ი ა ნ, ეგენი იყვნენ“... „სამი

<sup>1</sup> ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს, ეს საკითხი მოპოვებული მასალების მიხედვით შევისწავლოთ საგანგებოდ.

ძმა იყოვო, ის უამბამს, მზე დედამის“. „მისცა თავის ნიშანი, კვერსეძახდენ...“

განკერძოებულ სიტყვების რიგს მიეკუთვნება აგრეთვე წინადადებაში ჩართული ფორმები ცალკეული სიტყვის ან მთელი ფრაზის სახით. მაგალითები: „დილაზენა წავიდეთ. შვიდობით დილა გაგითენდეთ, გათენდა“. „ნაისა, ვიარეთ, რალათავი შეგაწყინოთ. კოთელიაში მივედით“. „ქარი გარედან გადაუკეტე, ჩახვდი? მთაზე მიველივარ“. „იმან ხელში რალაც ჩაუგდო, გაიგე?“ „მელა ჩემმა ღმერთმა, ასე იყო. არ გატყვილებთ“. „ვეცქირე, სიტყვა არ დავივიწყო, ბიჭო, სადაურელი ხარო?“ „პაპაშენს, ღრმათ წავიდეს, იმან გაუკეთა“. „ხენწიფემ თქვა არაკი, ბატონი ჩემი ხარ, ყური დამიგდეთო“. „გავიდა ხანი, ბატონი ჩემი ხარ, ეს ორი ძმა შკოლაში იყო...“

50. შემასმენლის ხმარების სხვადასხვა ხერხი. შემასმენლის ჩვეულებრივი განმეორების შემთხვევები განვიხილეთ. ქვემოთ მოყვანილ მაგალითებში ყველგან მეორდება შემასმენელი. მაგრამ არა ჩვეულებრივ, როგორც მარტივ წინადადებაში იყო. ამ შემთხვევაში შემასმენლის განმეორებას უკუთქმითი თუ წართქმითი ხერხით ახალი ნიუანსი შეაქვს წინადადების როგორც წყობაში, ისე შინაარსში.

ა) შემასმენლის პირველი ფორმა წართქმითია, მეორე — უკუთქმითი: მაგალითები: „მამალ-მამა იყივლა, არ იყივლა, ეპკატი ფეხზე აღდა“. „უყიდი, არ უყიდი, ეგ რა შენი საქმეა“. „ამ ქალმა იწამლა, არ იწამლა, მორჩა“. „სად შეწვა, სად არ შეწვა, ხელათ წვადები მოარბევინა“. „სად ჩაიცვა, სად არ ჩაიცვა, აილო თოფი და წავიდა“. „სად მივმალეთ, სად არ მივმალეთ, დავსხედით...“

ამავე რიგისაა, მხოლოდ შინაარსობრივად განსხვავებულია, შემასმენლის განმეორების წართქმითი ფორმები.

მაგალითები: „იმაპ გამოვართმევ, ამაპ გამოვართმევ, საიდან მოვიტან, ეგ რა შენი საქმია, შენ შენი აილე“. „ერბოს დავასხამ, რძეს დავასხამ, წყალ დავასხამ, ეგ რა შენი საქმია“. „რა გაკლდა: პური გაკლდა, წყალი გაკლდა, ჩაცმა გაკლდა, თუ რა გაკლდა, რო არ ისწავლე?“ ზოგჯერ ზმნის უკუთქმითი ფორმითაც მეორდება დადასტურება: „რა ნაირი კაცი ხარ: ყანაში არ ვარგის ხარ, ჭა-

ლაში არ ვარგინარ, სასლში არ ვარგინარ, გარეთ არ ვარგინარ, სწავლაში არ ვარგინარ, ამა მითხარ, რა კაცი ხარ?“ „დედას არ არგინარ, მამას არ არგინარ, ძმას არ არგინარ, ნათესავ არ არგინარ, ერთი შენი თავის-თუნ ხარ...“

ბ) ადგილი აქვს შემასმენლის ან წინადადებათის სხვა წევრების განმეორებას რა-ს დართვით.

მაგალითები: „ამოვიდა სოფელში, ნახა და, რაპ ნახამს, სოფელი ცარიელია“. „ნახა, რაპ დაინახამს, ტანტზე ერთი ჰაბუკი წევს“. „ყინულზე წაიქცა, მარა რა წაიქცა, ველარ ადგა“. „აზიაცკები იყიდა, მარა, რა აზიაცკები, სუ პრიალი გაპქონდა“. „ამოვიდა ერთ ქალაქში, ნახა, რო, რას ნახამს, სუ ქალებია ამ ქვეყანაში?“ „გადახტა, მაგრამ, რა გადახტა, აღარ ამოსულა...“

გ) არის შემასმენლის განმეორების ისეთი მაგალითებიც, როცა განმეორებულ შემასმენლის წართქმით ან უკუთქმით ფორმებს მოსდევს კითხვითი ინტონაციის შემცველი ფრაზა.

მაგალითები: „დაარხიე, დაარხიე, ეს ტოტები დანტვრევა რაღა იყო?“ „წიწილი მოკალი, მოკალი, ეპ დამალა რაღა იყო?“ „კარგი, ეპ ბიჭი ყანაში გავგზავნოთ, ის გოგოც — ბაღებში, ეპ წქალი ვიდაპ ვაზი დინო?“ „შენ არ გავიერნებია, იმაპ არ გაუეერნებია, ამა, ვინ გაავერნა?..“

ზოგჯერ კითხვითი ინტონაციის გარეშეც გვხვდება შემასმენლის ასეთი განმეორება: „რო არ ქენე, არ ქენე, ეს მაინც გააკეთე“. „არ იმუშავე, არ იმუშავე, იემ კალოპ მაინც დაუდექი...“

51. „და“, „რომ“ კავშირები წინადადების ბოლოს. რიგ შემთხვევაში მოსაუბრე ამოკლებს რთულ წინადადებას და შემოკლებული წინადადების ბოლოს რჩება ან „და“, ან „რომ“ კავშირი.

ა) წინადადების ბოლოშია „და“ კავშირი: „რატომ ტირინარ, ბიჭო? მამამისმა პური არ მუუტეხა'და...“ „რა ბევრი თევი გექონდა, ე ილიკოი ფაცერ მუუდგამდა და...“ „წყალი რატომ არ მოგაქ? — ხელზე შემცვიდა'და...“ „ვკვდებით

სიცილით, გულას აფხაკუნებდა...“ „ტრაქტორებთან რატომ არ გამოხვედით? — დამძინებოდა...“

მაგალითების გამრავლება შეიძლებოდა, მაგრამ აქედანაც ჩანს, რომ წინადადების აზრი შეიძლება დამთავრებულად ჩაითვალოს და-ს შემდეგ. მაგრამ შესაძლებელია კითხვაში გამოთქმული აზრის განმეორება და-ს შემდეგაც. მაგალითად, „რატომ ტირიხარ, ბიჭო? — მამამისმა პური არ მუტუნა“ და იმიტომ ტირის...“

ბ) „რო(მ)“ კავშირი წინადადების ბოლოს აქაც, როგორც „და“-ს ხმარებისას, წინადადების შინაარსი შეიძლება იყოს თხრობითი ან კითხვითი. მაგალითები: „წამოვსულიყავ, იმდენ რამეს მოვკრეფდი, რო...“ „რატომ არ ჩამოხვედი? იმდენი თევზი დასვირეთ რო...“ „სახლიდან რატომ არ წამოიღო? თითონ არ ჰქონდა რო...“ „პურინა გამოვატხოთ ხვალ, ნანო, და გვიფქვამს რო...“ „მე მაგისკენ ვლაპარაკონ, იმდენი როლი ესმის, გაიგენს რო...“

ორივე შემთხვევაში „და“, „რო(მ)“ კავშირები თავის აღვილასა, მაგრამ ბოლო წინადადება თავშია მოქცეული, კითხვის დასმის შემდეგ განმეორდება ის წინადადება, რომელიც თავში არის. მაგალითად, „ჩვენ ყანიდან უკვე მოვედით“. ამას მოსდევს კითხვა: „სამუშაო დაამთავრეთ რო...? გაგრძელების შემთხვევაში გვექნებოდა: „ჩვენ ყანიდან უკვე მოვედით, სამუშაო დაამთავრეთ, რომ მოხვედით?“ მთქმელი ამოკლებს დამოკიდებული წინადადების ან მარტივი წინადადების გამოტოვებით რთულ წინადადებას და აზრი არ ირღვევა, პიროქით, მარტივდება.

ასეთი შემოკლებისას აღსანიშნავია ერთი გარემოება. მოლაპარაკე წინასწარ გრძნობს გამოტოვებული წინადადების შინაარსსა და საპიროდ აღარ თვლის მის თქმას. შედეგს მეტ ყურადღებას აქცევს, ვიდრე მიზეზს, სწორედ ამით უნდა იყოს გამოწვეული, რომ წინადადება ასე კი არაა აგებული: „გვაშინებდა და ვტიროდით“, არამედ ასე: „ვტიროდით, გვაშინებდა და...“ ყურადღების ცენტრი გადატანილია „ტირილზე“, როგორც შედეგზე, ხოლო მიზეზი — „გვაშინებდა“ უკანა პლანზეა დაყენებული.

ნ2. ქართული სათვის არაბუნებრივი ფრაზები: „ზედა თავიდან მოგვცეს ტყვიან“. ამ „ყაჩაღებმა თათბირი ქნეს“. „იშრათი (სამართლის გადაწყვიტა) უყო“. „იმან როინადი გამიკეთა“. „იქნა, პარასკები მივიდა“. „ჩამილბეჩი პაიდაბალამ“ (წავიდა). „ანდერძი უყო“. „კრება გა-

აკეთა“. „შვილმა ატკაზი (უარი) დაჰკრა“. „უარი და-  
მირტყა“. „თაღანი ქნეს“ (დაარბიეს).

აქ გამოყოფილი სტილისტიკური თავისებურებანი მხოლოდ ჭავ-  
ხური როდია, ბევრი მათგანი საერთო იქნება არა მარტო სხვა დიალექ-  
ტებისათვის, არამედ სალიტერატურო ქართულისათვისაც. გამორი-  
ცხული არაა ზოგიერთ ფრაზეოლოგიაში თურქულის ზეგავლენა.  
ზოგიერთი სტილისტიკური თავისებურებების განხილვაზე თავი შე-  
კავებთ. დაწვრილებითი და ყოველმხრივი განხილვა სტილისტიკური  
თავისებურებებისა მოითხოვს სპეციალურ და გულისხმიერ შესწავ-  
ლას.

ყველაზე მეტად აღსანიშნავია: წინადადების  
წევრთა განმეორება, შემასმენლის ადგილი მარტივ წინადადებაში, მსა-  
ზღვრელ-საზღვრულს შორის წინადადების სხვა წევრების ჩართვა.  
შემასმენლის განმეორება წართქმითი და უკუთქმითი ფორმით: „და“,  
„რო (მ)“ კავშირების მომდევნო წინადადების გამოტოვება რთულ  
წინადადებაში.

ამ თავის დასკვნითს ნაწილში არ შეიძლება კვლავ ყურადღება არ  
მივაქციოთ „ვეფხისტყაოსნის“ სტილს განმეორების საკითხში. ამ ხერ-  
ხით, რომელიც ჩვენ მიგვაჩნია ქართული ენის ბუნებრივ ხერხად,  
დიდი პოეტი აღწევს აზრის სიცხადეს, სიმარტივეს, ლაკონიურობას,  
რაც მთავარია, ზემოქმედებით ძალა ჭადოქრულია, მკითხველი კმაყო-  
ფილებას იღებს, არ ბეზრდება. მაგალითად, ჟამი გვახლავს სიბერისა,  
სიყმაწვილე გარდგვივლია“. „ესტარი შესანახავი, არ-ცუდად დასა-  
ხეველი...“

სტილისტიკურ თავისებურებათა თანხვედრილობას მიემატება ლე-  
ქსიკურ-იდიომატურ გამოთქმათა შეხვედრები და ამის შემდეგ შეიძ-  
ლება მკვლევარმა საფუძვლიანად ილაპარაკოს „ვეფხისტყაოსნის“  
ავტორის ვინაობის საკითხზე.



ლ ე ქ ს ი კ ა

ნპ. ჯავახური ლექსიკის შემადგენლობა. ~~ლექსიკური შემადგენლობა~~ ენის ისეთი ნაწილია, რომელიც ენის გრამატიკულ წყობასთან შედარებით უფრო ცვალებადია. ლექსიკა იცვლება და ივსება ახალი სიტყვებით სტაციონარული წყობილების ცვლასთან ერთად, რაც განპირობებულია ტექნიკის, წარმოების, კულტურის, მეცნიერებისა და სხვა დარგების განვითარებით.

ძირითადი ლექსიკური ფონდი ენისა ძალიან გამძლეა. ახალი სიტყვებით შევსება, სიტყვის მნიშვნელობის გამოცვლა ენას კი არ ასუსტებს, არამედ ამდიდრებს, უფრო მოქნილს ხდის მას, თუ ეს ახალი სიტყვა თავისი წარმოებითა და ხმარების წესებით ენის ბუნებას არ ეწინააღმდეგება.

თითოეულ დიალექტს აქვს თავისი ლექსიკური შემადგენლობა, რაც იმას როდი ნიშნავს, რომ ამ დიალექტის სიტყვათა მარაგი არსებითად განსხვავდებოდეს სალიტერატურო ენისა და სხვა დიალექტებისაგან, პირიქით, დიალექტებისა და სალიტერატურო ენის ლექსიკური შემადგენლობა ერთმანეთისაგან განსხვავდება მხოლოდ ნიშანდობლივი ფორმებით, განსხვავებული შინაარსით ხმარებული გამოთქმებით, რომლებიც ხშირად საზიარო აღმოჩნდება ერთმანეთისაგან სრულიად დაშორებული დიალექტებისათვის. ზოგჯერ სოფელსა და სოფელს შორის განსხვავებაა ლექსიკის მხრივ. მაგალითად, ჯავახურში თავისებური ლექსიკა აქვს ხიზაბავრას. ამ სოფლის მეტყველებაში დასტურდება ისეთი სიტყვები, რომლებიც იმ სოფელშიც კი არ იხმარება, რომელიც მასზე კილომეტრნახევრითაა დაშორებული. ეს სიტყვებია: ხ ა რ ძ ა ლ ი, ჯ ი ნ ჯ ი ლ ი, ტ ო გ უ მ ი, ბ ე დ ე ნ ი, გ ა ფ ი... , რომლებიც ჯავახეთის სხვა სოფლების მცხოვრებთათვის გაუგებარია, რადგან ამ სიტყვების შესატყვისად იხმარება: ხ რ ი კ ი — ლ ო დ ე ბ ი ა ნ ი ა დ გ ი ლ ი, ჯ ა ჭ ვ ი, ს ა ჭ ვ ე (-ს ა წ ო ლ ი), ტ ა ნ ს ა ც მ ლ ის მ ხ ა რ ი, ს ა ბ ლ ის თ ა ვ ზ ე დ ა მ ა გ რ ე ბ უ ლ ი ჩ ხ ი რ ი.

უფრო საგრძნობ განსხვავებას წავაწყდებით, როცა დიალექტთა ლექსიკას ერთმანეთს შევუდარებთ. „ბ ა ლ ა ვ ა რ ი“ ქართულურში არ ჩანს. ჯავახურში ეს სიტყვა აღნიშნავს კარის ზედა ქვას, ზემოდან გახილულს, რაზეც უნებურად წარწერებია გამოყვანილი. დასავლურ კილოებში „ბ ა ლ ა ვ ა რ ი“ (ბალავერი იხმარება დასავლურ კილოებში) განსხვავებული მნიშვნელობით იხმარება. იგივე ქვის აღმნიშვნელია, მაგრამ არა ზედა, არამედ ქვედა, საძირკველისა. ძველ ქართულში იმ მნიშვნელობითაა, რომელიც ჯავახურს დაუცავს. ბოლნისის წარწერა (V ს.) გამოყვანილია ბალავრის ქვაზე.

ავილოთ სხვა მაგალითი. „ხ ო ჭ ი ჭ ი“ ჯავახურში აკვნამდელი, ჩერებით შეკრული ბავშვის აღსანიშნავად იხმარება. იგივე სიტყვა აჭარულში „ცაცხვის ან სხვა ხის ქერქისაგან დამზადებული ჩვილი ბავშვის ჩასაწვენ ნავისებურ ნაკეთობას ჰქვია“<sup>1</sup>.

ჯავახურში ამ სიტყვას ძველი მნიშვნელობა დაუკარგავს და აღნიშნავს იმას, რაც შიგ წევს.

„თ ქ ო რ ვ ა“ ჯავახურში აღნიშნავს „გ ა ც რ ი ლ წ ვ ი მ ა ს“, „დ ა ნ ა მ ე ა ს“. ქართულურში ამ სიტყვას სხვა მნიშვნელობა აქვს. გ ა თ ქ ო რ ა ო, ქართლელი გეტყვით მაშინ, როცა მიწა, ნიადაგი ირწყვის და კვლის გარშემო მიწის ქვეშ ისე გავა წყალი, რომ ზედაპირი იმშრალია. მოკლედ, მიწის მორწყვა წყლის აღებით, გაჟონვით, შეწოვით: ასეთ მორწყვას ნიადაგისას ჯავახურში „გ ა ე ო ნ ვ ა ს“ უწოდებენ (აისვა, გაჟონა). საბა გვიხსნის, რომ „თ ქ ო რ ი“ „მეტად წურილი წვიმაო“. ეს შემთხვევა საპირისპიროა პირველისა. თუ „ხოჭიკს“ ჯავახურში მნიშვნელობა გამოცვლილი აქვს და აჭარულს შემოუნახავს მისი პირვანდელი შინაარსი, „თ ქ ო რ ვ ა“ ჯავახურში ძველი მნიშვნელობით არის დაცული, ხოლო ქართულურში კი ახალი მნიშვნელობა შეუძენია.

ანალოგიური მაგალითები შეიძლება მოვიყვანოთ ძველი ქართულიდან. „ც ხ ე დ ა რ ი“ ნიშნავდა „ს ა წ ო ლ ს“. ახლა აღნიშნავს ადამიანის სხეულს და ისიც მკვდრისას. ამ შემთხვევაში „ს ა წ ო ლ ი ს“ სახელი გადავიდა ადამიანის „გ ვ ა მ ზ ე“. „ხ ო ჭ ი ჭ ი ს ა ც“ მსგა-

<sup>1</sup> იხ. აპარას ხალხური სიტყვიერება, ტ. II, თბილისი, 1940, გვ. 245; შ. - ნ ი ე ა რ ა ძ ე, ქართული ენის აჭარული დიალექტი, ლექსიკა, გვ. 439. აჭარულში ხოჩიჩია. ჰ-სა და ჩ-ს მონაცელობაა. საბა ამ სიტყვას განმარტავს, როგორც მცირე აკვანს. აჭარულს ამ სიტყვის უფრო ადრინდელი მნიშვნელობა შემოუნახავს, ვიდრე ჯავახურს.

ესი ცვლილება განუცლია, იმ განსხვავებით, რომ აქ ცოცხალი ადამიანი იველისსმება, კერძოდ, აკვნამდელი ბავშვი.

„თ ქ ო რ ვ ა“ სიტყვის მსგავსი ცვლილება შინაარსის მიხედვით მოუვლიდა „კ უ ბ ო ს“. ადრე „კ უ ბ ო“ ადამიანის ჩასაყდომი ტახტი იყო, რომელსაც აქლემებს ჰკიდებდნენ და ხელითაც ატარებდნენ. ხელით სატარებელს ხელკუბო ერქვა. თანამედროვე ქართულში კი ყველასათვის ცნობილია, რომ, ადრე თუ ცოცხლივ იხვენებდა, ხოლმე ასეთ ნაკეთობაში კაცი და სიამოვნებასაც გრძნობდა მისი გაგონებით, ახლა მაინცდამაინც ვერაფერი სიამოვნების მომგვრელია ადამიანისათვის სიტყვა „კ უ ბ ო ს“ ხსენება, რომელიც ძველი მნიშვნელობის გამოჩანტვას იმით ენათესავება, რომ, იქ თუ დროებით და სააქაოს იხვენებლა, აქ სამუდამოდ და საიქიოს განისვენებს ხოლმე.

როგორც ჩანს, არამართო სალიტერატურო ქართულში იცვლის სიტყვები მნიშვნელობას, არამედ ცალკე დიალექტებშიც. დროის ერთ მონაკვეთში სხვადასხვა მნიშვნელობით გვხვდება ერთი და იგივე სიტყვა სხვადასხვა დიალექტში. ჭავჭავაძეში „კ უ ბ ო ს“ ახალგაზრდა თუ იხმარს ახალი მნიშვნელობით, თორემ მოხუცი ხალხი „ს ა ს ა ხ ლ ე ს“ უწოდებს. სხვაგან „ს ა კ ა ც ე ს ა ც“ ხმარობენ „კ უ ბ ო ს“ აღსანიშნავად.

სიტყვათა შეკრება ყველაზე საშური საქმეა დიალექტოლოგიისათვის. საქმეა ისეთი სიტყვები, რომლებიც მხოლოდ ერთეული მოხუცების მეტყველებაშია იხმარება. ახალგაზრდობა ამ სიტყვებს არ იცნობს და, თუ იცნობს, შინაარსი სწორად არ ესმის. ბევრ მოხუცს სამარეში თან ჩააქვს ძველი სიტყვა-გამოთქმები. სოფ. ჩუნჩხაში „ხ ჩ ო ლ ს ა“ და „ზ ა რ ბ ს“ მხოლოდ ერთი ღრმა მოხუცი ხმარობდა. სხვა სოფლებში თითო-ოროლა მოხუცს ესმოდა ამ სიტყვების მნიშვნელობა. ახლა მხოლოდ ხიზაბავრას ხმარობენ „ხ ჩ ო ლ ს“,<sup>1</sup> რომელიც წნელისაგან დამზადებული რგოლის ფორმის კისერზე ან სხვა რამეზე წამოსაცმელი სალტეა (მაგ.: ურმის ღერძის თავზე, ბორბალი რომ არ გამოძვრეს). ამ სიტყვის მნიშვნელობა და ძირი „ხ რ ჩ ო ბ ა“//რ ჩ ო ბ ა“ ზნნისაგან მომდინარეობს. მეორე სიტყვა „ზ ა რ ა ბ ი“ მხოლოდ ერთმა მოხუცმა იცოდა (87 წლისა იყო). ერთხელ, არაკის მოყოლისას, იხმარა: „ურუმებს (-ბერძნებს) ერთი ძრიენ განთქმუ-

<sup>1</sup> „ხ ჩ ო ლ ი“ იხმარება აქარულშიც, რომელიც წნელის რგოლებით ასხმელი საბელია (საქონლისა), იხ. შ. ნ ი ე ა რ ა ძ ე, ქართული ენის აკარული დიალექტი, ლექსიკა, გვ. 441.

ლი მეფე ზარბი კოსტანტინე ჰყამდათო“. ზარბიო — სახელიანი, დი-  
ლიო — განმმარტა მოხუცმა. საბას ლექსიკონში „ზ ა რ ბ უ ნ ა“  
გვხვდება და ნიშნავს მოდილოს. ხიზაბავრას ერთმა მთქმელმა იხმარა  
ფრაზაში: „ზ ა რ ა ბ დევი მოვიდაო“. „ზ ა რ ა ბ“ იქნებ ამ სიტყვის  
ფონეტიკური ვარიანტი იყოს.

ხშირად თვითონ მთქმელმაც აღარ იცის სიტყვის მნიშვნელობა,  
„ც ე რ ც ვ ე ლ ა ი გორდებოდა, ნაღრძობაი კეთდებოდა“, ჩაე-  
წორე შელოცვა და შევეკითხე მთქმელს: რას ნიშნავს ცერცველი-მე-  
თქი. ვერ მიპასუხა. საბა ასე განმარტავს ამ სიტყვას: ცერცველა —  
ცულდერცვაა (ან ცერცველდა) — იქნებ ამ განმარტებასთან ჰქონდეს  
რაიმე კავშირი. ნაღრძობი, ხელი იქნება თუ ფეხი, ცერცვივით სივლე-  
ბა ხოლმე.

განსხვავებული საქმიანობის გამო სხვადასხვა კილოზე მოლაპარა-  
კენი წარმოებული საქმიანობისათვის შესაფერის ტერმინებს ხმარობენ.  
ასევე ითქმის მცენარეულობასა და ცხოველებზეც. სადაც რა იზრდე-  
ბა, რა ხარობს, მისი სახელი უფრო მკვიდრი იმ კუთხეშია და ადვილი  
შესაძლებელია სხვა კუთხის წარმომადგენელმა სულაც არ იცოდეს ეს  
სიტყვა, მიუხედავად იმისა, რომ სიტყვა ქართულია.

მაგალითად, ყველა ქართული კილოს მეტყველებაში არ იქნება  
ურმის ნაწილების აღმნიშვნელი ტერმინები: თარი, ქალი, დედანი, ბეწ-  
ვნა, ყვერნა, ხელნა, კოფო, გარჯი, ჭინჭილაკი, მახარა, ხუნდი...

სხვა სიტყვებიდან: ანძლატი, საპარავი, წურწუმა, ყაბახი, ღვარე-  
ული, ქელი, ნობათი, ზღვე, სანკვრე, საქვე, ვარიოზი, ვარია, ფიჯგი,  
ღარიჯი, სანარწყალი, ფაგი, კარაპანი და სხვა.

თეთრი მიწის აღსანიშნავად ჯავახურში იხმარება „თ ი რ ო“. ეს  
სიტყვა საბას არა აქვს. არც ქართლურშია. სამაგიეროდ მეგრულში  
„თ ი რ ი“ თოვლს ნიშნავს<sup>1</sup>. „თ ა ვ ა ლ ა“ საბას ლექსიკონში არაა.  
მაგრამ მეორე ნაწილს „ა ლ ა“-ს საბა განმარტავს: „სიგრძეზედ ამარ-  
თული“ (ნ. ყირა). ყირას ასე განმარტავს საბა: „ცხოვლი რა თავზე  
აღემართოს და ფერხი აღმა ქნას, ხოლო უსულო რა აღემართოს, ანუ  
კაცმან აღმართოს, ალას ა ღ მ ა რ თ ვ ა დ ვიტყვიო“.

ვეგონებ ყველაფერი გასაგებია. ჯავახურში „თავალა“ (თავ + ალა)  
„ა ღ მ ა რ თ ს“ ნიშნავს<sup>2</sup>. „ჯ უ რ დ ა ნ ი“ ქიზიყურში შეკრული

<sup>1</sup> ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, კანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი,  
თბილისი, 1938, გვ. 189.

<sup>2</sup> ი. მ ა ი ს უ რ ა ძ ე, „წიგნი დედაენის წარსულზე“, „ცისკარი“, № 4, თბი-  
ლისი, 1971, გვ. 144.

ფულია, ჯავახურში — დანის ქარქაში. „ა ქ ო თ ა ვ ე ბ ს“ — ჩხრეკს, გულდასმით ეძებს. მაგალითად, „თელი სახლი გადავაქოთავე და ვერ ვნახე“.

მსგავსი და სხვაგვარი სიტყვები განმარტებული იქნა ლექსიკონში<sup>1</sup>. ბევრი სიტყვა, რომელიც ძველ ქართულში იხმარებოდა და ახლა ქართლურსა და სალიტერატურო ქართულში აღარ გვხვდება, შემონახულია ჯავახურში: რემა, დაოდება (შდრ. ოდი, საბა), შახარი, ნასი, ხასი, სანიჰარი, ბოჩიკი, სასახლე... ჯავახურში უხვადაა ისეთი სიტყვები, რომლებიც ქართლურში არ ჩანს: ატოლი, ღიმი, ფამფარა, აქრა-ქუქრა//აბრაჰიკა, ნეგო, ქაკული, წივა, თეთენი, ყალალი, ტარდი, ხუში, კომტორი, ფავი, ხორომი, კუსხუნი, ქლარკი, ნიდაყვი, საფილავი...

ძველი ფორმით შემონახულია: ყ უ რ დ ლ ე ლ ი, კ ა ნ დ ა რ ი, ს ჯ უ ლ ი, ი ს რ ე, ა ს რ ე, და დ ა ლ უ ლ ი...

ხშირად საქონლის დაძახების ან ზედწოდების სიტყვაში შემორჩენილია აღრინდელი სახელწოდება: მაგალითად, ბატს ასე გარეკავენ: ს ა ი, შ ე ყ ე რ ყ ე ტ ო (-ღ ე რ ღ ე ტ ო), ხბოს ეძახიან: ფ უ ჩ ი, ფ უ ჩ ო! ამას კავშირი უნდა ჰქონდეს, „ფ უ რ“ სიტყვასთან, თხას ჩ ი გ ა, ჩ ი გ ა-ს ძახილით გარეკავენ. საფიქრებელია, „ჩ ი გ ა“ თხის აღმნიშვნელი ყოფილიყო აღრე<sup>2</sup>. ხურიტულში ჩ ი გ ა თხას აღნიშნავდა.

ზოგ უცხოურ სიტყვას მოქალაქეობრივი უფლება აქვს მოპოვებული, მათი ქართული შესატყვისები მივიწყებულია. მაგალითად, „ლ ა ლ ი“ (რომაული) — „ბ ლ უ“, „ზ ა რ ფ ო შ ი“ (სპარსულია) — არაყის სახდელი ქვების თავსახური, „ქ უ რ უ მ ი“ // „ქ უ რ უ ნ ი“ (სირ.) — წყლის აბაზანა ლოდში ამოჭრილი. „პინა“ (ბერძნ.) — ხის ჯამი, „ლაღაბი“ (არაბ.) — მეტსახელი, „ლეღეზი“ — სულელი, „სამა“ — მოსულელო, ბოში — „სუსტი“, მოშვებულნი, „თეში“ — ნარტის დასაძახი ხერტალი (თითისტარი), ბარბარი (რომაული) — დალაქი, „ვარიოზი“ (ბერძნ.) — რკინის ღიდი ურო, „სირა“ — ჯერი, რიგი, „ინადი“ (არაბ.) — „კიუტობა“, „დამათი“ (ბერძნ.) — თამბაქოს ფოთლების დაწყობა, „ფუხარა“ (არაბ.) — ღარიბი, ღატაკი.

<sup>1</sup> იხ. გრ. ბერიძე, ჯავახური დიალექტის სალექსიკონო მასალა, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1981.

<sup>2</sup> „ჩიგას“ კავშირი უნდა ჰქონდეს „თიჯან“ // „ციკან“ სიტყვასთან (შდრ. ჩიგან// ჩიგა. თიჯან // თიჯა, ციკან// ციკა). აღნიშნული ფორმების ერთი ძირიდან მომდინარეობა ექვს არ უნდა იწვევდეს.

54. „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკური ერთეულები ჯავახურში. რაც დრო გადის, მით უფრო საცნაური ხდება ქართულ ენათმეცნიერებაში, კერძოდ, ლექსიკოლოგიაში, რომ რუსთაველის ენას უცილობელი კავშირი აქვს ქართული ენის სამხრეთულ დიალექტურ სამყაროსთან (მესხურთან, ჯავახურთან, იმერხეულთან, აჭარულთან). ამ ოთხ კილოში მეტნაკლებად შემორჩენილა პოემის ენის არა მარტო ის ლექსიკური ფორმები, რომლებიც სხვა კილოებს არ გააჩნიათ, არამედ ისეთიც, რომლებიც სხვა კილოებსაც აქვთ და ამ ოთხ კილოთაგანს რომელიმეს მაინც გააჩნია, თუ არა ოთხივეს.

ვინც რა უნდა თქვას, ერთადერთი საიმედო ხერხი რუსთაველის მშობლიური მხარის საბოლოო დადგენისა, მაინც ქართული ისტორიული დიალექტოლოგიის მეცნიერულად დამუშავებაა.

„ვეფხისტყაოსანი“ დიალექტოლოგიურად პირველად აკად. არნ. ჩიქობავამ შეისწავლა. მან ჩვეული მეცნიერული სიდინჯით დაასკვნა, რომ, რადგან რუსთაველისეული დიალექტიზმები სხვა ძეგლებსა და დიალექტებშიც გვხვდება, ამიტომ ძნელია, ამ ხერხით დავადგინოთ ავტორის ვინაობაო, მაგრამ თან დასძინა: „არსებობს არა ერთი გარემოება, რომელიც გვაფიქრებინებს, რომ უნდა არსებულებო სხვა დიალექტური წრე, რომლიდანაც ეს მოვლენები შეითვისა სალიტერატურო ქართულმა. შეიძლება ეს კილო აჭარის სამხრეთით გვევარაუდებინა, — ტაოსა და კლარჯეთში“<sup>1</sup>.

მკვლევარის პოზიცია ნათელია. რუსთაველს დაუწერია სალიტერატურო ქართულით თავისი პოემა, ხოლო სამხრეთ საქართველოს სავარაუდო ისტორიულ დიალექტს შეუტანია იმდროინდელ სალიტერატურო ენაში დიალექტიზმები.

მეორე მეტად მნიშვნელოვანი და, ჩვენი აზრით, სავსებით მართებული მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით გამოთქმული აქვს აკად. შ. ძიძიგურს. „ქართულმა დიალექტოლოგიამ არ იცის სხვა დიალექტური ერთეული, თუ არა მესხური, რომელშიც გაერთიანებული იყოს „ვეფხისტყაოსანში“ აღმოჩენილი აღმოსავლურ-ქართული და დასავლურ-ქართული ენობრივი მოვლენები... ისიც გასაგებია, რომ იმერხეულში (შავშეთის მეტყველებაში) არაიშვიათია ქართლიზ-

---

<sup>1</sup> არნ. ჩიქობავამ, დიალექტიზმების საკითხებისათვის „ვეფხისტყაოსანში“, „ენიშენის მოამბე“, III, (1938), გვ. 220.

მეზი, ისევე როგორც ზემოაქარულში, რომელიც ისტორიულად შე-  
დიოდა მესხური დიალექტის სისტემაში<sup>1</sup>.

მესხზე მოსაზრება ამ საკითხის ირგვლივ, გამომდინარე წინა ორი-  
დან, ეკუთვნის პროფ. შ. ნიქარაძეს. იგი წერს: „ვეფხის-  
ტყაოსანის“ ლექსიკაზე დაკვირვებამ დაგვარწმუნა, რომ პოემაში  
არსებული სიტყვების დიდი ნაწილი (ასევე გრამატიკული ფორმები)  
მესხურ-ზემოაქარულ-იმერხელისთვისაა დამახასიათებელი... სამხ-  
რული დიალექტიზმების მოქარბება პოემის ენაში არ უნდა იყოს  
შემოხვევითი მოვლენა. აქარულს მესხურ-ჯავახურთან და იმერხელ-  
თან ერთად გადამწყვეტი ძალა უნდა ჰქონოდა ჩვენი კლასიკური სამ-  
წერლო ენის ჩამოყალიბებაში... სწორედ ამაზე მიუთითებს მრავალი  
სიტყვა და გამოთქმა, რომელნიც პარალელს პოულობენ პოემის ენა-  
ში“<sup>2</sup>.

შემდეგ პროფ. შ. ნიქარაძეს თავის მონოგრაფიულ ნაშ-  
რომში „ქართული ენის აქარული დიალექტი, ლექსიკა“ სპეციალუ-  
რი პარაგრაფი დაუთმია აქარული ლექსიკისა და „ვეფხისტყაოსნის“  
საერთო ფორმებისათვის<sup>3</sup>.

მესხურ-ჯავახურისათვის დამახასიათებელი ბევრი ენობრივი ფორმა  
თავის შესატყვისს პოულობს „ვეფხისტყაოსანში“<sup>4</sup>. ეს საკითხი ყოველ-  
მხრივი შესწავლის საგანია. ამჯერად დავკმაყოფილდებით საერთო  
ლექსიკური ერთეულების ჩვენებით. განზრახული გვაქვს მესხურ-  
ჯავახურის ყველა დიალექტური თავისებურება შევადაროთ პოემის  
ენას ენაიმეცნიერულად.

ქვემოთ მოყვანილი ლექსიკური მასალის ნაწილი (ნახევარი მაინც)  
ქართული ენის სხვა დიალექტებში არაა დადასტურებული, ნაწილი ის-  
მარება, მაგრამ განსხვავებული მნიშვნელობით:

1. აგეთი თითით საჩვენებლად გამორჩეული (ცუდი გაგებით).  
გალანძლა, სუ იესე ებნებოდა: შე ა გ ე თ ო და ა გ ე თ ო ო (შდრ.  
შე ასეთო და ასეთო).

<sup>1</sup> შ. ძიძიგური, ლიტერატურულ-ენაიმეცნიერული ნარკვევები, გვ. 20,  
21, 28.

<sup>2</sup> შ. ნიქარაძე, ქართული ენის აქარული დიალექტი, ლექსიკა, გვ.  
40—42

<sup>3</sup> იქვე, გვ. 40—44.

<sup>4</sup> აქ მოყვანილი სიტყვები, ჩვენი აზრით, მესხურ-ჯავახურსა და „ვეფხისტყაოსან-  
ში“ ერთნაირი მნიშვნელობით ისმარება. ორიოდ მაგალითი იქნება ისეთი, როცა  
დიალექტებში განსხვავებული გაგებაც აქვს. მაგალითები პოემისა მოგვეყვას 1957  
წლის გამოცემისა, სარედაქციო კოლეგია: ალ. ბარამიძე, კ. ქეკელიძე,  
ა. შანიძე, ლექსიკონი შედგენილია ა. შანიძის მიერ.

ვეფხისტყაოსანი: რად ხარ შმაგი ა გ ე თ ი ო 744,3; მტყუნსა და შენ ა გ ე თ ს ა 527,4. პოემაში ნახმარია ე ა გ ე თ ა ფორმაც, რომელიც ნიშნავს მისთვის შ ე ს ა ფ ე რ ი, საიმისო იყო: „ჯოგი ნახეს, მოეწონა, ფრიდონისთვის ე ა გ ე თ ა“ 1375,2.

2. ასპიტი — ავი, ცუდი ხასიათის ქალია: ერთი ასპიტი რძალი შეხვდა. ვეფხისტყაოსანში აღნიშნავს გველს: „ვითა ასპიტი მკვრეტელთა მისთა თვალითა მალაღვი“ 1231,4.

3. აქნამდინ (-აქანამდის) აქამდის: აქნამდინ საღ იყავი, ბიკო? ვეფხისტყაოსანში: „აქანამდის ჩემგან შორს ხარ დანამჭირად“... 127,2.

4. ახეწა — ნახნავზე იტყვიან, როცა აქა-იქ გაკაწრავს, ზემოდან გაავლებს კვალს: სუ აუხეწია, გაუფუჭებია. პოემაში სახის დაკაწვრას ნიშნავს.

ვეფხისტყაოსანში: „ლაწვნი თეთრნი ა ა ხ ე წ ა“ 760,4; „ლაწვი, ვარდი ა ი ხ ე წ ა“ 659,1.

5. ბანი — სახლის მიწის სახურავი (ერლო): „ბანი დანი კინდამ ვადმოვარდა, ქალო. აქვს მეორე მნიშვნელობაც: აღნიშნავს მიწის სახურავზე დატანებულ სასინათლო სარკმელს: ბანი ს შუშა გიეტება. ვეფხისტყაოსანში: „ჩემთა მკვრეტელთა მოეცვა ქალაქი, შუკა და ბანი“ 478,1.

6. გაბასვრა — გულის მოკვლა, მძიმე წყენინება: ამ ბიჭმა ძიენ მაწყენინა, გული გამიბასრა.

ვეფხისტყაოსანში: „სხვა მოყვარე თვალსა ჩემსა გაკიცხულა, გაბასრულა“ 862,41.

7. გათავნება — გათანაბრება, გასწორება. ჯავახურში იხმარება თავნი: თ ა ვ ნ ი მისცა (ვაჭრობის დროს ანგარიში გაუსწორა, არის სხვა მნიშვნელობითაც: თავნი პური — ნარჩევი მარცვალი).

ვეფხისტყაოსანი: „ქირი ღბინსა გაათავნე“ 1274,3; „კმუნეა ამით გაათავნეს“ 818,3.

8. გაქიქება — შერცხვენა, გალანძღვა: ვიწყევლები, ჩემთვის ვიქიქები.

ვეფხისტყაოსანში: „არ თავი გამიქიქია“ 19,2.

9. გახსნა. (ყურისა) — სისხლის გამოშვება, როცა დასიცხუ-

<sup>1</sup> იგივე სიტყვა იმავე მნიშვნელობით ნახმარია კიდევ ორჯერ: რას ვიტყოდი, მოკთომილი, გაბასრული 632,2; მათთა ცოლთა მოიძულენეს ქმარნი, დარჩეს გაბასრულად 1075,4.



ლია საქონელი. ბიკო, ბიკო, ცოდოა, ყური გაუხსენ, სისხლო გამოუშვი.

ვეფხისტყაოსანში: „მეფემან ბრძანა გახსენეა ხელისა“ 362,3.

10. განდობა — ვინმესათვის საიდუმლოს თხრობა, თქმა, ისე რომ სხვას არ გაუმჟღავნოს (საპირისპიროა: გათქმა — საიდუმლოს გაცემა).

ვეფხისტყაოსანში: „ვერ გავანდეე ქმარსა ჩემსა“ 1150,2;  
„მო და გავანდო“ 1152,2.

11. განაღამცა//განაღა//განღა სამი ფორმით და სამი მნიშვნელობით იხმარება ვეფხისტყაოსანში. მოვიტანთ თითო მაგალითს:

განაღამცა განა-ს ნიშნავს: „ხამს განაღამცა სათქმელად“ 38,3; თერთმეტ შემთხვევაში განაღამცა ნახმარია „დიახ“, „რა თქმა უნდა“, „რა საკვირველია“-ს მნიშვნელობით<sup>1</sup>, ხოლო „განაღა“: „განღა“ გვხვდება პოემაში პირველი ერთხელ (15.3), მეორე — ორჯერ (1093,4; 1178,1) და იხმარება „შიდიღება“, „იქნებ“ სიტყვების მნიშვნელობით.

12. გარდაქობა (შდრ. ქდე) — მეტაფორული თქმა, ნიშნავს ყელის ყელზე ჩაკონებას. ჭავახუროში დაქდობა, ქდეზე ნიშნის ამოჭრა, ან ერთმანეთის ჩაკდობა — გამოწყობაა.

ვეფხისტყაოსანში: „ყელი ყელსა გარდააქდეს“ 282,3;  
„გარდაექდო ყელი ყელსა“ 1420,4.

13. გულფიქალი — გულმაგარი: ძალიან გულფიქალი კაცი იყო.

ვეფხისტყაოსანში: „რომე მისცე ქალი თქვენი მკლავ-მაგარსა, გულფიქალსა“ 1522,4.

14. დანახვა — ყინვისაგან (მცენარეულის, ხილის, ყვავილის) მოზრას ნიშნავს. დაზრული ხორბლის ფქვილისაგან გამომცხვარ პურზე იტყვიან: ნასიაო.

ვეფხისტყაოსანში: „ახალმან ფითქმან დათოვა, ვარდი დათრთვილა, დანახსა“ 179,1.

15. დადარება//მიდარება — შედარება: შენ იმაკ ვერ დაედარები.

ვეფხისტყაოსანში: „გული სრულად გამიშმაგდა, თავი მხეცთა დავადარე“ 649,4.

<sup>1</sup> ეს სტროფებია: 134,4; 176,3; 277,4; 457,4; 505,1; 609,4; 868,1; 916,2; 1305,2; 1491,4; 1514,1.

16. დარიდება — მორიდება: მან დარიდება სუარ იცის. ვეფხისტყაოსანში: უბრძანეს: „წადით, პატივთა თავიმცა რად დაპრიდეთა“ 115,2.

17. დაცეცება — დაბეჯითებით ყურება, გულმოდგინედ ივალაურება: რას აცეცამ თვალეზ, რა დეგეკარქა?

ვეფხისტყაოსანში: „...თვალი ამაღ დაეაცეცი“ 625,3. აქედანაა მეტსახელი ცეცია.

18. დასაბურავ-ჩასაცმელი — საერთო სახელწოდება ტანსაცმელ-ფეხსაცმლისა და თავსაბურავისა. შენობაზეც იტყვიან: დასაბურავი დაგვრჩია<sup>1</sup>.

ვეფხისტყაოსანში: „ღია ეღვა სასალუქო დასაბურავ-ჩასაცმელი“ 1077,4.

19. ერდო შდრ. ბანი 1. მიწური სახლის სახურავი 2. მიწურზე დატანებული სინათლის (ძველად საკვამურიც) საკმელი. პოემაში მეორე მნიშვნელობითაა ნახმარი: „სიმძიმითა ერდო<sup>2</sup> დახაშ, სიხარულის კარი აღი“ 393,3.

20. ერცახე (-ერთ-სახე)<sup>3</sup> მცირე, ცოტაოდენი: ერცახე პური მაძიტხე...

რუსთაველი ამ სიტყვას ხმარობს ორი მნიშვნელობით: პირველი მცირე, ცოტა, „ავთანდილსცა ცრემლი წასდის წამწამთაგან ერთ-სახეწა“ 659,3. სხვა სტროფში ერთგვარს, ერთნაირს ნიშნავს: „ხმას სცემდეს კლდენი ქალისა ზახილსა მუნ ერთ-სახესა“ 231,4.

21. ვარგი — ვარგისი ჯავახურში იხმარება ფრაზაში: არ ვარგიო კაცია. ცალკე ვარგი უარყოფითი ფორმის გარდა, არ იხმარება. ვეფხისტყაოსანში: „ვინცა ისმენს კაცი ვარგი“ 12,3.

22. ვითამ — ვითომ: ვითამ შენცნა დაიკვეხო, საქმე გავაკეთეო.

ვეფხისტყაოსანში: „ერთსა ბრძანებს დედოფალი მართ სიტყვასა ვითამ ათსა“ 1632,2.

<sup>1</sup> ესა და ზოგი სხვა ფორმა (დაბურვა, ერცახე, ვარგი, ვითომ, კაპანი, მოღვა, ტაროსი...) აპარულშიც იხმარება. იხ. შ. ნიქარაძე, ქართ. ენის აპარული დიალექტი, ლექსიკა, გვ. 42—44.

<sup>2</sup> ერდო ამავე მნიშვნელობით იხმარება ზემოიმერულში, იხ. ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული ლექსიკონი, გვ. 149.

<sup>3</sup> ერისახე // ერცახე იხმარება, აპარულში: შ. ნიქარაძე, დასახ. შრომა, გვ. 192. ზემოიმერულში, ქ. ძოწენიძე, დასახ. შრომა, გვ. 148; გურულში: ს. ქლენტი, გურული კილო

23. ზადი — ნაკლი, უარყოფითი მხარე, ბინჯი: მაგაპ რაიმე ზ ა ლ ვერ უშოვნი (უპოვნე), ძრიენ კარგია.

ვეფხისტყაოსანში: „ცუდად მაშვრალნი მოვიდეს, მათსავე გულსა ზ ა დ ი ა“ 116,4.

24. კაპანი — ძნელად გასასვლელი ვიწრო კლდოვანი გზა.

ვეფხისტყაოსანში: „ე რ თ ო ბ ლაშქრითა აივსო მინდორი, კლდე, კ ა პ ა ნ ი ა“ 402,4.

25. კოტა — ხიზაბავრაში ეძახიან კოტას უღლის შუა ადგილზე ჩხირს (ორ ცალს), რომელიც ჯაჰეს ან ასაკრავს იმაგრებს (რომ არ გაცურდეს ხარის ქედისაკენ), სხვანაირად სხვა სოფლებში კორა ჰქვია.

ვეფხისტყაოსანში: „ესველიან, ჰკოცნიდეს ხრამალსა და სალტე, კ ო ტ ა ს ა“ 611,4.

26. ლაღვა — (ჯავახურში ვალალა), წყველა ვალალა გადააყარა, სხვაგვარადაც ამბობენ: ქ ო ქ ო ლ ა მიაყარაო. (ეს მოქმედება სრულდება ხელების და თვალების მოძრაობით). აქედან ნაწარმოებია მოქმედებითი გვარის მიმღეობა მ ლ ა ლ ა ვ ი.

ვეფხისტყაოსანში: „ტკბილად უქვრეტს, არა ჰ ლ ა ლ ა ვ ე ს“ 1646,4; „რაცა ვის გინდა, წაიღეთ, არვისი ვიყო მ ლ ა ლ ა ვ ი“ 1057,2; კიდევე: 1231,4 სტ.

27. ლაღბი — სახუმარო სახელი, მეტსახელი. ამ სიტყვას უკავშირდება ლაღი (მხიარული), ლაღობა (მხიარულება), ლაყფობა (გართობა) და ლაყბობა (უთავბოლო ლაპარაკი, ყბედობა). პოემაში იხმარება პირველი საში, მეოთხე არაა.

ვეფხისტყაოსანში: „მივე მარტო, ქმარსა ჩემსა ვ ე ლ ა ლ ო ბ ე, ველაციცე“ 1153,1.

28. ლაციცი — ქარბი მოფერება: „რაჰ ელაციცები, არაფერი გამოგივა. ვეფხისტყაოსანში: „მივე მარტო, ქმარსა ჩემსა ველალობე, ვ ე ლ ა ც ი ც ე“ 1153,1.

29. ლელი — წვრილი ლერწამი, სასტვირე მასალა. იზრდება წყლის ნაპირას. ვეფხისტყაოსანში: „მუზარაღი მოეხადა, ჰშვენის ავერა თმასა ლ ე ლ ს ა“ 1420,3.

30. მეკეთა — მომეწონა, კარგად მეჩვენა.

ვეფხისტყაოსანში: „მ ე კ ე თ ა ე ს ე თათბირი, ვაზირთა ნავაზირები“ 426,1.

31. მთხვევა — ამბობრება: ახლა ფეხთ ვერ ვ ე მ თ ხ ვ ე ვ ი. ვეფხისტყაოსანში: „რამაზის კაცი მ ე მ თ ხ ვ ი ა“ 421,2, ნახმარია კიდევე: 428,1; 978,1, 1097,2.

32. მკეველი (ჯავახურში] იხმარება ჩაბეჭვა) — ქსოვის დროს ქალები ჩ ა ბ ე კ ა ვ ე ნ ქსელს სპეციალური რკინის იარაღით — ბეჭით, რომელსაც ჰოვასაც ეძახიან.

ვეფხისტყაოსანში: „კაცი ჯაბანი რითა სჯობს დიაცსა, ქსლისა მ ბ ე კ ე ე ლ ს ა?“ 799,3.

33. მალაფი — ნახე ლალეა.

34. მობურვა (მდრ. ბურვა, დაბურვა) — მოხურვა, წამოფარება: ერთი კარი მ ო ი ბ უ რ ე, პიქოჯან, ბიქო! თავზე რატო არ და გ ი ბ უ რ ი ა?

ვეფხისტყაოსანში: „ზეწართა მ ო უ ბ უ რ ა ვ ს პირი ბრძენთა საქებარი“ 370,3. გვხვდება კიდევ: 1176,4; 123,2; 521,2; 577,2; 856,1; 1009,4 სტროფებში.

35. მოგრაგნა — მოხვევა, მოგრება: ლამაზად მოგრაგნილი ჰქონდა ყელზე.

ვეფხისტყაოსანში: „ფიცხლად წამოდიოთ, მ ო გ რ ა გ ნ ე თ მთა და გორია“ 437,4 იხ. სტროფებში: წ ა მ ო გ რ ა გ ნ ა 569,4; მ ო გ რ ა გ ნ ი ს 1410,3;

36. მოდგა (მოადგა): „ადე, მ ი დ ე ქ; მ ო დ ე ქ, იქნია რაღასაც მიეწიო“. უფრო ზუსტი თქმაა: „ლაზარ მო დ გ ა კარსაო, იბრიალამს თელსაო“<sup>1</sup>. ლაზარობა გვალვის საწინააღმდეგო რელიგიური რიტუალი იყო ძველად. ვეფხისტყაოსანში: „მ ო დ გ ა თეთრტაიქოსანი“ 72,4; „ქალი მ ო დ გ ა ნობთა პირსა“ 373,1; ამ ზმნის ფორმები გვხვდება პოემაში კიდევ 16 სტროფში.

37. მოკაზმვა//მ ო კ ა ზ მ უ ლ ო ბ ა — გაწყობა, გამოწყობა, მოწყობა. მესხურ-ჯავახურში მოკაზმვა, მოკმაზულობა, შეკმაზულობა, შეკმაზული... იხმარება (ჩვენი აზრით აღრიდანვე ამ ზმნაში მ ა ნ ი ს მეტათეზისი უნდა იყოს).

ვეფხისტყაოსანში: „მ ო კ ა ზ მ ე თ კარვითა მოედანია“ 551,1; „მეკეთა ლაშქართა მ ო კ ა ზ მ უ ლ ო ბ ა 403,2 ჯავახურში გვხვდება ნ ა კ ა ზ მ ი, რომელიც ხორბლის გარჩევის (დარკვევა) შემდეგ დარჩენილ ხარჯს ჰქვია.

38. მოსავსავება — მწუხარების, დარდის შემსუბუქება, გან-

<sup>1</sup> მე კარგად მახსოვს, როცა ლაზარედ შეკაზმულ კაცს კარდაკარ დაატარებდნენ, წყალს ასხამდნენ, თან აძლევდნენ ყველს, პურს... თანმხლებნი ამას ამბობდნენ: „ლაზარ მოდგა კარსაო, იბრიალამს თელსა, ცხრილი აგორებულა, წვიმა გაშადაბულა, აღარ გვინდა გორახი, ღმერთო, მოგვე ტალახი“.

ქარება. ვეფხისტყაოსანში: „ქირნი ქირთა „მოგვისავსენ“  
198,3<sup>1</sup>.

39. (მ)ჭელი — ჯავახურში მ ა ნ ი დაკარგულა. იხმარება კ ე -  
ლ ი, რომელიც კქვია თიბვის (მკის) შედეგად ერთმანეთზე მიყრილ  
ღერებს ცელისაგან. ვეფხისტყაოსანში: „ისერიან და იზახიან, მხეტა  
სქრიან ვითა მ კ ე ლ ს ა“ 977,4.

40. ნარი — ეკლიანი ბალახი, ნარეკალსაც ეძახიან: წრეულ ყანებში  
ს უ ნ ა რ ე კ ა ლ ა ა მ ო რ ე უ ლ ი

ვეფხისტყაოსანში: „არ გასვია გულსა ნ ა რ ი“ 393,3.

41. ნასი — ნაწვდრალ-გაფუჭებულ ხორბლის გამომცხვარ პურზე  
ამბობენ: ნასიო, გადატანით უშნო, ულამაზოს ნიშნავს.

ვეფხისტყაოსანში: „მჭლე არის და თვალად ნ ა ს ი“ 1203,1;  
კიდეც: 1243,1.

42. ნატუსალი — ნატრუსი, ნატრუსალი, ცეცხლით გარუჯული:  
ისე გაშავებულა, თითქო ნ ა ტ უ ს ა ლ ი ა ო .

ვეფხისტყაოსანში: „ძეს მსგავსად ნ ა ტ უ ს ა ლ ი ს ა ლ“ 1345,1.

43. ნირი — საგნის, ნივთის მდგომარეობის გამომხატველი, ხა-  
რისხის მაჩვენებელი: ისე შეინახე, ნ ი რ ი არ შეუცვალაო. ისე იყო,  
ნ ი რ ი ც არ შეუცვლია. პოემაში მაზანდა, ფასი იგულისხმება.

ვეფხისტყაოსანში: „მ ი მ ი ხ მ ო , მკითხა ამბავი და ნ ი რ ი  
„ართა სყიდისა“ 1073,4.

44. ნიჭი — ჯავახურში ს ა ნ ი ქ ა რ ი ა , რაც ქორწილში ნაჩუ-  
ქარია. ცალკე ნიჭი არ იხმარება საჩუქრის მნიშვნელობით.

ვეფხისტყაოსანში: „ყოვლგნით მოვიდეს მეფენი ნ ი ქ ი თ ა მ რ ა -  
ვალ-გვართა“ 324,3.

45. ნიში — ეს სიტყვა იხმარება ფრაზაში „ნ ი შ ნ ი მოუგო“,

---

<sup>1</sup> ლექსკონებში მოგვისავსენ არასწორადაა განმარტებული: ქირი ქირით შეგ-  
ვიესო. ეს გამოთქმა არ უდგება კონტექსტს. აი ტექსტი: „უყვილაო, თუ: ძმანო, ვინ  
ხართ? მეკობრეთა დაგამსგავსენი“ (დაუყვირა, თუ „ძმებო, ვინ ხართ? ყაჩაღებს მი-  
გამსგავსეთო“); „მათ მიუფეს: დაგვიწყნარდი, გვიშველე რა, ცეცხლი ავსენ“ (უპასუ-  
ხეს: მოგვითმინე, გვიშველე რაიმე, ჩაგვიჭრე ცეცხლი — ე ი. მწუხრება) „ვერა  
გვარგო, მოგვიმტყინე, ქ ი რ ი ქ ი რ თ ა მ ო გ ვ ი ს ა ვ ს ე ნ“ (თუ ვერაფერს  
გვიშველი, გვანუგეშე, ქირი ქირით შეგვიმსუბუქე — განგვიქარე), „სატირელნი  
მოკვიტირენ, ღაწენი შენცა დაიხმავსენ“ (ჩვენი მწუხარება გაიზიარე, ლოყები  
ცრემლით დაიხმავსენ). ყველა განმარტებას სჯობია ნ. ნათაძის მიერ გამოცემული სას-  
კოლო ვეფხისტყაოსნის განმარტება. იხ. გვ. 71—72.

„ნიშნი მოუგე“, „ნიშნი მიუგო და სხვა სასიხარულო ამბავი უთხრა. ნიშატი და ნიში პოემაში შვება-სიხარულია<sup>1</sup>. მაგრამ ჭავჭავაძეში ამ ფრაზას რომ ეტყვიან: „ნიშნი მოუგო“ უსიამოვნო ამბავი უთხრა, რომ ეწყენინებინა, სიხარული, შვება გაემწარებინა. სამაგიერო გადაეხადა რაიმე წყენინების სანაცვლოდ.

ვეფხისტყაოსანში: „ქმნა გაუცუღლა ფარსადანს ნიშატი ს ა და ნიშისა“ 334,2.

46. ნობათი—რიგი, ჯერი<sup>2</sup> შემორჩენილია მხოლოდ წისქვილში ფქვის დროს რიგზე, ჯერზე სათქმელად: „ნეტა ვისი ნობათია წისქვილში“. „ნობათი ჩემია, მე ნაღავყარო“.

ვეფხისტყაოსანში: „დღისით და ღამით მოყმენი ნობათსა არ დასცდებიან“ 1300,3. მეორე შემთხვევაში გუშაგის მნიშვნელობითაა: „ათი ათასი ნობათი, უსულო, მსგავსი მტვერისა“ 1418,4.

47. პაშტა — პოემაში ნიშნავს საკმაოს, ბევრს, დიდს. მესხურ-ჭავჭავაძურში ერთ-ერთ ხალხურ ლექსში „საპატარძლოში“ ნათქვამია: „მურჯახეთით წამიყვანეს პაშტა ქალი მეო, დადე და დადეს მაყრები უკან გავყარეო“. თუ კონტექსტით ვიმსჯელებთ, პატარძალი დიდი უნდა ყოფილიყო, რომ აღნიშნული საქმე გაეკეთებინა.

ვეფხისტყაოსანში: „დავაგდე ზღვარი ინდოთა, მევლო პაშტაი ხანია“. 421,1.

48. რემა — გაუხედნავი, რეგენი, ცეტი: რანა უყო, რემ აა (საქონელზე ამბობენ, რომელიც გაუხედნავია). ადამიანზეც იტყვიან: შენ რა რემ ასავით დადიხარ<sup>3</sup>.

ვეფხისტყაოსანში: „წამწამისა არემ არე“ — გადატანითი მნიშვნელობითაა: წამწამი გაახშირაო. 1532,3; „ამირახორო, მოასხი რემ ა-ჯოგი და ცხენია“ 54,2. მეორე შემთხვევაში პირდ აპირი (ჯოგის) მნიშვნელობითაა ნახმარი.

49. რუბი — საწყაო ჭურჭელი ხორბლისა, კოდის (16 კვ.) მეოთხელი.

ვეფხისტყაოსანში: „მედნისა ტბათათ იღვრების საესე სათისა რუ-

<sup>1</sup> ვეფხისტყაოსანის სასკოლო გამოცემაში სწორადაა განმარტებული ეს სიტყვა-ბი, იხ. ვეფხისტყაოსანი, 1974, გვ. 107. ნ. ნათაძის გამოცემა, ალ. ჭინკარაძის რედაქტორობით.

<sup>2</sup> შდრ. აქარული: შ. ნიქარაძე, ქართ. ენის აქარული დიალექტი. ლექსიკა, გვ. 303.

<sup>3</sup> იქვე

ბ ე ბ ი“ 1146, 3. თუ ნამდვილად ყველა კონტექსტში რუსთაველს ასეთი ძვირფასი ქვის (შავი ქარვის) მნიშვნელობით აქვს ნახმარი, მაშინ რუ-  
ზის რუმბად ვაგება აღარაა საჭირო, რადგან რუმბი სითხის საწყობაა,  
ხოლო რუბი არასითხისა: ხორბალი, ფქვილი და სხვა, თუნდაც ძვირ-  
ფასი ქვა იყოს. ამას იმიტომ ვწერ, რომ მესხეთ-ჯავახეთში ხმარობენ  
რ უ ბ ს ა ც და რ უ მ ბ ს ა ც თავთავისი მნიშვნელობით.

50. საბურავი — ზედსაბურავი, საბანი: „ღამი ხარში წავიდა, ს ა-  
ბ უ რ ა ვ ი არ წაუღია.“

ვეფხისტყაოსანში: „არად უნდის ს ა ბ უ რ ა ვ ი, არცა წოლა საგებ-  
ლითა“ - 1148, 1.

51. საგებელი (ჯავახ. საგებიც) — ლოგინი, საფენი, ქვეშსაგებელი  
რამე: ქვე შეს ა გ ე ბ ი რამე მინც ჰქონდეს.

ვეფხისტყაოსანში: „არად უნდის საბურავი, არცა წოლა ს ა გ ე ბ-  
ლი თ ა“ 1148, 1.

52. სადარწო — დარწი მესხეთ-ჯავახეთში მიწისქვეშა გზაა, სა-  
მაღავია უცხო დამპყრობთაგან თავდასაცავი. ადრე უდარწოდ სო-  
ფელი არ იყო. საბა შესანიშნავად განმარტავს: „დარწი კლდემი, ანუ  
მიწას ქვეშ შესასვლელი სამაღავი“. სადარწო-ს საბა არ განმარტავს.  
სადარწო პოემაში უნდა იყოს საიღუმლო დაზვერვის მნიშვნელობით:  
„მას ღამით უქმნეს ს ა დ ა რ წ ო, უტრუო, არწაჩქარები“<sup>1</sup> 1412.3,  
ე. ი. „ღამით ტარიელის მზვერავებმა საიღუმლოდ შეამოწმეს, აუჩქა-  
რებლად დაზვერეს მისასვლელი გზები.

53. სარკმელი — ფანჯარა, სანათური კედელში დატანებული.<sup>2</sup>

<sup>1</sup> საუბილო გამოცემაში (1937, 1957 წლები) არის ა ნ ა ჩ ქ ა რ ე ბ ი. რაც.  
ჩემი აზრით, კონტექსტს ეწინააღმდეგება. სწორედ მოკვეთლან ვეფხისტყაოსნის  
სასკოლო გამოცემის კომენტატორი და რედაქტორი, როცა არწაჩქარებლად გაუს-  
წორებიათ, აჯობებდა ერთად დაეწერათ (ა რ წ ა ჩ ქ ა რ ე ბ ი). ტექსტი არ გვაძლევს  
იმის საფუძველს, რომ ა ნ ა ჩ ქ ა რ ე ბ ი იწიხმართ: ამა დაავივირდეთ კარგად: მას  
(ქაჯეთის ციხეს) ღამით უქმნეს ს ა დ ა რ წ ო (დაზვერეს საიღუმლოდ მისასვლელი  
გზები), უტრუო (უტრუარი და უტრუო არასოდეს ნაჩქარებლად, აჩქარებულად არ  
კეთდება), არწაჩქარები. „ა დ ა უ კ ე ი რ დ ი, ა რ ა ჩ ქ ა რ დ ე“ — ამ ვიდეულ-  
დღიურ ფრაზაში კარგად ჩანს აღნიშნული დაწერილობის სისწორე. ი. ხ. ვეფხისტ-  
ყაოსნის სასკოლო გამოცემა, გვ. 446. სტრ. 1420, 3.

<sup>2</sup> კედელში დატანებულს სანათურს ან საკამურს ან ნაეღის გადასაგრძელ და  
სინათლის შემოსასვლელს სარკმელი ჰქვია, ხოლო სახურავზე (მიწის სახურავი) გა-  
კეთებულ სანათურს კი ე რ დ ო-ბ ა ნ ი ეწოდება.

ვეფხისტყაოსანში: „ავთანდილ სარკმლით უქკრეტდა“ 265,4; 267,1; 1116,3; 582,1; 1128,1; 1135,1.

54. საქუღბაგე — ბნელი ადგილი, ბნელი სარდაფი (ახალციხეში ახლაც ეძახიან ბნელ სარდაფს).

ვეფხისტყაოსანში: „მიჰმართეს მათ მათსა საქუღბაგესა“ 615,3.

55. სარო — სოფელია ჭავჭავთში (ასპინძის რაიონი) ალბათ ძველად სარო (კვიპაროსი) იზრდებოდა ამ ადგილებში და დაარქვეს სარო<sup>1</sup>.

ვეფხისტყაოსანში ეს სიტყვა ნახმარია წერწეტი ტანის აღმნიშვნელ მეტაფორად თოთხმეტჯერ.

56. სირა — წყება, რიგი, ჯერი: სირაზე ჩარკე ეგ ნამყენები, იტყვიან აღამიანებზეც: ვისი სირაც არი, ის მივიდეს.

ვეფხისტყაოსანში: „შევრთივარ სულთა სირასა“ 884,4.

57. ტაბაკი — მისართმევი ხონჩა.

ვეფხისტყაოსანში: „უსენ ტაბაკსა დაწყო მარგალიტი და ლალები“ 1164,1.

58. ტანაჯორი — ჭავჭავთში ბზრიალა ქვას ან ხეს, ერთ მხარეს წაწვეტილს, ტანაჯორი ჰქვია. თამაშობენ, ურტყამენ და ბზრიანებს. ტანაჯორს ეძახიან მეორე ხალხური საბავშვო სათამაშოს „დედას“ — „მრგვალი ვირის“ დედასაც. ის გარს ურბენს ფერხულად შეკრულ გუნდს, რათა არავინ შეახტეს<sup>2</sup>.

ვეფხისტყაოსანში: „კაცი, ჩემგან განატყორცი, ბრუნავს ვითა ტანაჯორი“ 447,3.

59. ტაროსი — ამინდი, დარი: ცუდი ტაროსი შეხვდა, იტყვიან ვალატანითი მნიშვნელობით: ტაროსი შენ, კარგი რაიმე რომ შემთხვევა ვინმეს; სასიკეთო თუ რაიმე უნდათ მეგობრისთვის ეგრე ეტყვიან: ახლა ტაროსი შენ. ასევე ხმარობენ ცუდი ვაგებიტაც, თუ ვისმე დაწყევლა უნდათ. ცხოვრების, სიცოცხლის ამინდი იგულისხმება.

ვეფხისტყაოსანში: „საწუთრო კაცსა, ყოველთა ვითა ტაროსი უხვდების“ 705,1. კიდეც: 1060,2.

<sup>1</sup> სარო სხვა ვაგებიტაც იხმარება, სარო-ბალახი წაშალია.

<sup>2</sup> არასწორია ი. აბულაძისა და არც ა. შანიძის ტრადიციული განმარტება, თითქოს ტანაჯორი ბუზი იყოს.



60. უშეცარი — უცოდინარი, რაიმეს არამცოდნე: „მე მაგის უშეცარი<sup>1</sup> ვიყავი, რანა მექნა“. „ძველათ უ მ ე ც რ ე ბ ა იყო, შვილო“. ვეფხისტყაოსანში: „საუბარმან უ მ ე ც ა რ მ ა ნ“ 215,2; „დამრჩებოდა უ მ ე ც რ ო ბ ა“ 533,2; „სიტყვა უ მ ე ც რ უ ლ ი“ 758,2; „ომისაცა უ მ ე ც ა რ ნ ი“ 1040,1.

61. უნძრახობა<sup>2</sup> ნ. ჩამატებულია, ორი მნიშვნელობით იხმარება: 1. უღრმესი პატივისცემის ნიშნად პატარძალი მამამთილს არ უნდა დაელაპარაკოს სიტყვიერად. ხელით ან თვალით უნდა უთხრას (ანიშნოს) სათქმელი. 2. ახალი წლის გარიყრაყზე წყაროს უკვლევენ ქერით, მერე მოიტანს „უნძრახ“ წყალს. ესაა „უნძრახი წყლის მოტანა“, ასევეა, „უნძრახი კარაქის ამოღება“ (აღღვომის წინა პარასკევს — დიდ პარასკევს) ბარაქის დასამკვიდრებლად სრულდებოდა ეს რიტუალი. სხვა მნიშვნელობაც აქვს: გაბუტვა, დამღურება: შენ უ ნ ძ რ ა ხ ა თ ხ არ მაგასთან?

ვეფხისტყაოსანში : „მიუყოლობა არ ვარგა, დამწამებს უ ზ რ ა ხ ო ბ ა ს ა“ 360,2. სიტყვა „ზ რ ა ხ ე“ ფუძით ნახმარია კიდევ შვიდჯერ: 61,4; 860,4; 100,4; 894,4; 1565,1; 1091,1; 800,4;

62. ფარდაგი — ფარდა, ჭავჭავურში ფარდაკი იხმარება.

ვეფხისტყაოსანში: „ასმათ ფ ა რ დ ა გ ს ა აზილნა, გარე ვლევ მ ო ფ ა რ დ ა გ უ ლ ს ა“ 344,1.

63. ქმნა — ამ ზმნის მომავალ დროში იხმარება არა ვიზამ, არამედ ვიქმ, იქმ, იქმს (ჭავჭავურში მ იყარგება): რასა ი ქ, რასა ი ქ ს ო... ვეფხისტყაოსანში: „მე, რუსთველი, ხელობითა ვ ი ქ მ საქმესა...“ 8,1; „ვინ ი ქ მ ს სოფლისა თმობასა“ 26,2<sup>2</sup>.

64. ქცევა — ბრუნების გაგებით იხმარება შემდეგ შემთხვევებში: მოდი ეპკალო (ე), უ ქ ც ი ო თ. ქათამი კვერცხზე მ ო ი ქ ც ა (კვერცხის დებას დაუბრუნდა).

ვეფხისტყაოსანში: „გამარჯვებით შე მ ო ქ ც ე ვ ა“ 463,0; „გაემართნეს, ი ქ ც ე ს გარე“ 1382,4; მივლენ „ქ ც ე ვ ი თ ა წყნართა“ 59,2.

<sup>1</sup> „უშეცარი“ ფუძით სიტყვა პოემაში რვაჯერაა ნახმარი, აქედან შვიდჯერ ზუსტად უეიკს, უცოდინარს ნიშნავს სტროფებში: 215, 2549,4; 758,2; 533,3, 759,3; 1040,1; 1581,2. მხოლოდ ერთ სტროფში გაუუშეცარდა ნახმარია ცოტა სხვა გაგებით: ვერ შენიშნა (87,4). ჩვენი აზრით, მართებული განმარტებები აქვს სასკოლო გამოცემელს (ნ. ნათაძეს) იხ. ვეფხისტყაოსანი, სტ.: 90, 200,2, 764,1049, 555.4. 765,3, 539,3.

<sup>2</sup> შდრ. აკურული: შ. ნ ი ე რ ა ძ ე, ქართული ენის აკურული დიალექტი, ლექსიკა, გვ. 44.

65. ყოლაუზი — ჭავჭავაძეში იხმარება ყოლაუზი: რა ყოლაუზი ვით დამდეგ. იდევენება ყოლაუზი ვით და შინ აღარ მოდის. გზის მაჩვენებლის, მეგზურის აღმნიშვნელია.

ვეფხისტყაოსანში: „გზის ყოლაუზი მისტიან“ 976,4; „ავთანდილ კმა ყოლაუზად“ 1374,4.

66. შამათა იხმარება ფრაზებში: „ღმერთმა დაგშამათოს. „ატეხეს ერთი შამათა“. ვგონებ პირველში „დაგცეს, გაგანადგუროს“ მნიშვნელობითაა ნახმარი — მეორე ფრაზაში გამარჯვების ცერემონიალია (ხმაური).

ვეფხისტყაოსანში: „ღმერთმან მოსრნა მტერი ჩვენნი, ვერ დაგვეცემენ ყოლ შამათსა“ 1632,3. ხმაურისა და აურზაურის ატეხვის ღროსაც იტყვიან: რა შამათა ატეხესო.

67. წვერვა — ქვემოდან დიდ სიმაღლეზე თვალთვალი: წვერზე ავიდა, ამან გაწვერა<sup>1</sup>. დიდ სიმაღლეს წვერი ჰქვია.

ვეფხისტყაოსანში: „ცუდი არის სიყვარული, ქვეით კოცნა, მზისა წვერა“ 707,3.

68. ჭაშნაგირი — მეჭაშნიკე. ხალხური როსტომიანის თხრობის ღროს მთქმელმა იხმარა: „ბერიკაცო, ჭაშნაგირო, შენ ჰად წაუხვალ მამაჩემ როსტომსაო“. მნიშვნელობა რომ ვკითხე, მიპასუხა: „ღვინის გამსინჯავია ჭაშნაგირი“.

ვეფხისტყაოსანში: „ისი კაცი ჭაშნაგირი დარბაზს იყო მეტად ხასი“ 1205,2.

69. ჰინახული — წლის სარჩო მოსავალი: წრეულ ჰინახული გააფუქა გვალვამ.

ვეფხისტყაოსანში: „წახდა ჩემი ჰინახული, ვერ მოვიმკი, რაცა ვსთესო“ 1201,4.

70. ხადილი — ტუბილი საუბარი კარაპნებში, წვეულება, პატივი. არის ლოცვა, სურდოს საწინააღმდეგო: „სურდო გვესტუმრა ხადილად, რა მივართვათ ხადილად, თაგენი შემწვარნი“...

---

<sup>1</sup> წვერვა სიტყვის განმარტება არც ერთ ლექსიკონში არაა მართებული. ი. ა. პ. ლ. ა. ლევალი, ცლად, ფეშვალ განმარტავს, ნ. ნათაძე გ. არაბულის რეკომენდაციით განმარტავს მზისაღმი თაყვანისცემის გამოხატვით, რელიგიური რიტუალად. საჭიროა განა ასე ჩახლარა? „ცუდი არის სიყვარული, ქვეით კოცნა მზისა წვერა“. გაგახსენდება: „მძულს უგულოდ სიყვარული. „ქვეით კოცნა და ზემოთ მზისა თვალთვალ — გაწვერა — მაღლა ყურება, მზერა ესაა ერთადერთი მართებული წაკითხვა.

ვეფხისტყაოსანში: „ვეუხმობ ყვეთა და ყორანთა მათ ზედა ვაქმნევ  
ხ ა დ ი ლ ს ა“ 608,4.

71. ხალვათი — თავისუფლად ყოფნა, მარტოდ ყოფნა: იესლა ხ ა ლ -  
ვ ა თ ა თ ვართ ცოტა „იემანდ უფრო ხ ა ლ ვ ა თ ო ბ ა ა“.

ვეფხისტყაოსანში: „დიდი შექმნეს ჯალაბობა, არ ხ ა ლ ვ ა თ ი“  
1011,1

72. ხამი — ბამბის უხეში ტანსაცმელი: იხმარება გამოხამება, გა-  
მოწვრთნა, გახედენა საქონლისა.

ვეფხისტყაოსანში: „მონა მონურად მოსილი, სხვანი მგზავრულად  
ხ ა მ ი თ ა“ 1217,2.

73. ხარგა — ჯავახურში იხმარება ტერმინი . დ ა ხ ა რ გ ა ვ ე ბ ა ,  
რძის ხანულობას (გარკვეული დროის — ერთი ან ორი კვირის — გან-  
მავლობაში სხვა მეზობელთან შეამხანაგება) შეორენიარად რძის დახარ-  
გავეებას ეძახიან. ორი-სამი მეზობელი დიასახლისი ამხანაგდება (ხანუ-  
ლობენ), როგორც ხენის დროს ალოობაა, წველის დროსაც, ხ ა ნ უ-  
ლობაა. ერთი მიივალებს მეორეს, მესამეს. შემდეგ ისინი ვადაუხდიან  
ერთმანეთს. საზომად აქვთ ჭლები (გარკვეული ზომის ჩხირები), სა-  
დაც აჭლობენ რძის რაოდენობას, რძის ხანულობა, მივალება—დახარ-  
გავეება ჰქვია. ვეფხისტყაოსანში ნახმარი ხარგა (მდიდრული კარავი)  
კავშირში უნდა იყოს შინაარსობრივად დახარგავეებასთან: „ხ ა რ გ ა  
დავდგი: არ მაზრები“ 431,3.

74. ხვეწა — სათლელს ხის ჯამისა და კოვზისას ს ა ხ ვ ე წ ი  
ჰქვია. ხ ვ ე წ ა ს — გამოთლა.

ვეფხისტყაოსანში: „მისსა მადლსა, ვინცა გხვეწა“ 1609,2. ამ შე-  
მთხვევაში ხვეწა შექმნას ნიშნავს.

75. ხვრეტა — დაღევა (ხმის გამოცემით): უცბათ შ ე ხ ვ რ ი ტ ა -  
ვეფხისტყაოსანში: მ ა ხ ვ რ ი ტ ე ს სახვრეტელია“ 356,1.

76. ხულა — ქონმახი, ქობი: „ერთ ხულაში ცხოვრომდნენ“.  
ვეფხისტყაოსანში: „სწორად მიჩანს ჩემთვის დარბაზი და ხ უ ლ ი“  
677,4.

77. ჯალაბი — წვეული, მოწვეული პატივსაცემად. ჯავახურში ნათ-  
ლიას ეძახიან: ნათლია-ჯ ა ლ ა ბ ი: როგორ გიკითხოთ, ნათლია-ჯ ა -  
ლ ა ბ ო .

ვეფხისტყაოსანში: „ჯ ა ლ ა ბ ი ჩანს არ-დაჯრილი“ 101,3.

აღნიშნულ სიტყვათა რიგს კიდევ უნდა მივუმატოთ რამდენიმე  
სიტყვა: ბ ღ ნ ე ჯ ა , ნ უ კ ვ ა (გენუკვი, სანუკვარი), უ ჩ უ მ ო ბ ა ,  
შ ე ტ ყ უ ბ ე ბ ა .

78. ზღნეჯა — პირ-სახის ღმეკა, ჭყანვა: რას ბ ღ ნ ე ჯ ა ვ ს სახეს. ვეფხისტყაოსანში: „იძახდიან პირსა ბ ღ ნ ე ჯ ი თ“ 950,3.

79. ნუკვა — თხოვნა, ხვეწნა: „რაპ ე ნ უ კ ვ ი, გოგო, მე გიყიდი.“ ვეფხისტყაოსანში: „შენ გ ე ნ უ კ ვ ი მონახვასა, კილით კილე მოპლახო ცა“ 128, 4. პოემაში ეს სიტყვა თერთმეტჯერ გვხვდება.

80. უჩუმობა — უჩუმმად, უჩუმრად ყოფნა: „შენ უ ჩ უ მ ა თ იყავი“. „თუ უ ჩ უ მ ა თ იქნებით, მამათქვენი კამფეთ მოგიტანთ“. ვეფხისტყაოსანში: „იგი ღმერთსა აღიდებდა, სხვა ყველაი უ ჩ უ მ ი ბ ღ ა“ 355,4.

81. შეტყუებება — ჯავახურსა და მესხურშიც იხმარება ტყუების ნაცვლად ტ ყ უ ბ ი. „ტ ყ უ ბ ი ს ცალია (კრავზე იტყვიან)“. „ეგ თხა სუ ტ ყ უ ბ ი გემს“.

ვეფხისტყაოსანში: „ნავი ნავსა შ ე ა ტ ყ უ ბ ნ ა, ქარავანსა დაუზახნა“. 1047,2.

როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკის მესხურ-ჯავახურთან მიმართების საკითხი უფრო ვრცელი და დაწვრილებითი, ამავე დროს მრავალმხრივი ენათმეცნიერული შესწავლის ღირსია.

ამავე დროს უნდა გვახსოვდეს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორმა კარგად იცოდა ქართული იმდროინდელი სალიტერატურო ენა, რომელსაც თვითონ ქმნიდა და ავითარებდა<sup>1</sup>.

ამ საკითხს პირველად ნ. მარი შეეხო. მან გამოთქვა მოსაზრება და ცდილობდა, დაემტკიცებინა, რომ რუსთაველის მშობლიური კილო მესხური უნდა იყოს<sup>2</sup>. მისივე აზრით, „ვეფხისტყაოსანში“ შეიხიშნება ქართული ენის სხვადასხვა დიალექტური წრის თავისებურებანა<sup>3</sup>.

რუსთაველის ენისა და მესხურ-ჯავახური კილოს არსებითი მსგავსების საკითხს სპეციალური შრომა მიუძღვნა აკად. შ. ძ ი ძ ი გ უ რ მ ა. მან საფუძვლიანი ენათმეცნიერული არგუმენტებით გაამაგრა

<sup>1</sup> უსამართლობა იქნებოდა, მაღლიერებით არ მოგვეხსენიებინა „ვეფხისტყაოსნის“ საიუბილეო დღეებში, 1937 წელს, გ. ნათ ე ნ ა ძ ი ს დამსახურება. იხ. გ. ნ ა თ ე ნ ა ძ ე, შოთა რუსთაველის ვინაობა-სადაურობის შესახებ, „მნათობი“ №8—9, ტფილისი, 1937, გვ. 266—290.

<sup>2</sup> Н. Марр, Об истоках творчества Руставелии и его поэмы. Подготовка сборника текста, комментарий и примечания И. Мегрелидзе, 1964, стр. 100.

<sup>3</sup> Н. Марр, Древнегрузинские одописцы (XII в.), I. Певец Давида Строителя. II. Певец Тамары. Тексты и розыскания по армяно-грузинской филологии, кн. IV, СПР. стр. 72.

ნ. მარის მიერ წამოყენებული დებულება. მისი აზრით, „ქართულ-მაღიანეკტოლოგიამ არ იცის სხვა მაღიანეკტური ერთეული, თუ არა მესხური, რომელშიც გაერთიანებული იყოს „ვეფხისტყაოსანში“ აღჩენილი აღმოსავლურ-ქართული და დასავლურ-ქართული ენობრივი მოვლენები. ამიტომ-შოთას ენის საყრდენად უნდა მივიჩნიოთ არა ცალ-ცალკე აღებული აღმოსავლური თუ დასავლური კილოები, არამედ ისეთი კილო, რომლის სტრუქტურაში ერთსა და იმავე დროს შერწყმულია ქართული ხალხური მეტყველების ორივე განშტოება“<sup>1</sup>. ასეთია ზუსტად მესხურ-ჯავახური კილოები.

---

<sup>1</sup> შ. ძიძგური, ლიტერატურულ-ენათმეცნიერული ნარკვევები, 33-20-21.

**ქართლურსა და მესხურთან მიმართების საკითხი**

სხვა დიალექტებთან მიმართების საკითხს ვეხებოდით გზადაგზა და საზიარო მოვლენების შესახებ ვუთითებდით სათანადო ლიტერატურას, მაგრამ ჭავჭავაძის ადგილის გარკვევისათვის ქართულ დიალექტოლოგიაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ქართლურსა და მესხურთან მიმართების საკითხს<sup>1</sup>.

**ნწ. ქართლურთან მიმართების განხილვისას გამოვყოფთ ისეთ მოვლენებს, რომლებიც ჭავჭავაძის აქვს, მაგრამ ქართლურს არ გააჩნია.** ამასთანავე შევეხებით ჭავჭავაძის მეშვეობით ქვემოქართლურში (სამხრულ ქართლურში) გაჩენილ ზოგიერთ მოვლენას. საერთო მოვლენებზე ვუთითებდით სპეციალური ანალიზის დროს.

**ბ გ ე რ ი თ ი შ ე მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი დ ა ნ** აღსანიშნავია უმლაუტიანი ხმოვნები: **ჰ, ო, უ** (ქანარი, ჩონ, შუდი), უმარცვლო უნი (ცხუარი, სხუა, ქუა), ნეიტრალური ხმოვანი თურქულიდან შემოსულ სიტყვებში (არის ზოგიერთ ქართულ სიტყვებშიც), აგრეთვე ხმოვნებთან პოზიციური ფშვინვიერი შემართვა: **ჰ ა, ჰ ი, ჰ ე, ჰ ო, ჰ უ** (ჰაკვანი, ჰეკალი, ჰიგითი, ჰომი, ჰურია...).

აღნიშნული სხვაობიდან ქართული ნიადაგი აქვს ფშვინვიერშემართვას და უმარცვლო უ-ს, ხოლო უმლაუტიანი ხმოვნები და ხმოვანთა გამყარი (გ) შესაძლებელია თურქული ენის გავლენითაც ყოფილიყო გაჩენილი.

**ფონეტიკური პროცესებიდან:** 1 ერთდროული ასიმილაცია-დისიმილაციის პროცესი ზმნისწინებში (გიე-, დიე-, გედიე-, შემეიე-). იგივე პროცესი ხდება ა-სა და ე-ზე დაბოლოებულ სახელებთან მრავლობითი-ებ სუფიქსის დართვისას: ძმეები, კლდეები...

2. რედუქცია მოსდით სახელებს: **ხ ო რ მ ი ს თ ი ვ ა, მ ე ც ხ ვ - რ ი ს ძ ა ლ ლ ი, პატრა, უზნი...** ზმნებს: აფრია, აბრია.

<sup>1</sup> ქართლურს მიმართება მესხურ-ჭავჭავაძურთან სპეციალურ (IV)- თავში განხილული აქვს გრ. იმნაიშვილს. იხ. მისი: ქართლური დიალექტი, გვ. 97-110.

3. ზგერათა კომპლექსების მონაცვლეობა: ო ვ ე → ო ე → უ ე →  
→ ვ ი ე<sup>1</sup> (ვითხეი ← ვითხოვე), ო ვ ა → ო ა → უ ა → ვ ი ა (მუუგვრია ←  
მოუგვრავა).

4. უნდა მეშველი ზმნის რეფლექსები: რ ა ე ნ ა // რ ა ნ ა // რ ა ნ დ ა /  
// რ ა დ ა.

5. ბ გ ე რ ა თ მ ო ნ ა ც ვ ლ ე ო ბ ი დ ა ნ მ ა ნ ი ს შეცვლ ა ნ ა -  
რ ი თ: ანდგარი, სახლანდი, გოგონ, ნითომა, ან ქალმა...

მ ო რ ფ ო ლ ო გ ი ა შ ი ქართლურისაგან განსხვავებით აქვს:

1) ბრუნებიდან: ხმოვანფუძიანებთან ხშირად მოთხრობითში მ ა ნ  
გარდამავალი საფეხურის სუფიქსი (გოგომა, დამა, მხრისამა...), 2)  
სახელის მრავლობითობიდან: „მეტათეზისის შედეგად სუფიქსისეულ  
ხმოვანთან უშუალო მეზობლობაში მოხვედრილი ასიმილირებული ე-ს“  
შემცველი ფორმები: გლიები, ცხერიები, ძელიები, მგლიები... ორმა-  
გი და ზოგჯერ სამმაგი მრავლობითობა ნაცვალსახელებში: ისინე-  
ბი//ისნები, ესენები//ესნები, თავეთნები. 3) მიმღეობაში — ულ და  
-ილ ენებითი მიმღეობის მაწარმოებელთა მონაცვლეობა (დაწერილი,  
დახატილი...). 4) მოფერებით-კნინობითობის -ლე ადამიანთა საკუთარ  
სახელებსა და ნათესავის აღმნიშვნელ ზოგიერთ საზოგადო სახელ-  
თან: ნინოლე, ვასოლე, გრიშალე... გოგოლე, ბიძალე, პაპალე... 5)  
თანდებულებიდან: -თუნ, -ჩი, -იებ(←ებრ) ფორმების ხმარება (სახის-  
თუნ, ჯიბეჩი, კაცისიებ(←კაცისებრ)... 6) ზმნიზედებში დაბოლოება-  
თა მოკვეცა: იმნაირ(ად), კაცურ(ად), უწყლო(დ)... აგრეთვე -ებრ თან-  
დებულის ხმარება ვითარების ზმნიზედებთან: ჩვენებურებ(რ), ზეზე-  
ურებ(რ); ა ქ ნ ა მ დ ე, ი ქ ნ ა მ დ ე ძველი ფორმების ხმარება (ეს  
რედუცირებული ფორმებია აქანამდე, იქანამდე „ვეფხისტყაოსანში“  
ხმარებული სიტყვებისა).

7) სიტყვათწარმოებიდან: სადაურობის ორმაგი სუფიქსის ხმარება:  
სადაურელი, აქავრელი, ჩვენებურელი... ო ბ ა მაწარმოებით კონკ-  
რეტული შინაარსის მქონე სიტყვების წარმოება: ქალობა, ქათმობა,  
ურმობა, ქერობა; დოლობა...

8) გვარის განაყოფთა სახელების წარმოება -ი ე ნ და -თ სუფიქსე-  
ბით: ხუციენი, თამაზიენი... პაპათი, ბერნადეთი, ლეკოთი...

<sup>1</sup> ქართლურში ოვე კომპლექსის მონაცვლეობის მაგალითები არის უე, უა  
კომპლექსთან. იხ. ვ. თ ო ფ რ ი ა. ქართლური, არილი, გვ. 133 და გრ. ი მ ნ ა ო  
შ ე ი ლ ი, ქართლური დიალექტი, გვ. 162—165, მაგრამ უა//უე რომ ვია // ვიე-ღ  
იელებოდეს, არაა.

9) ზმნაში „ჩახვარდები“, „გადახვარდები“, „მიდიხოდი“, „მოდიხოდი“ ფორმების არსებობა. თემის ნიშანთა მონაცვლეობისას: -ა ვ, -ებ, -ობ სუფიქსების შეცვლა -ამ// -ან -ემ-ენ, -ომ// -ონ ბოლოსართებით, ხოლო ავ → ამ → ან; ემ → ენ; ებ → ამ → ან; ებ -ემ → ენ; ობ → ომ → ონ; ობ → ებ → ემ → ენ თემის ნიშანთა ურთიერთგადასვლები.

ქართულში არის ვ ი ნ ი ს შეცვლა მ ა ნ ი თ, მაგრამ მ ა ნ ი ს მ ო ნ ა ც ვ ლ ე ო ბ ა ნ ა რ თ ა ნ უცხობა. ასევე ქართულს არ ახასიათებს — ებ ბოლოსართის შეცვლა -ამ// -ან, → ემ// -ენ სუფიქსებით<sup>1</sup>.

აქვე უნდა აღინიშნოს ერთი მეტად მნიშვნელოვანი გარემოებაც. მახვილი ჭავახურში კითხვით წინადადებაში ბოლოდან მეორე მარცვალზეა (წახვებდი? მოიტანე? არ წამოხვებდი?..), ქართულში — ბოლოზე. ს ი ნ ტ ა ქ ს უ რ ი უ რ თ ი ე რ თ ო ბ ი დ ა ნ აღსანიშნავია 1. მსაზღვრელ-საზღვრულის ისეთი ფორმები, რომლებიც მხოლოდ ნათესავის ან პროფესიის აღმნიშვნელ სიტყვებთანაა: ბაგრატ სიძეი, პასო პაპაი, შოთა მასწავლებელი... 2. მიცემითა და ნათესაობით ბრუნვაში ხმოვანფუძიან სახელებთან ს ა ნ ი ს ჰ ა ე დ შეცვლა (ოქროჰ თასი, დედაჰ, ფასოჰ...). 3. ქართულში არ გვხვდება კავშირები: რ ა ლ ა მ (რახან) და თ უ ა რ მ ე („რ ა ლ ა ი მოხვედი, კარგია“. „მოხვედა თ უ ა რ მ ე, მოკვდა“). 4. ნაწილაკებიდან: ე გ ი ა (← ეგება), ი ქ ნ ი ა (← იქნება), ა კ ი ა (← ხომ), ლარმე (-კინალამ); წ ვ ე (← მწვედ), დ ე ო ჰ ა ნ ა // დ ო ჰ ა ნ ა (აგერ, იგერ.) 5. შორისდებულებთან: გაკვირებას: ა ი ჰ ე ნ // უ ი ჰ ე ნ, ა ი ბ ე ნ // ა ი ბ ე ნ, ხ ე ტ ყ ე // ჰ ე ტ ე. დანანების: უ ი ც ე ნ; მოფერების: უ ი ტ ე ნ.

ვიდრე ქართლისა და ჭავახურის მიმართების საკითხის შესახებ გავაკეთებდეთ დასკვნას, საჭიროა აღინიშნოს ერთი მეტად საგულისხმო გარემოება, რომელიც უკვე საენათმეცნიერო ლიტერატურაში ფაქტებით დადასტურებულია<sup>2</sup>. აღნიშნული განმასხვავებელი მოვლენებიდან ზოგიერთი სპორადულად ახასიათებს ქვემოქართულს, რომელზეც მოსაუბრე მოსახლეობა ტერიტორიულად სამცხე-ჯავახეთს ესაზღვრება და აგრეთვე შემორჩენილია ამ კუთხეებიდან ისტორიული ავბედობით ქართლში გადმოსახლებულ მცხოვრებთა მეტყველებაში; „მაგრამ

<sup>1</sup> გამორიცხული არ არის ასეთი მონაცვლეობა ქვემოქართლის (სამხრულ-ქართლის) მოსახლეთა მეტყველებაში, რადგან, აქ ძალიან ბევრი მოსახლე მოსულია სამცხე-ჯავახეთიდან. არსებობს სოფელი ჭავახთა.

<sup>2</sup>-ის. გრ. იმნაიშვილი, ქართული დიალექტი, 1, გვ. 97—107.



ასეთ მოვლენათა უმეტესი ნაწილი ქვემოქართლურში დაიძებნება მხოლოდ აქა-იქ, ცალკეულ მიკრორაიონებში<sup>1</sup>.

მესხურ-ჯავახურის, კერძოდ, ჯავახურის მეშვეობით გავრცელებული მოვლენები ქვემოქართლურში შემდეგია: ა, ო, უ უმლაუტები, უმარცვლო ჟ; მ შემონახულია შემოსულ სიტყვებში (პალალი, ჰეჰიმი, პარამი...), „უნდა“ ნაწილაკის რეფლექსი ნა (რა'ნა, რალა'ნა), დისიმილაციის ფორმები (ხიები, გუბიები, დღიები მეხრები, თხიები...).

მსგავსი დისიმილაციის ფორმები რომ უჩვეულოა ქართლისათვის, ამას ისიც ადასტურებს, რომ ზმნისწინებში (დიერქვა, დიეწია, მიეკლათ...) გაბატონებული პროცესი ქვემოქართლურსაც კი არ გააჩნია. გამონაკლისია ზმნისწინი. შე → ში (შიაკეთა, შიაბა...). მესხურ-ჯავახურის მსგავსად ქვემოქართლურში გაბატონებულია ამ ბოლოსართი -ვზის მაგიერ ზმნებში (გავანაწილამთ, უპასუხამს, დავიძინამთ...).

აღნიშნული ვითარების (ქვემოქართლურისა და ჯავახურის მეტყველებათა მსგავსების) მიზეზი უნდა იყოს ქართლის მკვიდრთა ეთნიკური შედგენილობა და წარსული ისტორიული ვითარება<sup>2</sup>.

ქართლურისა და ჯავახურის აღნიშნულ განმასხვავებელ მოვლენებს დაერთვის აგრეთვე სტილისტიკური და ლექსიკური სხვაობა, რომელიც საფუძველს გვაძლევს, ვიფიქროთ, რომ ქართლურთან ჯავახურა ისეთ მიმართებაშია, როგორც ერთ-ერთი მისი ისტორიულად განაყარი, ხოლო ამჟამად მონათესავე დიალექტი.

სამცხე-ჯავახეთს ხომ სხვაგვარად ზემო ქართლსაც უწოდებენ.

ნ. ნ. ჯავახურის მესხურთან მიმართება. ეს საკითხი უფრო მეტ დაკვირვებასა და სიფრთხილეს მოითხოვს, რადგან აქ ისე ნათლად როდი ჩანს განმასხვავებელი ნიშნები. ენათმეცნიერულად შეიარაღებულ თვალსაც კი გაუჭირდება საამისო მონაცემების მკვეთრად გამოყოფა — დადგენა. მაგრამ სპეციალისტმაც და არასპეციალისტ მკითხველმაც არ უნდა დაივიწყოს ჯავახეთისა და სამცხის ისტორიული თავგადასავალი. ეს კუთხეები ზოგჯერ საუკუნეთა მანძილზე მოწყვეტილი იყვნენ დედაქართლს და მოძალებული არაქართული მოსახლეობით შერეულნი იძულებული იყვნენ ერთმანეთში გაეთხოვებინათ ქალი და დაექორწინებინათ ვაჟი, რათა თავიდან აეშორებინათ ეროვნული გადაშენება. ძირითადად ამ მიზეზის გამო იყო, რომ მესხეთში მესხური სოფლებიდან და ჯავახეთში ჯავახური

<sup>1</sup> გრ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ქართლური დიალექტი, 1, გვ 105.

<sup>2</sup> ი ქ ვ ე გვ. 110.

სოფლებიდან იშვიათად ითხოვდნენ ქალს. ქალი ოჯახში როცა დედაა, ბავშვის მეტყველების ძირითადი მეუფეცაა. ამ ნიადაგზე ამ ორი კუთხის მეტყველება ძალიან ჰგავს ერთმანეთს. მკვლევარს საძებნი რჩება მხოლოდ დომინანტი ენობრივი მოვლენები — დომინანტური ჯავახურისათვის და დომინანტური მესხურისათვის, მაგრამ ლექსიკაში ორივეს დაეძებნება თავთავისი სპეციფიკური ფორმები. მიუხედავად ამგვარი სიძნელისა, ჩვენ ადრე შეკრებილი მასალების მონაცემებსა და თანამედროვე სასაუბრო მეტყველებაზე დაყრდნობით გამოვყავით რამდენიმე დომინანტური და ამდენად განმასხვავებელი ნიშანი ჯავახურისა მესხურთან მიმართების საკითხში. ამასთანავე გამოკვლევის მთლიან თეორიულ ნაწილში და აქაც სათანადოდ მითითებულა.

ბგერითი შედგენილობიდან. 1. უმარცვლო ჟ, რომელიც გვხვდება იქაც, სადაც ძველ ქართულში არ იყო: ქტა, რტა, სხტა, ცხტარი, ჩტენ, თქტენ, თტარე, ტქტარი, მოკტდა, აგუიყენს<sup>1</sup>...

2. დიფთონგებიდან აღსანიშნავია -ევ და -ემ ბოლოკიდურიან ზმნებში ძევ, ძემ კომპლექსები. ლძევ, სწძევ, სძლძევ, ქცძემ...

3. ხმოვნებთან გვაქვს პოზიციური ფშვინვიერი შემართვა: ჰა, ჰე, ჰი, ჰო, ჰუ (ჰაკვანი, ჰერთი, ჰიგიდი, ჰოკამი, ჰომი, ჰუთო...). ეს მოვლენა მესხურსაც ახასიათებს, მაგრამ შედარებით ნაკლებად.

ფ ო ნ ე ტ ი კ უ რ ი პ რ ო ც ე ს ე ბ ი დ ა ნ ჯავახურისათვის უფრო დომინანტურია: 1. ი-ს ან გ (ნეიტრალური ხმოვნის) გაჩენა თანხმოვნებს შორის; მგზე, ღირმა, ბრიმა, კირავი, კვლდე...

2. ბ გ ე რ ა თ მ ო ნ ა ც ვ ლ ე ო ბ ი დ ა ნ პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ს ა ნ ი ს ნაცვლად ჰ ა ე ს ხმარება. ეს პროცესი უფრო მეტად ჯავახურშია გავრცელებული, ვიდრე მესხურში. თუ ზმნებში ცხრა თანხმოვნის წინ ქართულსა და მესხურში ძ, ძხ გვხვდება პრეფიქსად, ჯავახურში ჰ ა ე ა. ამით ჯავახური უფრო ადრინდელ საფეხურებს იცავს. ქართულსა და მესხურში იხმარება ჰ ა ე ს რეფლექსები: ძ, ძხ (შდრ. ჰ → ჰს → ძს → ძ → 0).

ჰ ა ე ცვლის ს ა ნ ს აგრეთვე ყველა მეტყველების ნაწილში, რომელიც ხმოვნით ბოლოვდება და მერე ს ა ნ ი ა სუფიქსად: მიდიჰ, ნახეჰ, წაილოჰ, დანაჰ ლექსამს. ი ხენწიფეჰ, ფასოჰ, ხანდოჰ წრამი, კალოჰ ლობე, პაპაჰთან, ეჰ, იჰ, მაგაჰ, ქილდაჰ მიდის, ასპინძაჰ წასულა, კოდიჰ პირაჰ... რიგ შემთხვევებში ჰ ა ე ძირეულ ს ა ნ ს ა ც

<sup>1</sup> უკანასკნელი: ოთხი მაგალითი ამოღებულია ა. მარტიროსოვის შრომიდან „ჯავახურის მესხურთან მიმართების საკითხისათვის“, გვ. 292.

ენაცვლება: ჰ ა დ, ჰ ა დ ა უ რ ი, ჰ ა ც ა (←საცა), ჰ აღით (←წა-  
ღით, ჯერ საღით ფორმა, შემდეგ ჰ აღით).

აღსანიშნავია აგრეთვე ინტენსიური მონაცვლეობა მ ა ნ ი ს ა ნ ა -  
რ ი თ. მართალია, აღნიშნული პროცესი მესხურსაც ახასიათებს, მაგ-  
რამ ჯავახურში ეს პროცესი უფრო შორსაა წასული და მეტყველების  
ყველა ნაწილის მ ა ნ ს ენაცვლება ნ ა რ ი. საკუთრივ ამ პროცესსა  
და რამდენიმე სხვას ვგულისხმობდით, როცა ზემოთ ვწერდით, მხო-  
ლოდ დომინანტური (გაბატონებულად დამახასიათებელი) მოვლენები  
ჩაითვლება ამ ორი დიალექტის თავისებურებად, განმასხვავებელ ნიშ-  
ნებად.

ამის შესახებ სრულიად სამართლიანად აღნიშნავს ა. მ ა რ ტ ი რ ო -  
ს ო ვ ი: „მ ა ნ ი ს და ნ ა რ ი ს შენაცვლება იმდენად შორსაა წასუ-  
ლი ჯავახურში, რომ იგი -მ დ ე//მ დ ი თანდებულსა, ზმნაში პირვე-  
ლი პირის ობიექტური პირის ნიშანსა და ნაცვალსახეობაშიც არის გა-  
ტარებული. მაგალითად, აქანდი, სალამონდის, დანხურე, ან კაცმა,  
ინ დროს, ინთელი, ჩენ დღეში და სხვა“<sup>1</sup>.

ჩვენ დავუმატებთ, რომ ნ ა რ ი მანს ცვლის მაშინაც, როცა ხმო-  
ვანფუძიანი სახელების მოთხრობითი ბრუნვის წიშანია, აგრეთვე მიმ-  
ღობებსა და ზოგ აბსტრაქტულ სახელებში: მაგალითად, „გ ო გ ო ნ  
დაუძახა“ \* „მ ი შ ა ნ მითხრა“. „დ ე დ ა ნ წაიღო“. „ხ ე ნ წ ი ფ ე ნ  
გამოიძახა“, მინდგარი, სინძიმე, დაჭდარი, სინძვირე...

ბგერათდაკარგვიდან მრავალი შემთხვევაა, მაგრამ წიშანღობლი-  
ვად მათი გამოცხადება ვერ მოხერხდება, რადგან, იმ მაგალითებში  
თუ არა, მსგავს სხვა ფორმებში მესხურსაც აღმოაჩნდება ეს პროცესი.  
აღსანიშნავია მაინც რ ა ვ ი (←რა ვიცი) და უ ნ დ ა ნაწილაკის რეფ-  
ლექსები: რ ა ვ ნ ა // რ ა ნ ა // რ ა ნ და // რ ა დ ა. აღნიშნული  
ღობივე ფორმა გვხვდება ორივე დიალექტში, მაგრამ პირველი  
ორი (რ ა ვ ნ ა // რ ა ნ ა) უ ფ რ ო ინტენსიურად ჯავახურში გვხვდე-  
ბა, ხოლო მომდევნო ორი (რ ა ნ და // რ ა დ ა) — მესხურში.

მ ო რ ფ ო ლ ო გ ი ი დ ა ნ აღსანიშნავია შემდეგი: თუ მესხურში  
ხმოვანფუძიან სახელებს (იგულისხმება ადამიანთა და ცხოველთა  
საკუთარი სახელები, აგრეთვე ნათესავის აღმნიშვნელი საზოგადო სახე-  
ლები) უმარცვლო ე ერთვის, ჯავახურში, ქართლურის მსგავსად, ი მარ-  
ცვლიანია: მიში, ნინო, ელეი, ძალო, ბებეი, პაპაი, დედიდაი...  
მაგრამ არა ძმაი, დაი, არამედ ძმა, და.

<sup>1</sup> ა. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი, ჯავახურის მესხურთან მიმართების საკუთხისაო-  
ვის, გვ. 296.

ს ი ტ ყ ვ ა წ ა რ მ ო ე ბ ა შ ი - ო ბ ა აბსტრაქტულობის მაწარმოებელ სუფიქსს კონკრეტული მნიშვნელობა აქვს მიღებული და აწარმოებს კრებით სახელებს: ურმობა, ჯორობა, ქალობა, გოგობა, ქერობა და სხვა. მესხურში ასეთი ფორმები ნაკლებადაა.

ასევე ნაკლებადაა დამახასიათებელი მესხურისათვის ორმაგი სუფიქსი საღაურობის აღმნიშვნელ სახელებში: ურ + ელ, სიღაურელი, აქაურელი, ჩვენებურელი, იქაურელი...

თანდებულებიდან ჯავახურში გაბატონებულია - ე ბ რ შეცვლილი ფორმით: კაცისიებ ← კაცისეებ ← კაცისაებრ, ქვისიებ, კატისიებ...

ხმოვანფუძიან სახელებთან ვ ი თ თანდებულის ხმარება ჩვეულებრივია: მამივით, დედივით, ქალივით, დანივით (← დანასავით)... მსგავსი ფორმები მესხურში იშვიათია.

ზმნიზედები ხშირ შემთხვევაში ფუძის სახით იხმარება: რ ი გ ი ა ნ (აღ) იმუშავე“. „თ ე ლ ი ა ნ (აღ) შეუქამიათ“. „კ ა ც უ რ (აღ) შეკაზმული იყო“. „ქ ა ლ უ რ (აღ) ლაპარაკონს“. „უ წ ქ ლ ო (ღ) დავიხოცენით“. „თ ა მ ა მ (აღ) უთხრა“.

-აღ დაბოლოების მაგივრობას ხშირად ე ბ რ თანდებული ასრულებს: შენებურებ (რ), ქალებებ (რ), ვაჟებებ (რ), ბიჭებებ (რ).

ხშირად არსებული ფორმით იხმარება ზმნიზედები: აქნანდი (აქანამდის), იქნანდი (იქანამდის).

ზმნაში სუბიექტური მეორე პირისა და ობიექტური მესამე პირის ნიშნებად ქართლურსა და მესხურში მს ან მ (იოტა), ჯავახურმა არც ერთი იცის და არც მეორე. მათ ადგილასაა ჰ ა ე: მოჰსთხვია, მოჰტაცა, მოჰლო, მიჰღევს, მიჰკემს...

მორფოლოგიური მოვლენების დასასრულს აღსანიშნავია, აგრეთვე, თხოვნით-ბრძანებითის ფორმები: „ერცვარა დუმაჰ წ ა უ ს ვ ა მ დ ე მ, კარქია“. „იე ქ ი ა მ ო ხ ვ ი დ ე მ“. „ერთი ვინმე ნახო და მ ო ი ყ ვ ა ნ ო“. „ცოტა პური მ ა მ ც ე მ...“

სინტაქსიდან: ნათესავისა და პროფესიის აღმნიშვნელი მსაზღვრელი სახელები შებრუნებული წყობით იხმარება და ბრუნებისას ფუძის სახით გვევლინება საზღვრული სახელი ყველა ბრუნვაში: ბაგრატ სიძეი, ბაგრატ სიძემ, ბაგრატ სიძეს... ასევეა ნინო ძალოი, ქეთო მასწავლებელი...

• მიმართულებისა და ადგილმდებარეობის აღმნიშვნელი სახელები მიცემით ბრუნვაში იხმარება: „ჩამოვედით ჯ ი ხ ა რ უ ლ ა ს“. „ჩ უ ნ ჩ ხ ა ჰ დარჩა“. „ბ ა კ უ რ ი ა ნ გ ა დ მ ო ვ ე ლ ი თ“. „ა ს პ ი ნ დ ა ჰ წ ა ვ ი დ ა“...

კავშირებიდან უფრო ნიშანდობლივი ჩანს: თ უ ა რ მ ე (-როგორც კი) და რ ა ლ ა ჯ (-რა ხან, რადგან?).

ნაწილაკებიდან: უარყოფითობის ა ა პ ა (-არ აბა?), ი ქ ნ ი ა (← იქნება), . ე გ ი ა (-ეგება), ა კ ი ა → (არკია), ლ ა რ მ ე (-კინალამ).

ლ ა რ მ ე და სხვა ნაწილაკები შეიძლება მესხურშიც შეგვხვდეს, მაგრამ ჭავახურისათვის იგი უფრო დომინანტურია.

აქვე უნდა აღვნიშნოთ შედარებით ხარისხებთან ხმარებული ზმნი-ზედა წ ვ ე ე / ← მწვედ /: „ეგ წ ვ ე დიდა“. „წ ვ ე მეტი მოვიდა“. „წ ვ ე დაზაგრა“. „წ ვ ე გათამამდა“... მნიშვნელობით „წ ვ ე“ „ძ ა ლ ი ა ნ ს“ უღრის. ეს ზმნიზედა ცოტა შეცვლილი ფორმით (მწუე) მესხურში დადასტურებული აქვს კ. დ ო ნ დ უ ა ს.

საყურადღებოა აგრეთვე -ლე მოფერებით-კნინობითობის ნაწილაკის ხმარება საკუთარი სახელებისა და ნათესავის აღმნიშვნელ სიტყვებთან: მიშალე, გრიშალე, ნინოლე... ქალოლე, გოგოლე, ბიძალე, პაპალე, ბიჭოლე...

ამით დავამთავრებთ ძირითად სხვაობათა ნიმუშებს და ახლა მოვიყვანთ იმ მაგალითებს, რომლებიც მესხურს აქვს, მაგრამ ჭავახურს ნაკლებად გააჩნია, ანდა არ ახასიათებს.

57. ჭავახურის მესხურთან სხვაობის საკითხი. ენობრივი მ ო ვ - ლ ე ნ ე ბ ი, რ ო მ ე ლ თ ა უ მ რ ა ვ ლ ე ს ო ბ ა და ს ა ვ ლ უ რ ი კ ი ლ ო ე ბ ი ს ნ ა კ ა დ ი ა:

1. ფ ო ნ ე ტ ი კ უ რ ი პ რ ო ც ე ს ე ბ ი დ ა ნ: ასიმილაცია: ა ი → ე ი: დეიძინა, დევიმალე, დეიწყო, გეიქცა, დეიქირეს... ო ი → ე ი: წამევიდა, წამეილო, გამევიდა, ჩამევიტანე... ა უ → ო უ: დოუძახეს, გადოუარა, გადოუტანა... ა უ → უ უ: დუუძახა, დუუძმერა...

უნდა შევნიშნოთ, რომ ი-ს ჭავახურში იშვიათ შემთხვევაში აქვს ასიმილაციის ძალა, ხოლო უ ა-ს საერთოდ ვერ იმსგავსებს. არც ასეთი ფორმებია ჭავახურში: გიმეიწყო ← გემეიწყო ← გემეეწყო ← გამეეწყო (← გამომეწყო). მომდევნო სამი ფორმა ჩვეულებრივია, ხოლო პირველი, როგორც აღვნიშნეთ, არასდროს იხმარება.

2. მ ე ტ ა თ ე ზ ი ს ი ს ასეთი ფორმები: ქთენ//ქვეთენ (← თქვენ), ქფილი (← ფქვილი), ეპორწილა// დააპორწილა / ← პროწიალი (14,19) გაღირნიენ — გაღირიგნენ, (43), გადაექანჯოთ — გადაექანჯნოთ<sup>1</sup> (47), ხერმული ← ხელმეორედ (94)...

<sup>1</sup> მესხურის მონაცემები ამოღებულია შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი ს შრომიდან: მესხური დიალექტი, ძიებანი ქართული დიალექტოლოგიიდან, გვ. 131—146 და მისივე, მესხური ტექსტებიდან: ქართული დიალექტოლოგიის მასალები, 1974, წ., გვ. 11—108 ზოგჯერ მითითებულია გვერდი ამ შრომიდან.

3. ბ გ ე რ ა თ მ ო ნ ა ც ვ ლ ე ო ბ ი დ ა ნ, რომელშიც ზოგჯერ დისიმილაცია წამყვანია: ბზე ← მზე, ქვირთი ← ტვირთი, ქოყანა, ყულანი ← ყოლანი, კულდეგაგ ← კულღეგან (95), ხუტმეტი (90), ჯაჯვი ← ქაქვი (90), დიდიჯან ← დედიჯან (100), დუდუყუში ← თუთიყუში (60), თუთონ ← თვითონ (51), რისთულ ← რისთუნ ← რისთვის (60), გაჩთა ← გაჩნდა (61,71), ერცალე ← ერთსახე (79), გაბუტია – გაბუტია (65)...

4. ბ გ ე რ ა თ ღ ა კ ა რ გ ვ ი დ ა ნ: საპანე ← საპალნე (61), გოგეები ← გოგვიები ← გოგუები ← გოგოები (11), როის ← როდის (27), დაუდა ← დაუძახე (44,47), ხეხინარი ← ხე-ხილნარი (70), არნა ← არონა...

მ ო რ ფ ო ლ ო გ ი ი დ ა ნ: თანდებულები: -შ ი გ ა ნ, ზ ე გ ა ნ ფორმები, გავრცელებული ჯავახურში, მხოლოდ მესხურის ზეგავლენაა, თუ ვინმე იხმარს საუბარში. მაგალითები: ფიქრებშიგან, სახშიგან, ტყეშიგან, ტოტშიგან, კყირებაშიგან, ცდაშიგან... დილაზეგან, საღამოზეგან, ხეზეგან, ბელზეგან, ცხენზეგან, კარზეგან...

-შ ი გ ა ნ და -ზ ე გ ა ნ თანდებულების ხმარება მესხურისათვის დომინანტურია, ამდენად მისთვის ნიშანდობლივიცაა. -შ ი გ ა ნ ფორმა ძველი ქართულის კუთვნილებაა, ხოლო — „ზეგან“ კი ანალოგიაა „შ ი გ ა ნ“ ფორმისა:

პრევერბებიდან ჯავახურისათვის უცხოა შ ა (←შე): შავხედე, შაკყარა, შავაბამო, შავიძინეო (31), შამოასალეს ← გამოასალეს (39), შამეშინა (20)... შ ა ზმნისწინი ქართლურის კუთვნილება უნდა იყოს.

სუბიექტური მეორე პირისა და ობიექტური მესამე პირის ნიშნად ღ-ს ხმარება: მოახსთხოვს, მოახსტაცა... ესეც ქართლურის კუთვნილებაა, თუმცა იშვიათად იხმარება.

საინტერესოა აღინიშნოს — ამ სუფიქსის ხმარების ერთი შემთხვევა, რომელიც ჯავახურში არ იცის: გავიგამთ ← გავიგებთ (40), მამცამს ← მომცემს (43), მოვიტანამ ← მოვიტანთ (45), ამოვიღამ ← ამოვიღებ (45), გამოავადამს ← გამოავადებს (68), გაგიწყამ ← გაგიწყობს (62), აქრამს ← აქრომს ← აქრობს (85), გამოვიძრამ ← გამოვიძრობ (94)... ასეთ შემთხვევაში ჯავახურში -ებ და -ობ თემის ნიშნებს ენაცვლება -ემ და -ომ ან -ენ და -ომ.

ჯავახურისათვის დამახასიათებელი არაა ხშირად III პირის სუბიექტის მრავლობითობის გადმოცემა არა თ ა ნ ი თ, არამედ -ა ნ, -ნ ა ნ სუფიქსით. -ნ ე ნ-ს ენაცვლება ე ნ, ეს შეცვლილია ნენ // ენ-ით.

მაგალითები: მიგაქვანან/ ← მიგაქვთ/, (გიტეხიანო ← გიტეხიანო/, შესძენიან (← შესძენიან), მოგდევეან (← მოგდევეთ), ხყავლებიან (← ხყავლებით), დაგემართნენ (← დაგემართათ), ჰქონდნენ (← ჰქონდათ), სჯერამდენ (← სჯეროდათ), მოეწონენ (← მოეწონათ), შეეშინდნენ (← შეეშინდათ), სძინავან (← სძინავთ), გატირავან (← გატირებთ), გაეხარდნენ (← გაეხარდათ), უსკდებიან (← უსკდებათ), ვასცილდან (← ვასცილდნენ), მოშივდენ (← მოშივდათ), ჰამონ (← ჰამეს), გემიეგებენ (← გემიეგებნენ), გაფრინდენ (← გაფრინდნენ), ადგენ (← ადგენენ), გალაგდენ (← გალაგდნენ). გამოზარდნენ (← გამოზარდეს), დააწყენ (← დააწყეს), კოჰლანხარო (← კოჰლობთო), უქირვან (← უქირავთ), აქვანან (← აქვთ)...

როგორც დავინახეთ, დასავლურ კილოებს მესხურში გარკვეული წვლილი შეუტანიათ და, რა თქმა უნდა, მესხურსაც ექნება ამ კილოებზე ზეგავლენა.

ჯავახურში დასავლური ნაკადი ნაკლებად შემოდის და იშვიათადც არის, თუ რაიმე მოვლენა გვაქვს, ისიც მესხურის გზითაა შემოსული. ამ მხრივ ჯავახურს უკეთ დაუცავს ის ადრინდელი ფორმები, რომელიც ერთ დროს საერთო უნდა ყოფილიყო ქართლურის სხვა განშტოებისათვისაც, კერძოდ, გომარული თქმისათვის. მესხური და ჯავახური ქართლურის განშტოებებია.

მესხურმა შეითვისა დასავლური კილოების რიგი დამახასიათებელი პროცესები და ქართლურს გაემიჯნა, თუმცა, საკმაო დარჩა საერთო ორივეს. ჯავახურმა მესხურზე უპირატესად შემოგვინახა ხმოვანთა პოზიციური შემართვის ბევრი შემთხვევა; ასევე, ხმოვანფუძიანი სახელების მიცემითა და ნათესაობით ბრუნვაში და, საერთოდ, ხმოვნით დაბოლოებულ ფორმებზე დართული ს ა ნ ი ს შეცვლა ჰ ა ე თ ი; ჰ ა ე ს უპირატესობა ს ა ნ თ ა ნ არამართო სუფიქსების ხმარებაში, არამედ ზოგიერთ ძირეულ ფორმებშიც.

აღსანიშნავია აგრეთვე სამცხის ტერიტორიაზე არსებული სოფელ ზეგლის მეტყველება, რომლის შესახებ მესხურზე არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაში არაფერია ნათქვამი.

ჩვენ ჩავიწერეთ სოფ. ზეგლიდან<sup>1</sup> გამოთხოვილი ქალების მეტყვე-

<sup>1</sup> ახლა რატომღაც ამ სოფლის სახელწოდება შეუცვლიათ ძველი (ზ-ს შეცვლა ძ-თი იშვიათი შემთხვევაა, პირიქით კი — მრავალია: ზის → ძის, გვერდზე → გვერდძე, საგზალი → საგძალი და სხვა. ჩვენ გვგონია, რომ ზ ე ე ლ ი უფრო ძველია, ვაქვს ზ უ რ ზ ე ე ლ ი (იხ. ვილაეთის გურჯისტანის დიდი დავთარი, 11, გვ. 11—12 ზურზელი ზემო და პატარა).

ლება. მრავლობითობის -ებ სუფიქსის ნაცვლად ხმარობენ -ევ-ს: ასოევი, გზევი, პანტევი... ასევეა ზმნებში: თემის ნიშანს -ებ-ს ცვლის -ევ: ვაკეთედი, ბრძანევა, მოვკდევა... მიმღობებშიც: დაგვევლი, გამზადე(ვ)ული (თემისნიშნისეული ბ ა ნ ი ვ ი ნ ი თ ა ა შეცვლილი, მერე ვ ი ნ ი უ-სთან მეზობლობაში დაკარგულია).

დღესდღეობით ამ სოფელში იშვიათად გვხვდება -ე ვ სუფიქსის ხმარება -ებ ბოლოსართის მაგიერ. მხოლოდ ღრმადმოხუცებული თუ იხმარს. როგორც ჩანს, ახალგაზრდობამ დაივიწყა წინაპართა მეტყველება. ეს აუცილებლივ სკოლისა და მეზობელ სოფელთა მეტყველების გავლენითაც მოხდა.

ჯავახურსა და მესხურს შორის სხვაობა შეინიშნება ლექსიკაშიც. მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითს:

მ ე ს ხ უ რ ი

მებადურე

ზვინი

ბლნაბი

ქურთი // ჯვირთი

მთხოვანი

დუდეყუში

ოჯახი

მეპურღვინე

ჯ ა ვ ა ხ უ რ ი

მებადე (-მებადური)

ძირი (-ბჯის გროვა)

ზღარბლი (-ზღარბი)

ტვირთი

თხოვარა // მოთხოვარი (-მათხოვარი)

თუთიყუში

ბუხარი (იგულისხმება ამოშენებული საყვამლე)

მესუფრე // თამადა და სხვა.

მართალია, აქ ზოგიერთი სიტყვა ფონეტიკური პროცესების შედეგად შეცვლილა, მაგრამ ამ სახის ცვლილება ჯავახურმა არ იცის.

ჯავახურიდან შეიძლება მოვიყვანოთ ისეთი სიტყვები, რომელთა მნიშვნელობა განპირობებულია ფიზიკურ-გეოგრაფიული, ანდა სამეურნეო-ეკონომიკური ყოფითი რეალების ასახვით. ნიმუშად მოგვეყვანოთ რამდენიმე სიტყვა: კუსხუნი, კოტაკი, ქოფანა, ყალალი, ტარდი, თეთენი. ხუშკი, ლელეზი, ჯურდანი, შახარი, ზარბი, ზანჯირი, რცხალი, კურცხალი, სანკვრე (←სამკვრე) სანაწყალი ...

ასეთია მოკლედ ჯავახურისა და მესხურის ურთიერთმიმართების საკითხი.

## დ ა ს კ ა ნ ა

განხილულმა მასალამ გვიჩვენა, რომ სხვაობა მესხურსა და ჯავახურს შორის ისეთი არაა, როგორც, მაგალითად, ქართლურსა და კახურს შორის ან გურულსა და ხევსურულს შორის, მაგრამ სწორი არ



იქნებოდა, რომ ჭავახური გამოგვეცხადებინა მესხურის კილოჯავად, ან, პირიქით, მესხური ყოფილიყო ჭავახურის შემადგენელი ნაწილი.

მესხური კილოს, როგორც ნარევი კილოს, დიალექტოლოგიური რაობა მოცემული აქვს აკად. შ. ძ ი ძ ი გ უ რ ს, მისი აზრით, „მესხურში არის სიმპტომატური ნაზავი, რომელშიც ერთიანდებიან ტიპობრივი ქართლური (და მით — საზოგადოდ აღმოსავლური კილოების) ფორმები და ტიპობრივი იმერხულ-აქართულ-გურული (და მით — საზოგადოდ დასავლური კილოების) ელემენტები: შეიძლება ითქვას, რომ მესხური რამდენადმე გარდამავალი ტიპის დიალექტს მოგვაგონებს“<sup>1</sup>.

როგორც ჩანს, მესხურს შეიძლება ვუწოდოთ ნახევრადაღმოსავლური და ნახევრადდასავლური დიალექტი, რაც არ შეიძლება ითქვას ჭავახურზე. ჭავახური ძირითადად აღმოსავლური დიალექტია. თუმცა მას აქვს საერთო მოვლენები დასავლურ (პირველ რიგში აქართულ) დიალექტებთან.

არის შემთხვევები, როცა დიალექტოლოგიური საზღვრები ირღვევა არა მარტო შინაგანი განვითარების შედეგად, ძველი დიალექტის დაყოფის საფუძველზე, არამედ მეზობელი დიალექტების ზეგავლენითაც. ასევე შეიძლება ითქვას ჭავახურისა და მესხურის ურთიერთმართების შესახებაც.

გარდა შინაგანი სხვაობისა, ჭავახურის მესხურისგან განსხვავებას საკითხში ყველაზე დიდი როლი ენიჭება იმ დასავლურ ფორმებს, რომლებიც საკმაოდ შეინიშნება მესხურში და ზოგიერთი მათგანი ზოგჯერ ჭავახურშიც იჩენს თავს. დასავლური დიალექტების ფორმები მესხურში ერთ-ერთი ძირითადი განმასხვავებელი ნიშანია ჭავახურსა და მესხურს შორის. ამას ერთვის ამავე დიალექტების ლექსიკის ზეგავლენაც და ამით მესხური ერთგვარად ემიჯნება როგორც ქართლურს, ისე ჭავახურს. იგი ნახევრადდასავლური კილოს იერს ატარებს.

ჭავახთა და სამცხელთა მეტყველების მსგავსება, მიუხედავად ტომობრივი სხვადასხვაობისა, გამოწვეულია, პირველ რიგში, იმ საერთო ისტორიული აგებელობით ან აყვავებით, რომელიც განიცადა ორივემ თავიანთი არსებობის მანძილზე. ამ ორი კუთხის ქართული მოსახლეობა საუკუნეთა მანძილზე მჭიდრო კავშირში იყო არა მარტო პოლიტიკურ-ეკონომიკურად, არამედ მეტყველებითაც.

ყველა სხვაობისა და მსგავსების შედარების შემდეგ ჩვენ მივედი იმ დასკვნამდე, რომ ჭავახური და მესხური თავიანთი ფონეტიკური

<sup>1</sup> შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, მესხური დიალექტის აღწერითი ანალიზი, გვ. 238.

პროცესების, ძირითადი აღნაგობის, მორფოლოგიური და სინტაქსური აგებულების მიხედვით დიალექტებია, რომლებიც იმერხელთან (ასევე ზემოაჭარულთან) ერთად შედიან ზემოქართლურში. ზემოქართლური კი ისეთი დიდი და მნიშვნელოვანი ერთეული იყო, რომ შიდა ქართლურთან ერთად საფუძვლად დაედო IX-X-XI საუკუნეების ძველ სალიტერატურო ქართულს. ზემოქართლური, როგორც დიდი დიალექტოლოგიური ერთეული, არსებობდა სამხრეთ საქართველოში მე-16 საუკუნის გასულამდე. ამის შემდეგ კი ისტორიული შავბედობის გამო შეირყა, თითქმის გადაშენდა კიდევ და ნაწილობრივ შემოგვრჩა დღევანდლამდე მესხურის, ჯავახურის და იმერხელის (აგრეთვე ზემოაჭარულის) სახით. იმერხელი ისევ თურქეთის ფარგლებშია, ხოლო მესხურისა და ჯავახურის (ასევე ზემოაჭარულის) განვითარება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ კვლავ მოექცა ეროვნულ კალაპოტში.

## დანართი — ტექსტები

### 1. ალექსიანი

ეფრემ ვერდი იყო სამოცი წლისა. მისი ცოლი ანაც ასევე სამოცი წლისა იყო. იმათ ქონდათ ერთი ოქროს დარბაზი. ამათ თქვეს: თახ (ოლონლ) შვილი გაგვიჩნდესო, ეს ოქროს დარბაზი ფუხრებს მივეცემთო. მართლაც, ეს ანა ფეხძიმეთ დარჩა. მალე შეიძინა ვაჟი. ამ ბიჭ ალექსიანი დაარქვეს. 15 წლისა რო გახდა, დანიშნეს და ცოლი მოუყვანეს. ცოლი რო უთხვიეს, ამ ქალ ერქვა მარგალიტა. ეს ბიჭი ცოლთან არ დაწვა. სუ ლოცულობდა. ერთ დღესაც გაიპარა სადაუბნეში, ცოლ მოშორდა. ეპ წყეული ეშმაკები ეუბნეოდნენ, რომ შენი ცოლი და დედა ზღვი პირას მოდიან და ტირიანო. ამ ბიჭმაც თქვა: — არ მინდა ამ ქვეყნიერებაშიო და გავიდა აქედან, ადგა და სადაუბდინადაც წავიდა. ჩაჯდა ერთ გემში. წყალმა გემი ატარა, ატარა და ეფრემ ვერდის ქალაქში გამოიყვანა ისევ. გემი მოვიდა. ბიჭ არ უნდა გემენაცნაუროს დედამას და არც ცოლს. ალექსიანი იქვე ათენებდა ღამეს, როგორც გლახა. ლატაკები პურ არ აქმევენ და სცემენ. ეს ბიჭი ნასუფრით იკვებება. ისე იყო დიდხანს გასაქირში, წვალემაში და არ შევიდა ქვეყნიერებაში. ერთხელაც მოვიდა გაბრიელ ანგელოზი და უთხრა: — შენი დრო შესრულდა და ახლაკინა წამოხვიდე იმ ქვეყანაშიო. აიღო ნახშირი, ბატი ფთის ქალამი და მელანი გააკეთა, დაწერა ქალაღდი და იქვე თავი მამი კარებში მოკვდა. დაწერა, რომ, მე რო ლატაკები მცემდნენ, რატ არ გამამენაცნაურეთო, მე თქვენნი შვილი ვარ, ალექსიანიო. ვინც მოვიდა, არავის მისცა, მოვიდა მამამისი და მისცა ქალაღდი. მამამ ქალაღდი წაიკითხა. დაჯდნენ და ყველამ იტირეს. იტირეს და წაიღეს და დაასაფლავეს საწყალი ალექსიანი. ესეც ეგრე იყო, შენ გენაცვალოს ბებეი, შვილო. ეფრემ ვერდი შვილი, ასე მოკვდა ალექსიანი.

სოფ. ჩ უ ნ ჩ ხ ა

## 2. ბებერი და გერი

ერთი ბებერი ყოფილა, ჰყვოლია გერი და ერთი ძროხა. ამ გოგოსთჳნ უთქვია ბებერ: — ძროხა ავძიე და ისე მოიყვანეო. ხოლოთ ერთი კუტი გაუტანებია და უთქვია: — ეჰ კუტი შენც ჰამე, გამელელ-გამომელელ-საც აჰამე, ძალსაც აჰამე და თანაც ზოგი შინ მოიტანეო. ამ გოგოს უთქვია: — მე ეჰ ერთი კუტი რომელ ერთნა ვაჰამო და შინაც კიდეე მოვიტანო. — აგრენა ქნაო. თანაც ხერტალ-კვირისტავი გაუტანებია — მატყლი დაართო. წასულა, მეტი რა ღონე იყო. ამ გოგოს ერთ ბებრი ბანზე გადაუვლია და ბანიდან კვირისტავი ჩაეარდნია სახლში. — ბებე, ბებეო, შენ გენაცვალე, კვირისტავი ჩამივარდა და ამამიტანეო. — ჩამო, შვილო, და ამოიტანე, შენ ჩამოდიო. ჩავიდა ეჰ გოგოც. ეჰ გოგო რო ჩავიდა, ამ ბებემ უთხრა: — მოდი, ერთი თავი მამიხილეო და ისე წადიო. ამ ბებერ ტილიანი თავი ქონდა და უთქვია ამ გოგოს: — ბებე-ჯან, ისე სუფთა თავი გაქო, რო... კუტიც უქმევი. იმ დლით ეჰ გოგო შინ დაბრუნდა. მეორე დღეს კიდეე წავიდა, გადაიარა ამ ბანზე და კიდეე კვირისტავი ჩაუვარდა ბანიდან. კიდეე დაუძახა: ამამიტანეო. ამ ბებერ-მა უთხრა: — ჩამოდი, შენ თითონ ამოიტანეო. ჩავიდა ეჰ გოგოც და ამ ბებერმა კიდეე უთხრა: — შვილოვო, აი აქაო ჟავიები მაქო, ჰალა (აბა) მოდი დამჟავებულა თუ არაო. მოვიდა ეჰ გოგო, ნახა და, რაჰ ნახამს, რო შიგ სუ ბაყაყი და გველი სამსეა. მოვიდა და უთხრა: — ისე კარქი ჟავიებია, რომ მეტი არ შეიძლებაო. მეგრე ამ ბებერ უთქვია: — იემ და იემ ალაგას რო გაივლი, ორი წყარო ჩამოდისო, ერთი თეთრი და მეორე ლურჯიო. თეთრ წყალ თავი შეუშვირეო. ეჰ გოგო მართლა ასე მოიქცა. თეთრ წყალ თავი შეუშვირა და, რაჰ ხედამს, სუ ოქროს თმა გახდენია. კიდეე დაღამებულა, მისულა სახლში ეჰ გოგო. ამ დედობილ უთქვია: — ეგ რა ლამაზი თმა გაქო, ვინ გასწავლაო? — ბებერმა მასწავლაო და ასე ლამაზი თმა გამიხდაო. ამ ნამდვილ შვილ შეიხარბა. — დედა ახლა მენა წავიდეო, მენა წავიყვანო ძროხაო. — კარქი, წაიყვანე და შენ აძიეო, შვილო, უთხრა დედამ შვილ. ეგ აჰ ედღოსო — უთქვია ამ გერზე. ამ თავე შვილ ყველაფერი სამყოფი წაუ-ლია. იმასაც გადაუვლია იმ ბებრი ბანზე და კვირისტავი ძალაზე ჩაუგ-ლია ბანიდან. ჩასულა ეჰ გოგო ამ ბებერთან. ამ ბებერ უთქვია: — მო-დი ერთი, შვილო, თავი მქანსო, თავი მამიხილეო. მივიდა ეჰ გოგო. ნახა, რო სულ ტილი, მატლი ურევს: — ფუ, ბებე, შენ და ფუ, შენ თავსო. სუ ტილ-მატლით გაქ სავსეო. ამ ბებერ არაფერი უთქვია. მერე უთქვია: — მიდი ერთი ჟავიები ნახეო. მისულა ეჰ გოგო, რო სუ

გველ-ბაყაყი ირევა ამ ქოთნებში. — ფუ, შენ და შენ ქაეიებსო — უყვირია ამ გოგოს. ბოლოს ამ ბებერ უთქვია:— მოდი ჩემთანო. გოგოჯან, იემ და იემ ალაგას ორი წყარო ჩამოდისო: ერთი ლურჯია და მეორე თეთრიო. შენ ლურჯ წყალს შეუშვირე თავიო. ამ გოგოს გახარებია და ჰგონებია ოქროს თმა გამიხდებო. წასულა ლურჯ წყაროსთვინ თავი შეუშვერია და სუ ვირის კუდები გამოსვლია თავზე. ამ გოგოს უტირნია, ეპ რა დამემართაო. ეპ გოგო მოსულა ისეე შინ. მერე ამ დედას მოსურვებია. ჯერ ოქრო თმიანი უნახია ამ სასიძოს. ქორწილი დაუნიშნიათ. მოსულა მოყვარე, შეუტემაზიათ ვირის კუდიანი გოგო და ტახტზე დაუყენებიათ, ხოლო ოქროს თმიანი თონეში ჩაუგლიათ. მექორწილების ცხენები ამ სახლი პატრონ გარეთ დარჩენია. ე ცხენები ამათ რომ გარეთ დარჩენიათ, ამ გოგოს დაუჭიხვინია და ცხენები გახსენებიათ. გოგოს თონიდან დაუძახია: — ოქრო თმიანი ტახტიკა, ვირის კუდიანი თანდრუკაო. მევრე ამ მოყვრებ ყური დაუგლიათ და უთქვიათ, რო მოიცა, პალა, რა ხმა მოდისო. ქალი გაუსინჯიათ. რო ვირის კუდიანია. ამოუყვანიათ ოქროთმიანი და ის. წაუყვანიათ, ხოლო იპ ვირისკუდიანი დაუტოვებიათ.

სოფ. ჩ უ ნ ჩ ხ ა

### 3. გლეხი და გველი

ერთი გლეხი გზაზე მიდიოდა და დაინახა, რო გზის გვერდზე ეკალს ცეცხლი ეკიდა, ზედ გველი იყო და იწოდა. ამ კაც შეიეცოდა ეს გველი, გააწვადა ჯოხი და გველი გამოიყვანა. გველი ამოცოცდა ჯოხზე და შემოიხვია კაც და ახრჩომს. ამ კაცმა უთხრა:—სიკეთე გიყავ, გადავარჩინე და მახრჩომო. გველმა უთხრა:—სიკეთეზე სიკეთე ვის უქმნიაო, დაგანჩ'ონაო.

ამ კაცმა უთხრა: — კარკი, დამახრჩეო, ხოლო პაიდე, ძმაო, წავიდეთ, აიქ ერთი ამხანაგი მყამსო, იმაპ ვკითხოთ და ის გადაგვიქრის სამართალსო. მოვიდნენ იქ. იქ დახედათ ხარი. — მეგობარო ხაროვო, პეკალზე გველი იწვოდა, გავაწვადე ჯოხი, გადავარჩინე, გამოცოცდა და ახლა მახრჩომსო. იესე, იესე მოხდა ეს საქმეო, — მოუქი, გველო, დაახრჩეო. სიკეთე სიკეთეზე ვის უქმნიაო? მეც სინამ ახალგაზრდა ვიყავი, სუ მამუშავემდნენ და არ მაქმევდნენო, ახლა რო დავბერდი, აღარავინ მპატრონომს, შიერი ვარო. — მოუქი, გველო, დაახრჩეო. ამ კაცმა უთხრა: — ერთი კიდეე მაპატიე, არ დამახრჩო, ახლა სხვა მეგობარ შევეკითხოთ. კარკიო — უთხრა გველმა. გაუდგნენ გზას, ადგა ეს

კაცი, მივიდა ხესთან და უთხრა: — მეგობარო ხე, იესე, საქმე იყოვო, გველი იწვოდა, გადავარჩინე და იეხლა მახრჩომსო. — კარქა შვრებო. სიკეთეზე სიკეთე ვის უქნიაო? მე ამ წყაროს ვიცავ, ჩემ ქოლგაში ყველა ისვენამს, ვინც კი აქ წყალ სვამსო. ჯერ დაისვენამენ, წყალ დაღევენ, მერეც ერთ ტოტ მამტეხამენ და ისე მიდიანო. — მოუქი, გველო, და-ახრჩეო. — ერთი კიდეე მაპატიეო — უთხრა გლეხმა და მერე დამახრჩეო. აღგენენ და წავიდნენ. გზაში შეხვდათ ერთი მელა. მელას ეს კაცი მოუყვა თავის გაქირვებას. — იესე იყო ჩემი საქმე, მეგობარო მელიაო. იეხლა მახრჩომსო. მელამ უთხრა გველ—მართალიაო? ხოვო—უპასუხა გველმა. მაშინ მელამ უპასუხა: — ჩამოდი ძირ და ისე გადავქრათ სამართალი! მოსამართლეს უზრდელათ ნუ ელაპარაკები, მალლა რაპ შესკუბულხარო! გველი ჩამოვიდა და მელამ უთხრა გლეხ: — რაპ გაგილია პირი და მიყურემ, დასცხე ჯოხი მოკალიო.

დასცხო ჯოხი და ამ გლეხმა გველ თავი გაუსრისა. მეგრე მელამ უთხრა გლეხ: — გასცი, წადი ახლა და ღმერთი შეგეწიესო. ესეც იესე.

სოფ. ჩ უ ნ ჩ ხ ა

#### 4. ტ ა რ ი ე ლ ი

ტარიელი ღარიბი კაცის შვილი იყო. ის ხენწიფეს ყამდა ჯარში და მას ემსახურებოდა. რადგანაც ტარიელი ყოჩაღი ვაშკაცი იყო და მარტო ანადგურებდა მტრის ჯარ, ამიტომ ხენწიფეს ძალიანათ მიაჩნდა თავის კარზე.

ამ ხენწიფეს ყამდა ერთი ქალი, სახელათ ლესტან-დარეჯანი, ტარიელს იმაზე თვალი ჩამოუვარდა, მაგრამ ფიქრომდა თანაც, რომ მე ღარიბი შვილი ვარ და ხენწიფე მე შვილ არ მამცემსო. მართლაც, ხენწიფემ თავისი ქალი სხვა სახენწიფოში გაათხვია. იმ სახენწიფოდან საქორწინოთ წამოვიდა ნეფე ჯარიან ერთათ, მაშინ ტარიელი გადაუდგა წინ ამ ჯარ და ყველა დახოცა და ვერც ქალი წაიყვანეს და მექორწინებმა ვერაფერი გააწყვეს. მაშინ ტარიელმა ლესტან-დარეჯანი და მისი აღმზრდელი ასმათი თან წაიყვანა. როცა ტარიელი სამსახურში იყო, ეს ქაჯებმა დაიჭირეს და წაიყვანეს თავი სახენწიფოში. დაბრუნდა თუ არა სამსახურიდან ტარიელი, მოიკითხა თავი ლესტან-დარეჯანი და უთხრა ასმათს: — რა იქნაო ჩემი ლესტან-დარეჯანიაო? ასმათმა უთხრა: — ქაჯებმა მოგტაცესო. ეს კაცი გაველურდა და არ იცოდა, რა ექნა,

გავარდა ველათ, დარბოდა და ეძებდა თავი ლესტან-დარეჯანს. თან წყალს ებნეოდა ნალვლიანად:

წყალო, რა უკაე ჩემი ნზე,  
შენ, წყალო, არაგვიანო.  
არ გესვრის თოფი, არც ხნალი.  
არც ისარ გეცემიანო.

დაიწყო ყველგან ძებნა. წაიყვანა ასმათი და წავიდა. იარეს, იარეს და მივიდნენ ერთ გამოქვაბულში. იქ დახოცა დევები და გაიკეთა ბინა. შემდეგ დადიოდა უგზო-უკლოთ და გამვლელ-გამამვლელ ეკითხებოდა: — ჩემი ლესტან-დარეჯანი ხომ არ გინახამთო?

ტარიელს ყამდა ძმა ავთანდილი. ისიც დანიშნული იყო და ცოლმა უთხრა ავთანდილს: — წადი მოძებნე შენი ძმა ტარიელი, სად არიო, სად გადაიკარგაო, თან მოეხმარე ლესტან-დარეჯანის ძებნაშიო. ადგა ავთანდილი, შეკმაზა თავისი ცხენი, აისხა იარაღი და წავიდა ტარიელის საძებნელათ. ცოტა იარა, თუ ბევრი იარა, მივიდა ხალხთან, რომელიც მინდორში იყო შეგროვილი და ჰკითხა: — ხომ არავის გამოუვლია აქეთაო? ხალხმა უპასუხა: — ერთმა პირქუშმა ვაჟაკმა

თვდალმა ჩამოგვიარაო.  
ურემსა ხელი გაგვიკრა.  
წყალგალმა გავგისრიალაო.

ავთანდილმა გაიფიქრა:—ეს ჩემი ძმა ტარიელინა იყვესო. ავთანდილი სანამ ხალხთან მივიდოდა, პური მოშვიდა. მოკლა ირემი, დაანთო ცეცხლი, შეწვა წვადი და ისადილა. ხოლო, რო გზა განაგრძო, ადგილზე საყველპურო დანა დარჩა, დაავიწყდა. ახლა აქ გაახსენდა და უთხრა ხალხს:—აგერ იქით, ცეცხლი რო ანთია, საყველპურო დანა დამავიწყდაო, მომიტანეთო. მივიდა რამდენიმე კაცი ცეცხლთან, დაუწყეს საყველპურო დანას წევა და ვერ ასწიეს, ადგილიდანაც ვერ დასძრეს. მაშინ მივიდა ავთანდილი, აიღო დანა და განაგრძო გზა. ავთანდილმა ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, მიადგა გამოქვაბულს, სადაც ცხოვრობდნენ ასმათი და ტარიელი.

ასმათმა უთხრა ავთანდილს: — ტარიელი ყველაზე გაჭავრებულია და ჩქარა წადი, გაგაფუქამსო.

ავთანდილმა უთხრა: — ნუ გეშინიაო. მაშინ ასმათმა გამოქვაბულში დამალა და, ტარიელი რო მოვიდა, უთხრა:—ასე მარტოკანა არ გაბეზდი სიარულითაო? რატო ამხანაგ არ მოძებნიაო? მაშინ თქვა ტარიელმა: — ყველა მეჭავრება გარდა ავთანდილისაო. მაშინ გამოიყვანა ასმათმა

ავთანდილი. ავთანდილმა და ტარიელმა გადაჰკოცნეს ერთმანეთი. ტარიელმა ძიენ მოუჭირა კლავი და ცალი წიბო ატყინა. მაშინ ასმათმა წაუსვა წამალი, დაუზილა და მოურჩინა. ავთანდილი იყო გულთმისანი და თან ჯამბაზი. ავთანდილმა ტარიელს უთხრა: — ამადამ ალაგას ციხეაო და იქ არი შენი ლესტან-დარეჯანიო. მანამ იქ წავიდოდეთ საომრათო, ახლა ჩავიაროთ ბიძაჩემ ფრიდონთანო და კარქი ცხენები გამოვართვათ და შემდეგ ადვილათ გავანთავისუფლებთ შენ ლესტან-დარეჯანსო. ავთანდილი, სინამ ბიძათან მივიდოდა, მეჯოგეს შიგკითხა: — რომელი ცხენი უფრო კარგიაო? მეჯოგემ უთხრა სწორეთ: — ბიძაშენი ამ გასუქებულ ცხენებს გამოგიჩვენოსო, მაგრამ შენ არ აიყვანო, ეგენი არ ვარგანანო. აი ესენია ეს სუსტი ცხენები, ფრენია ცხენები. დაკვირტებული პატარა ცხენები რო არიანო. მერე ავთანდილი და ტარიელი მივიდნენ თავიანთ ბიძასთან — ფრიდონთან და ავთანდილმა ბიძამის უთხრა: — უნა მათხვიო დრუებით შენი კარგი ცხენებიო. თანაც მოუყვა ბიძამის თავი ძმის — ტარიელის ამბავს. ბიძამ უთხრა ავთანდილს: — წადი და ჯოგიდან რომელიც მოგეწონება, წამოიყვანეო, მაგრამ ავთანდილმა უთხრა ეშმაკურათ, — არა, შენ გამოგვიჩვენეო. ბიძამ ყველაზე მსუქანი ცხენები გამოურჩია, მაგრამ ავთანდილმა უთხრა: — არა, მე ეს ცხენები არ მინდაო. დაე, ეს დაკვირტულები მამეცი, მე ესენი მიჩვენებიაო. ავთანდილი მიუხვდა ბიძას ეშმაკობას. ბიძამაც გაიგო, რო მეჯოგი ნაქნარი საქმეაო და კარქა იციენს. მაშინ თითონაც აიყვანა ფრიდონმა ცხენი და გაჰყვა მათ საშველათ. მივიდნენ ერთ დიდ მდინარესთან. გადაავდეს მდინარეზე კანაფი, მოსდეს ციხეს თავზე. ავთანდილი ხომ ჯამბაზი იყო, გავიდა თოკზე და დაუწყო ქაჭებს ხოცვა, მაგრამ ქაჭები ისევ ცოცხლდებოდნენ. მაშინ ციხეში შეიტყო ლესტან-დარეჯანმა, რო ჩხუბიაო და გადმოსძახა თავი სატრფოს: — ნაბდი ხმალი აიღეო. ტარიელმა აიღო ნაბდი ხმალი, მივიდნენ მასთან ავთანდილი და ფრიდონიც. გაიმართა დიდი ბრძოლა. მათაც ნაბდი ხმლები აიღეს და სუ ამოხოცეს ქაჭები. მერე გაანთავისუფლეს ლესტან-დარეჯანი ციხიდან. სამშვიდობოს რო გამოიყვანეს, ავთანდილმა თქვა: — ჩვენ სამნი ვართ, სამმა ვიბრძოლეთ და სამათ'ნა გავიყოთ ეს ქალიცო. მაშინ ტარიელმა უთხრა: — ოღონდ ნუ მოჰკლავთო და თქვენი იყვესო. მაგრამ ავთანდილი გულთმისანი იყო. იცოდა რისთვისაც აკეთებდა ასე და არ დაიშალა თავისი მანც. ავთანდილმა იცოდა, რო ლესტან-დარეჯანი ქაჭებისაგან ორსულათ იყო და ამოიღო ხმალი, დაუქნია ლესტან-დარეჯანს და ამ ქალმა პირიდან სამი ქაჯი გადმოავდო. მაშინ ავთანდილმა უთხრა ტარიელს: — აი ძმაო, რატომ გავაკეთე ეს საქმეო. ეს



ქაჯები რო გამოჰყოლოდნენ შენ საცოლეს და დაბადებულოყენენ, დიდ ზიანს მოგაყენემდნენო. ახლა კი ქალი შენთვის დაგვილოციაო. წაღი და\_გზა მშვიდობისაჲ გქონდესო.

ტარიელი დაბრუნდა უკან, თავი ლესტან-დარეჯანით იგი მივიდა თავი სნახელმწიფოში. თან წაიყვანა ასმათიც. ხენწიფემ ტარიელს ტახტი დაულოცა. ლესტან-დარეჯანიც დედოფალი გახდა და ასე ცხოვრომდნენ დიდხანს.

სოფ. ჩ უ ნ ჩ ხ ა

## ნ. ნაწევრები ხალხური „ვეფხისტყაოსნიდან“

### ტ ა რ ი ე ლ ი ა მ ბ ო ბ ს :

ღმერთ გეფიციები, ავთანდილ, მე არას მეციხებიან.  
ერთი მზე მყანდა, მიყვარდა. ქაჯნი მას მეცილებიან,  
დაედივარ გამწარებული, რომ დაეჯდე, მეტირებიან,  
კაბუჯობიდან დაეშაუდი, სიბერეც მეღირებიან.  
ზღვათა ლაშქარნი ქაჯთაგან მოკვლასაჲ მეპირებიან.

ცხრა ქაჯთა მონადირეთა მზე ჩაველინეს ნავითა,  
წართმა გავებდე ძალითა.  
წყალმა ამყარა აბჯარი, დაერჩი უშტოო, ხე ვითა.  
მოვბრუნდი მართო ხმალითა.

ხომ იცი, მამიდაჩემო, გული სამსე მაქვს ჯავრითა.  
ქაჯეთისა ციხენი ნეტა მაჩვენა თვალითა.  
ლესტან-დარეჯანს ფერ ხომ არა წაუხდა ჯავრითა.  
ბატონ, გამგზაუნე ხატაეთს, ბეგარა ამაღებინე,  
სისხლი ხატაელთ მეფისა ეალათ რათ დამადებინე,  
ლესტან-დარეჯან სხვას მიეც, შურ კი მე ჩამადებინე.

შან წადით, მეფის მსახურნო, მაკმარეთ გულის ტკივილსა,  
თორემ ხალხს ვაყურებინებ თქვენი ცოლ-შვილის ტირილსა.  
წყლის პირს იჯდა უცხო მოყმე, ნამტირალი ჰგვანდა გმირსა.  
მკვიდრად ება თავის რაში, ისიც უჩნდა ნიაე-ქარსა.  
იმას ვთხოვე შემწეობა, ცხენი მომეც, მილკამდა ძირსა.  
მან პასუხი არა გამცა.

კლავი გადო, როგორც რომა ხიდი ხისა.  
ზედ გავედი უვნებელად, მოვბრუნდი და გვარი ვკითხე:  
მხოლოდ მითხრა: ტარილო, მიბრუნდი და გიჯობს პირსა.  
ტარიელ დაგვი ვეზირათ, სიტყვა შენ გაბჭობინე.  
ვინდოდა ლერწამ-დარეჯან, რატომ არ შემატყობინე ?

ქაჯებმა მოიღეს კიდობანა, ნაკეთებია აჯებთ.  
შიგ ჩასვეს ლესტან-დარეჯან ძალითა და არა ნებით.  
შიგ ჩასვეს სამი გველი: თეთრი, წითელი და შავი.  
თეთრმა სთქვა: მოდი შეეკამოთ, წითელმა შემოქმენთა,  
შავმა სთქვა: ნუ შეეკამოთ ტარიელისა მზე ვითა.

სოფ. ჩ უ ნ ჩ ხ ა .

## 6. ფაშა და მოჯამაგირე (არაკი)

ერთ ფაშას ერთი მოჯამაგირე შექერია. ერთხელ მოჯამაგირე ეკითხება ფაშას, როდესა მოჰბეზრდა სამსახური და თან ოჯახი გაახსენდა: — ფაშა არ'ნა გამიშვა შინა — ვადა არ გამითავდაო? ხო ხედამ კაი ხან გემსახურე ერთგულათაო: არაფერი გამიფუტებიაო. დიახო, უთხრა ფაშამ — ცუდი მოსამსახურე რო ყოფილიყავი, მაშინ ხო პირველშივე გაგადგებდიო. ახლა კი ჯერ'ნა იმსახურო იქამდინ, სანამ ფაშა არ გახდებო. ეჰ. მოჯამაგირე დალონდა, ელარაფერი უთხრა ამ ფაშას. დალონებულ მოჯამაგირეს ამ სოფლი ხალხი შეიკითხა: რა შვრები, კაცო, არ ვანთავისუფლამს შენი ხაზეინიო? მოჯამაგირემ უპასუხა — არაო. მე-უბნევა: — იქამდინ უნდა იმსახურო, სანამ ფაშა არ გახდებო. მერე ხალხმა ასწავლა, ხო იცი, შვილო, ხალხი ყველაზე ჭკვიანია — ასე მოიქეციო — თუ არ გაგანთავისუფლოს, ჩვენ ვაგენტ პასუხსო: — მაგ შენ ფაშას რო ქოფაკი (ძალლი) ჰყამს, წელზე ხროლი (წნელი) შემოუჭირეო და. თუ რამეს გეტყვის ფაშაო, — უთხარი მაშინა. თაზია'ნა (მწვეარი) გავხადო და იმიტუნ შემოუჭირე ხროლიო. მართლაც მოჯამაგირე ისე მოიქცა, როგორც თავი სოფლის ხალხმა ასწავლა. ერთხელაც დაიჭირა ეს ქოფაკი და დაუწყო წელზე ხროლის შენიჭერა. სწორეთ ამ დროს სეირნობდა ფაშა, დაინახა, რომ თავისი მოჯამაგირე რაღაცა უცნაურ რამეს აკეთებდა და ჰკითხა გოცებით: — რაჰ შვრები, შე კაი კაცო, ძალლი ხო არ'ნა მოკლაო? — არაო, დიდებულო ფაშაო, წელი დაუმწროვდება და თაზია გახდებაო. ფაშამ გულმოსულად უპასუხა: — მერე სად გაგონილა ასეთნაირათ თაზიად ქცევაო, რატო ამდენ არ ფიქრომო? მერე ძრიენ გიეხარდა მოჯამაგირეს, რადგან დაიჭირა ფაშა სიტყვამი და მიუგო: — შე კაი კაცო, თუ შენი სიტყვით და ბევრი მსახურით მე ფაშათ ვიქცევიო, ეგ ძალლი წელზე ხროლის მოჭერით თაზია არ გახდებაო? ფაშა მიხვდა თავის შეცდომას და კმაყოფილი მოჯამაგირე სახლში გაუშვა. მოჯამაგირეს ანგარიში გაუსწორა ფაშამ და განხარებულმა მოჯამაგირემ მადლობა გადაუხადა ჯერ ფაშას, შემდეგ კი ხალხს, რომელმაც ჭკუა ასწავლეს და შინ წამოვიდა.

სოფ. ჩ უ ნ ჩ ხ ა

## 7. ქალი და ძალღი (არაკი)

იყო ერთი ქალი და ქმარი რო სამსახურში წავიდოდა, კუროს მოიყვანდა ხოლმე და ქმარი რო შემოუსწრებდა, იქვე ორმოჩი მალემდა ხოლმე ამ კუროს. ამ კაც ჰყამდა ერთი კარქი და ერთგული ძაღლი. ეს ძაღლმა კარქათ იცოდა და, როცა პატრონი სახლი მოდიოდა, ძაღლი მივარდებოდა პატრონთან და ტოტებ მუხლებზე დაჰკრამდა და მერე ორმოსთან და იქაც ესევე ტოტებ სცემდა. ეს ძაღლმა რამდენიმეჯერ გაიმეორა. ამ კაც უვირდა ამ თავი ძაღლი საქციელი, მაგრამ, რაპ იზამდა, მიდიოდა კიდევ სამუშაოზე და ისევ რო დაბრუნდებოდა, ძაღლი უფრო მეტათ ასევე ექცეოდა. ერთხელაც ამ კაცმა იფიქრა: — მოდი გავყევი ბი ამ ჩემ ძაღლ, იქნებ რამე ინადირა, აქ მოიტანა და უხარია. უნა მაჩვენოსო. ამ დღეს ამ კაცმა გადაწყვიტა, რო მოდი ჩავიხედამ ამ ორმოჩი, რაც არი, არისო. ერთი ვნახოვო. გაჰყვა ეპ კაცი ამ თავი ძაღლ, მივიდა, ჩაიხედა ორმოჩი, რაპ ნახამს, იქ კურო იყო მობღუძნული ზღარბივით და თვალებ აყქეტამდა შეშინებული. ესლა ეპ კაცი ყველაფერ მიხვდა. გამობრუნდა და წყნარათ უთხრა თავი ცოლ: — ეპ კაცი ვინ არი ან აქ რათ არიო? ქალმა უპასუხა: — არც ერთი ვიცი და არც მეორეო. ალბათ საქურდლათ შემოვიდა და ვერ გამასწრო და მანდ დაიშალაო. ეს კაცი ძრიენ ჰკვიანი და დინჯი იყო, არ გაზრახებულა, იცოდა, რო ქალი ყოველთვის შარია, მით უმეტეს ბოზი ქალი და ასე უთხრა გაკვირვებით და დაცინვით თავის ნაცოლარს: — ძაღლი ერთი ბარია (სანდობია), ხოლო ქალი (ამ შემთხვევაში მისი ცოლი) ერთ ბარი არ არიო“. ამოჰკრა პანღური და გააგდო ამ კაცმა თავისი ცოლი. შენც, შვილო, ახალგაზრდა კაცი ხარ და უნდა იცოდე, ქალ ძალიან გაფრთხილება უნდა, რო არ მოგატყუოს. ცოლი ყოველთვის უნდა ფიქრობდეს, რო ქმარს ნაკლებათ უყვარს, თუ შიაცყო, რომ ქმარს გადაჰარბებულათ უყვარს, ყოველთვის ულაღატამ.

ესეც ასე, შვილო, გისურვამ, რომ ასეთი შემარცხვენილი ქალი არ შეგხვდეროდეს ცოლათ.

სოფ. ჩ უ ნ ჩ ხ ა

## 8. მოჯამაგირე და პარამბაშები (კაციკამიები) (არაკი)

ერთ ფაშას ერთი მოჯამაგირე ექირა. ეს მოჯამაგირე კარქათ ემსახურებოდა, ასიამოვნებდა ამ ფაშას და ფაშასაც ძიენ მოსწონდა, უყვარდა. ერთხელაც ამ ფაშამ უთხრა თავის მოჯამაგირეს: — წადი, შვილო, თუ გინდა სახლიო. ფული კარქა მოგიგროვდაო. რამდენი მომიგროვ-

დაო? — უთხრა მოჯამაგირემ. ფაშამ უპასუხა: — 100—200 მანეთითო. — თუ ნებას მამცემ, რატო არ წავალო. მაშინ ფაშამ უთხრა: — აჰა, შვილო, ემტენი და ემტენი მანეთი გაქო, თუ გინდა ფული აიღე, თუ გინდა ვესიათს (აფორიზმად თქმულ სიტყვას) გასწავლიო — მოგყიდიო. — ვესიათი რო იყიდო, უფრო კარქიაო — დაუმატა ფაშამ. მოჯამაგირე ჩაფიქრდა და თავი გულჩი თქვა:—მამატყუოს'ნა, მაგრამ გადაიფიქრა ეს აზრი და თქვა: — მოდი, ვცდი, ვიყიდი ვესიათ, იქნება უფრო კარქათ ამიხდესო. ეჰ 100—200 მანეთი ვალებსაც ვერ დაჰფარაბსო. მოდი ვიყიდი ვესიათსა და რაც იქნება, იქნესო. ცოტა ხნის შემდეგ მოჯამაგირემ უთხრა ფაშას: — კარქი, გადავწყვიტეო, მომიყიდე ვესიათითო, ხოლოთ კარქი'ნა იყვესო. ფულს აღარ გამოგართმევ, გენდობი, გამოგცდიო. — კარქიო, გეტყვიო, ხოლოთ მერე აღარ გამიზღლიშდეთო, (არ შემედეთო). მოჯამაგირემ უთხრა: არაო. ფაშამ უთხრა: — ახლა სახლჩი რო წახვალ, გზაში დაგიღამდებო და სადმე გაათენემ ღამესო, რასაც მოგიტანებენ, არ თქვა, არ ეკამო, რაც არ უნდა იყოს, ჭამეო. აი სუ რაც'ნა მეთქვაო. წადი ახლა და გზა მშვიდობისა გქონდესო. — სულ ეგ არისო? შეეკითხა ნაწყენი მოჯამაგირე. — ხო, სულ ეს არიო — უპასუხა ფაშამ. მოჯამაგირე დაფიქრდა და გულში თქვა: — ამ მამაძაღლმა მამატყუაო. მაგრამ, რადგან სიტყვა ჰქონდა მიცემული, არ გაგიზღლიშდებო, ამიტომ არაფერი უთხრა და თქვა თავისთუნ: — ეჰ, რაც მამივა, გამოვიდესო. რახან შევეცდი, ჩემი ბრალია, მეორეთ აღარ შევეცდები, ჰკუას ვისწავლიო. ხაჩილ გახდა (ინანა), მოტრიალდა და წამოვიდა სახლჩი, ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, გზაჩი მართლაც დაულამდა და მოჯამაგირემ — მშვიდობით დაგვიღამდეს, შვილო, დანახა შუა ტყეჩი: ერთ ადგილას კვამლი ამოდიოდა. ამ მოჯამაგირემ ელა იმ კვამლ მიმართა, მიმართა და მივიდა. იქ კარქათ მიიღეს. მოჯამაგირემ არ იცოდა, თუ რანაირ ხალხში მოხვდა. მან არ იცოდა, რო აქ სუ ჰარამბაშები (კაცოქამიები) ცხოვრობდნენ. ისინი მხოლოთ ადამიანი ხორციოთ იკვებებოდნენ და თავიანთ სტუმრებსაც ადამიანი ხორც აჰმევენენ. რომელიც ადამიანი ხორც შჰამდა, ხო იტყოდნენ, ჩვენი რუჟლისაა, გაუშვათო, ვინც არ შჰამდა, ჰკლამდნენ და იმასაც შჰამდნენ. ეს ამბავი სულ არ იცოდა ამ საწყალმა მოჯამაგირემ. ჰარამბაშებმა პატიოსნათ მიიპატიყეს და ცოტა ხნის შემდეგ ადამიანის ხორცი შემოუტანეს ვახჩმათ სინით. ამ მოჯამაგირეს ძალიან გაუკვირდა და თქვა თავი გულჩი: — ეჰ რაგორ'ნა ეკამოვო. მეც ხო ადამიანი ვარო. მაგრამ მაშინვე გაახსენდა ფაშას ვესიათი და თქვა: — ამდენი ფული მივეციო და მოდი შევესარულამო.

რაც მოგიტანონ, ჭამე, უარი არ უთხრაო. გაახსენდა და დაუწყო ჭამა. ახსენა ღმერთი, დაპყო ხელი და ერთი კარქა ჭამა, ბოლოც ისე, მოეწონა, რო ძვლებსაც დაუწყო ხვრა. შემდეგ ამათ (პარამბაშეშმა) უთხრეს: — აქ მამსვლელი ცოცხალი ვერაფერს მიდიოდა, რადგან ადამიანი ხოც არ სჭამდნენო და ჩვენ მათ ვკლამდით და ეკამდითო. ხოლო შენ კი ჩვენი ჯილაგის კაცი ყოფილხარო, რო ადამიანის ხორცი ჭამეო. რო არ გეჭამა, შენც მოგკლამდით. ასე გადაარჩინა ვესიათმა მოჯამაგირე სიკვდილს.

სოფ. ჩ უ ნ ი ხ ა

### მ. ნასრადინ ხოჯა (არაკი)

ნასრადინ ხოჯა კაცის ერთ მეცხვარეთ დაუდგა. წაასხა ცხვარი მთაში და იქ აძოვდა. ნასრადინ ხოჯა ზარმაცი და ხუმარა კაცი იყო. ამან ეპ ცხვარი სუ უყურადღებობით ზოგი გელ შიქამა. ზოგს დაჰკარქამს, ზოგსაც კიდევ, რომელიც სუქანი იყო და მიეწონებოდა, თითონ დაჰკლამს და შეშუქამს. ეპ ცხვარი შემოელა. წამოსვლი ღროც დადგა. იფიქრა: — ხაზეითან რა პირით მივიდეო. მოდი, მაწონი შევადელო. ის მაინც მიუტანოვო. ერთი ორიოდე ცხვარი ჰყამდა კიდევ. ჯანდაქები მოწველა, შიადედა მაწონი, ამსო ერთი პატარა კოქობი. ეპ ცხვრებიც დაკლა, შექამა და ტყავები აიკიდა და წამოვიდა შინისაკენ. სახლი ხაზეითან რო მოვიდა, ხაზეინმა ჰკითხა: — ცხვარი რა უყავი ხოჯა. ეპ ტყავები რათ მინდა, რო მოგიტანიაო? ხოჯამ უპასუხა: — რა ჰქნა, ბატონო, თალაფი გამიხდაო: — ხუთი სული გელმა შექამო, ხუთი სული დამეკარქაო, ხუთიც მე შევექამე, მე ჭამა არ მინდოდაო. თუ არ მიჭერი, აჰა, ნიშანთ ტყავები მოგიტანეო. ხაზეინს ძიენ გული მოუვიდა, აილო ეს ტყავები და სუ თავზე მიაყარა. თან დაატანა: — ცარიელი ტყავები რათ მინდა, ცხვრები მომიყვანე, თორე ცოცხალ არ გაგიშვამ აქედანაო.

შე კაი კაცოვო, უთხრა ხოჯამ — რაპ მიჯაერდებო — რატო არ მეკითხებდი, იქნებ კიდე რალაც მოგიტანეო. რა მომიტანეო? — შიეკითხა ხაზეინი. აი მაწონი მოგიტანე კოჯობითო. ამ ხაზეინს უფრო გული მოუვიდა და ეს კოქობი მაწონი თავზე რო დაასხა ხოჯას, სუ პირსახე და თავი გაუთეთრდა. შემდეგ თქვა ხაზეინის გასაბრაზებლათ ხოჯამ: — შენ გიშველა ღმერთმა, ამდენი ხანია მოჯამაგირეთ დავდივარ და სად არ მიმსახურია, მაგრამ ასე პირთეთრათ ჯერ არსად არ გამოე-

სულვარო. არც ასე კარქი ხაზეინი მყოლიაო. ამ ცხერი პატრონ მიეწონა სიტყვა და უთხრა: — გასცი, გამცილდი, შარი ხარ, არაფერ ხათაბალას გადამქიდოვო. ადგა ეპ ჩვენი ხოჯა და წამოვიდა თავი სახლჩი.

სოფ. ჩ უ ნ ჩ ხ ა

## 10. ხენწიფე და გლები

ერთმა ხენწიფემ ერთხელ ტანისამოსი გამოიცვალა და წავიდა თავი ქალაქის დასათვალიერებლათ. გავიდა ჯერ ქალაქის კიდურზე, რომ ერთ გლებს კავი უბია და ყანას ხნამს. — „გამარჯობა, გლებო!“ — უთხრა ხენწიფემ. — „გავიმარჯოს, დიდებულო ხენწიფეო, — უპასუხა გლებმა. ხენწიფემ დაჰკვირდა, რომ ამ გლებს თმა თეთრი აქვს და წვერი კი — შავი. ხენწიფეს ეს ძაან გაუკვირდა. ხენწიფეს ერთი ვეზირი ჰყანდა, რომელიც შორიანლო იდგა და ვერ გაიგო, რა ჰკითხა ხენწიფემ გლებს. მერე ამ ხენწიფემ უთხრა: — გლებო, რით არი, რომ ამ კაც თმა თეთრი აქ და წვერი შავიო? გლებმა უპასუხა ხენწიფეს: — ცოდო არ არის, რო შენ თეთრ პურ სჭამ და ხალხ ხელმძღვანელომო, ეგეც არ იციო? ადამიანიშვილი რო იბადება, თმა დედიდან დაზღვესო, ხოლო ოცი წლი მერე წვერი მოსდისო, ამიტომაცაა, რო თმა ძალე უთეთრდებაო. თმა დიდია წვერზე ხნიანობითო. ხენწიფე შეწუხდა, რო გლებმა აჯობა, თან შიარცხვინა და უთხრა გლებს: — ეგ ერთი ვითქვამს და მეორეთ არავის უთხრა, სირამდის ჩემ სახეს 100 ჯერ არ ნახამო, თორე ვერაფერი გიშველის, ულაპარაკოთ მაგისტვინ თავს მოგქრო“.

ხენწიფე ამ გლების პასუხმა ძაან დააფიქრა და თქვა თავისთვის: — ეპ რა ეშმაკი კაცი ყოფილაო. ეს მე ტახტ წამართმევსო, ჩემზე ჰკვიანი გამოდგაო: როგორმე მიზეზით'ნა მოვიშორო თავიდანო. მოვიდა თუარმე შინ, დაჯდა თავის სატახტოზე და თავის ლალა-ვეზირებს დაუძახა, უთხრა: — ერთი გამოცანა ვითხრათო და, თუ ვერ გამოიცნომთ, ყველას თავებს დაგჭრითო. ამათ უთხრეს: — გვითხარი, დიდებულო ხენწიფეო. — რით არი, რომ ადამიანიშვილისაო თმა თეთრია და წვერი შავიო? ეს ლალა-ვეზირები ჩაფიქრდნენ. ზოგმა უპასუხა ჯიშით არიო, ზოგმა — ხასიათითო, ზოგმა — ნერვითაო და სხვა. მაგრამ ხენწიფემ არავის პასუხი არ მიიღო და თქვა: არ არი სწორი არავის პასუხიო. მაშინ ლალა-ვეზირებმა უთხრეს: — ჯერ თავებ ნუ დაგვჭრით. სამი დღის სროკი მოგვეციო და გიპასუხამთ, გიპასუხამთ თუ არა და შენი სიტყვა ასრულდებაო. ადგნენ და ლალა-ვეზირი, ყოველი თითო

მხარეს წავიდა პასუხის გასაგებათ. ერთი ვეზირი ადგა და პირდაპირ იმ გლეხთან წავიდა, იმიტომ რომ ეს ვეზირი იქ ჰყამდა ამ ხენწიფეს, როცა გლეხმა უპასუხა ამ გამოცანაზე. მივიდა ეს ვეზირი და ამ გლეხ ისევ კავი ება იქ. — გამარჯობა შენი, გლეხო — უთხრა ვეზირმა. — გაგიმარჯოს, ხენწიფის ვეზირო — უპასუხა გლეხმა. ცოტა ხან დადგა და ამ ვეზირმა ჰკითხა გლეხ: კაცო, სიღამ იცი, რო მე ხენწიფი ვეზირი ვარო. გლეხმა უთხრა: — ვიცო, შენ აქ იყავი ხენწიფესთან ერთათო. კაცო, ხენწიფემ ერთ ცეცხლში ჩაგყვარა, არ ვიცით, რა ექნათო. — უთხრა ვეზირმა დარდიანათ ამ გლეხ, იქნებ შენ რამე გვიშველოვო. ხო არაფერი იციო? რით არი, რომ ზოგ და ზოგ ადამიანი შვილსა თმა თეთრი ჯექ და წვერი შავიო. გლეხმა უპასუხა: აჰ, როგორ შეიყარენით ასე სუ სულელები, ესეც არ იცითო. მე ეგ ვიცი, ხოლოთ იმას არ გეტყვითო, რადგან ხენწიფესთან შეფიცულ ვარ უბისოთ რო ვთქვა, თავს მაქკრამსო.

— აჰა, როგორ მოვიქცეთ, სამოცდაათ კაც თავს გვეკრისო? — მივხეწა ვეზირი, მაშინ გლეხ შეეცოდა ვეზირი და უთხრა: ათ თუმანი თუ მომცემ, გეტყვიო, თუ არა და ვერაო. ათი თუმანი იმ დრომი კარკი ფული იყო. ხოლოთ ეს ათი თუმანი სუ მანეთიანები იყოსო. კარკიო — უთხრა ვეზირმა. ოლონდ გადაგვარჩინე და, რამდენსაც მოგვთხოვ, მოგცემთო. ადამიანიშვილი რო იბადება, დაიწყო გლეხმა, თმა დაბადებიდამ დაზღვესო, ხოლო წვერი კი 20 წლის მერე მოსდისო, აჰა არ იცი, რო თმა უფრო წვერზე ხნინია და იმიტომ თეთრდებაო. ნისცა ფული გლეხ და ეჰ ვეზირი უკან დაბრუნდა. ეს სამი დღეც გავიდა და მხოლოდ ამ ვეზირმა უპასუხა ხენწიფი შეკითხვას. მაგრამ ამ ხენწიფეს გიხარდა და თქვა: ახლა გლეხ კი თავ მოვშკრიო, რადგან პირობა დაარღვიაო; ასჯერ ხუარ უნახია ჩემი სახეო. მაშვიე გაგზავნა ორი ჭანდარმელი, შეაკრევეინა ე გლეხი და ისე მოაყვანინა თავისთან. ხენწიფემ უთხრა გლეხ: — „რატო გასტეხე ფიცო? გლეხმა უპასუხა: — მე ფიცი არ გამიტეხია, მე შენი სახე უკვე 100-ჯერ ვნახეო და იმიტომ ვუპასუხე იმ კითხვაზეო. როგორო? — შეიკითხა ხენწიფე ამ გლეხ — როგორო და ასეო: — უპასუხა გლეხმა. მაშინ ამოიღო ჯიბიდან 10 თუმანი თითო მანეთები და უთხრა, თან აჩვენა: — აჰა, თუ ასჯერ არ ვნახე შენი სახეო (ფულზე ხენწიფი სახე იყო გამოყვანილი). გლეხმა ხენწიფეს სიტყვა მოუგო. ხენწიფემ ეს გლეხი გაანთავისცულა და კიდევ მოიწვია თავის ლალა-ვეზირი და უთხრა: — ან მენა ვიყვე ამ ქვეყანაზე, ან იეგ გლეხიო, ან თქვენაო. ერთმა ვეზირმა უთხრა ამ ხენწიფეს: — მე რალაც მოვიგონეო, მოდი დიდებულო ხენწიფე, ისევ

ი გლეხი მოიწვიეო, დასხედით თქვენ ერთათაო, დალიეთო და, ვინც მალე დაითვრება. იმას მოვკრათ თავიო. შენდენა ღვინოს ის გლეხი ვერ დალევს და თავს მოვსკრითო. ხენწიფე დასთანმდა ამ ვეზირს და მოიწვიეს ეს გლეხი. ხენწიფემ მაშივე გააშლევინა სუფრა, დააჯღვინა ეს გლეხი თავი გვერდით, მოატავინა სასმელ-საკმელი და, გიყვარდეს, გაიმართა სმეულობა-კმეულობა. მაგრამ წინდაწინ ამ ხენწიფემ გლეხ ხელშეკრულობა დაუდო, რო, ვინც მალე დაითრობათ, იმას'ნა მოშკრათ თავიო. კარკიო—გლეხმა უთხრა. ან რაპ გააწყობდა ერთი საწყალი გლეხი ხენწიფესთან, მაშინაც რო მოექრა თავი, რაპ იზამდა. დასთანმდა ე გლეხი ამ თავი ხენწიფეს პირობაზე, შეუდგნენ ესენი ქეიფობას. ხენწიფე დაასხამს, მიმართამს ამ გლეხ, გლეხი დაასხამს მიმართამს ამ ხენწიფეს. ამ ხენწიფეს მეცხერი ტავარჯობივით აქ მუცელი და, რამდენსაც ჩაასხამს, იმდენათ იბერება, ხოლო გლეხ, რა თქმა უნდა, საღ შიემლო დალევს. ერთი-ორი დაასხა ხენწიფემ, მეორე მიაწვალა. ამ გლეხმა უთხრა: — გამივსე, რო კარქა დავლიო. ხენწიფემ უპასუხა: — გლეხო, რალ'ნა გაგივსო, დაიქცევა, ჭიქა სავსეაო. კიდე რო გაგივსო, ფარდაზე დაიქცევა და გაფუჭდებაო. მაშინ გლეხ გიელიმა და უთხრა ხენწიფეს:—შე კაი კაცო, რავ'ნა დავლიო, განა მე არ ავინსეო? მეც ხო კაცი ვარ, დავთვერი და თავი'ნამამკრა. შენ კი ჩემი თავი არ გენანება და ფარდაგ-ხალიჩას სჩივი, გაფუჭდებაო. ეპ ხენწიფე ჩაფიქრდა და თქვა, კიდე მამიჭრა სიტყვაო. ეს ხელშეკრულებაც გლეხმა მოუგო და კიდევ გაანთავისუფლა.

კიდევ მოიწვია ლალა-ვეზირი და უთხრა: ეპ რა კაც შევეყარეო, ამაპ რამე'ნა აუტეხო, თორე ამან ჩემი ადგილი'ნა დაიჭიროსო. ადგა ერთი ვეზირი და შეკითხვა მისცა ხენწიფეს: — დიდებულო ხენწიფეო, ჩვენ მაგას თუ დავიჭერთ, ასე'ნა დავიჭიროთო.

— შემოვავლოთ წრე სუფრასო და გვერდით მოგიჯდვინოთ გლეხი (მარცხნიდან), შენ კი მარჯვნიდან დაიწყე თავში ხელის ჩაკრა და ასე ყველამ'ნა გაიმეოროსო და გადასცეს მეორესო და ასე დავთქვათ:— ვინც ხენწიფეს ხელს თავში ჩაარტყამს, იმაპ თავი მოვსკრათო. და ალბათ გლეხ მეტი გზა არ ექნება, თავში ხელ ჩაკრამს და თავსაც მოვკრითო. — კარკიო — თქვა ხენწიფემ. ეგ ხერხიც ვცადოთო. მოეწონა ხენწიფეს ამ ვეზირის წინადადება და თანაც გიეხარდა: — ახლა მოვიშორებ თავიდანაო.

გააკეთეს წრე. ხენწიფეს მარცხნიდან მოუჯდინეს გლეხი და დაიწყო ხენწიფემ ხელის ჩაკვრა თავში. რიგი გლეხზეც მიდგა, რო ხენწიფეს თავში'ნა ჩასცხოს. მაშინ გლეხმა ხენწიფეს სთხოვა: — დიდებულო



ხენწიფე, ვიცი, ახლა'ნა თავში ჩავარტყა და თავიც'ნა მამკრაო. სიკვდილის წინ ამას გთხოვ: ერთი სამი სიტყვა მათქმევინეო. შემდეგ მომკერი თავიო. კარკიო — უთხრა ხენწიფემ, სთქვიო. გლებმა დაიწყო: — ერთ დღეს შევები ურემი და ქალაქში ბაზარზე თავალას მივდიოდლო, შევხედე წინაო და ერთი სანხედრო ფურლუნი მოდისო. შიგ გენერალი ზის და ფრონტზე მიეჩქარებაო. დაიძახეს: — გზაო! გზა ვიწრო იყო მობრუნება და დათმობა აღარ შეიძლებოდა. მაშინ მეც რა'ნა მექნა გამოუშვი ხარები და უკნიდან მოუბი. მეორე ულიციაზე აუხვიე და ასე გაიარა გენერალმა. აგერ ახლა შენი ვეზირი მოდის და გზას მთხოვს: — გამიშვიო, ხენწიფეს თავში'ნა ჩავარტყაო. აგერ მეც გზას ვაძლევო, გადაიზნიქა გლეხი და ვეზირმა ხენწიფეს ჩაარტყა იმის მაგიერ. თქმულების თანახმათ თავი მოსკრეს ვეზირს, ხოლო დანარჩენი ლალა-ვეზირი ხენწიფემ დაითხოვა და ასე უთხრა: — წადით, ყველას — თქვენ — 70 კაც ეს ერთი გლეხი გჯობიათო და ეს გლეხი დაიყენა ვეზირათ ამ 70 კაცის ადგილზე.

სოფ. ჩ უ ნ ჩ ხ ა

## 11. გაქცევის ამბავი

— გავიქეციო, აველით კოთელიის სილაზე. ნაისა, ბარგი დაუწყეს ურემზე. წავიდა ეს ურემები. ერთი შვიდკოდინი ტომარა დარჩა. უთხარი: — წადი-მეთქი. ჩვენ მოგვვარეს ცხენი. ნაისა, ნაისა, ეს ბიჭები ტბი კიდურზე, ქვევიდან, მიდიან. მეც ზევიდან გავჩერდი ქოშაში. შხაპა-შხუპით მოდის ტყვია. ერთი ნახო, რო ორი ბიჭი გამოვიდა. მიიხრეს: — მოდი, იემ ცხენ ავკიდოთო. ელა გამოვიტანეთ, ცხენი დგას ვირივით, თათრი ტყვია ფათ შვრება. მევრე ესენი ურემ მიეწვიან, ეს მაქსოი და ბაგრატაი. ჩუნქი ურემზე ბევრი ტვირთია. მე ზედა სანთიდან მოვდივარ. ერთიც დახედე, რო ქაობენ, აკოი'ნა გამოისხნან, თუ დაიჭირესო. სად'ნა გამოიმხსნან. ნაისა, ერთიც დავიკივლე, ბიჭო, სად მოდიხართ? (იქნე ტყვილია?) ჩვენებური თათრებია. პარნაისად, ორი ჯიელი ბიჭი დარჩა. ი ბიჭები დახოცეს კოთელიას. პაიდენ, წამოდით, რალაპ უყურანთ? მეხი თქვენ დაგეცემათ, თქვენ ურემებსაც. ვერ დავიყოლიე, არ წამამყენენ. ისინი იქ დახოცეს. ჩამოველით ლამეს ჳიხარულას. ერთი გოგოა ოდაში ტრიალენს. აპა, მე ამ სახლ არ მოვშორდები. მე ამ ქათამ-ბატ ვერ მოვშორდები. ტირის ე გოგო. აპა, ბაგრატამ თქვა: იქნია პური შემოუტანოთ, ყარაულმა დაგვიჭირა. ნაიზა, ვეპამეთ ხორცი აქეთ-იქით, ავდექით, შუალამია, ჩამოველით კოთელიას.

შევიდნენ, რო რას შეხვალ, თითო ტომარა ოთხ ჯორსა, ერ ცხენსა ჰკი-  
დაა. იქ მოიქცევს, აქ მოიქცევს, ჩამოაგდო. ლოგინებისთუნ გადაუ-  
რია სუ ხასი. მამიტანეს ყაურმა. დაეჯექი, ქოთანი ნახევარი დავიყვანე.  
პანი. აღარ გაგიშვია. ნუ მოგეცათო — უთხარი. ავიკიდეთ, ამოველით.  
ემათ რა'ნა გაგვისდეს: ურემი შევებით ტულკა. დაუწყეს ცხრა ჯვალი  
სუ ღიჯა. ნაისა, ავდექი, ჩაველი ჯანჯლას. ვაი, პლენათ დარჩნენ. მო-  
სულა აკოი ერთი ურმითა. გადაცალეს, გადაცალეს, როგორც იქნა.  
გერმანა (ს) მამაც ღამეს ჩვენთან იყო. თათრები მოდიოდნენ და არა,  
კაცო, ეგენი სომხებიანო. წავიდა ი კაცი. ერთიც დეიდაშვილი იყო. მას-  
კუან იმის ქამარი აქ ვიცანი, ქილდას მიშტადას ეკრა. უთხარი: — მიშ-  
ტალა ვინ მოქცა ეგ ქამარი-მეთქი. იფიქრა: მამკლას'ნათ. ელა მო-  
იხსნა, თავი ყაინ მისცა, გელსუნდელ. მერე ჩვენ წავედით თალანზე.  
კვარშიდან გადმოვრეკეთ თორმეტი თხა, მოიტანეს, ჩამოაბეს, თორ-  
მეტი ბიკია. მე და ოქუშაანთ სანდრეიც ერთ თხას დავადექით. ნაისა,  
ქანეს. დილით ავდექით, რო ქვაბში არაფერია. მე შიშით სახლში  
ვერ მომქონდა. მე ბიძასი მეშინოდა. კუმურლოდან მოიყვანეს ერთი  
დიდი ბუღა. დედამიწას გლეჯს. ნაისა, როგორ უყოთ, დაადგნენ თორ-  
მეტი ბიკი და ხელათ გაფატრეს. იმდენა პატარა აღუღებულებიყო, და-  
აღვანენ ერთხელვე... ბურცელაი, რავი, რა არი. ვაჰალა, კარქა ამომ-  
(ე) ჰანდი წინათ ვენი.

სოფ. ოკამი (ქილდა)

ანალქალაქ(ს) ერთი თვე ვიწეკი. ერთი კოვზი შევხვებრიტეო. მაღა-  
რაქე კარქა დაგიყვანია ბოთლიო. მასკუან, ნაისა, კარქა გავხდი. ჰაფეიჯა,  
მეჯვე-მავეს ვჰანდი. მეუბნეობდნენ: — ავანტყოფ არ ექმევა. აკო ძია,  
რა უნდა. ერთი ნახო, შემოიტანა, გაიგე, არ გეკმევა. მოიტა. ვჰამე  
და სიკე (სიცხე) მამცა, სიკე ისე, რო კარებში გამოვდიოდი. ერთი ნახო,  
რო ე გოგვიები წავიდნენ. ელა წამოვარდი და დავეშვი. გამამიდგნენ:  
მაღარაქე, მაიცა, ნაისა, ქვეშა ბოლოში ჩამოველი და დამწვდა ე გოგო.  
გავრბიოდი, აგერ ვარ — მეთქი. მევრე და მევრე ავდექი, საწერავი  
მ... ნ შემოვიდნენ გოგვიები. ეს, ერნახო, სამი გოგო შემოვიდა. შემო-  
ვიდნენ, მაჯას მისინჯებდნენ. სიცხე გაქო. აღე, გადით, თქვენი დედა...  
ელა დაითოფლნენ...

ერთხელაც აგარელი მოვა, მაქსოს ებნევა. დამნიშნეო. მამივიდა  
ბრაზები, დაუშინე ჯოხი და დაუშინე. არავინ მოგდევს, მე ხო არ'ნა

მოგვყე: ურია როგორ იყო? ურიამ დაიხვია ერთი იმნაირი თასმა და დაიწყო ჭოცვა. დგას სუფრაზე. აი შენი სალოცავი მ..... ნ-მეთქი და ვიფორინე. შეეშინდა და სამი დღე აღარ ადგა. შენი ფითაფითი კი.. ურია არტუა იყო.

სოფ. ოკამი (ქილდა)

## 12. ტყეში მუშაობა

ინტენჯერ წავსულვარ რო... ბლენაში კიტრებ ვიპარენდით. მთაზე იმ თავალას რაგორ ამოდის. ცივია წყალი, პიბი ვერ დაგიყვია. დიდი ავაზანი ედო. ვერ ცლიდა იმ ავაზანს. თუშები იყვნენ გაღმიდან. გამოლმა ჩვენ ვსხედვართ, ვსეირნონთ. შემოდით, სამხარი ქამეთ. შევედით. ტყე იქ არი. ამოვთხარეთ დანებით ყაურმა. ჟამები ხორციტ გავეინსეს. ჟერ წვენები შევხვრიბეთ. მერე გაკერძეს ხორცი. გელი იქიდან დეერქვა. კაცო, იმ ცხვარში დახვალ, უი, შენ გენაცვა, ბიჭო, იმ ცხვარძროხანეც თვალ ვიჭერდი. მე არათფერი მერგებოდა. ამხანაკებ ერგებოდა. ჩვენ საკუთარი ბევრი გვეყვანდა. ძრიენ ვიცი?

ერთი იმნაირი გზაა ეს მამაძაღლისა, გვითხრეს თათრი(ს) ალაგში არ არი გზა. ჰეჩ, ჰეჩ, ურემი ბრუნდებოდა. მასკუან უთხარი: ჩვენ ვერ ვიმუშავნთ ამ გზაზე. უთხარით, რო ვერ ვიმუშავანთ. შემოვკარით ტყეში, რვა დღე გახდა. პრიკაში მოვიდა, რავი, რა არა, სამასი ურემი წაველით. წაველით, რას წახვალ, იქიდან რო წამოვედით, სუ თოვლი მოგვცა. ბუქდა, აბუქდა. ურმით სოფელში მოველით, ნაისა, დაენტოთ ცეცხლი. მოდით, მოდით, შეველით. პაი, შენი ღმერთი გაქრეს. როგორ დახვალ, ესა მაგარი კაცია. ამას ფეხებზე ჰკიღია შენი სიცივე. ეხლა რა ექნათ, გვითხრეს: დიეწერენით სალდათათ. მოდით, ხალხო, სონხებზე მე გაგიძღვები და ელა და გაუძელი თუარმე, ინათლა ყარსში შეველით. ახლათ დაიფუშა ნიკალაი, რო გაღმოაგდეს ნიკალაი, უფლობდა, სალდათიც მოიშალა. წინათ ოზდათხუთმეტი ფეხებზე მეკიდა. ზებორი, (ლობე) შემეეკრათ. თათრი პლენიც შემეეკრათ ზებორით, კიდურზე მუღდიოდათ ფეხშველა ხალხი. გაუშვი, წავიდეს ბავშ-ბუშვი.

ერთიც ნახო, რო ერთი პრისტავი, ორიც მელიცია მოდის. მოვიდნენ. ერთმა მითხრა: თოფი გქონდა, რა უყავი? ქონდაო, მე უთხარი: აბაო. ეს სამი დღე გამოვიდა, ერთიც ნახო, რო დამაწვენენ თავზე. ელა დავიჭიმე (გავიქეცი) შინ. სითკენ წავიდნენ, მაქსო? მაქსომ ამამიტანათოფიც, პატრონტაყიც.

სოფ. ოკამი (ქილდა)

### 13. ზარზმანი

ზარზმანი (ზარზმა) არის აღრგენის რაიონი. წყვილი ეკლესიაა. ხოდა, ეხლაც არსებობს ის ეკლესია, თათრი(ს) შემოსევის დროს როგორც ყოფილა, ისევე არი. თათრიდან თათარზე გადასულა. ეკლესიის ყარაული იყო. მაგალითად, მე ვიყავი, მერე შვილი და შვილიშვილი და ასე შემდეგ თათარი ყარაულობდა, როგორც ღმერთის სახლს. მერე ყარაულიც დაიჭირეს, მანამდე არავის უშვენდა. თათარი დაიღუპა, თავი შესწირა. ღმერთის სახლიაო. არ თმონდა. ემსახურებოდნენ, როგორც თავთ ჭამს. ეხლაც ზარზმანი ისევე ხატით არი დაცული. დღესაც არი, ჩახვალთ და ნახამთ.

სოფ. ოკამი (ქილდა)

### 14. თმოგის ციხის ამბავი

ხმლით ჩხუბი ყოფილა. თათრის ფაშა ყოფილა ალაგურში. გაუჩერებია თავი (ს) ჭარი. რკინი(ს) კარები ქონია ციხეს. დაკეტილი ყოფილა. ციხის პატრონი (ს) ცოლს გადაუხედია ბალკონში. დაუნახია, რომ თათრი (ს) ფაშა ფსამს, იარაღი მოსწონებია ამ ქალ და მაწონში ჩაუყრია გასაღებები. თათრი (ს) ფაშას გაულია ციხი (ს) კარები, ღამე დასცემია და ხუთასი კაცი დაღუპულა. ერთი ძმა, რომელიც რომა ხელმძღვანელი ყოფილა, თითონ გადავარდნილა წყალში თეთრი ცხენით. ვინ არის ესა. ეს ჩემზე მთავარი ბიჭია. ამ ქალმა მე ხო მიღალატოსნაო. მაშინ ამოუყვანია და ჯორცხენასათვის კულზე მიუბია და დაუჩლეჩინებია. ამიტომ დარქმევია დამკალი და არა დანკალი. იმ ქალ უთქვია: „დამკალი, რალას მაწვალამო“.

სოფ. ქილდა (ოკამი)

### 15. თათრიანობა

შეკავშირებულან სომეხი და ქართველი. როგორ თუ ორივე ქრისტიანი თათარმა'ნა დაგვძლიოსო. მაშინ ეცემოდნენ თათრები. მერე დაეშველა ისევ თათარს სახელმწიფო თათარი. ვინაიდან პატრონი არ ჰყანდათ, გაიქცნენ, გადაიხვეწნენ. ასე წვრილშვილ ტიფა შეირია. ტყი (ს) კალთებში რო იქნება, ცოცხალი არ დარჩება. ნახევარი ხალხი დასწყდა. მე მაშინ ვიყავი ვარშავაში. კოვენსკი (ს) ფრონტზე. ბევრი ვიყავი. ბაყაყს გვაქმევდნენ. მერე ბურაკს, მარკოვკას, ცარელა წყალი იყო, შახტებში გვამუშავენდნენ, პურის ფულსაც არ გვაძლევდნენ.

ლიგუშკას გვაქმევდნენ, არაფერი ცხიმიანობა არ ქონდა. ზოტებში ბევრმა თავი გადაჰკრა (გარდაიცვალა), წავიდა. გაუძლით მხოლოდ ახალგაზრდებმა. რუსი ეჯავრებოდათ გერმანიაში. მარტო თავენტ ნაცია იცვამდნენ. ასე იყო. მერე უღალატა ურიამ. გერმანიაში გადვიდა. მერე გერმანიაშიც გაწყვიტა. ეს ამბავებიც იყვნენ. მოკლეთ. გერმანია არ არი სახელწიფო, არ არი ასადგენი სახელწიფო. ეგნეთი სახელწიფო მოსასპობია. შე კაცო, არც პურ აძლევ, არც წყალ. მოსასპობია, ამას 25 არ უნდა. საბჭოთა ხელისუფლებას გაუმარჯოს, ყველა ნაცია ერთნაირია.

სოფ. ოკამი (ქილდა)

## 16. ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა

ამ საყვარელ რქმევია გიორგი. ამ ჩემ ქმარ უთხარიო, რო ხელ-ფეხი არ გაიქნოს, არ მოატყვას საყვარელსო. კაცო, მამე ღირავი. კაცო, ერთი სიზმარი ვნახე წუხელისო. უამბო, კიდევ ვერ გაიგო. გიორგიმ კამფეტი'ნა იყიდოს—შაკალადი კამფეტი. პალა, მოდი კოტე ძია, შოლტა გქონია სანხედრუებისთუნ მიგიყიდა. დიშლა სანხედრუებითუნ წაურთმევია აიგერ, დია კაცი რო მოდის. გამარჯობა. შენ ერთი შეღებული დიშლა გქონია, აბა, კოსტეს დიშლა ვინ მისცა. ეგაო ვინ გასწავლაო. დადგა, დადგა. კუმურდუელი შეშას ყიდულობს. შეშები კოსტანას აქ. ერთი დონობური მოვიდა. დრასტი ატეც, დრასტი. ჩომ დელა? კოზი ესტ. თხა. რა დროს თხა. მეც ბექუანთ მაქსო(ს) კარებში ვდგავარ, ვიდიშ, ბალში დომ. ევო დვე, პარა კოზა ესტ. პრავილნო. დონობური მიბრუნ-მობრუნდა. ატეც, ზაჩტო ტი აბმანუიმ. ნეტ ტავარიშ. მერე რო გაიცინა ხალხმა, აღარ წავიდა. აიმას ჰყამს თხიები გასაყიდი. შიო(ს) შვილთან რო გავგზავნე დაღეშელი აღექსაი — აჯილღაი, გენახნა. ილიკო ძია, ჩაფი (ს) ტარი ვის აქ? მე უთხარი: შიო(ს) შვილ აქ ჩაფი(ს) ტარები, შიო(ს) (შვილი, ადე(ს) შვილი, პასო(ს) თორუნი, ბალდუა(ს) გოზი და სხვა). აქ დაღეშელი კაცი სად დგას? აი ზევით დგას. ამოვიდა, კარზე. დასონაი შენ ხარ, შენ ჩაფი(ს) ტარები გქონია. ეგაო ვინ გასწავლაო, შენი დედაც და იმი (ს) დედაცო. დანა წამოიძრო. მერე ერთ დონობურსაც ვასწავლე: დიიპა იმ კაც აქ, ბატია (ს) შვილზე, ბატია(ს) შვილი ჰქვია-მეთქი. მივიდა ეს დონობური და რუსულზე ეუბნევა. ტი ბატია(ს) შვილი? ჩვენ სადამერჩოში შევცივდით. სახელი ეგ იყო, მე რალა ვითხრა. ამ ჩაფხას გემიეგზავნა ანბავი, რომ ჩემ ყაინ (ცოლის ძმას) უთხარი: ერთი გოგორა გამამიეგზავნოს, ვალაო (ბალაო). მეც შეუთვალე, ცოციანთ ტოფოს ქონია ახალი გოგო-

რა. იმას გამოართვიო (კოცინათ ტოფო გრიჟიანი-თიაქარიანია).  
ეთქვა. რო ზათი ეგაო გიყაო. ზათი, ვალო, მეჯავრებოდაო თავიდან.  
ერთხელაც თვრალი მოველი და დავიძახე: შაფხაი საღ არის! ეყვირივარ.  
ნიკომ თავეცა შემოიყვანა და იქ დავლიე. შევედი შაფხაანცა, შაფხაი  
დაიძალა. მეორე დღით ადრე რო გამამქარდა, მოვიდა და ხელი ჩა-  
მომართვა, აი ახლა მოგესალმებიო. გუშინ გიყი იყავიო. ქმშლისტი  
რო შემოგვესია, იმ დროს დაარქვეს ქამალაი. აჰა, თათარი შენ შემო-  
ვინახედა. ჩემ ხსენებაში სამჯერ — 1918 წ.; 1919 წ. და 1921 წ. —  
სამჯერ შემოგვესია და სამჯერაც გვახსომს ხალხი არიეს. ქალები წაას-  
ხეს, ხოცეს. თალანი მოვიდოდა, დაგიჭერდა, „შვიო, შვიო“, „გალ ბუ-  
რია“ („მოდო აქ“). რას გერჩი, თალანი თუ გქონდა, გასათხოვარი თუ  
იყო. წაიყვანდა, წაიღებდა ამ სამ შემოსევაში. აქედან გიეწყვიტათ,  
უნდა დიეხოცათ. მაგრათ ხოცეს, მაგრათ სომხები დაწყობიდან, ვინა-  
იდან სომხი(ს) მტერი იყო დაახლაც არი. მერე აქედანა არ იყო ჩემი მერ-  
ჯულე (შღრ. პ. ინგოროყვა). გერმანიის ამხანაჯი იყო 1914 წლის ომ-  
შიც. მაგათ, თათრებ, დახოცა, დახჩობა ეკუთვნოდა. რომელი მერჯუ-  
ლეს შემოვიდეს. მე რა გერჩი, დამნაშავე ვინც არი, ისაა. გლეხი(ს)  
კაცი ხელიდან რა გამოდის? წერვა არ ვიცი მე, კითხვა არ ვიცი მე.  
რომელსაც ვცნობდით, დაკლა აი სახლის პატრონმა (მითითებს სახლ-  
ზე. გვერდზე რომ იდგა), ჯამალამ დაკლა სომხები. აი მაგ ჯამალამ 66  
ბიჭი ორმოში ჩაყარა კუმურდოს ყასაბი იყო. ეგრე 20 ბიჭ ვცნობდი.  
როგორც შენ ქცნობ. ბევრიც ჩემთან ჯარში, იმ დროს მესამე შემოტე-  
ვაზე დაკლა 66 ბიჭი. პოჯოლი ჯამალამ გააკეთა ეს ყველაფერი. ეგენი  
გადაასახლეს სათათრეთში. მაგის გულიდან არ ამოვა ეს არასოდეს.  
შვილიშვილინა დაკლას. თათარს უკლია ქრისტიანი და კიდენა კლას.  
ამისათვის გადაასახლეს, რო ყველა რჯულ კლამდა. მარამი ქრისტი-  
ანი იყო, ყველას კლემდა. ეხლაც ეცდებიან, რო გამოუშვან და მალე  
გაიქენენ სათათრეთში. თავი მერჯულეში გავიდეს უნდა. ლამე გადი-  
პარება, წავა. იმიტუნ მოდიან აქ. ძველებურ სახლებიდან ვერ გამო-  
დიოდნენ მურტალი, სიჯდუმეში იყვნენ. აქ საპონიც არ ენახათ მაგათ.  
არ'ნა გაუშვას. ისევ თავი ადგილ'ნა გარეკოს. როცა რო საქარ-  
თველოს გადაუბარია ეს ჩენი ადგილები, დასცემია ლეკი. თავკაცათ  
დარჩენილა პრტენა, ჩუნჩხა, სხეები გაქცეულან, მთიელები ისევ აქ  
გადმოსახლა, თავი ადგილას, რადგან ერთ დროს აქედან გაქცეულა.  
მაგათი წინაპრები. თათრების შემოსევის დროს მოსახლეობა ჩარჩენი-  
ლა თათრის ხელში. რო კითხო თათარ: ჰოკმელი ხარ? გეტყვის — ჰო-  
ვო. საიდან? პაპა არ ყოფილა შენი ჰოკმელი და პაპის პაპა, საიდან ხარ

ჰოკმელი? ლორის მელიქოე უკრია, გაუყვანია თახ ყარაყურღანში. მერე შაქარტალი აიღეს. მერე თათარმა იარა, იარა და კარწახში (სოფელი საზღვარზე) მოიტანა გრანიცა. რამთენი მილიონი ხალხი დახოცა. თათარი'ნა მიესპო რუსეთს, ახლა ჰოკმიდან რათ გავრბივარ. ეხლა რომ შემოესივნენ და თვალეზი ამამაცალონ, რა შემიძლია 67 წლი(ს) კაც, მაგრამ იეხლაც რომ მომცენ იარალი, თათარ მოვითბამ, როგორც ქალა, მოუდგამ პულემიოტ და ჩაეჩეხამ კიდოვ. ერთიც მოა (მოვა), ეს ვინ მოქცა, ღილი რო მიეწონოს, მოგჭრის წაიღენს. საბჭოთა ხელისუფლებეზში გინდა ოქრო თავზე დაიდე და ასე იარე, შენი ხმი(ს) გამცემი არაეინ არი. სხვა მერჯულეა, შენ ოჯალში შემოვა, ქალ მოითხოვს. რანაირი კაცი'ნა იყოს, რო სათათრეთი ინატროს, ოქროში რო ჩამსუნ. არ მინდა. მე ომი(ს) ხელში არ დავრჩები. აი ასეთი ამბავები იყენენ. ეს ამბავი ჩაიღინა 1918 წლის შემოსევის შემდეგ. ქალი-კაცი აღარ გაუშვა. მე ვიყავი, ყაზალურ ქამარს ვეტყოდით, ის მეკრა. მანდულის შარვალი, ჩერქესკა მქონდა. სუ წიელოთ. ერთი ქამარი გიეშვათ, დამინახა, მოვიდა თათარი და მითხრა: მამეციო: მერე მეორე თათარი გაუჯავრდა: ის შიციომდა. უკან მოაცემინა. წადი, ხრამში დაიძალე, მოკლებენო. აი თათრები ამ დღეს გვაწევდნენ. შიშით ქალაქში ვერ წახვიდოდი, კახტავანი, შურიანი ხალხი იყო. მიდიხარ გზაზე, შეგეხვდა. რაც მიეწონება, წაგართმევს. ეგ ხო ქვეყანა არ არი, ეგ საძალეთია. სლობია საძალეთი (ს) ქვეყნი ხელში დარჩე, ვიდრე მაგათი. მაგათზე უნისაფო დედამიწი(ს) ზურგზე არ არი. თათრი(ს) კვდრები'ნა ამოყარო და გადაყარო. ეს საქართველოა, საქართველო! მაგათ რა უნდა აქ! მორჩა და გათავდა! რათ მკლამ, კაცო, საცა თავი მერჯულეა, იქ წავიდეს. რას გერჩის, ღმერთი(ს) გაჩენილი ადამიანია. თავი(ს) მიწაზეც არ ასვენამ? აი, თათარი ამას აკეთებდა. თათრი(ს) გაკეთებულია ხერთვისის ციხე? არა! თათარი გაკეთებულია ადიგენის რაიონში ეკლესიები? არა! ყველა ქართველის გაკეთებულია. ვარძია არა კაც არ ეკუთვნის, არა მერჯულეს. ქართველისაა. ვარძია წინათ კრეპუსტი ყოფილა. ნამდვილად ნაშტია საქართველოსი. როცა რო თათართან უჩხუბია, მანდ დამალულა ხალხი. ბუნები გამოუყვეთიათ, როგორც ზიარათი, როგორც სალოცავი. ეს ყოფილა საქართველოს კრეპუსტი. თამარ დედოფალი(ს) დროსაც არი გამოჭრილი მალაროები. მაგას ჰქვია კრეპუსტი. თათარმა სამჯერ შემოგვესია და კუმურდოს 66 კაცი დაკლა. ეგრე ყოფილა, რომელი ნაცია აკეთენდა მაგისიებ? — არცერთი. 1914 წლი(ს) ომი და ამ წლების ომი ერთი ხო არ იყო. ეს ომი და იმ ომს რა შედარება აქ. ეხლა ხიშტი არ არი. თვალით ვერ ვინახამ, შტიკზე არ

მოდის, რომ მე და იმამ ვიჩხუბოთ. ჩვენ დროს სხვანაირი იყო ჩხუბი. ძველ დროს ხმალი ყოფილა. ვისაც კლავში ძალა ჰქონია, ხალხი უწყვეტია. ტამალა ხო არ ჰქვია ი სოფელ, დამალა ჰქვია. ჯარი დაუშლია ჰერეკლეს. თავი შვილები არ მიშველებიან. ჯერ თათარ დაეკრა ხმალი. ცხენი ისევე წაუღია. ტყვარში რამთუნი ჩამჩვჩალა. ეს ამბავი გაღმრცემით ვიცით, ჩვენ კი არ გვინახამს ჰო, შოთა რუსთაველის ამბავიც. ახლა ზოგი ამონს ამ რუსთაველიდანაა, ზოგი იმ რუსთაველიდანაა. კაკო, რათ უნდა ამას აქეთურ-იქითური, შოთა აგერ ასპინძის რუსთაველიდანაა. პარლს ეტყვიან. ეგერ ჩახრახნი (ს) მთა ჩვენ წინ როა, იმის მამის ყოფილა. სუ გრძელი ფიქალია მთაზე. (კარქა დაუღეთ ურემი, სუ ჩახრახნი (ქვიანი, ლოდებიანი ადგილი) გვაქ გზა — ხიზაბავრა). აგერ ჩახრახნი ჰოკმიდან ჩანს. თურქეთშია. ხო მესხეთიდან არი, რალა შურთ? სიდაურელიაო, სომხები დაობენ, ჩვენიაო. ურიაც ამონს, ხაიმიიაო. დია ჩახრახნი მთა. გაიგონ სიდაურელია. აპა, იმანაც მიჩვენოს ჩახრახნი — სუ ფიქალი კარკალია. იქ რო მიხვიდე, ხუთი კილომეტრი ფიქალზე ვერ დადგები. იეხლაც ხო იყვენენ, ინჯა სუ (წმინდა წყარო) ამ მთიდან მოდიოდა. ინჯა სულან მოდიოდა რძის მილები და ვარძიას ჩამოდიოდა. ინჯა სულან-მესამე წვერი რო ჩანს, ჩვენკენ დია გრანიცა, დნაპანა დიდი ლიშხი, სუ იმათია ახლა თათალეთი და ქარზამეთი. ორი სოფელია. ახლა ნასოფლარია. თათალეთი ჩვენია და ქარზამეთი იმათი. მრავალს პირდაპირ რო სოფელია, იმას რა ჰქვია? ხო კოტასი, ჰოლითი, გუგვიბა, ამფური, დნაპანა ერთი სოფელი, ბალები როა. აქედამ ორ-სამ სოფელ ხედამ, გასწვრივ ეკლესიაა. გვიგვიბაა თუ კოტასი, ჰეკლესიაა თუ რა არი. ეგ გვიგვიბაა, შეიძლება, ჰოლითია. მანდ კიდევ ჰინჰრობია, მურჯაშენი, ჰოროლი(ს) მთა. ბერიკაც კითხენდი ხომე ემაგ რაიონებ. გუნდი, ვანი, ბუზმარეთი, ცხრაწყარო ისეთი წყალია, კბილებ გაგაყრევიანამს, რო დალიო. მოგვჭამა ჰირი. მერე დანიეთია. ჰურთები ცხოვრომდნენ, სიდალანაც გადაასახლეს. კიდევ იფნეთია ტოლოში ზევიდან. ფიის ტყეა. მაგ თიებზე გადავსულვარ, მინახია, მაგ თიებზე დავდიოდით მენშევიკი(ს) დროს. თათრი(ს) დროს შინიდან ვერ გამოვდიოდით. რა გვინდოდა ჰინჰრობში, დარანეთი — ღრმა ხევი ჰქვია, საყევარი — ყევარ ხარით'ნა აიტანო ხე, იმიტომ ჰქვია საყევარი. ყანისი — მოსისხლე ხევი, გრძელი ჰალა. აქ უხოციათ ხალხი. თათრები ხოცემდნენ ქართველებ. ველარ დავდიოდით, კვლემდნენ. ხალხ ცარცემდნენ. ჩვენებურებიც ყოფილან. მაგათაც უცარცვიათ. ამთიენთ სიმონაი გაცარცვეს ჩვენებურებმა. მიეკალათ'ნა, არ მოკლეს, გაუშვეთ მოკლან. მასხარა იყო. ცემეს, მილახევიში შეხვედრიათ და



ერთი კარქა დაურბილებიათ, უმასხარიათ. მერე ეთქვა: ჩვენებურ ყაჩაღებმა კინალამ მამკლესო. ეგები თქვა. ჯორი მიეპარა, შაქარ ალი(ს) ჯორი. გამოუდგა თელი სოფელი, ამოიყვანა იმნაირი ჯორი, რო ცხენით იყო. შეჯდა და დაძრა თურმე (არ იჯრამ). თოფები ატაკეს. წავიდა ტოლოშ(ში) გაასაჩივრა. მილიციებსაც ეშინიათ, ვინ'ნა წავიდეს. ვინ'ნა გამოუდგეს. აბა მაგას მუთაქები. აი კნიაზ მუში (მიშა). ამისა ეშინიათ, ლაზოსი და ჭინკნესი კი არა. გამოიყვანეს. მილახევეში მიიყვანეს. რავენა. საქმე იესეა. აბა ცხვარი წაასხეს. ვინ? ქილდელმა ყაჩაღებმა. იქაურელი იყო, მარგასტნელი ამხანაგები იყვნენ. ხელით ზოდებენ ცხვარ. მერე შიატყობინეს. მელიც-მულიცა მოადგებიან, რო ფიას ცხვარი ამოვიდა. მაგრა გათენდა, ესენიც გაიქცნენ. შიატყობინეს ახალქალაქი(ს) თავს, ამან დაიჭირა თურმე, ამათ ცხვარი რო ჩიეწერა, არ ჩიეწერა. ეს ლაზოი ჩიეწერა ქილდის ყაჩაღად. ეს ლაზო ოქრუაძე დაიჭირეს. მე და ეს ასეი-ტვბრაი პულემეტი(ს) კამანდაში ვიყავით. ესენი გადარეკეს ახალქალაქ. ახალქალაქიდან ახალციხე უჩვენეს. ნიკოლოზ ინასარიძე იყო აფიკერი, ღვინიანთ დისწული იყო ბრმა სიმონაი რო მოკლეს და წყალ მისცეს, ეს იმი(ს) ინტერესი იყო. ესენი'ნა წაასხან, რო დახოცონ. გადააბეს კლაზე ესენი. ამ ბატალიონი კამენდერ გაუბერია, რო ესენი დიდი ყაჩაღებია. მარქაფთა. ერთი კაცი მოვიდა, ქრისტიანი იყო. ამათ წამოასხებენ. ჩვენ თბილისიდან მოვდივართ. მუშტი(ს) ტოლა თოვლებ ისერის. იესლაც არი ი შოფერი, გრიშაი ჰქვია, ბორჯომელია. ხილზე ვართ. აკურატ ესენი ჩამოურეკიათ. ხალხი სამსეა ყავებში. ხალხი ყაპვეებიდან გამოცივიდა. ამ ხილზე ჰაიჰანგამა, წიოკობა. ასეი ცოცხალია, აი ჰკითხე. ამ ბიქმა თქვა: გაგნიძე იყო. ამას'ნა უშველოთ. ამანაც ბიძაშვილია და არ ამონს. ამ პეტეს მიეფარა (მოეფარა), და ამ კარ მიადგა. კარებ რო მიაწვა, შიგნიდან ჩასაოი უდგია შავ საბლით. ასე სხედან: ანდრია წმინდელი ინასარიძეა, გაიგდა. პეტე იექეთ გადი. ლევორი ამოვილე, კარებ ვეტაკე. ლევორი პირზე მივადე. ამათ რო დამინახეს, დაიღრიალეს. ბიქო. გვზოცებენ, გვიშველე რამეო. მე უთხარი ამ ჩასაოს: შენ რაზე კვლები, მე ძმა ვარ და თავ ვწირამ, შენ რაზე კვლები-მეთქი. მეც გვარდიელი ვარ და შენც. ღვინიანთ ქალიშვილი ხიდქვეშ გვკვლმდა. ვინ არი? აკოფაიც იქ იყო, ზედა ეტაჟაში. აველი, ერთი გაგნიძე იყო. შეველი ბატალიონი(ს) კამანდირთან, დაუწყე ხეწნა, უთხარი: მე მამსახურანთ აქ და ძმას მიკლებენ. მობრძანდითო: მითხრა. ის კარებთან ძის, მეც ასე ვძივარ. ვინ არი შენი ძმა? აი ესაა-მეთქი. ის ვინავატია ძალიანო. თითო-თითოთ ჩამოთვალა დანაშაული. მუალ, მუალ, იგონამ, ქრისტიან-

ნი კაცია, იესეა საქმე. შენ თუ ამას ვერ დაანტიციემ, რო ეს ყველაფერი ტყვილია, შენ მიგზვრებამ. იემ ახალციხეს დავანტიციამ. მერე ჩვენ აეთოთი (ავტოთი) ამოვედით. ყველა სოფლები დავიარეთ და ხელი მოვაწერინეთ, რო ეს საქმეები მათი გაკეთებული არაა. მუუტანე ნაჩალიკ და გამოუშვა ესენი. იესე იყო.

სოფ. ოკამი (ქილდა)

### 17. ხუანსიო

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ხუანსიო. ის დარჩა ობლათ. ის იყო ძალიან ლარიბი ადამიანი შვილი. ხუანსიო ერთხელ წავიდა სანადიროთ, ის იქერდა სხვადასხვა ფრინველებს და იმით იკვებებოდა. ერთხელ წავიდა ზღვის პირას. გამოვიდა ერთი თევზი. ეს ხუანსიო მას ელაპარაკებოდა და თევზმა უთხრა: თქვენ ამამილეთ პირიდან მარგალიტო. თევზმა ხუანსიო გადაიყვანა ზღვის იქით. მან იარა, იარა, ბევრი იარა თუ ცოტა, ერთ სამშენებლო ადგილას მიადგა, სადაც მუშაობდნენ ოსტატები. ოსტატები ხუანსიოს უთხრეს, რო ეს სამშენებლო ოთახი რატო არ შენდებო. ხუანსიომ უპასუხა: მას თამაღში აქვს ოქრო. ამოაცალეთ და ეგ ოთახი აშენდებო. ამოაღებინა ხუანსიომ ეს ოქრო და წაიღო თავისთვის. მან იარა და ერთ მებაღეს მიადგა. ამ მებაღემ ამ ხუანსიოს უთხრა, რომ ეს ხე რატომ არ მალდებო. ხუანსიომ უთხრა რო მაგას ძირში აქ აგურიო. ამოაღებინა აგური და გაუდგა გზას. იარა ხუანსიომ და ერთ ბატონთან მივიდა. ბატონს უთხრა: თქვენი ქალიშვილი მე მომეცით ცოლათო. ბატონმა უთხრა: მამიტანეთ: ოქრო, მარგალიტი და აგურები და მოქცემო. ეს მასალა ხუანსიომ მოუტანა ამას. ბატონს გიეხარდა და თავისი ქალიშვილი მისცა ხუანსიოს. წაიყვანა ბატონის ქალიშვილი, სახელათ მარინე. ეს ხუანსიოს ისე უყვარდა მარინე, რო მისი სურათი ჯიბით დაჰქონდა. უცბათ ქარი ამოვარდა და ქარმა სურათი გამოართვა. ეს სურათი მარინეს მამის ეზოში მიადურინა ქარმა. ბატონმა დანახა მარინეს სურათი: დაუძახა და წაართვა ხუანსიოს მარინე. როდესაც დაბრუნდა ხუანსიო შინ, ქალი არ დახვდა. გიეშურა ბატონის ოჯახში. ბატონი მოკლა. მისი ტანსაცმელი ჩაიცივა ხუანსიომ და მისი ადგილიც დაიკავა. შემდეგ — ცოლ-ქმარი კარვათ ცხოვრომდნენ. განაგრძეს ცხოვრება.

სოფ. ოკამი (ქილდა)

## 18. ჩილდირელი ყაჩაღის ამბავი

ჩილდირში ერთი განთქმული ყაჩაღი იყო. ერთი მთაში მიდიოდა. წინედან ეს კაცი შემეიყარა. დაუძახა: შესდექო: ესროლა ტყვია ამ კაცს ამ ყაჩაღმა და ფეხი მოსტეხა. გადმოვარდა ეს კაცი ცხენიდან. რას იზამდა, დანებდა ეს კაცი. ერთი ნახევარი საათი იმან უტადა, ხო არ მოკვდაო. რო დაინახა, ინძრეოდა. ამოიღო ხანჯალი და გიქანა ამ კაცთან, ამ ვაქარმაც ამოიღო ხანჯალი. ყაჩაღმა ხანჯალი ჰკრა და ამ ვაქარის ხანჯლის ქარქაშში წაეიდა. ამოსწია, ვეღარ ამოიღო. არც კაცი კვდებოდა, გაუკვირდა ამ ყაჩაღ: რა მოხდაო. ხანჯალი ვერ ამბილია, კაცი კი ცოცხალიაო. ამ ვაქარმა იფიქრა: რას ვაკეთებ, ჩვენი ხელით ვიკლამ თავსო, ნიუქელი დედაკაცი ვარ, მე სათ ვარ. მოვიდა ჰქუჯუხე, მისცა ამ ყაჩაღ ქვევიდან ხანჯალი და ისევე ზედ დიეცა ეს ყაჩაღი ამ ვაქარს. მაშინ ამ ვაქარ აზრი გიეხსნა: მკლემდა, თან ფული'ნა წიდეო. ამ კვდარ ჰკრა ხელი, გადააბრუნა ბალიშივით, შეიხვია ქრილობა და გაუდგა გზას. შეჯდა ამ ყაჩაღი ცხენზე. რათ მოხველი, რა ამბავიაო?— უთხრეს ამ ვაქარს. აბა, ეს ყაჩაღი შემომაკვდაო. არ დაუჭერეს. მუნ იმ კაც ვერ მოჰკლამდი, ნუ ტრაბახობ, ტყვილაო. აი იმი ხანჯალი, თუ არ გჯერამთ, ნახეთ ჩემ ქარქაშში. ვიწიე, ვიწიე და ვეღარც მე ამოვიღეო. ეგრე ხო არ არი საქმე. ახლა ისენიც ამათ ეგრე ექტევიან. ისე ჩაავეს ხანჯალი, რო იწევენ და ვერ ამოიღეს. მტერი კი თავზე დამდგარია. „წყალი დაიძინამსო და მტერი არ დაიძინამსო“. — უთქვიათ ჩვენ ჭეულებსა.

სოფ. პ რ ტ ე ნ ა

## 19. თათრის შემოსვლა

რომცა რომა ეს თათარი აქავრობაში ამოსულა, ქართველები საღლაც ხეობაში ყრილან. გენერალი იყო პასკევიჩი. ამ ტავარნი სტანციასში დადგა პალატკები. თქვა: დილაზე დავეკრამთ და ახალციხეს ავიღენთო. გათენდა დილაო. წირვაზეა ხალხი. ამ ახალციხის გამოღმდინ თათარი იღგაო. ერთი ზარბაზანი გავარდაო და ერთი გენერალი გატანაო. გაიქცენენ წირვაზე, უთხრეს ამ უფროს, რო ზარბაზანი გავარდა და ერთი გენერალი გაიტანაო. ნუ გეშინიათ, დამთავრდეს წირვა— მოიცადეთო. წირვა რო დამთავრდა, უთხრა: აბა, მიემზადენითო და „ეურა“ დაიძახეთო. მართლაც დაიძახეს „ეურა“ და თათარი გაიქცა. შემოვიდა, ახალციხე აიღო. ამ ქარ უთხრა, რო დაისვენეთო. ქალაქში გავიდა, რო ხალხი სულ არ არი შიგ.

კაზარმაში შესულან, ერთ ადგილას მოგროვილან. ერთი (იმ ერთ) ეგნერალს უთხრა. რო წადიო. ჯარისკაცები წაიყვანე და უთხარი: გამოვიდნენ, გამოდით და ყველა თქვენ სახლებში წადით; არაფერს გერჩითო. ჩვენი მარშალი პასკევიჩი ნებას გაძლევთო. შიგნიდან ერთმა ავანაჰმა გაუსწორა თოფი და ეს მეორე გენერალიც მოუკლა ამ პასკევიჩი (ეს გოგო გაილანგა, მიხედეთ). მაშინ გაბრაზდა პასკევიჩი, ეგრე არ უნდაო და უბრძანა: მოიტანეთ ზიეთი, გადაასხით და დაწვითო. ასეც ქნეს. რო იწოდა, თურმე ერთი ბარი(ს) პირი ერბო წამოვიდა კაზარმიდან ხალხის ქონი. ეს თათრები სუ ამოწვა და გენერლობაც თითონ იკისრა. მერე მიუბრუნდა, გულმოსულმა მანდედან დაჰკრა, მიხვეტა ეს თათარი და სულ აიღო, ათასოფიაში შევიდა და დააყენა წირვა. ხენწიფების სოვეტებზე ამ პასკევიჩი უთხრეს, რო ვის არ გაუმარჯვია. მაგრამ უკან წასულა, თავისი ზარალი აუღიაო. შენი კონტრიბუცია აიღე და ჯარები გაიყვანეო. დაიჭირეს, ეს კაცი გამოიყვანეს, ისოვ გაანეფეს თათარი. რამთელი წელიწადი გამოვიდა. კიდევ დაიწყო თათარმა ომი. ახლა ლორის მელიქოვი იყო გლაფნი კამანდლუში. ამანაც შეუტია, მიადგა, ყარსი'ნა აიღოს, მაგრამ გაუქირდა, ამოიტანა ამ ლორის მელიქოვმა, ზარბაზანი დადგა. მე თითონ ვნახე. იქ რო გავარდება ზარბაზანი, სუ ზანზარი გაჰქონდა. დახედა. რო არ იქნა, მაშინ უთხრა: წადით, ერთი კაცი მიშოვნეთ, ამათი გზა და კვალი რო იცოდესო. რო ეს ყარსი'ნა ავიღო, რაც არ'ნა დამიჭდესო. მერე წავიდნენ, ერთი კაცი შეისყიდეს, დიდი კაცი იყო. თავი წონა ოქრო მისცეს, ალი ფაშა იყო. მოვიდა ეს ალი და უთხრა: ექა დაყარე ნანტურევი ურმები და ჯარი მე მამეციო. წამამყვეს მე. მაშინ იყო ფისტონიანი თოფები და ხმალი წაიღო, მაგრე მოუარა ზეიდან, გათენდა და ჩახრახზე ამოვიდა. იქაც არი თათარი. ნახეს, რომ ამ თათარი ჩასაო, ღამე მიძინებულა, არ ელოდნენ, რო რუსები ზურგიდან მოუვლიდნენ. სუ დაიჭირეს ჩასაო. მზე ამოდის. ყარა ტალიდან ყარსი ძრიენ ახლოა. იქიდან რუსმა დაიძახა — „ვურა“. წამოვიდა იქიდანა და შეუდგა მათი ძირზე. ერთი მოხუცებული იყო და თქვა: რუსის ლანჩამა (თუ ლანჩამა) ისე ცემა, თითქოდ მოგინნიაო. შემოვიდა, მაშვეთვე ეკლესიაში წირვა დააყენა, 24 საათი დარჩა. იმასაც ეგრე უთხრეს: შე კაცო, დაჰალე, ახლა უკან დაიწიეო. მე სისხლით ამიღია და არ გავალო. სატახტო ქალაქიდან გამოვიდა, მაგრამ აზრუმიდან არ გამოსულა. დახედეს ხენწიფიებმა, ველარ'ნა გამოვიყვანთო და ბათუმი სუ მისცეს. აზრუმიდან გამოვიდა და ბათუმიდან კი არა.

სოფ. პ რ ტ ე ნ ა

იყო ერთი ქალი, რომელსაც ერთი კაცი უყვარდა და ესლა ე ქალი თავი საყვარელ აქმევს ყველაფერ და თავი ქმარ ატყვილამს, რომ შენი დი ცოდვით ყველაფერი ჰქრებაო. წადი და შენი და მოჰკალიეო.

კაცმა თქვა: წავალ და ჩემ დაბ მოვკლანო, ოღონდა მე კარქა ვქამო და ვსვავო. რო მივიდა თავი დათან, უთხრა: მოკლანაო, რო შენი ცოდვებით ბარაქა გვიქრებაო და ჩემი ცოლი აღარაფერ აღარ მაქმევსო. ი ქალიშვილმა უთხრა, რო, ტაიჯან, რათ'ნა მოკლანა დედაი, წამოუალ და მე მოგიტან ბარაქასავო. ბიძან წამოიყვანა თავი დი შვილი ქლოლლანაი, რა ბარაქა'ნა მუუტანოს. რო ჩამოვიდა ი ბიჭი, უეე მიხვდა, საქმე რაშიც იყო.

დილით რო ჩივთი შიბაბეს და წავიდნენ, ქლოლლანამ უთხრა. რო ტაიჯან, სახრე დამავიწყდა და მოვიტანო. ქლოლლანაი სახლში რო, მივიდა, დაიმალა და ამ დროს ამ ქალიმ საყვარელი მოვიდა და უთხრა, მე იმ სერზე ვიქნები და წამოილე სადილი, სადაც კრელ ხარ დაინახან. ქლოლლანამ რო გაიგონა ეპ, წავიდა იქ, სადაც თავი ტაძამ უბია. რო ავიდა, ქლოლლანამ თავი პერანგი გახია და წითელ ხარ მუბა და ხარ გაკრელდა. ქალმა სახლიდან გაიხედა, კრელი ხარი დაინახა და სადილო თავეთნებთან აიტანა, რო მიიტანა ათამ ფორმი სადილი, კაცმა უთხრა, რო ეს ამთენი კარაქი რამ გაგაკეთებინაო, ქალო? ქალმა გაიხედა, რო შეყვარებული ახლო ხნანს და უთხრა ქმარ, რო, კაცო, კაცო, ი კაციც დაუძახე, ცოდო არიეო. კაცმა დაუძახა, მარა, რას მივიდოდა, იცოდა, რო ქალმა გზა შეშალა. ახლა მეორე დილა რო გათენდა. რო კიდევ'ნა წავიდნენ დილით, ქლოლლანაი, რო ტაძა სახლში თათმანები დამავიწყდნენო. ქლოლლანაი დაბრუნდა და დაიმალა კიდრვ სახლში. ან დრომ საყვარელი მოუვიდა ქალ და უთხრა, რო გზა რათ შეშალეო. რავი, ქლოლლანას მოუკედეს თავიო. იესლა ისრვ საყვარელმა უთხრა, რო დღეპ გზაზე ვაშლი ნაფტქვენებ დავყრიეო. ეს რო ქლოლლანამ გაიგონა, ვაშლი ნაფტქვენები აკრიფა და თავი გზაზე გადაყარა. ქალმა ისრვ მივიდა თავეთნებთან და მუუტანა შექამანდი. დღეს უფრო კარქი საქმელები მუუტანა. ჩუნქი გუშინ ვერ აქამა თავი საყვარელ. ქალმა გაიხედა, რო თავი ახლო ხნანს და კაც უთხრა, რო, კაცო, კაც დაუძახე, ი საწყალი კაციავო. საქმელები ბევრი იყო ღოღქი. ი კაცი კიდრვ არ მოვიდა. რო არ მოვიდა, ქალ ცეცხლი წიეკიდა და კაც უთხრა, რო, კაცო, ქლოლლანაი გაგზაენე და მოიყვანსო.

ქალოლლანაი წაეიდა და ი კაც უთხრა, რო ტაჲამ თქვა. რო ე ჩივთი ჰაგედამ აგლიჯე და წადივო, თორე მოკვლანო. ის რო დაბრუნდა. უთხრა, არ მოვიდაო. მერე ქალმა თავი ქმარი გაგზავნა, რო შენ დაუძახევო. ე კაცი რო წაეიდა, იმაჰ ეგონა მამკლანსო და გაიქვა. იგზლა ე კაცი უყვირის: მოიცა, სად გარბიხარო, მოდი პური ჰამევო. იქაცმა იცის, რო სუჩიანი ვარო და აღარ დაბრუნდა.

რო დაღამდა, ხენა ლაამთავრეს და წამოვიდნენ სახში. ამ დროჰ ქალოლლანამ უთხრა, რო, ტაჲა, მოდი, ძროსა დავკლათ და, ხორც რო ვქამ, მე დავიყვირამ, რო ტაჲა, მოკვდივო. მე სიკვდილზე თავ მივიცემ და შენც იეგრე მოიქეცივო. ბოლოს ორივენი ნითამ მოკვდნენ. ე ქალი წაეიდა და დაუძახა თავი საყვარელ, რო მოდი, ესენი სადმე ჩააძალეო. იგზლა ქალმა ერბოკვერცხი შეწვა და თვითონ გარეთ გაეიდა. შეყვარებულ რო დიეძინა, ადგა ქალოლლანამ და ძინარე კაც პირში ჩაასხა აღუღებული ერბო და სული გააყრევიანა. ბოლოჰ ორივენი რო გატოცხლდნენ, ქალოლლანამ უთხრა, რო ტაჲა, ე კაცი იყო, რო დედას გაკვლევიენმდაო. მერე ე კაცი და ი ქალი გააგდო. სხვა ცოლი მოიყვანა და კარქა ცხოვრება შექმნეს.

ს ო ფ. პ რ ტ ე ნ ა

## 21. ჩოლოღაია (იგივე ხოლოღა)

გაგვიგონია აქა, რომა ჩოლოღაი იყო, ამ ციხის პატრონი იყო. ჩოლოღაი იყო თან მოჯირითავე. ასევე ყოფილა მოქიდავეც. მერე მოქიდავე ყოფილა, ამ არაბისტანიდან გამოუყვანიათ. ისიც მოჯირითავე ყოფილა. იექ მიწა როა თუთები, მანდ უჯირითავეიათ. ამ არაბს უთქვია:

ჩოლოღავ, ჯირითს გიქებენ განთქულსა გვირჯისტანზედა.

მე ჯირითისა არა ვიცი რა, ცხენი არა მყავს განზედა,

ჩოლოღა, ჩაბეგები მობრძანდნენ ხვანთქრის კარზედა.

დაჯდნენ და წიგნი დასწერეს, იმაზე მოაწერეს ხელი, რო, ჩოლოღას მოეკლა, პასუხი არ'ნა ეგო, ხოლო, თუ არაღი მოჰკლამდა, შერჩებოდა. გაიმართნენ.

აჰა, ვემექე: ჩოლოღა, მოგყვე ულაყის კვალზედა.

ერთ ჯირითს მეტსა არ გესერი იმ გამჩენ სამართალზედა,

არაბმა ჯირითი ესროლა, ქარმა წაილო განზედა.

აჰა. ვემექე, არაბო, ერთ ჯირით მეტ არ გესერი იმ გამჩენ სამართალზედა.

არაბი ძირს ვადმოვარდა

ჩოლოღამ ჯირითი ესროლა, დიერქო ბეკი ფთაზედა.

ცხენი გარბოდა წყალზედა.

სოფ. ს ა რ ო

. მანდ ყოფილა ბატონი, იმას შეუერთია ქართველი ქალი. იქ იმათ საფლავებია, ნატბეურები ჰქვია. აი აქაც ყოფილა ჩვენი ვენახები წინა-დელი. აიგე ეტყობა ნავენახრები. აქედან წასული ქალი, თათარნი ყოფილა. გახვრეტილი ქვა რო არი, ვენახი ჩვენი იქ ყოფილა. მანდ ყოფილან სამი ძმანი და წყაროს სამკარი ჰქვია, იმიტონ რო ერთ-მანეთ არ აძლევდნენ წყალსა და „ციხე(ს) ყელთან“ მაგ წყაროს ჰქონდა სამი კარი, იემანდაც სოფელი ყოფილა. მაგი პატრონ ალი ქალი აყოლია ცოლათ. ნიჯგორ გასულა გაღმა, ბავშვ ძუძუსედ უტბენია. ქალ უთქვია: შვილო, მამისა და მოსწი გვარისა, ბავშვ რო უტბენია, ამ ქალ წყალში გადაუგდია ბავშვი.

როდცა ლეკობა იყო, „საწველელა“ (ადგილის სახელია), ხიდი იყო ჩვენები დაძალული ყოფილან. აქ ჩამოდრიოდნენ თათრები. ერთჯელ დემეტრე პაპამ გაისროლა გაღმიდან და ორი კაცი მოკლა.

აი აქ (საროში) ყოფილან ოთხი კვამლი. თქვენ, ბერიძეები იტიკან ხართ მოსული, ცხეკელიდან. ლონდარიძე, მკედლიშვილი აქაურებია. ამ ადგილ ნიჯგორი არ რქმევია პირველათ. აქ რო მოსულან, გამოუგზავნიათ თათრებს იქიდან (ხერთვისიდან). იქ ყოფილა დიდი ფაშა. ისინი (ქართველები) გაათახე და მიაღებინე ჩვენი რაჯულია. გამოუგზავნიათ ერთი მოლა. როგორც მოლა ილოცამს, თქვენც ისენა ილოცოთ, მერე დაუჭერიათ და დათანხმებიან (რას იზამ, კაცო. როდცა თათრი ხელჩი ხარ. ჯამი ხო იცი? მიჩვენებს ეკლესიას გ. ბ.). მერე დაუჭერიათ და უთქვიათ დავეთანხმოთო. როდცა რო ლოცულობენ, თათრები, პირი (გენასცვა ბიჭო) შებრუნებით აქთ. დაიჭირეს და უთხრეს, რომა თქვენ'ნა გაათათროთ ქართველები. ამ ჯამში შეიყვანეთ. შესულან ამ ჯამში. ეპ მოლა რო იკუხება, ერთი მასხარა ქართველი (სარველი) ყოფილა, საჯდომში სადგისი მიუტია. ამას (ამ ღვდელ) ავლია და ჩუსტებით უცემია. ხალხი. ამ მოლას პაპუცებით (ჩუსტებით) კარქა უცემია ეს ხალხი, რო რატო ჩემ რაჯულზე არ ლოცულობთო. მერე დაუჭერიათ და უთქვიათ ლოცვა. ამდგარა, ეპ მოლა გაქცეულა ფაშასთან და უთქვია, რო ის ურაჯულუები (ჩვენზე, ქართველებზე) ვერ მოვარჯულეო. პაპუცებით ვცემეო და არაფერი გამოვიდაო. უფრო დიდი ფაშა ჰყოლიათ ახალციხეში. მერე დაუჭერიათ, წასულან და უთქვიათ იმ ფაშისთუნ, რო იესე, იესე საქმე იყოვო. ამ ფაშას უთქვია იმ ფაშისთუნ, რომ იესე საქმე იყოვო. ამ ფაშას უთქვია. რომ ათი წლის ზეით რაც აღამიანია კაცი, გამოგზავნეთ სუ ჩემთანაო. მართლაც, შეუგვრიებიათ, ათი წლის ზეით ვინც ყოფილა და ჩაუყვა-

ნიათ ახალციხეს დიდ ფაშასთან. ამ ხერთვისის ფაშასაც უცოდინებია, რომ ასე და ასე ურჯულები ვერ მოვარჯულო და მან(დ) რო ჩამოვლენ, დახოცეო. ადგნენ და წავიდნენ, ჩავიდნენ. ამ ფაშამ დააწყო ეს ხალხი და ხმლებით ჩაუყენა თათრები, რო ქართველები სუ დიეხოცნა. იქ ყოფილან ლაზები, იმათ უთქვიათ, კაცო, შენ, მართალია, ფაშა ხარ, მაგრამ ხენწიფიდან ქალაღდი გაქ, რომ ამ ხალხ ხოცანო? ეედა, თუ დახოცავო, ჩვენ ხენწიფეს ვაცოდინამთ და გაიგებ შენა შენ სეირსო, შენა რა გერჩისო? ესენიც ამოსულან თავი ბალახზე, ხარჯი გადაახდევინე, წაართვი, რათ ხოცამ? ქართველებია, იყვენენ ქართველები, რას გიშლიანო? ეედა, მერე დაუჯერია და ველარაფერი ვერ გაუბედა, უთქვია, რო, აპა, წახვალთ თქვენ სოფელშიო. მაშინ თითო ნიგოზზე ათი ყურუში ყოფილა გადასახადი და დაუწერინებია, ასე'ნა გადაიხადოთ. მაშინ აქ სუ ნიგოზი ყოფილა. ამას ვერ შესძლემდნენ. ეს ისეთი ფული ყოფილა, რო ვერ გადაიხდიდნენ. მერე ხალხმა ეს ნახა გამოსავალი, დაიჭირეს და ეს სუ გაჩხეს და თითო ნიგოზი დაიტოვეს. გაჩხეს ღამე, რო თათარ არ დაენახა. ახლა ხოლოთ ერთზე ახდევინემდნენ. ეედა პირველათ ერქვა ნიგოზა (ნიგოზეთი). მერე დაარქვეს ნიჯგორი.

გაქცევაზე ჯავახეთი სუ საროს ყოფილა. მაშინ ბევრი დაგვიხოცეს ხალხი. ერთი ათი-თხუთმეტი კაცამდე მოგვიკლეს. ოც კაცამდე შერეკეს ტიტველა ქალები მუსხის ჰეკლესიაში. ეედა, ტიტველა ქალებ ათამაშებენ და უყურებენ ფაშები. ისე ურიგმარიგოთ ხოცამდნენ სუ.

წინათ ხალხი იქ დგომილან, ხიზაში. იმათ დიეცემოდნენ ლეკები. გარეთ ჰქონდათ ჯაჭვის ზაბორი. თურმე ერთ ღამე მოვლენ, ქორწილია, ვედა. დედოფალსა და ნეფეს გამოიყვანებენ, წაიყვანებენ ეს ლეკები, მან(დ) იყო, ერთი ყოჩალი კაცი ყოფილა ხიზას, დელი პავლეს (მარჯვე პავლეს) ეძახდნენ. დაუძახიათ: პავლე გვიშველე, დედოფალი წავგართვეს ლეკებმაო. რო გაუგონია ამ პავლეს, აი თქვენი დედაო და დაუხებდნიათ, რო დელი პავლეი მოდისო, დაუნებებიათ ქალისთუნ თავი ამ ლეკებ და გაქცეულან. მერე მა ხიზაბავრას რო ტყია, გადმოსულან თურმე, ერთი კაცი მოსულა, დამდგარა. მაგ ტყეში სიდაღამაც წამოსულა, მოსულა კაცი ტყეში. ვიღაცას გაუვლია და უთქვია: კაცო, ამ თოვლზე რაღაცა ნაფეხური ეტყობა, მიჰყოლია, მიჰყოლია თოვლს და უნახია, რო ერთ კაც ერთი პატარა ქოხი გაუკეთებია. მოსულა, ამას უთქვია, რო რა კაცი ხარ, აპა, ჩვენ ხიზაში ვდგავართ, შენ



აქ რა გინდაო. არ ვიცო, მოველ და დავდექი, რა ვიცი, რო მანდ სოფელიაო. წყალი მოსწონებია, მაგ ხიზას იქით ხილებია. მოსწონებითა წყალი და დამდგარან ბავრას. მერე ხიზაბავრა გამხდარა, შეერთებულან.

სოფ. ს ა რ ო.

## 23. ქორწილის წესები

ქორწილი და ქალის გათხეობაც იესე იყო, როგორ'ნა ყოფილიყო, ერთი შეუნდევნი კაცი აუჩენდა, ამომავალი და ამამავალი კაცი შენ ქალ გეკიდება. ისიც ეტყოდა: სიდაურია, ვინ არი, ვისი შვილია, რა ხელობა აქ და სხვა. ამას ყველას რო გაიგენდა, პასუხ მერე მისცემდა. მერე მოვიდოდა, თუ მოუხერხდებოდათ, გაცვლიდნენ ბეის, ეს ნიშანი, მერე გადასაწყვეტო, მერე ქორწილიო. პირველი მოსაკითხი იყო ტაისამოსი. მერე შეიკითხებოდა, რო როდის მოვიდეთ, რო ნიშანი მოგიტანო. რანა წამელო, ერთ წყვილ წინდას, მორიგდებიან სამი კაცი, მამანთილი, აჩუქებდა. ვინც 5 მანეთს აჩუქებდა, მუუწოვდნენ ბევრ ხალხსა და დაადგენდნენ, ქორწილი როდის დავნიშნოთ, ესა ვქნათო. გადასაწყვეტი როდის დავთქვათ. მუუტანოთ, ეტყოდა ერთი. უნა მამიტანო'ნა ბათმანი, თუნგი ამდენ-ამდენი, ცოტათი მოხვალ, ცოტას მამიტან, ცოტას წაიღებ, მერე ქორწილი იყო, იქიდანაც გამოატანამდნენ, რასაც გამოიმეტამდნენ ერთხელ ლოგინ, ქვაბსო, ტაფასო და სხვა. მიიყვანდნენ პატარძალ თავი ოჯახში. რო მიიყვანდნენ, ქვაბ დაუდგამდნენ, რო ხეირი არიო. მერე პატარძალი ქვას გაისროდა. კიდე იყო წესი, რო ცხვარ შეაგებემდნენ გზაში. თუ პატარძალი ცხენდაცხენ ცხვარ ასწევდა. აჩუქენდნენ ცხვარსა, მეცხვარე გადააგებენდა ცხვარსა, პატარძალიც, თუ შესძლენდა, თარქზე შემოიგდემდა ცხვარსა. იეხლა, როცა რომა ნიკოლოზი გადმოაგდეს, ჯარი გამოიქცა, გზაში ჩაუდგნენ თათრები და ებნეოდნენ: ევა ჩვენი პაპის სილაიაო. ართმევდნენ, ინტერესობა დაუწყეს იმათა. აქ ქართველები ცოტა იყვნენ. მესხეთ-ჯავახეთში ისინი (თათრები) გვჯაბნიდნენ. 1918 წელში, იეხლა არ იყო ეგ, ავდექით და გავიქეციოთ. სომეხი, ქართველი, ფრანგი (ქათოლიცე ქართველი იგულისხმება) სუ გავლაგდით. სხვადასხვა ალაგებ დაიფანტნენ. მერე ისევ დაგვაბრუნეს, ქრისტიანობი თვეში ზოგი მოვიდა, ზოგი ბაკურიანში დაწყდა, მე კი შვილობით დავბრუნდი. ტიკან-ბლავანაც არ მამკდომიან. ზოგ-ზოგი ძიენ გავერნებული იყო. მოველით, თათრებ შუაზე ენთოთ დარბაზში ცეცხლი და იეხლა იმაზე გამურულია დარბაზი, საწინააღმდეგოს დაუწყემდით, რა გავხდებოდით? დავიწყენდით პოლიტიკით, კკუით, მცნებით, არამთუ ძალით.

ამ დროსა ქამალისტი იყო აქ მოსული ოსმანეთის ძალით. მერე ჩვენ უთხარით თათრებ, რო წრევანდელი მოსავალი რაც მოვა, ნაწილობა დაგიდოთ, რა გინდათ მეტი. თითო-ოროლა კოდი პური მივეცით ყველა ოჯახმა. მერე კიდევ თებერვალი იყო, აირივნენ ეს თათრები და კიდევ თელი სოფლები, ერი სიტყვითა, სუ გაანადგურეს, სუ წაართვეს, დაატიტვლეს, თებერვალის 25-ში იმათაც შეჰკრეს თავეთი ჯარები, მაშინ დაგვეხმარა დასავლეთი საქართველო, აღმოსავლეთ საქართველოც და გარეკეს თათრები და შევიდობიანობა დამყარდა, ხალხი იმითიც და ჩვენიც აღარ ჩხუბონდა. მერე მენშეიკობა იყო. მერე ბალშეიკები იყო. მერე ბალშეიკები შემოვიდნენ, მაშინა ვარევენში სვინათი (საჩუქარი) გაუგზავნეთ. მასკუან დაიჭირეს ჩვენი რჯული, მასკუან ზოგი ისინიც მოინათლა. აბაშიძე იყო თოკელი. მერე ისევ გადაბრუნდა თათარი რჯულზე. ეხლა ნიჯგორზე, მანდ ნიჯგორში ყველაფერი მამაპაპულია. ძველათ, როდცა რო დელიბაშობა იყო, მოდიოდნენ და ხალხ ებრძოდნენ, რო დათათრდითო. ფაშამ მანდ ქართველებ ჯამი გაუკეთა, პირველათ ნიგოეთი ერქვა. მერე ჯამი რო გააკეთეს, ქართველები შერეკეს და უნდა ელოცათ ქართველებ. ქართველებ არ უნდოდათ ლოცვა. მოლა გაგავრდა: მეგო ვლოცულომ და თქვენ რაღაცეებ ამონთო. ქართველებმა უთხრეს: ჩვენ არ გვესმის შენი ლოცვაო. მოაკუნტები და თავ ცემ მიწაზე, რავი, რას ამონო. ქართველებმა არ გათათრდნენ. თითო-ოროლა გათათრებულა მხოლოთ. მერე რო არ გათათრებულან, მუტუტაციათ ქალები ცოლათ. ამათ ჩამამავალი ხო თათარი იქნებაო. უფიქრიათ თათრებ. აქედან ერთი ქალი მუტუტაციათ ნასოფლარია ჩიხორიში, იქითგან. ქალი რო ავათ განხდარა, უთქვია. ერთი ჩიხორიში (ს) წყალი მომიტანეთო. იქიდან კაცი გამოუგზავნიათ წყალი მოსატანათ. ამ კაც წყალი აუნსია ჩიხორიშ (შ) ი და წამოსულა, გზაში მოსწყურებია, დაუღევია ცოტა და მერე ხვილიშაში რო მოსულა, იმი(ს) წყლიდან შეუნსია. მიუტანია ამ ავანტყოფ ქართველ ქალთან. ამ ქალ რო დაუღევია, უთქვია: „რა კარგი ხარ ჩიხორიშო, არ გერიოს ხვილიშაო“.

რო ველარ მუჟეიდნენ თათრები ამ ქართველებ თავსა. უაჯიდეს (უჯიბრეს) ამ დემეტრესთან იქნებიან, აპა, მეც ას'ნა მივატანო. დელიბაშებმა ორი კაცი: მათიენთ სტეფანეს მამის პაპა, იველანთ ლუკას მამის მამა — ისინი იქნებიან ეხლა სამას-სამასი წლისა. ამ კაცებ უთხრეს, რო თუ თქვენ არ დათათრდებით, ამათ წავასხამთო. წავიდნენ ესენი ფასიმში (ქალაქია, ახლა თურქეთის ტერიტორიას ეკუთვნის), ხილიანი ადგილია. წაიყვანეს იქ ფაშას მსახურებათ. იქა მუდამ ტი-

როდნენ თურმე ესენი. უთქვია ფაშას: რათ ტირიხართო? უპასუხიათ: იმას ვტირივართ, რომ ჩვენ სამშობლო გვეამს, ძმეები გვეამს, არ გვაქმევენ, დაგვამწყვევენ და მერე გვამუშავებენო. ამ ფაშას უთქვია: მე თქვენ საშუალებას მოგცემთ, რო თითო კვირით იმათთან საზღვარზე გამოგიყვანებენ. მართლა გამოიყვანა და ესენიც გამოიპარნენ, გადმოვიდნენ საზღვარზე. ცოლები შეიღობით დაუხვდნენ. იტყოდნენ ხოლმე. აღამიანსა ისინი რავორ გადაუწყვეტდნენ სასჯელსა: ზოგსა ორ როზგს არტყამდნენ, ვინც დიდი შუჩის (სუჩი) პატრონი იყო, თან სცემდნენ, თან დაამწყვევდნენ. დაქირიანდებოდა და მოკვდებოდა. გაივლიდა ეს თათარი და არსენიათ წავიდოდა.

იეხლა, ვარძიას უძახით ჩვენა, მანდა საქართველოს ციხეები როცა გავერანებულია, ოსმანეთი დიეპატრონენ. შევიდნენ შიგ ვარძიის მაღარიებში, ძროხა შერეკეს თათრებმა, ცხვარი დააყენეს. ამ დროს საბერძნეთიდან ერთი ბერი წამოვიდა, გამიგონია. სახელად კალესტრატე ერქვა. ამოვიდა თბილისში. თბილისიდან წამოვიდა ახალციხეს. იქ ეთქვათ: ადი და ისინი გასწავლიან ვარძიასო. ახალციხეს სომხები იშდენათ არ იყენენ. მერე შემოვიდნენ. იეხლა ეგა ახალი გამენებაა. იქ ერთი ფრანგი ყოფილა. იმას უთქვია: რა მოქცეთ, რო ვარძიას წამოყვანოთ. რა'ნა მომცეთო: იქ იმნაირი ხალხია, რო აღამიან სკამერო. წამოუყვანიათ და ამოსულან ხერთვისში. რო ამოვიდნენ, ხერთვისს უთხრეს: არ შეიძლება, რო ვარძიას აგვიყვანოთ? როგორ არაო. აიყვანეს. ეს ყოფილა კომურაძე. აიყვანეს ეს ბერი. ამ ქურთებმა ეს ბერი დაინახეს, ნახეს, რო ჯვარი აქ და ზოგი გაიქცა, ზოგი დარჩა. იმათაც უთხრა ამ ბერმა: ვალადით აქედანაო. ეს წმინდა ალაგი არისო. ამ ქურთებმა უარი უთხრეს, არ გამაბოროტოთ — ეთქვა ბერ, თორე ინანებთო. ქვებს აუგორამს და ახლო ჩაეცემა. მერე ვალადდნენ, ვავიდნენ, თავეთ კაც ელაპარაკებოდნენ: ერთ კაც ქაშაზედო რელაც აქო. იმი მერე ღვდელი დაბინავდა და იმან გააბრწყინვა მონასტერი. მას მერევე, ერთი ჰაჯიას უძახდნენ, ისაც საბერძნეთიდან იყო, ის იყო. იმან ვერ გასძლო ისაც წავიდა. მერე მოვიდა სიმონ ბერი. ერთი ათი თხე (ღლე) ტიბანის ეკლესიაში იყო. მერე მოვიდა ერთი გოგაშნელი (მ) თავრათ იყო, უცოლო იყო. ზოლოს ისიც — ბევრი ცხოვრება ჰქონდა, თხოვნა უყვარდა, ისიც ასწიეს და გადაადგეს ისევ, ისევ თავეთ ხალხმა. ამონდნენ, რო თითონ გადავარდაო. იმას დიდი ცხოვრება ჰქონდა. ზოგმა თქვა თვრალი იყო, ზოგმა თქვა ფული ბევრი ჰქონდაო და მოკლესო. რა ვიცი, დაზოლოვდა; ეგ არი. მაგი გაკეთებაც ასეა: თამარ ღვდოფალმა გააქეთა, ნეფემ. თათარი ნეფეს'ნა წაეყვანა თამარი, თამარმა უარი შეუთვა-

ლა: გინდა მოვკვდეო, შენ არ გამოგყვებიო. ამ თათრი ხენწიფეს ეთქვა: კვდარ მაინც გიხმარო. მერე ვერაფერი უყო. თამარ დედოფალი თავი აჭლით მოკვდა. თამარმა ანდერძი დატოვა, რო თათრებმა დამარხონო, დაანდო, რომა, რო მოვლენ ეს თათრებიო, თავები მოსჭერიო. იმაზე დაახოცინა ის თათრები, რო არ გიეგოთ, სად მარხია თამარი. იეხლა ამბობენ, ამომავალ ალაგას მარხიაო, მაგრამ არ იციან თითონ ქართველებმაც. დღესაც ეძებენ იმი სამარეს. წინათ უგუნური ხალხი იყო.

სარო იმიტუნ დაურქმევიათ, რო ადრე აქ შემოსულან დელიბაშები და თათრებ შემოუკრიათ გარშემო ეს სოფელი და დაუძახიათ: სარუზ, არავინ გაგვეპაროსო. „სარუზ“ — თურქელია და ქართულათ შემოკრას, ალყის დარტყმას ნიშნავს. ეს სოფელი მამა-პაპეულია.

ძველ დროსა ამრაინათ იყო, რომა დიდ მარხვა რო დადგებოდა, თებერვალში, ყვერიელ ვეძახდით, თუ გვქონდა რამე — სასმელ-საჭმელი, ყვერიელში'ნა გვეჭამა, რო დაბოლოვდებოდა ეს ყვერიელი და აღებლამეს დავიჭერდით, დააბემდნენ ფერხულ სიმღერით:

მამლი მუხასა შენ, ბიკო, მამლი მუხასაო.

მუხა წონწილემს, წონწილების, წაიქცევა, მამლი მუხასაო.

რითა და რითა შენ, ბიკო, მამლი მუხასაო,

მოსეს ბადითაო.

მამლი მუხასა შენ, ბიკო, მამლი მუხასაო,

იმასაც რო დაჭერა უნდა, მამლი მუხასაო,

იმასაც ხო დაჭერა უნდა მოსეს ბადითაო,

იმასაც ხო მოხარშა უნდა, მამლი მუხასაო,

რითა და რითა შენ, ბიკო, მოსეს ტაფითაო.

იმასაც ხო დაწლა უნდა მამლო მუხასაო.

იმასაც ხო მოხარშა უნდა, მამლი მუხასაო.

იმასაც ხო ღვინო უნდა, მამლი მუხასაო.

მერე დამავიწყდა (მთქმელი).

ტრედმა თავი სიარლითა, ერისალიმ კოშკი დადგა.

ზედ საყდარი ააშენა, ქვეშ მირონი (ს) გუბე იდგა.

იქ რომ წირვა-ლოცვა იყო, იმის მაღლი გწყალომთ თქვენცა.

სოფ. ს ა რ ო

## 24. სამი ციხე

აქა სამი ციხია. ციხუბანში თითო-თითო ბატონი ყოფილა. ამ ციხეებში ბატონები ყოფილა. სამ ალაგას წყალი გაუყვანიათ ციხის თავებზე სამი მილით ჩამოტანული. ბებერაჩემი იტყოდა, თურმე ერთი ძალიან ქურდი, ეშმაკი კაცი ყოფილა, იმას რქმევია პასა. ამ პასამ თქვა,

რომ ერთხელ თათრებმა მითხრეს, რო გოჯრ შოდი ეპ ხიდი'ნა დაანგ-  
არიო. იემ სისხო იყო კეტი, მიტიანა და ეგ დაანგრევიან, სუ ჩემეცალათ  
მანდა.

მამაჩემისა კი არა, პაპაჩემის დროსაც შიშიანობა, დელიმბაშობა  
ყოფილა. მაშინ ძარცავდნენ ხალხს და ისინიც მალაროში ადიოდნენ.  
დემეტრე პაპაი 110 წლისა იყო. მაშინ მე ვიყავი 7—8 წლისა, ამონდა,  
ჩვენ მოვშალეთ და ვწვევდითო ისევ იყო ხიდიო. მერე, მერე ჩამოანგ-  
რიეს, მასკუან იმდელჯერ ვყოფილვარ შიგო, რო... ხერთვის ერთი  
ჯაცი დაჭერილი პუოლიათ. ეს გადწოვიდოდა. აპა, ამდამ დელიმბაშე-  
ნი'ნა დეგესხმნენო. ჩვენ სილასი (იარალი) ვინ მოგვემდა, სი-  
ლაი არ გვემონდა. იველანთ პავლემ და ღვინიანთ ნიკამ ერთი დელი-  
ზაში მოკლეს. ხელი სატაცი ქვიები წაიღეთ. იმითი ვირჩენდით თავსაო.  
— ხიდი რატო პქონდათ? — აღიოდნენ თავალს და თავ აფარანდნენ  
დელიმბაშებს. იქ რო ხიდი ყოფილა, ხიები ისევ ეტყობა „საწველეზე“  
წყარო ისე გამოდის კლდიდან, როგორც რძე საქონლის ძუძუებიდან.  
ამიტომ დაურქმევიათ „საწველეა“. მათეენთ ორი მარანი დახურეს  
ი ხიდიო, რო გადმოყარეს ხიები.

სოფ. ს ა რ ო

## 25. ჭონაობა

ძველათა, როჯცა პატარა ბავშვები ვიყავით, ჭონას ვეტყოდით, წა-  
ვიდოდით, ჩამოვივლიდით და ვმღეროდით.

ჭონა, ჭონა ვარდის კონა,  
ალანთასა, ბალანთასა ღმერთი მოჭყემთ ბარაქასა.  
აღვა ქალი, დამრა ტანი, მუშკი ცრა და ალვა ზილა,  
აცხო მისი ქადა-პური, თითო კვერცხი ჩვენე ჩაგვიდეთ,  
ღმერთი მოგვემთ ბარაქასა.

და მერე ჩაგვიდემდენ ხოლმე კვერცხსა.

ერთი თათრი(ს) უჩიტელი? გვეყანდა, სახელათ ერქვა ასლან მურა-  
დონი, გვეტყოდა, ქართული სულ ცოტა... იცოდა, ისწავლეთო. რუსუ-  
ლათ გვასწავლიდა. მასკუან მოგვიტანდა ნახატს. მოგვეცა გაკვეთილათ  
ძერა. ჩვენ ვერ გავიგეთ და მერე მოგვიტანდა სურათი. მერე გვეტყოდა.  
ძერას არიოლ პქვიათ. თან მოპქონდა ძერის კარტიჩკა. სამი თვე ერთი  
მისწავლია, ორი თვე — ერთი. ეს არაფერია. ერთხელ გეგიძესთან  
ღვდელი იყო, გვასწავლიდა ასე: პირველ დღეს ღმერთმა შექმნა ფრინ-  
ველები, მეექვსე დღეს მოიტანა წითელი მიწა, დაზილა, დაზილა უსხე-

ულო და უხილავი სული ჩაუდგა და დაარქვა ამ არსებას ადამი. ადამი დადიოდა მარტოკანა სამოთხი (ს) ბალშია. მერე ღმერთმა დაუძახა: ადამ, ადამ სად ხარო! აქ ვარო, უთხრა ადამმა. ღმერთი მოვიდა და მარცხენა გვერდიდან გამოუჭრა ევა და უთხრა: აი შენი თანამემგწე იქნებაო. ეს ადამი გაკვირდა და იმას გიეხარდა თან. მოკლეთ წავიდეთ, მერე უთხრა ღმერთმა: ყველა ხეხილი ჭამეთო, იემ ხი(ს) ნაყოფ არ ჭამოთ, მამნებლობას მოგცემთო, სხენაირი ხის ხეხილიაო. გაიარა ადამმა ბალშია. იმასთან მივიდა ეშმაკი. ეშმაკმა უთხრა გველს, რო მიდი, უთხარი ადამს, რო ი ვაშლი ჭამოს და ქვეყნიერებას დაინახამს, თვალი აეხილებო. მართლაც მივიდა ეს გველი. მოდი, აქაო-უთხრა ადამს გველმა: იე ვაშლი ჭამე და თვალები აგეხილებო. ამ ადამმაც შეჭამა ვაშლი, ეეხილა თვალები და დაინახა ტიტველი ტანი. შერცხვა და ფოთლით დაიფარა. მასკუან გამოიარა ევამ. ევას კიდევ გველმა: მოდი იე ხილი შეჭამე და თვალები აგეხილებო, ქვეყნიერებაში ჩახვარდებიო. ამ ევამაც შეჭამა ეს ვაშლი და. შერცხვათ და დაიმაღნენ. სიტიტველი(ს) დასაფარავათ ლეღვი ფურცლები აიფარეს სიტიტველზე. ცოტა ხნი მერე კიდევ ჩამოიარა და დაუძახა: ადამ, ადამ, მოდი აქაო! ვერ მოვალ, მცხვენიაო, დაუძახა ბუჩქებიდან ადამმა. შენ აკი გითხარი, იმ ხის ნაყოფი არ ჭამო-მეთქი, გაუბრუნდა ცოლი, რათ აცდინეო. ცოლმა უთხრა: გველმა მაცდინაო. მაშინ ასე დასწყევლა ღმერთმა საივე: ადამი, ევა და გველი. ადამს უთხრა: ოფლითა შენითა ჭამე პური შენითა. ევას უთხრა: მწუხარებითა შობდე შვილსა შენსაო. გველი კი დასწყევლა: ჩამოვარდებოდე ძირსო, ხოხემდე მიწასაო და ადამიანი შვილი შენ გემტერებოდესო.

მერე ამათ გაუჩნდათ ერთი შვილი, დაარქვეს კაინი, მეორე გაუჩნდათ აბელი, მერე გაუჩნდა სემი. დედ-მამას აბელი ძალიან უყვარდა. ჭამი სძულდათ. ამან დაიჭირა და მოკლა ძმა, ამ დროსა ღმერთი გემიეცხადა, უთხრა: აი შენ რქა. მასკუან სემიდან გაუჩნდა შვილები, რადგანაც ყველგან ცარიელი იყო და ქვეყანა გამრავლებული არ იყო. ესეც დაბოლოვდა.

სოფ. ს ა რ ო

## 26. ყვაილების ყელისა

ყვაილების ყელისა,  
 მგავსო, ჩემი მწველისა,  
 ნეტა როდის მელირსება,  
 გული რასაც ელისა.

ჩემ დიებსა შლიაპა,  
დედაჩემსა ჩისტა-ყოპი.  
მამაჩემსა თავზე ქექო  
ფჩილი აღარ აქო.

მლავარქაიერ (მრავალქაიერ),  
თამარ დედოფალი ვიქავ,  
სახელი დიდი დავიგდე,  
ზოვამი სამნობი ჩაუყარე,  
ხმელეთი ჩემენ მოვიგდე,  
ისპანანს ხარკი დავადე.  
ქაჭეთის ციხე ავიღე,  
ამდენი საქმის მომქმედმა,  
ცხრა ადლი ტილო წავიღე.

„ჩემ ცოლ ნურა მოუა“. „მოვიდევით და ვერა ეპოვეთ“.  
„ერთი ახალგაზრდა ქალი თავს მოიწონაჲს“.

სოფ. ს ა რ ო

## 27. ქვიჩვიგ ყარამანი (პატარა ყარამანი)

(ფრაზები ზღაპრიდან) ჩაწერილია ვ. ინსარიძის მიერ.

„ყარამანი გახდა სამოცი წყდა მაჯა“. „იმისი თორუნი ვარ“. „გველა-  
შაპი დაინახეს“. „გააპარა ყარამანმა და შეხვდა მარტოქა ექვსფეხა“.  
„რამი იყო“. „ორ კვირანდის ჰყავდა დაბმული ეს რამი“. „ყოველდღე  
სცენდა“. „გადავიდნენ შაჰფერის ქვეყანაში, იაზმის მთაზე“. „ხოლოდ  
ხალხი წამოსული იყო საძენნელად“. „მოგკლანო“.

„ზოგი მოხელა, ზოგი დაწიოკა“. „ხალხი არ ჰყამდა“ „ჰეი, ყმა-  
წვილო, ცხადად განახვიო“. „იძრო მერდი (ყუმბარა) ყარამანმა“. „თქვენ  
საძებნელათ მოვედი“. „ცოლათ მიჰყვესო“. „ზორაბ დევის.  
სიდიდე ასოც წყდას უდრის“. „ზორაბ დევმა გამოუძახა ხუთი კარგი  
დევი“. „წადით, ის კაცი მოხკალით და ქალი ცოლათ მომიყვანეთო“.  
„ამან ხუთი დევები დაიჭირა“. „მოსჭრა ზოგს ყური, ზოგს ენა და  
უკან გარეკა“. „ორივე კაცურებ არი. ჩამცული“. „მეც იქ მოვკვიდე“. „მაშინ  
რალაჲ გულიჯანი არ დათანხმდა, გაიხადა ტაისამოსი“. „ორი-  
თანა არ დატვიეს, რო ამბავი წველოთ“.

„მამინ კიდრვ უთხრა: „ქალი მამიყვანეთო“. „დედამიწა გასქდა“. „დადგა მტვერი-დგვირი“. „გულიჯან შეშინდა, რო ველარ დანახა“. „ზორბა დევსაც ეგონა, უყე მოვხკალიო“. — „ოლონდ ნუ მომკლანო — უთხრა ზორბა დევმა“.

სოფ. ს ა რ ო

## 28. ხორხოტოლა

„ამდენი ქონება მჭკვსო, წავალ და სულ მოვიგენო“. „ყველა ნატრავდა ამ ქალიშვილს. მოვიდა სახში, ნახა დედამისი. მე ვსტირივარ“. შენ „სტირიხარო“, „დამინახანსო“, წაართვა ეს ბოვში გელ. დაუყვავა, მოეფერა. „მოგცენსო საქუჩარს. „შენ რო ჰხორხოტოლათი გყანს. ის მომეციო“. „მომცენ, მომეცი, მეფეს ეწყინა ამ ცხენის მოთხოვნა“. ამას რო არ წავერთმევიწე (ამბობს ცხენი) გულისთუნ, ეხლა მე ცოცხალი არ ვიქნებოდი“. სანიძლო დასდეს, „ყამჩი დამკარი“. „დაჰკრა ყამჩი“ და ორმოც მეტრზე კი არა ოთხმოც მეტრზე გადახტა ცხენი. ეს ბიჭათ ჩაცმული გოგო შეიყვანეს სახში. ერთი კვირა ქორწილი გადაუხადა ჭვარდაწერილებს. „ქალს არ შეეხო“. ქალმა დასწერა განაცხადი. „ეს ჩემი ქმარი ჩემთან ზრ ცხოვრონსო და მე ამასთან ვერ ვიცხოვრენო“. ლალა-ვეზირმა გაიგო ეს ამბავი. შეიძლება, ის ვაჟი დაღალული იყო“. „მეორე დღეს კიდევ განაცხადა, დასწერა გოგონ. „მამაჩემო! ბრუმისთვის მიგეცი, კოქლისთუნ მიგეცი და ასეთი კაცისთუნ არ მიგეციო“. დაფიქრდა: მერე როგორ ხკადროს, რომ ჩემ შვილს აღარ მოგცენო“. მეფენ გამოუძახა ეს თავისი სიძე. „შესაძლებელია, შევასრულენო (შევასრულებო). „მეც როგორც დავიჭიჩვიანან“. მე იმას დავამონავენო“ (დავამონავებო“. „როგორ უთხრა“. „ეგრე არ გეთქვა, ნახამდი შენ სეირსო“. ცოლი და ქმარი შევიდნენ კიდევ თავენტ ოთახში. ახლა ეს ბიჭად ჩაცმულია. რაღა ხელმწიფე კარგა გახდა, ხელმწიფის ქალსაც წადილი შეუსრულდა. ეს კაცად ნაქცევი გოგო ყველაზე ძალიან ქეიფონდა. „ერთი კარქი ქალიშვილი ხყოლიათ და დახკარგვათ, ამისათვის დაიწყეს (მ) გლოვრობა“. წადი, ჩემ მშობლებ მიხარობე“. „შენი შვილი მოდისო და თანაც ქალი მოხყამსო“. ბოლოს იფიქრეს დედა-მამან, ჩვენმა ქალიშვილმა კაცი შეირთო და მოხყამსო.

სოფ. ს ა რ ო



პირველად გავიქეცი 1918 წლის თებერვალში. გაზაფხულით ისევ მოვედი, მაისის თვეში. ახალი წელი იქ გავითენეთ. (თქვენ აქ იყო ავა, აქ ვიყავით სირამდინ) 1919 წლის იანვარი მოსულიყო. კამათობენ თითონ) ამოვედი აქ, აწყვერ ზეით, თათარი იყო. მოველით, სამი დღე შეეჩერდით, ჩვენ სახლებში რო მოვედი, სამი დღე ვიყავით თავისუფლად. შეიდასმა კაცმა, რაც მოანგვრიეს ქართველები, ჩვენი სოფელი სუ ქართველები იყო, რო შიანგვრიეს ქართველები, მოვიდნენ ჩვენ კარებზე. მოვიდნენ ეს თათრები და მოიყვანეს თამარაძე პავლე. დარბაზი (ს) ბანიდან მოიყვანეს. ჩვენი ოჯახიც, ყველა შინ ვართ. ეს პავლე ჩამოგვდოთ'ნა, ჩამოვარდნილიყო'ნა ბანიდან, მაგრამ ბანის გვირგვინი რკინებისაგან იყო შეკრული და არ ჩემიეტი. რახან არ იშლითო, ამ თათრებმა არ ჩაუშვეს, დანარჩენ თათრებმა კარის ნგრევა დაიწყეს. ჩაგებარდებით თუ არაო? იარაღი ჩაგებარეთო. ბიძაჩემმა — ლეკიშვილ პავლემ უპასუხა: მანამ ცოცხალი ვარ, იარაღს არ ჩაგებრით. ამ სიტყვის. საპასუხოთ მოუვიდათ თათრებ გული. გაბრაზდნენ და თქვეს: აქ სამი-ოთხი ქართველია და იმან'ნა შეგვაშინოსო.

რაგორ'ნა შეგვაშინონ ამ გიაურებმა? ერთი უყურე ამ გაურებსო, ერთი უყურე. ეს გიაურები არ გვბარდებიან. დაიწყეს შემდეგ თათრებმა კარების ნგრევა. ამ დროს ლეკიშვილ პავლეს მოუვიდა გული და უთხრა თავი შვილ: წადი, შვილო, იარაღი გამოიტანეო. გულმოსულ კაც შვილმა არ გაუგონა. ავა, ნეტა რას უზამდა. ხელდახელ 4 იაშვიკი ვაზნა და ოთხი შაშხანა გვქონდა. სულ ეს იყო ჩვენი იარაღი და საომარი ტყვიაწამალი. პავლემ მაინც გამოიტანა, თავისი გაიტანა, არ შეუშინდა თათრებს. ურჩი კაცი იყო ძიენ. არაფრისა ეშინოდა. ეს ოთხი იაშვიკი ტყვია-წამალი, ოთხი შაშხანა რო გამოიტანეს, მოსაზღვრე ძმანის კედელი გაარღვიეს და იმათ ცოლ-შვილი იქით გაიყვანეს, რო არაფერი მოსელოდათ. გამოიყვანეს თავიანთ ოჯახში. თერამეტნი ვიყავით. რო გადმოიყვანეს, დააბინავეს იმათი ცოლ-შვილი. ამ მოსაზღვრე ძმას ივანეი ერქვა. მივიდნენ ისევ მესამე კარებთან, დერეფანში გავიდნენ ახლა. საბრძოლველათ მიემზადნენ ახლა.

რო გამოვიდნენ ესენი დერეფნი(ს) კარებში, მერვე დადგა ოთხი კაცი შიგნიდა შაშხანებით და ორი კაცი კიდრე ქოშასთან (ყელის კუთხე (ქვისა). თათრებმა კიდევ უთხრეს: გვბარდები თუ არა, ლეკი-შვილი პავლეო. ამ ლეკიშვილმა პავლემ უპასუხა ვაშკაცურათ, დაგვანებეთ თავი, მოგვმორდით აქედანაო. ამ თათრებმა მაინც არ დაი-

შალეს თავისი. კიდევ ანგრევდნენ გარე კარებ. რო დახედა ამ ლეკიშვილ-მა პავლემ, თათრები აღარ ხუმრობენ, თავისას არ იშლიანო, მეგრე გასცა ბრძანება: ძმებსა, ბიძაშვილებსა და ძმისწულებსა. აჰა, ცეცხლი მაგათო, ცეცხლი გააჩინეთო. ესროლეთ! ისროლეს შიგნიდან, ჩვენც იქ ვიყავით პატარები. ასე ვიქნებოდით 7—8 წლისა, მიყუყული ერთ კედლის კუთხეში. რო ესროლეს ამ ჩვენებმა, არ აუცდენიათ. დახურულ კარებიდან ორი მოკლეს და ერთი თათარი დასჭრეს. ამ თათრებმა დახედეს, რო არაფერი გამოუვიდათ, დაგვანებეს თავი. დახედეს, რო თითონ მეტი ზარალი მოუვიდათ, ჩვენ კი სულ არ არაფერი არ მოგვევლია. როგორც იქნა, შიეშინდათ ამ თათრებ, დაგვანებეს თავი, წავიდნენ, მაგრამ ეს დამავიწყდა. სროლის გაჩაღების შემდეგ ამ თამარაძე პავლეს (აიგერ მაგ ბიჭის, გრიშას პაპა იყო — თამარაძე პავლეი), იქვე მოსჭრეს თავი თათრებმა (იმათი ტყვე იყო, რას იზმოდა), ლეკიშვილ პავლეს კარებ თათრები ვეღარ ეკარებოდნენ. მეოთხე ღამე რო დადგა, ერთმა ქურთმა, სოფელ ყუმრუსში (ტაბაწყურში) მცხოვრებელმა ქურთმა მოვიდა, უთხრა ლეკიშვილ პავლეს, რო კარი გამიღეთო, მე გაგაპარამთო — ამ ქურთს ერქვა ალიაი. იქიდან უთხრეს ჩვენებმა, რო რაგორნა გაგიღოთ, არ გენდობითო. ამ ქურთმა დაიფიცა — იცნობდა ჩვენებს — უპასუხა, რომ ნუ გეშინიათ, მე გადაგაპართო ბაკურიანის პერევალზეო. ზამთარიც იყო, ქარი უბერამს, ბუქს, იცი? ეს ქურთი, როგორც იქნა, შემოიყვანეს. კარი გაუღეს — სახლში შემოიყვანეს. ლეკიშვილმა პავლემ უთხრა. რო ჩვენ თქვენ რო გენდობთ, ჯერ ჩვენ ქართულ-პურ-მარილზენა დაიფიცოვო. ამ ქურთმა უთხრა: მოიტანეთ პურ-მარილი, დავიფიცებო, რას მაშინამთო, თქვენ საშველათ ვარ მოსული.

მართლაც, მოუტანეს ამ ქურთ პურ-მარილი. ამ ქურთმა დაიფიცა: მე თუ თქვენ გიღალატოთო, ამ პურ-მარილმა მე მიღალატოს, თვალები დამიბრუნავოსო. ეს იყო და ეს. აღდგნენ ეს ჩვენები, შეუდგნენ სამზადის. დაიწყეს მზადება გასამგზავრებლათ, თან ძრიენ ცივა. თებერვალია. წასასვლელათ გიემზადნენ: ლეკიშვილი ივანე — ლეკიშვილი პავლეს ძმა, ლეკიშვილი მაქსო — პავლეს ბიძაშვილი, ლეკიშვილი მაქსოს და მარუსა, ლეკიშვილი მაქსოს ბიძაშვილი შუშანა და ძმის ცოლი — მარინე. სულ ხუთი ადამიანი გაუდგნენ გზას ბაკურიანის პერევალისაკენ ამ ქარბუქში. გაუდგნენ გზას, მაგრამ მარტო ორი თოფი წაიღეს. ეს ქურთი წინ იმძლოლეს და თითონ კი იარაღით უკან მიჰყვნენ. ძრიენ ცივოდა, სიარული სჭირდა, მაგრამ იარეს, იარეს, იმ ღამეკ გადავიდნენ ბაკურიანის პერეველის თავზე. გზა-

ზე (ის დამავიწყდა) შიშისაგან ერთ ქალ — ამ მაქსოს დას — შეშანას — გული წაუვიდა. ველარ მოდიოდა. მაქსომ დააპირა მისი მოკვლა, იმასაც შეიშინა, აქ რო დავეტოვო, თათრები აწვალბებენო და უფრო ცოდო იქნებაო.

გადავიდნენ ისინი ბაკურიანში. ქუთით ალიათ პერველიდან უკან დაბრუნდა ორი ღამის შემდეგ, მესამე ღამეს ლეკიშვილი პავლე, ლეკიშვილი სოლომონი, მარკოზი და სერგო გიემგზავრნენ ქუთრთან ერთათ ისინიც წავიდნენ თავისით. ამათ ამ ჩონჩქალში სამგზავრო პური დაავიწყდათ სახლში. იგივე ღამეს ბიძაშვილები — ლეკიშვილები და თარხნიშვილი ბაგრატი გაიყოლეს თათრებმა და ვარენის ლელეში მოტყვილებით დახოცეს.

მაშინ მე ვიყავი შვიდი წლისა, როცა ეს ამბავი მოხდა. გარეთ რო გამოვიდოდი, თათრები ტყვიას მესროდნენ. ნადირომდნენ ჩვენზე. შემოანგრეეს კარები და შემოვიდნენ 40 ცხენოსანი თათარი ჩვენსა. თათრებმა საქონელი და ცხვარი—ყველაფერი დაკლეს. როცა ჩვენ ცხვრები კლამდნენ, ცოცხალი ბატნები ამოდიოდათ მუცლიდან. რაც საქონელი გეყამდა, გაინაწილეს, თათრებმა წაასხეს. ჩვენ ვპასუხონდით, რომ თქვენ საქონელი რალათ გინდათ, რო ხოცამთო. საქონელი რალათ გინდათო, გვეუბნებოდნენ, დღეს, ხვალ თქვენც დაგხოცამთო. გავიდა თვენახევარი მას შემდეგ ძალუა ჩემი პელაგია დადიოდა სოფელში სათხოვნელათ. ამ დროს შემოეყარა ერთი თათარი. თათარ ეგონა, რო ეს თათრი(ს) ქალიაო (თათარი იყო აწყურტიდან წამოსული. ვერ იცნომდა პელაგიას და სალამი მისცა თათრულათ) პელაგიამ სალამი მიიღო თათრულათ. პელაგია შეეკითხა თათრულათ: საიდან ხარ, ასე დაღლილი საით მიდიხარო? უპასუხა თათარმა: მენშევიკების თავრობა მოვიდა, აწყვერი აიღო და მე ძლივ გამოვასწარიო. სამი ოჯალი ცეცხლ მისცა, გადაწვაო. თათარი წავიდა თავის ნათესავებისაკენ — შარიმან აბაშიძის ოჯახში. ლეკიშვილი პელაგია დაბრუნდა საჩქაროთ ამბავის მოსატანათ. მოვიდა საჩქაროთ, ამბავი მუშტანა და დაბრუნდა შარიმან აბაშიძეების ოჯახში. რაც სოფელში მაცხოვრებელი იყო თათარი, სუ იქ მოეყარათ თავი და დაღვრემილი არიან. ეს პელაგია შეეკითხა: რატო ხართ დაღვრემილი? უპასუხეს იმათ, რო არაფერიო, წამოდგა აბაშიძის ცოლი გვილჩინაი და უთხრა: ქართველი აწყურში ამოსულა, რალას მალამთო. არ გასტანა ხუთი დღე. მენშევიკების თავრობა ამოვიდა. მოჰყვა მათ გენერალი მაკაევი. ლეკიშვილი მაქსოს თან ახლდა. ამ გენერალმა მისცა ქალაღდი, რო არდა-

განამდი(ს) გადადი და თქვენი ცხვარ-ძროხა, თათრებისაგან წართმეული, გადმორეკეო. ეს ლეკიშვილი მაქსოიცი წავიდა და სულ გადმორეკა ჩვენი ცხვარ-ძროხა.

სოფ. თოკი

### მეორეთ გაქცევა (1921 წლის მაისში)

1921 წელს გაზაფხულის თვეში საჩქაროთი ეს თათრები აქავრობაში დიეპატრონენ. ამოვიდნენ. ამ ქართველებმა ადგნენ და პურ-მარილი გადააგებეს თათრებს. ორმოცი ცხენოსანი იყო. ამათ პურ-მარილი მიიღეს. მერე ხერთვისიდან გვემგზავრნენ. კაცი ამოვიდა, საჩქაროთ წამოდიოთ უკანო. ეს გამართული პურ-მარილი იქ დარჩათ და გადაცვივდნენ და წავიდნენ. ვინ'ნა შიაკეთოს ისინი. ის კარი დღესაც ინახება და ცხოვრონს ლეკიშვილი კირილე.

სოფ. თოკი

### 30. ორი კაცის ამბავი

„პალა მოდი, ცოტა საქმე მაქ, წავიდნო“. ვთხოვევი და გადამიყვანა. „მერე, ჩემო ბატონო, დამსმინდა“. ლადოი აჯობამდა. თაქარლამა სიტყვას ვეტყოდა, რო გახეთქამდა. პტენას ქალიშვილი გავაოხვიე, დაგეპატიეეს მაგათ ოჯახში. ჩამოსხდა იმი(ს) შვილი, სამსონიაცი ამ ბოძთან ზის. ამ ზარიძე ვასოს უთხრა: საზი მამეციო, ვასო, ორი კაცი მოდისო, შეხვდი შენაო, ჩხუბობენო, რა'ნა ქნაო მაშინაო? ამან პასუხი ვერ გასცა. ამონს: რა ვიციო. ერთი დაიჭირო, მეორე სცემსო. რაგორ'ნა ქმნაო. ახლა მამივიდა გული. ვთხოვე ამ ხალხსა: კაცებო მეთქი, მეჯლისო, მამეცით ნება ერთი-ორი სიტყვა ვთქვა-მეთქი. თქვიო — გენაცვალე, თქვიო. კაცოვო, ეგაო დათუაანთგან იქნებაო. მაგამო რამე არ მითხრასო.

ახლა უთხარი: იცი-მეთქი რა არი. დროების ერთსა| ორი ყაჩადი იყო. ერთი ყოჩადი, ერთი ნაჩარი. ახლა მივიდნენ, ერთ კაცსა და ხარი მოჰპარეს — ახლა ერთი უჯავრდება: ორივე საქონელი ხართო. ოჰო ჰო — მეორე უჯავრდება, რომა ოჰო — ებნევა, თაზე რო ავალთ, იქ გამოჩნდებაო. ჰო, ავიდნენ თაზე. ყოჩაღმა ნაჩარ ერთი ორი უთუთქა და ხარი წაართვა. თათრულეებ არი ნათქვამი, ქოფიტურებ(?) ილაპარაკე, ეგ აგრე მეტი არ არი. ადგა ესა და ეს ყარაგვეზი, დასტოვა მეჯლისი და წავიდა.

დროების ერთსა აზრუმშია ორი მოღლები იყვნენ. დადგნენ და პურ-

სა სკამენ. მაწონი დაისხეს ერთ დიდ ჯამში. მაწონი რო დაისხეს დიდ ჯამში, აიღეს და პური ჩაყარეს ორთავენმა. ამ ერთმა უთხრა, რომა ოვეო, კაცო, აპა, უყურე, რომაო შავ ზღვაში გემები ილუპებინაო. მეორემ უთხრა, რომა შე კაი კაცო, შენა შენი ჩაყრილი პური ქამევიო, იქ რა გინდაო. როგორ ვკამო ჩემი ჩაყრილი პურიო. თუ აქედან იქ იციო, შენი ჩაყრილი პური არ იციო. განა ვერ გაგირჩევიაო. რამოტელა ფარისეველობა და რამოტელა მეტიჩარა ხარო, აქედან შავ ზღვაში გადახტო, იქ გაიგევი, გემები ილუპებინაო და აქ შენ ჯამში ჩაყრილა პური ვერ გაარჩიევი. ამით დამთავრდა“.

სოფ. კოთელია

### 31. ოთხი ძმანი

ესენი ყოფილან ოთხი ძმანი: ჩახატაურში ხარივით შეუბიათ კალოში და ცემით კაცი მოუკლამთ. მანდ რო მოსულან, ეგრეთი წესი ყოფილა. ქალი რომ შეგერთო, პირველათ ბატონ'ნა წაყევანა. ქონიათ ქალა, ეგ ქალა უთიბიათ, ში(გ) რეულა ამ ბიქი საცოლუც. ბატონ უთქვია, ხო გიყვარს ქალიო, მოდი სიმართლე მითხარიო. ამ ბიქ უთქვია: როდცა შენ ნინას ნახამ, მაშინ დაიკვებეო. ეს ბატონი გემომშვიდობება. წამომხტარა ეს ბიქი. ხმალი'ნა მიაწოდოს, ტოტზეა ჩამოკიდებული. მერე ადგნენ და ბიქმა უთხრა: ბატონო, რა შესაფერი ხმალი გაქო, შემოუქნია და თავი გავარდა ამ ბატონ. ადგა, წამოიყვანა ქალი და გამოვარდა. დრო ის დრო არ არი, ბატონი თავი შევქამე. აპა, წამოვო-უთქვია ამ ბიქ გოგოსთვინ. მაშინ აქ სუ ტყე ყოფილა, ბარალეთი თლათ ტყეში ყოფილა. ეს სახლი 125 წლისაა. ეგ ხე (ამ სახლისა) სუ საყარაულოზეა მოქრილი. პირველათ დაუნახიათ, რო რალაცხა კვამლი ამოდის ამ ტყეში. ამ წყალ (ბარალეთის წყალს) დაჰყვება ეს კაცი. უნახია ეკლესია: ვითა ეკლესია აშენდა, ოდეს მეფობდა ლაშა გიორგი. მალა, მალა პატარა აკოშკა რო არი, მანდ მისულა, მერე ჩამოსულა და უნახია ყაჩაღები. უთქვია: თონეთიდან ვარო. ესე, ესე მოხდა. ქუქულანთ უძახიან (ზეგინიძიებია), გადასცენს ბაბუაჩემი, მერე ეგენი დადგებიან სხეიები, მხალაძიებიც არიან, მურჯინელი (ძველი მაგათი გვარი ბალბიძეა) მანდიდან შევრჩით ჩვენა. იქიდან წრიოხი რო არი, სუ გოგოლადიებია. მეოთხე ძმა (ხარაგაულის რაიონში დარჩენილა), მერე ძმა წასულა კახეთში. იესლა მაგის ჩამამაველობა გამართული ოჯახია. თელავში იყო ჩემი ბიძაშვილი — შტაბკაპიტანი. მე მიშოვნა ტყეში. აქ რას აკეთებო? იქ ვიცხოვრევი. 18-ში, 19-ში უკან წამოვედიო ტოლილები. მერე მანდ რო ჩაველით, გვკითხა: კაბალი, კაბალიო ვაკეა და

დაბალიო. მანდა არის ოქროს მადანი. ხუთ წელიწად წისქვილები ჰქონდა. რეზინის წისქვილებ ამუშავენდა. ეზიდებოდნენ, ვერ ლევდნენ, ძალიან მდიდარი იყო. ერთი ბიჭი ჰყამდა. რეზინი ფაიტონზე დაიჭვენდა გვერდით და სოფლის გარშემო გულაომდა. მერე მასწავლებელი გახდა და აგერ 25 წელიწადია იწყინერნია. ახლა ასტავკაში გამოვიდა. მამაჩვენები ოთხი ძმანი იყვენენ, სუ პატარა მარკოზაი იყო.

• •

აი ემას ამონ, იხტილის ქოხი როა. გელაზის ქვა, სახდელი (ზეთსაქდელი) დიდი ქვა არის. ის ტრიალებს და ლეწამს იმ სელსა. ერთი კამეჩი ატრიალემს. აქედან რო მიაწვება, ი გორგოლა ტრიალემს და ნაყამს სელსა. დიდი ხიდებია აბრუნამენ, აბრუნამენ სალები, აქ სალათები იყო, ბოშები რო ქსოვენ ვიცი ჩვენი ეკლესიის წარწერა, მერენიაში ვანქ უძახდნენ სომხები, ხელოვნური იემას რო ამონ, ეგ იყო. მაიცა წმინდა თევდორე ჰქვია: სომხებ წაუხოციათ. ლიპარიტები ყოფილან თმოგში. ცოლ-ქმარნი წამოსულან, დაუვლიათ, იქვე წამოუღით წყლები, ქალები, სათიბი, ტყე შიგაა. მოსწონებია ცოლს და უთქვია: ჩემს ხარჯზე ეკლესია'ნა ავაგოვო. გააკეთანს და წააწერანს ზედ თავი სახელსა. თავი სახელზე აუგია. ვითა ეს ააშენა მეუღლემ ლიპარტია თმოგველმა — ასულმა ორბელიანებისამა. ეგ აგრე ნახევარი მოტეხილა. ვითა ეს ეკლესია აშენდა, ოდეს იყო უდაბური ტყე, ღმერთმა შეუნდოს ივანე ჭორვანიძესა, მეორეები არ ვიცი, ამ გიორგი მურჯინელსა დამიძახამდა ხომე. ეგენი იმისგან დავისწავლე და ვიცი. მეც ხალისი მქონდა მაგრიან რამეზე.

სოფ. ბ ა რ ა ლ ე თ ი

### 32. სოფლების გალექსვა

ბარალეთი ვაკიაო,  
დიდი ფური ბერს იწეელის,  
ღეველი მაკიაო.

მოკმის (ქილდის) შესახებ

ქილდის ქედი ბრუდია.  
ფერხელი მშენიერია.  
მუცილი ცარიელია.

კოკოროზი ხალხია,  
თავმოწონე და პეტელსარელი.

—

ენკენი (ს) თქეში ყვალდენ  
საპიტნო ახჩის ყანებო.  
იმათი მთიბაენი ტიროდნენ,  
დაგვეწუნენ თითის წვერებო.  
(ახლა თიბაენ იქ აი სწორეთ).

სოფ. ბ ა რ ა ლ ე თ ი

### მ. შ ა ე ნ ა ბ ა დ ა

შაენაბადას უწოდამენ, მანდ იყო შაენაბადიანი კაცი და ამიტომ შაენაბადას უწოდამენ, მანდ ბინადრომდა შაენაბადა. შაენაბადაში იყენენ პარამბაშები (ყაჩალები). ამ ვარძიაში მიდიოდა მანგლისიდან სალოცავად. რო მივიდნენ, მანდ დიაკვანმა დანახა, ი სერზე მოკიცდა თვალი, რო შეამჩნია ყაჩალი იყო. ეს გზაურები შეჩერდნენ. და ქილით მაწონი ჰქონდა ამ ყაჩალს, ქვაზე გადააქცია და თითონ წამოწვა გვერდზე. მერე იმათ თქვეს: ბიჭო, ბიჭო, ყორანი იყო, გადმოაწკინტლაო ქვაზე. განაგრეს გზა. როცა მივიდნენ, პირდაპირ წავიდა. წინ დაუდგა ეს ყაჩალი, უთხრა: შეჩერდითო. შევნიშნეთ და იმიტომ შევჩერდითო. დიაკვანას უთხრა: როგორ შეატყეო. შენ ჰრე თვალი გაქსო? მე ბოვშობიდან ფეხშველა არ გამივლია, მიტომ ჰრე თვალი მაქო. გაახდევინა ფეხები და კაყიანი ქვა იყო, ყაჩალი შეჭდა დიაკვანძზე და ამ კაყიან ქვაში ატარა ფეხშველა. აღმართ-აღმართი სუ სისხლით იყო. ახლა გაიხედე. შეატყომ თუ არაო. თვალებიდან სუ სისხლი მოუვიდა, ველარაფერი შიატყო. მერე მივიდა და ხურჯინები გასინჯა: ღვინო, ხაჭაპურები, ნაზუქები, ღორის ვიჩინა, ინდოვილები. თათარს თვალი წაუვიდა, უნდოდა ვიჩინა ეჭამა, მაგრამ რელიგია, თვით სულთანი არ აძლევდა ნებას. მერე ამოიღო ხმალი, დიაკვანს მისცა, უთხრა: მითხარია: ჰამე, ძაღლო, თორემ გავაგდებინებო. მითომ ძალათ მაჭამეს, ღმერთო, არ მიწყინოვო. (ეხლა იყიდევით ევა). დიაკვანმა ხელში ხმალი აიღო. ერთი ორჯერ უთხრა: ჰამე, ძაღლო, თორემ თავ გავაგდებინებო. მერე დიაკვანმა იფიქრა: რა ვაყვაცობაა ჩემი, ხმალი ხელში შექიროს და ამტენი ტანჯვა გამატარა, ფეხები დამისისხლიანა ზედ შემჭდა. წამოუსვა, ამას თავი გააგდებინა. იმათ განაგრძეს თავით გზა, მლოცველებმა, კვლარი დარჩა იქა, ყაჩალი. ი ყაჩალი ჰყვარომდა ავა-

ნაში (სამი კილომეტრზე შეენაბდას მსარეზე) ერთ ქალსა და ვაიგო, რა საყვარელი მოუტკლიათ, უპატრონოთ არი, ლექსი გამოუთქვა: „შენაბდაო, გიყვარდა ტაფაში ნამწვავი ხაეწი, შენ რო მარხილით მიპყამდი, მე კი სირცხვილით დაეიწვი“.

სოფ. ბ ა რ ა ლ ე თ ი

#### მ 4. ჩუნჩხა

არის ჯავახეთს სოფელი,  
ჩემი სულისტქმა ჩუნჩხა.  
მოყვრისთვის კარგის მყოფელი,  
მტერათათვის ავი კრუნჩხვა.

მშენებელი და ქვიზხური,  
მშვილდად რომ კიშავს წარსულს.  
თან გამუდმებით კითხვობს  
შვილებს სოფლიდან წასულს.

წასულან. გული ვით უთმენო.  
გადვიდნენ, გასცდნენ ზეკარს.  
სხვა განაიადებს ვინც უთვეს,  
კი გრძნობს ხელ-ფეხის შეკვრას.

დაუდევრობა ქართველებს  
დასაბამიდან მოგვდამს.  
ამიტომ ბევრჯერ გათელეს  
ჩვენი ამაყი მოდგმა.

მიკვირს ჯავახი ქართველი  
რად სტოკებს ეზო-კარებს.  
თვალში აკლდება ნათელი  
ძვირფას მშობლიურ მხარეს.

ზეცამ ვერასდროს დაგლახვროს  
და ცეცხლს ვერ მიგცეს მწვავეს,  
ბრძენო ნაკვდო ჯავახო,  
გაშოროს ბელი მწარე.

აქ მოხეტობან ეღირსე,  
შვილო მოგვეს ბევრო,

დე დიადობდეს მესხის მზე,  
მისი სახლი და პრეელი!

უციოცხლოს კუბოს გამტანა,  
გვერდში ჰყოლოდეს მუდამ,  
ფანდი გაუგოს სატანას,  
დაუნდობელს და მურდალს.

სოფელო, ჩემთვის ა რ წ ი ვ ო  
შენი მთა-ველის დამთმობს  
ბნედამ ჰკრას, მუხლმა გასწიროს,  
და უღალატოს სატრფომ.

მელის ჯავახეთს მართლაც და,  
სიყრმის აკეანი — ჩუნჩხა,  
შვილებს რომ მხრებში გემართავდა,  
მტრებს რომ უვლიდა კრუნჩხვად...

„შენი ვარ, შენთვის მოვეკვებო“ —  
მხურვალედ ვისაც უთხრეს,  
სიმღერაც შენ და ოლებიც,  
ჩემო ლამაზო კუთხევე.

თუმც ბეწვზე ბევრჯერ ვეკიდე:  
მინც გიყვავებ რტოებს,  
სამ უძვირფასეს მემკვიდრეს  
შენს სასიცოცხლოდ ვტოვებ.

მაქვს სამუდამო წყურვილი:  
ჩემი დიადი ჩუნჩხა.  
გულს მისგან სწვავდეს სურვილი,  
ჩვენს მტრებს — მარადი კრუნჩხვა.

სოფ. ჩ უ ნ ჩ ხ ა



## მთქმელები

- |   |                |                       |                  |
|---|----------------|-----------------------|------------------|
| 1) ბ ა რ ა მ ი ძ ე მ აქსიმე (80 წ.)                 | 6, 7, 8, 9.    | ჩაიწერა გ. ბერიძემ    | 1948 წელს.       |
| 2) ბ ე რ ი ძ ე ელისაბედ (80 წ.)                     | 1              | — „ —                 | — „ —            |
| 3) ბ ე რ ი ძ ე მარკოზ სიმონის ძე (48 წ.)            | 3, 10          | — „ —                 | — „ —            |
| 4) ბ ე რ ი ძ ე ვანო (78 წ.)                         | 18, 19         | — „ —                 | — „ —            |
| 5) ბ ე რ ი ძ ე გრიგოლ (31 წ.)                       | 36             | — „ —                 | — „ —            |
| 6) გ ი ო რ გ ა ძ ე ბეჟან (57 წ.)                    | 26, 27, 28     | ჩაიწერა ვ. ინასარიძემ | 1954 წ.          |
| 7) გ ო გ ო ლ ა ძ ე სერგო იაკობის ძე (60 წ.)         | 32             | — „ —                 | გ. ბერიძემ 1956. |
| 8) გ ო გ ო ლ ა ძ ე გრიგოლ ლევანის ძე (63 წ.)        | 33             | — „ —                 | — „ —            |
| 9) თ ე თ ვ ა ძ ე სათუთ ვეგენის ას                   | 20             | ჩაიწერა ო. ლომსაძემ   | 1950 წელს.       |
| 10) თ ო თ ა ძ ე ვედუსია ალექსანდრეს ას (70 წ.)      | 2              | ჩაიწერა გ. ბერიძემ    | 1948 წ.          |
| 11) ლ ე კ ი შ ვ ი ლ ი კირილე სოლომონის ძე (46 წ.)   | 29.            | — „ —                 | — „ —            |
| 12) ლ რ ნ დ ა რ ი ძ ე ვანო იოსების ძე (70 წ.)       | 21, 22         | — „ —                 | — „ —            |
| 13) მ ა ი ს უ რ ა ძ ე მარგო სერგოს ას               |                | — „ —                 | — „ —            |
| მე-6 კლასელი მოსწავლე 17                            |                |                       |                  |
| 14) მ ა ლ რ ა ძ ე იაკობ ესტატეს ძე (76 წ.)          | 11, 12         | — „ —                 | — „ —            |
| 15) მ ა ლ რ ა ძ ე გიორგი პავლეს ძე (84 წ.)          | 23 24, 25      | — „ —                 | — „ —            |
| 16) მ ე რ ა ბ ი შ ვ ი ლ ი ბაგრატ ტიმოთეს ძე (80 წ.) | 30, 31         | — „ —                 | — „ —            |
| 17) მ ი ქ ე ლ ა ძ ე ილიო ლუკას ძე (67 წ.)           | 13, 14, 15, 16 | — „ —                 | — „ —            |
| 18) მ უ რ ჭ ი კ ე ლ ი მალაქია (50 წ.)               | 34, 35         | — „ —                 | — „ —            |
| 19) ქ ა რ თ ვ ე ლ ი შ ვ ი ლ ი ივანე (78 წ.)         | 4, 5           | — „ —                 | — „ —            |

## ს ა რ ჩ ე ვ ი

წინასიტყვაობა . . . . .	3
შესავალი . . . . .	4
§ 1. მოკლე ისტორიული მიმოხილვა . . . . .	4
§ 2. ქავახურის გაერცელებულობის არე . . . . .	7
§ 3. ქავახურის შესწავლის საკითხი . . . . .	11

### თ ა ვ ი I. ფონეტიკა

1. ბგერითი შედგენილობა . . . . .	16
----------------------------------	----

#### ფონეტიკური პროცესები

2. ასიმილაცია . . . . .	25
3. დისიმილაცია . . . . .	30
4. მეტათეზისი . . . . .	35
5. რედუქცია . . . . .	37
6. ბგერის დაკარგვა . . . . .	38
7. ბგერის ჩამატება . . . . .	45
8. ბგერათა მონაცვლეობა . . . . .	47
9. აჟრიატიზაცია . . . . .	62
10. დეჟაფრიატიზაცია . . . . .	64
11. მახვილი და ინტონაცია . . . . .	64

### თ ა ვ ი II. მორფოლოგია

#### ს ა ხ ე ლ ე ბ ი

12. ბრუნვათა წარმოება . . . . .	74
13. ემფატიკური — ა . . . . .	79
14. მრავლობითი რიცხვი . . . . .	83
15. ხარისხები . . . . .	83
16. რიცხვითი სახელი . . . . .	83
17. ნაცვალსახელები . . . . .	83
18. მოფერებით-კნინობითობის — ლე . . . . .	84
19. თანდებულები . . . . .	86
20. ზმნიზედა . . . . .	89
21. ნაწილაკები . . . . .	94
22. კავშირები . . . . .	99
23. შორისდებული . . . . .	103

24. პირის ნიშნები . . . . .	108
25. ზმნისწინი . . . . .	111
26. თემის ნიშნები . . . . .	111

**ზმნის ფორმათა წარმოების საკითხები**

27. I სერის ფორმები . . . . .	117
28. II სერიის ფორმები . . . . .	120
29. თხოვნით-ბრძანებითი კილო . . . . .	124
30. III სერიის ფორმები . . . . .	125
31. თაქსებური ზმნები . . . . .	127

**სიტყვაწარმოება**

**ს ა ხ ე ლ ზ მ ნ ა**

32. საწყისი . . . . .	129
33. მიმლეობა . . . . .	132
34. თავსართ-ბოლოსართიანი წარმოება . . . . .	137
35. კომპოზიტები . . . . .	141
36. გვარის განაყოფთა სახელების წარმოება . . . . .	142
37. ჯავახეთის გეოგრაფიულ სახელთა წარმოება . . . . .	148

**თ ა ვ ი III. სინტაქსი**

38. მსაზღვრელ-საზღვრული . . . . .	162
39. ქვემდებარისა და შემასმენლის რიცხვი შეთანხმება . . . . .	163
40. ქვემდებარის მართვის საკითხი გარდაუვალ ზმნასთან . . . . .	166
41. განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება ორი კავშირით . . . . .	167
42. ღროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება ორი კავშირით . . . . .	168
43. ეითარების გარემოებითი დამოკიდებული წინადადება ორი კავშირით . . . . .	169
44. „დაუსახა“ ზმნა ობიექტთან მართვის მხრივ . . . . .	170
45. ორმაგი უარყოფა . . . . .	170
46. ზოგიერთი ზმნიზედისა და თანდებულის მართვის საკითხი . . . . .	171

**თ ა ვ ი IV. ზოგიერთი სტილისტიკური თავისებურებანი**

47. შემასმენლის ადგილი მარტივ წინადადებაში . . . . .	173
48. მსაზღვრელისა და საზღვრულის გათიშვა . . . . .	174
49. წინადადების წვერთა განმეორება . . . . .	174
50. შემასმენლის ხმარების სხედასხვა ხერხი . . . . .	177
51. „და“, „რომ“ კავშირები წინადადების ბოლოს . . . . .	178
52. ქართულისათვის არაბუნებრივი ფრაზები . . . . .	179

თ ა ვ ი V. ლექსიკა

53. ჯავახური ლექსიკის შემადგენლობა . . . . .	181
54. „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკური ერთეულები ჯავახურში * . . . . .	186

თ ა ვ ი VI. ქართლურსა და მესხურთან მიმართების საკითხი

55. ქართლურთან მიმართება . . . . .	202
56. ჯავახურის მესხურთან მიმართება . . . . .	205
57. ჯავახურის მესხურთან სხვაობის საკითხი . . . . .	209
58. დასკვნა . . . . .	212
59. დანართი — ტექსტები . . . . .	215
მთქმელები . . . . .	261

რედაქტორი ნ. თ ე თ რ ა ძ ე  
 მხატვარი თ. შ ა რ ი ლ ა შ ვ ი ლ ი  
 მხატვრული რედაქტორი ლ. ლ ე ი ნ ჭ ი ლ ი ა  
 ტექნიკური რედაქტორი ი. ხ უ ც ი ჯ შ ვ ი ლ ი  
 კორექტორი მ. ხ ვ ე დ ე ლ ი ძ ე  
 გამომშვეები ნ. მ ა ნ ა გ ა ძ ე

ს.ბ. № 5216

გადაეცა წარმოებას 06.06.85. ხელმოწერილია დასაბეჭდად 28.06.88.  
 საბეჭდი ქაღალდი № 2. 60×80<sup>1</sup>/<sub>16</sub>. გარნიტური ვენა. ბეჭდვა მძლავრი.  
 პირობითი ნაბეჭდი თაბახი 15.35 პირ. საღ.-გატ. 15.58. სააღრ.-  
 საგამომც. თაბახი 14.06. უე 02034. ტირაჟი 5000. შეკვ. № 498

ფასი 1 მან. 30 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ თბილისი, მარჯანიშვილის, 5.  
 Издательство «Сибчота საქართველო», Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის  
 ეაქრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ბეჭდვითი სიტყვის  
 კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

Комбинат печати Государственного комитета Грузинской ССР  
 по делам издательств, полиграфии и книжной торговли, Тби-  
 лиси, ул. Марджанишвили, 5.